# რაინდულო საქართველოვ,
# აღსდექ!



რედაქტორი: ა. ტაოელი
მხატვარი: ი. ბერუაშვილი.
ტექნიკური რედაქტორი: მ. ოქრუაშვილი, თ. აბაშიძე.
კორექტორები: მ. ბერძნიშვილი, მ. ხაჩიძე, ე. ჭუმბურიძე.
გარე ყდა: ს. კინწურაშვილი.
კომპიუტერული უზრუნველყოფა: ა. ვარვარიძე, ა. იოსეფაიშვილი, ა. ჩუპრინი, ლ. გოცირიძე.
ელექტრონული მაკეტი: პ. ლეთოდიანი.

ფასი სახელშეკრულებო

თბილისი
2002

იური ყეინაშვილი

# ქართველთა საბრძოლო სისტემები
# ტრადიცია და ისტორია

ეძღვნება პროფესორ
ვასილ ელაშვილის ხსოვნას

# რედაქტორისაგან

წიგნი ეძღვნება პროფესორ ვახო ელაშვილის ხსოვნას და მისი თანამოაზრისა და მოწაფის მიერ არის შესრულებული. ბატონმა ვახო ელაშვილმა თავისი სიცოცხლე ქართული საბრძოლო ხელოვნებების შესწავლასა და კვლევას დაუთმო. იმ დროს, როდესაც ყოველგვარი ეროვნული და მით უმეტეს საბრძოლო იდევნებოდა საბჭოთა იმპერიის მიერ, მან ათეულობით ნაშრომი დაწერა და დატოვა შთამომავლობას, რათა არ გამქრალიყო ეს განძი ერისა.

წიგნის იდეა XX საუკუნის დამლევს გაჩნდა ათასწლეულთა გასაყარზე, როდესაც საქართველოს კვლავ მიეცა საშუალება დამოუკიდებლობის ძნელ გზას შესდგომოდა. მოწოდებას "რაინდული საქართველო აღსდექ" განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სწორედ ახლა, როდესაც ჩვენი სულიერი ღირსება, საყრდენი ფასეულობანი, და ეროვნული თვითმყოფადობა მიმქრალია და ერის მამოძრავებელ ძალას არ წარმოადგენს.

წიგნი არის მცდელობა გზის ძიებაში მყოფ დღევანდელ საქართველოს შეახსენოს თუ რისი მფლობელია იგი, რა დიდი მნიშვნელობა აქვს საბრძოლო სულის აღდგენას ერის სიჯანსაღისათვის, როგორ შემოგვინახეს ეს საგანძური დღემდე და როგორ უნდა გავუფრთხილდეთ მას, რათა ღირსეულად, ჩვენივე სახითა და წვლილით შევიდეთ მომავალში.

ბატონი იური ყუფინაშვილის ნაშრომი იმითაც არის საინტერესო და საგულისხმო, რომ ერთად თავმოყრილ ქართულ საბრძოლო ხელოვნებებს სტილებად დალაგებულს გვთავაზობს. ავტორი ეხება არა ერთ რომელიმე საბრძოლო ხელოვნებას საქართველოს ერთ რომელიმე კუთხეში, არამედ ცხადად აჩვენებს და ადასტურებს უძველესი მრავალწახნაგოვანი საბრძოლო აზრისა და სისტემის არსებობას საქართველოში, იმოწმებს რა სხვათა ნაშრომებს.

წიგნში ნათლადაა ნაჩვენები, რომ უძველესი დროიდან მოყოლებული საბრძოლო ხელოვნება ქართული სულის, კულტურისა და ყოფის ძალზე მნიშვნელოვანი და განუყოფელი ნაწილი იყო, მისი სიამაყე და გადარჩენის გარანტი. დღეს კი აღმოსავლური საბრძოლო ხელოვნებები უფრო მეტ აღტაცებას იწვევს საზოგადოებაში, ვიდრე ქართული, რომელიც არაფრით ჩამოუვარდება სხვას, პირიქით ზოგ შემთხვევაში შეიძლება აღემატებოდეს კიდეც. ბედის ირონიით ქართველებმა დაიჯერეს კიდეც, რომ თავდაცვის უნარი არ შესწევთ.

ავტორი მადლობას უხდის ყველას, ვინც ქართული სიბრძნისა და ტრადიციათა შენახვისათვის იღვაწა. იგი დასავლეთისაკენ მიმავალ თანამემამულეებს წმინდათა-წმინდა ვალს ახსენებს, რომ შესძლონ გაიგონ საიდან მოდიან და რას ფლობენ, რათა არ დაუკარგონ შვილებს წინაპართა მონაპოვარი.

დიდი იმედი გვაქვს, რომ ერის გამოღვიძების საქმეს ბევრი თანამოაზრე გამოუჩნდება და გაგრძელდება ქართული საბრძოლო სულისა და ხელოვნებების აღორძინების საქმე, რაც საქართველოს გაამთლიანებს და გააძლიერებს. ვაჟკაცობა და რაინდობა ისევ ქართველობის ტოლფასი გახდება და ქართველთა შელახული სახელი ისევ აღსდგება. ძალიან დიდი სურვილი გვაქვს, რომ სკოლებში სავალდებულო გახდეს ჭიდაობის, ფარიკაობის, ქართული კრივის, ხალხური ცეკვებისა და სიმღერების სწავლება.

*ვუძღვნი ჩემს მასწავლებელს*
*გამოჩენილ ეთნოგრაფს,*
*პროფესორ ვასილ ელაშვილს.*

# წინასიტყვაობა

ვსწავლობთ რა სხვათა კულტურას, ტრადიციებსა და ფილოსოფიას, ღრმად ვწვდებით საკუთარ თავსა და საკუთარი ერის კულტურულ და ტრადიციულ ფასეულობებს. კულტურა ფართო, ყოვლისმომცველი ცნებაა. იგი მოიცავს ეროვნული ხელით გადეწნილ ძველსა და ახალს, ტრადიციულსა და თანამედროვე ელემენტებს. ხალხთა კულტურების მსგავსება დაფუძნებულია მათი ფიზიკური და საბრძოლო აღზრდის, ინტელექტის დონის ფაქტორებზე, რაც, თავის მხრივ, დამოკიდებულია საზოგადოებაში გაბატონებულ იდეოლოგიაზე.

ამიტომაა, რომ თანამედროვე ქართველი ახალგაზრდის აღზრდა, მისი გონებრივი, ფიზიკური, სულიერი და საბრძოლო წრთობა დაფუძნებული უნდა იყოს ეროვნულ სახეზე, რომელიც ჩვენი ისტორიული გამოცდილებიდან მოედინება და წარმოადგენს ჩვენს საკუთარ წყაროს. ზოგიერთ ეროვნულ ჩვეულებას, ტრადიციას, ფიზიკური და საბრძოლო აღზრდის მეთოდებს ჯერ კიდევ არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. სამწუხაროდ, ბევრია ისეთებიც, რომლებიც მხოლოდ ერის მეხსიერებას შემორჩა და გაცოცხლებას საჭიროებს.

თანამედროვე მსოფლიო მშვენივრად იცნობს აღმოსავლურ საბრძოლო სისტემებს. ახალგაზრდობა ერკვევა ისეთ მიმართულებებში როგორიცაა: ძიუ-დო, კარატე-დო, აიკი-დო, შაოლინ-ხო-ციუანი, თაი-ძი-ციუანი, ტაე-კვონ-დო, იაი-დო, ლონგ-ლიპა, ვიეტ-ვო-დაო და სხვა. კარგად იცნობენ მათ ჩვენშიც: ზოგი უშუალოდ ვარჯიშით, ზოგიც კინოფილმების მეშვეობით. საქართველოში მხოლოდ ახლახან დაიწყეს იმის გაცნობიერება, რომ თურმე ჩვენ, ქართველებსაც, გაგვაჩნია ქართული საბრძოლო სისტემები. ეს საგანძური ჩვენი უძველესი ტრადიციების განუყოფელი ნაწილია, ისეთივე მდიდარი და ღრმა, როგორც ქართული ფილოსოფია და ლიტერატურა, არქიტექტურა და ფერწერა, ტიხრული მინანქარი და ოქრომჭედლობა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქართული საბრძოლო აღზრდის უნიკალური სისტემა "ცხოვრების მეცნიერებას" წარმოადგენს და საგანმანათლებლო ღირებულებისაა.

საჭიროა, კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ სათავეებს — შევისწავლოთ ჩვენი ქვეყნის ისტორია, ფილოსოფიური მოძღვრებები, ტრადიციები, ქართველ მხედართმთავართა ცხოვრება. ილიას უთქვამს: "მე მძულს ომი, მაგრამ ეს ოხერი ჩვენი ქვეყნის ისტორია მარტო მეფეებისა და ომების ისტორიაა". სწორედ ჩვენმა საბრძოლო ტრადიციებმა და წეს-ჩვეულებებმა შემოგვინახა ერი დღემდე და, თუ მათ დავუბრუნდებით, ჩვენ გაქრობა არ გვიწერია...



"საქართველოს გერბი"

საბჭოთა პერიოდში დიდი წინააღმდეგობების, შეზღუდვებისა, თუ მუქარის მიუხედავად, ბევრმა ქართველმა მეცნიერმა, ეთნოგრაფმა, ისტორიკოსმა, იარაღთმცოდნემ, ფილოსოფოსმა, თუ ფალავანმა მოახერხა მეცნიერულად გამოეკვლია ზემოაღნიშნული საკითხები. მათ ფასდაუდებელი საგანძური დაუტოვეს მომავალ თაობას. მათმა შრომებმა და გამოკვლევებმა საშუალება მომცა თვალნათლივ წარმომედგინა ჩვენი წინაპრების მოღვაწეობა და უფრო ღრმად ჩავწვდომოდი მათ მიერ განვლილ გზას.

ასევე, მადლობა მინდა გადავუხადო ჩემი თაობის იმ წარმომადგენლებს, რომლებმაც გა-

სულ საუკუნის 70-იან წლებში არ დაიწყეს ეროვნული საქმე და "ქართული და აღმოსავლური ორთაბრძოლების ასოციაცია" ("ქაოა") სა-მოყვლობეს. მიუხედავად იმისა, რომ ისინი, და მეც მათ შორის, აღმოსავლური საბრძოლო ხელოვნებების თავგამოდებული მიმდევრები ვიყავით, ჩვენ გადავწყვიტეთ წინაპრების დავიწყებული ეროვნული საქმე, გამოვიკვლიეთ და ნაწილობრივ აღვადგინეთ ბევრი მივიწყებული ქართული საბრძოლო სისტემის.

დიდი მადლობა იმ ქართველ ახალგაზრდებს, რომლებმაც გააგრძელეს ჩვენი დაწყებული საქმე და შექმნეს ქართული საბრძოლო ხელოვნების ფედერაცია "ხრიდოლი". ისინი დიდ ეროვნულ საქმეს აკეთებენ მთელ საქართველოში მოგზაურობენ: ეძებენ ხალხის წიაღში საოცარ შენახულ ქართულ საბრძოლო ილეთებსა და ფანდებს, ხმლისა და ხანჯლის ხმარების ხერხებს; აგროვებენ სამეცნიერო ხელნაწერებსა და შეკრებებს.



ქართული ცეკვა "ხანჯლური"

დიდად წაადგებოდა საბრძოლო ტრადიციების აღდგენისა და განახლების საქმეს, ერთ მუშტად რომ შეკრულიყო და გაერთიანებულიყო ყველა ფალავანი იქნება ეს, ისტორიკოსი, სახელმწიფო მოღვაწე, ეთნოგრაფი, კულტურის მუშაკი, სპორტსმენი, მოცეკვავე, თუ პოეტი. მეც მათ შორის მინდა ვიყო და ამ ჩემი პატარა ნაშრომით ერთი წვეთი შევმატო ქართველთა ეროვნული აღორძინების თასს.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს თანამოაზრეებს, თანამშრომლებსა და მოწაფეებს, რომლებიც მხარში ამომიდგნენ და ამ ნაშრომის გაფორმება-გამოშვებაში დამეხმარნენ.

მჯერა, რომ ჩვენი მომავალი თაობა საბრძოლო ხელოვნების დასაუფლებლად ჩინეთსა და იაპონიაში კი არ ირბენს, ფერად-ფერადი ქამრებისა და "სერთიფიკატების" მიღებით კი არ იქნება გართული, არამედ, ქართულ ტანსაცმელში გამოწყობილი ქართულ საბრძოლო სისტემებში ვარჯიშით დაინტერესდება, რათა უფრო ღრმად და საფუძვლიანად შეისწავლოს ჩვენი წინაპრების სიბრძნე. შეიცნოს მათი რაინდული სული და თავისი სამშობლოს დამცველთა საპატიო რიგებში დადგეს.

*დაე, აღსდგეს რაინდული საქართველო!*

*საბრძოლო ხელოვნებების ოსტატი,*
იური ყეინაშვილი



**კახი კიკველი**

# ქართველთა საბრძოლო ხელოვნებები



*„მხოლოდ წარსულის ცოდნით დაიცავს*
*ყოველ ერს თავისი ეროვნება,*
*თავისი არსებობა, თავისი ვინაობა.“*

ილია

# საქართველო მერწყულის ეპოქაში გადავიდა

ბატონ იური ყვინაშვილის წიგნი ქართული და ზოგადად საბრძოლო ხელოვნებების შესახებ მეტად დროული და აქტუალურია, რადგან იგი ერთდროულად მოიცავს ისტორიას, გეოგრაფიას, ასტროლოგიას, ლიტერატურას, ეთნოგრაფიას, რელიგიას და აძლევს საზოგადოებას ცნობიერების, სულიერი განვითარების გაფართოების საშუალებას. ყველაფერი ეს მეტად მნიშვნელოვანია სწორედ ახლა, რადგან კაცობრიობა გადავიდა მერწყულის ახალ ეპოქაში (გაგრძელდება 2160 წლის განმავლობაში), რომელსაც თან მოაქვს აქამდე არნახული სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, კომპიუტერული ტექნოლოგიები, კოსმიური სივრცის ათვისების ახალი შესაძლებლობები, დემოკრატიული პრინციპების დანერგვა, იისფერი რასის დაბადება. ყოველივე ამ დადებითთან ერთად მას შემოაქვს უარყოფითი ტენდენციები - ანარქია, საუკუნეებით დაგროვილი ფასეულობების უგულებელყოფა, ტრადიციების გაუფასურება და ა.შ. დროთა განმავლობაში ეს კოსმიური არეულობა მოწესრიგდება, მაგრამ მერწყულის საწყისმა სტადიამ იმდენად შეიძლება არიოს ცხოვრება, რომ მისი დალაგება შემდგომ დიდი ხნის განმავლობაში ვერ მოხერხდეს. ამიტომ მიმაჩნია, რომ ყოველივე სიახლის დანერგვა დადებით ელფერს შეიძენს მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი დაეფუძნება საუკუნეების მსვლელობაში ჩამოყალიბებულ ტრადიციებს. მხოლოდ ასეთი შეხამება შექმნის ჰარმონიას და წინსვლის რეალურ პერსპექტივას.

ბატონი იურის ნაშრომი გვაძლევს წარსულთან შეხების, ქართველთა ძირძველი საბრძოლო სულის გახსენებისა და მათი სულიერი მრწამსის გაცნობიერების საშუალებას. ისტორია გვამცნობს, რომ საქართველოში ოდითგანვე იყენებდნენ ასტროლოგიას, რის საუკეთესო მაგალითსაც წარმოადგენს სვეტიცხოვლის სამხრეთი კედელი და მასზედ გამოსახული ზოდიაქოს ნიშნები; აგრეთვე დიდი მეფეების: ვახტანგ VI-ის, გიორგი I-ის და დავით აღმაშენებლის მოღვაწეობა, რომლებიც საკუთარი ხელით ქმნიდნენ ასტროლოგიურ რუქებს. დავით აღმაშენებელი ქართულ ჯარში მხედართმთავრად ძირითადად იყენებდა მორიელის (დრიანკალის) ან თხის რქის ნიშნით დაბადებულს, ხოლო ჯარის წინა რიგი ვერძის უშიშარი ნიშნის მებრძოლებით ყალიბდებოდა. სულხან-საბა ორბელიანი "სიტყვის კონაში" ხსნის ზოდიაქოს ნიშანთა ძველ სახელწოდებებს და მათ მნიშვნელობებს. დიდმა შოთა რუსთაველმა კი ტარიელი მაშინ შეახვედრა მიჯნურს, როდესაც ცის კაბადონზე მუშთარი (იუპიტერი) შეხედა ზუალს (სატურნს), რითაც გამოხატა თუ რა კარგად ესმოდა მას ასტროლოგია, ეზოთერული მეცნიერება, რომელიც სწავლობს ციურ სხეულთა ბიოლოგიურ ორგანიზმზე ზემოქმედების პრინციპებს და ითვლის თითქმის 40 საუკუნეს.

ქართულ საბრძოლო ხელოვნებებში, ისევე, როგორც სხვა ქვეყნების საბრძოლო ხელოვნებებში, ჩვენ ხშირად ვხვდებით მითითებებს, მთვარის ფაზის რომელ პერიოდშია უკეთესი ამა თუ იმ ვარჯიშის ჩატარება, საბრძოლო მოქმედება. საბრძოლო ხელოვნებაში მოძრაობათა ტრაექტორია, როგორც ქართულ ცეკვაში, ხშირად ეფუძნება მზის და მთვარის მოძრაობათა ტრაექტორიებს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მათ ისტორიულ ერთიანობას.



XII საუკუნის ასტროლოგიური ტრაქტატის ფრაგმენტი - "კირჩხიბის" აღწერილობა.

ბატონი იური კირჩხიბის ზოდიაქოს ნიშნის მფარველობის ქვეშ არის დაბადებული და ამიტომ არაა გასაკვირი, რომ სწორედ მას გაუჩნდა სურვილი შეხებოდა ამ თემას. კირჩხიბი ასტროლოგიაში ეს არის ნიშანი ტრადიციებისა, წეს-ჩვეულებების დაცვისა, ოჯახისა, სამშობლოს სიყვარულისა, რაც ნათლად გამოიხატა კიდეც ბატონ იურის ნაშრომში, სადაც მეტად ფაქიზად და ჰარმონიულად, ყველასათვის გასაგებ ენაზეა წარმოდგენილი ქართველთა საბრძოლო ხელოვნებების სიბრძნე, მისი კავშირი კოსმიურ კანონზომიერებებთან, ქართულ ისტორიასთან და მომავალთან.

*ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი,*
*თბილისის სამედიცინო აკადემიის დოცენტი,*
*ასტროლოგი.*
*მიხეილ ცაგარელი.*

# თავი პირველი

## "გაქვთ კი ქართველებს საბრძოლო ხელოვნების სისტემები?"

*"გახსოვდეს, დიდკაცობას*
*კარგი კაცობა სჯობს,*
*კარგ კაცობას - კარგი*
*მამულიშვილობა"*

*გიორგი სააკაძე*

80-იან წლებში ქ. მოსკოვში კარატეს საკავშირო (მაშინდელი) სემინარებზე ყოფნისას გავიგე, რომ იქ ჩამოყალიბებულიყო რუსული საბრძოლო ხელოვნების სკოლა "ალექსანდრე ნეველი", რომელიც რუსული საბრძოლო სულის აღორძინებას ემსახურებოდა. ამ ფაქტმა ძალიან დამაინტერესა. გულში გავიფიქრე - "ხედავ, რუსებს უკვე დაუწყიათ ამაზე ზრუნვა, ჩვენ კი..." - გადავწყვიტე საკუთარი თვალით მენახა ეს სკოლა.

სკოლაში შესვლისას იმ წამსვე თვალში მომხვდა შუასაუკუნოვან რუსულ ჯაჭვის პერანგებში და მუზარადებში გამოწყობილი ახალგაზრდები. ზოგი ფარიკაობით იყო დაკავებული, ზოგიც - ჭიდაობით. გავეცანი იქაურ მეურვეებს, ვუთხარი, რომ ქართველი ვარ და მაინტერესებს მათი სკოლის გაცნობა. "გაქვთ კი ქართველებს საბრძოლო ხელოვნების სისტემები?" აი, ეს კითხვა დამისვეს მაშინ. მე გავიღიმე და პასუხის გაცემას ვაპირებდი, მაგრამ შევყოვნდი, რადგანაც მათი ფარიკაობის ტექნიკაში რაღაც ნაცნობი მოძრაობები შევნიშნე. დიახ, მათი დგომები, გადაადგილებები, შეტევები და დაცვის ილეთები, ხმლითა და ფარით მოძრაობები ჩემთვის ახლობელი და ნაცნობი იყო.

ცნობილია, რომ შუასაუკუნეებში რუს მებრძოლებს გრძელი, წაწვეტებული მუზარადები და ფარები ჰქონდათ. აქ კი, მათ მრგვალი ფარები ეჭირათ ხელთ, თანაც, ფარსა და ხმალს ერთმანეთთან მიდებულს ხმარობდნენ. "ეს ხომ ჩვენი ხევსურული ფარიკაობის ხელწერაა!" - გავიფიქრე. ვკითხე, თუ საიდან სწავლობდნენ ისინი ფარ-ხმლის ფლობის ამნაირ ტექნიკას. მათ მითხრეს, რომ გააჩნიათ ძველი რუსული ფარიკაობის მშვენიერი ნაშრომი და მაჩვენეს რუსულ ენაზე გამოცემული, შესანიშნავად ილუსტრირებული ევსო ელაშვილის წიგნი: "Хевсурское фехтование, парикаоба". ალბათ ძნელია იმის გამოხატვა, თუ რა განვიცადე იმ წუთებში. "ალექსანდრე ნეველის" სკოლაში ვიპოვე წიგნი, რომელსაც ამდენი ხნის განმავლობაში ვეძებდი...

ახლა პირიქით დავუსვი კითხვა: - "იცით კი ვინ არიან ხევსურები, ან ევსო ელაშვილი არაფერს გეუბნებათ?" მათ ხევსურები ჩრდილო კავკასიაში რუსეთის ერთ-ერთი პროვინციის მცხოვრებლებად მიაჩნდათ. უნდა გენახათ მათი სახეები, როდესაც გაიგეს, რომ ისინი ქართველს მათ მიერ "დამახინჯებული" ქართული საბრძოლო ხელოვნებით "ეპრანჭებოდნენ". საკუთარი კითხვის გამო ძალიან უხერხულად იგრძნეს თავი...

როგორც უკვე წინასიტყვაობაში აღვნიშნე, 1989 წელს საბრძოლო ხელოვნებების მიმდევრებმა "ქართული და აღმოსავლური ორთაბრძოლების ასოციაცია" ჩამოვაყალიბეთ. ჩვენი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო დავიწყებას მიცემული ქართული საბრძოლო ხელოვნებების კვლევა-ძიება, აღორძინება და დამკვიდრება. ამავე წლის აპრილში მაშინდელმა ქართულმა პრესამ ამ წამოწყების გამო შეგვაქო, მაგრამ დასვა ჩვენთვის უკვე ნაცნობი კითხვა: "გვაქვს კი ქართველებს საბრძოლო ხელოვნებების სისტემები?" და თვითონვე გასცა პასუხი: "ამგვარი მოძღვრება (ლაპარაკია ქართულ ტრადიციებზე დამყარებულ გამაჯანსაღებელ ვარჯიშთა სისტემაზე), სამწუხაროდ, ჩვენ არ გვაქვს. რა თქმა უნდა, ცალკეული შეხედულებანი, აზრი შეიძლება ამოვკრიფოთ როგორც ჩვენი მწერლების თხზულებებიდან, ისე ხალხურ პოეზია-თქმულებებიდან, მაგრამ მოძღვრებას ვერ დავარქმევთ. მოძღვრება გულისხმობს მკაფიოდ ჩამოყალიბებულ მყარ სისტემას. ამგვარი მოძღვრების არქონამ გული არ უნდა გაგვიტეხოს - ხომ შეიძლება ახალი შევქმნათ. ის,



ძველი ქართული ორნამენტი.

რაც გუშინ არ იყო, დღეს იქნება; რაც დღეს არ არის, ხვალ იქნება. ასე რომ, ასოციაციის მიზანი შექმნა უნდა იყოს, შემდეგ კი საქმის პრაქტიკული განხორციელება...".[1]

რაო, ქართველო რაინდებო, მკაფიოდ ჩამოყალიბებული მყარი სისტემა არა გვაქვსო? გული არ გავიტეხოთ და ახალი სისტემა შევქმნათო? მართლა ასეა ჩვენი საქმე სინამდვილეში? მხოლოდ ჩვენი მწერლების შემოქმედებიდან, თუ ფოლკლორიდან ამოკრეფილმა ცალკეულმა შეხედულებებმა და აზრმა გადაარჩინა და XXI საუკუნემდე მოიყვანა საქართველო?

ქართველები ერთ-ერთი უძველესი მოდგმაა. მესოპოტამიის დაბლობიდან კავკასიონის მთისწინეთამდის აღმოცენდებოდნენ და გამძვინვარებულ ომებად გადაიქცეოდნენ ხოლმე მაშინდელი ტომთაშორისი წინააღმდეგობანი, რომლებიც პირისაგან მიწისა აღგვიდნენ დიდ თუ პატარა ხალხებს. მათ შორის მხოლოდ ყველაზე ძლიერნი, სიცოცხლის უნარიანნი და შრომისმოყვარენი გადარჩებოდნენ და აგრძელებდნენ ბრძოლას არსებობისათვის. მხოლოდ ერების უნიკალურმა ერთგულებმა გადაარჩინეს თავი სამხედრო განადგურებისაგან და მოაღწიეს დღევანდლამდე. ისინი კანონიერად გახდნენ უძვირფასესი საგანძურის, საბრძოლო ხელოვნებების, შემნახველები და მემკვიდრეები.

ვახუშტი ბატონიშვილი ბრძანებს ქართველთა შესახებ: "ანაგებით არიან კაცნი და ქალნი შვენიერნი, პაერიოვანნი; შავ თვალ-წარბ-თმოსანნი; წერწეტნი. უმეტეს ქალნი, იშვიათ სქელნი. მხნენი მუშაკნი, ჭირთა მომთმენნი, ცხენსა ზედა და მხედრობათა შინა კადნიერნი, მკვირცხლნი, მსწრაფნი; სალაშქროთა შინა ახოვანნი, საჭურველთ მოყვარენი; სტუმართა და უცხოთ მოყუარენი; მხიარულნი, გონიერნი, მსწრაფლ მიმხდომნი, მჩემებელნი, სწავლით მოყუარენი; გარნა თუ სძლიან ვინმე მძლავრთაგანნი, არა დაუმორჩილონ, არამედ კვალად იპყრონ თვისნივე წესნი და არა დაუტევიან ღმერთნი და მეფე და ჩვეულებანი"..

არა მგონია, სულიერი და ფიზიკური თვისებების პარმონიული შეხამების უკეთესი სურათი დახატოს ვინმემ. აქ არაფერია გადაჭარბებული თუ არა ასეთი ადამიანები, საქართველოს მაღალი მთები, გაუვალი ხევ-ხუვები და უსიერი ტყეები, ვერაფერი იხსნიდა საქართველოს ისტორიის საბედისწერო ქარტეხილებისაგან.

ქართულმა ჯარმა უძველესი მსოფლიოს ყველაზე ძლევამოსილ ქვეყნებთან და მხედართმთავრებთან თითქმის უწყვეტ ბრძოლებში შეიცნო სამხედრო ხელოვნების მწვერვალები. ამ ბრძოლებში გამოიყენებოდა და იხვეწებოდა ქართული საბრძოლო ხელოვნება, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა. ყველაფერი ეს განსაზღვრავდა ქართველთა გამარჯვებებს ბევრად უფრო მრავალრიცხოვან მოწინააღმდეგეებზე. ქართველები მშვენივრად იყენებდნენ თავიანთ გეოგრაფიულ მდებარეობას, საბრძოლო ოსტატობას და ვაჟკაცობას. ზუსტად ამ თვისებებმა მისცა მათ საშუალება გაეძლოთ და გადაერჩინათ ერი. არაბებთან, მონღოლებთან, თემურ-ლენგთან, სპარსელებთან და თურქებთან ბრძოლებში ჩამოკრისტალდა ქართველთა საბრძოლო ხელოვნება. დამარცხების სიმწარე, გადაბუგული მიწები, დანგრეული საცხოვრისები, ციხე-სიმაგრეები - მაგრამ გაუტეხავი ხალხი! იგი ფერფლიდან ფენიქსივით ხელახლა იბადებოდა და შემდგომ ისევ აღწევდა ბრწყინვალე გამარჯვებებს მრავალრიცხოვან მოწინააღმდეგეთა ძალებზე.

რომი და ბიზანტია მრავალი წლის განმავლობაში აღმოსავლეთში თავიანთ ბურჯად თვლიდნენ იბერიელებს ყველაზე ვაჟკაც და უშიშარ მებრძოლებს, რომლებიც მუსრს ავლებდნენ სპარსელებს, პართიელებსა და სხვებს, როგორც რომის ჯარებთან კოალიციაში, ასევე დამოუკიდებლადაც. ასეთ ბრძოლებში, დამარცხება-გამარჯვებაში ყალიბდებოდა ქართველი ერი, იკვეთებოდა საქართველოს სახელმწიფოებრივი თვითშეგნება.

გამუდმებით, მალულად იტაცებდა ჩვენს ბიჭებსა და გოგოებს სპარსეთი და თურქეთი. ათასობით მოტაცებული ქართველი გაჰყავდათ გასაყიდად, რადგან ძვირად ფასობდნენ ქართველი და ჩერქეზი მეომრები. სიტურფითა და კეთილშობილური ბუნებით განთქმული ქართველი ქალები ხშირად დიდგვაროვანთა ცოლებად მიჰყავდათ. რამდენი ქართველი ვაჟკაცი ქცეულა მამლუქად, ან ევროპულ რაინდად; რამდენჯერ გამოჩენიათ თავი უცხო ქვეყანაში სხვისი ინტერესების დასაცავად.

უხსოვარი დროიდან მოყოლებული ქართველებს ჰქონდათ ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის მრავალგვარი საშუალება. ამ საშუალებათა საგანძურში ორი ძირითადი ჯგუფი არსებობს: თამაშობანი (მოძრავი და სპორტული) და ვარჯიშობანი.

ფიზიკური აღზრდის პრაქტიკა განპირობებული იყო, უმთავრესად, ადამიანთა სამეურნეო და სამხედრო ინტერესებით. ამის გამო, ფიზიკური აღზრდის საშუალებები ხშირად ატარებდნენ მათი წარმოშობის პირობების ბეჭედს. ეს განსაკუთრებით ითქმის მოძრავი თამაშობების შესახებ, რომელთა სიუჟეტი, ინვენტარი და მათთან დაკავშირებული ტერმინოლოგია აშკარად წარმოაჩენს ამ ნაკვალევს. ასეთია, მაგალითად, "მგელ-ჯიხვაობა", რომელიც უთუოდ ნადირობასთან არის დაკავშირებული; "ჯოხი-ტაციაობა", რომლის კავშირი მესაქონლეობასთან ასევე უდავო უნდა იყოს; იგივე ითქმის "საყებურთის" შესახებ, რომლის ცალკეული ელემენტები მიწათმოქმედებას უკავშირდება; "ასულა-ჩასულა" და სხვა ამ რიგის მოძრავი თამაშობა სამხედრო მოქმედებასთან არის დაკავშირებული

გავიხსენოთ ძველი ქართული საბრძოლო ტერმინები. სულხან საბა გვასწავლის: "ჭიდაობა არის მხეცი და კაცი რა შეიჭიდნენ, გინა მხეცი ანუ პირუტყვი და პირუტყვი; ხოლო კაცი კაცსა რა ეჭიდაეებოდეს, რკენად იწოდების". აქედან - მოჭიდავეც მორკინალად იწოდებოდა. კრივის გამოსახატავადაც გაგვაჩნდა შესანიშნავი ტერმინი "მჯიღვით ბრძოლა". საბა გვასწავლის: "მჯიღი - ხელთ თითნი მომუჭულნი", ეთნოგრაფი ივანე გვარამაძე წერს: "მჯიღვით ბრძოლისას მაგარ ტყავის თასმანებს ჩაიცვამდნენ თითებით მოჭედილს და ისე ურტყამდნენ ერთმანეთს თავ-პირში".

სისტემატური წვრთნა სამხედრო საქმეში, ფიზიკური მომზადების მთელი სისტემა, საბრძოლო იარაღის სრულყოფა და მისი მოხმარების გაძლიერება, გამუდმებული ზრუნვა მებრძოლთა სულიერების ამაღლებისათვის წარმოადგენდა იმ მყარ საფუძველს, რომელზე აშენებული ქვეყნის დანგრევა პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა ჩვენი მტრებისათვის. მოქიშპე მეზობელი ქვეყნის წარმომადგენლები ხელის კანკალით წერენ ქართველურ ტომებთან შეხვედრის მწარე დღეებზე - ახასიათებენ ამ ტომების მაღალ ფიზიკურ და სულიერ თვისებებს, მათ შეიარაღებას.

რა საბრძოლო ხელოვნების სისტემები ჰქონდათ ქართველებს? რა ფილოსოფიური საფუძველი გააჩნდათ მათ? როგორ ხდებოდა თაობების აღზრდა ამ სისტემების საშუალებით? როგორ ვძლიეთ მტერს და მოვედით დღემდე? სწორედ ამ კითხვებზე პასუხის გაცემის მცდელობაა ეს წიგნი. გვინდა ევროპისაკენ გეზაღებულ ჩვენს თანამემამულეებს შევახსენოთ ვინ ვართ ჩვენ და რა მისია გვაკისრია; დავეხმაროთ მათ წინაპართა ანდერძის შეცნობაში; დავანახოთ ის უძვირფასესი საგანძური, რომელსაც ფლობს მათი სამშობლო: უიმედობასა და სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილთ ვუთხრათ: საქართველო ისე მდიდარია საბრძოლო ხელოვნებებით, რომ ღირსეულად შეუძლია გვერდში დაუდგეს მსოფლიოში სახელგანთქმულ ქვეყნებს.

# თავი მეორე

## ხე ნაყოფით შეიცნობა

*"აწმყო შობილი წარსულისაგან*
*არის მშობელი მომავლისა."*

*ილია*

ნეტავ თუ იცნობს ქართველი ახალგაზრდობა საკუთარი წინაპრების სიბრძნესა და ტრადიციათა სიღრმეს? იციან კი ამ ბერმუხის კენწეროებმა, თუ რანი არიან და რით საზრდოობენ მათი მძლავრი ფესვები? რომ რაც დაბლაა, იგივეა მაღლაც; რომ ბერმუხა კენკრა-მაყვალს არ ისხამს, აღმოცენებისა და სიცოცხლის გაგრძელების ჭეშმარიტება თავისთავად მეტყველებს, რომ - "ხე ნაყოფით შეიცნობა." წინაპარს უთქვამს: - "არ ძალუძს ხესა ხანეშსა ტკბილთა ნაყოფთა მოსხმაო". სამწუხაროდ, ცოტას თუ ესმის ეს მარტივი ჭეშმარიტება. ბევრისათვის კი წინაპართა გენია და ბრწყინვალება მხოლოდ და მხოლოდ მკრთალი გაელვებაა. "ვაი, იმ ხალხს, რომელსაც ძარღვი გაეწყვიტა... სადაც საერთო ძარღვში სისხლი გამშრალია!... მხოლოდ წარსულის ცოდნით დაიცავს ყოველი ერი თავისი ეროვნება, თავისი არსებობა, თავისი ვინაობა" - გვასწავლის დიდი ილია.

მოდით, სიყვარულითა და სიფრთხილით შევეხოთ წინაპართა ტრადიციებს და ვცადოთ მასზე ბუნდოვნად არეკლილი მამა-პაპათა სახეები, ხასიათი და მოქმედებანი დავინახოთ. ტრადიციათა ფილოსოფიის გაგება მხოლოდ გონების საშუალებით შეუძლებელია მათი სიღრმე მთელი ჩვენი არსით თუ შეიცნობა. ეს ჭეშმარიტების შეცნობის უცილობელი პირობაა.

ძველი გზა და მეგობარი სულ ადვილად იკარგებაო, ნათქვამია და, როცა საქმე ტრადიციების გაქრობას ეხება, მაშინ ერის შვილებს დიდი შემართება გვმართებს მათ გადასარჩენად. ისე უნდა გავძლიერდეთ, რომ თავს მოხვეული პრინციპები დავძლიოთ - "ალაგო ვისი ხარო? და ვინც ზედ მადგანანო".

როგორ შეგვიძლია ტრადიციათა შეცნობა? პირველ რიგში ეს საკუთარი ფესვების აღქმის ბედნიერებაა; ესაა საკუთარი მოდგმის განცდა, რომელიც დაკავშირებულია თვითგანხორციელებასთან.

ვის შეუძლია ამ ბედნიერების მოპოვება? მას, ვისაც აქვს ყოფიერების აღქმის წყურვილი და სულიერ განცდათა ნიჭიერება. ხანგრძლივ სულიერ განცდებთან ყოფნის უნარი გამოხატავს ტრადიციათა მაძიებლის პიროვნულ სიღრმეს. შეცნობის ბედნიერება სასიცოცხლო და შემოქმედებითი ენერგიების ამაღლებას იწვევს და იგი ცხოვრებისეული ჭეშმარიტებისადმი ერთგულების დამადასტურებელია. უწყვეტი შემოქმედებითი მდგომარეობა შემოქმედებით უნარს ზრდის. ხოლო შემოქმედებით სულიერებასთან კავშირისას შეცნობის ბედნიერება უდიდესი განცდაა. მაძიებელი ერთიანდება თავისი მოდგმის რაობასთან.

ტრადიციების, ანუ ფესვების შეცნობის მიმართ გულგრილი ადამიანი ისეა, კაცს შინ ოქრო ჰქონდა და გარეთ კი მიეშურებოდაო. იგი სულაც არ არის ჭეშმარიტების მაძიებელი, არამედ გზააბნეული მომხმარებელია და ხშირად სხვის მოედანზე თამაშობს. სამწუხაროდ, დღეს ასეთი მოთამაშეები ბევრი გვყავს. მიყუჩებულია, თუ მინელებული მამულიშვილთა მიერ ერის საგანძურის აღორძინების შემოქმედებითი ენერგია.

ტრადიციების შეცნობისადმი მიზანდასახული უარის თქმა ერის ღალატის ტოლფასია. ეს მომხმარებლები სულ რაღაცას ითხოვენ სამშობლოსაგან, თითქოს სამშობლოს მათი ემართოს რამე. ისინი თავიანთი უფლებების დაცვას მოითხოვენ, მოვალეობები კი ავიწყდებათ. "მხოლოდ პირუტყვი ივიწყებს წარსულს, არ ჰფიქრობს მომავალზე და მარტო აწმყოთია კმაყოფილი" - ამბობდა აკაკი.

წინაპართა ტრადიციებსა და რიტუალებში, უძველეს ქართულ სიმღერებსა და ცეკვებში ჩვენი ერისათვის ძვირფასი საგანძურია ჩადებული, რომელშიც ჩაწერილია სამყაროს შეცნობისა და მასთან ჰარმონიული კავშირის ჭეშმარიტება. ეს სიბრძნე რომ ამოვიკითხოთ, გასაღები გვჭირდება. როგორც თითოეულ ადამიანს, ასევე თითოეულ ერს დედამიწა-

ხე გააჩნია მისია, ანუ ღვთისაგან ბოძებული დავალება. ამ დავალების შესასრულებლად მას ენიჭება ენერგია. ამ ენერგიის გამოვლინებით მრავალი საუკუნის განმავლობაში, შრომითა და შემოქმედებით, ყალიბდება და ვითარდება ერი. ერის შემოქმედობის, ანუ მასიურობის დროს, როცა ამ ენერგიის ხარჯზე არ მიუღწევია წინ, იწყება მექანიკური ქცევები. ტრადიციის შედეგად ამ გზააბნეულ ერს, თვალსა და ხელს შუა შემოელევა ეს ღვთიური ენერგია და ჩვენი უნიკალური გენეალოგიური ხე ხმობას დაიწყებს.

ჩვენ კიდევ ერთხელ უნდა გავიხსენოთ ჩვენი არსებობის მთავარი მიზანი, ჩვენი მისია: მოციქულობით ძალა და ერის საგანძურის მაძიებელნი გავხდეთ. ის პიროვნება ან ის ერი, რომელიც დაივიწყებს ზეციდან ბოძებულ მიზანს და ამ მიზნისათვის გამოყოფილ ენერგიას, და მას სხვა ერის ტრადიციების სამსახურში გაფლანგავს, დაარღვევს კავშირს თავის ფესვებთან, ანუ თავისი ერის წარსულთან და ამდენად აღარ მიიღებს მისთვის განკუთვნილ ენერგიის ულუფას, რის შედეგადაც იგი გაწყვეტს კავშირს და თავისი არსებობით წერტილს დაუსვამს თავისი გვარის იმ შტოს, რომლის გამგრძელებელიც თვითონ იყო, რაც სამწუხაროდ გაქრობას ნიშნავს. "ღვთის ამოწყვეტას გვარის ამოწყვეტა სჯობიაო" - ამბობს ხალხი.



აღმოსავლეთ საქართველოს ეთნიკური ჯგუფები (მათი სამოსელი): 1 _ ქართლელი გლეხი; 2 - მოქალაქე ხელოსანი; 3 - მოქალაქე-ვაჭარი; 4-7 - მაღალი წოდების ქართლელები და კახელები; 8-9 - ინგილოები. ნახატი ნ. ბრაილაშვილისა.

წინაპართა სიბრძნის აღდგენა მხოლოდ დაუღალავი შემოქმედებითი შრომითაა შესაძლებელი. ამ დიადი მიზნის მიღწევაზე დაღვრილი ოფლი მიღწეულით ტკბობის ბედნიერებას იმსახურებს. ამ გზაზე კი ერიცა და პიროვნებაც შემოქმედად იქცევა. "არ არსებობს ბედნიერება, არსებობს მხოლოდ განცდები და ოცნებები" - ამბობს დიდი შექსპირი და ძნელია არ დაეთანხმო მას.

ტრადიციათა აღორძინების ძნელ გზაზე შესაძლებელია ნებისმიერი სასოწარკვეთილების გადალახვა, რომლითაც შეპყრობილია დღეს ჩვენი ერი. ამ სიძნელეთა დაძლევის შედეგად აღდგება წინაპართა გენია. ჭეშმარიტი ცოდნის შეძენა მხოლოდ შემოქმედებითი შრომითაა შესაძლებელი. ჩვენს შემთხვევაში კი დაშვებული შეცდომებისათვის დამატებითი ოფლის ღვრა იქნება საჭირო. მხოლოდ მაშინაა საკუთარი აზრების ბოლომდე შეცნობა შესაძლებელი, როცა წინაპართა ცოდნასა და სიბრძნეს შევიმეცნებთ. წინაპართა ტრადიციების აღდგენის სურვილი ღვთის სასიქადულო საქმედ უნდა წარმოვიდგინოთ და მაშინ მისი მამოძრავებელი სასიცოცხლო ნაკადებიც დაიძრებიან ჩვენში.

საკუთარი ერის ტრადიციებისა და მოძღვრებების შესწავლის დროს გაცემული ენერგიის შედეგად მიღებული შთაბეჭდილებები მაძიებლის გონებაში არ ქრება, მიუხედავად იმისა, რომ გონებას არ ძალუძს აღიქვას დაგროვილი სიბრძნის მცირედი ნაწილიც კი. გასხივოსნების შემთხვევაში, შესაძლებელია, აისახოს ყველაფერი ის, რაც მან შემეცნებით აითვისა. ტრადიციების გაგების სიღრმე დამოკიდებულია თანმიმდევრობაზე, რომლი-

თაც იგი აღიბეჭდება მაძიებლის აღქმაში და იმაზე, თუ რა სიზუსტით მოხდება მისი ჩაწერა და გადაცემა შემდეგი თაობებისათვის. "ისეთი ხიდი გადე, შენმა შვილიშვილმაც ზედ გაიაროსო", - ამბობს ხალხი.

არსებობს ორი სახის შრომა: გაცნობიერებული და გაუცნობიერებელი. მხოლოდ სულელები ღვრიან ოფლს გაუცნობიერებლად. თითოეული ერი წარმოადგენს წვეთს სამყაროს ენერგო მდინარეებისათვის. ერთ შემთხვევაში ეს წვეთი მდინარის ზედაპირზეა, მეორე შემთხვევაში კი მის სიღრმეში იმყოფება. წვეთის ბუნებრივი შემოქმედებითი ცხოვრება მის მდგომარეობაზეა დამოკიდებული. დღეს მან ორმაგად უნდა იმუშაოს, იმიტომ რომ გუშინ საკმარისად არ ირჯებოდა. აქ მისაგებლის კანონი მოქმედებს. ადრე, თუ გვიან ყველამ თავისი ვალი უნდა მოიხადოს შემოქმედებითი არსებობისათვის - მიღებული ენერგია შრომაში უნდა დაიხარჯოს.

დღეს თითოეულმა ჩვენგანმა და მთელმა ერმა თავგამოდებით უნდა იშრომოს, რათა კვლავ მოიპოვოს თავისი თავი და სასიცოცხლო ძალა შემდგომი განვითარებისთვის. პირველ რიგში, უნდა გამოვაღვიძოთ ჩვენს შიგნით მიძინებული გენეალოგიური "მე". იგი დაგვანახებს, თუ რად ვიქეცით სხვათა უცხო ტრადიციების მიმბაძველნი და გამადმერთებელნი. გამოღვიძებულმა "მე"-მ მტვერი უნდა შეიბერტყოს და იწყოს წინაპართა სიბრძნის ძიება. მას შეუძლია ქმედება - უფრო მაღალ საფეხურზე ეს ქმედება შემოქმედებად იქცევა.

არსებითად, ადამიანს არ ძალუძს დამოუკიდებელი ქმედება. მასზე მოქმედებენ სხვადასხვა მოვლენები. ნებისყოფა არის ის, რაც შემოქმედს შემოქმედად აქცევს. ნებისყოფის ქონა მაღალი განვითარების მაჩვენებელია და მხოლოდ ამ ნიშნის მქონე ადამიანებს შეუძლიათ შემოქმედება. ყველა დანარჩენი ფიზიკური ინსტინქტებით ხელმძღვანელობს და გარე ძალების ზემოქმედების მორევშია ჩაფლული.

წინაპართა სიბრძნე გვიბიძგებს თვითდაკვირვებისაკენ. უპირველესად, მაძიებელი საკუთარ თავთან უნდა იყოს სრულიად გულწრფელი; საკუთარი ქცევების მიმართ, შედეგის მიუხედავად, თვალები არ უნდა დახუჭოს. ამ სამუშაოს შესრულებისას კარგი იქნება მაძიებელი განთავისუფლდეს ყოველგვარი შეზღუდვებისა და ჩარჩოებისაგან, მოიშოროს სასიამოვნო ილუზიები.

მაგრამ, როგორი მონდომებული და გულწრფელიც არ უნდა იყოს მაძიებელი, მხოლოდ თვითდაკვირვებას არ ძალუძს მიიყვანოს იგი სიბრძნის სრულ შემეცნებამდე - გონიერება დაეხმარება დროის დაზოგვაში. გონიერი პიროვნება მშვიდია; მას გააჩნია დრო, რომელსაც იგი მუშაობისათვის იყენებს.

გონიერი ადამიანისათვის ყველაზე აქტიური და ძლიერი შიდა მტერია - პატივმოყვარეობა. ამიტომაც, მნიშვნელოვანია თვითდაკვირვების უნარი, რაც მხოლოდ განვითარებულ მაძიებელს გააჩნია.

ერმა რომ წინაპართა ტრადიციები აღადგინოს, საჭიროა, მის ქმედებაში სამი ძირითადი ფაქტორი იყოს: ერის სიცოცხლისუნარიანობა (რომელიც გულისხმობს ენას, მამულს, სარწმუნოებას), მისი ემოციური და გონებრივი სიჯანსაღე. როდესაც სამივე ფაქტორი ჩართულია ტრადიციათა აღდგენის საქმეში და ჰარმონიულად მოქმედებს, შემოქმედებითი შედეგების მიღწევა შესაძლებელია. თითოეული ფაქტორი ცალ-ცალკე უნდა მუშაობდეს. ყველაზე რთული და საპასუხისმგებლოა ერის ემოციური მდგომარეობა. ტრადიციათა, ანუ გენეტიკური სიბრძნის აღდგენაზე მუშაობის ფასი მცდელობათა რაოდენობაში კი არა ძევს, არამედ მათ ხარისხიან მიმართვაში. ამ სამუშაოს ხარისხი კი დამოკიდებულია ერის ინტელექტზე - თუ ერი შეუდგა თავისი სიბრძნის ძიებასა და ტრადიციების აღდგენას, მან ეს სამუშაო გონიერულად უნდა შეასრულოს.

თითოეულ უმცირეს უჯრედშიც კი ბუნებამ ურთიერთსაწინააღმდეგო ძალები ჩადო, რომლის მეშვეობითაც ეს უჯრედი სიცოცხლის შემოქმედებით უნარსა და თავის სახეს ინარჩუნებს. წყლის წვეთის ორად გაყოფისას თითოეულ წვეთში შენარჩუნებულია დადებითი და უარყოფითი მუხტების ურთიერთ შემოქმედება. ამ ურთიერთობის დროს იბადება ის, რის მეშვეობითაც წყლის წვეთები ინარჩუნებენ წვეთისათვის აუცილებელ თვისებებს.

ათასწლეულთა გასაყარზე ახალ ეპოქაში უნდა გადავიტანოთ ჩვენი სასიცოცხლო ენერგია, წინაპართა სიბრძნე, ქართველთა სახე და ხასიათი, ტრადიცია და წეს-ჩვეულება, რათა შევინარჩუნოთ ყველაფერი ის, რითაც საცნაურია ქართველი; რათა, არ გაქრეს ეს უძველესი, მრავალმხრივი და თვითმყოფადი ერი. მეორე წვეთში ჩვენი სასიცოცხლო მუხტის გადატანა გაგვიხსნის კოსმიურ კარიბჭეს, რომლის საშუალებითაც დავინახავთ ჩვენი გენეალოგიური განვითარების ახალ გზას.

ბრძენი ამბობს, რომ ცნობიერი რწმენა - თავისუფლებაა, ემოციური რწმენა მონობა, ხოლო მექანიკური რწმენა - სიბრიყვე.

# თავი მესამე

## "ინფორმირებული თავკომბალები" თუ ძირძველი ქართული მოძღვრებების გამგრძელებლები?

*- იაპონური საბრძოლო ხელოვნების რომელ დანს ფლობთ?*
*- ჩვენ რაინდობის დონეს იაპონური საზომით არ ვზომავთ, ვაჟკაცობის ჩვენი საკუთარი სისტემები, ტრადიციები და საზომი გაგვაჩნია.."*

*იაპონელ ოსტატთან საუბრის ფრაგმენტი*

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია. შორეულ სახელმწიფოს იაპონიას გააჩნია ჩვენს ქვეყანაში (და არა მარტო ჩვენთან!) თავისი ეროვნული საბრძოლო სკოლების ფილიალები, განყოფილებები; ჰყავს ამ სკოლათა უამრავი წარმომადგენელი და ინტერესების დამცველი შავქამარიოსანი, თუ ფერადქამარიოსანი ინსტრუქტორი. უცხოელი ოსტატები ჩამოდიან საქართველოში და ჩვენი ვაჟები (კარგი ფინანსური ანაზღაურების ხარჯზე) გამოცდებს აბარებენ მათ, ისინიც გვისაზღვრავენ ჩვენი ვაჟკაცობისა და რაინდობის ხარისხსა და დონეს. ჩვენ, არანაკლებად უძველესი ისტორიისა და საბრძოლო ხელოვნებების ტრადიციის მქონე ქვეყანას, ფარსმან მეფისა და დავით აღმაშენებლის შთამომავლებს, შეიძლება შავი ქამრებიც კი დაგვირიგონ "თუ კარგად მოვიქცევით". ჩვენი ვაჟკაცობა და რაინდული შემართება მათი ასაწონი და დასამოწმებელი გამხდარა... ნაწილი ქართველი ახალგაზრდობისა იაპონურ კიმონოში ეხვევა და აღმოსავლურ ტრადიციებს ავრცელებს. ხდება ისეც, რომ ჩვენი თანამემამულეები საატესტაციო გამოცდებს ვერ აბარებენ და ისინიც ღიმილით უწუნებენ ჩვენს ვაჟებს ვაჟკაცობასა და სიმამაცეს. ასეა ვითომ ჩვენი საქმე, ქართველო რაინდებო? სჭირდება კი საქართველოს ასე მომრავლებული აღმოსავლური ქვეყნების საბრძოლო ხელოვნებების ფედერაციები და ქვეფედერაციები, ფილიალები და ქვეფილიალები, რომლებმაც მთელი ჩვენი ქვეყანა, ქალაქები და სოფლები ზონებად და სექტორებად დაანაწილეს? კიდევ რამდენ ხანს უნდა გვიკითხონ ლექციები ვაჟკაცობასა და რაინდობაში? კიდევ დიდხანს უნდა ვისხდეთ ტატამზე მუხლმოდრეკილები და ველოდოთ მათ მიერ დამოწმებულ "სერთიფიკატებს"?

აი, უკვე 28 წელია, რაც აღმოსავლური საბრძოლო ხელოვნებები ჩემი ცხოვრების წესად არის ქცეული და ვუმზერ, თუ როგორ შემოდის და როგორ ინერგება მათი ტრადიციები და სამურაის საბრძოლო სული ჩვენს ყოფიერებაში. მსურს, ჩვენს მომავალ თაობას მივანიშნო იმ საშიშროებაზე, რომელიც თან ახლავს ამ პროცესს; იმ კარგად შენიღბულ და ჩვენი ყოფისათვის არასასურველ ფაქტორებზე, რასაც ჩვენი ახალგაზრდები ჯერ ვერ ამჩნევენ.

რა მაღალი რანგისაც არ უნდა იყოს აღმოსავლური საბრძოლო ხელოვნების მასწავლებელი, რა დიდი შემართებითაც არ უნდა ასწავლიდეს იგი, ჩვენი თანამემამულე მისგან იღებს მხოლოდ და მხოლოდ ინფორმაციას ამ ხელოვნებებზე და არა ცოდნას!

აღმოსავლურ საბრძოლო ხელოვნებებში ოცდაათწლიანმა პრაქტიკამ შემძინა რამოდენიმე ძალიან მაღალი რანგის მასწავლებელი. მათ მიერ გადმოცემული ცოდნა ზღვა ინფორმაციას წარმოადგენს და თვითგანვითარებისათვის ძალიან სასარგებლოა, მაგრამ არ შემიძლია იმის თქმა, რომ ამ ხნის განმავლობაში მე შევძელი აღმოსავლურ საბრძოლო ხელოვნებებში, მის იდუმალ ჭეშმარიტ ცოდნაში ღრმად ჩაწვდომა. ან კი შეუძლია რომელიმე ჩემს თანამებრძოლს თამამად განაცხადოს, რომ იგი ჭეშმარიტად ფლობს აღმოსავლური საბრძოლო ხელოვნებების საიდუმლოებებს?

ჩვენ, აღმოსავლურ საბრძოლო ხელოვნებებში ნახევრად განვითარებულნი ვართ და, მათივე ფილოსოფიურ ტერმინს თუ გამოვიყენებთ, ვემსგავსებით "ინფორმირებულ თავ-

კომბალებს". ჩვენ ვვარჯიშობდით და ვცხოვრობდით ისე, როგორც გვკარნახობდა რეალობა. ეს უცხო აღმოსავლური ხელოვნებების უხილავი "გასაღები" ყოველდღიურად მომართავდა ხოლმე ჩემში ჩადებულ, აღმოსავლური (და, სამწუხაროდ, არა ქართული) მექანიზმის ზამბარას. ამ ნიადაგზე და მათ ტრადიციებზე დაყრდნობით ჩემში ვრცელდებოდა მათი აზრები, ინფორმაცია, და მეც ვცდილობდი მათ ერთ მთლიანობად შეერთებას, რათა მიმეღო ის სიბრძნე, რასაც ვეძებდი. ეს ყველაფერი ცოდნის შეძენის ზმანებას ქმნიდა. მე ვასრულებდი რაღაც წარმოსახვითს, ვებრძოდი, ვსაზღვრავდი და ვაფასებდი მას. მაშინ მე თავს ვარიდებდი ქართულ საგანძურზე და ჭეშმარიტ ფასეულობებზე საუბარს, რადგანაც დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩვენს კულტურას არ გააჩნდა საბრძოლო ხელოვნება და მჯეროდა, რომ მას მხოლოდ გარედან თუ შევიძენდი.

აღნიშნულ სიტუაციაში, რა ფასეულობების შეძენა შემეძლო?

დავიწყე ამ საკითხის გამოკვლევა საკუთარ თავთან და თანდათან დავრწმუნდი, რომ ასეთი არარეალური მიდგომით შეუძლებელია ჭეშმარიტი საბრძოლო ხელოვნებების სწავლა-ათვისება. მივხვდი, რომ ოსტატობის საშუალო დონეს კი მივაღწიე, მაგრამ წინ გზა აღარ იყო. მუდმივად უნდა დავრჩენილიყავი ამ დონეზე. დავიწყე გამოსავლის ძებნა. ამ ძიებამ მიმიყვანა ქართული საბრძოლო ხელოვნების თვითშემეცნების გზამდე.

საბრძოლო ხელოვნებების მიმდევარმა უნდა განავითაროს ერში, საკუთარ გენეტიკაში მალულად თუ ქვეცნობიერად არსებული ის ნიჭიერება, რომელიც ბუნებამ ჩადო და მრავალი ათეული საუკუნის განმავლობაში იხვეწებოდა; მისი შიდა მექანიზმი უნდა განთავისუფლდეს იმ არასაჭირო ინფორმაციისაგან, რაც მან მრავალი წლის განმავლობაში დააგროვა.



"შიგან ასრე გაერივნე, გნოლის ჯოგსა ვითა ქორი..." (ტარიელისაგან ხატაეთს წასვლა და დიდი ომი).
ნახატი ლ. გუდიაშვილისა.

იმისათვის, რომ საბრძოლო ხელოვნებების მიმდევარმა ეს პროცესი სწორად წარმართოს, მან უნდა დაინახოს ის, რაც ხელს უშლის მას ამ გზაზე დადგომაში. საკუთარ თავში ამის დანახვა რომ შევძლოთ, საჭიროა შევხედოთ მას გარედან.

იმისათვის, რომ ქართული საბრძოლო ხელოვნებები შევისწავლოთ, უნდა ვიპოვოთ ამ ცოდნის შეძენის ხერხი და საშუალება. დამოუკიდებლად, მხოლოდ სურვილის ამარა ამას ვერ მოვახერხებთ.

ქართული საბრძოლო ხელოვნებების შემეცნების უკან დევს მისი ძიების მეორე ასპექტი - თვითგანვითარება. ცხადია, თუ ადამიანი მხოლოდ საკუთარ თავს ეყრდნობა, მას არ ძალუძს გამოიყენოს ცოდნის ის მცირედი ნაწილიც კი, რომელიც შემდგომი განვითარების საშუალებას მისცემს. ამ საგანძურის მაძიებელი შეხვდება მასწავლებლებს იქნება ეს წიგნები, ტრადიცია, თუ მოძღვარი - მათთან საუბრისას და შესაბამისი ლიტერატურის კითხვისას მაძიებლის თვითგანვითარება ხდება. მაგრამ როგორი სიღრმის ცოდნას შეიძენს იგი ამ ურთიერთობით? შეიძლება შეიძინოს მიახლოებითი, ჭეშმარიტებას მოკლებული ინფორმაცია. მის მიერ შეძენილი შემეცნებები მხოლოდ ინფორმაციაა და ისინი შეიძლება იყვნენ როგორც სასარგებლო, ასევე უსარგებლოც. მაძიებელი მას ღრუბელივით შეიწოვს; შეუძლია ამ საგანზე ლოგიკურად და დაბეჯითებით საუბარი, თუმცა, ბოლომდე ჩახედული არ არის. ამიტომაც ადვილია ამ ცოდნის, ინფორმაციის დაკარგვა.

ჩვენი წინაპრები თაობიდან თაობას გადასცემდნენ ქართული საბრძოლო ხელოვნების სიბრძნესა და ტექნიკას. მრავალი ქართველი ჭეშმარიტად განდობილი იყო - ისინი ამ ცოდნის ცოცხალ მატარებლებს წარმოადგენდნენ.

ეს საბრძოლო სისტემები ერის ყოფიერებაში ყალიბდებოდა: მისი წეს-ჩვეულებების, ტრადიციების, ზეპირსიტყვიერების, ძეგლების, სამხედრო ხელოვნებების, ცეკვებისა თუ სიმღერების მეშვეობით თაობებს გადაეცემოდა. დროთა სვლისას, ქართველთა ძნელბედობის პერიოდებში ხალხური ტრადიციის სიღრმეში თანდათან ღრმად ჩაიძირა და თავისუფალი ხელყოფისათვის უხილავი შეიქმნა. ჩვენი ქვეყნის ისტორიის უახლეს პერიოდებში ეროვნული თვითმყოფადობის მარცვლები აქა-იქ იჩენდნენ თავს და შეგვახსენებდნენ, რომ ქართველი ერის სიღრმეში კვლავაც მიედინება ჭეშმარიტი არსებობის, მძლავრი ნაკადი და მასში ჩადებული ცოდნა.

ამ ნაკადებისაკენ გზის გაკვლევა და მათი პოვნა წარმოადგენს მაძიებლის ძირითად ამოცანას და მიზანს; იპოვის რა მას, შეძლია თამამად მიენდოს საკუთარ თავს. ამ გზაზე დამდგარი კაცი არ იქნება მარტოდ დარჩენილი მძიმე წუთებში მხარდაჭერასა და დახმარებას მიიღებს - რადგანაც ყველა ის პიროვნება, რომელიც ამ გზას მიჰყვება ერთმანეთთან უწყვეტი ჯაჭვითაა დაკავშირებული.

თუ მაძიებელი შეინარჩუნებს ჯანსაღ აზროვნებას, მაშინ იგი საკუთარ თავში განავითარებს იმ უნარს, რომელსაც ალღო ჰქვია. ამის შემდეგ მაძიებელი შეცდომებს უკვე ადვილად უქცევს გვერდს და მუდმივად დაიწყებს ჭეშმარიტი გზების ძიებას. მაძიებელმა უნდა იხელმძღვანელოს შემდეგი სიტყვებით: "იმისათვის, რომ რაიმე გავაკეთოთ, აუცილებელია ცოდნა; ხოლო იმისათვის, რომ ვიცოდეთ, უნდა ვისწავლოთ, თუ როგორ შევიცნოთ იგი (ცოდნა)".

ამ გზაზე დამდგარი, ბოლოს და ბოლოს მიდის იმ ჭეშმარიტებამდე, თუ როგორ შეიძლება ცოდნის შეძენა და შემდეგ მისი გამოყენება. ეს შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ **საკუთარი ერის მიერ საუკუნეების განმავლობაში დაგროვილ ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით.**

მაძიებლის ალღო ძალზედ მნიშვნელოვანია. მან წინამძღვრად თავისი მიწა-წყალისა, ერის სიბრძნე და გამოცდილება უნდა აირჩიოს.

ეს გზა უსასრულოდ გრძელია. მაძიებელი მზად უნდა იყოს სიძნელეების, აღმოჩენებისა და ანალიზისათვის. ამ საქმისათვის დახარჯული თითოეული წუთი ძვირფასია. მაძიებლის მიზანი ქართული საბრძოლო ხელოვნებების აღორძინება უნდა იყოს - არაფერად არგებს ერს ამ უძველესი ტრადიციების მხოლოდ ზედაპირული გამოკვლევა - თითოეული ნაბიჯი აწონილი და კარგად გააზრებული უნდა იყოს, რათა არ დაიკარგოს სწორი მიმართულებით სვლა. მაძიებელი უნდა იყოს ძალიან ცნობისმოყვარე და არ დაკარგოს დრო - იგი წარმოადგენს იმ უძვირფასეს საგანძურს, რომელიც არ უნდა დაიხარჯოს ისეთ საგნებზე, რომლებსაც არ გააჩნია პირდაპირი კავშირი მიზანთან.

გვახსოვდეს, ბუნებაში ყველაფერი სამყაროს კანონებით ხორციელდება. შემთხვევითობა არაა ის, თუ რომელ მიწაზე იბადება ადამიანი. თითოეულ ამ მიწაზე დაბადებულს გააჩნია თავისი მისია, მოვალეობა და უფლებაც. ნუ ვიმართლებთ თავს, თუკი ზემოჩამოთვლილი საქმეებიდან არც ერთს არ ვასრულებთ. არ არსებობს ფუჭი მცდელობა, ყველა მცდელობა წაადგება გასაჭირში მყოფ სამშობლოს.

და ბოლოს, მინდა დავუმატო, რომ აღმოსავლური საბრძოლო ხელოვნებების შავი თუ ფერადი ქამრებისა და მოწმობების გარეშე, ჩვენმა წინაპარმა დღემდე მოგვიტანა ენა, მამული და სარწმუნოება, ჩვენი რაობა, გენი, ვაჟკაცობა და რაინდობა. აბა, წარმოიდგინეთ ჩვენს ულამაზეს ხევსურულ ტანსაცმელში გამოწყობილი ქართველი ყმაწვილები, ხელში მამა-პაპური ფარ-ხმლით რომ ივარჯიშებენ ქართულ საბრძოლო სისტემაში - მაგალითად, ხევსურულ ფარიკაობაში და აღმოსავლურის ნაცვლად, თავს ქართული შეძახილებით შეიგულიანებენ.

ჩვენი წინაპარი გვასწავლიდა, ჩვენი ერის ძირძველი მოძღვრებების სადარაჯოზე "დექ, მტკიცედ და შეურყევლად" (წარწერა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის იატაკზე).

# თავი მეოთხე

## ღვთის მიერ ბოძებული მიწის შვილები და ქართული საბრძოლო სულის დაქვეითების მცდელობები

*"ჩვენ, რუსები, მივეჩვიეთ "უფროსი ძმის" როლს და მოვუსპეთ ქართველებს საშუალება იცხოვრონ საკუთარ სახლში, როგორც მისმა პატრონებმა. 9 აპრილის სამარცხვინო და დანაშაულებრივმა აქციამ ზურგში ჩასცა მახვილი განახლებას..."*

*ლ. კუზმინჩევა*[1]

[1] ქართული თქმულება ამბობს, რომ როცა მამალმერთი მიწებს არიგებდა, ქართველები, თურმე, იმ დროს ღმერთის დღეგრძელობისას სვამდნენ. სუფრა რომ მოათავეს და ღმერთს მიადგნენ, მიწები განაწილებული დახვდათ. ღმერთმა ჰკითხა - ამდენი ხანი სად იყავითო? შენს სადღეგრძელოს ესვამდით უფალოო! - უპასუხეს მათ. მაშ ღმერთმა გადაწყვიტა, თავისთვის გადანახული მიწა-წყალი ქართველებისათვის დაეთმო.

მიწა-წყალი, რომელიც ქართველებს ერგოთ, აღმოჩნდა ევროპისა და აზიის საზღვარზე, ორ ულამაზეს ზღვას შორის. აქ, ამ მიწაზე, ერთდროულად შეიძლება წელიწადის ყოველი დროის შეგრძნება. როცა კავკასიონზე ზამთარია, ბარში გაზაფხულია, შავი ზღვის სანაპიროზე შეგიძლიათ იბანაოთ და ქართლ-კახეთში მწიფე ხილი მიირთვათ.

ამ ტერიტორიაზე იკვეთებოდა მრავალი სავაჭრო-საქარავნო, თუ სამხედრო გზა. ჩვენი ქვეყანა ერთგვარ ბუფერულ, პატარა სახელმწიფოს წარმოადგენდა აზიურ-მუსულმანურ და ევროპულ-ქრისტიანულ სახელმწიფოებს შორის. შესაბამისად, თითოეული ცდილობდა თავისი გავლენის ქვეშ მოექცია კავკასიონის ქედებსა და შავი ზღვის ნაპირებზე გადაჭიმული ეს მშვენიერი ქვეყანა. ქართველი ერი, იძულებული იყო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად მუდმივ მზადყოფნაში ყოფილიყო. ამან თავისი კვალი დაამჩნია, თავისებურად განსაზღვრა და შესაფერი ხასიათიც მისცა საბრძოლო-სავარჯიშო და სათამაშო ხელოვნებებს.

ქართული საბრძოლო სისტემების განვითარებაში არანაკლები როლი შეასრულა ისეთმა ეროვნულმა თვისებებმა და ტრადიციებმა, როგორიცაა სტუმართმოყვარეობა, ძმადნაფიცობა, ტემპერამენტი და ემოციურობა.

ქართველები ოდითგან საუკეთესო მეომრებად იყვნენ ცნობილი, რასაც ერთხმად ადასტურებენ ბერძენი, რომაელი, ბიზანტიელი, არაბი, თურქი, სპარსი და სომეხი მემატიანეები. მათ აღნუსხული აქვთ მრავალი ისტორიული ფაქტი, როდესაც ქართველებს რიცხობრივად რამდენჯერმე აღმატებული მოწინააღმდეგე დაუმარცხებიათ.

რა თქმა უნდა, აქ დიდ როლს თამაშობდა საუკუნეობრივი გამოცდილებით შემუშავებული ტაქტიკა, ქვეყნის მთაგორიანი რელიეფის ხელსაყრელად გამოყენება, ციხე-სიმაგრეთა სიუხვე და სხვა ფაქტორები - თუნდაც იარაღის ხარისხი - მაგრამ, ცხადია, არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო მეომართა ტექნიკური მომზადების დონეც, რითაც, იმავე ავტორების ცნობით, ქართველები გამორჩეულნი ყოფილან.

ფართო საზოგადოებრიობისათვის დღემდე ცნობილი ისტორიული გამოკვლევებისა, თუ ეთნოგრაფიული მასალების ავტორები (როგორც უცხოური, ასევე ქართულიც), მხოლოდ ზოგადი, ზედაპირული შეფასებით კმაყოფილდებიან, როცა ახასიათებენ ქართველ ვაჟკაცს, როგორც ძლიერს, სწრაფს, უშიშარს, მედგარსა და შემტევს, კარგ მოჯირითეს, მსროლელს, მორკინალსა და მოფარიკავეს. აი, რამოდენიმე მაგალითი: "კავკასიელ ხალხთაგან ყველაზე უფრო ცნობილი არიან იბერიელები (ახლანდელი ქართველები)... ისინი დრმად იყვნენ

შეჭრილი მცირე აზიაში. მათ უნდა მივათვალოთ მესხები (მოსხები) და ტიბარენები (ტუბალ-ტაბალი), რომელთაც ხეთების სამეფოს დაცემის შემდეგ კაპადოკია ეჭირათ და იქიდან ლაშქრობდნენ ტიგროსის მხარეში"... (ედუარდ მაიერი, გერმანელი ისტორიკოსი, წყაროების ბრწყინვალე მცოდნე, "ძველი სამყაროს ისტორიის" ხუთტომეულის ავტორი); "საქართველო - საოცრებათა ქვეყანაა, ცათა სწორი კავკასიონის მწვერვალებით, მშვენიერი ხალხით, რომანტიკული ციხე-ბურჯებითა და ქალაქებით, იშვიათი ლეგენდებითა და მძლავრი ისტორიული ტრადიციებით... აქ მომხდარა მსოფლიოს შეუმჩნეველი დიდი საქმეები, აქ გამართულა ბევრი გადამწყვეტი ბრძოლა... აქეთ ისწრაფოდნენ ძველად და შუა საუკუნეებში გამოჩენილი სარდლები და დამპყრობლები - უხსოვარ წარსულშიც და რომანოვების მეფეების ჟამსაც. აქ დამარცხდა პირველად ნიმეროდი, ბაბილონის სამეფოს დამფუძნებელი ბიბლიური გმირი, და აქვე ნახა სამარე; ძველ კოლხეთში ელოდათ არგონავტებს და დამარცხებულნი გაბრუნებულან. აქვე დამარცხდა ცბიერი ოდისევსიც. კავკასიაში გაუწყლიათ სკვითების ურდოებს; აქ ულაშქრია მძლე კიროსს, ალექსანდრე მაკედონელს. აქ მეფობდა მითრიდატე..." (ბერნარდ შტერნი, 1896) და ა.შ.

აქვე, უპრიანია, გავიხსენოთ იბერიის მეფე ფარსმანის, მისი შვილის რადამისტისა და ქართველ დიდებულთა გამოსვლა რომში გამართულ ასპარეზობაზე, სადაც ქართველმა მხედრებმა ჯირითის, ხმლისა და შუბის ხმარების, მშვილდოსნობისა და შერკინების ისეთი მაღალი დონე აჩვენეს, რომ რომში ერთ-ერთ მთავარ მოედანზე ძეგლი დაუდგეს ქართველთა მეფე ფარსმანს. ასევე, გავიხსენოთ მე-13 საუკუნეში ქართველ მორკინალთა მონღოლებთან გამარჯვება. ჩოხაში გამოწყობილმა ფალავანმა საქართველოს მხრიდან სადუნ მანკაბერდელმა სამსაათნახევრიანი შერკინების შემდეგ ბეჭებზე დაანარცხა ზეთში ამოგანგლული მონღოლეთის უძლიერესი ფალავანი ხოსანდუკ-ბატირი, რამაც მაშინდელ მონღოლურ ჭიდაობაში ცვლილებების შეტანა გამოიწვია: ჯერ-ერთი, მონღოლმა ბატირებმა (ფალავნებმა) ამ დროიდან დაწყებული ქართული ჩოხის მსგავსი ქურთუკი ჩაიცვეს. ზეთს აღარ ისვამდნენ და გაჩნდა ფეხით ჩავლებიანი ილეთები კაურები. მანამდე მონღოლურ ჭიდაობაში ფეხებს ნაკლებად ხმარობდნენ.

გვიანდელი ეთნოგრაფიული და ისტორიული წყაროებიც ქართველ მებრძოლებს ახასიათებენ, როგორც კარგ მოკრივეებს, მაგრამ არსად არაფერია ნათქვამი იმაზე, თუ რა გზებით, ხერხებითა და საშუალებებით ივითარებდნენ ამგვარ ხასიათს, საომარ-საბრძოლო ჩვევებს ჩვენი წინაპრები; ან რა მეთოდებს იყენებდნენ ახალგაზრდა თაობის აღსაზრდელად.

უდავოა, რომ მრავალი ათასი წლის ქართულ ყოფასა და კულტურას ამ სფეროშიც ექნებოდა შემუშავებული თავისებური, ორიგინალური საშუალებები და მეთოდები. ჩვენამდე არ მოუღწევია წერილობით წყაროს, სადაც ეს მეთოდები იქნებოდა აღწერილი. მაგრამ არსებობს ირიბი საშუალებები მათი გამოვლენისა. მაგალითად - ზეპირსიტყვიერება, თუმცა, სადღეისოდ, ამ გზით მოსული თითქმის ყველა ინფორმაცია დაკარგულია. საბედნიეროდ, უკანასკნელ წლებში დაიწყო ცალკეულ პიროვნებათა და ჯგუფების მიერ ამ ცოდნის აღდგენის მცდელობები.

რამ გამოიწვია ამ ცოდნის დაკარგვა?

თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე საქართველო არაერთხელ გამხდარა დიდი იმპერიების შემადგენელი ნაწილი. თავის აღმოსავლურ პროვინციად მიაჩნდათ იგი რომაელებსა თუ ბიზანტიელებს, თუმცა, მისი ყოველთვის ეშინოდათ; ჩრდილოეთის სახანოს - თურქებსა და სპარსელებს; მაგრამ, როგორც წესი, პოლიტიკური დამოკიდებულება იმპერიის ცენტრთან წმინდა დიპლომატიური იყო, სუვერენ - ვასალის ურთიერთობით და გარკვეული ვალდებულებების შესრულებით იფარგლებოდა.

შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველო წინა ანტიკური ხანიდან მოყოლებული ერთმორწმუნე რუსეთთან შეერთებამდე, მიუხედავად მისი მრავალჯერადი დროებითი დაპყრობისა, მაინც წარმოადგენდა სახელმწიფოს, რომელსაც შენარჩუნებული ჰქონდა სახელმწიფოებრიობა, მისი ძირითადი სტრუქტურული აგებულება ენა, მამული, სარწმუნოება; ასევე მეფე, თავადაზნაურობა, ეროვნული ტრადიციები და წესჩვეულებები, და, რაც მთავარია, ერის საბრძოლო სული. ვერავინ, ვერცერთმა დამპყრობმა ძალამ ვერ შეძლო აეკრძალა ქართველი კაცისათვის ქართულ ენაზე საუბარი და სწავლა-განათლება, ქართულად ჭიდაობა, თუ ფარიკაობა, ბერიკაობებისა, თუ ყეენობების მოწყობა; მშვენიერი ქართული სიმღერებითა და ცეკვებით მოლხენა; დიდებული ქართული ღვინოების სმა და ტრაპეზი...

რა სურდა ან რას მოელოდა საქართველო ერთმორწმუნე რუსეთთან შეერთებისაგან? პირველ რიგში სახელმწიფოებრიობის, სამეფო ტახტის, სამხედრო ძალის, ენის, კულტურული ტრადიციების, საბრძოლო და ეროვნული ხელოვნებებისა და, საერთოდ, ქართველობის შენარჩუნებას.

აი, რაზე შეთანხმდნენ ერთმორწმუნე ქვეყნები საქართველო და რუსეთი, ანუ რა წერია ცნობილ "გეორგიევსკის ტრაქტატში": გეორგიევსკის ტრაქტატი 1783 წელი - ხელშეკრულება რუსეთის იმპერიასა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის. 24 ივლისი (4 აგვისტო) გეორგიევსკის ციხესიმაგრეში (ჩრდ. კავკასია, ახლანდელი სტავროპოლის მხარე) ტრაქტატს ხელი მოაწერეს რუს. მხრივ გენერალმა პაველ პოტიომკინმა, ქართლ-კახეთის მხრივ ივანე მუხრანბატონმა და გარსევან ჭავჭავაძემ. რატიფიცირებულ იქნა ერეკლე II-ის მიერ 1784 წ. 24 იანვარს. ტექსტი შედგება პრეამბულის, 10 ძირითადი და 4 სეპარატიული (საიდუმლო) მუხლის, ანუ არტიკულისაგან. გეორგიევსკის ტრაქტატით ერეკლე II უარს ამბობდა, ირანის ან სხვა სახელმწიფოსთან რაიმე დამოკიდებულებაზე, ცნობდა რუსი იმპერატორის უზენაეს მფარველობას და ადასტურებდა მას ერთგულებას; ჰპირდებოდა მზად ყოფილიყო თავისი ჯარით რუსეთის იმპერატორის სამსახურად; დაეცვა რუსეთის ქვეშევრდომთა ინტერესები; ურთიერთობა არ დაემყარებინა სხვა ქვეყნებთან ჩრდილო კავკასიაში მყოფ რუსთა ჯარების სარდალთან და საქართველოში დანიშნულ რუსეთის რეზიდენტთან შეუთანხმებლად; უცხოეთის ელჩებისათვის მეფეს პასუხი რუსეთთან წინასწარი შეთანხმებით უნდა გაეცა. ქართლ-კახეთის მეფეებს მემკვიდრეობით ტახტზე ასვლა უნდა ეუწყებინათ რუსეთის იმპერატორისათვის და ეთხოვათ ინვესტიტურა. რუსეთის იმპერატორს ქართლ-კახეთის მეფისათვის უნდა გაეგზავნა სიგელი და დროშა რუსეთის იმპერიის გერბით, რომელშიც ჩახატული იქნებოდა ქართლ-კახეთის სამეფოს გერბი; მას უნდა გამოეგზავნა, აგრეთვე, სამეფო გვირგვინი, ხმალი, კვერთხი და ყარყუმის წამოსასხამი. ინვესტიტურის ნიშნების მიღების შემდეგ ქართლ-კახეთის მეფეებს უნდა დაედოთ ერთგულების ფიცი. მეფის კურთხევა უნდა მომხდარიყო ქართული ტრადიციის მიხედვით. გეორგიევსკის ტრაქტატს დართული ჰქონდა საგანგებო დამატებითი მუხლი მეფის კურთხევის წესის შესახებ. სანაცვლოდ, რუსეთის იმპერატორი პირობას დებდა, მფარველობა გაეწია ქართლ-კახეთის მეფეებისათვის; გარანტიას იძლეოდა, რომ შეუნარჩუნებდა ერეკლე II-სა და მის მემკვიდრეებს სამეფო ტახტს, სამფლობელოებს და საქართველოს მის ისტორიულ საზღვრებში აღადგენდა; რუსეთის იმპერატორი ვალდებულებას იღებდა ქართველების მტრები საკუთარ მტრებად ეცნო; არ ჩარეულიყო ქართლ-კახეთის სამეფოს საშინაო საქმეებში; აეკრძალა თავისი სამხედრო და სამოქალაქო წარმომადგენლებისათვის საქართველოში რაიმე განკარგულების გაცემა.

გეორგიევსკის ტრაქტატით ქართლ-კახეთის კათალიკოსი რუსეთის უწმინდესი სინოდის წევრთა რიცხვში შეჰყავდათ. ქართველი თავადი, ან აზნაური თუ რუსეთში გადასახლდებოდა, რუს თავადს ან აზნაურს უთანასწორდებოდა. რუსეთის მთავრობა კისრულობდა, ხელი შეეწყო სხვადასხვა ქვეყნებში მყოფი ქართველი ტყვეების სამშობლოში დაბრუნებისათვის. ქართველ ვაჭრებს რუსეთში თავისუფალი ვაჭრობის უფლება ეძლეოდათ და ენიჭებოდათ ყველა შეღავათი, რითაც თვით რუსი ვაჭრები სარგებლობდნენ. შესაბამისად, ერეკლე II-მაც იკისრა ვალდებულება, შეღავათები მიეცა რუსი ვაჭრებისათვის. ორივე მხარეს ერთიმეორის სამეფო კარზე უნდა გაეხსნა დიპლომატიური წარმომადგენლობები.

გეორგიევსკის ტრაქტატის სეპარატიული არტიკულებით რუსეთის იმპერატორი ვალდებულებას იღებდა: ქართლ-კახეთის სამეფოში ჰყოლოდა ორი ქვეითი ბატალიონი ოთხი ზარბაზნით; ომის შემთხვევაში ყოველმხრივ ცდილიყო, ხოლო ზავის დადებისას ყოველი ღონე ეხმარა, რათა ქართლ-კახეთის სამეფოსათვის დაებრუნებინა მტრების მიერ მიტაცებული მიწები. იმპერატორი რჩევას აძლევდა ერეკლე II-ს დაეცვა კეთილი ურთიერთობა იმერეთის მეფე სოლომონ I-თან. ამ უკანასკნელთან რაიმე გაუგებრობის შემთხვევაში ერეკლე II ვალდებულებას კისრულობდა რუსეთის იმპერატორი ეცნო არბიტრად.

გეორგიევსკის ტრაქტატი იყო ძლიერი სახელმწიფოს მფარველობაში სუსტი სახელმწიფოს ნებაყოფლობით შესვლის აქტი. ამ აქტით ჩვენი სახელმწიფოს მოღვაწეები შეეცადნენ რუსეთის იმპერიისაგან მიეღოთ ქართული სახელმწიფოებრიობის დაცვისა და შენარჩუნების გარანტია. გეორგიევსკის ტრაქტატი "საუკუნოდ" დადებულ "მეგობრობის პირობად" ცხადდებოდა. მასში ცვლილებების შეტანა მხოლოდ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შეიძლებოდა".[3]

რუსეთს გეგმაში ჰქონდა თავის იმპერიაში შემავალი ქვეყნები ერთ ენაზე მოლაპარაკე, ერთნაირად მოაზროვნე ხალხით დასახლებულ უნიტარულ სახელმწიფოდ გადაექცია. უძველესი იმპერიული პრინციპი - "გათიშე და იბატონე", საქართველოში მთელი თავისი ბრწყინვალებით იქნა გამოყენებული რუსეთის მიერ. დაპყრობილ ერებში, ერთის მხრივ, ღვივდებოდა მძლავრი ეროვნული ნიჰილიზმი, მეორეს მხრივ, კი ძლიერი პროპაგანდა ეწეოდა ყოველივე რუსულს. ნიჰილიზმითა და პატრიოტული გრძნობების შესუსტებით ისქმალებოდა, მახინჯდებოდა ისტორიული ფაქტები; იკრძალებოდა ეროვნული დღესასწაულები. კავკასიელი და აზიელი ხალხების იარაღის (დანის, ხანჯლის) მუდმივად ტარების მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია ველურობად შეირაცხა, თუმცა, იგი ყოველთვის პიროვნების თავისუფლების სიმბოლოდ აღიქმებოდა. იმპერიის მიზანიც ხომ სწორედ ამ გრძნობის ჩაკვლა იყო პიროვნებაში და მთელს ერებში.

შეუერთდა თუ არა ერთმორწმუნე რუსეთს, ქართულმა ეკლესიამ მაშინვე დაკარგა ავტოკეფალია, რაც მანამდე ვერც ერთმა დამპყრობელმა ვერ მოახერხა. თეთრი სადებავით გადალებეს რუსმა ჯარისკაცებმა ჩვენი უძველესი, უნიკალური ფრესკები - ვიღაც პატარა ერს თითქმის ხუთი საუკუნით ადრე მიეღო ქრისტიანობა და გააჩნდა სულიერი არსებობის ასეთი ღრმა და ხანგძლივი გამოცდილება - რუსეთისთვის ეს მიუღებელი იყო. რამდენი უძველესი, უძვირფასესი და ამავე დროს სასწაულმოქმედი ფრესკა და ხატი დაიკარგა მაშინ. გაქრა ის, რაც გადაურჩა ურჯულოების შემოსევებს, რასაც ასე სათუთად ინახავდა ქართველი კაცი.

განათლების მიღება მხოლოდ რუსულ ენაზე შეიძლებოდა. იმპერიის ხალხთა ენები, მათ შორის ქართულიც - "ძაღლურ" ენად იწოდებოდა. ეს ჩემი გამოგონილი სიტყვა არ გეგონოთ, მაშინდელი რუსული პრესის ფურცლებიდანაა ამოწერილი. იმპერიაში შემავალი ყველა ერის ენა "მოინათლა" ამ სახელით. იყო დევიზიც "Посторонис е кота, Рус и ёт!".

მეორეს მხრივ, არ იფარგლებოდა პროპაგანდა ყოველივე რუსულისა. რუსი ერის ჭეშმარიტი და უზარმაზარი ისტორიული მიღწევების განდიდებით. რუსებად ცხადდებოდნენ თავისი დროის მოწინავე მეცნიერები თუ მხედართმთავარნი ისინი, ვინც უბრალოდ რუსეთის ტახტს ემსახურებოდნენ და არ იყვნენ წინააღმდეგნი, თავისი ეროვნება მიეჩქმალათ და რუსად ეღიარებინათ თავი.


ქართველი მილიციელი (XIX ს.)
ნახატი გ. გაგარინისა

რუსულ გენიას მიეწერებოდა მეცნიერების, პოლიტიკის, ხელოვნების, სამხედრო საქმის სხვადასხვა დარგებში მოღვაწე არარუს პიროვნებათა წარმატებები პროპაგანდისტულ მანქანას ეროვნულობის ჭეშმარიტება არ აინტერესებდა, იგი თავის საქმეს აკეთებდა.

რუსეთთან შეერთებამდე საქართველოში სახელმწიფოს სტრუქტურა და შინაგანი მოწყობა, ტრადიციულად, ფეოდალური ჯარის წყობას წააგავდა, შეიძლება ითქვას, იმეორებდა მას. არსებობდა შესაბამისი სამხედრო - სახელმწიფო იერარქია: მეფე, როგორც წესი, უმაღლესი მთავარსარდალი იყო, საჭიროების შემთხვევაში, ინიშნებოდა შემცვლელი მთავარსარდალიც.

ჯარი შედგებოდა პროვინციებიდან, საერისთავოებიდან და მთიელთა საერთო შენაერთებიდან წარმოდგენილი ლაშქრებით, რომლებსაც ამ პროვინციათა სამოქალაქო ადმინისტრატორები - ერისთავები, სადროშოთა წინამძღოლები და ხევისბერები ხელმძღვანელობდნენ. ქართლში სადროშოს სათავეში მსხვილი ფეოდალი ედგა, კახეთში კი - ეპისკოპოსი.

რაც შეეხება რიგითებს, ისინი ან აზნაურები და მსახურები იყვნენ, ან თავისუფალი მთიელნი. იშვიათად, თუ ქვეყანას განსაკუთრებული საფრთხე ემუქრებოდა, ცხადდებოდა "ქუდზე კაცი", ანუ საყოველთაო მობილიზაცია, რომელიც აერთიანებდა როგორც ყმა და აზატ გლეხობას, ისე ქალაქის მოსახლეობასაც.

ამგვარად, საქართველოში, როგორც კლასიკური ფეოდალიზმის სახელმწიფოში, ფეოდალთა კლასს, როგორც საზოგადოების ერთ-ერთ ორგანულ ნაწილს, სრულიად გარკვეული, სახელმწიფოს არსებობისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული: ეს იყო პროფესიულ მეომართა კასტა, საუკუნეების მანძილზე ერის მიერ გამოზრდილი მებრძოლთა ელიტა, იშვიათი გამონაკლისების გარდა. სწორედ იგი შეადგენდა სახელგანთქმული ქართული ლაშქრის ბირთვს, მისივე ფუნქცია იყო მოსახლეობის სამხედრო მზადება და წვრთნა.

განსაკუთრებულ შემთხვევებში, სწორედ ბრძოლის ველზე შეიძლებოდა ფეოდალური საზოგადოების იერარქიულ კიბეზე ერთი საფეხურით ამაღლება: სამხედრო დამსახურებისათვის ყმა გლეხი - აზატდებოდა, აზატი გლეხი (ან მოქალაქე) იღებდა აზნაურის წოდებას, აზნაური კი - თავადობას.

სახელმწიფოებრიობის დაკარგვასთან ერთად, ზემოაღნიშნული სამხედრო ადმინისტრაციული სისტემაც მოიშალა. თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში საქართველოს მოსახლეობა თავისუფალი იყო რუსული სამხედრო ბეგარისაგან, რასაც ოფიციალური პროპაგანდა ისევ ჰუმანური მოსაზრებით ხსნიდა. არსებობდა მხოლოდ ე.წ. ქართული მილიცია, რომელიც პერიოდულად იღებდა მონაწილეობას თურქებისა და სპარსელების წინააღმდეგ რუსეთის მიერ წარმოებულ ომებში.

ხოლო რუსულ რეგულარულ არმიაში, როგორც წესი, მხოლოდ მოხალისენი - თავადაზნაურობის ცალკეული წარმომადგენლები მსახურობდნენ. ინერგებოდა აზრი, რომ ქართველებს არ შესწევდათ უნარი, დამოუკიდებლად დაეცვათ თავი აგრესიული მეზობლებისაგან და მათი ერთადერთი მხსნელი ძლევამოსილი რუსის ჯარი გახლდათ.

ამრიგად, ქართულ საზოგადოებაში პირველი ბზარი გაჩნდა  თავადაზნაურობამ, როგორც ერის მთავარმა დამცველმა ძალამ, თავისი ფუნქცია დაკარგა.

ამას დაერთო ბატონ-ყმობის გადავარდნა და მიწის რეფორმა (1864წ.), რამაც გლეხი და აზნაური საბოლოოდ დაუპირისპირა ერთმანეთს, ერთ მუშტად შეკრული ერი გაიხლიჩა, შუაზე გაიყო, გაჩნდა ის "ხიდჩატეხილობის" პრობლემა, რომელსაც დიდი ილია მთელი სიცოცხლე დაუცხრომლად ებრძოდა და ბოლოს შეეწირა კიდეც ერის გამთლიანების საქმეს.

ერი თუ პიროვნება, რომელიც კარგავს თვითგადარჩენის ღვთითბოძებულ ინსტინქტს, შინაგანად იფიტება, ჩლუნგდება და ლატაკდება. ასე მოგვივიდა ჩვენც. "ერი საძოვარზე მიშვებულ ფარას დაემსგავსა"...

აქ კი შემდეგი დასკვნები შეიძლება გამოვიტანოთ:

ერთმორწმუნე რუსეთთან შეერთებით საქართველომ დაკარგა სახელმწიფოებრიობა, მეფე და მეფობის ტრადიცია, გაუქმდა ბაგრატიონთა დინასტია;

ქართული ლაშქრის ბირთვს, თავადაზნაურობას, ერის საბრძოლო სულის შემნახველსა და მატარებელს, ჩამოერთვა ფუნქცია და ამით საქართველო არაბრძოლისუნარიანი გახდა - მას აღარც მეფე ჰყავდა და აღარც ლაშქარი;

ქართველ კაცს აეკრძალა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა  ანუ იგი კაცად აღარ ითვლებოდა - საკუთარ ენაზე საქვეყნოდ ლაპარაკი, წერა-კითხვა, სწავლა; აეკრძალა ეროვნული, ტრადიციული დღესასწაულები და საბრძოლო თამაშობები, ჭიდაობა, ფარიკაობა და ჯირითი - ანუ მოიშალა ფიზიკური აღზრდის ტრადიციული სისტემა;

ქართული ეკლესია-მონასტრების მოხატული კედლების შეთეთრებით ცდილობდნენ შეემცირებინათ ქართველი კაცის სულიერი ძალები, სიმშვიდე და წონასწორობა; შეეჩერებინათ ერის ღრმა სულიერი განვითარება.

საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში (1918-1921წ.წ.) ოდნავ შემოტრიალდა ეროვნული სისტემებისაკენ მაშინდელი საზოგადოება. ხელისუფლებაში მაშინ სოციალ-დემოკრატები იყვნენ. მათ პროფესიულ მეომართა კასტასთან, მებრძოლ ელიტასთან, ანუ თავადაზნაურობასთან არავითარი კავშირის დაჭერა არ სურდათ. მათი მიზანი იყო რესპუბლიკური სახელმწიფოს ჩამოყალიბება. მაშინ შეიქმნა ყველასათვის კარგად ცნობილი სპორტულ-გამაჯანსაღებელი საზოგადოება "შევარდენი" რომელშიც ტანვარჯიშულ სისტემებთან და სპორტის სახეებთან ერთად ერთი-ორი ქართული ხალხური თამაშობაც გაერია. ეს იყო და ეს. ერის თვითგადარჩენა მხოლოდ ფიზიკურ ძალასა და სამხედრო ტექნიკის გამოყენებაზე იყო დაფუძნებული. სამწუხაროდ, უძველესი ქართული საბრძოლო ხელოვნებების სისტემებისა და სულის აღორძინების მცდელობა არ ყოფილა.

მხოლოდ ეროვნული საბრძოლო ხელოვნებების საგანძურს ძალუძს გამოაღვიძოს და გააძლიეროს ქართველებში თუ ერში ჩადებული თვითგადარჩენის ინსტინქტები.

ქართულ საზოგადოებაში მეორე და უფრო მძლავრი ბზარი გაჩნდა საქართველოს საბჭოურ რუსეთთან ძალით შეერთების შემდეგომ (1921-1922წ.წ.). პირველ რიგში, ბოლშევიკებმა ქართველი თავადაზნაურების ხელშეწყობითა და მონაწილეობით მთლიანად მოშალეს ქართული სახელმწიფოებრიობა; ეროვნაში მიიტანეს ქონება, თავადაზნაურებზე, რადგან ისინი იმ დროს ელიტის რანგში ასული წითელი პროლეტარიატის დაუძინებელი "მტრები" იყვნენ. დაიწყო მათი სიცოცხლის, და რაც უფრო საშინელი იყო, ფიზიკური მოსპობის მცდელობა, რის შედეგადაც თითქმის მთლიანად განადგურდა მრავალ ათეულ საუკუნეთა მანძილზე აშენებული და ერის მიერ გამობრძმედილი, საბრძოლო ხელის მატარებელი კასტა, რომელიც ინახავდა და მომავალ თაობას გადასცემდა ამ ხელს.

მეორე, რაც ბოლშევიკებმა გააკეთეს, ეს იყო გლეხური სისტემის მოშლა და მათი კომუნებად, ანუ კოლმეურნეობებად გადაკეთება. სოლო ის მშრომელი ახალი (თავისუფალი) გლეხები, რომლებიც თავისი დაუზოგავი შრომითა და ოფლით ქმნიდნენ დოვლათს, კულაკებად გამოცხადდნენ და დაიწყო მათი ფიზიკური მოსპობა.

ქართული ყოფისა და სახლხური სიბრძნის, შრომითი და საბრძოლო ტრადიციების შემნახველ და მატარებელ გლეხობას მოუსპეს კერძო, პირადული ცხოვრების წესი და ტრადიცია, სანაცვლოდ კი შეასხეს კოლექტივები, რადგანაც დიდმა ბელადებმა: მარქსმა, ლენინმა და სტალინმა "ასეთ იცოდნენ" თუ რა სჭირდებოდა ქართველ გლეხ-კაცს.

რამდენი ათეული ათასი ქართველის სიცოცხლე შეეწირა 1924 წლის ქართველთა აჯანყებას. ისინი მოსპეს იმიტომ, რომ სურდათ აღედგინათ ქართული სახელმწიფოებრიობა, მისი საბრძოლო ხელი და ტრადიციები; მათ არ სურდათ "წითელ, პროლეტარულ იმპერიაში" ყოფნა. მცირერიცხოვანი ერისათვის ამდენი სიცოცხლის მოსპობას უკვალოდ არ ჩაუვლია - ჩვენი ერი მათ ნაკლებობას დღესაც განიცდის.

აქ, ეპრიანია, მოვიყვანოთ მაშინდელი საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ამბროსის წერილი, რომელიც მან გენუის კონფერენციას მიმართა:

## კულტურულ კაცობრიობას, გენუის კონფერენციაზე წარმოდგენილს

**მონა ღვთისა ამბროსი, სულიერი მწყემსი და პატრიარქი სრულიად საქართველოსა, ქრისტეს მიერ სიყვარულით მოიკითხავს**



საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ამბროსი (ხელაია).

ჯერ კიდევ პრექრისტიანულ ხანაში, კავკასიის მთაში, შავისა და კასპიის ზღვებს შორის, ქართული მოდგმის ტომებმა შექმნეს პატარა სივრცით, მაგრამ ძლიერი ნებისყოფით და აქტიური ნიჭით მდიდარი სახელმწიფო, რომელიც ცნობილია ისტორიაში საქართველოს სახელით და რომელიც საუკუნეების განმავლობაში ერთადერთი მატარებელი იყო წინა აზიაში ქრისტიანული კულტურისა და ევროპული ჰუმანიზმისა.

მეთვრამეტე საუკუნის გასულს, გარეშე მტრებთან ბრძოლებში ძალამიხდილი ქართველი ერი ნებაყოფლობით მიეკედლა ერთმორწმუნე რუსეთს, იმ იმედით, რომ მისი მფარველობის ქვეშ საქართველო უზრუნველყოფდა თავის პოლიტიკურსა და ეროვნულ არსებობას, რაიცა აშკარად არის აღნიშნული 1783 წლის საქართველოს მეფის ერეკლე მეორისა და რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე მეორის შორის დადებულს პოლიტიკურ ტრაქტატში. მაგრამ, სამწუხაროდ, გაცრუებულ იმედების ამარა დარჩენილი ჩემი სამშობლო 117 წლის განმავლობაში რუსეთის ბიუროკრატიისაგან განიცდიდა მხოლოდ მწვავე დესპოტიასა და აგტა-

ნელ შევიწროებას. ამიტომ 1918 წელს ერმა გამოაცხადა დამოუკიდებლობა და დაუყოვნებლივ ხელი მოჰკიდა თავისი პოლიტიკური და ეროვნულ-კულტურული ცხოვრების რესტავრაციას. მიუხედავად იმისა, რომ ამ მუშაობაში მას აფერხებდნენ შინაური და გარეშე მტრები, მან გამოიჩინა ისეთი ნიჭი და ეროვნული შემოქმედებითი ენერგია, რომ სამი წლის შემდეგ განათლებულმა ევროპამ სცნო მისი სახელმწიფოებრივი უნარი და ადგილი უბოძა საქართველოს დამოუკიდებელ, სუვერენულ-პოლიტიკურ ერთეულთა შორის. რასაკვირველია, ამას ვერ შეურიგდებოდა მისი ყოფილი ბატონი, მცირე ერთა მჩაგვრელი რუსეთი: მან დასძრა საქართველოს საზღვრებისაკენ საოკუპაციო არმია და 1921 წლის 25 თებერვალს, უსწორო ბრძოლაში სისხლიდან დაცლილ საქართველოს ხელმეორედ დაადგა კისერზე ისეთი მძიმე და სამარცხვინო მონობის უღელი, რომლის მსგავსი მას არ განუცდია თავის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. ოკუპანტები, მართალია, ლამობენ შინ და გარეთ ყველანი დაარწმუნონ, რომ მათ გაათავისუფლეს და გააბედნიერეს ქართველები, მაგრამ რამდენად ბედნიერად ჰგრძნობს თავს ქართველი ერი, ეს ყველაზე უკეთ ეუწყი მე, მისმა სულიერმა მამამ და დღეს დღეობით ერთადერთმა ნამდვილმა მოძღვარმა, რომლის ხელშია ამ ერის გულიდან გამომავალი იდუმალი ძაფები და რომელსაც უშუალოდ ესმის მისი კვნესა და ვაება. თამამად და გაუზვიადებლად ვამბობ, რომ ის ყოვლად შეუფერებელი ექსპერიმენტები, რომელსაც ახდენენ ქართველი ერის ზურგზე, აუცილებლად მიიყვანს მას ფიზიკურად გადაშენების და სულიერად გაველურების და გახრწნის კარამდე! ერს ართმევენ მამა-პაპათა სისხლით და ძვლებით გაპოხიერებულ მიწა-ტყეს, რომელსაც უცხოეთიდან შემოხიზნულთ ურიგებენ; მათი წყალობით ისედაც გაღატაკებულ ერს პირიდან ჰგლეჯენ მისი სისხლითა და ოფლით მოწეულ სარჩოს და გაუგებარის სიჩქარით იმავ უცხოეთში მიეზიდებიან. ერს უგმობენ და ართმევენ მშობლიურ ენას, მას უბილწავენ მამა-პაპურ ეროვნულ კულტურას; დასასრულ, უბღალავენ წმინდათა-წმინდას, - სარწმუნოებრივ გრძნობას და სინდისის თავისუფლების დროშის ქვეშ, ნებას არ აძლევენ თავისუფლად დაიკმაყოფილოს რელიგიური მოთხოვნილება; მისი სამღვდელოება უკიდურესად დევნილია; მისი ეკლესია, ეს ძველის ძველთავე ფაქტორი საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ამაღლებისა და ძლიერებისა, დღეს უფლებააყრილია, იმდენად, რომ ნებაც კი არა აქვს თავისი შრომით, გარჯილობით და უნარით მოიპოვოს მუდმივი სახსარი არსებობისა. ერთი სიტყვით, ერი გმინავს, მაგრამ საშუალება არა აქვს ხმის ამოღებისა. ამგვარ პირობებში ჩემს მწყემსმთავრულ მოვალეობადა ვრაცხ კულტურული კაცობრიობის გასაგონად ვთქვა: მე, როგორც ეკლესიის წარმომადგენელი, არ შევდივარ პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა ფორმების დაფასებასა და რეგლამენტაციაში, მაგრამ არ შემიძლია არ ვისურვო ჩემი ერისთვის ისეთი წყობილება, რომელიც შედარებით უფრო მეტად შეუწყობს ხელს მის ფიზიკურ აღორძინებას და კულტურულად განვითარებას. ამიტომ ვითხოვ: 1. დაუყონებლივ გაყვანილ იქნეს საქართველოს საზღვრებიდან რუსეთის საოკუპაციო ჯარი და უზრუნველყოფილი იქნეს მისი მიწა-წყალი უცხოელთა თარეშობისა და მძლავრობა-მიტაცებისაგან. 2. საშუალება მიეცეს ქართველ ერს თვითონ, სხვათა ძალდაუტანებლივ და უკარნახოდ მოაწყოს თავისი ცხოვრება ისე, როგორც ეს მას უნდა, შეიმუშაოს ისეთი ფორმები სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრებისა, როგორიც მის ფსიქიკას, სულისკვეთებას, ზნე-ჩვეულებას და ეროვნულ კულტურას შეესაბამება.

სრული იმედი მაქვს, რომ მაღალ პატივცემული კონფერენცია, რომელსაც მიზნად დაუსახავს გაარკვიოს უდიდესი პრობლემები კაცობრიობის ცხოვრებისა და დაამყაროს ქვეყანაზე სამართლიანობა და თავისუფლება, არ უგულებელჰყოფს პატარა საქართველოს ელემენტარულ მოთხოვნილებას, დღეს ჩემის პირით წარმოთქმულს, და დაიხსნის მას ძალმომრეობისა და სამარცხვინო მონობის კლანჭებიდან.

კურთხევა უფლისა იყოს თქვენზედა და თქვენს კეთილშობილურ მისწრაფებასა და მუშაობაზე.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი,
უწმინდესი და უნეტარესი
ამბროსი (ხელაია)

(პატრიარქად აღსაყდრდა 1921 წელს. რუსეთის ჩკ-ს ჯალათებისაგან ფიზიკურად ნაწამები აღესრულა 1927 წელს. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდმა წმინდანად შერაცხა 1995 წელს).

ამ მოხსენების შემდეგ ფიზიკური კულტურისა და სპორტის ბოლშევიკურმა ხელმძღვანელობამ საქვეყნოდ გამოაცხადა, რომ უარს ამბობს მსოფლიოში არსებულ ყველა ბურჟუაზიულ საბრძოლო თუ სპორტის გამაჯანსაღებელ სახეობაზე და პირველ რიგში - ეროვნულზე, რადგანაც მსოფლიოში შეიქმნა სოციალისტური სახელმწიფო და მისი წარმომადგენელი - საბჭოთა მოქალაქე, რომელსაც შეუქმნეს საკუთარი წარმოების - "წითელი" საბრძოლო და გამაჯანსაღებელი სისტემები. შეიქმნა ე.წ. БГТО-ები (Будь Готов к Труду и Обороне), ანუ ქართულად იმშო-ები (იყავ მზად შრომისა და თავდაცვისათვის) - რაღაც ზედაპირული, სულიერებასა და სიბრძნეს მოკლებული ვარჯიშები ("ყუმბარის ტყორცნა", ხარიხაზე აჭიმვა, "გოროდკი", ანუ კეტით ფიგურების დაშლა და ა.შ.). ყველაფერი ეს საბჭოური მასებისათვის ხელმისაწვდომი იყო და მათთვის გასაგებ ენას "მორგებული". ამ რეჟიმის გატარებამ გააბატონა ვულგარულ-მატერიალისტური, პრიმიტიული მიდგომა საუკუნეებით შემოწმებული ეროვნული ფასეულობებისადმი და გამოიწვია ერის დაკნინება, - ისევ და ისევ ქართველი კაცის სულგრძელობისა და ჰუმანური საწყისების შესუსტება.

ასეთმა დამოკიდებულებამ და მიდგომამ დიდი დაღი დაასვა ეროვნული საბრძოლო ხელოვნების სახეებს, განსაკუთრებით კი ქართულ ჭიდაობას. დაუკარგა მას ეროვნული სული, ქართული ფილოსოფიური არსი. ეს ჰარმონიული, ფიზიკური, გონებრივი და სულიერი აღზრდის დახვეწილი სისტემა, თავისი ტრადიციებითა და რიტუალებით, იქცა საბჭოთა სპორტის ჩვეულებრივ სახეობად - САМБО-დ (Самооборона Без Оружия) - ცალმხრივ, მხოლოდ ფიზიკური განვითარების საშუალებად.

"სამბოს"-ს შემქმნელმა ა.ხარლამპიევმა, მაშინ მთლიანად მოიარა ქართული ჭიდაობის ყველა კერა და კავკასიურ-შუააზიური ეროვნული ჭიდაობების სხვადასხვა სახეობიდან შეაკოწიწა რაღაც "კოკტეილი". შემდეგ მოხდა უცნაური რამ საკუთარ თავსავე (ანუ საბჭოთა ხალხს) საიდუმლოდ გაუხადეს ეს საბჭოური ჭიდაობის სისტემა და გაჩნდა უსისტემო ილეთთა კრებულები შთამბეჭდავი წარწერებით: "პირადი სარგებლობისათვის" ან "სრულიად საიდუმლოდ" და თავისავე საბჭოთა ხალხს წაართვეს ის, რაც ასე თუ ისე მაინც ეხმარებოდა ყოველდღიურ ექსტრემალურ სიტუაციაში.

საქართველოს ზოგიერთ მთიან კუთხეში უფრო ღრმად იყო შემონახული საბრძოლო სისტემები და მათი არსებობა მოსვენებას არ აძლევდა კომუნისტებს, რადგანაც საბრძოლო სულის ძლიერი პოტენციალი მთაში სახიფათო იყო საბჭოური წყობილებისათვის. მიიღეს "ჰუმანური" გადაწყვეტილება და მეტი წილი სვანური და ხევსურული სასაზღვრო სოფლები ჩამოასახლეს ბარში. ამით ხევსურებსა და სვანებს არსებობის ბუნებრივი და ტრადიციული გარემო მოუსპეს. ისინი მყისვე "ჩააბეს" სოციალიზმის მშენებლობის ხუთწლიანი გეგმების განხორციელებაში - ამით გაამარტივეს მათი ლიკვიდაციის პროგრამა; ამ უძველესი გენეტიკისა და საბრძოლო ტრადიციის მქონე ხალხს მესაზღვრის და მეომრის ბუნებრივი ფუნქცია ჩამოართვეს და სანაცვლოდ დააწყებინეს ზემოთ აღნიშნულ "მთშ"-სა და "იმთშ"-ს სისტემებში ვარჯიში "იყავით, ჩვენო ძირძველო ქართველებო, სვანებო და ხევსურებო, მზად შრომისა და თავდაცვისათვის!...".

# თავი მეხუთე

## "როცა არხში წყალი წყდება, სათავეების ძებნა გვმართებს" - ანუ გადაჭრილი ფესვების პოვნა

*"ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქიდან დაიწყება, როცა იგი თავისს ისტორიას იგიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავისი წარსულისა..."*

*ილია*

საქართველოში "მომწიფებული სოციალიზმის" პერიოდში მცხოვრებ ახალგაზრდობას არ გაგვაჩნდა სრულფასოვანი სულიერი და ფიზიკური მომზადების საბრძოლო სისტემები. ამის გამო, ჩვენი თაობა დამოუკიდებლად, ნამცეც-ნამცეც ეძებდა ჭეშმარიტებას. ამ ძიებაში ჩვენ ვქმნიდით თავიდან, კარატედან და უ-შუდან აღებული საბრძოლო სისტემების ჰიბრიდებს, რასაკვირველია, ამნაირ "კოქტეილებს", ნაკლები სრულყოფილების მოტანა შეეძლო, ხოლო ის არასრული საბჭოური სისტემები, რომლებსაც სპორტის ოსტატები არასრულფასოვნად გვასწავლიდნენ, მეტწილად ჯანმრთელობისათვის საზიანო იყო. აქ მე "ოსტატებში" ვგულისხმობ საბჭოური სისტემების მწვრთნელებს, რომელთაც ცოდნა გათვლილი იყო საბჭოთა მწრთნელებზე.



დასავლეთ საქართველოს ეთნიკური ჯგუფები (მათი სამოსელი): 1-2. მეგრელები და გურულები; 3-7. იმერლები; 8-9. აჭარლები.
ნახატი ნ. ბრაღიაშვილისა.

სამწუხაროდ, საბჭოთა თაობის ქართველი ახალგაზრდობა ვერც აღმოსავლურ საბრძოლო სისტემებს ეზიარა ბოლომდე და ვერც თავისი მამა-პაპური, უძველესი ქართული ტრადიცია აღადგინა და შეითვისა.

ამის მიზეზი მრავალია: არც ჩვენი თაობისათვის ეცალა მაშინ ქვეყანას — ყველა დიადი კომუნიზმის მშენებლობით იყო დაკავებული — და არც აღმოსავლელი ოსტატები გამოირჩეოდნენ ცოდნის გადაცემის დიდი მონდომებით — რაში აწყობდათ მათ სხვა ერის

გაძლიერება. მით უმეტეს, ჩვენ სხვა აღმსარებლობის წარმომადგენლები ვიყავით. ამრიგად 70 წლის განმავლობაში ქართველი ერის მრავალი თაობა ნახევრად გაუცნობიერებელი ძ იბრძოლველი სისტემების ანაბარა დარჩა. ეს დიდი დანაკარგია ისეთი მცირერიცხოვანი ერისათვის, როგორიც საქართველოა; ამდენი თაობის ახალგაზრდული ენერგია ფუჭად დაიკარგა და გაწყდა წარსულიდან მომავალი ხაზი. ამის ანაზღაურებას კი, ალბათ, საუკუნეები დაჭირდება. თუ ახალგაზრდებმა დროულად არ მიიღეს საუკუნეების განმავლობაში სათუთად შენახული სიბრძნე - საბრძოლო აღზრდის საგანძური, ერს გადაშენება ემუქრება! ერის ძალა, მისი გონება, ძლიერება და, თუნდაც, მისი სიმშვიდე, საბრძოლო სულის მდგომარეობაზეა დამოკიდებული.

ასე იყო, მაგალითად, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იაპონიაში, როდესაც ამერიკის ჯარებმა იაპონიის კუნძულების ოკუპაცია მოახდინეს. პირველ რიგში ამერიკელებმა აკრძალეს იაპონური საბრძოლო ხელოვნების სკოლები და მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო, დაეცა კულტურა, ეკონომიკა, გამრავლდა ძარცვა, ყაჩაღობა, მკვლელობები. მაშინ შეიკრიბნენ საბრძოლო ხელოვნებების იაპონელი ოსტატები და გადაწყვიტეს, რადაც არ უნდა დაჯდომოდათ, აღედგინათ საბრძოლო სკოლები. სწორედ მაშინ ჩამოაყალიბა იაპონელმა დიდოსტატმა მორიხეი უეშიბამ უდიდესი საბრძოლო ხელოვნების აიკიდოს სკოლა, და მოხდა სასწაული: ამ სკოლების აღდგენის შედეგად შემცირდა ძარცვა-გლეჯა, მკვლელობა, თუ სხვა უბედურებანი. იაპონიის კულტურამ და ხელოვნებამ ისევ თავის ზენიტს მიაღწია.

განგებამ ისურვა, რომ საქართველო ისევ დასდგომოდა დამოუკიდებლობის გზას; მოგვეცა ჩვენი ერის სახელმწიფოებრიობის აღდგენის კიდევ ერთი შანსი. დამოუკიდებლობის პირველ პერიოდში დაეცა კულტურა, ეკონომიკა; გამრავლდა ძარცვა-ყაჩაღობა, მკვლელობები. სასიხარულოა, რომ ჩვენი ქვეყანა თანდათან აყალიბებს დამოუკიდებელ სახელმწიფოს; ვფიქრობ, რომ ეროვნული სულიერების არხში შეწყვეტილი ნაკადის აღდგენისათვის საჭიროა მოვძებნოთ მისი სათავეები - აღვადგინოთ ქართველი კაცის განუმეორებელი ხასიათი, ტრადიციები, საბრძოლო სული და ქედუხრელობა, სიმშვიდე და ძლიერება, რათა არ გადავიქცეთ საკუთარი ხელწერის არმქონე ერთ-ერთ ევროპელ ქვეყნად. ჩვენი ერის გენეალოგიურ კოდში ჩადებულია ვაჟკაცობისა და რაინდობის დიდი ტრადიციები. რაინდულ ტრადიციებში დიდი სიბრძნეა დაფარული, რომლის სრულად შეთვისება დაგვეხმარება არა მარტო ჩვენი სულიერი და ფიზიკური ძალების აღდგენაში, არამედ ჩვენივე გადაჭრილი ფესვების პოვნაში.

თუმცა რამოდენიმე ასეული წლის განმავლობაში წინაპართა ცოდნის წყაროც მოშლილი გვქონდა, საბედნიეროდ, ამას ჯერ კიდევ შეიძლება ეშველოს. ჯერაც კიდევ ნათელი ადგას საქართველოს. წინაპარს უთქვამს: “როცა არხში წყალი წყდება, სათავეების ძებნა გემართებსო”.

თუ კი დღეს ჩვენ არ გავითავისებთ ამ რეალურ შანსს - დავუბრუნოთ საქართველოს მისი სახელმწიფოებრივი სტრუქტურა, სულიერი და ეკონომიკური ძლიერება, ეროვნული ტრადიციები, ადათ-წესები და საბრძოლო სისტემების ხელოვნებები, შეიძლება დაგვიდგეს ისეთი დღე, როგორიც უძლეველ მეფე-რაინდს ერეკლე II, რომელიც იძულებული გახდა, შველა ეძებნა ჩრდილოელ ერთმორწმუნე მეზობელთან...

# "თურაშაულის პატრონი ტყეში ეძებდა პანტასო"

*"ცოდნას თუ საქმე არა აქვს მისი რიგისა მგვბარი,*
*ვით გვამი სულის გაყრილი, ცუდად ძეს უქმად მდებარე!*
*ცოდნა ხეა და საქმენი - ხილი, მას ესხას ზე ბარე.*
*ხეს ხილისათვის დანერგვენ, ამისთვის შერება მებარე."*

*სულხან-საბა ორბელიანი*

აი, დაგვიდგა სანატრელი თავისუფლების ეპოქა. საქართველომ კიდევ ერთხელ, ღვთის წყალობით, მიიღო ეროვნული დამოუკიდებლობა. დაიშალა უძლიერესი და საშინელი "წითელი იმპერია". თითქოს უნდა დაწყებულიყო იმ ეროვნული ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების გამოღვიძება, რომელსაც ასე შეუპოვრად ებრძოდნენ წითელი იდეოლოგიის ბელადები. ნაცვლად ამისა, ძალიან მძიმე დრო დაგვიდგა: დანგრეული ეკონომიკა, მრეწველობა, სიღარიბე - კომუნისტების აწყობილი ქვეყანა მოიშალა. მაგრამ განა ამაზე უარეს მდგომარეობაში არ ყოფილა ჩვენი სამშობლო?

რა შეიძლება თითოეულმა ჩვენთაგანმა გააკეთოს, რომ ქვეყანა გამოიყვანოს ამ მდგომარეობიდან?

შენი მიწა-წყლის, შენი ხალხის რომ გესმოდეს, მასთან ჰარმონიაში უნდა იყო, მის ტალღაზე უნდა გადაეწყო, მის სუნთქვას უნდა გრძნობდე. ეს ეხება ყველაფერს - ჩვენს აზრებს, გრძნობებს, სიტყვებსა და საქმეებს. ადამიანი, რომელიც ჰარმონიაშია საკუთარ ხალხთან, წეს-ჩვეულებებთან, საბრძოლო ხელოვნებების ტრადიციებთან, აძლიერებს და



**საქართველოს მაღალმთიანი რაიონების ეთნიკური ჯგუფები (მათი სამოსელი): 1-2. თუშები; 3-6 ხევსურები; 7. სვანი; 8-10. რაჭველები.**
**ნახატი ნ. ბრაილაშვილისა.**

აცოცხლებს მას: ენაწყლებს ახრებსა და საყვარელს მათ შორის ენერგოგაცვლა მიმდინარეობს.

ჩვენს სამშობლოს ახლა ეპოქის, მის ორგანიზმში ჯერ-ჯერობით ვითანხმდება, გაერთიანებლობა, ეჯანიანობა მტრობას, რის ამიც აღმაშენებლის სისაფლემ ჯერ ვერ შეაღწია მის ითითეულ ეკრელში. ჩვენ, მისმა შვილებმა, ახლა შეგვ-ლიოთ, გაჯანსაღებით და გაერთიანებით მისი სხეული ერთ მთლიანობად. მხოლოდ მაშინ ამაშენებელ კვალს ეჯრებო საქართველოსა და სან ჩიო და ხვებ ქართსა ისევ შეერთ-დება სამკარის ერთად რიცხვს, როგორც თანასწორუფლე-ბიანი, ჯანმრთელი ორგანიზმი.

ძალიან დიდია ყოფილებლი თვითმყოფადობის დაქვეით-ების სამშობლოება ი.ქ. ხალხს გამყრებელია სამშობლოს ბედის დიდ გაფანტულობას, მიგრაციას, ეკონომიას, მოშლის-ლობას, სხვადასხვა ყოფის და აღთქმათა ერთბის გაქცევ-ლოდება. საკუთარი კულტურის ღირებულება ხალხ კულტუ-ოთხიბუბული შემოქმედ და გაძლიერებით: "დიდებ-ისეთია იქნება, სადაც თავდება წარსულის ხსოვნა". გა-თხოვა იღიასი, სადაც ადამი თავისი ერის დამწყებლის შემდეგი ხელოვნება მიყვლენა.

კრულ იყოს მისი სახელი,
ვინც მას გასცვლის ბარხელე!
იყოს ცოდვის დამწყევლელსა
ჯორი მიეცა კარხელა!

ჩვენ უნდა შევისწავლოთ, აღვადგინოთ და გავაძლიეროთ ჩვენივე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი და აუცილებელი ტრადიციები, რომელიც გამოადგენს ერის გენიას. ჩვენ ისინი უნდა მოვეძებნოთ ძველებაში, გავიგოთ მათი კანონები და საიდუმლო. არ არსებობს ეკონომიკური შემოქმედება, ვიდრე შენივე კარმიდამოში შენს მოწა-წყალთან, ემსახურო მის აღორძინებასა და განვითარებას.

არსებობს კანონზომიერება: რასაც დასთესავ, იმას მოიმკი. ეს კანონი ადამიანს არ გამოუგონია: იგი მან საკუთარისაგან ჭეშმარიტების ზიარებულია საშუალებით მიიღო. როგორც დავთესავთ ჩვენს საყვარელ ჩვენს მიწა-წყალზე, ისეთივე მოსავალს მოვიმკით. ვისც ამ კანონს გარყვნის არ გასცემს ზრუნვას, სიკეთისა და სიყვარულს თავისი მშობლიური მიწისათვის, ის კოსმიური ჭეშმარიტების აცილებულია. მისი ხელი დაკავებულია ეჭვებითა და ურწმუნოებით.

რას გვასწავლის ადამიანური ურთიერთმოქმედების კანონი? ჩვენი მშობლებისაგან ჩვენ მივიღეთ ფიზიკური სხეული, სიცოცხლე, ტანსაცმელი, საკვები, საცხოვრებელი, აღზრდა და ა.შ. ჩვენ მათ წინაშე დაგვიგროვდა გარკვეული ვალი, რომელიც აუცილებლად უნდა მოვიხადოთ. მაგრამ ზოგჯერ შვილები უარს ამბობენ ამ ვალის აღიარებაზე: კოსმიური კანონებით ეს უსუსური საქციელია, რადგანაც მშობლებს უყვარდათ ისინი და ზრუნავდნენ მათზე. შვილები ყოველთვის რჩებიან საკუთარი მშობლების მოვალენი.

ასევე განიხილება სამშობლო, მიწა-წყალი, ხალხი, ენა და ტრადიციები. თითოეული ადამიანი ეკუთვნის თავის ხალხს, იგი მათი მოვალეა, რადგან მიიღო თავისი ერის კულტურისა და ცივილიზაციის მემკვიდრეობა, ენა, ისტორია, სიბრძნე, გამოც-



ლაზები.



ფერეიდნელი. ქართველები.

დილება. საბრძოლო ხელოვნების ტიპები. სარწმუნოება...



მესხები.

ადამიანი საზრდოობს თავისი მიწა-წყლით. ზოგი მხოლოდ იღებს, დაბრუნებას კი არ ფიქრობს. ადამიანის უპირველეს მოვალეობას სამართლიანობის განხორციელება წარმოადგენს. მას, პირველ რიგში, უნდა უყვარდეს მშობლები, სიკეთით პასუხობდეს მათ, რათა ნაწილობრივ მაინც გადაუხადოს ამაგი. ასევე უნდა დაუბრუნოს ამაგი ჩვენს ქვეყანას, მიუძღვნას მას ფიქრები, გრძნობები, მადლობა... ასით ადამიანი აღადგენს სამართლიანობას, წონასწორობას, ხოლო მისი მიწა-წყალი, როგორც გონიერი არსება, გამოეხმაურება მას.

დიდ ძალას წარმოადგენს ეროვნული კულტურა. იგი ბადებს ეროვნულ თვითშეგნებასა თუ სწრაფვას. რა ზიანს აყენებს ადამიანი თავისი ქვეყნის სიცოცხლისუნარიანობას, როცა ამახინჯებს, ან სულაც ივიწყებს თავისი ქვეყნის კულტურას — სანაცვლოდ სხვა, მისთვის უცხო ენერგიის მქონე მიმართულებებს იღებს? ყველა ადამიანმა უნდა აითვისოს და განავითაროს თავისი ერის კულტურა, გაითავისოს იგი თავისი ქვეყნის სასიკეთოდ, მის გასაძლიერებლად, რათა შეძლოს ეროვნულ იდეალებთან, პირველწყაროსთან მიახლოება, რაც, თავის მხრივ იმ ულევი ხელოვნების მიმცემია, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ ჩვენი წინაპრები.

აზრი დიდი ძალაა. გვჯერა რა ამისა და დაჟინებით წარვმართავთ აზრებს, ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ყველაზე არასასურველი გარემოებები თანდათან შენელდება და გარდაიქმნება. ვინც გონებით მუშაობას არაა მიჩვეული, ყოველთვის წუწუნებს არა მარტო საკუთარ თავზე და ირგვლივ მყოფებზე, ასევე თავისი ქვეყნის უბედურებასა და უძლურებაზე. ასეთი ადამიანი თავს ყოველთვის დამარცხებულად და უბედურად გრძნობს და ძალიან სწრაფად პოულობს სამშობლოს მიტოვების საბაბს. სამწუხაროდ, მათ ვერ შეუმეცნეს, რომ ქვეყანამ თითოეულ ჩვენგანს მისცა სამშობლო, რათა გონიერების განვითარების გზით შეგვესწავლა იგი და აგვეღო მისგან სიდიადე და სიბრძნე. შემდგომ კი მადლიერებითა და პატივისცემით გვეპასუხა.

თუ ადამიანი შეისწავლის თავისი მიწა-წყლის მიერ ბოძებულ სიბრძნეს, მისი გონება იქნება სათნოების მწვერვალზე: ამით იგი ყოველთვის აღმავლობაში მოვა. გონებას სინათლე დაიცავს და წინ აღუდგება ჩვენსკენ მიმართულ უარყოფით სხივებს. გავუგზავნოთ სამყაროს ჩვენი ნათელი ფიქრები. უხილავი, იდუმალი სამყარო ვერ ამჩნევს იმას, რაც ნამქრალია. ამიტომაც ჩვენ უნდა ავანთოთ ჩვენი ხელოვნება გონების ძალით, რათა შევუერთდეთ სამყაროს ნათელ ნაკადებს. ასე გვასწავლის წინაპართა სიბრძნე, გამოცდილება, ისტორია და საბრძოლო ხელოვნების ტრადიციები.



ჯავახები.

რას გამოცდის დღესდღეობით ჩვენი გონიერება, ტვინის ქერქის ყველაზე მგრძნობიარე ნაწილები? გონება მშვიდი და შემოქმედებისაკენ მიმართული უნდა იყოს. ჩვენ კი გამუდმებით მივნერებთ(?) სატელევიზიო და რადიო გადაცემებს, რომლებიც გამიზნულია ტვინის ქმედითუნარიანობის დაქვეითებაზე და დაბინძურებაზე. ჩვენს ტვინი მუდმივად იტყორთება შემაშფოთებელი ძალადობით, შიშით, დალატით, გარყვნილებით, არავრის მიმცემი, საშუალო და მდარე ხარისხის ინფორმაციითა და მუსიკით. არ იცი იცინო, თუ იტირო?

შეყურებ მათ რობოტებივით დაგეგმილ ცხოვრებას, მატერიალური სიმდიდრისაკენ სწრაფვას, სულიერსა, თუ სოციალურ სიღატაკეს და ფიქრობ: ღმერთმა აშოროს საქართველოს მსგავსი მომავალი! არსებობს ამის დიდი საშიშროება, რადგან მუშაობს დასავლური პროპაგანდის მანქანა და ნაწილი ჩვენი ახალგაზრდობისა ბაძავს უცხოელებს!

ამიტომ სჯობდეს დღეს მშობლიურ მიწას, მის ტრადიციებს, წეს-ჩვეულებებს, "თავნანას", ენას, სარწმუნოებას გახსენება, გაფრთხილება, და ზედ გადაფარება... უცხოელისათვის გაუგებარია და, ამდენად, მიუღებელიც ჩვენი ოჯახური ურთიერთობის ტრადიცია, თამადათა თანაცხოვრების პრინციპი და მჭიდრო ნათესაური კავშირები. ამას დასავლეთი ყარყუფით შეეხება ადგილს და კლასიკურ საზოგადოებას უწოდებს  ყოველმხრივ დაბალ საფეხურზე მდგარს, ყოფით. ის ერთ დავიწყებს, რომ შუალედური ბუმიას პოლიციის ძალით ემორჩილებოდეს თავის კონსტიტუციურ უფლებას სერიხელებზე.

მახსოვს, ანსამბლ "რუსთავის" საიუბილეო კონცერტზე ამერიკელი მოქალაქე კარლ ლინინი გამოვიდა სცენაზე და კარგი ქართულით ასე მიმართა ქართველებს: "...ძალიან მაკვირვებს თქვენი ახალგაზრდობის ნაწილის მისწრაფება უცხოური მუსიკისა და კულტურისაკენ. საოცრებაა, ასეთი ულამაზესი სიმღერებისა და ცეკვების მქონე ქვეყნის შვილებს, რა ემართებათ? მე თვითონ უცხოელმა, ქართული კულტურის გზით, ქართული ენა შევისწავლე, თქვენი სიმღერები ავითვისე და ანსამბლ "რუსთავთან" ერთად ვმღერი. ქართველებო, ისე არ მოიქცეთ, როგორც ძველ ქართულ ანდაზაშია ნათქვამი: "თურაშაულის პატრონი ტყეში ეძებდა პანტასო!"

# ქარი მაირე

## ხალხური სტილი



*"ეჰ, მამულო! გრძნობა შენი მოვლისა*
*მარად ყველა ჩვენთაგანის ვალია.*
*სანამ გმირმა შენთვის სული დალია,*
*სთქვა: "სამშობლო უპირველეს ყოვლისა!"*

*გალაკტიონ ტაბიძე*

# "ქართველი მუხლზე დაჩოქილი ვერ იბრძვის"

საქართველოს მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდობის, ცნობიერებაზე დიდ გავლენას ახდენს ცხოვრების ამერიკული წესი. მისი პროპაგანდის მიზანი ისაა, რომ ჩვენი ქვეყნის მსგავს სახელმწიფოს (ტერიტორია, მოსახლეობის რაოდენობა, ეკონომიკური მდგომარეობა) შეესუსტდეს ეროვნული თვითმყოფადობა, კერძოდ, მოხდეს მისი ატრიბუტების: ენის, ტერიტორიული მთლიანობის და რელიგიური ცნობიერების დაქვეითება. ამერიკა თავის მიზანს აღწევს ეკონომიკის გლობალიზაციით, ანუ პატარა ქვეყნების მოსახლეობას უტოვებს მხოლოდ ეკონომიკურ ინტერესებს. საქართველო, რომელიც აზია-ევროპის გზაჯვარედინზეა, გახდება მხოლოდ ეკონომიკური ხიდიც სხვა ქვეყნებისათვის, რომელთა საკონტაქტო ენა იქნება ინგლისური, სარწმუნოება კი ის, რაც მისაღებია ინგლისურენოვანი მოსახლეობისათვის, ანუ კათოლიციზმი. ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში საქართველო აშკარა საშიშროების წინაშე აღმოჩნდება. ჩვენ გვემუქრება ნებაყოფლობით უარის თქმა ყველაფერზე, რაც ჩვენი ერის თვითმყოფადობას, მის ხელოვნებას გამოხატავს, მათ შორის, ტერიტორიულ მთლიანობასაც. ასეთი პროგრამა არსებობს ეგრეთწოდებული ატლანტისტების (ამერიკის მეთაურობით) თეორიის სახით. მათი დევიზია: ერთი ერი, ერთი ენა, ერთი ტერიტორიული სივრცე. მეორე მიმართულებაა ეგრეთწოდებული "კონტინენტალისტების თეორია" რუსეთის, ევროპის ქვეყნებისა და იაპონიის მონაწილეობით. მათი აზრით, ყველა ქვეყანას უნდა ჰქონდეს თავისი ენა, სარწმუნოება, ისტორიული ტერიტორია. ბუნებრივია, ცხოვრების ეკონომიკური დონის ამაღლება ასეთი თეორიით დროში უფრო გაწელილია და შედარებით რთულია. რჩება ჩინეთი, თავისი უზარმაზარი მოსახლეობით და ეკონომიკური რესურსებით. ეს უკანასკნელი უფრო ახლოსაა თავისი ცხოვრების წესით ატლანტისტების თეორიასთან. მას პრეტენზია აქვს დანერგოს თავისი ცხოვრების წესი აზიის ქვეყნებში. ბუნებრივია, თუ ჩინეთი გაერთიანდება ატლანტისტების ბლოკში, ეკონომიკური და სამხედრო თვალსაზრისით, ეს იქნება ძალზე საშიში გაერთიანება. რა შეიძლება დაუპირისპიროს ყოველივე ამას პატარა საქართველომ, თავისი მცირე ტერიტორიით, მაგრამ საინტერესო მდებარეობით (სწორედ ეს მდებარეობა გახდება საჯილდაო ქვა ატლანტისტებსა და კონტინენტალისტებს შორის), უძველესი კულტურით, სარწმუნოებით, ენით, თავისი თვითმყოფადობით, ხელოვნებით და ა.შ. მე მიფიქრია ყოველივე ამაზე, ისე როგორც ბევრ ქართველს და მივედი ისეთ დასკვნამდე, რომ ჩვენი ქვეყანა არ უნდა გაითქვიფოს სხვა ერებში, მან უნდა გაიაროს ეროვნული დამოუკიდებლობის შენარჩუნების გზა, როგორც ეს გასულ საუკუნეში იაპონიამ გააკეთა, კერძოდ, მან შექმნა ეროვნული იდეოლოგიის კონცეფცია, და ძირითად არგუმენტად მოიყვანა ეროვნული ტრადიციები და მათ შორის გამოყო მთავარი  ის რაც სხვას არა აქვს კერძოდ, რაინდული ცხოვრებისა და ქცევის განსაკუთრებული წესები, ანუ იაპონელი რაინდის სულიერი სრულყოფის მეთოდი გახადა ქვაკუთხედი აღნიშნული კონცეფციისა. იმედია, ჩამოყალიბდება ჩვენი ეროვნული კონცეფციაც. კარგი იქნებოდა, საშუალო სკოლის პროგრამაში გათვალისწინებულ იქნას ქართული საბრძოლო ხელოვნების, ქართული ჭიდაობის ელემენტები. აღნიშნულთან დაკავშირებით ერთი ფაქტი მაგონდება. გარკვეულ წლებში ვხელმძღვანელობდი მაშინდელი ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის სპორტული ორთაბრძოლების სამმართველოს, რომელშიც გაერთიანებული იყო, ჭიდაობის ყველა სახეობასთან ერთად, კარატე, ფარი-



**ფალავნების შერკინება (ე. ელაშვილის არქივიდან).**

კაობა, კრივი და ძალოსნობა. ჩემი მუშაობის პროცესში ვერაფრით ავხსენი, თუ რატომ გაურბოდნენ ქართველი მოჭიდავეები "სოქბჯენში" პაექრობას და ცდილობდნენ ორთაბრძოლები მოწინააღმდეგესთან დაემთავრებინათ ეგრეთწოდებულ "დგომში". ეს კითხვებით-და სისტემატიურად. მიუხედავად იმისა, რომ წლების განმავლობაში მწვრთნელები ქართველ მოჭიდავეებს მიუთითებდნენ აღნიშნულ სერიოზულ სისუსტეზე და აიძულებდნენ მეტი ყურადღება დაეთმოთ "სოქბჯენში" ილეთების სრულყოფისათვის, მაგრამ ამაოდ. აღნიშნულის შესახებ მე საჯაროდ განვაცხადე პრესის ფურცლებზე და ტელევიზიით ქართველი მოჭიდავეები. მოკლე ხანში იმავე გაზეთში გამოქვეყნდა ცნობილი კარატისტის, ზურაბ ლეჟავას, საპასუხო მოსაზრება, სადაც მან, ჩემი აზრით, სწორად ახსნა მიზეზი "სოქბჯენში" ქართველი მოჭიდავეების სისუსტისა.

კერძოდ, მან თქვა, რომ ისტორიულად ერთ ქართველზე მოდიოდა ათი მოძალადე და ბუნებრივია ქართველ ხალხს ისეთი საბრძოლო ხელოვნება უნდა შეექმნა, რომლის საშუალებითაც ათი მომხდურის გაუსწორდებოდა მხოლოდ ფეხზე მდგომი, ვინაიდან მიწაზე დაცემის შემთხვევაში მას გაანადგურებდნენ. ე.ი. ეს მოვლენა ჩვენი ერის გენეტიკაში ზის და აქედან გამომდინარე, ჩემთვის გასაგები გახდა ბევრი რამ.

თუ ამასთან ერთად სასკოლო პროგრამაში შევიტანთ ქართულ სიმღერასა და ცეკვას, მე ვფიქრობ შედეგსაც მალე მივაღწევთ.

ამ მხრივ აღნიშნული ნაშრომის გამოქვეყნება დროული და მეტად სასარგებლოა.

*სპორტის ოსტატი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.*
*ზურაბ ქორიძე.*

# თავი პირველი

## ქართული ჭიდაობის ამოუცნობი ფენომენი

*"ერი თავის გმირებში პოულობს თავის ხელსა და გულსა, თავის ხატსა და მაგალითს"*

*ილია*

ეს კარი ქართველი მეცნიერის, მშვენიერი მამულიშვილის ბატონ გიორგი გაჩენილაძის სიტყვებით მინდა დავიწყო: "უცნაური ხალხი ვართ ქართველები. საუკუნეების განმავლობაში შექმნილ ადათ-წესებს ჩვენივე დამახასიათებელი გულარხეინობით ქარს ვატანთ, უცხო ერიდან შემოტანილ სიახლეს კი მწვანე შუქს ვუნთებთ. უკანასკნელ პერიოდში საქართველოში სპორტის მრავალი ახალი სახეობა განვითარდა. ქართველი ახალგაზრდობა თავდავიწყებით ითვისებს უშუს, კარატეს და სხვა აღმოსავლურ ორთაბრძოლებს. ქართულ ჭიდაობას კი მძიმე დღეები დაუდგა... ჩვენს წინაპრებს თავის დროზე არც სპორტის დეპარტამენტი დაუარსებიათ, არც ოლიმპიური კომიტეტი შეუქმნიათ და არც სპორტის შესახებ კანონი მიუღიათ. დირექტივებს ცხოვრება იძლეოდა და არა იმდროინდელი სამეფო კარი. მაშინ საერთაშორისო შეჯიბრებები არ იმართებოდა და მიღებულ ცოდნას ბრძოლის ველზე ავლენდნენ, სადაც საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდებოდა... ჩვენს წინაპრებს ორთაბრძოლებში ულევი გამოცდილება გააჩნდათ, რომელიც დროთა განმავლობაში დავიწყებას მიეცა და დღეს მხოლოდ ენთუზიასტთა მცირე ჯგუფიდაა ამით დაინტერესებული. ჩვენდა გასაკვირად, როცა რუსი მეცნიერები - კოგანი და გრაჩოვი მსოფლიოში არსებულ ფიზიკური მომზადების სკოლებს იკვლევდნენ, იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ქართული საბრძოლო მომზადების სისტემა მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოდ ითვლებოდა...".[1]

მაინც რა საბრძოლო სისტემები გააჩნდათ ჩვენს წინაპრებს, ანუ რა წყალი მოედინებოდა ჩვენს არხში?

ქართულ საბრძოლო ხელოვნებათა მრავალფეროვნებამ ექვსი დამოუკიდებელი სისტემის, ანუ საბრძოლო სტილის გამოყოფის საშუალება მოგვეცა:

1. **ხალხური, ანუ მდაბიოთა სტილი.** მის ძირითად სახეს ქართული ჭიდაობა წარმოადგენს. იგი ჩვენი საბრძოლო ხელოვნების ერთ-ერთი თვალსაჩინო საგანძურია. ძველად საქართველოს ყველა კუთხეს ჭიდაობის საკუთარი სახე (სტილი) გააჩნდა. მაგალითად: ქართლ-კახური ჭიდაობა, სვანური - "ლიბურგიელი", ხევსურული - "მოშ და მოშ", რაჭული - "ლოჯური ჭიდაობა", იმერული - "საბეჭური", გურული - "ჭედაობა", აჭარული - "მატეკერობა", მეგრული - "რკინება" და სხვა.

2. **მთიელთა საბრძოლო სისტემები.** ქართველ მთიელებს: ხევსურებს, სვანებს, თუშებს, ფშავებს და სხვა, საბრძოლო აღზრდის უძველესი სისტემები გააჩნდათ. ისინი ფლობდნენ ძალ-ღონის გამავითარებელ, ხელჩართული ბრძოლისა და ფარიკაობის უნიკალურ ხელოვნებებს. ხევსურული "ჭრა-ჭრილობის" ("ჭრობის") ტექნიკა და ტაქტიკა იაპონურ "კენდოსა" და ჩინურ "ცუან-შუს" არაფრით ჩამოუვარდება.

3. **პროფესიულ მეომართა, ანუ დიდებულთა სტილი.** საქართველოში თავად-აზნაურობას სრულიად გარკვეული, სახელმწიფოს არსებობისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული. სწორედ ეს პროფესიულ მეომართა კასტა, გამობრძმედილ მებრძოლთა ელიტა საუკუნეების მანძილზე იყო სახელგანთქმული ქართული ლაშქრის ბირთვი. მათ ფიზიკური და საბრძოლო, საასპარეზო-სათამაშო, მწიგნობრობა-ფილოსოფიისა და ხელოვნებათა აღზრდის მშვენიერი სისტემები გააჩნდათ.

4. **ე.წ. ქალაქური, ანუ თბილისური სტილი.** ორთაბრძოლის ერთ-ერთი სახეობა ბრძოლა უიარაღოდ (მხოლოდ ხის ხმალი და შურდული გამოიყენებოდა): ქართული კრივი

- "საილაჩი", პირველ რიგში სწორედ მოქალაქეთა შორის იყო პოპულარული; ასევე: არეული, ხრიდოლი, მესხური, ანუ ტანზევით შიშველი კრივი და სხვა.

5. საქართველოში ოდითგანვე განვითარებული იყო **სამუშაითო, ჯამბაზთა, ანუ ბერიკათა საბრძოლო სტილი**, რომელმაც თავისი გამოვლინება საცირკო სანახაობებში ჰპოვა. როგორც გვახსოვს, ფრიდონი "ვეფხისტყაოსნიდან" ცნობილი მებრძოლი და მუშაითი იყო. საქვეყნოდაა ცნობილი მუშაითთა მონაწილეობა საბრძოლო მოქმედებებში. ისინი ფლობდნენ მშვენიერ საბრძოლო ილეთებს და სცენურ ქორეოგრაფიას.

6. არსებობდა **"ბერ-მონაზვნული", ანუ "წმინდა მხედრების" საბრძოლო სისტემაც**. ქართულ ლაშქარში ასეთი საბრძოლო რაზმების არსებობა ისტორიული სინამდვილეა და, რა თქმა უნდა, ისინი შესაბამის მომზადებასაც გადიოდნენ - ამაზე უეჭველად მიუთითებდა ამ რაზმების მაღალი ბრძოლისუნარიანობა.

ამ კარში ორთაბრძოლის ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ სისტემაზე ვისაუბრებთ, რომელსაც ჩვენ **ხალხური სტილი** ვუწოდეთ, რადგან იგი ხალხში იქმნებოდა, იხვეწებოდა და იქვე მოწმდებოდა კიდეც მისი ხარისხი.

საქართველოში ყველა კუთხეს გააჩნია თავისი საკუთარი ხასიათი, თუ წეს-ჩვეულების ხელწერა, საბრძოლო ხელოვნების თავისებურება, ვარჯიშები და მოძრავი საბრძოლო თამაშობანი. თითქმის ყოველ პატარა სოფელს ჰქონდა მოედანი, სადაც იმართებოდა სხვადასხვა შეჯიბრებები, რომელთა მთავარი მიზანი ახალგაზრდობის ფიზიკური მომზადების ერთგვარი შემოწმება იყო. ასეთ თავშეყრას ქიზიყში "სოფლობა" ეწოდებოდა, ხევსურეთში - "ფეხონი", ზემო-სვანეთში - "ლანხაუ", ზოგან - "ერობა". ეს შეკრებები და შეჯიბრებები იყო ერთგვარი სკოლა, სადაც ახალგაზრდობა ბავშვობიდანვე ეცნობოდა ყოფაქცევის ნორმებს, სამხედრო-ფიზიკურ ჩვევებს იძენდა და ვაჟკაცის სახელს იმკვიდრებდა.

მახსოვს, თბილისში შევხვდი იაპონური საბრძოლო ხელოვნებების საკმაოდ ცნობილ დიდოსტატს, მშვენიერ პიროვნებასა და რაინდს, მეათე დანის მფლობელს, ბატონ ნანბუს, რომელიც თავგამოდებითაა შეყვარებული თავის სამშობლოზე, ისტორიაზე, სულიერ და კულტურულ მემკვიდრეობაზე და საბრძოლო ხელოვნება - "კარატე-დო"-ზე. იგი ამ იაპონური საგანძურის დიდი პროპაგანდისტია და უშურველად ეხმარება ყველას, ვინც დახმარებისათვის მიმართავს. ქართველმა თაყვანისმცემლებმაც (აღმოსავლური ორთაბრძოლების მიმდევრებმა) სთხოვეს, გვეწვეოდა და ჩამოვიდა კიდეც დასახმარებლად.

ძალიან გულთბილად შემხვდა. ჩვენს შორის უმალვე დამყარდა ურთიერთგაგების მეგობრული ატმოსფერო. მით უფრო, როცა გაიგო, რომ საბრძოლო ხელოვნების ("კარატე-დო") ჩემი პირველი მასწავლებელი 1972 წელს იაპონელი ოსტატი სატო იყო და ახლანდელი ჩემი მასწავლებელიც, თაი-ძი ციუანში, იაპონელი ოსტატი ტოიო კობაიაშია. მან სიამოვნებით გამაცნო საკუთარი საბრძოლო ხელოვნების მიმართულების არსი - პიროვნების ფიზიკური და სულიერი სრულყოფის საფუძვლები. ესაა მშვენიერი სისტემა, რომლითაც მას შეუძლია იამაყოს.

საერთოდ, უნდა აღვნიშნო, რომ იმ ოცდაშვიდმა წელმა, რომელიც იაპონური და აღმოსავლური ქვეყნების საბრძოლო ხელოვნებების შესწავლა-ათვისებაში და ამ ხელოვნებების საუკეთესო ოსტატებთან ურთიერთობაში გავატარე, მიმიყვანა იმ დასკვნამდე, რომ მათ აქვთ სრულყოფილი, ღრმად გააზრებული საბრძოლო ხელოვნებების სისტემები. ეს სისტემები ჰარმონიაშია დედამიწის, ადამიანის და კოსმოსის ენერგიებთან, დაფუძნებულია ფილოსოფიურ მოძღვრებებზე, კოსმიურ კანონებზე, ადამიანის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ასპექტებზე, გათვალისწინებულია ეზოთერული და ეგზოთერული მეცნიერების თითქმის ყველა ნიუანსი. რასაკვირველია, ყველაფერ ამას ღირსეული პატივი უნდა მივაგოთ.

საუბარში მივხვდი, რომ მას საქართველოსა და მის ისტორიაზე ძალიან მწირი წარმოდგენა ჰქონდა. როგორც მოგვიანებით გავიგე, რუკაზე საქართველო ძლივს აღმოუჩენია. მოკრძალებით შევეკითხე:

- იცით, თუ არა რაიმე ქართველთა საბრძოლო ხელოვნებების ტრადიციებსა და ისტორიაზე? მან ასევე მოკრძალებულად თავი გააქნია.

- არც ქართველთა სულიერი სრულყოფის სკოლებზე გსმენიათ? შევატყვე, ამ შეკითხვაზე, საერთოდ, თავი უხერხულად იგრძნო... და უმალვე გავიფიქრე, თუ რას ნიშნავს იყო მრავალრიცხოვანი და, თანაც, მდიდარი ქვეყნის შვილი. მისი სამშობლო იაპონია, სადაც 100 მილიონზე მეტი ადამიანი ცხოვრობს (ის იაპონელი, რომელიც იაპონიის გარეთ იბა-

დება, იაპონელად არ ითვლება), ასეულობით მილიონ დოლარს ხარჯავს მხატვრულ ფილმებზე, წიგნებზე, აწყობს ფესტივალებს, შეჯიბრებებს იმისათვის, რომ დედამიწაზე ყველამ გაიგოს, ვინ არიან სამურაები და რას წარმოადგენს მათი "ბუსიდო" (რაინდული ცხოვრებისა და ქცევის წესები), რა არის "კარატე-დო", "ძიუ-დო", "კენ-დო", "აიკი-დო", "ძიუ-ძიცუ", "სუმო", რას შეიცავს მათი "ძენი", ანუ იაპონელი რაინდის სულიერი სრულყოფის მეთოდი.

რა უნდა იღონოს ხუთმილიონიანმა საქართველომ მატერიალურად ასე ღარიბმა, ფიზიკურად ასე დასუსტებულმა, თავისი სულიერი, ისტორიული და საბრძოლო ტრადიციებით კი ასე მდიდარმა?! თამამად შეიძლება ითქვას, ქართული საბრძოლო ხელოვნებები სიღრმითა და სიძლიერით აჯობებს კიდეც იაპონურს, მაგრამ როგორ ავაღორძინოთ ისინი?

იაპონელებმა პირველი "დარტყმა" "ძიუ-დო"-ში ტოკიოში მიიღეს 1964 წლის ოლიმპიურ თამაშებში, სადაც ჰოლანდიელმა გოლიათმა გეესინკმა ფინალში დაამარცხა იაპონელი მეათე დანის მფლობელი. მაშინ მთელი იაპონია შეძრა ამ ფაქტმა: "ბუდოკანში" (იაპონიის საბრძოლო ხელოვნებების ცენტრი) ეროვნული დროშაც კი დაუშვეს. მაგრამ, ამავე დროს, ამ პრეცედენტს ბევრი სხვა ფაქტორიც არბილებდა: ჯერ ერთი, გეესინკი დიდხანს ცხოვრობდა იაპონიაში და უშუალოდ იაპონელების თვალწინ ხვეწდა ძიუ-დოს, დავაჟკაცდა და გახდა ამ ხელოვნების მშვენიერი ოსტატი. ამ შემთხვევაში კი, რომელზეც ქვემოთ მოგითხრობთ ყველასათვის უცნობმა, "ვიღაც" ქართველმა, მაშინდელი საბჭოთა კავშირის რომელიღაც პროვინციის მკვიდრმა, ბეჭებზე დასცა მათი "ჯილა" და სახელიანი მოჭიდავე!...

1972წ. მიუნხენში, ოლიმპიური თამაშების ფინალში კიმონოში "გახვეულმა" ქართველმა ფალავანმა "გარე ფეხსაკეტილი მოგვერდით" (ის. სურათი) ტატამზე დასცა იაპონელი მეცხრე დანის მოჭიდავე. ამ ჩვენმა ძიუდოისტმა ამ ილეთით ოლიმპიური ოქროს მედალი მოიგო. ეს დიდი ოსტატობის მანიშნებელია.

ჭიდაობის შემდეგ, რასაკვირველია, ბევრი კორესპონდენტი შემოეხვია ქართველ ფალავანს. უამრავი კითხვა დაისვა: "რა ტაქტიკა აირჩიეთ იაპონელთან გასამარჯვებლად?" "რა ილეთით შეუტიეთ?" "რა კონტროლეთი გამოიყენეთ?" "რამდენი დანი გაქვთ ძიუ-დოში?" ჩვენი ფალავნის პასუხში მგონია ქართული გენეალოგიური მარადისობის მარცვალი დევს: "რა ვიცი კაცო, ის იაპონელი ფალავანი ერთი წამს ისე კარგად მოუჯდა (მოერგო) ჩემს გვერდსა და, მეც გამოვკარი!"

აბა, რას წარმოიდგენდნენ იაპონელები რომ ეს "ძიუ-დოს" დაუმარცხებელი ოსტატი, ასე კარგად მოერგებოდა გორელი ფალავნის თეძოს? რატომ სხვის თეძოებს არ "ერგებოან" ასე კარგად? ჩვენში, როგორც ჩანს ძევს ისეთი ამოუცნობი ფენომენი, რომელსაც ვერ ხსნის სტრატეგიის კუთხით დეტალურად დამარცვლული და მეცნიერულად შესწავლილი იაპონური საბრძოლო ხელოვნება.



ქართული ჭიდაობის ფანდი: "გარე ფეხსაკეტილი მოგვერდი".

1972წ. მიუნხენში ოლიმპიურ ფინალში ქართველ ფალავნებთან **იაპონიის დამარცხების შემდეგ,** იაპონური ძიუ-დოს სამყაროსათვის კიდევ ერთი ქვეყანა გაჩნდა რუკაზე, რომელიც უნდა გაიცნონ, შეისწავლონ, აითვისონ, იაპონურად გადააკეთონ (ანუ "მოარგონ" იაპონურ ხასიათს) და ბოლოს იაპონურად გაასაღონ. საქართველოში ჩამოვიდნენ ვიდეო და აუდიო აპარატებით, მოიარეს ჩვენი მთა და ბარი. ძირფესვიანად გაეცნენ ქართული ჭიდაობის სტილს, დეტალურად ფირზე აღბეჭდეს ქართული ჭიდაობის ყველა ილეთი და თავისებურება. ყველგან გულიანად, სიამოვნებით მასპინძლობდნენ ჩვენი ფალავნები და სპეციალისტები უცხოელ სტუმრებს. დასაწყისში ეს ძალიან აოცებდათ კარჩაკეტილობით განთქმულ იაპონელებს — აჩვენეს ყველაფერი რაც იცოდნენ, არ მოაკლეს სითბო და ყურადღება.

წარმოიდგინეთ, ჩვენ რომ ჩავსულიყავით მათთან და გვეთქვა ან გვეთხოვა, ნება დაერთოთ გადაგვეღო ძიუ-



ფანდი: "მოგვერდი წელზე მოვლებით".

ლის ილეთები: ვწვებოდით ყველა ძირითად სკოლას... ჩემი გამოცდილებიდან გეტყვით, ყველა შემთხვევაში დამიდიან ცოტ ეარს მიეიღებლით.

რაც იაპონელებმა ქართული ჭიდაობის შესახებ ინფორმაცია წაიღეს საქართველოდან, მას შემდეგ გაუგებარი ქართველ ძიუდოის ოსტატების და მიიხრეს, რომ იაპონელი ძიუდოისტები ჭიდაობაში "რაღაც ქართულად ამოძრავდნენო". მიუხედავად ამისა, ქართველი მოჭიდავეები მაინც ძლევდნენ მათ. იაპონელებმა ვერაფერი გააწყვეს "მოგვერდითან", რომელიც ხელის ზევიდან ზურგზე გადატანით და ქამარში ხელის ჩავლებით სრულდება (იხ. იგივე სურათი). მათ ასეთი ხვევება არ ჰქონდათ ძიუდოში. ასევე ვერაფერი მოუხერხეს "შუაკაურს". ამ ილეთებით ბევრი იაპონელი გაშხლართულა ტატამზე. და აი, პირველად ძიუდოს ისტორიაში მოხდა სახწავლო ჭიდაობის წესებში შესწორებები შეიტანეს, რითაც შეეცადნენ "შეებოჭათ" ჩვენი ილეთები. ჯერ ხელის ზურგზე გადატანა აკრძალა ამით შეასუსტეს "მოგვერდი" გააუქმეს აგრეთვე ილეთი, რომელსაც რაღაც ერთი სჭირდება მოსამზადებლად "შუაკაური" მეორე ერთ სჭირდება ფეხის კარგად ჩასახვევად. რომ გლეხზე წამოიდო, ვფიქრობ, ამით მათ აღიარეს ქართული ჭიდაობის უდიდესი შესაძლებლობები და მისი უპირატესობა! მაგრამ, სამწუხაროდ, არც მაშინ და არც ახლა ქართული ჭიდაობა საერთაშორისო არენაზე თავისი სახელით არ გამოდის: იგი არ არის აღიარებული და იძულებულია ძიუდოსა და სამბოს ჩარჩოში იარსებოს.

აღმოსავლელი ოსტატები ამით არ დაკმაყოფილდნენ. დაიწყო "ხელოვნების ათვისების" მეორე ეტაპი ქართული სიმღერებისა და ცეკვების შესწავლა. გაეიხსენით იაპონური ანსამბლის სტუმრობა თბილისში, რომელმაც ქართული სიმღერების უბადლო შესრულებით გაგვაოცა...

ამ ყველაფერს დავუმატებდი კიდევ ერთ ფაქტს ქალაქ მიუნხენში ყოფნისას ჩემმა მასწავლებელმა ტოიო კობაიაშიმ მაჩვენა იაპონიაში გამოცემული მეცნიერული ნაშრომი, კავკასიის ფლორა და ფაუნა" რომელშიც ღრმადაა შესწავლილი ჩვენი, ქართული მაწონი. შესწავლილია საქართველოს ყველა კუთხის მაწონი, როგორც კამეჩის, ასევე ძროხის: მთისა და ბარის მაწონი: მათი შემადგენლობა და მისი უნიკალური თვისებები ჯანმრთელობის თვალსაზრისით. გათვალისწინებულია ძროხისა და კამეჩის ჯიშებიც, ბალახის საფარი მდელოებსა და მთებში, აერაცია, კლიმატი და ა.შ.



ფანდი: "შუასარმა, ჩაკეტილი უკან გდებით".

საერთოდ, ასეა მიღებული, თუ გსურს რომელიმე ერის საგანძური შეიმეცნო, მაგალითად, ქართული ჭიდაობის ხელოვნება, აუცილებლად უნდა დაეუფლო ამ ერის ენას, ადათწესებს, სარწმუნოებას, სულიერ სამყაროს, ისტორიას, ფილოსოფიას, მეცნიერებას, საბრძოლო ხელოვნებებს, სიმღერას, ცეკვას, კერძებს, მთებს, მდელოებს, ტყეებს, მდინარეებს, მცენარეებს, წყაროებს, მისი მეღვინეობის უძველეს ტრადიციებს... ენდა გასცე პასუხი კითხვას, თუ როგორ გაუძლო ამ ციცქნა ერმა (აბა რაა მათთვის ხუთი მილიონი ადამიანი!) ქვეყნიერების საშინელ ორომტრიალს ხუთი ათას წელს და, თანაც, არ დაკარგა თავისი თვითმყოფადობა და სახე. ჩვენმა თაობამაც თავისი ვალი უნდა მოიხადოს, შეინარჩუნოს და სრულფასოვნად გადასცეს ერის ტრადიციები მომავალ თაობებს.

# ხალხური, ანუ მდაბიოთა საბრძოლო სისტემა

*"ჭიდაობას რა უნდა,*
*ფეხის გამოკვრა უნდა"*

*ხალხური*

ქართული ჭიდაობის ილეთთა ხელი და მოძრაობები, უკლებრივ ყველა ქართულ გენეალოგიურ მარცვალშია ნადებული. ნებისმიერი ჩვენი თანამემამულე, ცხოვრებაში რომ არასდროს უჭიდავია, შეჭიდება-შერკინების მომენტში ქართული ჭიდაობის ისეთ არსენალს გამოავლენს, რომ თვითონაც გაუკვირდება...

მშვილდოსნობასთან ერთად, საქართველოს უძველეს გვაროვნულ საზოგადოებაში ყვავება საფუძველი ქართულ ჭიდაობას. თავდაპირველად, სამონადიროდ, თუ სხვა ცხოვრებისეულ მოქმედებებში უმთავრესად ჭიდაობის ცალკეული ფანდები გამოიყენებოდა, მაგრამ შემდეგ ჩვენმა წინაპრებმა ისწავლეს ამ ფანდების და ხერხების შეუწყნარებლად გამოყენება, დაიწყეს ვარჯიში მათი დახვეწისათვის და ასე თანდათან, საუკუნეთა მანძილზე, მდიდრდებოდა და ქართველთა ყოფაში თავის ადგილს იკავებდა საბრძოლო ხელოვნების ეს მშვენიერი სახეობა.

შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ჭიდაობა საქართველოში ყველაზე მეტად იმ რაიონებში გავრცელდა, რომლებიც მტრის გამუდმებულ თავდასხმებს განიცდიდა, სადაც მცირერიცხოვან ხალხს თავი უნდა დაეცვა მრავალრიცხოვანი მოძალადეებისაგან. ასეთი რაიონები უფრო აღმოსავლეთი და სამხრეთი საქართველო იყო. სწორედ ამან განაპირობა, რომ საქართველოს აღნიშნულ კუთხეებში მეტად საინტერესო და უჩვეულო ტრადიციები შეიქმნა ჭიდაობაში; თითოეულ კუთხეს, თითოეულ სოფელს ჭიდაობის თავისებური ტრადიცია და წესი გააჩნდა. "ისტორიკოსთა გამოკვლევებით დადგინდა, რომ ქართველებს ყოველ საუკუნეში ოთხი დიდი ომის გადახდა უწევდათ, აღარაფერს ვამბობთ მრავალრიცხოვან მცირე ომებზე".[5]

ვიდრე ქართულ ჭიდაობაზე არსებულ ისტორიულ მასალებს შევეხებით, ინტერესს მოკლებული არ იქნება, ვნახოთ რას ნიშნავს სიტყვა - **ფალავანი**.

"ფალავანი" ძველი სპარსულიდან მოდის; სპარსულში "ფალავან" - მოჭიდავეს, გმირს ნიშნავს. ქართულ ენაში ამ სიტყვამ ორი მნიშვნელობა მიიღო: 1. მოჭიდავე, 2. კარგი გმირი (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი). ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში ფალავანი იხმარება მოჭიდავის, გოლიათის, ათლეტის, გამარჯვებულის მნიშვნელობითაც. რიგი სპორტის სპეციალისტებისა, ამ სიტყვას სხვადასხვაგვარად ხსნის. ჩვენი აზრით, "ფალავანი" ის მოჭიდავეა, რომელიც გამარჯვებულია (იმარჯვებს შერკინებაში, უფრო მეტიც, იმარჯვებს არაერთხელ!).



მესოპოტამიაში აღმოჩენილი ბრინჯაოს ქანდაკება (ჩვ. წ. აღ-მდე 2500 წ.).

თუ გავითვალისწინებთ, რომ ჭიდაობა ძველად ძალზე ხშირად, კვირაში ერთხელ მაინც იმართებოდა სოფლებსა, თუ მის უბნებში, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ყოველ გვარსა, თუ ტომში, ბევრი იყო ასეთი ფალავანი (ე. ელაშვილი).

დ. ჯანელიძის ნაშრომში "ქართული თეატრის ხალხური საწყისები" (1948 წ.) ვკითხუ-

ლობი: "შემდეგ ხელში ორ ბანჯგლ ილეთა-თი მოჭიდავეს გამოიწვევს. იმარჯვებს მათი ფალავნების ჭიდაობა: რომელი ფალავანიც გამარჯვდებოდა, ქებისაც იმას რიგებოდა"

რას გვეუბნება ქართული ჭიდაობის ძველესი ისტორია?

არმაზის ქანდაკება, რომელიც ჯამბაზის ქელდეგრის განკვეთებითა.[?] აღმოაჩინეს მე-ხიზილჩამოაში დაგლის სამეგრელოში (სადაც ცხოვრობდნენ იბერიულ-სპერები). იგი და-თარიღებულია ძველი წელთაღრიცხვის 2500 წლით. მასზე აღბეჭდილია ალეგორიული აღნაგობის მოჭიდავე, რომლებიც ერთმანე-თისაგან ქამრებში სიმძლავრე ხელით; თავ-ზე თითქოს თმის მაღალი ჭერჭელი ადგას (ქუდები, ქაჩქები). ეხლა ვუკვირდებით, რომ ეს ალეგორიული მასურით შეხორცებული მო-ჭიდავეების საკულტო დანიშნულების გამოხატულებაა, გაურკვეველია ის, თუ რომელი ტომის მიერ არის გაკეთებული ზემოაღნიშნული არმაზის ქანდაკება. მაგრამ თუ გავით-ვალისწინებთ, რომ შუმერებს კავკასიის მთიანეთ წარმოებად და იქ დასახლებულ ტომე-ბად მიიჩნევენ, ხოლო მოჭიდავეთა პოზა მეტად ახლოა ქართულ ჭიდაობასთან, მაშინ შესაძლებლად მიგვაჩნია ვივარაუდოთ, ჭიდაობის ამ სახეობის ნათესაობა ქართულ ჭიდაობასთან (გ. ელაშვილი).



ქართული (ხევსური) ჭიდაობა "ლობჯრგიელ". ე. ნ. "გდება ხელებით ლოჯური ნაჭიდებით".



სტელაზე გამოხატული ჭიდაობის სცენა.

ამის შესახებ საინტერესო მოსაზრება გამოთქვა ქართველმა მეცნიერმა გ. კოდუამ. მან აღნიშნა: "შუმერული ჭიდაობის ილეთი მეტად წააგავს ქართულ ფანდს".[7] შემდეგ მან სპეციალურად შეისწავლა შუმერული ენა და თავის მოსაზრებას პასუხიც მოუძებნა. აღმოაჩინა ქართულ და შუმერულ ენებში საერთო სიტყვები - განსაკუთრებით, ადამიანის სხეულის ნაწილებისა და ჭიდაობის ფანდების (ილეთების) დასახელებაში. გ. კოდუამ ამ შედარებებიდან ასეთი დასკვნა გამოიტანა: "შუმერული მოჭიდავენი იმ ფანდს ასრულებდნენ, რომელიც დღევანდელ ქართულ ჭიდაობას შემოუნახავს (ხევსური ჭიდაობა "ლობჯრგიელ" - "გდება ხელების ლოჯური ნაჭიდებით"). ენობრივი დამთხვევა მიუთითებს ქართული ჭიდაობის შუმერულ წარმოშობაზე, ან პირიქით.

შუამდინარეთში (ხაბარჯა-ურაყი) იქაური არქეოლოგების მიერ 1943 წელს უძველესი მონასტრის ნანგრევებში აღმოჩენილია ქვაზე ამოკვეთილი ბარელიეფი და ბრინჯაოს ქანდაკება, რომელიც ზემოაღნიშნული სკულპტურის ახლოა. ამ ბარელიეფზედაც ჭიდაობის დაწყებისა და ფანდების შესრულების სხვა ეტაპებია ასახული, რაც გვაგონებს ქართული ჭიდაობის იმ ვარიანტს, რომელიც დამოწმებული იყო ზემო სვანეთში 1955 წელს.[8]

საინტერესოა, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ რობაქიძის მიერ აღმოჩენილი ფრესკა, რომელიც შემორჩა ალავერდის ტაძრის (კახეთი) მთავარ შესასვლელთან ზედა ნაწილში (ის. სურათში). ეს ფრესკა თარიღდება XV საუკუნით. ფრესკის მარცხენა ქვედა ნაწილში გამოსახულია ორი მოჭიდავე შერკინების დროს, რომლებსაც საჭიდაო ჩოხები აცვიათ. გამოკვლევის მასალებიდან ცნობილი გახდა, რომ ფრესკაზე გამოხატული პოზა წარმოადგენს ქართული ჭიდაობის ზემოაღნიშნულ სახეს "გდება ლოჯური ნაჭიდებით".[9] ამ ფრესკიდან ჩანს თვალნათლივ ხანის ქართველ მოჭიდავეთა საცმელობა, ანუ საჭიდაო ჩოხების არსებობა.



"...გამოკრა ქართველმა ფალავანმა თათარს შუასარმა და რბილად დასცა იგი მიწაზე".

მეტად საინტერესო ცნობებია XVI საუკუნის მესხურ ქრონიკებში[10] - სამცხე-საათაბაგოს თავკაცები ყვარყვარე და მანუჩარი სულთანს გაუწვევია სტამბულში, ტურანის მოთხოვნით. მათ უნდა ეჭიდავათ ადგილობრივ ფალავნებთან (სპარსეთში, ისევე, როგორც თურქეთში ფალავანს "ფეხლევანს" უწოდებდნენ) ხონთქრის სასახლეში და წაგების შემთხვევაში უნდა მიეღოთ მაჰმადიანობა. სტამბულის სასახლეში ამისათვის განსაკუთრებით ემზადებოდნენ და იმედს ქართველების ფიზიკურ და მორალურ სისუსტეზე ამყარებდნენ. მანუჩარს ალბათ წაუგია, რადგანაც მაჰმადიანობა მიუღია, ხოლო ყვარყვარე ქრისტიანი დარჩენილა. ქრონიკა გადმოგვცემს: "პატრონი ყვარყვარე ღვთის წინაც შეურცხვენელი და კაცთანაცა, ფალავანი დასცა ხუნთქართანა და ქართველობით გამოუშვა მით საბატონოს წყალობა ექმნა."

უფრო ადრინდელი ცნობებიდან, საინტერესოა, ფრანცისკელი ბერის ჯიოვანი პლანო კარპინის ნაამბობი. მან რამდენიმე წელი დაჰყო მონღოლთა ურდოში. აღწერა მათი ზნე-ჩვეულებანი, ყოფა და ერთი ასეთი ფაქტიც შემოგვინახა: "მონღოლები სხვა ადამიანების საზოგადოებას იმდენად ვერ იტანენ, რომ მათთან ლაპარაკიც არ სურთ და თამაშობა იქნება თუ სხვა რამე, ყოველთვის მათი დაჯაბნა უნდათ. ერთხელ მათს ჯარში მყოფი ორი ქრისტიანი ქართველი მათივე გაწვევით ხუმრობით ორ მონღოლ ფალავანს დაეჭიდა და ქართველებმა ორივე წააქციეს, მაგრამ ისე შეასრულეს მათი გდება, რომ მონღოლებს არაფერი დაშავებიათ. სხვა მონღოლები გაბრაზდნენ, ქართველებს გააფთრებით ეცნენ, თითოს თითო ხელი მოგლიჯეს და დაამტვრიეს".[12]

ცნობები ქართული ჭიდაობის შესახებ მრავლად გვხვდება XVII-XVIII საუკუნეებში. ამ მხრივ, განსაკუთრებით საინტერესოა, მეფე არჩილის (XVII ს.) მითითებანი საბრძოლო აღზრდის მაშინდელი ქართული სისტემისა და ჭიდაობის ფანდების შესახებ. "ხტომა, ქვის გდება, მოგეერდი, ფანდიც რამ არი...".[13]

სვანებში ქართული ჭიდაობის დიდ მნიშვნელობაზე მიგვანიშნებს თქმულება ქვემო სვანეთში დადეშქელიანების მოდგმის ჩამოსახლებაზე. თქმულების თანახმად, სოფელ ეწერაში შემთხვევით მოხვდა ფალავანი ფუტა დადეშქელიანი ზემო სვანეთიდან. იგი იმწამსვე ჭიდაობაში გამოიწვიეს. მან ეწერას ყველა ფალავანი დაჯაბნა. სოფელმა მოუძებნა გამარჯვებულ ფალავანს საკარმიდამო მიწა, აუშენა სახლიც და იქვე დაასახლა იგი.[14]

უნდა ითქვას, რომ უწინ ყველა ქართველი ახალგაზრდობაშივე უნდა ზიარებოდა ქართული ჭიდაობის თავისებურ სკოლას: ჭიდაობა იწყება ზურნასა და დოლზე "საჭიდაოთი". ამას იმ ქართველებს შევახსენებ, რომლებსაც, საერთოდ, წარმოდგენა არა აქვთ საკუთარი ერის საბრძოლო ტრადიციებზე. უშუალოდ ჭიდაობას წინ უძღვის ცეკვა, რომლის დროსაც მოჭიდავეები ერთმანეთს უახლოვდებიან, ხელს ართმევენ, რის შემდეგ სწრაფ ტემპში გადადიან ბრძოლაზე. მუსიკა გრძელდება ჭიდაობის დროსაც. საინტერესო ფაქტია ის, რომ, როდესაც ბრძოლა მწვავდება, მუსიკაც შესაბამისად ძლიერდება და პირიქით ჭიდაობის ტემპის შენელებისას მუსიკაც ნელდება ხშირად ამას არეგულირებენ თვით მუსიკოსები. ერთი სიტყვით, მუსიკა ერთგვარ ეშხს აძლევს ჭიდაობას.

სხვა ქვეყნებში, ბერძნულ ოლიმპიურ თამაშებზეც მორკინალნი ტანზე ქონს ისვამდნენ და ნილოსის ნაპირებიდან ჩამოტანილ გაცრილ ქვიშას იყრიდნენ; თუ ჩვენი მორკი-

ნაღდი მხოლოდ წელს ზემოთ მოქმედებდნენ. ბერძნები არც წელს ქვემოთ იცვამდა რაიმე სასაცმელს. შემდგომში. ქართველი კაცის ბეჭებს ვერ შეეხოდა ტანზე ქონის წასმის. ზედ ქვეშის შევრძალვას და ღონით ანაყლობაში, დამკვიდრდა სპეციალური ტანსაცმლით, სახით ჭიდაობა (ჩოხით). ამის შემდეგომ, ტანის ქონში ამოგანგვლის მოცილება თავიდან ადვილდა. გაიხსენით ჭიდაობის სცენა "ბაში-აჩუკიდან" ქონში ამოგანგლული და სისხლიანი ჯაბაში. ს ჭიდაობ ხიხვაზე და სპეციალური ქამრები (ან. ხვრთაო) თანდართვით დაიწყება ბერძნის მრავალ სოფელში. სახელდობრ ქამრებით ჭიდა- (ჩოხას) ძალიან აახლოვებს ქართული ჭიდაობის სახეობებს აღმოსავლეთის ქვეყნების ჭიდაობებთან, რომლებიც სრულდებოდა ასევე სპეციალური ქურთუკებით ("კიმონოთი") და ქამრებით (ძიუ-დო, ძიუ-ძიცუ, აიკიდო და სხვა).


ჭიდაობა "ლიბურგიელის" ფანდები.

ქართული ჭიდაობა, ძირითადად, სიმარჯვესა და სისწრაფეზეა აგებული. შემთხვევითი არ არის ხალხური თქმულება: "ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა". გამარჯვებულია ის, ვინც "ბეჭებზე დასდებს" მოწინააღმდეგეს ყოველგვარი დაწოლის გარეშე.

უძველესი ქართული ჭიდაობა მდიდარია ფანდებით, ანუ ილეთებით; ისინი ორ ჯგუფად არის წარმოდგენილი: შეტევითი და დაცვითი. ყველა შეტევით ფანდს გააჩნია თავდაცვითი ხერხიც. ამ ილეთთა სახელებიც: ცერული, ხრიკა, კაკვი, თეძო, ლოჯური, მოგვერდი, კისრული. ყველა ძირითად ფანდს გააჩნია თავისი ნაირსახეობა. მაგალითად, ხრიკის ნაირსახეობებია: სიქელა, შიგა ხრიკა, მუხლური გარე ხრიკა, გარე ხრიკა, ამოხსნილი შიგა ხრიკა, განგამოჯრული შიგა ხრიკა და სხვ.

აქვე, უპრიანია, გავიხსენოთ, რომ ძველად საქართველოს ყველა კუთხეს გააჩნდა ჭიდაობის საკუთარი სახე, ანუ სტილი, რომელთა დიდი ნაწილი ძალიან წააგავდა ერთმანეთს. ქართლურ და კახურ ჭიდაობებზე, ასევე სვანურ ლიბურგიელზეც მოკლედ უკვე ვთქვით. სვანურის თავისებურება ისაა, რომ ჭიდაობისას სისწრაფეს გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. მოჭიდავეები იწყებენ ჭიდილს, როდესაც მხრებით მიეკვრიან ერთმანეთს და წელზე შემორტყმულ ქამარში ჩასჭიდებენ ხელებს. სვანეთში არის ჭიდაობის კიდევ ერთი სახესხვაობა "ლიბჟინძვალ" რაც მასობრივ, გუნდურ ჭიდაობას ნიშნავს. ასევე არსებობს ხევსურული ჭიდაობა "მოშ და მოშ", რაც ნიშნავს "ხელ და ხელ". აქ ფეხს არ ხმარობენ, ამიტომ მოჭიდავეებს არც ქამარი სჭირდებათ ხელის ჩასავლებად. ხევსურეთში ასევე არსებობს ჭიდაობის კიდევ ერთი სახე მუქასრისა ხელის ჩავლებით - აქ ფეხებითაც მოქმედებენ და მშვენივრად იყენებენ ხრიკას, ანუ ხარმას. ქართული ჭიდაობის საინტერესო ვარიანტია რაჭაშიც მას ლოჯური ჭიდაობას უწოდებენ. ლოჯური ჩავლებაა ორივე ხელის ერთმანეთთან შეერთება, ჩანგლურად, დაწნული თითებით და ხელის მაჯაზე ჩავლებით; იგი ჩვეულებრივი ჭიდაობისაგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ ყველა ფანდი ლოჯური ჩაჭიდებით იწყება. ასევე არსებობს მთიულური ჭიდაობა, იმერული "საბეჭური", გურული "ჭელობა", აჭარული "მატეკერობა", მეგრული "რკინება" და სხვა.

# ფალავნები

*"ერი თავის გმირების ცხოვრებითა და მაგალითებით უნდა იხელმძღვანელობდეს, თუ მართლა ერობა სურს და ეგრეც არის. სხვა ერი ერობს."*

*ილია*

მე-19 საუკუნეში ქართულმა ჭიდაობამ მთელი რიგი სახელგანთქმული ფალავნები მოგვცა. მათი სახელები დიდი სიყვარულით გადაეცემა თაობიდან თაობას. ამ ფალავნებმა დიდი ამაგი დასდეს ქართული ჭიდაობის განვითარებასა და პოპულარობას.

ქართველ ფალავანთა საქმენი საგმირონი ლეგენდებად შემოგვინახა ისტორიამ, ხალხურმა გადმოცემებმა და უცხოელ მოგზაურთა ნაწერებმა. ვინ მოთვლის რამდენ ქართველ ფალავანს მოუპოვებია სახელოვანი გამარჯვება როგორც სამშობლოში, ისე უცხოეთში.

ფალავანთა საგმირო საქმეებმა, მეტნაკლებად, ქართულ მწერლობაშიც პოვა ასახვა. ჩვენს ეპოქაში ბევრი რამ გადაიდო მათი წარსულის შესახებ, მაგრამ ეს არის წვეთი ზღვაში - გასაკეთებელი კიდევ ბევრია. მრავალი ფალავანი, რომელთაც ერთ დროს მაყურებელი ცაში ხელებოდა, დღეს მივიწყებულია. სამწუხაროა, რომ ისინი მომავალი თაობის აღზრდაში არ არიან ჩაბმული.

ჭიდაობის დიდი ქომაგი იყო ილია ჭავჭავაძე. იგი გაზეთ "ივერიაში" დიდ ადგილს უთმობდა ქართულ ჭიდაობას და საბრძოლო ხელოვნებების სხვა სახეობებს. აი, რას წერს "ივერია": "ჭიდაობა გაიმართა. საჭიდაო ზურნაც დაჰკრეს და ორი ღონიერი ბიჭი გამოცვივდნენ ხალხიდან ხტომითა და თამაშით: შეიბნენ ლომნი. ზურნასაც მოემატა თავის ხმას. ხალხი ხელგაშლილი შესცქეროდა. აი, ბიჭის მოიქნია ერთმა და ისე დაზათქანად დასცა, რომ შენი მოწონებული. "მაღალი წოდების ხალხიდან" მოისმა სწორედ რომ პოეტურად დასცაო. მართლაც, რომ პოეტური იყო! აქ ზურნა, ზურნაზე ჭიდაობა, გარშემო ხალხის ღელვა და თვალგადაცილება - აბა ვინ ასწერს. იქ ისე მამაცურად ზურგიდან გადმოღება პოეზია, მა რა არის?" (ის. სურათი) სწორედ ილიას ინიციატივით მოეწყო თბილისში ჭიდაობა კელა გლდანელსა და ნესტორ ესებუას შორის.



ფანდი: "ზურგიდან გადმოღება".

თბილისში ქართული ჭიდაობის ცენტრად დიდუბე და მთაწმინდა ითვლებოდა. გაზეთი "დროება" 1882 წელს აღნიშნავდა: "საღამოს ხუთი საათიდან დიდუბის მოედანი გაივსო ცხენოსნებით, ფაეტონებით, დროგებით და ფანჯარაში ქვეითი ხალხით. პოლიცმეისტერი თავისი მოხელეებით ციბრუტივით ტრიალებდა, წრეს აკეთებდა. წრის შიგნით მხოლოდ წარჩინებული ქართველი თავადიშვილები, რომლებიც

დესერტალი, ქეიფები და დიდძალი ქისწყალეცობა იყო... ბოლოს, თვალის ყურე კი მოასწრო ამის შეხედვა, გლდანელმა (კულა გლდანელმა) თრთვ ხელი ხსნდა თავის მოწინააღმდეგს. სანამ ეს მოწინააღმდეგე ხელის წაღებას მოასწრებდა, ხათიკა მთელი ეს ამდენი კაცი ზურგზე, ქისრით წამოიღო და მთელის ზურგით, პირაღმა გაშხლართა მიწაზე".

არაჩვეულებრივი სიმპათიით ეკიდებოდა ქართულ ჭიდაობას აკაკი წერეთელი. ცნობილია, რომ აკაკიმ 1888 წელს დაწერა საქართველოში სახელგანთქმული ფალავნების, მოჭიდავეების კულა გლდანელის და ნესტორ ესებუასადმი მიძღვნილი ლექსი "ჭიდაობა", რომელშიც გადმოცემულია გლდანელისა და ესებუას შერკინების საინტერესო ხერხები:

აკაკი გლდანელს ვეფხვს ადარებდა:
"ვეფხვივით ფეხვეულ კერასა
ზოგს ხერხით აცეცრილებს,
ზოგს გადაუგდებს ფერსა,
ვერ მისახა თანასწორი
ამ ქართლ-კახეთის ბარისა"

მაგრამ, როგორც ხალხი ამბობს, მჯობნის მჯობნი არ დაილევა და აი, თბილისში ხამოვის გოლიათური ღონის პატრონი ნესტორ ესებუა. ნესტორმა კულას პირველად თითქოს ფერხეგრი მოუხერხა, მერე კი გაუქნა და გულში ხელის დაკვრით ძირს დასცა. ამაზე აკაკი ამბობს:

"მოვარდა, გულში ხელი კრა,
ბურთივით გადავარდა,
ვეფხვივით ზურგზე დაახტა
დათვივით მოაცურა".

აკაკი თავის წერილის "იმერთაში" - "ძველი მოჭიდავის" ხელმოწერით (ფსევდონიმით) აქვეყნებდა. მინდა გავიხსენო ერთი წერილი, სადაც იგი აღწერს სახელმოხვეჭილი ქართველი ფალავნის დ. ხოზაბაურელისა და გოლიათი თათრის ჭიდაობას. ამ წერილიდან ჩანს, რომ აკაკის თავის "ბაშიაჩუკში" ნამდვილი ამბავი გადმოუტანია. "ერთხელ, წერს "იმე- - თათარი ჩამოვიდა. საოცარი რამ იყო. მარილის ქვებს იღებდა და ბურთივით ათამაშებდა. ქალაქის დიდკაცობა შეწუხდა: "ან დაამჭიდეთ ვინმე, ან საცქერით გამოსტუმრეთ ჩვენი ქვეყნიდან". თავადიშვილებმა ჩამოიყვანეს ხოზაბაურელი. თათარმა შეხედა და გაიცინა, თითქოს ეწყინა და უთხრა: "ილი გერჯით". ხოზაბაურელს გული მოუვიდა, ეძგერა, მოიგდო ზურგზე და მკლავქიჩურელით ტყემბეგით გადააგდო (ის ხერხით). "ეს როგორ იქნება, განა ეს ჭიდაობა არის, მე მხოლოდ მოვეხალმე და ხალხში არ დამამარცხებინა, ისე მომჭერდა". აყვირდა თათარი. დაიჭირეს მეორედ, მეორედაც, როცა დაიქცია ეს გოლიათი, ხოზაბაურელი მიუბრუნდა თავადებს და მიახსენა: "ბატონებო, ჰკითხეთ ამ ყეკაცს, სალამი გაათავა, თუ არა?" თათარს პირი გაუშრა და ხმა ვეღარ ამოიღო. "აბა, ახლა კი დროა დავაყოლოთ ჩვენს მიწაზეო!" - წამოიძახა ხოზაბაურელმა და თათარი დაახეთქა საოცრად".[15]



ორი თბილისელი ფალავანი (მარჯვნივ კულა გლდანელი (ივანე ყირიმელაშვილი); XIX ს. ფოტო).

მინდა მოვიყვანო ცნობილი პიროვნებისა და მასწავლებლის, ვანო ბარკალაშვილის მოგონებანი, რომელშიც იგი იხსენებს სიჭაბუკის წლებს. აი, ერთი ჩვენთვის ძალიან საინტერესო ამბავი: "კავთობა იყო კავთისხევში: დღეობა ერმრავალი და დოვლათიანი. დღეობას შნო იმანაც შემატა, რომ ამ დღეს ჩამოვიდნენ აქაური მკვიდრნი ნიკო ცხვედაძე და იმ დროისათვის ცნობილი საზოგადო მოღვაწე ვანო ჯაჯანაშვილი - კავთელად წოდებული.



უძლიერესი ფალავანი - ვაჟა-ფშაველა.

ევროპულად გამოწყობილ სასურველ სტუმრებს მესამე პირიც ახლდათ: მხარბეჭიანი, დარბაისელი, შინდისფერჩოხიანი, პირდაპირ და ჯიქურად მომზირალი. ვანო და ნიკო მას ხან ლექას ეძახდნენ, ხან ვაჟას. სტუმრების მეგზური და გულუხვი მასპინძელი თვით ვანო ბარკალაშვილი გახლდათ. ქართლში დღეობის გვირგვინს ქართული ჭიდაობა წარმოადგენდა. ჭიდაობის გარეშე დღეობა წარმოუდგენელი იყო და კვეთისხევშიც მოვიდნენ სახელგანთქმული გორელი და ხიზაბელი მოჭიდავეები, ნიჩბელი და ურბნელი, მეტეხელი და დოესელი ფალავნები.

კვეთისხეველები ცდილობდნენ, არ შეერცხვინათ სოფელი და იმედს ლექა იაშვილზე და ცალქალამანიძეზე ამყარებდნენ. სამი მოჭიდავე გაცილებით მკლავმაგრულით ლექა იაშვილმა, მაგრამ მეთოხემ მკლავი ატკინა. იმ დროს სხვა სოფლებშია მოედანზე ნარჩევი ბიჭების გამოყვანა იწყეს. კვეთისხეველთა იმედი ცალქალამანიძეღა იყო... - "დაელოდეთ ეს ვაჟკაცი. წრიდან გამოუსვლელად თიხი კაცი წააქცია. შესთავაზა სადღეგრძელო შინდისფერჩოხიანს სტუმარს ვანო ჯაჯანაშვილმა. მხარზე ჩოხაგადაგდებულმა გოლიათმა თიხის ჯამი აიღო, საქართველო ადღეგრძელა, ასეთ ლომებს რომ ზრდის და ზედ ვაჟას რომელიღაც ლექსი მოაყოლა. მერე შეხედა და აღარ დასცალდა ამ ლექსის დამთავრება... აქვე, პაპის მუხლებში ჩაკუნტულმა პატარა, ნაბდისქუდიანმა ბიჭმა მასწავლებელს ვანო ბარკალაშვილს გადახედა და ბოლომდე წაიტიტინა შეწყვეტილი ლექსი. ნიკო ცხვედაძემ შუბლზე აკოცა ბიჭუნას და უთხრა: "ეგ ლექსი აი, იმ ჩოხიანმა ძიამ დაწერაო". "არაფერიც, - გაიამაყა ბავშვი, ეგ კაცი ძია ლუკაა, ლექსი კი ვაჟა-ფშაველამ დაწერაო" გახალისდა ვაჟა-ფშაველა და გულუხვი მასპინძელი ადღეგრძელა. "დაილოცა კვეთისწყალი, ცოტა იმიტომ მოდის, რომ ფოლადის ხერხემლიან, ჯიშიან ბიჭებს ზრდის, აგრე მაღლიანად რომ შეუნახავთ ქართული ენაო".

ჩოხიანმა გოლიათმა მოხიბლა სუფრა და თამადამ განმეორებით ადღეგრძელა უცხო სტუმარი - ახლა უკვე ვაჟა-ფშაველად.

ნაცადი ფალავანი ცალქალამანიძე წუთით ყველას დაავიწყდა და, ხოტბას ნეტულმა, სუფრას ბრიყვულად გასძახა: "ლექსობა რა ვაჟკაცის ხელობააო"

გაბრაზდა ფშაველი გოლიათი, მის თვალებში მრისხანების ნაპერწკლები აკიაფდა. მხრები შეარხია და გრგვინვით ჩაიბუბუნა: "შენზე ნაკლები ვაჟკაცი ყორნის საძიძგნიც გამხდარაო".

მერე საქმე იქამდე მივიდა, რომ წრე გაფართოვდა, დოლი აბრაგუნდა და ხალხი შემოერტყა საჭიდაოს. ხუმრობა ხომ არ იყო – წრეში ვაჟა-ფშაველა გადიოდა.

გულდაგულ შეება ორი ვაჟკაცი ერთმანეთს, გაავებული ცალქალამანიძე ჯიქურ მიუტია მოპირდაპირეს. ვაჟამ რამდენიმეჯერ წამოიღო მოგვერდით მოწინააღმდეგე, მაგრამ საკვირველი იყო, არც ერთხელ ზურგზე არ დაუცია. მაყურებელს კი არც ვაჟას წაქცევა არ უნდოდა, ვერც თანასოფლელს იმეტებდა გასალახავად. ხანშიშესულმა მსაჯებმა წესით დათქმულ დროზე ადრე გააშველეს მოჭიდავეები, ორთავე კარგი ბიჭები არიანო.

მერე ცალქალამანიძე ჩოხაგაუხდელ ვაჟას გადაეხვია: "ღვთის სწორი კაცი ყოფილხარ, ბრიყვულად მოვიქეცი და უნდა მაპატიოო... რაკი დამინდე, სტუმრად მეწვიე, ჩემს ოჯახში პური გატეხე". "ვაჟკაცსა გული რკინისა, აბჯარი უნდა ხისაო, თვალნი ვაჟკაცებრ მხედველი..." - გასძახა სუფრის თამადამ".[16]

უნდა იცოდეს ჩვენმა ახალგაზრდა თაობამ, რომ ჩვენი სათაყვანებელი პოეტი ვაჟა-ფშაველა ასევე დიდი რაინდი, მშვენიერი მოჭიდავე და მოკრივეც გახლდათ!

ქუთაისურებიც ქართული ჭიდაობის დიდი მოტრფიალენი იყვნენ. მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან ქუთაისი ფალავანთა სასპარეზო კერად იქცა. აქ არა ერთი და ორ მოჭი-

დღეს ასპარეზზე. ქუთაისის ჩემპიონ სპორტსმენები იყვნენ ცნობილი ქართველი ფალავნები: ნესტორ ესებუა, კულა გლდანელი, რაჭველი ქვარაძე და სხვები. ქუთაისის ცირკში ეჭიდა-ვოდა მსოფლიო ჩემპიონებს: ივანე პოდდუბნის, ძოლ აბსს, აბერგის, ლურიხს; ცნობილ ფალავნებს: ცივაშვილის, ი. ბაუერს, ნ. რაზიბის, ხალი სულეიმანს და მრავალ სხვას.

იმ პერიოდში ქუთაისში, ქალაქ ტყიბულშიც იმართებოდა ჭიდაობაში და უნდა აღი-ნიშნოს, რომ ასპარეზობას მუდამ დიდძალი ხალხი ესწრებოდა.

ქართული ჭიდაობის ისტორიაში ბევრი იყო შავი დღეებიც. თუნდაც ის პერიოდი გავიხსენოთ, როდესაც მეფის რეჟიმმა აკრძალა სახალხო დღეობათა ჩატარება. სწორედ ამის შესახებ აკაკის წერილი "დროებაში", რომელშიც იგი გულისწყრომით წერდა: "ნა-თლისღების ზეიმს კრძალავენ... მუშტი-კრივები და ჭიდაობანი... რა ქნას ჩვენმა ხალხმა... ნუთუ იმის ნება არ ჰქონდეს, რომ კვირაში ერთხელ შრომის და ოფლის ღვრის შემდეგ გული გაიმხიარულოს?" "რითია სხვა თამაშებზე ნაკლები ჩვენი ბურთაობა, ჭიდაობა, ფალავნობა, ჯირითობა? ...ცხენოსნობა, ამგვარი ასეთი კი არა, რომელ-ლიც თან ჩვენს გაჯანსაღებას, ჩვენს გაქრობას მოიტანს" წერს ცნობილი ქართველი კულტურის მოღვაწე სერგი მესხი.[18] ხოლო ცნობილი მწერალი სოფრომ მგალობლიშვი-ლი გულისტკივილით აღნიშნავს: "ნეტავ ოდესმე დადგებოდეს ისეთი დრო, რომ ჭიდაობას არ აუკრძალავდნენო"

მიუხედავად ამ ყველაფრისა, ქართველი კაცი არ ტყდებოდა და ყველა დიდ სახალხო დღესასწაულზე მცხეთობას, ალავერდობას, ურბნისობას, გორიჯვრობას ხალხი კრავდა წრეს, ზურგსაც უმაგრებდნენ და ხარბად შეჰყურებდნენ ფალავნებს.

კიდევ ერთი ცნობა იმის შესახებ, თუ როგორი იყო ხალხი გატაცებული ქართული ჭიდაობით მე-19 საუკუნეში: "არც სარა ბურთაობზე და არც ალელობა ბატიზე ასეთი თავის-მტვრევა გვინახავს, როგორიც გლდანელის ჭიდაობაზე... ბოლოცდოლან ასი კაცი იყო მოწვეული, ცხენისანი ყაზახებიც, მაინც ვერ იმაგრებდნენ".[19]

ხალხი უმღეროდა, ქება დიდებას ასხამდა თავის ფალავნებს, ლექსებს, ზღაპრებს, ლე-გენდებს უძღვნიდა მათზე: "ქალაქისნი აიფიხნი ლეკეკელა, ყურთხელაო, შენთან ჭიდაობა მინდა, ვერ გამშინჯე ერთხელაო" - მღეროდნენ ბიჭები სოფლად და ამით გამოხატავდნენ თავიანთ სურვილს მოესინჯათ ერთმანეთის ვაჟკაცობა.

ყველა სახალხო გმირი კარგი მოჭიდავეა — განა არსებობს თქვენ მეფე, რომ შეერკინე-ბოდა ჭიდაობაში?! არის ერთი ასეთი სახალხო გადმოცემა — ერეკლე მეფეს ერთხელ თავისი მოწინააღმდეგეებისთვის შეუთვლია — ხალხს მეფეს რად უნდა, გამოდი და ვიჭიდაოთო...

"მოდით გავიხსენოთ XIX საუკუნის ნემსი-ნია სავალავენო მანგები... როდესაც ჩვენში სა-ეთქ(ა)ცე საქმენი, ანუ სახალხო სპორტი იყო ჭიდა-ობა, ჯირითი, ლელო... ყველაზე მეტად ჭიდაობა იზიდავდა მლაბით თუ ნინას მოსვორნეებს. ქართ-ველ ფალავნებს ლექსებსაც უძღვნიდნენ. XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისში გამოჩენილი ფალავნები საყოველ-თაო ყურადღების ცენტრში იყვნენ მოქცეულ-ნი. ასე იქმნებოდა საფალავნო ჰანგებიც: **ნესტორ ესებუაზე** (1864-1931): "ოცდათერთმეტ აგვისტო-ს ხალხი მოდის ბაღშიაო, იძახიან, ესებუას შე-ძლება მკლავშიაო"; **კულა გლდანელზე** (1858-1933): "გლდანელი კულა ჯერ არ გალახულა, როცა გაილახება, მაშინ დაიმარხება"; **კოსტა მაისუ-რაძე** (1881-1918): "ეს რკინა ისე დაგრიხა, ვით მოზელილი თასმათ, მაყურებლები გაოცდნენ: უყურეთ კოსტამ რა ქნაო"; **თედო ლილოელზე (ავალიშვილი)** (1858-1930): "ალბულაღში ალთი-ალუღის გავუხუნე მკლავის ღონე. მცხეთაში კი ლაგაშიძეთ გავაკარი მიწას ტონე"; **სანდრო კან-დელაკზე** (1893-1939): "კანდელაკსა სანდროსა



ფალავანი ვანო აბულაძე ცირკში ჭიდაობისას.



**სახელოვანი ჩოხაში გამოწყობილი ფალავნები (XIX ს. ფოტო).**

საქართველოს დედაა. დიდი ქება მიეძღვნა, ნუშის კალმის ვალია": **იოსებ ცერაძეზე (1879-1952)**: "ბუდუტო ცერაძე, რა განდიდა ვერაზედ, არ იცოდი. წაგაქცევდა კოხტა მასხურაძეო?" **მიხა ქერხულიძეზე (1880-1961)**: "ქალაქში ჭიდაობით, კინაზის მოთვლით, კახეთიდან ბიჭები თბილისში ნ მორეკეთ, ყველა გალახა შაშიძა, ქერხულიძე მაყოლეთ"; **კოლა ქვარიანზე (1903-1980)**: "ქუთაისში თეთრი ხიდის გაღმა, ერთი საჭიდაო ყელი იყო გვარიანი, იქ ფალავნებს ჯამბაზით ასარცხებდა მოწანაბეჭდაულუბელი ქვარიანი"; **გიორგი ჯიბგირიძე (ოდიშელი) (1869-1948)**: "ღვინის ძალღა, იცოცხლე გლდანელი ჯიბგირის თავზედა, მაგისი მკლავი ეკალეცი არა გვავეს მთელს რახედა"; **ვანო აბულაძეზე (კამბეჩუა, ნამდვილი გვარია აბულაშვილი) (1872-1948)**: "ბეჭმაგრამხვი ხეჭეჭს თავლებს და ინსენებს იმ თითბას - კამბეჩუას, კუდა გლდანელს, ახსენებს, როცა ბეჭში მორიით ჭერდადა ზედად კაცებს"; იეთიმ გურჯი (ბაბლიშვილი), (1875-1940): თბილისელმა პოეტმა, ხასან მოლეჭიმე, ერთი ლექსი მიუძღვნა მოჭიდავე-ფალავნებს. ღვთით მეხათველმა, პირველი დოეჯა სწორედ გმირ მოჭიდავე ქალის მეხათველთა რისალს. ანა ბაუს მიუძღვნა 1895 წელს. იეთიმ (ობოლი) სწორად უსწრებდა ქართულ ჭიდაობებს და ზოგჯერ მსაჯობდა კიდეც მათ ორთაბრძოლებს".[20]

აღსანიშნავია ერთი შემთხვევა 1900 წელს თბილისის ნიკიტინის ცირკი სწყდება. აქ გამოდიოდნენ კავკასიის ცნობილი მოჭიდავეები, რომელთაც ხალხისთვის მედიდურად მიუმართავთ ვისაც გული გერჩით, გამობრძანდითო. ამ დროს ცირკში ვანო აბულაძეც ყოფილა. ვანომ ცირკის მეკეხარა მოჭიდავე თვალის დახამხამებაში მიწაზე გაშხლართა თერძე. იმ დღეს მან მათი ყველა სახელგანთქმული მოჭიდავე გააგდო ხალიჩას... ამის შემდეგ იგი იმწამსვე ცირკის მესვეურებმა თავიანთ დასში დიდი ჰაეფით ჩარიცხეს. ამ პერიოდში ვანო ქიზიყელი კუდა გლდანელი და ნესტორ ესებუას ჯგუფშიც გამოდიოდა.

აქედან დაწყებული ქიზიყელის ტრიუმფალური გამარჯვებები მსოფლიოს სპორტულ გზებზე (საფრანგეთი, გერმანია, ინგლისი, ესპანეთი, იტალია, ჩინეთი, მონღოლეთი, ავღანეთი, სპარსეთი, ამერიკა, თურქეთი და სხვა ქვეყნები). 25-30 წლის მანძილზე მას ქართული მოყვარულით და კისრულით, შეაკაკრით და ცერულათი დამარცხებული ჰყავს თითქმის ყველა სახელგანთქმული, მსოფლიოში აღიარებული მოჭიდავე. მათ შორის: ამერიკელი არაბი ჯაკ ლევისი, პოლანდიის ჩემპიონი დერიხ-II, მსოფლიო პირველობის დამხემბელი გეორგ ლუნდი, ევროპის ჩემპიონი იან იააგო, ბუხარის ამირას სასახლის ფალავანი ს. კალინკინი, რომლის დამარცხებისათვის ემირმა ვანო ქიზიყელს ოქროს მედალი ჩამოჰკიდა, საბერძნეთის ჩემპიონი - ჯაჭვია მეფე, ათლეტი - აპოსტოლე, გოლიათი საცურა, სპარსეთის მოჭიდავე ყარაალი, სომეხი ფალავანი შაბლოიანი - რომელმაც ვანო აბულაძეს შესტირა: რაც ვჭიდაობ, ჯერ არ დავმარცხებულვარ და რად გამაფუჭეო. რუსეთის ჩემპიონები: ნ. ეახტეროვი, ა. ბაგატიროვი და მრავალი სხვა.[21]

ასე, დაუსრულებლად, შეიძლება ვისაუბროთ სახელგანთქმულ ქართველ ფალავნებზე, მათ რაინდულ და საგმირო საქმეებზე. ყოველი მათგანი ქართული საბრძოლო ხელოვნების - ქართული ჭიდაობის ტრადიციაზეა აღზრდილი.

ქართული ჭიდაობის ქომაგი იური იმერლიშვილი გაზეთ "ლელოში" წერს: "საკვირველია, მაგრამ ფაქტია, ჩვენი ეროვნული საგანძურის - ქართული ჭიდაობის განვითარების ისტორია ჯერაც არ არის დაწერილი. არ ვიცით, რას მივაწეროთ ეს ამბავი - გულგრილობას, უინტერესობას, თუ დაუფასებლობას. ალბათ, ხათაბალოდ ვერ გავითავისეთ ქართუ-

ლი ჭიდაობის რიგი და მიმზიდველობა: "მინაური მღვდლის შენდობისა" არ ითქს. სხვა ეცხო ჭიდაობებით მოვიხიბლეთ და ჩვენი ულამაზესი, რაინდული ჭიდაობა ნისლში მოვაქციეთ. ისტორიისა და მამა-პაპათა ტრადიციების უგულებელყოფამ თავისებური დაღი დაასვა, დაამახინჯა და ეროვნული ელფერი დაუკარგა ქართულ ჭიდაობას, რის შედეგადაც არ გვაქვს მყარი წარმოდგენა მის წარმოშობაზე, უძველეს ფესვებსა ისტორიაზე, მორკინალთა სასაცმელზე, საჭიდაო ილეთებზე, ფანდების დასახელებაზე, ტერმინოლოგიაზე და სხვა. დღევანდელ ფალავნებს აღარ ახსოვთ ის ნამდვილი ქართული საჭიდაო ილეთები, რომლებითაც ჩვენი წინაპრები თავს იწონებდნენ ორთაბრძოლისას. ამჟამად შემორჩენილ საჭიდაო სასაცმელს "ჩოხას" ვუწოდებთ, მაგრამ იგი არაფრით არ ჰგავს ქართულ საჭიდაო ჩოხას, რადგან მოხსნილი აქვს სახელოები. ჩვენი წინაპრები არც შარვლების გარეშე აპაროზობდნენ. როგორც ჩანს, ეს პროცესი გასული საუკუნის 30-იან წლებში დაიწყო. რატომ, რის გულისათვის, ან ვის ჭირდა ყოველივე, დაურღვია ხალხური ტრადიცია, ძნელი ასახსნელია. მაგრამ ეს ეჭკუელი ხარვეზი ხელთა გვაქვს, რომლის გამოუსწორებლობას მომავალი თაობები არ გვაპატიებენ. ქართული საჭიდაო ტანსაცმლის შესახებ ძველი დოკუმენტური მასალის გვაძლევს ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი არჩ. ბაქიძე, რომელმაც ალექსანდრეს ტაძრის მხატვრობაში ორი ფალავნის შერკინების ფრაგმენტი აღმოაჩინა... თუ ამ ფრესკას ყურადღებით დავაკვირდებით, შევამჩნევთ, რომ მოჭიდავეებს აცვიათ **სახელოებიანი ჩოხები და შარვლები**. პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ოლიმპიური აკადემიის რექტორი, სპორტის ისტორიის თვალსაჩინო მკვლევარი, ბატონი ავთანდილ ცაბაძე წერს: "ქართული მემატიანე გვიმტკიცებს, რომ ჭიდაობა ჯერ ტანისამოსში და შემდეგში შიშველი ხელებად შემოვიდა". როგორც ჩანს, შიშვლად (თუნდაც მხოლოდ ტანს ზემოთ) ჭიდაობა ქართველის ხასიათში ვერ გაითავისა იმიტომ, რომ ასეთ მდგომარეობაში მთელი რიგი ქართული ილეთების ჩატარება, ფაქტობრივად, შეუძლებელი ხდებოდა და ეთიკურადაც არ იყო გამართლებული. "ტრუსებში" ორთაბრძოლა, რაც ამჟამად ქართულ ჭიდაობაში გამეფდა, არც ერთ ისტორიულ წყაროშიც არ დასტურდება" - ასკვნის აკადემიკოსი ცაბაძე... საბჭოთა პერიოდის 30-იან წლებში ხმარებაში შემოვიდა "ფრთებშეკვეცილი", სახელოებმოხსნილი, მოუხერხებელი ე.წ. "ჩოხა", რომელსაც ჩვენი ეროვნულობის არავითარი ნიშან-წყალი არ გააჩნია. ჩვენი ინდიფერენტულობის წყალობით შესანიშნავად ისარგებლეს ჭიდაობის ცნობილმა რუსმა სპეციალისტებმა და მათ შორის, ანატოლი ხარლამპიევმა, რომლებმაც ქართველ ხალხს უბოდიშოდ და უცერემონიოდ წაართვეს ქართული ჭიდაობის შექმნის საავტორო უფლება. ჩვენი ეროვნული ილეთებით შექმნეს ახალი ჭიდაობა, ამასაც არ დასჯერდნენ - თავიანთ მოჭიდავეებს კარგად მოარგეს ჩვენი საჭიდაო ჩოხის მოდელიდან შეკერილი სახელოიანი ჩოხები. ჩვენ კი თითქმის 70 წლის განმავლობაში, გულხელდაკრეფილნი ოლიმპიური სიმშვიდით შევყურებთ ყოველივე ამას... ეს ეჭკუელი ხარვეზი და დაკნინება შეუნიშნავს ქართული ჭიდაობის დიდ მოამაგეს, აკადემიკოს ნიკო კეცხოველს, რომელმაც თავისი გულისტკივილი და აღშფოთება ასე გამოხატა: "ის, რაც ეხლაა (იგულისხმება ქართულ ჭიდაობაში არსებული საჭიდაო ტანსაცმელი), ქართული ჭიდაობისათვის შეუფერებელია (მოკლე ტრუსები, ფრიად მოკლე "ჩოხა")... ვფიქრობ, დადგა დრო ხმა ავიმაღლოთ ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად, რომელიც გასულმა XX საუკუნემ მემკვიდრეობით გადმოგვცა. აუცილებლობა მოითხოვს, დავუბრუნოთ ქართულ ჭიდაობას ის ლამაზი და მოხდენილი საჭიდაო ტანისამოსი, რომელიც ათასწლეულების წინათ შექმნა ქართველმა ხალხმა".[22]



ელეისებური "ცერულა".

ბატონმა ირაკლი უგულავამ, აწ განსვენებულ პროფესორ ვასილ ელიაშვილს მიაწოდა ცნობა: - "1958 წელს საქართვე-

ლოს ეწყია იაპონელ მოჭიდავეთა გუნდი. ყველასათვის ცნობილია, თუ ამომავალ მზის ქვეყანაში რაოდენ განვითარებულია ჭიდაობის რამდენიმე ეროვნული სახეობა, მათ შორის, ძიუ-დომ მსოფლიო აღიარება ჰპოვა. გუნდს ჩამოჰყვა ოლიმპიური ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში - სასახარა. იაპონელები ეწვივნენ სოფელ მეჯვრისხევს. კვირა დღე იყო. ხალხი შეკრებილიყო ნახერხმოყრილ სარბიელის ირგვლივ და ჩვეული აზარტით ადევნებდნენ თვალს სოფლის ბიჭების ჭიდაობას. სასახარა, რომელსაც ჭიდაობის სპეციალური სკოლა ჰქონდა დამთავრებული იაპონიაში, ასეთ სიურპრიზს არ მოელოდა. წრეში პატარა ბიჭები ისეთ ელვისებურ ილეთებს ასრულებდნენ, კისრულით გადადიოდნენ, ოსტატურად ხმარობდნენ მოგვერდს, შუაკაურს, სარმას, ცერულას, რომ სასახარა და მთელი იაპონელთა გუნდი გაკვირვებული შესცქეროდნენ მათ. სასახარამ ამ ბიჭების მწვრთნელი (ანუ "სენსეი") მოიკითხა, უთხრეს, რომ ამ ბავშვებს მწვრთნელი არა ჰყავთ, რომ ქართული ჭიდაობა საქართველოში თაობიდან თაობაში გადადის, რომ ხალხია მისი მწვრთნელიც, მასწავლებელიც და პატრონიც. მაშინ ოლიმპიურმა ჩემპიონმა განაცხადა: "ეხლა ჩემთვის გასაგებია, რატომ არის მაღალ დონეზე თქვენთან ჭიდაობა და რატომ გვიწევენ ასეთ ძლიერ წინააღმდეგობას ძიუ-დოში თქვენი ქართველი ფალავნები. ქართულ ჭიდაობას ალბათ ანბანთან ერთად ითვისებენ ბავშვები, თავისი ძმების, მამების და პაპებისგან".

არ გაგვიწყდეს ეს ძაფი თანამემამულენო! საქართველოს დღევანდელო და მომავალო თაობავ, რას გადასცემთ თქვენს შვილებს, შვილიშვილებს და შვილთაშვილებს?...

# თავი მეოთხე

## თანამედროვე ფალავანთა ძახილი

*"საიდან დაგვჩემდა ეს საუბედურო თვისება? რამ გადააჩვია ჩვენი ჭკუა და გონება საყოველთაო საქმეს? რამ დაგვიბა ჩვენი თვალი და ყური მასზედ, რასაც "ჩემობის" ფერი ადევს და არა "ჩვენობისა"? ჩვენს ისტორიას რომ შევხედოთ, მაგის მიზეზს ვერ ვიპოვით. ერთ წუთს ჩვენი თვალი და ყური მარტო "ჩემობაზედ" რომ გაჩერებულიყო და "ჩვენობა" დავიწყებას მისცემოდა, მაშინვე სულს გავაფრთხობდით და ჩვენი ერი მტვერსავით აღიგავებოდა დედამიწის ზურგიდან..."*

*ილია*

ჩვენ ჯერ კიდევ გათავისებული არა გვაქვს ფალავანთა როლი ჩვენი რაობისა და თვითმყოფადობის შენარჩუნებაში. ფალავნობა "ჩვენობის" შემონახვის ერთ-ერთი მთავარი ბერკეტია. თითოეულ ცნობილ მორკინალში ჩადებულია ჩვენი ერის საბრძოლო სული, ძალა, გამბედაობა, შემართება, ვაჟკაცობა, გულდიაობა, ტემპერამენტი, ნიჭიერება, რაინდობა, ერის სიბრძნე, პირველ რიგში კი სამშობლოსადმი უსაზღვრო თავდადება. რომელ "კემბრიჯის", ან "ოქსფორდის" უნივერსიტეტდამთავრებულ ჩვენს თანამემამულეს შეუძლია შემოგვინახოს ქართული თვითმყოფადობის მარცვალი, მადლი, თუ ლაზათი, როგორც ამ მიწაზე აღზრდილს, ამ მიწის შვილს, ქართულ ტრადიციებსა და საბრძოლო შერკინებებში გამობრძმედილ ფალავანს, რომელსაც არა ერთხელ დაუცავს და მსოფლიოსათვის დაუმტკიცებია ქართული გენიის სიძლიერე.

ზოგი იკითხავს - რატომ ევროპასა და ამერიკაში აღზრდილი დიპლომატები არ სჭირდება საქართველოსო, იქაც ფალავნებს ხომ არ გავაგზავნით სასწავლებლადო? არ ვიცი, რაში გვარგია ისეთი დიპლომატი, რომელიც თავის ქვეყანაში მარტო უარყოფითს ხედავს, უკან ჩამოსვლა აღარ სურს, რომელსაც არც "შუაკაცური" და "მოგვერდი" ახსოვს და არც "წინწყარო"; რომელსაც ის მთავარი მიზანი დაავიწყდება, რომ იგი საქართველოს შვილია და მისი სიცოცხლე სამშობლოს ეკუთვნის.

"ჩვენს წელთაღრიცხვამდე II საუკუნეში ქართველ ფალავნებს, თურმე, საბერძნეთში, საბრძოლო ხელოვნების სამშობლოშიც იწვევდნენ. აღსანიშნავია ერთი გარემოებაც: მაშინდელი "გიმნასტიკა" თანამედროვე ნაირსახეობისაგან განსხვავებით, ფარიკაობის, კრივის, ჭიდაობისა და სამკურნალო ვარჯიშებისაგან შედგებოდა. სპორტის ამ სახეობებს საქართველოში დიდი ხნის ტრადიცია აქვს. დასანანია, რომ დღეს ქართველი მწვრთნელები პროფესიონალიზმს რუსი და უცხოელი ავტორების სახელმძღვანელოებით იმაღლებენ; ჩვენი ეროვნული და ორიგინალური საბრძოლო გამოცდილება კი აღარავის ახსოვს. საქართველოს საბრძოლო ხელოვნების ფედერაციის მიერ მოძიებული მასალით, ჩვენში ჭიდაობის 15 სახე არსებობდა; აქედან, დღემდე ქართულის გარდა, რაჭულმა, ორმა სვანურმა და ხევსურულმა "მოშდაიოშმა" მოაღწია. ალბათ დადგა დრო, როცა საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის მესვეურებმა ამ გადარჩენილი სახეობებისადმი მეტი ყურადღება გამოიჩინონ, რადგან ისინი მრავალ ისეთ უცნობ ილეთს შეიცავენ, რაც ჩვენს ფალავნებს საერთაშორისო სარბიელზე წაადგებათ".[23]

მიუხედავად ზემოაღნიშნული გაჭირვებისა, ჩვენი ფალავნები, შეძლებისდაგვარად, არ აკლდებიან არც ერთ საერთაშორისო ტურნირსა თუ შეჯიბრებას, აგრეთვე ოლიმპიურ თამაშებს.

დღეს ყველა ცდილობს, საერთაშორისო სარბიელზე თავისი სპორტის ეროვნული სახეობა გაიტანოს. ამის სურვილი იაპონური ძიუ-დოს ოლიმპიურ პროგრამაში შეტანის შემდეგ უფრო მეტს გაუჩნდა. როგორც ზემოთ ვახსენეთ, ქართულ ჭიდაობას 15 სახე გააჩნია და არც ერთი მათგანი არ გაგვიტანია საერთაშორისო სარბიელზე; თუმცა, სხვასახის ჭიდაობების შეჯიბრებებსა და ჩემპიონატებზე მონაწილეობისას ჩვენი სახეობის ხარჯზე შესანიშნავ შედეგებს ვაღწევთ. მაგალითისათვის გავიხსენოთ თურქეთში ამართული შეჯიბრება.

ჩვენს მეზობელ თურქებსაც გააჩნიათ თავისი (სამხედრო ხელოვნების) ეროვნული ჭიდაობის სახეობის - "კურეშის" საერთაშორისო სარბიელზე გატანის სურვილი. "...თურქი ხალხის ყოფაში დღემდე შემორჩა ჭიდაობა "კურეში". 2000 წლის შემოდგომაზე სწორედ ამ ეროვნულ სახეობაში გაიმართა თურქეთის ღია ჩემპიონატი, რომელსაც საერთაშორისო სტატუსი შესძინა მასში საქართველოს მოჭიდავეების მონაწილეობამ... ქართველთა ჭიდაობით აღფრთოვანებული დარჩა ყველა. შეჯიბრების შემდეგ თურქეთის სპორტის მინისტრმა ქართველები თავისთან მიიწვია და დიდი მადლობა გადაუხადა მათ. "თურქულ კურეშში ფალავნის ტანი გაქონილია და ძალიან ჩამოჰგავს თავისუფალ ჭიდაობას. ქართველ ფალავნებთა მიერ მოპოვებულმა შთამბეჭდავმა გამარჯვებამ (კურეშში თურქეთის ჩემპიონი ხუთი ქართველი გახდა, რვა კი - პრიზიორი) საყოველთაო ინტერესი გამოიწვია მთელ თურქეთში. შეხვედრები გადაიცემოდა ტელევიზიით".[22]

ზოგიერთი უცხოელის გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ ეს ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყანა (საქართველო), თურმე ოლიმპიურ თამაშებშიც მონაწილეობს და მას ასევე უამრავი ოლიმპიური ჩემპიონი და პრიზიორიც ჰყოლია(?!) ჩემთან საუბრისას რამდენიმე უცხოელმა ძლივს დაიჯერა, რომ ჩვენმა ფალავნებმა უკანასკნელ ოლიმპიადაზე 2000 წელს, (რამდენიმე ათეული ფალავნისაგან შემდგარმა გუნდმა) 6 ბრინჯაოს მედალი ჩამოიტანა სამშობლოში.

"სიდნეიში მოპოვებული 6 ბრინჯაოს მედლით საქართველოს ოლიმპიელებმა 34-ე ადგილი დაიკავეს. მედლების რაოდენობით ქართველებმა უკან ჩამოიტოვეს ისეთი ქვეყნები, როგორიცაა თურქეთი, ირანი, ბელგია, არგენტინა, სლოვაკეთი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, უზბეკეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი და სხვ. მიუხედავად ამ შედეგისა, გული გვწყდება — ჩვენები ოლიმპიური ოქროს გარეშე დაბრუნდნენ: იღბალს და მსაჯებს რომ არ ემუხთლათ, ეს ამოცანაც შესრულებული იქნებოდა... ჩვენი რამდენიმე ფალავანი ახლოს იყო ოქროს მედალთან. სიდნეიში ყველაზე ძალიან ჩვენების მარცხს ჩვენი სახელოვანი ვეტერანი ნონა გაფრინდაშვილი განიცდიდა — იგი სასოწარკვეთით ქვითინებდა. ვინ, ვინ და მან კარგად იცის რა მნიშვნელობა ქონდა ჩვენთვის ოქროს მედალს!..


საქართველოს პირველობა ქართულ ჭიდაობაში (ვ. ელაშვილის არქივიდან).

"მწარე რეალობაა, მაგრამ ფაქტია — რაოდენ დიდი პატრიოტი და მამულიშვილიც არ უნდა იყოს, დღეს ფალავანი ჩქარად მიდის იქ, სადაც უკეთეს ანაზღაურებას სთავაზობენ. ეტყობა, ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა და ავსტრალიელებმა ჩვენს სპორტსმენებს უკეთესი პირობები აღუთქვეს. სიდნეიდან გამომგზავრებულმა საქართველოს სპორტულმა დელეგაციამ სამი წევრი მოისაკლისა...".[23]

გულისტკივილით და სიხარულით მინდა გავიხსენო ზაფხულის XXVII ოლიმპიური თამაშების "სიდნეი 2000"-ის ერთი პატარა ეპიზოდი: ოლიმპიური თამაშების უმაღლეს კვარცხლბეკზე იდგა ძალოსნობაში (94 კგ წონით კა-

ტეგორიაში) გამარჯვებული. უკვე მესამე ოლიმპიური ოქროს მფლობელი. ქართველი ფალავანი ბერძნული ოლიმპიური დღესასწაულის ტანსაცმელში გამოწყობილი და ამჟამად საბერძნეთის მოქალაქე, ცხინვალელი კახი კახიაშვილი (ამჟამად კახიაშვილისი). აღმართული იყო საბერძნეთის დროშა. ისმოდა საბერძნეთის ეროვნული ჰიმნი; ადვილი მისახვედრია თუ რას ფიქრობდა, რას განიცდიდა ეს უძლეველი ქართველი ფალავანი...

ეტყობა, ფალავნებითა და ტრადიციებით მეტად მდიდრები ვართ ქართველები. სხვაგვარად ძნელი წარმოსადგენია ის გულგრილობის მიზეზი, რომლითაც საკუთარ ფალავნებს ვეპყრობით: გაიხსენეთ ამ ათი წლის წინათ ქართულ პრესაში გამოქვეყნებული წერილი, რომელშიც უკვე ერთგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა კახი კახიაშვილმა (1992 წლის ოლიმპიურ თამაშებში საქართველოს ოქროს მედალი შესძინა) საქართველოს თხოვნით მიმართა "მე საქართველოს შვილი ვარ და მსურს მთელი ჩემი შესაძლებლობა და გამოცდილება სამშობლოს სახელსა და ინტერესებს მოვახმარო..." ვერ შევძელით მისთვის მხარში ამოდგომა და ოლიმპიური სახელი და ჩემპიონობა საბერძნეთს დარჩა.

რამდენი ქართველი მოჭიდავე, ფეხბურთელი, თუ მძლეოსანი, სხვა ქვეყნის მოქალაქე ხდება, სხვა ქვეყნის სახელით გამოდის, ქართულ გვარზე წამატებული ასოებით და სხვა ქვეყანას ასახელებს თავისი ქართული გენით. მგონი იმაზე უნდა დავფიქრდეთ, რომ არა ჰყავს საქართველოს დასაკარგი შვილები, რომ გაფრთხილება და მოვლა უნდა ღვთის მიერ ბოძებულ ნიჭს.



# ჯანი მესამე

# მთიელთა საბრძოლო სტილი



*„აღდგენა ისტორიისა - ერის გამოცოცხლებაა,*
*გამომხნევებაა, აწმყოს გაგება და წარმართვაა,*
*მერმისის გამორკვევაა სიბნელისაგან“*

*ილია*

# ხევსურთა საბრძოლო სისტემათა შესახებ

როგორ მოხდა, რომ საქართველოს ჩრდილოეთის საზღვრის კავკასიონის მთაგრეხილის - ცენტრალური ნაწილის აღმოსავლეთ მონაკვეთზე ქვეყნის ტერიტორია მტრისაგან ხელდაუკარებელი დარჩა? იქნებ გადამთიელი მომხდური აქ სუსტი, არაორგანიზებული, ნაკლებ აგრესიული, ან თეინიერ-ქყმანური იყო? ასა, გადახედეთ საქართველოს რუკას! იმავე კავკასიონის დასავლეთ, ცენტრალურ და უკიდურეს აღმოსავლეთ რაიონებში რა მდგომარეობაშია მრავალ საუკუნეთა მსვლელობაში მამა-პაპათა სისხლით მორწყული მშობლიური მიწა-წყალი. ბოლო საუკუნეებში - განსაკუთრებით კომუნისტური XX საუკუნის განმავლობაში - ადგილობრივი მოსახლეობის სისუსტისა და მდაბალკაცობის წყალობით ეს მამული დღეს გადამთიელის ხელშია და ქართველ კაცს იქ ფეხის შედგმაც კი არ შეუძლია. ასე დამკვიდრდნენ იქ ადიღეთა, აფხაზთა, ოსთა, ჩეჩენთა, დაღესტნელ ლეკთა და სხვა მაჰმადიან ტომთა შთამომავალნი. და განა მარტო ქვეყნის ჩრდილო მიჯნაზე! ქვეყნის ოთხივ კუთხე: დასავლეთით, სამხრეთით, აღმოსავლეთით საქართველოს ყველა მეზობელმა მოახერხა მისი ტერიტორიის ძალით, უმსგავსობა-ვერაგობით და თვით ქართველთა დაუდევრობა-სულსწრაფობით მიტაცება და დღეს, როდესაც საქართველოს მიეცა დამოუკიდებლობის ისტორიული შანსი, მომხდური ყველა საშუალებით (ფრჩხილებით, ბრჭყალებით, კბილებით) აშკარა თუ ფარული, საკუთარი თუ სხვა ვერაგი აგრესორის დახმარებით, ცდილობს შეინარჩუნოს და გააფართოოს კიდეც ეს მინატაცი, რის უფლებასაც დღევანდელი საქართველოს უძლურება აძლევს.

მიზეზ-შედეგობრივ კავშირთა ხლართებზე ამჯერად აქ არ შევჩერდებით.

დასაწყისში აღნიშნული ტერიტორიული ხელშეუხებლობის დაცვა კი მამულიშვილთა, მიწა-წყლის კაცური პატრონის წყალობით მოხდა. ჩრდილო საზღვრის მითითებულ მონაკვეთზე, ოთხივე არაგვის, იორის და ნაწილობრივ ალაზნის სათავეებთან ისტორიულად სახლდებოდნენ ხევსურები, ფშაველები, თუშები, მოხევეები და ზოგიერთი სხვა ქართული ტომები, რომელთა არსებობის უმთავრესი მიზანი და პრინციპი იყო - უყოყმანო სიკვდილი მამულის დასაცავად.

როგორ, რა საშუალებებით და მეთოდებით ახერხებდნენ ქართველი მთიელები თითქმის შეუძლებლის შეძლებას, ურიცხვი ურჯულოს მოგერიებას? ამ წიგნის მიზანი, უპირველესი სათქმელი ისაა, რომ დღევანდელ საქართველოს არანაკლებ სჭირდება სიმტკიცე, მამაცობა, თავდადება, ვიდრე მაშინდელ მამულიშვილთ. ამიტომ, ფრიად მნიშვნელოვანია დღეს ამ ცოდნა-უნართა გახსენება, დაუფლება და თითოეულ ქართველში მამულიშვილის, მიწა-წყლის პატრონის აღზრდა, რადგან ამ კრიტერიუმებს ეს ხალხი უდგებოდა ორი მთავარი ასპექტით: ფიზიკური წრთობით — მხედრული დაოსტატებით და სულიერი რწმენით — მორალური სიმტკიცის გამომუშავებით.

წარმატებულ მეომრად ვაჟკაცის ფიზიკური მომზადება განპირობებული იყო სპეციალური საწვრთნელი ღონისძიებების ერთიანი კომპლექსით, რაც ხორციელდებოდა ვაჟის დაბადებიდან სიკვდილამდე. ბავშვობისას ეს ღონისძიებები ატარებდა თამაშის (მხედრული შინაარსის) სახეს, დავაჟკაცებიდან კი ნამდვილ წვრთნა-ვარჯიშ-შეჯიბრის ფორმას ნამდვილი საბრძოლო (ცივი და ცეცხლსასროლი) იარაღის გამოყენებით. ეს საქმიანობა მიმდინარეობდა იარაღის ასაკობრივ-ეტაპობრივი გაცნობა-დაუფლების პირობებში: საწვრთნელი ვარჯიშების თვით ისეთი უკიდურესი ფორმების გამოყენებითაც, როგორიც იყო ხევსურული შელდი, უპირატესად. ამავე დანიშნულებისა იყო ისეთი ყოფითი ტრადიციების მტკიცედ დაცვა, როგორიცაა ცხენ-მხედარნი, ყაბახი და სხვა.



ვანო ლოქოკელი ფარიკაობის დროს.

ფიზიკური წრთობის ერთ-ერთი პირობა იყო თვით ცხოვრებისეული გარემო - ბუნების რთულ პირობებთან აღრეული ბავშვობიდან (5-6 წლიდან) მუდმივი ჭიდილი. ორგანიზმის წრთობასა და გაძლიერებას ხელს უწყობდა ყოველდღიური სამუშაოს შესრულება: ზამთარ-ზაფხულობით წვრილფეხის (ხბორების) მწყემსობა, საქონლის სისტემური მოვლა, ხვნა-თესვა, თიბვა-მკა, შეშის დამზადე-

ბა, საშემოდგომო გულება, წელ-ხარგე წისქვილის მოვლა, ცულის, ნამგლისა, და სხვა მჭრელი იარაღების ლესვება. ყველაფერი ეს მუდმივი ფიზიკური ფორმის შენარჩუნების ეფექტური საშუალებაა.

ხევსურეთში ძალიან გავრცელებული იყო საჯილდაო ქვა - იგივე "ხელის ქვა", თითქმის ყველა სოფელს ჰქონდა საერთო თავშეყრის ადგილებში (სალხინო და სხვა) სპეციალურად შერჩეული. სწორკუთხედის ფორმის ბრტყელი ქვა საშუალოდ 1 ფუთამდე წონისა. ამ ქვის ტყორცნით (სროლით) იმართებოდა სისტემატიური შეჯიბრი დღესასწაულების ჟამს და აგრეთვე საერთო სალხინოში (კორ-ღხინის დღეებში). მასში მონაწილეობდნენ არა მარტო ოჯახ-სოფლის წარმომადგენლები, არამედ სტუმრებიც.

თავისი ხელისქვა (მცირე ზომის) ჰქონდა ახალგაზრდობასაც (15-20 წლისას).

შეჯიბრში გამარჯვებული საერთო ქების და პატივის საგანი იყო ხოლმე; საგანგებოდ სვამდნენ მის სადღეგრძელოს.

ქვის ტყორცნა ხდებოდა სხვადასხვა ფორმით (ადგილზე - ხაზზე დგომით, ან მცირე გარბენით). ამასთან, ზუსტად ერთი და იგივე წონის ქვით. შეჯიბრი იყო, როგორც მარჯვენა ხელით, ისე მარცხენითაც (ორგანიზმის ჰარმონიული განვითარების მიზნით). ხევსურეთის სამეურნეო საქმიანობაში (მკა, ხვნა, ცულის, წერაქვის, ნიჩბის და ა.შ.) თავიდანვე ორივე ხელის მონაცვლეობით ასწავლიდნენ ყმაწვილებს, ასევე იარაღის ხმარებასაც.

ჩემს ბავშვობაში (1942-45 წ.წ.) ბარისახოს შუა მოედანზე ეგდო ყოველთვის ნამტვრეული 2 დიდი ლოდი (წისქვილის ქვა). ხალხმა, ახალგაზრდობამ ეს ქვა აქცია თავისებურ ასაწევ სიმძიმედ (საჯილდაო ქვად) ძალოსნობაში შეჯიბრების საგნად. დიდ ძალად ითვლებოდა წისქვილის ქვის მიწიდან აწევა. ყოჩაღი ბიჭები (დაუოჯახებელი ვაჟები) ისე ძლიერად ასწევდნენ ეს ქვა, რომ მეორე ქვაზე შემოდგა. იქიდან წისქვილის ქვა გადაავდებდნენ ისევ ძირს, მიწაზე, დააგორებდნენ მიწაზე; ყურადღების შუქი არა მარტო შეჯიბრება, არამედ გადაქცევაც (თავდასხმელად ის ნელა მიგორავდა ყვირილ მეგობრების შორის). ვინაიდან ბარისახოს პატარა მინდორიც, გადაშლილ მდინარე არაგვში, იქ მდინარის პირზე გაშლილი ქვიშნარი არის ნამტვრევ-გამშრალი კოჭის ბუჩქის დაგვანება და დატოვება იყო (გადაღებულია). ქვიშნარის დირექტორმა ვინმე ლომთათქიძემ 1 ძროხით დაავარდნილ ამისთვის ბაქანი. წისქვილის ქვა კი მრავალ წელს ეგდო მდ. არაგვში.

ვაჟ-ხევსურის მამაც კაცად მომზადებისას არანაკლები ყურადღება ექცეოდა სულიერ-მორალურ აღზრდას. დაწყებული ვაჟის დაბადების პრიმატის საგანგებო აღნიშვნით ხალვთის გადახდით, მთელი სიცოცხლის მანძილზე ამ იდეის დომინირებით, - მემკვიდრედ, მამულის პატრონად მხოლოდ ვაჟი იგულისხმებოდა. ქალი ხევსურულ კომლში შემოსავლად არ ითვლებოდა. 5-6 ქალის მშობელიც კი უძეო კაცად მიაჩნდათ, თუ ვაჟი არ ჰყავდა.

შემდეგ, ზრდის პროცესში ყველა ზომა მიმართული იყო მომავალ მამაკაცში სიმტკიცის, სიმართლის დანერგვა-განმტკიცებისათვის. ვაჟის უპირველესი ღირსება იყო სიმამაცე. ყველაზე დიდი ნაკლი კი - მშიშრობა, სიმხდალე. მთავარი სახელი კაცისა ომში, ბრძოლაში სიმარჯვე, უშიშრობა და მტრის განადგურება იყო. თუ ჩვეულებრივ კაცის კვლა ცოდვად ითვლებოდა (ქრისტიანული დოგმა), ომში კი ვინც ყველაზე მეტ მტერს გაანადგურებდა, სახელიანი ის იყო. სახელიან ვაჟს დღეობაში (საჯარო რიტუალზე) ულოცავდნენ საპატიო თასს, ნიჭს და თვით საკარგყმოს. ასეთი ვაჟკაცი საერთო ქებისა და პატივისცემის საგანი იყო ყველგან.

ბრძოლაში გმირულად დაღუპული მამაცი, ისტორიულ გმირად, საყოველთაო დიდების საგნად იქცეოდა აღიარებული; ამდენად, ბრძოლაში სიკვდილი არა თუ შიშისა და მწუხარების, არამედ ქედმაღლობის და თვით თავისებური მისწრაფების საგანიც კი იყო!

საქვეყნო სახელის მოხვეჭის შემდეგ გმირი იქცეოდა საერთო ქების, პატივისცემისა და მიბაძვის საგნად. შთამომავლობა კი სამარადჟამოდ ატარებდა დიდებული წინაპრის სახელითა და არც თუ იშვიათად გვარის მამამთავრადაც აღიარებდა ე.ი. ასეთი გმირები იყვნენ: მამუკა ქალუნდაური, ნადირა ხოშარაული, მარტია მისურაული, აზა ნაცხური, ხახიკის ხახიშო და მრავალი სხვა. მათი საქმეები მისაბაძი იყო ყოველი ხევსური ჭაბუკისთვის და ამ სულიერ სიმდიდრეს უნდა შეერწყმოდა ფიზიკური სრულყოფა, რაც არსებითად ხორციელდებოდა კიდეც.

დღეს აუცილებელია მივიწყებულის, მიჩქმალულის გახსენება, გამომზეურება, ვფიქრობთ, მანამ არაფერი ეშველება ჩვენს ბეჩავ სამშობლოს, სანამ თითოეული ქართველი არ გაითავისებს ამ წიგნის მთავარ იდეალს.

*ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი*
*ვანო ლიქოკელი*

## რაინდის, ვაჟკაცის ხატი მთიელებში

*"ვინა, ვინ არი კაი ყმა, ვის ტანზე ხმალი მშვენოდეს?*
*...დარაჯად ედგას ლაშქარსა, როს ის ღრმა ძილით ხვრინავდეს...*
*სხვისა იქნის სახელი, თავის გარჯასა მმალავდეს...*
*აი, ვინაა კაი ყმა, მოსაგონარი ქებითა!"*

*ვაჟა-ფშაველა*

კაი ყმის უპირველეს ღირსებად ხალხს მამულის სიყვარული მიაჩნდა. შეიძლება, კაცი არ იყოს ფიზიკურად ძლიერი, არც ხმლის ნაცქად ხმარება იცოდეს, არც თოფის "ლიშანში" სროლა, მაგრამ სამშობლოს ღალატი არავის ეპატიება:

"ვაჟკაცსა უნდა უყვარდეს მამული, თავის ერია,
არ შეღრკეს, თუნდა ბუნიერთ ეხეთის თავზე მტერია,
არ გადიწყვიტოს იმედი, არ შეიცვალოს ფერია,
თორემ დასგმობს და დასწყევლის მოძმე ერი და ბერია"
"...მტერსა რომ მტრობას უწევდეს - ვაჟკაცის შესაფერია,
ვისაც მტრის მტრობა აშინებს, ქვეყნად ის არაფერია,
არც მასხლება აბჯარი, არც ომში წასასვლელია,
არც ვაჟკაცებში ხსენებას, არარად ნასათვლელია.
უნდა გაზარდოს დედამა ვაჟი მტრის გამჯავრებელი,
ავის მოქმედი არ იყოს, არც ფეხის დამწყნარებელი,
არც აშინებდეს სიკვდილი, სიცოცხლის გამმწარებელი"

საგმირო-სახოტბო ტიპის ლექსებში აღწერილია გმირთა გარეგნობა; შემკულია ვაჟკაცის თვისებები და სულიერი სილამაზე. ხალხურ პოეზიაში ხშირად გამოჩნდება ხოლმე ქალთა სახეები, რომლებიც ნატრობენ თავიანთთვის სასურველ სატრფოებს:

"ნეტა რა დედამ გაგზარდა ეგეთი მშვენიერით?
ზრდილი, ქველ-გმირი, მამაცი, ბრძენი და გონიერით,
გიხდება ბრტყელი მხარ-ბეჭი, წერილი, წერწეტა წელით,
ტურფა სახეზე თვალ-წარბი, შავი ულვაში, წვერით,
მოძმისთვის თავის გაწირვა, საჭირისხულო დღენით,
იარაღით საწკიპულობა, ცქვიტი, მფრინავი ცხენით,
გული ამაყი, ფოლადი, მკლავი მტრებისა მსვრელით".



ხევსური მეომარი ჯაჭვის პერანგში.

საგმირო ლექსებში ასახულია სპარსელთა და თურქთა შემოსევები, ლეკიანობა, ქისტებთან და სხვა უცხო ტომებთან შუღლი, რაც საუკუნეთა მანძილზე აფორიაქებდა ქართველ მოსახლეობას. მტრის ასეთი მოძალება განსაკუთრებული სიმძლავრით აქვს აღწერილი დავით გურამიშვილს "დავითიანში":

"თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი, ჩერქეზ,
ღლიღვი, დიდო, ქისტი
სრულად ქართლის მტერნი იყვნენ,
ყველამ წაკრა თვითო ქიშტი!..."

გმირის იდეალი ზოგჯერ წარმომადგენლობის მიხედვითაა დაკონკრეტებული. თითოეულ გვარს თავისი ისტორია, წარსული, ტრადიცია, ღირსება გააჩნია და ცდი-

ლობს არ შეარცხვენის, არ შეღახის იგი. დროთა ვითარებაში ხალხი გამოარჩევდა ვაჟკაცობითა და სიკეთით, გამორჩეულ გვარს.

ხშირად ლექსებში დასახელებული გმირები, ისტორიული, რეალური პიროვნებები არიან, რომლებიც შემდგომ ხალხის წარმოდგენაში ლეგენდარული ელფერით იმოსებიან. ასეთებია: ფშაველი კუკუმაური, თუში ლუის ლესკუმი, ხევსური ხოგაის მინდია, ღაჭაური, უშიშა წიკლაური, უშიშა თხიაური, გულამაყრელი ბებქნაური, მოხევე დუდუშაური, უთურგას გიორგი, ხელიაისძე, გარა თურმანაული, თუში ზეზვა გაფრინდაული, ალუდაური და მრავალი სხვა.

"მოთხევს ალდი სჯობს მამაცად, ხევსურებს - ხოშარაული,
თუშებს სჯობს გაფრინდაული, ფშაველხევს - კუკუმაური,
გულამაყარ სჯობ დიდება, მახევეთ - დუდუშაური,
ხმლის ქნევით, ფარის ფარებით - ბერდია მამუკაური.
კაცზედ ვინ მოვა პირდაპირ? - მარტია მისურაული!
კაცსა ვინ მოიკლავს ფიცხლადა? ხორნლაი ბაბურაული!
კაცსა ვინ გასჭრის ორადა - აბაის ბაწარაული!
ხანჯერავს ცხვარსა, ცხვარ-მწყემსსა ახალა შუქიაური,
ცხვარზე ვინ ხავას პირდაპირ? - გამახულ თემროზაული!"

ამ გმირებზე მრავალი ლექსია შექმნილი. ესენი ის ვაჟკაცები იყვნენ, რომელთაც იცოდნენ, რომ "ერთხელ მოცემულ სიცოცხლეს ორჯერ ვინ ნახავს თვალითა" და ამიტომ მიაჩნდათ: კაი ყმა უანგარო უნდა იყოს და "ებრალებოდეს ცხლახაკი, მოყვარე იყვეს ღვთისაო"

"იარე, ბიჭო წავიდეთ,
გზა შევკრათ ჩვენი მტრისათ,
ტყვიები გავაყრევინოთ,
მადლი გვეყოფა სხვისათ".

"ხალხის ფიქრით, გმირს, ვაჟკაცს, კაი ყმას თავს არწივი, ზოგჯერ მტრედი დასტრიალებს, რაც იმის მაუწყებელია, რომ მას მფარველობს ჯვარი, ხატი. აი, რას წერს ვაჟა-ფშაველა თავის მოთხრობაში "ბერიძე გაუტეხელი": "ხალხი ხევისბერ ბერიძეზე ამბობდა, როცა გაემართებოდა სალაშქროდ, წაუძღვებოდა წინ ლაშქარს ხელში დროშით ქისტეთის დასარბევად, ან სახლიდან ხატში წავიდოდა სამსახურის ასასრულებლად, - მუდამ ხევისბერს ცაში თავზე დაჰბრუნავს უზარმაზარი არწივიო და არც დაანებებს თავს, ვიდრე დანიშნულ ალაგს არ მიაღწევსო"... ასეთი პიროვნება ღვთისაგან, ანუ ღვთის მადლით დაჯილდოებულადაა მიჩნეული - მისი საშუალებით უზენაესი საყმოებს გადასცემს თავის ნებას.".[26]

# თავი მეორე

## ხევსურთა საბრძოლო მომზადება

*"სამშობლოს არვის წავართმევთ,*
*ჩვენც ნურვინ შეგვეცილება,*
*თორემ ისეთ დღეს დავაყრით,*
*მკვდარსაც კი გაეცინება".*

*ვაჟა-ფშაველა*

საბრძოლო ტრადიციებით მდიდარი ხევსურეთი გადაჭიმულია კავკასიონის მთავარი ქედის ორივე მხარეს, მდინარეების არაგვის, ასახას (არხოტისა) და არღუნის (შატილის) ზემო წელის მიდამოებში და იყოფა პირიქითა და პირაქეთა ხევსურეთად. საქართველოს ჩრდილოეთი ზოლის მკვიდრნი, ხევსურები, ყოველთვის საიმედო ძალას წარმოადგენდნენ გარეშე დამპყრობთაგან ქვეყნის დასაცავად. ხევსურთა, მოხევეთა, ფშაველთა შეუპოვარი, მამაცური ბრძოლისა და თავდადების შედეგია, რომ საუკუნეთა მანძილზე რეაქციული და მებრძოლი მაჰმადიანური სარწმუნოების ტომებმა ფეხი ვერ შემოდგეს საქართველოს მიწა-წყალზე. რაოდენ სამწუხაროა, რომ დღეს, კომუნისტური რეჟიმის მიერ მოშლილი ფშავ-ხევსურეთის ტერიტორიაზე ნელ-ნელა იკიდებს ფეხს გადამთიელი.

ხევსურთა წარმოშობაზე ბევრი ვერსია არსებობს. უცხოელი მკვლევარები (ზისერმანი, რადე და სხვა) თვლიდნენ, რომ ხევსურები იმ ევროპელი რაინდების შთამომავლები არიან, რომლებიც მონაწილეობდნენ შუასაუკუნეების ჯვაროსნულ ლაშქრობებში.

ქართველი მეცნიერების გამოკვლევებმა დაამტკიცა ამ თეორიების სიმცდარე; დადასტურებულია, რომ ხევსურები არიან ქართველი ტომები. აკადემიკოსი ს. ჯანაშია თავის ნაშრომში "ადრინდელი ფეოდალური საქართველო" (თბ. 1937), აანალიზებს რა თამარ მეფის ისტორიკოსის ცნობებს ძველი ქართველი ტომების ფხოველებისა და დიდოელების შესახებ - ხსნის, რომ ფხოველები იყვნენ დღევანდელი ფშავები და ხევსურები, ხოლო დიდოელები კი მათი მახლობელი მეზობლები - დაღესტნელები. "ხევსურები წარმოადგენენ ერთ-ერთ უძველეს ქართულ ტომს, რომელმაც შემოინახა ისეთი უძველესი ქართული კულტურის ძეგლები და ტრადიციები, რომელიც დიდ საგანძურს წარმოადგენს ქართული მეცნიერებისათვის".[27] ჯვაროსნული წარმომავლობის შესახებ ყველაზე რეალურად მიგვაჩნია ცალკეული, ერთეული ელემენტის შემოღწევის შესაძლებლობა, რომელიც მალევე შეერწყა ხევსურეთსა და ხევსურულ ტრადიციებს. ამას ადასტურებს ტანისამოსის (ჯვრების სიმრავლე ნაქარგობაში), ზოგიერთი იარაღის (ხმლის კულტი სალოცავი "ხმალა", ხმალი - "ფრანგული") და ტერმინთა ("ლიქოკი") ეტიმოლოგია და სხვა.

უძველეს ხევსურეთს იკვლევდა ძალიან ბევრი მეცნიერი, გეოგრაფი, მოგზაური, მწერალი, მისიონერი, ეთნოგრაფი. მათ შორის ქართველი (ვ. ბარდაველიძე, გ. ჩიტაია, ს. ჯანაშია, ა. ყამარაული, ს. მაკალათია, ა. რობაქიძე, გ. თედორაძე, რ. ხარაძე და სხვა), ასევე უცხოელი (ჟან ბატისტ ტავერნიე, კრისტოფორე კასტელი, არქანჯელო ლამბერტი, დონიქო კარლი, გ. რადე, ე. სტრუვე, პ. უვაროვა, ა. ხუდადოვი, ლ. პანეკი, ა. ზისერმანი, ე. გურკოკრიაჟინა და სხვა). სამწუხაროდ, მეცნიერულად ეს გამოკვლევები ზედაპირულია და ცალმხრივი მასალები განხილულია მხოლოდ ეთნოგრაფიული კუთხით. ხევსურთა საბრძოლო ხელოვნების გამოკვლევას, შესწავლასა და აღდგენას ესაჭიროება კომპლექსური მიდგომა - როგორც ეთნოგრაფიული, ასევე იარაღთმცოდნეობის და, რაც მთავარია, ორთაბრძოლის კუთხით. საჭიროა, ქართულ ადათ-წესებში ნახედული კარგად ერკვეოდეს იარაღის ხელოვნებაში და მისი ფლობის სიმარჯვესა და ხერხებში.

საბედნიეროდ, საქართველოში ცხოვრობდა პიროვნება, რომელმაც XX საუკუნის შუა წლებში ფართოდ და ღრმა მეცნიერულ დონეზე შეისწავლა ქართული საბრძოლო ხელოვნება, მეომრის აღზრდის მეთოდები. ეს გახლდათ პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, სპორტის ისტორიისა და ფიზიკური აღზრდის ისტორიის საერთაშორისო კომიტეტის (იუნესკოს სტატუსი) წევრ-კორესპონდენტი პროფესორი ვასილ ელაშვილი. იგი მშვენიერი მო-

ვეტერინარიც იყო, იარაღმცოდნეც და ქირურგიც. ბედნიერი ვარ, რომ რამოდენიმე წლის განმავლობაში მის მრავალრიცხოვან მოწაფეთა შორის მეც ვიყავი.

მეცნიერული მოღვაწეობის პერიოდში (საბჭოეთის დროს) მრავალჯერ ცდილობდნენ შეეჩერებინათ ვ. ელაშვილის მუშაობა და ხელს უშლიდნენ: რას იქექები წარსულში, აწმყოს მიხედეო. მან მაინც მოახერხა გამოექვეყნა და აღედგინა ქართველ მთიელთა სამართალი და ვაჟკაცური აღზრდის ხალხური სისტემა, რომელიც წარმოადგენს ქართული სამართლის ძეგლების საგანძურს. სამართალი აღზრდის ამ სისტემაში ხევსურეთში დიდი ადგილი უკავია სამშობლოს დამცველის, რაინდის, კაი ყმის ჩამოყალიბების ეტაპებს. ეს პრინციპი იწყება ხუთი წლის ასაკიდან ყმაწვილობის ეტაპით და მთავრდება 50 წლის გადაცილებული მამაკაცის ასაკის დასრულებული ვაჟკაცის ეტაპით.

ხევსურთა ვაჟკაცური აღზრდა, მეტადრე, მტრული გარემოცვის პირობებში, შეადგენდა მათი ხალხური აღზრდის მთავარ მიზანს. ყმაწვილკაცობა ჯანმრთელი და სამხედრო-გამოცდილებით ხელობაში გაწვრთნილი უნდა ყოფილიყო. ხალხური აღზრდის ქვაკუთხედ იდეალად კი მიჩნეული იყო ბრძოლა ქვეყნისა და თემის ინტერესებისათვის.



ხახაური ლიქოკელი და ვასილ ელაშვილი (მარჯვნივ) წიგნ "ფარიკაობაზე" მუშაობის დროს, ხევსურეთი. 1956 წელი.

ხევსურთა მეომრობის ძირითად დარგს წარმოადგენდა მეხაჭიდეობა, რომელიც შერწყმული იყო მეომრობის სხვა დარგებთან და, პირველ ყოვლისა, მოწათმოქმედებასთან. მათ შესამოსიათ უხვებოდათ თავიანთ საქონლის გაყვანა იმით ხმოვრებზე, რომელიც მათ მეცხვარე ადგილსამყოფლისაგან დიდი მანძილით იყო დაშორებული, რაც იწვევდა განუყრელი ერთიერთობის აუცილებლობას მეზობელ ტომებთან და გარემოება მოითხოვდა, რომ ხევსურეთი მუდამ მზად ყოფილიყო თავისი ქონებისა და თემის ინტერესების დასაცავად, არამარტო მეზობლების, არამედ გადამთიელი მძარცველი რაზმების თავდასხმისაგან.

ხევსურთა წარმოდგენით, მამაკაცი "ყველაფრით სრული უნდა იყოს" — ჯანმრთელი, ღონიერი და მოძრავი; კარგად იცნობდეს სიცხე-სიცივეს, შრომით და საბრძოლო ცხოვრების ყოველგვარ გაჭირვებას: "ვაჟკაცს სახის ფერსა და ხორცზე უნდა ეტყობოდეს თვალებზე ემჩნეოდეს ვაჟკაცობა".

კაცს მოეთხოვებოდა მამაცობა, მტკიცე ნებისყოფა, სიკვდილის არად ჩაგდება, მხედრული გამოცდილება და მტერთან შეუპოვრობა. მან "მოკეთესთან მოკეთეობა" უნდა შეინახოს მეგობრობას პატივი სცეს და გაუფრთხილდეს. აუცილებელია "თავმომწონეობა" ის უნდა იყოს დარბაისელი, თავმოყვარე და ამაყი - არავის შეაბღალინოს ოჯახის, გვარისა და თემის პატივი. სწორედ ეს თვისებები უნდა მიეცა, ხევსურის წარმოდგენით აღზრდას ადამიანისათვის.

რაკი ხევსურები საქართველოს სასაზღვრო ადგილებში ბინადრობდნენ, მათ შეგნებული ჰქონდათ, რომ ბარის მცხოვრებლებთან შედარებით მეტი მხედრულ-ვაჟკაცური გაწვრთნილობა მოეთხოვებოდათ. ამ მხრივ, მათ თავი ყოველთვის ფხიზლად, ღირსეულად და ქედმაღლურადაც კი ეჭირათ, რაც ხშირად მეზობელთა შურისა და ქილიკის საგანიც იყო.

ხევსურს აუცილებლად უნდა სცოდნოდა ძველი ადათ-წესები და თქმულებანი, სანიმუშო მამაცობაზე, რომლებიც წარსული დროის გმირთა სახახელო და მისაბაძ მაგალითებს ხოტბას ხოტბდნენ. "ანდრეზის" სახით შემონახული ძველად მომხდარი ამბების ნუსხა ხევსურთა ყოფაში მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენდა ურთიერთობათა მოსაწესრიგებლად ("ანდრეზი" ერთ-ერთი ობიექტური წყაროა ქველევართათვის მართალი ისტორიის დასადგენად). მას უფლება აქვს წერილობითი წყაროს ფუნქცია შეასრულოს. იგი მითი არ არის. "ანდრეზის" ხელშეუხებელი პრინციპია სიზუსტის მაქსიმალური დაცვა. ამით განსხვავდება იგი, მაგალითად, ფოლკლორული მასალისაგან. "ანდრეზში" გამორიცხულია

მოქმედის (ინფორმატორის) შემოქმედებითი თავისებურება. "მეანდრეზეს" ტიტულს მხოლოდ იშვიათი მცოდნე მოხუცებს ანიჭებდა ხალხი.



მშვილდოსნობა. ნახატი ი. ოჩიაურისა.

ხევსურეთში ასეთი ადათებისა და თქმულებების ზეპირ გადაცემას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ახალგაზრდა თაობის აღზრდაში.

ვაჟკაცს მოეთხოვებოდა ხატ-ღმერთთა მორწმუნეობა.

აღზრდის იდეალი გულისხმობდა, აგრეთვე, მხნეობასა და სტუმართმოყვარეობას, მელექსეობას და ენამჭევრობას.

ქართველ მთიელთა შორის მეჯნურობის თავისებური ფორმაც კი გამომუშავდა, რომელიც ქალის ღირსების შეურაცხმყოფელ ქცევას გამორიცხავდა (ხევსურეთში "სწორფრობა", ფშავში "წაწლობა").

ხევსური კარგი მონადირეც უნდა ყოფილიყო, რადგან ამაზე დამოკიდებული იყო მარჯვე ვაჟკაცის სახელი და მისი მატერიალური კეთილდღეობაც.

ვაჟის, როგორც მომავალი დამცველისა და გვარის გამგრძელებლის დაბადებას ხევსურის ოჯახი სიხარულით ეგებებოდა და დიდ ზეიმს სახლით მართავდა.

ხევსური ვაჟის ფიზიკური და საბრძოლო აღზრდა 5-6 წლის ასაკიდან იწყებოდა, როდესაც მას შეეძლო შეგნებულად ემოქმედა და გაეგო, რატომ ასრულებს ამა თუ იმ ვარჯიშს: ან რისთვის მონაწილეობს თამაშში, თუ გართობაში. უფრო გვიან, ასე 7 წლიდან, ვაჟი მომავალი საქმიანობისათვის ემზადებოდა. ამ ასაკში ბიჭები უკვე სწრაფად დარბის მთელ მანძილზე, მარჯვედ დასრიალებს განსაკუთრებული სახის ფიცხელი ქართული სამთო მოკლე თხილამურებით, გაბედულად ეშვება ბექობზე ციგით, კარგად ცურავს ხევზა და ძელზე, იცის ხტომა სხვადასხვა ხერხით. ამ ასაკში იგი იჩენს მიდრეკილებას და სიყვარულს ყოველგვარი იარაღისადმი, კერძოდ, ხმლებისა და კინდასიანი მშვილდ-ისრისადმი. 10-12 წლის ვაჟები იწყებენ თოფის სროლას მიზანში.

ვაჟი მეომრად ფორმირების 3 ძირითად ეტაპს გადიოდა: I – იარაღთ აღება (ხანჯრის შაბმა) 6-7 წლის ასაკში; II – ღელათ ჯარზეთ აღგომა (პირველი შელდი და ნაჭრეებიანობა) 15-16 წლის; III – დახარებული (ე.ი. დალხინებული) ვაჟკაცი, 20-25 წლიდან.

ხევსურის აზრით, ვაჟკაცმა საჭიროებისას გულადობა და შემართება უნდა გამოიჩინოს. მას არ უნდა აშინებდეს სიძნელე და განსაცდელი. რა თქმა უნდა, მართალია ხევსური, რომელსაც სჯერა, რომ ძლიერსა და მამაცს ნაკლები ხიფათი მოელის, ვიდრე მხდალსა და სუსტს, რომელიც არც თანამგზავრადაა საიმედო, მტერთან ბრძოლაშიც ადვილად და მალე მარცხდება.

თუ ხევსური ვაჟი ბავშვობიდანვე "ნაკლიანი" გამოდგებოდა, ჭიდაობაში, სრბოლასა, თუ სხვა სამხედრო-ფიზიკურ ვარჯიშში უხეირობას გამოიჩენდა და ტოლებთან შებმას გაურბოდა, ჩვეულებრივ, ურჩევნია დაცინვის რიდით ხალხში არ გამოჩენილიყო.

ახალგაზრდა ხევსური "კაცურ კაცია", მისი სიტყვა საქმეს არ უნდა დაშორდეს, თუ ვინმემ აწყენინა, შეურაცხყო, სცემა, ჭრილობა მიაყენა, იგი მოვალეა, შური იძიოს – ამისათვის საგანგებოდ ემზადოს. მაშინვე თუ ვერ მოახერხა, უნდა დაელოდოს, ვიდრე მარჯვე შემთხვევა მიეცემოდეს. მანამდე კი თავი ზოგჯერ ისე დაიჭიროს, თითქოს შეურაცხყოფა არც კი ახსოვს. მაგრამ როგორც კი დროს იხელთებს, მტერს სამაგიერო უნდა მიუზღოს.

ახლა გავეცნოთ ხევსურთა საბრძოლო და ფიზიკური აღზრდის შინაარსს. ამ წიგნის ფარგლებში შეუძლებელია ყველა დეტალის მოყვანა, ამიტომ მხოლოდ ძირითადზე ვისაუბრებთ. ქვემოთ მოყვანილი ხევსურთა საბრძოლო მომზადების სისტემა ძირეულად შეისწავლა პროფესორმა ვ. ელაშვილმა და გამოუშვა მშვენიერი წიგნი: "ფიზიკური აღზრდის ქართული ხალხური სისტემა".

ხევსურთა საბრძოლო და ფიზიკური აღზრდის ზოგადი ამოცანები, მისი ფორმები და საშუალებანი, სწავლების მეთოდები, შემოწმების ხერხები და მომზადებულობის ხარისხი

განსხვავდებოდა, პირველ ყოვლისა, ასაკის მიხედვით. ასაკობრივი ჯგუფი ოთხი იყო: 5-დან 15-წლამდე, 15-დან 25-30-მდე, 25-30-დან 50-მდე და 50 წელს ზევით (თვალსაჩინოებისათვის იხილეთ სქემა).

პირველი ჯგუფის "ყმაწვილების" საბრძოლო და ფიზიკური აღზრდის პირველ ამოცანას შეადგენდა კარგი ფიზიკური განვითარება; ბავშვს კარგი აგებულება მოეთხოვებოდა. შემდგომი ამოცანა გულისხმობდა ნებისა და სიმტკიცის აღზრდას, აგრეთვე მოხერხებულობის, სისწრაფისა და ღონის განვითარებას. ბავშვისთვის უნდა ჩამოეყალიბებინათ ცხოვრებისათვის აუცილებელი გამოყენებითი ჩვევები: კერძოდ, რბენაში, ხტომაში, ცოცვაში, საბიჯგებელი თხილამურებით სრიალში, ცხენოსნობასა და სხვადასხვა იარაღის ხმარებაში. ამავე ასაკში იწყებოდა გამოყენებითი, მაგალითად, მონადირის ჩვევების გამომუშავება.

მეორე ასაკობრივი ჯგუფის ახალგაზრდობა "წამოიზგარა" ყოველდღე იწოდებოდა. შემდეგ კი ... ამ ჯგუფში საბრძოლო და ფიზიკური აღზრდის ამოცანა იყო ფიზიკური თვისებების შემდგომი განვითარება, აგრეთვე, პირველ ჯგუფში შეძენილ უნარ-ჩვევათა სრულყოფა: გაწაფვა და დახელოვნება იარაღის ხმარებაში, მონადირისა და მეომრის ხელის შეჩვევა, მონაწილეობა საბრძოლო მოქმედებაში პირველ ხანებში უფროსების ხელმძღვანელობით.

მესამე ასაკობრივ ჯგუფში საბრძოლო და ფიზიკური აღზრდა ამოცანად ისახავდა საბრძოლო მომზადებულობის შენარჩუნებას, საომარ მოქმედებაში მონაწილეობას და მონადირეობას. ამ ასაკში ხევსურს ეკისრებოდა აგრეთვე პასუხსაგები მოვალეობა აღეზარდა ახალგაზრდობისათვის ცხოვრებაში აუცილებელი სამხედრო-გამოყენებითი ჩვევები.

უკანასკნელი "დამდგარ" კაცთა ჯგუფის მთავარი ამოცანა იყო, ესწავლებინა ახალგაზრდობისათვის ყოველივე ის, რაც მას ცხოვრებაში დასჭირდებოდა. პირველ ყოვლისა გაეწვრთნა იგი სამხედრო-ფიზიკურ ვარჯიშებში და დაემყნო მისთვის ხალხური ზნეობა, რომლის ნორმებიც ნაკარნახევი იყო ხევსურთა სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების მკაცრი პირობებით. ხევსურ ბერიკაცს, რომელიც ნიადაგ იარაღასხმული იყო, ხმალჯოხისა და თოფის კარგი ხმარება უნდა სცოდნოდა. იგი განაგრძობდა ნადირობას, მაგრამ თავისი სოფლის თუ ხეობის მიდამოებში და ხმარობდა აგრეთვე, საბიჯგებელ თხილამურებს. დასასრულ, ბერიკაცობა მონაწილეობდა ხალხურ საწესო თამაშებში და ხანჯლებიან სამხედრო ცეკვაში.

ხევსურთა ფიზიკური და სამხედრო აღზრდა შემდეგი საშუალებებით ხორციელდებოდა:

**სავარჯიშო სიარული** მთაში: ფეხით და ცხენით ციცაბო აღმართ-დაღმართში, კლდეტეხილებზე, ხოლო დაახლოებით მეორე ასაკობრივი ჯგუფიდან სიარული საბიჯგებელი თხილამურებით.

ბავშვები გატაცებით დადიოდნენ თხილამურებით, როგორც სწორსა და მშრალზე, ისე ტალახსა და წყალში. ისინი ციგაობდნენ და სრიალით ეშვებოდნენ თოვლიან კალთაზე განსაკუთრებით კი გარაკებულზე (გაყინულზე); სრი-



ხევსური მებრძოლი თოვლიან კალთაზე განსაკუთრებული მოყვანილობის სამთო თხილამურებით.

ალის საგანი იყო სპეციალური რკალიანი სახელურიანი ციგურები, რომლებითაც მეტად სწრაფი ფიგურული სრიალი "სლალომი" სრულდებოდა. გაზაფხულის პირზე ვარჯიში მიმდინარეობდა ვრცელ ფერდობებზე განსაკუთრებული მოყვანილობის სამთო თხილამურებით (ამას დაახლოებით 20 წლამდე მისდევდნენ).

ვარჯიშობდნენ სწრაფ რბენაში: პირველი ასაკობრივი ჯგუფი დარბოდა 60-80 მ. მანძილზე, მეორე - 100-200 მ-ზე. გამძლეობაზე სირბილისათვის დიდ მანძილს იღებდნენ დათქმულ ადგილამდე, სოფლიდან სოფლამდე, უკანვე მობრუნებით, დაქანცვამდე (ვინ უფრო მეტს ირბენს) და ა.შ.

იცოდნენ ცოცვა აღმა-დაღმა: კლდეზე, ხეზე, მიწაში ჩარჭობილ 8-10 მეტრიან ძელზე (უმთავრესად პირველ და მეორე ასაკობრივ ჯგუფში), აგრეთვე გადაცოცება კლდეზე, რაც მონადირეთა ვარჯიშს წარმოადგენდა, მას პირველ სამ ასაკობრივ ჯგუფში მისდევდნენ. გადადიოდნენ ფონით მდინარეებს.

პირველი ორი ასაკობრივი ჯგუფი (12-დან 20-25 წლამდე) ვარჯიშობდა ქვეითად სიარულში, როცა უფროსებს სანადიროდ დაჰყვებოდა ან დამოუკიდებლად ნადირობდა.

ფიზიკური წრთობის, მთამსვლელობის, მნიშვნელოვანი სახე და ფორმა იყო დიდ საჯარო დღეობებში მასობრივი მონაწილეობა. მაგალითად, ათენგენობას (ივლისის თვეში) დიდი და მცირე, კაცი და ქალი გამთიადიდან იწყებდა უმაღლეს მწვერვალზე მდებარე ჯვარში (სახე. კარატე და სხვა) ასვლას, საკლავით და საგზლით. იქ მთელი დღე სრულდებოდა საკულტო წესი; ხალხი საგანგებოდ იყო მორთული, საუკეთესო იარაღით აღჭურვილი, თუმცა, მისი რაიმე სახით ხმარება სასტიკად იყო აკრძალული ჯვარის მიერ. გვიან საღამოს ბრუნდებოდნენ თემ-სოფლებში. ბევრი იყო შორიდან მოსული ნათესაობაც. მაგალითად, კარატობას მოდიოდა მთისა და ბარის ლიქოკელთა ქალ-დისწულის ყველა ოჯახი. ღამეს სოფელში ათევდნენ ნათესავებთან.

ეს დღეობები ეტყობა ადრეული წარმართული რწმენიდანაა ქრისტიანულ სარწმუნოებაში გადმოტანილი და ფიზიკურ-მორალური წრთობის ფუნქციასაც ასრულებდა.

მხედრობას სწავლობდნენ, როგორც უბელო, ისე შეკაზმულ ცხენზე; ვარჯიშობდნენ სხვადასხვა მანძილზე. შეჯიბრება ცხენისა და მხედრის გამოსაცდელად იმართებოდა ხალხურ დღესასწაულებზე, აგრეთვე, მიცვალებულის დაკრძალვის, ან რიგის დროს. რიგი იმართებოდა სოფლიდან სოფლამდე. თითოეულ გვარს თავისი რიგი რომ მოუვიდოდა, უნდა წარმოეჩინა მამაცობა, სიმარდე, გამძლეობა, მოხერხებულობა. ეწყობოდა აგრეთვე მხედართა შეჯახება და სხვა.

ვარჯიში, წვრთნა იწყებოდა ადრეული ბავშვობიდან (7-8 წლის ასაკიდან). ყველა ოჯახს ჰყავდა ცხენი - საფერხე და საბარგო. მისი გამოყენება და მოვლა ყოველდღიური ცხოვრებისეული პრაქტიკის საქმე იყო: მისი საბალახოდ წაყვანა სახლიდან საკმაოდ მოშორებით, საღამოზე შინ მოყვანა, წყლის დალევინება. სტუმრიანობის დროს ულაყების სასოფლო საძოვარზე გაყვანა ძირითადად მოზარდების მოვალეობა იყო და ისინიც ხალისით და რისკიანი შეჯიბრით დააჭენებდნენ მათ ბაწარივით წვრილ სასოფლო ბილიკებზე და გაშლილ ველზე. რაღა თქმა უნდა, ძალიან ხშირი იყო ცხენის მიერ ჩამოგდებისა და მოტეხილობის შემთხვევები. ამ საქმესაც გააჩნდა თავისი მორალურ-ფსიქოლოგიური თვზა ცხენიდან ჩამოვარდნა გაბედულებად ითვლებოდა და არა სირცხვილად. მთელი ეს ვარიანტი სრულდებოდა მრავალრიცხოვანი მაყურებლის - სახლების ბანებზე და კარმიდამოზე გამოფენილი უფროსების თვალთახედვის არეში, მათივე აზარტული, წამქეზებლური შეძახილების თანხლებით.

მხედრული წრთობის განსაკუთრებული ფორმა იყო "ცხენ-მხედრიანი" (ე.წ. "დოლი"). იგი იმართებოდა მიცვალებულის დაკრძალვის ცერემონიალზე, სათანადო წესების მტკიცე დაცვით. ცნობილი ჩაუქი მარბიელები ჭენების დროს უამრავი შეუდარებელი ილეთის ჩვენებას ახდენდნენ; ამ დროს ხდებოდა ერთმანეთის გადასწრება მრავალი სოფლისა და ათეულობით კილომეტრის შემოვლით.

მხედრობაში ფიგურირებდა უამრავი რთული ილეთი: შეჯდომა-ჩამოხტომა, გვერდზე გადახრა და სხვა. მაგალითად, შეჯდომისას მეცლით გადაწოლა ცხენის ზურგზე სირცხვილს, დაცინვის საგანს წარმოადგენდა.

გავრცელებული იყო სხვადასხვა სახის ხტომა: ხტებოდნენ თავისუფლად, ხელის დაუხმარებლად სიგრძესა და სიმაღლეზე; ჩვეულებრივად და განზე - კლდეზე, ბექობზე, თოვლში; ადგილიდან და გამოქანებით გატკეპნილ, ან ფხვიერ მიწაზე, აგრეთვე თოვლზე;

ხელაზიდული მწოლიარე კაცის სიგრძეზე (მესამე ასაკობრივ ჯგუფში); დაფენილ ნაბდებზე სიგრძივ (მეორე ასაკობრივ ჯგუფში); სიგანით ერთ და სიგრძე-სიგანით ორ ნაბადზე (როგორც მეორე, ისე მესამე ასაკობრივ ჯგუფში); 25-30 წლიდან ხტებოდნენ სიგრძივ დაფენილ სამ ნაბადზეც; სხვადასხვა მდგომარეობაში მჯდომი მეგობრების ფეხებზე, ხელებსა და თავზე; **ბუნებრივ დაბრკოლებებზე** (რუზე, გორაკზე, ბუჩქზე, ლობეზე, ნაკადულზე, ჯირკზე, მორზე, ლოდზე, ქვიდან ქვაზე და ა.შ.) და შორ-მაღლაც (ბელელზე; სიგრძე - სიგანე დაახლოებით 110 სმ.); ორმაგად და სამმაგად - ადგილიდან და გამოქანებით (ცალი და ორი ფეხით); სიღრმეში ორმოსა თუ ღელეში დგომელა, ჯდომელა, დაკიდებული; დაუხმარებლად თუ მეგობრის დახმარებით; ბექობიდან, ხიდან, კლდიდან, აივნიდან და სხვა.

ხტებოდნენ აგრეთვე ბჯენით: **ხელების დახმარებით ბუნებრივ დაბრკოლებებზე**: ოთუერმის ყაიდაზე - **წახრილ** მეგობარზე (პირველ ასაკობრივ ჯგუფში), ნახევრად დახრილზე და თითქმის გამართულ, მაგრამ ოდნავ თავდადუნებულზე (მეორე და მესამე ჯგუფებში); მოძრავი საყრდენის (ჭოკის) გამოყენებით სიგრძეზე (წინ და განზე) და შორ-მაღლა: ხეზე, ქვაზე და სხვა;

წვრილ ქვას **ტყორცნიდნენ** ზურგთუკანიდან მხარზე გადმოცილებით მანძილზე და ნიშანში, მძიმეს (15 წლიდან) როგორც ბადრის, ოღონდ მოუბრუნებლად; ყუმბარების კონასავით ტყორცნიდნენ, აგრეთვე, ნიშანში და მანძილზე მიჯრას თუ სხვა საგნებს;

ვარჯიშობდნენ მძიმე ქვის კერით მანძილზე (ვინ უფრო შორს გადააგდებდა);

**სწევდნენ** მჯდომარე და მწოლიარე ადამიანს, სხვადასხვა სიმძიმეს (ქვას, სახვნელს და ა.შ.) - ბეჭით, კბილებით, ცალი და ორივე ხელით დგომელა, ჩაცუცქებული და ა.შ.

**სწევდნენ და გადაჰქონდათ** ქვა დანიშნულ ადგილამდე, ან შორ მანძილზე (ხშირად უკან მოტანით);

**აგდებდნენ** მხარზე გადმოტანით, მჯდომარე ან მწოლიარე ადამიანს;

იცოდნენ ნიშანში **სროლა** ჩვეულებრივი და **კონდახიანი მშვილდის** (ქვიბურიდან), ფილთა, ტალ-კვესიანი და შაშხანა თოფის; ბავშვები ერთობოდნენ სახელე იარაღითაც.

**ცეკვები**: ფერხული, ხანჯლებით, ცერული და კომბინირებული (ერთი ხანჯლით ცეკვავდა, მეორე ცერულს და სხვა).

**თამაშობანი**: ხალხურ თამაშთა ერთი წყება დღესასწაულს (ახალ წელიწადს და სხვა) უკავშირდებოდა, ითვალისწინებდა სიფრთხილის გამოჩენას სხვადასხვა სახით, სიმბოლური შეტაკება სხვადასხვა იარაღის გამოყენებით, ძველი წლის მოტაცება, შესაწირავი ხორცის გატაცება "ყაბახი".

ხოლო, რაც შეეხება ხევსურულ ორთაბრძოლებს ცივი იარაღით ფარიკაობას, ჭრაჭრილობას, საბრძოლო რგოლებით - "სათითენით" ხელჩართულ ბრძოლებსა და ხევსურული ჯირითობის ხელოვნებას - "ცხენნი", როგორც მსოფლიოში ერთ-ერთი უნიკალური საბრძოლო ხელოვნება, იგი ცალკე განხილვას მოითხოვს.

ვასილ ელაშვილის მიერ შედგენილი ქართველ მთიელთა საბრძოლო აღზრდის სისტემათა სქემა იხილეთ დანართში.

# თავი მესამე

## საბრძოლო იარაღის მნიშვნელობა

*"მე არაფერს ვამბობ*
*ქართველებზე, რომლებსაც*
*საქართველოს გარეშე ვერსად ნახავთ*
*და რომელიც იმდენად საუცხოო,*
*კეთილშობილი, პატიოსანი, მამაცი,*
*გულუხვი და შემმართებელი ერია,*
*რომ მას სპეციალური გამოკვლევა*
*უნდა მიეძღვნას"*

*ალექსანდრე დიუმა*

საბრძოლო ხელოვნების ყველაზე სრულყოფილი და ჩამოყალიბებული სახე შემოგვინახა მთიელმა ხალხმა, უფრო გამოკვეთილად კი - ხევსურებმა. ამ სისტემას ჩვენ მთიელთა საბრძოლო სტილი ვუწოდეთ. ქართველ მთიელთა საბრძოლო აღზრდის სისტემა უნიკალური და განუმეორებელი საგანძურია ჩვენი ერისათვის.

ქართველი მთიელები მაღალ-მთიან მიუდგომელ ხეობებში ცხოვრობენ, ამიტომ საქართველოს სხვა კუთხეებთან მათ ნაკლები ურთიერთობა ჰქონდათ. ბუნებრივია, რომ ეს მთიანი კუთხეები - სვანეთი, ხევსურეთი, ფშავი, ხევი, თუშეთი, რაჭისა და აჭარის მთიანეთი თავიანთი ყოფით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან და სხვა რეგიონებისაგან. მთიელები ცხოვრობდნენ საქართველოს ჩრდილო საზღვარზე, ისინი წარმოადგენდნენ ფარს ქვეყნისათვის, დამპყრობთა ხელყოფისაგან დამცველ ძალას. ამიტომაც მუდმივ საბრძოლო ფორმაში და მზადყოფნაში უნდა ყოფილიყვნენ. ყოველივე ამან განსაზღვრა მთიელი მამაკაცის სამხედრო წრთობის მიმართულება. მთავარი ამ საქმეში იყო საბრძოლო ჩვევებისა და იარაღის ცოდნა, მისი ხმარება და სრულფასოვანი მეომრის მომზადება.

სანამ უშუალოდ მთიელთა საბრძოლო სტილზე გადავიდოდეთ, უპრიანია, გავიხსენოთ, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა მთიელისათვის საბრძოლო იარაღს, მის დამზადებას, წრთობას, ხმარებას, შენახვასა და გადაცემას.

ქართული საბრძოლო იარაღის ისტორია განუყრელია სამხედრო ისტორიისაგან, რომლის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენს: 1. ბრძოლების ისტორია; 2. საბრძოლო ხელოვნებათა ისტორია (იარაღიანი და უიარაღო შერკინებების ფორმები და საშუალებები); 3. სამხედრო ძალათა ისტორია (არმიათა სახეობები); 4. სამხედრო ტექნიკის ისტორია, მათ შორის იარაღისაც; 5. სამხედრო აზროვნების ისტორია.

სამხედრო ისტორიკოსებმა, იარაღთმცოდნე მეცნიერებმა და ეთნოგრაფებმა ყველა ამ კომპონენტის შესწავლის შემდეგ საკვლევი პერიოდის სამხედრო საქმის განვითარების სრულფასოვანი სურათი მოგვცეს (ასევე სრულად წარმოადგინეს ამ პერიოდში არსებული საბრძოლო იარაღების ევოლუციის სურათიც).

ბევრმა ქართველმა მეცნიერმა (ვ. ელაშვილი, კ. ჩოლოყაშვილი, მ. გიორგაძე, ს.მაკალათია, ა. რობაქიძე, ა. ციბაძე, გ. კახიძე და სხვა) გამოიკვლია და "გამოაცოცხლა" ძველი საქართველოს სამხედრო ისტორია, მეომრის ფსიქოლოგიური ასპექტები და ორთაბრძოლის საშუალებები. მათ გვიჩვენეს, თუ როგორ შეეძლოთ ქართველ მესაჭურველეებს საბრძოლო იარაღისათვის უნიკალური ფოლადის შექმნა და მისგან შეუდარებელი იარაღის დამზადება,[28] ხოლო ქართველ მეომრებს - ამ საბრძოლო იარაღის ვირტუოზულად და ყველასაგან განსხვავებულად ხმარება.[29]

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ საქართველო, ისევე როგორც ინდოეთი, მსოფლიოში სახელგანთქმული იყო საუკეთესო ფოლადის წარმოებით. ასეთ ცნობებს გვაწვდის მსოფლიოში კარგად ცნობილი რუსი მეტალურგი და მესაჭურვლე პ. ანოსოვი; იგი აღნიშნავს: "Сварочные булаты, отличающиеся внутренним достоинством, приготовляются преимущественно в

Азии, например: в Индии, Турции и Грузии и что булаты могли сохранить постоянную ценность по настоящее время и в Японии, и в Китае, и в Индии, и в Персии, и в Бухаре, и в Турции и в нашей Грузии ".[10]

ქართული ფოლადის წარმოების ოსტატები იყვნენ - გიორგი, ყარამან, ეფრემ ელიზარაშვილები, რომლებიც ასევე საუკეთესო მესაჭურვლეებადაც ითვლებოდნენ. ეს ხელობა გიორგი ელიზარაშვილმა შვილებს გადასცა. ისტორიულ ცნობებში ნათქვამია, რომ ფოლადის დამზადების საიდუმლოება ელიზარაშვილმა მიიღო თავისი წინაპრებისაგან.

გამოკვლეულია, რომ ელიზარაშვილი მოღვაწეობდა XIX საუკუნის პირველ ნახევარში. იმ დროს რუსეთი სერიოზულ ყურადღებას აქცევდა ხარისხიანი იარაღის დამზადებას. რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ პირველის დავალებით, იმდროინდელი იარაღების ქარხნების მფლობელმა და ამავე დროს ფინანსთა მინისტრმა კანკრინმა დაავალა გენერალ პასკევიჩს, რომ მოეძებნათ ყველაზე საუკეთესო მესაჭურვლე. გენერალმა პასკევიჩმა დახმარებისათვის სახელგანთქმულ, შთამომავლობით მესაჭურვლე ოჯახს - ელიზარაშვილებს მიმართა. ფოლადის წარმოების ხერხები საიდუმლოდ ინახებოდა, მაგრამ ყარამან ელიზარაშვილმა 1828 წელს რუსეთს გადასცა ქართული ფოლადის ხმლის წარმოების რეცეპტი (პირველი საიდუმლო 7 წლიანი ბულატის). მან ამ რეცეპტით დაამზადა უმაღლესი ხარისხის ხმალი და ხანჯალი (4 ნიმუში), რომლებიც გენერალმა პასკევიჩმა გადაუგზავნა ნიკოლოზ პირველს. ელიზარაშვილის მიერ დამზადებული თბილისური ხმლების ხარისხზე რუსულ მატიანეში შემდეგი ჩანაწერი არსებობს: "При испытании клинков этого булата, отсекали одним ударом голову быка или коровы". ქართულმა საბრძოლო იარაღმა ისეთი აღიარება ჰპოვა, რომ ყარამან ელიზარაშვილი დიდი ოქროს მედლით დააჯილდოვეს, რომელზედაც ეწერა "За полезное". ახლა ყველა ეს იარაღი ერმიტაჟსა და სხვა ისტორიულ მუზეუმებში ინახება. გარდა ამისა, რუსეთის მთავრობამ თბილისელ მესაჭურვლე ელიზარაშვილებს თხოვნით მიმართა, რათა მათ კარგად ესწავლებინათ რუსეთიდან მივლინებული რუსი მოწაფეებისათვის ქართული ფოლადის ხმლის დამზადება. ეს მოწაფეები იყვნენ ზლატოუსტის ქარხნის ორი მოწინავე მესაჭურვლე ე. იუკაკოვი და ა. ეოლფერცი; ასევე მათი შეგირდები: დიატლოვი და ივანოვსკი. თბილისელმა მესაჭურვლეებმა კეთილსინდისიერად შეასწავლეს რუს კოლეგებს თავიანთი ხელობა და 1832 წელს, მათი ხელით მეორეჯერ გაუგზავნეს ნიკოლოზ პირველს თავიანთი ნახელავი ხმლები, რისთვისაც ყველანი დიდი ფულადი პრემიით დააჯილდოვა რუსეთის მთავრობამ. ორწლიანი სწავლების შემდეგ ელიზარაშვილის რუსმა შეგირდებმა ზლატოუსტის ქარხანას არაერთი სარგებელი მისცეს. როგორც მაშინდელი რუსი სამხედრო ისტორიკოსები აღნიშნავენ, რუსეთში საუკეთესოდ აღიარებულ იქნა მხოლოდ ის ხმლები, რომელთა პირზე იყო წარწერა: "1832", "1833" და "1834" წლები რაც ყარამან ელიზარაშვილის რუსი შეგირდების მოღვაწეობის წლებს ემთხვევა.[11]

ასევე გამორჩეულ მესაჭურვლეებად ითვლებოდნენ გუდამაყრელი და ხევსური ოსტატებიც.

მაინც რა მნიშვნელობა ჰქონდა საბრძოლო იარაღს ქართველი მთიელისათვის?

სვანებში, ფშავებში, მოხევეებში, მთიულებში, გუდამაყრელებსა და, განსაკუთრებით, ხევსურებში დღესაც შემორჩენილია საბრძოლო იარაღის უამრავი ნაირსახეობა. მათ შორის შუბი, საფარი, სატყორცნი და ცეცხლსასროლი იარაღი, რომელთაც მთიელი მამაკაცი კარგად ფლობდა (წლოვანების შესაბამისად). საქართველოს ამ მთაგორიან რაიონებში ცხოვრების პირობები ქალსაც კი კარნახობდა, განსაკუთრებულ შემთხვევაში საბრძოლო იარაღი ხელში აეღო და მამაკაცთან ერთად ებრძოლა.

სადაც არ უნდა ყოფილიყო მთიელი, რითაც არ უნდა ყოფილიყო დაკავებული, ყოველთვის უნდა ჰქონოდა იარაღი - თუნდაც მალულად. საბრძოლო იარაღი იყო მისი მუდმივი თანამგზავრი და ყველაზე დიდი სიმდიდრე. ამის დამადასტურებელია ჩვენი ეროვნული ტანსაცმელი, რიტუალები, წეს-ჩვეულებები, იარაღის გაცვლის ტრადიცია და ა.შ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მთიელი არასოდეს შორდებოდა იარაღს. იყო გამონაკლისებიც - მაგალითად, ტაძარში და სტუმრად ყოფნის დროს, ტრადიციის მიხედვით, იარაღი სახლის პატრონს ბარდებოდა. მაგრამ ამ შემთხვევაშიც (დაფიქსირებულია ხევსურეთში) ზოგიერთ მთიელს მაინც ჰქონდა თან მალულად დამცველი იარაღი - სპეციალური უბის ფარი. გარდა ამისა, ხევსურეთისა და ფშავში გავრცელებული იყო ტანსაცმლის სხვადასხვა არეებში, განსაკუთრებით, თავსაბურავებში (ქუდებში) დამცველი მოწყობილობების



ების ფარი, რომელსაც ატარებდნენ ხოხის ქვეშ; ების ფარით იგერიებდნენ მრავალ შეტევას (ე. ელაშვილის არქივიდან).

სტენება. მაგალითად, ხის ან ლითონის ფირფიტები, ლითონის რგოლები ქსელის გირგოლი.

საბრძოლო აღჭურვილობაში ამ ერის დამოკიდებულებაში მოიყვებში მათი გამოყენების და დანიშნულების მრავალი ფორმა და- და.

ქართველ მთიელთა საბრძოლო იარაღი მიზნობრივი და ნიშნების მიხედვით იყოფა სამ ჯგუფად: საბრძოლო, კომბინირებული და საფარველი "საჭურველ" იარაღებად.

საბრძოლო იარაღები, მათ- რის მიხედვით ..., იყოფა შემტევ და საფარბად. შემტევი, ანუ თეთრი დაბაა: ქართულში საჭრეველი ხმალი, დაშნა, ხანჯალი-სანჯ ჯიბის დანა, ერსა; სატყორცნი: შურდული, კვერნაწარა, მშვილდისარი, აღიმშვილდო, ქვემეგრი, ანუ კოსდასისი მშვილდისარი, კაპარჯი, ცეცხლსასროლი, ტყვიასი თოფი, დამბაჩა და ხელა. რაც შეეხება საფარ (დასაცავ) იარაღს, იგი იყოფა ორ ქვეჯგუფად: აქტიური დაცვის იარაღები: ფარები, ლურჯი დიდი ფარი - ლელამფარი, მრგვალი ფარი - ბულნი, მაღალი ფარი - ების ფარი და პასიური დაცვის იარაღები: საქაბნო, ჯაჭვის პერანგი, საბულეები, ჯაჭვის საყელოები, სათვალეები, გირგვლიანი ქუდი და სხვა.

კომბინირებული იარაღი შედგებოდა შემდეგი ნაირსახეობებისაგან: ხმალ-ჯოხი (ყავარჯენში ჩამალული ხმალი), ჯოხ-დაშნა (ჯოხში ჩამალული დაშნა), შუბ-ჯოხი (ჯოხში ჩამალული შუბის წვერი) ნაწილობრივ ების ფარი, ნიადაგ სასხარი სანჯალი და სხვა.

ხმალ-ჯოხსა და ჯოხ-დაშნას, ჩვეულებრივ, ხმლისა და დაშნისაგან შედარებით, ზომით პატარა (მათ გალესილი იარაღისაგან ამზადებდნენ), რის მეშვეობითაც, მაგალითად, ჯოხ-დაშნა ადვილად იმალება სახელოში ან ზურგს უკან ტანსაცმლის ქვეშ. ხმალ-ჯოხი წარმოადგენს ყავარჯენში ჩამალულ ხმალს. ჩვეულებრივ მას იყენებდნენ ბერიკაცი ხევსურები, ისინი თან ატარებდნენ ასეთ იარაღს და საჭიროებისას იყენებდნენ მას.

ების ფარის ფორმა ბევრ შემთხვევაში ოვალურია, მისი ზომა და წონა, ჩვეულებრივ ფართან შედარებით, მცირეა. ფარის მოქლონები (ლურსმნები) გაკეთებულია ფერი მაღალი ქუდებით. ისინი აგრეთვე გამოიყენებოდა შემტევ იარაღად, გამკაწრავი დარტყმების მისაყენებლად: ების ფარს ასევე შეეძლო მოწინააღმდეგის იარაღით მძლავრი შეტევის შეკავება მოეგერიება. მოხმარების დროს ეს ფარი ვერტიკალურად ან ჰორიზონტალურად ეჭირათ. აქტიური დაცვის ამ იარაღს ატარებდნენ ხოხის ქვეშ, ებეში, მტერთან მოულოდნელი შეხვედრისათვის და სწორედ აქედან მიიღო მან სახელწოდება ების ფარი. თუ ხევსურს, რაიმე მიზეზის გამო, ხელთ არ ჰქონდა ხმალი და ჩვეულებრივი ფარი, მაღალი იარაღი ყოველთვის მასთან იყო. ამგვარად, ხევსური იარაღის გარეშე არ რჩებოდა მტრის წინაშე.



ხისგან დამზადებული საეარჯიშო, ანუ სარჩეეი იარაღი (ზევიდან): დაწნული ფარი, დაშნა, ხმალი (ე. ელაშვილის არქივიდან).

**სავარჯიშო, ანუ საწვევი იარაღი.** საწვევი იარაღი საბრძოლო იარაღის ასლი იყო. იგი მზადდებოდა ხისაგან და რბილი ლითონისაგან. გამოიყენებოდა ხის ხმლები, დაშნები, ფიცრის, ან დაწნული ფარები. საბავშვო სათითხი (საბრძოლო ბუკლები — კახეთში) ნესტარი კი მავთულისაგან, ან ლითონისაგან მზადდებოდა. მთელი ბავშვები ახდღნენ ხანჯლებ და სხვადასხვა იარაღებს.

საბრძოლო იარაღის დიდ მნიშვნელობაზე მიგვანიშნებს ისიც, რომ გაცვლების დროს იარაღი ფულის ეკვივალენტურ ფასეულობად ითვლებოდა.

მთიელთა წესის მიხედვით, ოჯახის გაყრის დროს გარდაცვლილი მამის ქონება შორის თანაბრად იყოფოდა. მაგრამ ეს წესი არ ეხებოდა საბრძოლო იარაღს. მამის ერთი მთავარი იარაღი გადაეცემოდა მხოლოდ უფროს ვაჟს.

მთიელები იარაღს მიაწერდნენ ზებუნებრივ ძალას და, ამიტომაც, მან შეაღწია მთიელი ხალხის ყოფის ყველა სფეროში და სულიერ ცხოვრებაშიც შესაბამისი ანარეკლი მიიღო. ასე, მაგალითად, ღვთისკერძოთაგან ხალხის დამცველი ღვთაება კოპალა ხევსურებს წარმოდგენილი ჰყავდათ თავიდან ფეხებამდე იარაღასხმული, გოგუთით, ლახტით და მშვილდისრით ხელში.

ჩვეული იყო ტაძრებში იარაღის შეწირვის შემთხვევები. თუშეთის, ხევსურეთის, ფშავის, ხევის და სხვა სალოცავებში დღემდე პოულობენ ცივი იარაღის ნაწილებს — მშვილდისრების, ისრის ზროებისა და შუბის წვერებს. ეს არა მარტო იარაღის მნიშვნელობაზე მიგვითითებს, ასევე იმ დროის ტრადიციაზე, რომელიც საწყისს იღებს უძველესი დროიდან. შეწირულ იარაღს საეკლესიო იარაღს უწოდებდნენ; ის ეკუთვნოდა მთიელ ხალხს. ტაძარში იარაღის შეწირვის ერთ-ერთი მიზანი, მისი სიძველე ადგილზე შენახვა წარმოადგენდა, რათა ხალხს დიდხანს დაემახსოვრებოდა — ვის ეკუთვნოდა ეს იარაღი, როდის და რატომ შეწირეს იგი ხატს. მაგალითად, არხოტის ერთ-ერთ ეკლესიის ჯვარში შეწირული მშვილდის ტარი ახლაც კარგად ახსოვთ არხოტელებს.

საკულტო სალოცავში იარაღის შეწირვა ატარებდა სარწმუნოებრივ შინაარსს: თუ იარაღით ცოდვა იყო ჩადენილი, მისი სატიისთვის შეწირვით ცოდვისმქმნელი იხსნიდა ღვთის შეჩვენებისაგან. მახსოვს ერთი გადმოცემა: ხევსი თემის მეზობელ ფშაველ ხოველ ბელადაურიაში ერთი ასეთი შემთხვევის და გადმოცემის ერთ-ერთის თავხედის ფშაველის, თან დოქიც მიჰყოლა (რაც ერთად ახასიათებდა ფშაველებს): "ცხვირმოდო" (თავის სახელით) ბელადაურმა ტრიში არ შეიმჩნევია, კაც მან, კაც დაუწყე, ეშმაკი ელვარე წერილს". ბელადაურმა ადგო თავისი "ცხვირმოდი" ტყვია ჰკრა მკვეხარა ფშაველს, გამობრუნდა, მივიდა ციხეგორის ხატში (ფშაველების ერთ-ერთი დიდი სალოცავია) თოფი საყუდა სალუდე ქვაბში (შესწირა ჯვარს) და ინციდენტიც ამოწურულად ჩათვალა.[2]

მთიელი დედა, როცა მშობიარობისათვის ემზადება, ბალიშის ქვეშ ხანჯალს იდებს, რათა არ მიუშვას ავი სულები ახალშობილთან (ყველა მთიელი კუთხისათვის წესია). ზოგჯერ მშობიარეს ხანჯალი ხელში ეჭირა (ფშავი), ხოლო მეუღლე, ან რომელიმე ახლო ნათესავი იარაღით ხელში ახლომახლო იმყოფებოდა, რათა სროლით გაედევნა ეშმაკები და შეემსუბუქებინა ქალისათვის მშობიარობის სიმძიმე. მეორე მხრივ, ახალშობილისათვის გაეცნო მამაცობის პირველი გაკვეთილი.[3]

ამავე მიზნებით, ბავშვის აკვანს აბამდნენ ხმალს, ან დაშნას, ანდა თავქვეშ უდებდნენ დანას. ბავშვის ავადმყოფობის შემთხვევაში წყალში დებდნენ ხმალს, ხოლო შემდეგ ბანდნენ ბავშვს ამ წყლით.

იარაღს არანაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა "ჯერისწერის" დროს. ტაძრისაკენ და სახლისაკენ მიმავალ გზაზე ახალდაქორწინებულებს აუცილებლად შეიარაღებული ახლობლები და ნათესავები - მაყრები აცილებდნენ, რომლებიც განასახიერებდნენ ყოველნაირი უბედურებისაგან დამცველ ძალას, ანუ მაგიური ძალის მფლობელს. მომავალში იგი გადაიქცა ქორწილის ჩვეულებრივ დამატებად.[4]

ამასვე განეკუთვნება ფართოდ ცნობილი ტრადიცია — ახალდაქორწინებულთა გავლა გადაჯვარედინებული ხმლების, ან ხანჯლების ქვეშ. ფშავში ახალდაქორწინებულები სახლში შესვლამდე ცივი იარაღით გარს უვლიდნენ სახლს და ურტყამდნენ კედლებს. თუშეთში პატარძალს კარებთან უნდა გადაებიჯებინა ხანჯალზე ან ქუდზე: მოახლოვებული სტუმრები კი თოფის სროლით ამცნობდნენ სოფელს ამის შესახებ.[5]



იარაღი და თავდაცვის საშუალებები საქართველოში. ნახატი ნ. ბრაილაშვილისა.

სვანური ქორწილის დროს ხდებოდა ქალიშვილის სახლში მალულად "ტყვიის შეგდება" ანდა, თოფის გასროლა მის კარებთან შემდეგი წამოძახილით: "დღეის იქით ეს ქალიშვილი ჩვენია".*

საბრძოლო იარაღს დაკრძალვის დროსაც იგივე მნიშვნელობა ენიჭებოდა. მაგალითად, ხევსურეთში გარდაცვლილს მარჯვენა ხელში აჭერინებდნენ ხმალს, მარცხენაში ანთებულ სანთელს და წარმოსთქვამდნენ: "მშვიდობიანად იმგზავრე იმ ქვეყანაში, გზა შენთვის ხსნილია. შენი სულისათვის გზა ნათელია, ნუ დარჩები სიბნელეში, არ შეშინდე, ხმლით მოიგერიე მტერი, იყავე გულმაგარი". ხოლო დატირების დროს ჭირისუფლები გარდაცვლილის ხანჯალს, ან ხმალს დებდნენ და მასზე აფრქვევდნენ ცრემლებს. შემდეგ მიცვალებულის პატივსაცემად ეწყობოდა მხედართა და მეომართა ჯირითი - ცხენ-მხედარნი ციცაბო კლდიდან ეშვებოდნენ უნაგირის გარეშე. დასაფლავების შემდეგ, რამდენიმე ხნით იკრძალებოდა შრომა და თოფის სროლა. ამ წესის დარღვევა ლაჩრობად ითვლებოდა და ხშირად შულში გადადიოდა. აკრძალვის მოხსნისათვის სრულდებოდა შესანდობარი და ამის შემდეგ შეიძლებოდა მუშაობაც და სროლაც. ასეთი წესი იყო მთელ ხევსურეთში, არხოტის გარდა, რადგან არხოტი მდებარეობდა სასაზღვრო ზოლში, თოფის სროლის აკრძალვა სახიფათო ხდებოდა. სროლა მხოლოდ დაკრძალვის დღეს არ შეიძლებოდა.

საბრძოლო იარაღს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ვაჟკაცის კაი ყმად გამოცხადების დროს. როდესაც ყმაწვილს უსრულდებოდა 15 წელი, ხევისბერი მას საზეიმოდ გადასცემდა ოჯახის საბრძოლო იარაღს. ამას წინ უძღოდა ფყეხონზე ყმაწვილის ღირსებებზე საუბარი და საერთო ნებასურვილი: "დროა, ამ ვაჟმა აისხას იარაღი". ხდებოდა ისეც, რომ უახლოესი საერო, თუ საეკლესიო დღესასწაული შორს იყო, მაგრამ ცხოვრება თავისას ითხოვდა მაგალითად, ლაშქრობის დრო იყო; მაშინ მამა (ან ვინმე ოჯახის უფროსი თაობიდან) თვითონ გადასცემდა შვილს საბრძოლო იარაღს და აკურთხებდა საგმირო საქმეებზე.

ასევე უნდა გავიხსენოთ, რომ მრავალი ასეული წლის განმავლობაში საბრძოლო იარაღი, ხანჯალი, ხმალი, წარმოადგენდა ქართული ეროვნული ტანსაცმლის (ჩოხის) აუცილებელ ელემენტს. ხევსურულ ტანსაცმელში ყოველთვის გათვალისწინებული იყო ადგილი საბრძოლო სათითურისათვის (ბეჭედი კასტეტებისათვის), ქართულ ჩოხას ჰქონდა, ხმლისა და ხანჯლის ჩამოსაკიდი ადგილები, უფრო გვიან გაჩნდა სავაზნე ჯიბეები.

როგორც უკვე აღვნიშნე, იარაღი ითვლებოდა ოჯახურ რელიქვიად და იგი საზეიმოდ გადაეცემოდა შვილებს. ეს წარმოადგენდა იმ მაჩვენებელს, რომლითაც განისაზღვრებოდა მთიელის სრულწლოვანება. ბოლოს - ვაჟკაცობისათვის პირადი საბრძოლო იარაღით დაჯილდოება, რომელიც მიმდინარეობდა განსაზღვრული რიტუალით, ბევრს ამბობს იარაღის სასიცოცხლო და საბრძოლო მნიშვნელობაზე.

მთიელებში ის მხარე, რომელსაც საუკეთესო ხარისხის საბრძოლო იარაღი ჰქონდა და გამორჩენილი იყო თავისი გამარჯვებებით, სარგებლობდა შესაბამისი ავტორიტეტით. ის ოჯახი, რომელსაც ასევე გააჩნდა საუკეთესო საბრძოლო იარაღი, დიდი პატივით სარგებლობდა. თანაბარი ფიზიკური და საბრძოლო მომზადების დროს, საუკეთესო იარაღის ქონა ხშირად წყვეტდა ორთაბრძოლის ბედს...

# თავი მეოთხე

## ძალ-ღონის განმავითარებელ ვარჯიშთა მნიშვნელობა

*"გული ვერ მოჰკლა მტრის ხელმა,*
*გული გულადვე რჩებოდა"*

*ვაჟა-ფშაველა*

მსოფლიოში ყველა ხალხის ეროვნული გმირები, გარდა მოაზროვნეებისა, წარმოადგენენ ფიზიკურად ძალიან ძლიერ, სწრაფ, გამძლე და მოქნილ ადამიანებს.

ქართულ ეპოსში ამ თვისებებით გამოირჩეოდნენ სახალხო გმირები, აგრეთვე მითიური არსებანი, კეთილი და ბოროტი პერსონაჟები. კეთილი საწყისის მატარებლები, ნამდვილი გმირები (ამირანი, უსუპი, კოპალა, იახსარი და სხვა) ადამიანთა თანამდგომნი და ბოროტების დამთგუნველნი იყვნენ, ხოლო ბოროტი ძალის განსახიერებანი-დევ-კერპნი (ცხრათავიანი, ბაყბაყ დევი, კოჭკუჯღმართი, ეშმა-ქაჯნი და სხვა) - სიკეთის წინააღმდეგ მებრძოლი უწმინდურნი. ისინი დიდ ფიზიკურ ძალას ფლობდნენ. ლეგენდებისა და მხატვრულ ნაწარმოებთა გმირების ("ვეფხისტყაოსნის", "ამირან-დარეჯანიანის", "როსტომიანის" და სხვ.) მუდმივი შერკინებები დევებთან და მითიურ გოლიათებთან, როგორც წესი, ამ უკანასკნელთა დამარცხებით მთავრდებოდა, რადგანაც მითიური გოლიათები თავიანთი გონებრივი განვითარებით სახალხო გმირებზე დაბლა იდგნენ.

ქართველი მთიელები ახალგაზრდობის აღსაზრდელად ბაძავდნენ ეპოსის ღადებით და ძლიერ გმირებს, ისეთებს, როგორიცაა, მაგალითად, ამირანი, ცისკარა, ტარიელი და სხვა, ახალგაზრდობაც ესწრაფოდა ამგვარ ფიზიკურ სრულყოფას. ასე რომ, ბუნებრივია, ახალგაზრდათა საბრძოლო მომზადების სისტემებში შედიოდა მძიმე საგნების აწევა-გადატანის, ტყორცნისა და ორთაბრძოლების ხელოვნებებიც, რომლებიც დაღებით შედეგებს იძლეოდა.

მთიელი ვაჟკაცის ფიზიკური წრთობის და სიმაგრის ერთი ძირითადი, თავდაპირველი წყარო და საშუალება იყო თვით მთის ბუნებით განსაზღვრული საყოფაცხოვრებო პირობები. ადრეული ბავშვობიდანვე (5-6 წლის ასაკიდან) მოზარდი ჩაბმული იყო საოჯახო შრომაში (მწყემსობა, თიბა-მკა, გულება და ა.შ.) და ასაკობრივ ზრდასთან ერთად იზრდებოდა როგორც მოყალეობა, ისე ფიზიკური შესაძლებლობანი - ორგანიზმის ანატომიური სრულყოფა. რად ღირდა, თუნდაც, ბუნებრივ სტიქიასთან (ქარიშხალი, წვიმა-სეტყვა-ნიაღვრები, მეწყერი, წყალდიდობა, თოვლის ზვავი და ა.შ.) მუდმივი რკინება. შრომითი ფიზიკური წრთობის გაგრძელება და სრულყოფა იყო სპეციალური ვარჯიში, დაოსტატება.

ხალხური ზეპირსიტყვიერების, არქეოლოგიური და, მითუმეტეს, ეთნოგრაფიული მასალებიც უტყუარად ამტკიცებენ ზემოთქმულს. ძველ სვანურ კოშკებში ნაპოვნია სხვადასხვა ფორმის მომრგვალო ქვის ლოდები. ისინი კოშკის ალყის პირობებში დამცველ საშუალებად გამოიყენებოდა. ლოდებით ვარჯიშისას - მათი აწევით, გადატანით, ტყორცნით, დაგორებითა და გდებით ადამიანი ძლევს მათ წონას.

სიმძიმეების აწევასა და ძალოვან ჭიდილს ჰქონდა მასობრივი ხასიათი. ამაზე მიგვანიშნებს XV საუკუნის კარაბადინიც, რომელშიც ნათქვამია, რომ ამ დროს ბევრნი იყვნენ მუშაითნი (ჯამბაზნი) და ლოდების ამწევნი.[37] მასში მოყვანილია ასეთი შემთხვევა: მეფესთან ღარიბი მოხუცი სამოწყალოდ მისულა და დახმარება უთხოვია. მეფეს უთქვამს: მოხუცო, რამდენსაც შენი ზურგი ასწევს, შენიაო. მოხუცს ზურგზე დაადეს 900 ლიტრა მარცვლით სავსე ტომარა. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით "ლიტრა" უდრის 264 გრამს, ე.ი. 900 ლიტრა უდრის 238 კგ-ს.[38] მოხუცს უცდია მისი ბოლომდე წაღება, მაგრამ ვერ გაუთვლია საკუთარი ძალა, რამდენიმე ნაბიჯზე შეჩერებულა. შემდგომში მას გადაუტანია ეს ტვირთი ნაწილ-ნაწილ. მაგრამ ის, რომ მან გაუძლო 238 კგ-ს თუნდაც მცირე მანძილზე, იმდროინდელ მამაკაცთა ძალაზე მეტყველებს.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში დაცულია ცნობა იმის შესახებ, რომ სიმძიმეების აწევაში, შეჭიდებაში, ხტომასა და ცურვაში შეჯიბრებები იმართებოდა. სიმძიმის აწევას "ლოდის აზევინება" ან "აზიდვა" ერქვა. შეჯიბრებათა ამ სახეობაში სანაძლეოც კი იდებოდა. თუ შეჯიბრებების დროს, უმცირესი რაიმე "წყენას" მიიღებდა, სამართლის წიგნი დაზარალებულის უფლებებს იცავდა.[39]



"ორი ქართველი მთიელი ფალავნის გამოცდა მძიმე საგნის რკინის ხელკეტებით აწევაში" ("არძანის აწევა" სვანეთში).

სიმძიმეების აწევაზე და "უძლეველისათვის" მის დიდ მნიშვნელობაზე მიგვანიშნებს ეპოსი "ამირან-დარეჯანიანი", რომლის მიხედვითაც გმირმა ვერ შეძლო მისი მეტოქე აბრის ერთი ფეხის აწევაც კი. ეს კი იმაზე მიგვითითებს, რომ სახალხო გმირს დიდი ფიზიკური ძალა უნდა გააჩნდეს. ამ ძალის განვითარება კი შესაბამის ვარჯიშებს მოითხოვდა.

შემთხვევითი არ იყო XVII საუკუნეში ტერმინის "არძანი" გაჩენა, რომელიც სავარჯიშო საგანს აღნიშნავდა. საბა ასე ხსნის ამ ტერმინს: "არძანი არს ქვა კაცთაგან აღებად საჭირო, საჭირო ნიშნავს სიმძიმეს".[40]

ასევე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ვარჯიშები სრულდებოდა ხელოვნურად შექმნილი სიმძიმეებითაც. ასე მაგალითად, ხალხური პოეზიიდან ვიცით, რომ წინა საუკუნის დასასრულს მდინარე არაგვის სათავეებიდან იახსარმა ასწია სამოც ფუთიანი რკინის ზოდი.[41]

"ამირან-დარეჯანიანიდან" ჩანს, თუ როგორ ცდიდნენ ფალავნებს სპეციალური სიმძიმეების აწევაში. ამისათვის თუჯისაგან ჩამოასხეს 400 ლიტრის (105 კგ-ის) საგანი. ფორმით იგი წისქვილის ქვას წააგავდა. მას შუაში ხვრელი ჰქონდა გაკეთებული. გამოჭედეს რკინის ხელკეტებიც. ძლიერეს ფალავანს უნდა ჩაეჭიდა ეს რკინის ხელკეტი ხვრელში და შემდეგ აეწია საგანი. ნაწარმოების გმირებმა ხევდაველმა და ამირანმა დათქვეს, რომ გამარჯვებულს მთელი წლის განმავლობაში დამარცხებული ემსახურებოდა.

ხევდაველმა სიმძიმე მიწიდან ერთი იდაყვის სიმაღლეზე აზიდა, ამირანმა კი მკერდამდე და გადაიტანა სამ ნაბიჯზე. ამით ამირანი სახელოვანი გმირი გახდა.[42]

ფართოდ იყო გავრცელებული სხვადასხვა საგნების არა მარტო აწევა, არამედ ვარჯიშის მიზნით მათი გადატანა და ტყორცნაც. ამ ვარჯიშების არსებობა დასტურდება აგრეთვე სოხუმის სამხარეო მუზეუმში გამოფენილი "ჯიჯავაძის ქვით", რომელიც ნაპოვნია სოფ. შუაგანახლებაში. იგი დიდ ყუთის, ან გაბრტყელებულ კონუსს მოგვაგონებს და იწონის 40 ფუთს, ანუ 640 კგ-ს. მის ზემო ნაწილში ხელის გასაყრელად გაკეთებულია ხვრელი.

გადმოცემის მიხედვით, ვინმე ჯიჯეო ჯიჯავაძე, დევგმირული აღნაგობის კაცი, ყოველ დილას ტანს იბანდა ყინულოვანი წყლით, ქვის ხვრელში გაუყრიდა მარჯვენა ხელს, ასწევდა მას ზევით და სახლის გარშემო შემოატარებდა, ხოლო ამ დროს მარცხენა ხელით თმას ივარცხნიდა (ამდენად მსუბუქი იყო მისთვის ეს ტვირთი).

რომელ საუკუნეში ცხოვრობდა ეს ათლეტი, არავითარი ცნობები არ არსებობს. ძნელია იმის მტკიცება, რომ ვინმეს შეეძლო ასეთი სიმძიმის არა მარტო აწევა, არამედ მასთან ერთად თმის ვარცხნაც.[43] მაგრამ თვით ეს გადმოცემა, ქვის დამუშავება, მასში ხვრელის გაკეთება - ყველაფერი ეს ისტორიული ფაქტებია. ქვაში ხვრელის გაკეთება საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებმა ადამიანმა ჯერ კიდევ ნეოლითის ხანაში იცოდა. "იმდენად განვითარდა კაჟისა და ქვის სხვა სახეობის დამუშავების ტექნიკა... რომ უკვე შეეძლოთ მასში სახელურისათვის ხვრელების გაკეთება".[44]

უკვე XII საუკუნეში ცნობილი იყო საბრძოლო ქმედებებში ქვების, როგორც იარაღის, გამოყენება, რასაც ამტკიცებს შოთა რუსთაველის პოემა "ვეფხისტყაოსანიც", რომელშიც აღწერილია, თუ როგორ გამოიყენეს ტარიელისა და ფრიდონის ჯარებმა ქვების ტყორცნის ხელოვნება:

"ფიცხლად წაუვლეთ ქალაქი, არ თავნი გაავაზანტენით;
ქვითა დაელეწეთ წვივები, ჩვენ იგი გაუანატენით".[45]

ამ საკითხს ეხება ქართველი მეცნიერი მ. მახათაძე და წერს, რომ ჯერ ერთი - აქ ქვას, როგორც იარაღს ისე იყენებდნენ, თანაც ქვებს ხელით ტყორცნიდნენ და მათ სამიზნეებს მოწინააღმდეგეთა ცხენის წვივები წარმოადგენდა.[46] ზოგი მეცნიერი ამტკიცებს, რომ ქვის სასროლად გამოიყენებოდა აგრეთვე შურდულები.[47]

მძიმე ქვით საბრძოლო-ფიზიკური ვარჯიშები მთიელ ქართველებში ძალიან გავრცელებული იყო, განსაკუთრებით ხევსურეთში, ზემო სვანეთში, ფშავში, თუშეთში, ზემო და მთიან რაჭაში და სხვა. ზოგიერთ მთიან რაიონში ახლაც შემორჩენილია სპეციალური

[illegible]ბები. მაგალითად, ზემო სვანეთში ქვის აწევას "ლაგამის" ეძახიან. ზოგიერთ სოფლებში [illegible] ოში დღემდე შემორჩენილია [illegible] (იხ. სურათი). ამ ქვებზე [illegible] [illegible] გამოყენილი.

ზემო სვანეთის სოფ. [illegible] (მესტია). [illegible] [illegible] [illegible] 85 კი-[illegible] იყო გრძე-[illegible] 9-10 [illegible] ქვის ეძახდნენ.



[illegible] (ხარის) მხრებით [illegible] (ე. ელაშვილის არქივიდან)

სატურნირო ქვების დიდი ნაწილი, მათი მცირე ფორმის [illegible] სახელწოდებ-ის [illegible], რომ ეს ქვები [illegible] და [illegible] წარმოშობის [illegible] იყო.

ქვების აწევა სხვადასხვა ხერხით სრულდებოდა და მათ სხვადასხვა [illegible] სწევდნენ. ერთ შემთხვევაში მას სწევდნენ წვივების და მუხლების დახმარებით, თუნდაც [illegible]. სხვა შემთხვევაში მუხლებამდე ან მკერდამდე. ხოლო ძალიან ძლიერებს შეეძლოთ ქვის რამდენიმე ნაბიჯით გადატანა და [illegible]. ყველაფერი [illegible] ფიზიკურ მომზადებაზე იყო დამოკიდებული. აწევის სიმაღლეზე წინასწარ [illegible]. ასეთი შეჯიბრი ჩვეულებრივ ტარდებოდა წმინდა [illegible] და კვირიკეს სახალხო დღესასწაულის დროს. გამარჯვებულს [illegible] და [illegible] აჯილდოვებდნენ.

სხვა სოფლებში ქვების აწევა სხვადასხვანაირად სრულდებოდა. ქვის ფორმისა და წონის მიხედვით. მაგალითად, სოფ. ლალამში ქვას მხოლოდ თითებით იჭერდნენ და ისე აცილებდნენ მიწას. ზოგ შემთხვევაში, ის რამდენიმე ნაბიჯით ადგილიდან ადგილზე გადააქონდათ. ხალხს კიდევ ახსოვს ისეთი გოლიათები, რომლებსაც არა მარტო აწევა და გადატანა შეეძლოთ ამ ქვებისა, არამედ - მათი 1.5-2 მეტრზე ტყორცნაც კი.



ეს მძიმე "ლაგამის ქვა" მთიელი ქართველი ყმაწვილისათვის წლითწლობით მსუბუქდებოდა (სოფ. ლაგამი, ზემო სვანეთი); (ე. ელაშვილის არქივიდან).

იმ შემთხვევაში, როდესაც ქვა ძალიან დიდი იყო, ანდა ფორმით რთული და ხელებით ნავლება არ ხერხდებოდა, მას ქამრის შემოახვევდნენ. მაგალითად, სურათზე ნაჩვენებია მომენტი, როდესაც სოფელ კალაში (ზემო სვანეთი) მხრებით სწევდნენ ზარს. ამ ვარჯიშს ასრულებდნენ სახალხო დღესასწაულების დროს. ეს ვარჯიშები მხოლოდ ღონიერ ადამიანთა, ძალოსანთა ხვედრი იყო. ამ სოფელში ასევე ხდებოდა სვანური ქუდით მძიმე ფილების კბილებით აწევაც."

ქვით ვარჯიშის სხვა სახეს წარმოადგენდა მომრგვალებული ფორმის ქვის ერთი ხელით აწევა. ქვის წონა 1.5-2 ფუთს და მეტსაც უდრიდა.

ზემო სვანეთში ტყორცნიდნენ და კრავდნენ ქვებს, როგორც გაშოქანებით, ასევე ადგილიდან. აქ მნიშვნელობა ჰქონდა სიშორესა და მიზანში მოხვედრას. ამ უკანასკნელ ვარჯიშს სვანები "ლიდა-არბ უზნალ"-ს ეწოდებდნენ. ქვის კვრის ტექნიკა ელემენტარულია და ძალიან წააგავს თანამედროვე ბირთვის ტყორცნის ტექნიკას.

ტყორცნის ტექნიკაშიც არსებობდა განსხვავებები. მაგალითად, ერთ შემთხვევაში სრულდებოდა გვერდიდან ტყორცნა, ბადროს ტყორცნის მსგავსად, მაგრამ ბრუნვის გარეშე, წინასწარი გაქნევით. სხვა შემთხვევაში ზურგიდან (მხრის გაყოლით) ტყორცნა. ქვის წონა უტოლდებოდა 8-10 კგ-ს (იხ. სურათი).



ხევსურეთი. წვრილი ქვის ტყორცნა მანძილზე და ნიშანში.

საინტერესოა, აღვნიშნოთ, რომ უფრო გავრცელებულ სახეს ადგილიდან მიზანში ტყორცნა „ლიდა-არბუნალ“ წარმოადგენდა. რაც შეეხება წვრილი ქვების სიშორეზე ტყორცნას, იგი უმთავრესად ყმაწვილებისთვის იყო. ყმაწვილები არ ერიდებოდნენ მძიმე ლოდამის ქვის გადატანასაც. ეს ქვა მათთვის წლითი-წლობით მსუბუქდებოდა.

მთიელ ახალგაზრდა ქალებს შორისაც არსებობდა ძალოვან ვარჯიშთა ნაირსახეობები, რომელთაც ძალის გამოცდა ერქვა.[51]

მეფე არჩილის (XVII საუკუნე) ცნობილ ნაწარმოებებში, უძველეს ქართულ საბრძოლო-ფიზიკურ ვარჯიშთა ჩამონათვალში არის ასევე ქვების ტყორცნაც.[52]

ქართველ მთიელთა საბრძოლო-ფიზიკური აღზრდის ძალ-ღონის გამავითარებელ ვარჯიშთა სისტემას განეკუთვნება ქართული ჭიდაობის ძალოვანი სახე, საბრძოლო ხელოვნებების ერთ-ერთი მარგალიტი - სვანური ჭიდაობა „ლიბურგიელ“.

„მოჭიდავეებს ტოლი-ტოლზე შეარჩევდნენ. ტანთ ეცვათ სვანური შალის შარვალ-ხალათი - მსუბუქად მოჭერილი ქამარი აუცილებელი ატრიბუტი იყო.

ჭიდაობა იწყება მოჭიდავეთა გამოძახებით. გამოძახებულები ნელა უახლოვდებიან ერთმანეთს, ჩაჰკიდებენ ქამარში ხელს, ან უფრო იშვიათად, ცალი ხელით მოეკიდებიან მკლავში. იმ შემთხვევაში, როდესაც მოჭიდავეს ძალის იმედი აქვს, ცდილობს მოწინააღმდეგის წელში ძალით მოტეხვას (ლაჭხუნა ლუშ).

ფეხების მოქმედება „ლიბურგიელში“ თითქმის იგივეა, როგორც ქართლ-კახურ ჭიდაობაში, იციან გარეკაური, წინკაური, მუხლის ჩაკეტვა, თეძოზე წამოღება, მოგვერდი. უნდა ითქვას, რომ მოჭიდავე, რომელსაც თავისი ძალის იმედი ჰქონდა, ფეხებს შედარებით ნაკლებად ხმარობდა. „ლიბურგიელის“ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ჭიდაობის დაწყების მომენტში სისწრაფეს არა აქვს მნიშვნელობა, ვინაიდან მოჭიდავეები მხოლოდ მას შემდეგ იწყებენ ჭიდილს, როდესაც ისინი მარჯვენა მხრებით მიეყრდნობიან ერთმანეთს და წელზე შემორტყმულ ქამარში ჩასჭიდებენ ხელს. როდესაც საჭიროა რაიმე ფანდის მოხმარება, ერთ-ერთი მოჭიდავე მუხლებზე ჩაჯდება და ცალი ხელით მიწას ეყრდნობა. სვანები ერიდებიან ჩოქზე დაცემას, ვინაიდან სამჯერ დაჩოქება წაქცევას უდრის.

საერთოდ, სირცხვილად ითვლება დაჩოქილ მდგომარეობაში წაქცევა. რაც შეეხება მიწაზე დაყრდნობას, ეს დაშვებულია და მოჭიდავეები განაგრძობენ ჭიდილს. წაქცეულად ითვლება ბეჭებზე, ან ცალ ბეჭზე დაგდებული მოჭიდავე, მკერდზე და გვერდზე დავარდნილიც. ჭიდაობა „ლიბურგიელ“ მეტწილად 2-3-ჯერ წაქცევაზე იმართება“.[53]

„თუ დასაწყისს არ მივიღებთ მხედველობაში, სისწრაფე, არც „ლიბურგიელშია“ პატივს მოკლებული. აქაც საჭიროა სწრაფი მოქმედება, ფანდების სწრაფი გამოყენება. სვანური ჭიდაობის ნაირსახეობის სახით შემონახულია ძველი ზოგადქართული ჭიდაობა. ცხადია, ამის გამო ის ძველი, პრიმიტიული ნიშნების მატარებელიც არის. თანამედროვე ქართული ჭიდაობა კი უსათუოდ მისი განვითარებისა და სრულყოფის შედეგია“.[54]

სვანეთში არის ძალოვანი ჭიდაობის ერთი სახესხვაობაც „ლიბუნძგვალ“, რაც მასობრივ-გუნდურ ჭიდაობას ნიშნავს.

სოფლის მოედნებზე ტარდებოდა საბრძოლო-ფიზიკურ ვარჯიშთა უმრავლესობა: სიარული და რბენა, სხვადასხვა ხტომები, მათ შორის ჭოკით სიგრძეზე ხტომაც; მძიმე ქვების აწევა და გადატანა, ქვების ტყორცნა და გასროლა, ჯირითი, ჯოხის, სარის და მონადირის ხელკეტის „მიჯრის“ ტყორცნა, უპირატესად ჭიდაობა „ლიბურგიელ“, მშვილდოსნობა, ცეცხლსასროლი იარაღით სროლა და ა.შ., ანუ აქ მიმდინარეობდა საბრძოლო-ფიზიკური ვარჯიშებისა და თამაშების სწავლება და სრულყოფა.

ყველა ეს ვარჯიში, თამაშობა და შეჯიბრება მთიელ ახალგაზრდებს ეხმარებოდა ბრძოლისუნარიანობის ამაღლებაში, რაც აუცილებელი იყო მათი ბუნებრივი დანიშნულების შესასრულებლად - ეს დანიშნულებაა ოჯახის, საზღვრის და ქვეყნის დაცვა.

# თავი მეხუთე

## ხევსურული ფარიკაობა, შუღლი (ჭრობა) და სათითენი

*"სიკვდილსა გლოვა უხდება,*
*მკვდარს ძმას - ტირილი დისაო,*
*ტყესა - ხარ-ირმის ნაფრენი,*
*ზოგ დროს - ყმაწვილი მგლისაო,*
*ვაჟკაცსა - ომში სიკვდილი,*
*ხელში - ნატეხი ხმლისაო,*
*ომს - ლხინი გამარჯვებულთა*
*და დამარცხება მტრისაო."*

*ვაჟა-ფშაველა*

ხევსურთა საბრძოლო-ფიზიკური აღზრდის სისტემაში ცენტრალური ადგილი უკავია ცივი იარაღის ფლობას და მასთან დაკავშირებულ ფარიკაობის ხელოვნებას. ეს უკანასკნელი გამოიხატება "ფარიკაობისა" და "ჭრა-ჭრილობის" ფორმებით, რომელთა უმაღლესი საფეხური იყო "თავ-მეთავეობა" - სისხლის აღება. იგი წარმოადგენდა მოსისხლე მტრების ბრძოლის ფორმას და, რადგანაც ცივი იარაღის გამოყენების ეს ფორმა სცილდება ჩვენი წიგნის ფარგლებს, მასზე არ შევჩერდებით; მით უმეტეს, სისხლის აღება იშვიათად ხდებოდა ცივი იარაღის გამოყენებით. ჩვეულებრივ, მოსისხლეთა იარაღს წარმოადგენდა ჯერ მშვილდ-ისარი, ხოლო შემდგომ - თოფი. იშვიათ შემთხვევაში, როდესაც "თავ-მეთავეობისას" ცივი იარაღი გამოიყენებოდა, ინარჩუნებდნენ ხევსურული ცივი იარაღის ხმარების სტილს, მაგრამ, რადგანაც ორთაბრძოლის მიზანი ამ დროს მოსისხლე მტრის მოსპობა იყო, დარტყმები ტანის ნებისმიერ არეში სრულდებოდა მთელი ძალით და ყველა ფორმით; გარდა ხმლისა და ფარისა, აქ გამოიყენებოდა ყველა სახის იარაღი."

ხევსურული ფარიკაობის ილეთები უფრო გარე მტრებთან (მეზობელ ტომებთან ლეკებთან, ქისტებთან და სხვა) ორთაბრძოლაში გამოიყენებოდა. გარე მტერთან ახლო, ანუ ხელჩართული ბრძოლების შედარებით ფართო გამოყენება განაპირობა ხევსურეთის მთიანმა ბუნებამ - ვიწრო, კლაკნილმა ბილიკებმა, ქედებმა და ტყიანმა მასივებმა, რომლებიც ხელს უწყობდა მტრის მოულოდნელ გამოჩენას და შეუძლებელს ხდიდა ორთაბრძოლას შორ მანძილზე მშვილდისრით, თოფით.

რა იგულისხმება ხევსურული ფარიკაობის ფორმებში?

ფარიკაობა წარმოადგენდა თანასოფლელ, ანდა, ერთი გვარის წარმომადგენელ ხევსურებს შორის მეგობრული, მსუბუქი ორთაბრძოლის ფორმას. ამ ორთაბრძოლებს მონაწილე მებრძოლთათვის სავარჯიშო-შეჯიბრებითი ხასიათი ჰქონდა, ხოლო გარეშეთათვის - სასწავლებელ-სანახაობრივი. ასეთი ორთაბრძოლები იმართებოდა მამაკაცთა თავშეყრის, "ფეხონის" ანდა, სხვა მშვიდობიანი შეკრებების დროს, მაგალითად, რელიგიური დღესასწაულებისას. ფარიკაობა წარმოადგენდა ხმლისა და ფარის ხმარების მოსამზადებელ ფორმას. იგი ფართოდ ისწავლებოდა 5-6 წლის ასაკიდან, რათა ბავშვობიდანვე დაენერგათ ხევსურში ცივი იარაღის ფლობის უნარი.

ფარიკაობაში ორთაბრძოლის შეტევები ხორციელდებოდა არა ალესილი პირით (ფხით), არამედ იარაღის სიბრტყითი დარტყმებით, ანუ ყუით. სამიზნე არეებს წარმოადგენდა: თავი, მხრები, ხელები - მხრის სახსრებიდან მაჯამდე. გამორიცხული იყო წელს ქვევით ზონა.

ხევსურული ფარიკაობის შემდეგ ნაირსახეობას წარმოადგენს - ორთაბრძოლა, რომელსაც დუელის სახე აქვს და რომელსაც ხევსურები შუღლს, ანუ ჭრას უწოდებენ, ხოლო კახნი-კეჭნაობას.

ორთაბრძოლის ამ სახეობაში, მოწინააღმდეგეები, აჩვენებენ რა თავიანთ ხელოვნებას, ცდილობენ მიაყენონ სხეულის განსაზღვრულ ადგილებში მსუბუქი, სისხლის წვეთის



"შულად გახდომა".

გამომღები ჭრილობები, რომელიც საფრთხეს არ უქმნის სიცოცხლეს და არ გამოიწვევს მძიმე შედეგებს. ფარიკაობის ეს ფორმა გამოიყენებოდა სხვადასხვა ეითარებაში, რელიგიური დღესასწაულების, ქეიფების, ქორწილების, ქელეხების (აღაპის) დროს, გზაში და ა.შ. (დაწვრილებით იხ. ქვემოთ).

შული, ჩვეულებრივად, ტარდებოდა ძირითადად სხვადასხვა გვარის მამაკაცებს შორის და წარმოადგენდა ჩხუბის, უსიამოვნების, უთანხმოების შედეგს, და მთავრდებოდა ნაჭრევიანობით... ეს ის მდგომარეობაა, როდესაც ცდილობდნენ სისხლის წვეთით ჩამოერეცხათ მიყენებული წყენა.[56]

სულხან-საბა ორბელიანი შულს ხსნის, როგორც ჩხუბის განსაკუთრებულ ფორმას.[57] შულის რამდენადმე გაგებისათვის ოდნავ შევეხოთ მის არსს.

როგორც ვთქვით, შული წარმოადგენს მამაკაცებს შორის ჩხუბის ნაირსახეობას, რომელიც შერკინებით (ორთაბრძოლით) მთავრდება. შულის დროს ჩვეულებრივად გამოიყენებოდა ცივი იარაღი (ფარ-ხმალი, ხანჯალი, სათითენი და სხვა). ხევსურეთში მუშტით ცემა არ იყო მიღებული, მუშტი სისხლს ვერ გამოადენდა და ეფექტიც ნაკლები იყო, რადგან სწრაფ, სერიოზულ ტკივილს ვერ მიაყენებდა მოწინააღმდეგეს. მოშულარნი ცდილობდნენ, ეჩვენებინათ ცივი იარაღის ფლობის ხელოვნება, მიეყენებინათ მსუბუქი სისხლმდენი ჭრილობა, რომელიც არ გამოიწვევდა სერიოზულ დაზიანებას და სიცოცხლეს საფრთხეს არ შეუქმნიდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოიყენებოდა შურისძიების მკაცრი წესი - მამკლავ-მამკვდრობა, ანუ სისხლის აღების წესი.

"შურ-შული შეიძლება წარმოშობილიყო ძველი წყენის ნიადაგზე, რომელსაც ხევსურები ჯავრს ეძახდნენ; შემთხვევითი ჩხუბი, შელახული თავმოყვარეობის აღდგენის სურვილი, ფიზიკური მომზადებულობის, იარაღის უკეთესი ფლობის გამოვლენისა, განსაკუთრებით, ქალის წინაშე თავმოწონების, საკუთარი მამაცობის გამოჩენისა და ავტორიტეტის აწევის სურვილიც შეიძლება შულის მიზეზი გამხდარიყო".[58]

შულის დროს ძალიან საინტერესოა მოწინააღმდეგეების, ანუ მოშულარების მიერ ერთმანეთის დაშინების - დადევდრის (დევდრის) ხელოვნება. მაგალითად, ერთმანეთთან შეხვედრის დროს ერთ-ერთი მოშულარი შეძახილებით მიმართავდა მეორეს: "მე, ამისა და ამის შვილი ვარ, ესა და ეს მიჭრავ და შენ ვინა ხარ ჩემთვისაო..." ასევე არსებობდა მოშულარის მიმართ წინასწარი მორალური დაწოლის, ანუ წახდენის ერთ-ერთი ხერხი - მუქარის დაბარება. მოშულარი მოწინააღმდეგის ნაცნობს, ან ნათესავს აბარებდა მუქარას, მაგალითად, ეუბნებოდა: "აი, რომ ნახო ის მხდალი, გადაეცი რომ მიფრთხილდეს, არ დავინდობ ბრძოლაში"... და ა.შ. (ვანო ლიქოკელის მონათხრობიდან).

ცვეთა-ფარების, ანუ ფარიკაობის დროს, მოშულარები ცდილობდნენ ჭრილობა, ან დარტყმა მიეყენებინათ შუბლის სამი ნაოჭის ზემო არეში. ამ არეში მსუბუქი ჭრილობის მიყენება სახიფათო არ იყო, რადგანაც მას თავის ქალის ძვლები იცავენ - და, საერთოდ, ხევსურები ისე ოსტატურად ხმარობდნენ იარაღსა და სათითენს (ანუ საბრძოლო რგოლებს), რომ მოწინააღმდეგეს მხოლოდ მსუბუქ. გაკაწვრით ჭრილობებს აყენებდნენ.

შუბლის სამი ნაოჭის ქვემოთ ჭრილობის მიყენების შემთხვევაში, დაზარალებულს არსებული რჯულის კანონის თანახმად, ასანაზღაურებელს, ანუ "დრამას" უხდიდნენ.

მიყენებული ჭრილობის ხასიათის მიხედვით "დრამა" (ანაზღაურება) გამოიხატებოდა სამკურნალო, ან საქმიო ანაზღაურებით - საფასურით, ან დაზარალებულისათვის განსაზღვრული რაოდენობის ძროხების გადაცემით.[59] ხევსურეთში უწინ ურთიერთანგარიში ძროხებით განისაზღვრებოდა. მაგალითად, ს. მაკალათია აღნიშნავს, რომ თუ ორთაბრძოლის დროს თავის ქალა ზიანდებოდა, მაშინ დაზარალებული "დრამად" ღებულობდა 12 ძროხას.[60] ხევსურეთში ჭრილობის ანაზღაურების დროს, გამოყენებულ იარაღის სახეს მნიშვნელობა არ ჰქონდა და ამრიგად "დრამა" ვრცელდებოდა სათითენითა თუ ხმლით

მიყენებულ ჭრილობებზე თანაბრად. ღირებულების ერთეული ძროხა ორი სახის იყო: "ყუხითი" (ნატურალური, სულიერი ძროხა) და "ხელითი" (1 ძროხა = 4კგ სპილენძის ნივთი). ძირამაში უმთავრესად (დაახლოებით 3,4 წილი) იგულისხმებოდა "სახელითი".[61]

"შუღლის დროს მიყენებული ჭრილობის ანაზღაურების ნორმას საზღვრავდნენ შუაკაცები რჯულში (ხევსურთა სასამართლო, სამჭო). ისინი წარმოადგენდნენ საპატიო ადამიანებს, რომლებიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ ორივე მხარესთან. დიდი ჭრილობის შემთხვევაში შუაკაცებს ემატებოდა ადგილობრივი ექიმიც - აქიმი, ან დასტაქარი, რომელიც ჭრილობის სიმძიმეს შეაფასებდა. ჭრილობის სიგრძეს საზღვრავდნენ ძაფით, ან ბალახით. ამ ზომას ზუსტად გადაიტანდნენ ბრტყელ ქვაზე, ან ფიცარზე. ამ ზომაზე რიგრიგობით აწყობდნენ ჭვავის, ან ქერის მარცვლებს. ისინი ლაგდებოდნენ როგორც სიგრძეში, ასევე სიგანეშიც. კიდურა მარცვლები იღებოდა და დარჩენილი მარცვლების რაოდენობით განისაზღვრებოდა იმ ძროხათა რაოდენობა, რომელიც უნდა მიეღო დაზარალებულს ძირამის სახით. თუ ჭრილობა სახეში პირველად იყო მიყენებული, მაშინ კიდურა მარცვლებს არ აიღებდნენ - ანუ ჭრილობა უფრო ძვირად ფასობდა".[62]

ხევსურეთის მკვლევარი რუსი მეცნიერი ნ. ხუდადოვი აღნიშნავდა: თუ მიყენებული ჭრილობა სახის თმიან ნაწილზე მოდიოდა, მაშინ მარცვალთა 2/3 ნაწილი აიღებოდა; ხოლო თუ ჭრილობა ვრცელდებოდა სახის თმისაგან თავისუფალ ნაწილზე მაშინ აიღებოდა 1/3 მარცვალთა ნაწილი.[63]

შუღლის დასაწყისი, ანუ შუღლად გახლომა ძირითადად ხდებოდა ქორწილებში, სახალხო დღესასწაულებზე, სადმრთოს ქეიფის დროს (სადმრთო აღინიშნება ოჯახში ბიჭის დაბადებიდან 1-2 წლის შემდეგ), მთიბელ-მამკალში, ანუ მკის ძალის დახმარების დროს, სადილებელ ხნენებისას, ანუ საგვარეულო დღესასწაულზე და სხვა თავყრილობების დროს.

რჯულის კანონის თანახმად, შუღლისაგან თავს იკავებდნენ გარდაცვლილთან შეკრების დროს, გასვენების დღეს და ჯვარით დღეობებში.

შუღლი, როგორც წესი, წარმოიშობოდა ახალგაზრდა ხევსურებს შორის. 50 წელს გადაცილებული პირები შუღლში უკვე აღარ მონაწილეობდნენ.

როცა სახლის პატრონი, გრძნობდა, რომ შუღლი იწყებოდა, ყველას თვალწინ შემდეგი სიტყვებით მიმართავდა შუღლის დამწყებთ: "მოსულო სტუმრებო, თქვენი ჭირიმეთ, ერთმანეთს ნუ აწყენინებთ, ნუ დაატეხთ უბედურებას ჩვენსა და თქვენს თავებს". თუ ოჯახის პატრონი შეამჩნევდა, რომ სტუმართა გუნებ-განწყობა ძლიერ იძაბებოდა და ჩხუბი გარდაუვალი იყო, იგი იხდიდა ქუდს და ხვეწნით მიმართავდა სტუმრებს: "მოსულ-მოწვეულებო, თანასოფლელებო, ბიძაშვილებო, ამ ქუდით გთხოვთ, რომ არ იშუღლოთ, პატივი ეცით საკუთარ თავსაც და ჩვენცა, ასევე ამ ტაბლას და ამ სასმელს". ამ წესს "ქუდით ხვეწნა" ერქვა.

"სახლის პატრონს უფლება ჰქონდა, სახლიდან გაეძევებინა შუღლის წამომწყები. საჭირო შემთხვევაში იგი თვითონ, ან რომელიმე მისი ბიძაშვილთაგანი (წლოვანებით უფროსი), გაფრთხილების მიზნით, სტუმრებს შემდეგი სიტყვებით მიმართავდა: "ნუ ზუზუნობთ, ვაჟებო! მძიმეთ დასხედით!" თუ ეს არ შველოდა, მაშინ სახლის პატრონი ცდილობდა სახლიდან გაეძევებინა ერთი, ან ორივე შუღლის წამომწყები. ეს ხდებოდა ძალიან იშვიათად და ეს ყველაფერი დიდი ხნის განმავლობაში განსჯისა და გაკიცხვის საგნად იქცეოდა ხოლმე".[64]

ორთაბრძოლა შეიძლება შეწყვეტილიყო უფროსთა ჩარევით, მოშუღლარების მოლაპარაკებით, ან დაჭრილი მოშუღლარის თხოვნით.

შეიძლება ითქვას, რომ ხევსურეთში შუღლისა და მტრობის საშუალებით, მეომარი მუდმივ საბრძოლო მზადყოფნაში იყო.

აქვე მინდა შევეხო იმ ფაქტს, რომ ხევსური დასტაქრები ზემოხსენებული "შუღლის" დროს თავის არეში მიყენებულ ჭრილობებს მშვენივრად მკურნალობდნენ და აკეთებდნენ ურთულეს ქირურგიულ ოპერაციებს, მაგალითად, თავის ქალის ტრეპანაციას (! ). ძალიან მოკლედ მოვიყვან ცნობილი ქართველი ექიმისა და მეცნიერის გიორგი თედორაძის გამოკვლევებს ამის თაობაზე: "...მინდა მოკლედ გავაშუქო ხევსურული მედიცინა, განსაკუთრებით კი ქირურგიული დარგი, რომელიც ძლიერ ანალოგიას წარმოადგენს იმ პირველყოფილ მედიცინისა, რომლის შესახებაც ცნობები მოგვეპოვება პროფ. მიერშტეინეგისა და ზუდჰოფის ცნობილ შრომებში. საშუალება მომეცა გამეცნო ხევსური გამოჩენილი ექიმები, რომლებიც უმთავრესად დასტაქრები არიან... ხევსური დასტაქრების თვითგანვითარება



ხევსური დასტაქარი - მგელიკა ლიქოკელი,
სოფელი ქობულო.

თავის ქალის საზღვროვანი წერტილების ცოდნაში ჩვენ დიდად გვაკვირვებდა... აღნიშნული ანატომიური ნიშნები თავის ქალაზე იციან არა თუ ხევსურეთის გამოცდილმა დასტაქრებმა, არამედ მასში საკმაოდ არიან გარკვეული თითქმის ხევსურთა მოსახლეობის დიდი უმრავლესობა... ხევსური დასტაქრები თავის ტრეპანაციას აკეთებენ... მათებერად ტრეპანს სანახი მქვიან... ამ დაჯერებულმა ამბავმა ძლიერ გამაკვირვა და გადავწყვიტე პირადად გამეცნო ექიმი მგელიკა ლიქოკელი (ს. ქობულო), რომელიც ამ ოპერაციებს აკეთებდა... საზოგადოდ ხევსურეთის შინაური დასტაქრები თავის ტრეპანაციას აკეთებენ ერთნაირი მეთოდით: ჯერ დანიშნებულ ადგილას ქალას ბურღავენ ტრეპანით და შემდეგ ფხეკის საშუალებით სჭრიან თავის ქალას, ფხეკენ ე.წ. სიწით (სკალპელით), რომელიც უბრალო რკინისაგან არის გაკეთებული... არის ძვლის ამოსაღები იარაღიც, რომელსაც ისინი წვეწვალს (პინცეტი) უწოდებენ... აკურნავენ მალამოთი, რომლის შემადგენლობაშიც შედის სამი თავი წამალი: ყვითხლის თავლი, დანაყილი ძველი ღვინის კარაქი. მაგლიკას აზრით ასეთი მალამო ასჩენს ისეთ თვისების ბალღამს, რომელსაც მოჰყავს ახალი ხორცი, ე. ი. ახქარებს შემაერთებელი ქსოვილის გრანულაციას; იგი კანის არავითარ გაღიზიანებას არ იწვევს და პირდაპირ დასამბის როლს ასრულებს... საბრძოლო ქროლობის მოსარჩენად, წამალ-ბალახის ფხვნილს მოაყრიქვევენ ზედ და... ამ რიგად, ტვინი მთლიანად უზრუნველყოფილია, როგორც მგელიკა ამბობს, ხოფათიანი ნაგარდნისაგან. ექიმი მგელიკა ლიქოკელი მკურნალობის დროს ისენს ძლიერ სიფრთხილეს, სიწმინდეს და მკურნალის მეცნიერ ეთიკას. ალბათ, ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მას, მიუხედავად დიდი მოხუცებულობისა (97 წლისაა), მაინც მოხევენება არ აძლევენ... ეს ინფორმაცია მოხსენდა სრულიად საქართველოს ექიმთა საშეცნიერო კონგრესს 1929 წ. ქ. ბათუმში".[65]

რა იარაღები გამოიყენებოდა ჭრობაში? - ხევსურული ხმალი, დაშნა, ხანჯალი ("თეთრი იარაღი", ანუ ქარქაშში სატარებელი იარაღი); საბრძოლო სათითენი (ფოლადის სხვადასხვა სახის რგოლები - საცემი იარაღი) და სხვა.

ხევსურები ორპირალესილ მომრგვალებულ პირიან პალაშს, ცალპირად ალესილ ხმლებს ამჯობინებენ, რადგანაც ხევსურულ ფარიკაობაში, როგორც წესი, ნხვლეტითი დარტყმები არ არსებობს, ძირითად მოძრაობებს - ჩეხვითი დარტყმები შეადგენენ.

ჩვენ, ქართველებს, ხანჯალთან, ხმალთან და ფართან ერთად დაბადებულ ადამიანებად გვთვლიდნენ - გადახედეთ ჩვენს ეროვნულ ნაცმულობას, ცეკვებს, ისტორიას, საბრძოლო ხელოვნებებს. ახლა კი ძნელად იპოვით საქართველოში ქართველს, რომელიც ქართული ხმლისა და ფარის ნაირსახეობებს იცნობს. მსოფლიოში ერთ-ერთი მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიური მრეწველობის ქვეყნის, იაპონიის მამაკაცებმა კი დღესაც კარგად იციან არა მარტო სამურაის მახვილის ნაწილების სახელწოდებები, არამედ მისი ხმარება, იარაღის სულიერი და მორალური ასპექტებიც. უძველესი იაპონური საბრძოლო ხელოვნება - კენდო დღესაც პოპულარულია (მახვილის ხმარების ხელოვნება და ფილოსოფია). თითოეულ თავმოყვარე იაპონელს სახლში აქვს თავისი გვარის საბრძოლო მახვილი.

ქართველებს გაგვაჩნია მახვილის (ხმლის) ფლობის ხელოვნება, ხევსურული ფარიკაობა, ანუ ქნევა-ფარება, რომელიც იაპონურ კენ-დოს არც ფილოსოფიით, არც რაინდულობით, არც ტექნიკით, არც სილამაზით და არც სიძლიერით არ ჩამოუვარდება; ამის დასტურად შეიძლება ორი ისტორიული მაგალითი მოვიყვანოთ.

პირველი ეხება იმ ისტორიულ ფაქტს, როცა ხევსურმა ლიქოკელმა სამურაების ოცეული გაანადგურა. ეს ფაქტი ქართული საბრძოლო ხელოვნების ისტორიაში ალბათ ერთადერთია, როდესაც ქართული სკოლა იაპონურს დაუპირისპირდა და ეს პაექრობა პირვე-

ლის აშკარა უპირატესობით დასრულდა. XIX საუკუნეში პრისტავის მოკვლის გამო კუნძ-ულ სახალინზე გადაასახლებიათ ხევსურეთ-ის მკვიდრი, ვინმე ლიქოკელი. ეს ქახსახენ-ლი თავის კუთხეში შესანიშნავ მოფარიკავედ ითვლებოდა. იმ ხანად, რუსეთ-იაპონიის ომი მიმდინარეობდა. იაპონელთა ერთმა რაზმ-მა კუნძული დაიკავა. ლიქოკელი მტერს მედ-გრად დაუხვდა. ერთ სახლში გამაგრდა და შენობაში შესულ მოწინააღმდეგეთაგან გა-რეთ ცოცხალი ერთიც არ გამოუშვია. ბოლოს და ბოლოს იაპონელებმა საერთო ძალებით კარი შეანგრიეს და ყველასათვის გასაოცრად თვალწინ შემდეგი სურათი გადაეშალათ: ოთახის შუაგულში ერთადერთი კაცი იდგა, გვერდით კი რამდენიმე ათეული იაპონელი მე-ომრის გვამი ეყარა. თანამემამულეთა "პრუ-სტეის" ხმა რაზმის მეთაურმა მოისურვა, რო-მელიც სამურაების კასტას განეკუთვნებოდა.

ამ წრის წარმომადგენლებს კი იაპონიაში ფარიკაობის ილეთების საიდუმლოებებს ბავ-შვობის ასაკიდან ასწავლიდნენ. ამიტომ ხმა-ლი სამურაიმ და დაიძრა ხევსური ლიქოკელი-საკენ. მისდა სამწუხაროდ, იარაღის მოქნევა ვერ მოუსწრია, რომ თავად გაჭრილა. ბოლოს და ბოლოს ლიქოკელი ჯერ დაუტყვევებიათ, შემდეგ კი დაუხვრეტავთ (?!). მაგრამ ერთი უბრალო ხევსური გლეხის ფარიკაობაში ამგვარი გაწაფულობა, ალბათ საყურადღებო ფაქტია..."[66] მეორე მაგალითი კი უკვე მე-XVII საუკუნეში მომხდარა და ხევსურული ფარიკაობის უდიდეს ხელოვნებაზე მიგვითითებს: "...ხევსურეთში შედლი ნამღვარდა იმ დროისათვის ყველაცობით განთქმულ ორ პიროვნებას: ხირჩლა არაბულსა და აფციაურს შორის. აფციაური დაუძინებელ მეტოქეს შეოისძიების მიზნით ბუჩქებში ჩასაფრებია, მაგრამ სამალავიდან აღარ გამოსულა და მოწინააღმდეგესთან შერკინებისათვისაც თავი აურიდებია. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ როდესაც ხირჩლა აფციაურის სამალავს მიახ-ლოვებულა, ბუჩქიდან როჭო ამოფრენილა. არაბულს ხმლის ამოღება და ფრინველის ჰაერში გაკვეთა წამის მეათედში მოუსწრია, თანაც, ილეთი ისეთი ელვის სისწრაფით შეუსრულებია, რომ ხმალი სისხლით არ გასვრია. ამის შემხედვარე აფციაურს თავი დასაკარგად არ გაუ-მეტებია და ამიტომაც, სამალავში დარჩენა ამჯობინა... ყოველივე ეს ცხადს ხდის რომ ხევსურეთში საბ-რძოლო ხელოვნების სწავლება უმაღ-ლეს დონეზე ყოფილა აყვანილი...".[67]



ავადმყოფი ბიძურა არაბულის თავის ჭრილობა თხემის ძვალზე, სადაც გაკეთებულია ტრეპანა-ცია.



ხევსური მებრძოლი იაპონელი სამურაების წინააღმდეგ.

გავიხსენოთ ქართული საბრძოლო იარაღის აგებულება და სახელწო-დებები:

"ხევსურული ხმალი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: ვადანი, სა-ხელური (ტარი) ხეტარი, სახელუ-რის ბოლო ვაშლი, სახელურის ძირი დვარი, ალესილი პირი - ფხა, ყუა, პირის საპირისპირო მხარე სა-შარი, წვერი, დარები და ზურგი (ზო-გიერთ სახეობას)".[68]




ხევსურული ხმალი და ქარქაში აშურმით:
1 - ხმლის ეადანი; 2 - ხმლის სახელური (ტარი) - "ხეტარი"; 3 - სახელურის ბოლო - "ეაშლი"; 4 - სახელურის ღილი - დეარი; 5 - ალესილი პირი - "ფხა"; 6 - ხმლის ყუა; 7 - პირის საპირისპირო მხარე - "საშარი"; 8 - ხმლის წვერი; 9 - ქარქაშის ბუნიკი "ბუნი"; 10 - განიეი ზედნადები "სალთეები"; 11 - გეერდითი ზედნადებები "საცეეთი"; 12 - გარსაკრი "სანეჯურის სალთეები"; 13 - მისაბმელი აშურმა ზღუდარით "სანეჯური"; 14 - ბაკანიანი სამკაული "კაციმი"; 15 - აშურმა მთლიანად "სამხარიგლიო".

ხმლის პირი (ფხა) ხშირად დაღადღულია წარწერებით, რომლებსაც ხევსურულად "ლიშანი" ეწოდება.

ხმლის ქარქაში ხისგანაა დამზადებული და კემუხტით (ტყავითაა) შემოხვეული. ხევსურები მას თვითნაკეთი თითარითა და ვერცხლის ზედნადებით ალამაზებდნენ.

ხევსურული ფარი მრგვალია და ზომით მცირე. მას ხევსური ოსტატები ამზადებენ ფურცლოვანი რკინისაგან. ხევსურულ ფარებზე არ არსებობს წარწერები, დევიზები, ოქროსა და ვერცხლით მოჭედულობები და სხვ. რაც ევროპული ფარებისათვის იყო დამახასიათებელი. ხევსურულ ფარებზე ხდებოდა ჯვრებისა და სწორკუთხედების გამოჭედვა. ფარის საფუძველს წარმოადგენდა ფურცლოვანი რკინა, ან სპილენძი; ფარის წინა მხარეზე განლაგებული იყო ოთხი ჯვრისებური ზედსადები ე.წ. რკინის ხიდები - აუცილებელი პირობაა ფოლადის ბრტყელი კიდურა რგოლი. ამ სოლოვან ზედსადებებზე დევს მრგვალი გუმბათი, რომელიც გამობერილია და ეწოდება - გუმბათის ეაშლი. ხევსურთა თქმით, გუმბათი დარტყმების ამორტიზირებას ახდენს და წარმოადგენს ფარის დამჭერი ხელის საუკეთესო დამცველს. ფარის წინა მხარის კიდეებზე მოქლონებით შემოვლებულია და მაგრდება ერთი, ორი ან სამი რკინის მრგვალი ფირფიტა - გირგოლები, რომლებსაც გააჩნიათ ქუდოვანი მოქლონები.

"ხევსურულ ფარს შიდა აქეს ქეჩისაგან ან ნაბდისაგან დამზადებული ბალიში სადები, მასზე მაგრდებოდა ფარის სახელური მაგარი ლეედის გრძელი საკიდი და საბღუჯი, რომელიც გახეხილი ტყავის ქამრისაგან მზადდებოდა".[6]

ხევსურებმა შემოინახეს ტყავისაგან ფარის დამზადების თავისებური ხერხი. ახლადდაკლული ხარის ტყავს ჯოხებით სიფართით ასწორებდნენ. გასწორებული ტყავიდან ამოჭრიდნენ ფარისათვის ნაჭერს. მრგვალი ფორმის ნედლ ტყავს გაქლინთავდნენ მურით ხარშავდნენ მურთან ერთად რათა გაეშაევებინათ - ამ ტყავს ღლეღამის განმავლობაში ტოვებდნენ წყალში მურთან ერთად და აშრობდნენ.




ხევსურული ფარი (წინა და უკანა მხარე):
1 - ფარის "ფუძე"; 2 - ოთხი შიდა ჯვარედი _ "სახიდაეები", "ხიდები"; 3 - ფურცლოვანი რკინის "გირგვალი" ("გირგილი"); 4 - გუმბათი; 5 - გუმბათის ეაშლი; 6 - ფარის საკიდი; 7 - ფარის კიდური; 8 - ფარის საბღუჯი; 9 - ფარის გუმბათის შატი; 10 - ფარის ლურსმანი; 11 - ფარის შალი.

ფარების დამზადება ითხოვდა დიდ ოსტატობას და გამოცდილებას. ფარს ამზადებდა არა ნებისმიერი ხევსური, არამედ მხოლოდ მჭედელი - მესაჭურვლე, რომელიც გაწაფული იყო ამ საქ-

მეში. მჭედელი რკინას გრდემლზე უროთი ასწორებდა; ცირკულით რკინისაგან ჭრიდა ზოლებსა და წრეებს ზედსადებებს. ამის შემდეგ იგი ხვრეტდა ტყავსა და რკინას სახვრეტით, ხოლო შემდეგ ხვრელებში დებდა ლურსმნებს, ანუ მოქლონებს და ფარის უკანა მხრიდან გამოსულ მოქლონებს გრდემლზე უროთი ამოქლონებდა. მჭედელი ჯერ ტყავზე ამაგრებდა გარშემოვლებულ მრგვალ ფირფიტას, შემდეგ მეორეს და მესამეს, ხოლო ცენტრში კი ათავსებდა რკინის ოთხკუთხედს - გუმბათს.

ამნაირად დამზადებულ ფარს, რამდენიმე დღით კიდებდნენ ბუხრის ზემოთ, რათა იგი შებოლილიყო. ამ გარემოებამ ასახვა ჰპოვა ლიტერატურულ ძეგლებშიც, რომელთა თანახმადაც შუა საუკუნეებში ქართველ მთიელებს, კერძოდ, ხევსურებსა და ფშაველებს ყარაკალგანელებს, ანუ შაეყარიანებს უწოდებდნენ.[70]

# თავი მეექვსე

## ჭრა-ჭრილობის (ცვეთა-ფარების) ტექნიკა და ტაქტიკა

*"ამოწვდილს ხმალსა მტრისასა წინ მიაგებე ფარიო:
დროზედ ნახმარი ფარიცა იგივე ხმალი არიო."*

*ილია*

ახლა შეიძლება განვიხილოთ ჩვენი საბრძოლო ხელოვნების საგანძურის ერთ-ერთი უნიკალური სისტემა - ხევსურული ჭრა-ჭრილობის ცვეთა-ფარების ილეთთა ტექნიკა და ტაქტიკა.

როგორ უჭირავთ ხევსურებს ფარ-ხმალი?

ხევსურული ფარიკაობისათვის დამახასიათებელია ორივე ხელის მტევნების მუდმივად ერთად ჭერა, წყვილადი, შეტყუპებული ჭერა მარჯვენა ხელში ხმლისა და მარცხენა ხელში ფარის, თანაც ორივე ხელი ერთად მოძრაობს ურთიერთშეთანხმებულად. მსგავსი დაჭერა ფარ-ხმლისა მსოფლიოში არ არსებობს, და შეიძლება მას თამამად ვუწოდოთ ხევსურული ნაცვალგებითი (შეტყუპებული) ჭერა. იაპონელებმა ხევსურული ფარიკაობის ხელოვნებამდე ჯერ ვერ მიაღწიეს, თორემ მას, მაგალითად, "მოროტე - კატატე-დორის", ანუ "ორი ხელით ორმაგ დაჭერას" მიაწებებდნენ და გაქრებოდა ჩვენი ხევსურული ნაცვალგებითი ჭერაც.

ორი ათეული წლის პრაქტიკა იაპონურ საბრძოლო ხელოვნებებში "კარატე-დოსა" და "კენ-დოში" და ამ ხელოვნებების დიდ მასწავლებლებთან ურთიერთობა უფლებას მაძლევს შევადარო და შევაფასო ქართული და იაპონური ფარიკაობის სისტემები.

ხევსურული ფარიკაობა ჭრიბა თავისი ფარ-ხმლის ხმარებით, ხერხით, ტექნიკური ილეთებით, ტაქტიკითა და საბრძოლო სიძლიერით - ერთადერთი და განუმეორებელი ფენომენია მსოფლიო საბრძოლო ხელოვნებების სისტემებში. იგი არ წააგავს არცერთ ცნობილ, აღიარებულ სისტემას; იაპონურ კენ-დოს ან ჩინურ ციან-შუს (ჩინური მახვილის ფლობის ხელოვნება) გააჩნია მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ხელწერა და პეწი. ქართველ კაცს არ სჭირდება უცხო და ჩვენს გენეტიკაში არარსებულ სისტემათა დაუფლება; იაპონურ ტატამზე მუხლმოდრეკილი ყოფნა; ჩვენთვის ბოლომდე შეუცნობ კენ-დოს მასწავლებლებისთვის უსასრულოდ თავის ქნევა; ბოლომდე გაუგებარი იაპონური სახელწოდებების ენის ტეხვით წარმოთქმა. და ბოლოს - ქართველებს არაფერი აქვთ სახეწარი უცხოური ორთაბრძოლების ოსტატებთან. ეს რომ ასეა, ამის ნათელი მაგალითია ამ რამდენიმე წლის წინ გაზეთ "ალიაში" გამოქვეყნებული გ. გაჩეჩილაძის სტატიაში მოტანილი ხევსური ლიქოკელის იაპონელ სამურაებთან შერკინების ისტორიული ფაქტი.



ხევსურული ფარ-ხმლის შეტყუპებული (ნაცვალგებით) ჭერა "ჭერა ცერათითების მიდებით".

გავიხსენოთ გერმანიის ქალაქ რიეზაში სულ ახლახან სუმოს მსოფლიო ჩემპიონატზე მომხდარი ფაქტი. სუმო იაპონელთა დიდი მცდელობის შედეგად ოლიმპიური სპორტის სახეობა გახდა! კარატე-დო არც თუ ისე პოპულარულია, რადგან იგი ოკინა-

ვური საბრძოლო ხელოვნებაა და ჩემპიონატების დროს დარბაზის მესამედი თუ ივსება. მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში იაპონელთა ჰეგემონიას სამოყვარულო სუმოში ქართველმა ფალავანმა ლევან ებანოიძემ შეუქენა წყალი პირველმა. მან მსოფლიოში სუმოს ყველა უძლეველ ოსტატს სძლია, მათ შორის - იაპონიისა და აზიის მრავალგზის ჩემპიონს ტაკიმურო ტირუცს.

"ძიუდოსი არ იყოს (შოთა ხოხიშვილის გაჩემპიონება ოლიმპიურ თამაშებში, 1972 წელი, მიუნხენი), სუმოშიც ქართველმა გამოსტაცა პირველმა ოქროს მედალი იაპონელებს ყველაზე პრესტიჟულ აბსოლუტურ წონაში, ჯერჯერობით, ყველაზე უმაღლეს ასპარეზობაში - მსოფლიო ჩემპიონატში".[71]

როგორც ადრე აღვნიშნეთ, ქართველებში ძევს საბრძოლო ფენომენი, რომელსაც ვერ ხნის სტრატეგიის კუთხით დეტალურად დამარცვლული და მეცნიერულად შესწავლილი იაპონური საბრძოლო ხელოვნება.

ჩვენ გვაქვს ჩვენი საბრძოლო ხელოვნება, ჩვენთვის მშვენივრად გასაგები და ადვილად სასწავლი სისტემა, ჩვენს გენეტიკაზე, წეს-ჩვეულებებზე აგებული და შექმნილი, უძველესი და უნიკალური - ქართული (ხევსურული) ფარიკაობა - "ჭრა-ჭრილობა".

დავუკვირდეთ, თუ რა ახლობელი და ადვილი შესასწავლია იგი ქართველი კაცისათვის; რა ადვილია ქართულ ილეთთა სახელწოდებების დამახსოვრება. მასწავლებლების საპატივცემულოდ მუხლმოდრეკილმა შუბლი კი არ უნდა ვუტყაპუნოთ ტატამს, არამედ პატარა თიხის თასით და ქართული ღვინით პატივი მივაგოთ წინაპრების რაინდობას, მათ საბრძოლო ხელოვნებას, სიმამაცეს, მათ სიბრძნესა და ჩვენს ერთიან სამშობლოს საქართველოს, თან პირჯვარიც გადავიწეროთ ღმერთის სადიდებლად.

ახლა გადავიდეთ უშუალოდ ქართული (ხევსურული) ფარიკაობის ილეთთა ტექნიკაზე.

როგორ უჭირავს ხევსურს ხმალი მარჯვენა ხელში?

"ხევსურს ხმლის ტარი უჭირავს ყველა თითის ჩავლებით (იხ. სურათი). ხევსურული ხმლის ასეთი ჩავლება, საშუალებას იძლევა შევასრულოთ ძალიან ძლიერი და ზუსტი მჩეხავი დარტყმები. თუმცა, ასეთი ჩავლება მსოფლიო პრაქტიკულ ფარიკაობაში არ გამოიყენება მჩხვლეტავი დარტყმების მისაყენებლად. მაგრამ ხევსურები ჩხვლეტით მოძრაობებსაც ამ ჩავლებითვე ასრულებენ, რადგანაც ეს ჩავლება ხმლის ძლიერ (მჭიდე) ჩაჭიდების საშუალებას იძლევა და ბრძოლის დროს მისი ხელიდან გავარდნის საშუალებას ამცირებს".[72]

ხევსურები ვარჯიშით ხმლის ფლობის ისეთ სიმარჯვეს და მოხერხებულობას აღწევენ, რომ მათ შეუძლიათ "ჭრა-ჭრილობის" დროს წინასწარ განსაზღვრული სიძლიერით ხმლის პირით მიაყენონ ზუსტი მსუბუქი, მჭრელი, მხოლოდ სისხლის წვეთის გამომდენი დარტყმები. სხვათა შორის, ხევსურული ფარიკაობის განსაკუთრებით მაღალ ტექნიკაზე მეტყველებს ერთი ისტორიული გადმოცემა, რომლის თანახმად, პომპეუსმა (იტალია), რომელიც განაცვიფრა ცივი იარაღის ხმარების მაღალმა ხელოვნებამ, იქ გამოსულ ხევსურებს სთხოვა კიდევ ერთხელ ეჩვენებინათ "ჭრა-ჭრილობის" ეს ხელოვნება. რისთვისაც; ისინი დაასაჩუქრეს მდიდრული საჩუქრებით.[73]



ხევსურული "ფარიკაობა" (მუხლში ჩამჯდარი პოზიცია).

თუ ხევსური ორთაბრძოლაში მოქმედებს ჭრილობის მიუყენებლად ("ფარიკაობა"), მაშინ მას იარაღი ან სიბრტყით უჭირავს, ანდა 180°-ით ატრიალებს (ყუით წინ) და იმითვე ატარებს (ასრულებს) დარტყმებს.

გამოცდილ ხევსურ მოფარიკავეებს, იარაღის სიბრტყით, ან ყუით წინ დაჭერის მაგივრად, უჭირავთ იგი ალესილი პირით წინ, მტევნის მოძრაობით, ხმლის ფხა (პირი) ზუსტად და მოხერხებულად

მარცხნივ ან მარჯვნივ ტრიალდება და მოწინააღმდეგეს ეხებიან ბრტყელი პირით.

როგორ უჭირავს ხევსურს ფარი მარცხენა ხელში?

საბრძოლო მდგომარეობაში ფარის დაჭერის რამოდენიმე ვარიანტი გამოიყენება: პირველი - ყველაზე გავრცელებული ფორმა - "საბღუჯი" მუშტითაა დაჭერილი (მარცხენა ხელის ყველა თითით ჩავლება). სხვა ვარიანტების დროს ფარის "საბღუჯი" უჭირავს ოთხ, სამ და ორ თითსაც. ამ ჩავლებას უფრო გამოცდილი და ძლიერი მოფარიკავენი იყენებენ.



ხევსურული "ფარიკაობა" საჩვევი იარაღით ვარჯიში ("ბალღების" უმცროსი ჯგუფი).

რას წარმოადგენს ფარ-ხმლის ხევსურული ნაცვალგებითი ჭერა და რა ნაირსახეობები გააჩნია მას?

"ხმლით შემტევი ქმედებები (მარჯვენა ხელი) უშუალოდაა დაკავშირებული დამცველ იარაღთან - ფართან (მარცხენა ხელი); ფარით დაცვითი მოძრაობის შესრულებისას, ხმლიანი მარჯვენა ხელი, თანაბარწილად, მიჰყვება მარცხენას და იჭერს საპასუხო დარტყმების მისაყენებელ დროს. "ხევსურების ახსნით, ხელის მტევნების ასეთი ნაცვალგებითი განლაგება საბრძოლო დგომში ორი ამოცანის შესრულების საშუალებას იძლევა: პირველი - ხმლის სახელურზე ჩავლებული ხელის მტევნის დაცვა; მეორე ხევსურული მცირე ზომის ფარისაგან ასხლეტილი მოწინააღმდეგის ხმლის პირს შეუძლია ჭრილობა მიაყენოს და ამ შემთხვევაში ფართან ახლომდებარე ხმლის პირი (ფხა) ბარიერის როლში გამოდის, იგი შეაკავებს მოწინააღმდეგის შეტევას. ამრიგად, აქ ხმლის პირი დამატებით დაცვის ფუნქციასაც ასრულებს".[74]

საბრძოლო დგომში მარჯვენა და მარცხენა მტევნების ნაცვალგებით ჭერას გააჩნია რამოდენიმე ვარიანტი. აი ერთ-ერთი მათგანი: ორივე ხელის მტევანი პარალელურად არის შეერთებული ცერა თითებით და მჭიდროდ არის მიდებული ფარის ძირზე. ასეთი შეერთებისას ხელებს მიახლოება და განშორება შეუძლიათ ღერძის მიმართ. ამ ნაცვალგებით ჭერას - ცერებმიდებული ჭერა ეწოდება. ასეთი ჭერის დროს ხმლის წვერი ზევითაა მიმართული.

"აღნიშნული ილეთების გარდა, ხელის მტევნები ისე უახლოვდებიან ერთმანეთს, რომ შესაძლებელია, მიემართოთ ხმლის წვერი მარჯვნივ, ან მარცხნივ. ერთი მაგალითი ამ სისტემიდან: მარცხენა ხელის მტევანი რჩება ადგილზე, ხოლო მარჯვენა ხელის მტევანი მარცხენა ხელის ზემოთ დაიდება ზურგით ზევითკენ. მარჯვენა ხელის ცერა თითი იდება მარცხენა ხელის ცერა და საჩვენებელ თითებს შორის, ხმლის წვერი მიმართულია მარცხნივ. ამ ნაცვალგებით ჭერას - ზედა მარცხნივ გაშვერილი ჭერა ეწოდება. ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ჭერას გააჩნია ერთი მიზანი გააძლიეროს ხელების გადაბმა და გაადვილოს ხმლისა და ფარის მოძრაობა".[75]

"ნაცვალგებით", ან "შეტყუპებული" ჭერისას დარტყმის სიძლიერის საკომპენსაციოდ გამოიყენება მოგერიება-შეტევის სწრაფი მონაცვლეობა. მებრძოლმა ფარით მოიგერია დარტყმა, მას დრო რჩება სანამ მოწინააღმდეგე ახალ დარტყმას ამზადებს, ფართან ერთად აწეული მარჯვენის აქნევით ელვისებური დარტყმა მიაყენოს მტერს. ცხადია, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში, ბოლო ეტაპზე მარჯვენას სრული თავისუფლება ეძლევა და იგი გადადის უძლიერეს ჩეხვაზე, როცა ფარის მეშვეობით მტრის შეტევა საბოლოოდ მოგერიებულია (როგორც აკეთებდნენ მამა-პაპანი ასპინძაში, კრწანისში და ა.შ.).



„ჩემ ბეჩაე მანდილით გეხვეწებით, ნუ ჩხუბობთ, ე მას დასდევით პატივი".

დარტყმის ტექნოლოგია მეტად რთულია: ძლიერად მოქნეულ ხმალს სჭირდება შეჩერება, ხელახლა აღმართვა, მოქნევა და დარტყმა; ამ ყველაფერს დრო სჭირდება, რასაც გულადი ვაჟი (მომგერიებელი) სათანადოდ იყენებს. ფარიკაობის ოსტატი ტყუილად კი არ აძლევდა მოწინააღმდეგეს პირველი დარტყმის საშუალებას - საპასუხო დარტყმა უტყუარი იყო.

ხევსურული ნაცვალგებითი ჭრის ზოგიერთი ვარიანტი აქ იმიტომ განვიხილეთ, რომ ისინი ფარიკაობის ხელოვნებისათვის უნიკალურია და კარგია, თუ ქართველ კაცს ცოტათი მაინც ექნება წარმოდგენა მათზე.

რა საბრძოლო დგომები და პოზიციები გააჩნია ხევსურულ ფარიკაობას?

მოკლედ განვიხილოთ ისინი.

საბრძოლო დგომის მიღებამდე ხევსურს მარცხენა ხელით გადააქვს ფარი საბრძოლო მდგომარეობაში. ეს საკმაოდ რთული პროცესია; ფარი გრძელი საკიდით (მაგარი ღვედი) ჰკიდია მარცხენა მხარზე. ერთი აქნევით, მარჯვენის მოუხმარებლად, ჩამოიგდებს მხრიდან საკიდს, ვირტუოზული სიმარჯვით იხვევს ხელის მტევანზე, უყრის ფარის ყურში (სახელური) და დასაბლუჯველი ფარიანი მარცხენით იჭერს ხმლის ქარქაშს, რათა მარჯვენამ იძროს მახვილი. ყველაფერი ეს ხდება რამდენიმე წამში. შემდეგ მარჯვენა ხელს ავლებს ხმლის ტარს, ფარიანი მარცხენა ხელის ცერა და საჩვენებელი თითებით კოხტად უჭირავს ქარქაში და ეხმარება მარჯვენას ხმლის ამოღებაში, იმავდროულად მარჯვენა ხელით, სხარტი მოძრაობით აძრობს ხმალს ქარქაშიდან. ეს მოძრაობა ისე სწრაფად და ლამაზად სრულდება, რომ არაფრით ჩამოუვარდება იაპონელი სამურაის მიერ მახვილის ამოღების ცერემონიას.

ხევსური ამოიღებს რა ხმალს, იჭერს საბრძოლო დგომს: ოდნავ ჯდება მუხლებში, მხრების სიგანეზე გადგამს ფეხებს - წონას ორივე ფეხზე თანაბრად ანაწილებს - მეტწილად, ფეხის ტერფები პარალელურად უჭირავს, ანდა წინ გადადგამს ერთ-ერთ ფეხს - ხშირად მარცხენას.

ბრძოლის დროს დგომები იცვლება, ერთი ფეხიდან გადადის მეორეზე. ჩვეულებრივად, ეს სრულდება ჭრილობის მისაყენებელი არეების გაბარიტების შემცირების მიზნით, რის გამოც, ხევსურები დგომელა პოზიციიდან, ზოგჯერ, გადადიან ცუცქით ჩაჯდომაზე, ანდა ჩაჯდებიან მარჯვენა მუხლზე.

"ჩაჯდომასთან ერთად ხმლიანი მარჯვენა და ფარიანი მარცხენა ხელები წინ გამოწევა. "ორივე ხელი იდაყვებში ოდნავ მოხრილია. თანაც, თუ ხევსური სამკლავების გარეშე ფარიკაობს, მაშინ იდაყვები შეძლებისდაგვარად შეწეულია, კორპუსი მომრგვალებული, ოდნავ წინ დახრილი, რაც ადამიანის ტანის სიმაღლის მიხედვით ამცირებს დასაზიანებელი არის სიდიდეს. თანამედროვე კლასიკურ ფარიკაობაში კი საბრძოლო დგომი ხელს უწყობს დასაზიანებელი არის სიდიდის შემცირებას მხოლოდ სიგანეში".[76]

ზემოთ განხილულ პოზიციათა გარდა ხევსურულ ფარიკაობაში არსებობს სხვა ნაირსახეობები, რომლებიც გამოიყენება მხოლოდ მოსისხლეთა ორთაბრძოლისა და სერიოზული საბრძოლო შეტაკების შემთხვევაში. საბრძოლო დგომები აქ ცოტა განსხვავებულია, რადგანაც მებრძოლი დგას მოწინააღმდეგესთან მარცხენით; თანაც, მარცხენა ფეხი წინა აქვს გადგმული; ფეხები ოდნავ მოხრილია. ხელები აქ უკვე განცალკევებულია. ფარი მარცხენა ხელშია, როგორც ყოველთვის, მკერდის დონეზე; ხმალი მარჯვენა ხელში გაწეულია უკან. წვერი ზემოთ და იდაყვში ოდნავ მოხრილია. ასეთი პოზიციები საშუალებას იძლევა შესრულდეს ხელით ისეთი ძლიერი შეტევა, რომელსაც შეუძლია მოკვეთოს მოწინააღმდეგს ხელის მტევანი, ან მიაყენოს სასიკვდილო ჭრილობა.

როგორი გადაადგილებებია "ჭრა-ჭრილობაში"?

ხევსურები ფარიკაობის დინამიკაში ცდილობენ გამოიყენონ ისეთი გადაადგილებები, რომლებიც მათ მოწინააღმდეგესთან ფლანგიდან შესვლის საშუალებას აძლევს. ამიტომ მათი გადაადგილების ხასიათი გვერდითია. პატარა გადახტომები (სკუპები), ხტუნვითი ნაბიჯები განზე (მარჯვნივ, ან მარცხნივ), რომლის საშუალებითაც ხორციელდება არიდებითი და გარშემოვლითი მოძრაობები.

"უკან მოძრაობა, ხევსურთა გაგებით  სასირცხვილოა. ამიტომ უკან ნაბიჯები, ან ხტომები, განსაკუთრებით, უბრალო შუღლში, ისეთი, როგორიც კლასიკურ ფარიკაობაშია, ხევსურულში არ ისწავლება. მაგრამ ბრძოლის დროს უკუსვლები (ერთი, ან ორი ნაბიჯით) მაინც გამოიყენება, რათა მოწინააღმდეგის მოახლოებისას, იარაღით თავისუფალი ქმედების საშუალება მიიღონ".

ჭრა-ჭრილობის დროს თითოეული მოფარიკავე ცდილობს მიაყენოს მოწინააღმდეგეს მსუბუქი, უსაფრთხო ჭრილობა. ამის მისაღწევად ხევსურები სპეციალური ვარჯიშებით გამოიმუშავებენ ხელის მტევნის მოქნევის ხელოვნებას.

ამრიგად, ჭრა-ჭრილობაში დახელოვნებულ ხევსურს, რჯულის კანონის მიხედვით, შუღლის შემთხვევაში ნაკლები გადასახადი ექნებოდა.

დარტყმების არიდება ხევსურულ ფარიკაობაში ხდება არა ხმლის პირით, როგორც საერთოდ მიღებულია ფარიკაობაში, არამედ ფარით, რომელიც ყველა შემთხვევაში, დაცვითი მოძრაობების დროს ვერტიკალურ მდგომარეობაშია შემტევი ხმლის მიმართ. ფარით დარტყმების მოგერიების დროს ხევსურები იყენებენ შვიდ დამცველ ქმედებას.

როგორ ტექნიკას და ტაქტიკას იყენებენ ხევსურები ფარიკაობის დროს?

ორთაბრძოლას პირველ ფაზაში ხშირად დაზვერვითი ხასიათი აქვს  ცდილობენ გამოავლინონ მოწინააღმდეგის სუსტი ადგილები.

"ხევსურთა ჭრა-ჭრილობის ტაქტიკა დასწრებაა; თითოეული მებრძოლი ცდილობს პირველმა შეუტიოს მოწინააღმდეგეს. ორთაბრძოლას გააჩნია ძალიან მოძრავი ხასიათი, თუნდაც ბრძოლა ძალიან პატარა მოედანზე მიმდინარეობდეს. "მებრძოლები შეუჩერებლად ცვლიან ერთ პოზიციას მეორით, ცდილობენ მიაყენონ და აირიდონ დარტყმები. ორთაბრძოლას ახლავს შეძახილები. თითოეული მოფარიკავე დამცინავი, გამაღიზიანებელი, ან შეურაცხმყოფელი გამოთქმებით მიმართავს მოწინააღმდეგეს რათა ააგზნოს იგი".[78]

ორთაბრძოლა იგება როგორც მარტივი, ასევე რთული ილეთების გამოყენებით. ხევსურულ ფარიკაობას გააჩნია უამრავი მარტივი და რთული შეტევა, მატყუარა მოძრაობები, აქტიური და პასიური დაცვის ილეთები, რომელთა ახსნა დიდ დროს მოითხოვს და, ამიტომ, ჩვენ მათ არ შევეხებით.

ფარიკაობის ოსტატები, ხანდაზმული ხევსურები გამოირჩევიან არიდებებისა და დარტყმების მიყენების სისწრაფით. ორთაბრძოლაში მოძრაობენ ეკონომიურად, განსაკუთრებით, ფეხებით. გამოცდილი მებრძოლის თავმოყვარეობა ითხოვს უმოძრაოდ იდგეს ადგილზე და მოწინააღმდეგეს არ დაუთმოს ერთი მტკაველიც კი.[77]

ჭრა-ჭრილობის ბრძოლის ეთიკეტის მიხედვით, უპირატესობა ენიჭება იმ მებრძოლს, რომელმაც შეძლო ჭრილობის მიყენება მოწინააღმდეგისათვის, ხოლო შემდეგ მხოლოდ დაცვით ქმედებებზე გადავიდა. ორთაბრძოლა შეიძლება შეწყდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ორივე მოწინააღმდეგე დაჭრილია და ძლიერ დაღლას გრძნობს. ბრძოლის ეთიკეტიდან გამომდინარე, დაჭრილმა უნდა ითხოვოს ბრძოლის შეწყვეტა.

ხევსურული ფარიკაობის დროს ორთაბრძოლა დამოუკიდებლად მიმდინარეობს და იგი ექვემდებარება რჯულის კანონებს. ეს კანონები არავითარ შეღავათს, შუა კაცს არ ითვალისწინებს. შუღლის დროს, თითოეული, ვინც ორთაბრძოლის მოწმე აღმოჩნდება, მოვალეა ჩაერიოს და გააშველოს ("გაამეშველოს"). ჩაურევლობა სამარცხვინოდ ითვლებოდა.

"ხევსურთა მონათხრობებიდან და ხევსურეთის მრავალი მკვლევარის მტკიცებით, ქალს შეეძლო შეეჩერებინა ყველაზე მრისხანე ორთაბრძოლა, თუ იგი თავის მანდილს (თავსაბურავს) ჩააგდებდა შუღლართა შორის. ამასთან, ქალი ევედრებოდა, რომ შეწყვეტილიყო ორთაბრძოლა და წარმოსთქვამდა მიახლოებით შემდეგ სიტყვებს: "ჩემ ბეჩავ მანდილით გეხვეწებით, ნუ შუღლობთ", ანდა - "ემას (მანდილს) დასდევით პატივი" და სხვა".[79]

ხევსურულ ფარიკაობას გააჩნია შემდეგი მნიშვნელოვანი წესები:

მოწინააღმდეგის მიმართ პირდაპირი (ანფასური) მომრგვალებული დგომა, რომელიც ამცირებს სიმაღლეში დაზიანების მიყენების არეებს.

იარაღის, ფარისა და ხმლის, წინ დაჭერა ორივე ხელით, ანუ შეტყუპებული მტევნებით ჭერა, რომლის საშუალებითაც ორივე იარაღი  დაცვითი (ფარი) და შემტევი (ხმალი) - გადაიქცევა ერთიან იარაღად და ორივე ფუნქციას კარგად ასრულებს.

გ) ჩხვლეტითი დარტყმების არ არსებობა;

დ) ხელის მტევნით ჩეხვითი მოძრაობის ხერხი, რომელიც მსუბუქი მჭრელი დარტყმების საშუალებასაც იძლევა;

მოწინააღმდეგის ტანზე მჩეხავი ჭრილობების ფართობის შეზღუდვა;

ე) გამოხტომითი შეტევების არ არსებობა და გარშემოვლითი გვერდითი გადაადგილებების გამოყენება;

ზ) უკუსვლის არ არსებობა;

თ) ორივე ხელით შეთანხმებული მუშაობით - ფაქიზი კუნთური გრძნობის აღზრდა და მაკოორდინირებელი მექანიზმის სრულყოფა;

ი) პირისპირი (ანფასური) საბრძოლო დგომა - მთელ ტანზე თანაბარ-სიმეტრიული დატვირთვა, რომლითაც ხევსურული ფარიკაობა კლასიკურისაგან (გვერდითი დგომა) განსხვავდება.

# თავი მეშვიდე

## ხევსურული ხელჩართული ბრძოლის სისტემა

*"გულს ნუ გაიტეხ, მგოსანო, ხმალი აგულე ფხიანი,*
*მოკეთეს ემოკეთევე და მტრებს მიეცი ზიანი"*

*ვაჟა-ფშაველა*

რა არის ხელჩართული ბრძოლის სისტემა?

ხელჩართული ბრძოლა საბრძოლო ხელოვნების ერთ-ერთი ქვესისტემაა. როდესაც მოწინააღმდეგეები ისე დაუახლოვდებიან ერთმანეთს, რომ "თეთრი იარაღის" (ხმალი, დაშნა და ა.შ.) გამოყენება შეუძლებელია, ძალაში შედის ხელჩართული ბრძოლის კანონები. ხელჩართული ბრძოლა - ორთაბრძოლის ერთ-ერთი რთული, პასუხსაგები და საკვანძო სახეა. მნიშვნელოვანია, რომ მოწინააღმდეგე ან მოწინააღმდეგეები არ მიუშვა ძალიან ახლო (მჭიდრო) ჩაჭიდებაზე და სანამ ჩაგავლებენ, მანამდე გამოუყვანო ისინი მწყობრიდან ისეთი ჭრილობა უნდა მიაყენო, რომ უმალვე შეწყვიტოს აგრესიული შეტევა. ამ შემთხვევისთვის გამოიყენება მალული ცივი იარაღი. მალული ცივი იარაღის ხმარების ხსენებაზე ქართველ ახალგაზრდას, რასაკვირველია მაშინვე იაპონელი "ნინძები", გაახსენდება, რომლებსაც ასე კარგად ვიცნობთ ვიდეო ფილმებიდან. შთაბეჭდილება ისეთია, რომ იაპონელ "ნინძებზე" ძლიერი და უძლეველი დედამიწაზე არავინაა. როგორც ვხედავთ, შედეგიანია იაპონური პროპაგანდისტული მანქანის დაუღალავი მუშაობა! ცნობისათვის შეიძლება ითქვას, რომ მსგავსი ხელჩართული ბრძოლის სისტემები გააჩნიათ ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების საბრძოლო სკოლებსაც. ახალგაზრდობაში (15 წლის წინათ) ხელჩართული ბრძოლის, ანუ მალულ იარაღთა გამოყენების ხელოვნება შევისწავლე ცნობილ ვიეტნამელ ოსტატ ზიონგთან და მათი სისტემა ცოტათი თუ განსხვავდება იაპონურისაგან.

პროფესორმა ე. ელაშვილმა ჯერ კიდევ 1960 წელს მეცნიერულად გამოიკვლია ხევსურული ხელჩართული ბრძოლა სათითენის გამოყენებით. "სათითენი" ცერზე წამოსაცმელი ფოლადის რამდენიმე (ძირითადად სამი) ფრთისაგან შემდგარი ჩახერხილი-წვეტიანი (დაჯია) ან გლუვპირიანი (ხევულნი) მსუბუქი იარაღია.

"როცა ხევსურს ჯიბეში ერთი საბრძოლო რგოლი აქვს, მაინც შემდეგნაირად იძახის: "სათითენი ჯიბეში დამრჩომიაო". "ჩემი სათითენიც მქონიყვნენ", ან: "რა სათითენი მქონდეს ის ტიალნი, გიორგის გაკეთებულნ მქონდეს, ერთ საწყავ პურზე დავყიდენი და დავრჩი უსათითეო"."[***]

ე. ელაშვილის მონოგრაფიულ ნაშრომში "სათითენი" (ხევსურული საბრძოლო რგოლები), რომელიც რუსულ ენაზე გამოიცა (В. Элашвили. Сатитени. Тбилиси. 1960), აღწერილია ხელჩართულ ბრძოლებში საბრძოლო რგოლების, სათითენის, გამოყენების ხელოვნება. სამწუხაროდ, მაშინდელი ქართული საზოგადოება ასე გამოეხმაურა ამ ნაშრომს: "ვის სჭირდება თვით სპორტისათვის, ახალგაზრდობის აღზრდისათვის მავნე და საზიანო ეს ბროშურა? ვის ასწავლით თქვენ - ავტორო და უპასუხისმგებლო გამომცემელო ამნაირ ტექნიკას თქვენი ყბადაღებული და წარსულს ჩაბარებული "საბრძოლო სათითეებით"? თქვენი "მეცნიერული ნამოღვაწარი" - უბრალოდ თავის გაჩეჩქვის "მეცნიერებაა"."[**] აი, ასეთი "შეფასება" დაიმსახურა იმ დროს ამ უნიკალურმა ნაშრომმა.

ხევსურულ ხელჩართულ სისტემაში შედის საბრძოლო რგოლების, ცერზე ჩამოსაცმელი ფოლადის სათითენის გამოყენება. ისინი წარმოადგენენ ხევსურთა ცივი იარაღის შემადგენელ ნაწილს, ანუ "საცემ იარაღს" (იხ. სურათი).

როდის იყენებდნენ სათითენს? ძირითადად შუღლის დროს გამართულ ხელჩართულ ბრძოლაში. მოშუღლარნი უნდა ცდილიყვნენ თავის არეში მიეყენებინათ ერთმანეთისათ-



ხევსურთა საბრძოლო რგოლები "სათითენი":
1 "ხვეული"; 2 "ხერხულა"; 3 "ხერხულა-საცერული"; 4 სამხრახნიანი "ზურგანა"; 5 - ორხრახნიანი "ზურგანა"; 6 - ერთხრახნიანი "ზურგანა"; 7 "წისქვილა"; 8 "მაღალ-სავარცხელა"; 9 "მაღალ-საცერული"; 10 "საცერული"; 11 - სამპირიანი "ლესულა"; 12 - ორპირიანი "ლესულა"; 13 - ერთპირიანი "ლესულა"; 14 - რკინის "ნესტარი"; 15 "საჭიკე"; 16 - შენიღბული სათითენი; 16ა, 16ბ მავთულის საკაწრი "ნესტარი".
(ე. ელაშვილის არქივიდან).

ეს მსუბუქი სისხლიანი ჭრილობა. სახის, ან თავის ქალის მძიმე დაზიანების შემთხვევაში დამზარალებელი სათანადო საზღაურს - "დრამას" იხდიდა.

ორთაბრძოლაში სათითენით მსუბუქი ჭრილობის მიყენება რიგითი მოვლენაა - ვისაც უნახავს სათითეებით ხევსურთა ბრძოლა, იმედია, დამეთანხმება, რომ ყოველი შერკინება განუმეორებელი სანახაობაა ილეთების მრავალფეროვნებით, მოძრაობის დინამიკით...

"უწინ სათითენით მსუბუქი ჭრილობის მიღება ვაჟკაცობის მანიშნებელი იყო. "არ აშინებდას ხანჯარი, ფოლადის სათითენია".

ასეთი უნდა იყოს ნამდვილი ვაჟიო, ამბობს ხალხური ლექსი. ხევსურები ბავშვობიდან ეჩვეოდნენ სათითენის ხმარებას. სპეციალურად მათთვის მავთულისგან, ან რკინის საყელურისგან გაკეთებული საბრძოლო რგოლებით - ე.წ. ნესტარით (იხ. სურათი). 10-12 წლის მოზარდები ორთაბრძოლაში იყენებდნენ ნესტარს და ამაყად დადიოდნენ სახეგაკაწრულები...". [42]

სათითენის რა სახეები არსებობდა და როგორია მათი კლასიფიკაცია?

საბრძოლო რგოლებში საცემი კიდის ფორმის მიხედვით განისაზღვრება რგოლის სახელწოდებაც. განსაკუთრებით, უნდა აღინიშნოს "გორიანი", რომლის საცემ კიდეს წარმოადგენს რგოლის მთლიანი გარე ნაწილი (იხ. სურათი).

ზოგიერთ შემთხვევებში გამოიყენება დამატებითი დამხმარე რგოლები "საჭიკე", რომელიც სათითენის ქვეშ იხმარება, ან მის დასამაგრებლად გამოიყენება, როცა ცერი წვრილია, სათითეს ჭრილი კი განიერი (იხ. სურათი).

სათითენი მზადდებოდა რკინისაგან კუსტარული ხერხით, გამოჭედვით, გამოკვეთით, ხშირად - ქართული ტიპის ნალებისაგან, ან ჩამოასხამდნენ თითბერისაგან. მოგვიანებით რგოლების დამზადება დაიწყეს ლითონის საყელურებისაგან, ფოლადის სპირალური ზამბარებისაგან და ა.შ.

ხევსურები სათითეებს ატარებდნენ ხევსურული პერანგის გარე ჯიბეში, ან შარვლის მარჯვენა ჯიბეში. შუღლად გახდის (შუღლის დაწყება) დროს ხევსური სათითენს იღლიის ქვეშ ინახავდა, რათა აუცილებლობის შემთხვევაში სწრაფად ჩამოეცვა იგი თითზე და დაეცვა თავი.

როგორც გვახსოვს ხევსურული ცივი იარაღის კლასიფიკაციაში სათითენი წარმოადგენს საცემ იარაღს და შედის შემტევ საშუალებათა რიგში.[43]

სათითენი საცემი კიდის (მხარის) ფორმისა და გამოყენების ხასიათის მიხედვით იყოფა სამ ძირითად ჯგუფად:

საჟეჟი დარტყმების მიმყენებელი, ანუ საცემი სათითენი,

მჭრელი დარტყმების მიმყენებელი, ანუ მჭრელი სათითენი,

მჩხვლეტავი და მკაწრავი დარტყმების მიმყენებელი, ანუ მკაწრავი სათითენი (В. Элашвили, Сатитени (хевсурские боевые кольца), Грузинский институт физической культуры, Тбилиси, 1960).

საცემი სათითენი საცემი პირის განივი განაკვეთის ფორმის მიხედვით იყოფა შემდეგ ნაირსახეობებად: წისქვილა (სწორკუთხა განაკვეთით); გორიანი-ზურგანა (ერთი, ორი ან

სამ სამკუთხოვანი განაკვეთით); ხურხულა (კბილოვანი განაკვეთით); ხუჭული (ხვეული სპირალისმაგვარი რგოლი) და სხვა (იხ. სურათი).

მჭრელ სათითენს წარმოადგენს ლესულა (ერთი, ორი, ან სამი ალესილპირიანი რგოლი). ლესულები მზადდება თითბერისაგან, რკინისაგან და სხვა (იხ. სურათი).



ცერა თითზე ჩამოცმული "სათითენი".

მკაწრავი სათითენის დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს მასზე საფარცხლისებრი კბილები (იხ. სურათი), რომლითაც აყენებენ მკაწრავ თხელ ჭრილობებს. ამ ჯგუფის სათითეებში კბილები განლაგებულია ერთ, ორ, ან სამრიგად. ამ ჯგუფს განეკუთვნება: საცერული, მაღალი, დაჯია. ისინი მხოლოდ საფარცხლური კბილების სიმაღლისა და ფორმის მიხედვით განსხვავდება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სათითენის ძირითადი ჯგუფების გარდა არსებობს საფარჯიშო საბრძოლო რგოლები ბავშვებისათვის - ნესტარი, რომლითაც შეიძლება მოწინააღმდეგისათვის მკაწრავი ჭრილობების მიყენება.

დარტყმების მიყენების ტექნიკა მიახლოებით ერთნაირია და იცვლება სათითენისნაირსახეობის მიხედვით. სათითენით დარტყმის სამი ხერხი არსებობს: - დაკვრა, მოსმა და აბლრუჭება.

"სათითენით დარტყმა სრულდება მარჯვენა ხელის მკვეთრი უკუ მოძრაობებით: მარჯვნიდან - მარცხნივ, ზევიდან - ქვევით, ან ქვევიდან - ზევით (იხ. სურათი).

ხევსური ჯიბიდან სათითენს იღებს სასვენებელი და ცერა თითით; ამ დროს თითზე ჩამოცმაში მონაწილეობს მარცხენა ხელიც. ჩამოცმული საბრძოლო სათითენის ჭერის ვარიანტები ნაჩვენებია სურათზე (იხ. სურათი). ხევსურები სათითენს ჩამოიცვამენ მხოლოდ მარჯვენა ცერზე. იხმარება ასევე სათითენი, რომელსაც ჩამოიცმევა შუა თითზე - ამას შენილბულ ტარებას უწოდებენ (იხ. სურათი).



"გორიანი" და "ლესულა" სათითენით შებევის ხერხები.
(ვ. ელაშვილის არქივიდან).

მჟღავი, მჭრელი და მკაწრავი დარტყმები სხვადასხვა ტექნიკით სრულდება.

დაკვრითი დარტყმები სრულდება მჟღავი და მკაწრავი სათითენით. მოსმითი დარტყმები დამახასიათებელია მჭრელი და მკაწრავი სათითენისათვის. ასაბლრუჭებელი დარტყმები სრულდება მხოლოდ მკაწრავი სათითენით.

დაცვითი ქმედებები სრულდება: 1) ხელების მეშვეობით, მოწინააღმდეგის შეიარაღებულ ხელზე კვრით, ან ჩაბღუჯვითი ზემოქმედებით; 2) ტანის არიდებითი მოძრაობებით: ჩაყუვინთვები, ტანის გადახრები და ბრუნვები, უკან და გვერდზე ნაბიჯები"[34] (იხ. სურათი).

ამრიგად ხელჩართულ ბრძოლაში საბრძოლო რგოლების - "სათითენის" გამოყენების თაობაზე შეიძლება დავასკვნათ შემდეგი:

1. სპეციალური საბრძოლო რგოლების სათითენის გამოყენება ხდებოდა მთელ ხევსურეთში შუღლისა და მტერთან ხელჩართული ბრძოლის დროს, სადაც ხდებოდა მძიმე ჭრილობების მიყენება;

2. სათითენი ხევსურთა საბრძოლო და ფიზიკური აღზრდის ხალხური სისტემის ნაწილია და მისი საშუალებით სწავლობდნენ ცივი იარაღის ფლობის ხელოვნებას;

3. საბრძოლო რგოლებით - სათითენით ორთაბრძოლა წარმოადგენს ხელჩართული ბრძოლის ორიგინალურ და უნიკა-




ჟურნალი "Боевое искусство планеты" "Боевые кольца сванов" (?!).

ლურ ფორმას: ამ იარაღის საშუალებით შეტევის ტექნიკური ილეთია ნაირსახეობა ახასიათებს უწინდელი ხევსურეთის სკოლებსა და საბრძოლო სტილებს;

4. სათითენით ორთაბრძოლების აღდგენა საშუალებას მოგვცემს, აღვადგინოთ ქართული ხელჩართული ბრძოლის ეს უძველესი და უნიკალური სახე თავისი ქართული სტილით, ხელწერით, სახელწოდებებით, ტემპერამენტის შესაბამისი კოლორიტითა და ძეწით. საბრძოლო ხელოვნებების შემსწავლელ ქართველ ახალგაზრდობას აღარ დასჭირდება ჩვენს ადათ-წესებთან და ჩვევებთან ასე დაშორებული იაპონური "ძიუ-ძიცუსა" და "ნინ-ძიუცუს" საბრძოლო რგოლების - "შირაკენების" და "იავარების" "სესხება" და მათი დამახინჯებულად ათვისება.

რა შეიძლება, მე ქართველმა, საბრძოლო ხელოვნებების ოსტატმა, ღვევანდელი გადმოსახედიდან ვთქვა ამის თაობაზე?! სამწუხაროა, რომ ქართველი ახალგაზრდობა ძალიან ცუდად იცნობს თავისი ერის საბრძოლო სისტემების ხელოვნებას და ისტორიას. ალბათ, ბევრმა ისიც არ იცის, რომ ჩვენ, ქართველებს ხევსურული ხელჩართული ბრძოლის სისტემის სახით იაპონელებზე და ვიეტნამელებზე არანაკლები საბრძოლო ხერხები გაგვაჩნია. ჩემი გამოკვლევებიდან გამომდინარე, როგორც იაპონელი ამაყობს თავისი საბრძოლო სისტემებით, ქართველ კაცსაც შეუძლია თავისი ტრადიციებით თავმოწონება.

არსებობს ამ უძველესი ქართული (ხევსურული) ხელჩართული ორთაბრძოლების დაკარგვისა და "გასხვისების" დიდი საფრთხე. ჩემი განგაში ეყუძნება კონკრეტულ ფაქტებს. აი, რამოდენიმე მაგალითი, თუ როგორ თანდათან, ეტაპობრივად ითვისებენ მეზობელი სახელმწიფოების ისტორიკოსები და საბრძოლო ხელოვნებების წარმომადგენლები ჩვენი ძველი ქართული საბრძოლო ხელოვნებების ტრადიციებსა და კულტურას. მეზობელი ქვეყნის (რუსეთის) სამეცნიერო-მეთოდურ კრებულში "Боевое искусство планеты" ჩვენი ძირძველი ხევსურული ხელჩართული ორთაბრძოლა - სათითენი-მონათლულია, როგორც - "Боевые кольца сванов". როგორც წინა თავებში დავრწმუნდით, სვანებს უსათითენოდაც საკმარისად ღრმა და მძლავრი საბრძოლო ტრადიციები გააჩნიათ. ეს სტატია ირონიანარევი ტექსტით თავის მკითხველს მოუთხრობს რომ: "нет, эти боевые кольца не орудия средневековых пыток. Это ритуальное оружие сванов (!!), верой и правдой служившее своим владельцам для решения споров и кровавых забав" (журнал "Боевое искусство планеты", научно-методический сборник, Москва, №3, 1993, гв. 81) (იხ. სურათი). ასე რომ, სისხლიანი გართობებისათვის და თავშესაქცევად სჭირდებოდათ ქართველებს სათითენი. მეორე უცნაური ფაქტი ისაა, რომ ამ სტატიაში ყველა მოყვანილი ნახატი გადმოღებულია ვ. ელაშვილის ზემოთხსენებული ნაშრომიდან - <Сатптени (Хевсурские боевые кольца)>, მაგრამ სამწუხაროდ, სტატია წყაროს ავტორს არ ასახელებს (იხ. სურათი). ნაშრომის სახელწოდებიდან კი ნათელია, რომ ხევსურეთზეა საუბარი და არა სვანეთზე. მესამე უცნაური ფაქტი ისაა, რომ ელაშვილის

ნაშრომიდან გადახედულ ხევსურ მებრძოლებს გახადეს მათი ულამაზესი ეროვნული ტანსაცმელი - ტალავარი და ჩააცვეს გაუგებარი სახის თეთრი პერანგები (იხ. სურათი). ცოტა ხნის შემდეგ გადაიღეს ამ ჩვენი ხელოვნების "განხეთქების" მეორე ნაწილიც. მშვენივრად იცოდნენ (იციან) რა ამ ხელოვნების ფასი და მნიშვნელობა, გამოუდიათ შემდეგი სტატიები: "Славянский бой"[86]. სადაც ყველა სლავიანური ტანსაცმელში გამოწყობილ მეომრებს ხელში ჩვენთვის კარგად ნაცნობი ხევსურული "სათითები" უჭირავთ და ქვეყნებენ ე. ელიაშვილის ნაშრომიდან აღებულ მოძრაობებს. ჯერ-ჯერობით ამ სტატიას ტექსტი არ აქვს, მხოლოდ სათაური და წარწერა "Фотообзор". მაგრამ თუ ჩვენ არ გავფრთხილდით და არ მოვუარეთ ჩვენი ერის საბრძოლო სულის საგანძურს, ეხლა გაჩნდება წარწერაც "Древние славянские боевые кольца!"...

საქმე უფრო სერიოზულადაა, ვიდრე ჩვენ ეს გვგონია. საქართა, ქართველმა საბრძოლო ხელოვნებების მიმდევრებმა დროზე აუტეხოთ განგაში და მკერდით დაიცვათ ჩვენი ეროვნული საგანძური, ჩვენი ქართული საბრძოლო სისტემები მიტაცებისა და მითვისებისაგან. თვითონ განსაჯეთ. ზემოთ მოყვანილი მაგალითი, სამწუხაროდ, ერთადერთი როდია.

ძალაური შეტევა განხორციელდა ჩვენი ქართული ჭიდაობის მიმართ ჯერ კიდევ XX საუკუნის 30-40-იან წლებში, საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში. მაშინდელმა "დიადი საბჭოთა სელნართული ორთაბრძოლების წარმომადგენლებმა" (განსაკუთრებით ხარლამპიევმა, ე. სპირიდონოვმა და სხვებმა), რაკი არ გააჩნდათ საკუთარი რუსული ჭიდაობის ნაირსახეობები, ე.წ. "საბჭოური საბრძოლო სისტემის" შექმნისათვის მშვენივრად გამოიყენეს ჩვენი ჭიდაობა და მისი ილეთები. ყოველგვარი ნებართვისა და ცერემონიების გარეშე წაგვართვეს ქართული საჭიდაო ჩოხა (მას მერე "Борцовская куртка" დაარქვეს) და ჩვენი "შუაკაცური" "მოგვერდი", "სარმა" და "ცერული" და მათ "ზაცეპ", "ბროსოკ ბედრომ", "პოდხვატ", და "პოდსეჩკა" უწოდეს. ამას თვითონაც არ მალავდნენ, მშვიდად და დიდი თავმოწონებით თავიანთ წიგნებსა და გამოცემებში შემდეგს აცხადებ-დნენ: "...грузинская борьба "чидаоба" отличается чрезвычайно быстрым темпом, неожиданными подножками, подсечками, зацепами и обвивами...".[87] დაიწყნეს ჩვენი დიდი და დიდებული და შექმნეს მდემარე, ნაჯვარი საბრძოლო სახე: "САМБО": ...Родиной борьбы самбо является Советский Союз. Этот вид борьбы создали наши советские спортсмены, собрав воедино лучшие приемы и выработав единые правила... Борьба самбо "сложилась" из наиболее ценных элементов национальных видов борьбы нашего необъятного Союза грузинской, таджикской, казахской, узбекской и киргизкой видов борьбы...".[88] არანაკლებ მიმტაცებლური შეტევას განიცდის ჩვენი ხევსურული ფარიკაობა - "ჭრა-ჭრილობა". აი, როგორ ხსნიან რუსული საბრძოლო ხელოვნებების ოსტატები ე.წ. "რუსული ფარიკაობის" არსს: ...Кто сказал что Русского стиля фехтования не существует! Мы с этим не согласны!... Шашка появилась на вооружении потому, что мы очень долго воевали с Кавказом... И принята она на вооружении только в казачьих частях... Шашка оружие одного удара... А в Европе шашки не было, потому что Кавказ находится на территории России... Вот и решение загадки и это основа русского боевого искусства и особенность русской школы фехтования... особенности русской национальной школы фехтования является следующее: российские горцы в своей национальной школе фехтования "парикаоба"(!!!) шашкой только наносят удары. Для парирования используется маленький щит типа броккеля называется "пари"(!!!)... наши специалисты "парикаоба" говорят о том, что не парируют удары клинком шашки потому, что: во-первых испортится лезвие клинка, а во-вторых можно лишится пальцев при сильном и умелом ударе врага...".[89] ჩვენს შეზობელ რუსეთში დაწყებულია წინაპართა საბრძოლო და კულტურული მემკვიდრეობის აღდგენის უდიდესი სამუშაო. შექმნილია ახობით რუსული და სლავური საბრძოლო ტრადიციების გამგრძელებელი ფედერაციები, კლუბები; იქმნება მრავალი საბრძოლო სტილი, გამოდის დიდი რაოდენობით შესაბამისი ლიტე-



საბრძოლო ცეკვა "ხევსურული".

[illegible]; (А. Тарас. "Техника боевого фехтования" А. Туманов. "Русский рукопашный бой"; "История боевых искусств: Россия и её соседи" და ა.შ.).

რუსული საბრძოლო ხელოვნებების მიმდევრები, როგორც [illegible] აღვნიშნეთ, [illegible] სისტემას "ძველ სლავურ" სისტემად აცხადებენ, თუმცა, [illegible] საბრძოლო სისტემები [illegible]. [illegible] რუსი მეცნიერთა ნაწილი [illegible] აღიარებს: "...Не всегда можно с точностью восстановить боевые стили и приёмы боя. Источники по этому вопросу на ранее средневековья крайне скудны" და [illegible] "...Рукопашный бой на руси появился предположительно в IX веке и развивался в форме групповых схваток <стеночных боёв> и <сцепляжки свалки>, которые, как правило, завершались травмами различной степени тяжести. По сути это были массовые побоища с использованием дубинок, свинцовых заначек и ножей... Первые известные системы боевого стиля создавались в Сов. Союзе в 20-е, 40-е годы XX века и претендовали на статус <советского боевого искусства> (Н. Ознобишный, В. Спиридонов, А. Харлампиев), но эти стили были созданы на основе приемов дзю-дзюцу, английского и французского бокса; в нем были добавлены наиболее эффективные различных восточных и западных единоборств... за последние десять лет в России множество школ и направлений объединённых термином "Русский стиль". Среди них можно назвать такие системы, как славяно-горицкая борьба, буза, скобарь, лесной воин, коло, гризна, лютый крушала, челдон, приклад и другие... На самом деле в их основу положено самое разнообразное смешение приёмов отечественного, восточного и южного происхождения, а их создатели пытаются переносить на русскую почву традиции восточных и южных школ боевых искусств..."[9]
[illegible] აღიარებს რუს მეცნიერთა ნაწილი... და [illegible] საბრძოლო [illegible] და [illegible] ქვეყანას, [illegible]!

[illegible]

[illegible] საბრძოლო [illegible] ქართველ [illegible] "საბრძოლო [illegible]" [illegible]



ხევსური გოგონა.

[illegible]

რამ ამ ცეკვის, ერთი შეხედვით, მარტივი მორალი - სუსტ არსებას შეუძლია ხელის ერთი აქნევით შეაჩეროს მტრობის გამძვინვარებული სტიქია - მხოლოდ ხილული ზედაპირია.

საბრძოლო ცეკვა "ხევსურული" მანდილის ჩამოგდებითა და მშვიდობის დამყარებით არ მთავრდება. ერთი შეხედვით დაწყნარებული, შერიგებული მეგობრები ნახევარწრედ განლაგდებიან და ერთხმად უკრავენ ტაშს ქალთა ფერხულს. თითქოს არაფერი მოასწავებს შუღლის ახალ აფეთქებას. მაგრამ, აი, მანდილოსნები ამთავრებენ ცეკვას და, როგორც კი თვალს მიეფარებიან, იდეალური სურათი მკვეთრად შეიცვლება - კვლავ შიშველი ხმლის პირები ლაპლაპებენ. მეომართა ერთიანი რკალი ირღვევა, საომარი ყიჟინა და ბრძოლის თავბრუდამხვევი რითმი ცვლის ქალთა ფერხულის გრაციოზულ მდინარებას... ეს მეორე შეტაკება კიდევ უფრო სასტიკია, ვიდრე პირველი... ახლა ორი და სამი მეომარიც კი ესხმის ერთს და მოფარიკავეთა შორის არც ერთი აღარ ჰგავს იმ კეთილშობილ რაინდს, რომელმაც რამდენიმე წუთის წინ თავი და ხმალი დახარა მანდილის წინაშე. მშვენიერების გამარჯვება მხოლოდ ხანმოკლე ილუზია აღმოჩნდა.

ცეკვის ფინალში ხმალშემართულ მებრძოლთა შორის კვლავ ქალი გამოჩნდება. მის მიერ ჩამოგდებული მანდილი კვლავ აშორებს მეომრებს, მაგრამ ახლა ჩვენ ვიცით, რომ დამყარებული მშვიდობა, შესაძლოა, მხოლოდ მომავალი ორთაბრძოლის პრელუდია იყოს, ხოლო - მეომართა მორცხვად დახრილი თავები კი მოძალადის მოჩვენებითი რაინდობა.

ვის დარჩება საბოლოო გამარჯვება მანდილისა და ხმლის დავაში? ამ კითხვას საბრძოლო ცეკვა "ხევსურული" ღიად ტოვებს. ერთი კი ცხადია: ცეკვა "ქართულის" მსგავსად, "ხევსურულიც" გვახედებს ეროვნული სულის სიღრმეში და სარკესავით ობიექტურ სურათს გვიხატავს. იქნებ ამ ცეკვის პლასტიკური ტექსტი იქით გვიბიძგებს, რომ საბოლოოდ გავარკვიოთ ვინ ვართ ჩვენ - კოდექსის ერთგული დამცველნი, მშვენიერების მორჩილი პალადინები, თუ კეთილშობილი რაინდის როლში მყოფი "მძაფრი შერკინების მოყვარული მსახიობები?"... თუმცა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არა მარტო ქართველებს მართებთ".[92]

# კარი მეფისა

## ბერიკები
## წინაქრისტიანული საქართველო



*ძველი ბერძენი გეოგრაფი და ისტორიკოსი სტრაბონი - ქართლის (იბერიის) სამეფოს შესახებ:*

*“ადამიანთა ოთხი გვარი მოსახლეობს ამ ქვეყანაში: ერთი გვარია და პირველი, რომლისგანაც მეფეებს სხამენ მახლობლობისა და ასაკის მიხედვით უხუცესს, ხოლო მეორე ამ გვარიდან მოსამართლეობს და მხედართმთავრობს. მეორე გვარი არის ქურუმთა, რომლებიც ზრუნავენ აგრეთვე მეზობლებთან სამართალზე, მესამე გვარი არის მხედართა და მიწისმოქმედთა. მეოთხე გვარი არის ხალხისა, რომლებიც სამეფო მონები არიან და აკეთებენ ყველაფერს, რაც ცხოვრებისათვის არის საჭირო. საზოგადო აქვთ მათ ქონება ნათესაობისდა მიხედვით. მართავს და განაგებს თითეულს უხუცესი. ასეთები არიან იბერები და მათი ქვეყანა“.*

საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დარგს საქართველოს სამხედრო ისტორია და მასთან დაკავშირებული საკითხები შეადგენს. სამწუხაროდ, ცალკეული საკითხების განხილვის გარდა, დღემდე ამ დარგის კვლევას არ ექცევა ისეთი დიდი ყურადღება, როგორიც ჩვენი ქვეყნის წარსულის სხვა სფეროებს. ამ ხარვეზის შევსება იოლი და სწრაფად განხორციელებადი საქმე არ არის, ვინაიდან, სამხედრო ისტორიისა და მასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა მრავალმხრივ მიდგომას მოითხოვს. ჩვენ მიზნად დავისახეთ სამხედრო ისტორიის ერთი ასპექტის - საბრძოლო წვრთნის მნიშვნელობის განხილვა ქრისტიანობამდელი საქართველოს ისტორიის კონტექსტში. ამასთან დაკავშირებით მწირი წერილობითი წყაროები მოგვეპოვება, მაგრამ მათი წარმოჩენა აუცილებლად მიგვაჩნია.

საბრძოლო წვრთნას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ძველადვე. მაგალითად, რომაელი ავტორი ფლავიუს ვეგეციუს რენატუს აღნიშნავს, რომ რომაელებმა დაიმორჩილეს დანარჩენი ხალხები მხოლოდ სწორი და ინტენსიური სამხედრო წვრთნის წყალობით, ვინაიდან, სხვას ვერაფერს დაუპირისპირებდნენ მრავალრიცხოვან გალებს, ახოვან გერმანელებს, ასევე მრავალრიცხოვან და სხეულის სიძლიერით გამორჩეულ ესპანელებს, ეშმაკობითა და სიმდიდრით განთქმულ აფრიკელებს და, რაც მთავარია, ბერძნებს, რომლებიც სამხედრო საქმის უბადლო მცოდნეები იყვნენ, როგორც პრაქტიკულად, ასევე თეორიულად. სამაგიეროდ, რომაელები ხშირად ჯობნიდნენ მოწინააღმდეგეს იმით, რომ კარგად იცოდნენ ახალწვეულთა შერჩევა და მათი გაწვრთნა იმგვარად, რომ ისინი ოსტატურად დაუფლებოდნენ ყველაფერს, რაც კი შეიძლება ლაშქრობებსა და საბრძოლო შეტაკებებში შეხვედროდათ. გარდა ამისა, მკაცრად სჯიდნენ უსაქმურებს, თაღლითებს და ყველა იმას, ვინც წვრთნას თავს არიდებდა.

კარგად გაწვრთნილი მეომრები მამაცნი, ამტანნი და დისციპლინირებულნი იყვნენ, რაც აიოლებდა ბრძოლის დროს ტაქტიკურ გადაჯგუფებას; ჯარს მანევრირებულს ხდიდა და უპირატესობას ანიჭებდა მოწინააღმდეგის წინაშე. ამავე დროს, მეომრები ოსტატურად ფლობდნენ იარაღსა და საჭურველს.

ამდენად, ჩვენ მიზნად დავისახეთ ქრისტიანობამდელი საქართველოს ისტორიაში მომხდარი ორი ბრძოლის განხილვა; ერთ შემთხვევაში ჩვენმა წინაპრებმა მარცხი განიცადეს, ხოლო მეორეში - გამარჯვება მოიპოვეს. პირველი ეხება კოლხების შეტაკებას ბერძენ მეომრებთან ძვ. წ. 401 წელს; მეორე - იბერიელთა ბრძოლას პართელებთან ახ. წ. 35 წელს.

კოლხების შეტაკების შესახებ ბერძენ მეომრებთან მოგვითხრობს ქსენოფონტე, რომელიც ამ ბრძოლის უშუალო მონაწილე და ბერძენთა ლაშქრის ერთ-ერთი სარდალი იყო. ათი ათასი ბერძენი მოქირავე მეომარი ბაბილონიდან საბერძნეთში ბრუნდებოდა. გზაზე მათ მრავალი ხიფათი და დაბრკოლება გადალახეს. შავი ზღვის სანაპიროსთან, ბერძნული ქალაქის ტრაპეზუნტის (დღევანდელი ტრაპიზონი) მახლობლად, მათ კოლხების მიწაზე გაელა მოუხდათ და სწორედ აქ მოხდა მათსა და კოლხებს შორის ბრძოლა. ტრაპეზუნტის მახლობლად მცხოვრები კოლხები, როგორც ჩანს, ამ პერიოდში კოლხეთის სამეფოს შემადგენლობაში არ შედიოდნენ და ისინი ძლიერ ტომობრივ გაერთიანებებს წარმოადგენდნენ, ვინაიდან გაბედეს და წინ აღუდგნენ ბერძენთა მრისხანე ძალას. ბერძენთა მხრიდან ბრძოლაში რვა ათასი ჰოპლიტი, ათას რვაასი პელტასტი და ჰიმნეტი მონაწილეობდა. ცხენოსანთა რაზმი შეტაკებაში არ ჩაბმულა. ამ პერიოდში ჰოპლიტები ბერძენთა ჯარის ძირითადი ძალა იყო და წარმოადგენდნენ მძიმედ შეჭურვილ ქვეით მეომრებს. მათი შეიარაღება შედგებოდა სპილენძის მუზარადისაგან, ჯავშნისაგან და საწვივეებისაგან; გარდა ამისა, დიდი ზომის ფარისაგან, გრძელი და მძიმე შუბისა და მოკლე მახვილისაგან. პელტასტები და ჰიმნეტები მსუბუქად შეჭურვილ ქვეით ჯარს შეადგენდნენ. პელტასტები შეჭურვილნი იყვნენ ტილოს მოკლე ჯავშნით, მსუბუქი მრგვალი ფარით "პელტათი", მსუბუქი შუბებითა და გრძელი მახვილით. ჰიმნეტების ნაწილი მსუბუქი სატყორცნი შუბებით, ნაწილი - შურდულებით, ნაწილი - მშვილდისრებით იყო შეიარაღებული. ბერძენი მოქირავე ჯარი მთლიანად პროფესიონალი მეომრებისაგან შედგებოდა, რომლებიც მუდმივ სამხედრო მზადყოფნაში იყვნენ და მთელი ცხოვრების განმავლობაში ფიზიკურ

წყრთიანას გადიოდნენ. რაც შეეხება კოლხებს, - მათი შეიარაღება აღწერილი აქვს ჰეროდოტეს. ქსენოფონტემდე ოთხმოცი წლით ადრე მომხდარ მოვლენებთან დაკავშირებით. ისტორიის მამა აღნიშნავს, რომ კოლხები ლაშქრობაში ატარებდნენ ხის მუზარადებს, ტყავისაგან დამზადებულ მცირე ფარებს, მოკლე შუბებსა და ხანჯლებს.

კოლხები ბერძნებს მაღლობზე ფალანგად დამწკრივებულები დახვდნენ. ფალანგა მჭიდროდ შეკრული მეომართა რამდენიმე რიგად დაწყობილ უწყვეტ მწყობრს წარმოადგენდა, რომელსაც დიდი სიგანე და მცირე სიღრმე ჰქონდა.



იბერებისა და პართელების ბრძოლის სქემა:
1 - იბერიელთა ფალანგა; 2 - ალბანელთა რაზმები; 3 - ცხენოსანი სარმატები (კატაფრაქტიერები); 4 - პართელების ფალანგა; 5 - პართიელთა განთქმული მოისართა ლაშქარი.

ბერძნები თავდაპირველად შეტევისთვის ასევე ფალანგად გამწკრივდნენ. ბერძნულ ფალანგაში საპატიოდ მარჯვენა ფრთაზე ბრძოლა ითვლებოდა, ვინაიდან მებრძოლებს ფარი მარცხენა ხელში ეჭირათ, რის გამოც, მარჯვენა მხარი დაუცველი რჩებოდათ. ამიტომ ყველაზე უფრო გაბედულ, ძლიერ და გამოცდილ მებრძოლებს მარჯვენა ფლანგზე ანაწილებდნენ.

მოწინააღმდეგეთა ფალანგები, დაახლოებით, ერთი ზომისა აღმოჩნდა. რაც მაჩვენებელი უნდა იყოს იმისა, რომ მათი ჯარების რაოდენობა თითქმის თანაბარი იყო. შემდგომში, ქსენოფონტეს რჩევით, ბერძნებმა ბრძოლის დაწყების წინ ფალანგა ლოხებად, ანუ ასეულებად დაყვეს. მთიან ადგილას ფალანგის მწყობრად მოძრაობა მოუხერხებელი იყო. ადგილმდებარეობის უსწორობის გამო, ბრძოლის დროს მისი რიგები იოლად შეიძლებოდა გარღვეულიყო მოწინააღმდეგის მიერ და შემდგომ დასაქსული ჯარის ნაწილებისათვის დიდი ზიანი მიეყენებინა. გადაჯგუფების გამო ჯარი ოთხმოც ლოხად დაიყო. ყოველ ლოხას ლოხაგი მეთაურობდა. პელტასტები და პიმნეტები სამ ექსას კაციან რაზმად დაჰყვეს. ერთი რაზმი დააყენეს მარცხენა ფრთაზე, მეორე - მარჯვენაზე, მესამე - ჰოპლიტთა შორის, ცენტრში. ამდაგვარი გადაჯგუფების შედეგად ბერძენთა ფრონტი გაცილებით ფართო გამოდგა, ვიდრე კოლხთა.

პირველები შეტევაზე ბერძნები გადავიდნენ. კოლხებმა დაინახეს, რომ ბერძენთა ფრონტი მათ ფრონტზე უფრო ფართე იყო და ალყის შემორტყმით ემუქრებოდა. ამიტომ, ერთი ნაწილი ბერძენთა მარცხენა ფრთისაკენ დაიძრა, ხოლო მეორე ნაწილი - მარჯვენა ფრთისაკენ, რითაც ცენტრი გააშიშვლეს. ამდაგვარი ქმედება კოლხთა ტაქტიკური მომზადების სისუსტით იყო გამოწვეული. ბერძნებმა ისარგებლეს შექმნილი სიტუაციით და ცენტრში მყოფი პელტასტები, რომლებიც ბრძოლაში მობილურობით გამოირჩეოდნენ, პირველები აიჭრნენ მაღლობის კენწეროზე, სადაც კოლხთა ორ ნაწილად გაყოფის შემდეგ ცენტრში სიცარიელე შეიქმნა. პელტასტებს ჰოპლიტებიც მიჰყვნენ. ჯარის შუაზე გახლეჩვისა და მაღლობის დაკარგვის გამო კოლხები უწესრიგოდ დაიფანტნენ. საბრძოლო წარმატების მოპოვების შემდეგ ბერძნებმა დაარბიეს და გაძარცვეს კოლხთა ქვეყანა: მიადგნენ ქალაქ ტრაპეზუნტს; მის მახლობლად ჩაატარეს მსხვერპლშეწირვა და გამართეს ასპარეზობა სირბილში, კრივში, ჭიდაობაში, ჯირითში. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ შეწირული საქონლის ტყავებით.

ბრძოლა იბერებსა და პართელებს შორის მოხდა ახ. წ. 35 წელს. ამ პერიოდში იბერთა სამეფო ტახტზე იჯდა მითრიდატე, რომელსაც მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული რომის იმპერატორ ტიბერიუსთან. რომაელები, რომლებიც პართელების მოწინააღმდეგენი იყვნენ, ცდილობდნენ თავიანთი გავლენა გაევრცელებინათ არმენიაზე, სადაც

მეფობდა პართელთა მეფის, არშაკიდთა დინასტიის წარმომადგენლის, არტაბან III-ის ძე არშაკი. რომაელებმა გადაწყვიტეს არმენიის ტახტზე აეყვანათ იბერთა მეფის მითრიდატეს რომელიმე ვაჟი. ამ გეგმის განსახორციელებლად არმენიაში შეიჭრა და დედაქალაქი არტაშატი დაიკავა მითრიდატეს ძე ფარსმანმა. არტაბან III ფარსმანის წინააღმდეგ აგზავნის თავის ვაჟს ოროდს. ბრძოლა იბერებსა და პართელებს შორის აღწერილი აქვს რომაელ ისტორიკოსს კორნელიუს ტაციტუსს.

ფარსმანმა მოკავშირეებად სარმატები და ალბანელები მოიწვია. სარმატები კავკასიის ქედს გადაღმა მომთაბარე ტომები იყვნენ, რომლებიც ოსების წინაპრებად ითვლებიან, ხოლო ალბანელები თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მოსახლე ხალხი იყო. სარმატების ნაწილი ასევე მიიმხრეს პართელებმა, მაგრამ იბერებმა ისინი არ გადმოუშვეს კავკასიონის ქედზე.

ამგვარად, ბრძოლაში ერთი მხრივ მონაწილეობას იღებდნენ იბერები, გაძლიერებულნი ალბანელი და სარმატი მოკავშირეებით, მეორე მხრივ - პართელები. ეს ხალხი, აღნიშნულ პერიოდში, განსხვავებული სოციალური და სამეურნეო ნორმებით ცხოვრობდა, რაც განაპირობებდა მათი შეიარაღების და, შესაბამისად, ბრძოლის განაწილების წესებსაც.

წერილობითი წყაროები არაფერს გვატყობინებენ მოწინააღმდეგე ჯარის რაოდენობის შესახებ; ასევე არ ვიცით შეფარდება ჯარის სხვადასხვა სახეობათა შორის. ტაციტუსი აღნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ფარსმანი არმენიაში დიდი ურდოებით შეიჭრა. იბერთა ჯარის დიდი ნაწილი ქვეითებისაგან შედგებოდა, ხოლო მეფე და მისი გარემოცვა ცხენოსანი იყო.

იბერიელი ქვეითი მშვილდოსნები მოხსენებული ჰყავს პლუტარქს, როდესაც იგი აღწერს რომაელი სარდლის ლუკულუსის ბრძოლას არმენიის მეფე ტიგრან II-სთან ძვ. წ. 69 წელს. ამ ბრძოლაში დაქირავებული იბერიელი მშვილდოსნები მარდ ცხენოსნებთან ერთად არმენიის ჯარის წინა რიგებში იდგნენ. ასევე მონაწილეობდნენ იბერიელი მშვილდოსნები ძვ. წ. 65 წლის ომში, როდესაც რომაელი სარდალი პომპეუსი შეიჭრა იბერიაში. ტაციტუსი აღნიშნავს, რომ იბერიელი ქვეითი მეომრები ფიზიკურად ძალზე ძლიერები იყვნენ. ვინაიდან მთაგორიან ადგილას იზრდებოდნენ, მიჩვეულები იყვნენ მკაცრ პირობებში ცხოვრებას და ძალზე ამტანები იყვნენ. იბერთა მეფე და მისი გარემოცვაც საკმაოდ კარგად იყო გაწვრთნილი ბრძოლისათვის.

ცნობილია, რომ ფარსმან II სტუმრობის დროს რომში იმპერატორი ანტონინუს პიუსი სპეციალურად დაესწრო ფარსმანის, მისი ვაჟისა და იბერიელი დიდებულების სამხედრო წვრთნას.



იბერიელი მშვილდოსანი (მებრძოლი)

ძვ. წ. I - ახ. წ. I ს.ს.-ის მიჯნაზე სარმატული ტომები მომთაბარეობას ეწეოდნენ. ამ პერიოდში მათ რიგებში სულ უფრო და უფრო იკვეთებოდა არისტოკრატია, რამაც გარკვეული დაღი დაასვა მათ სამხედრო საქმეს. ჯარის ძირითადი ნაწილი ცხენოსანი იყო (ქვეითი ნაწილები უმნიშვნელო როლს თამაშობდნენ), რომელიც ორად იყოფოდა - მძიმედ და მსუბუქად შეჭურვილ ნაწილებად. მძიმედ შეჭურვილ ცხენოსან მეომრებს კატაფრაქტარიები ერქვათ. ისინი სარმატული საზოგადოების მაღალი ფენის წარმომადგენლებისაგან კომპლექტდებოდა. შეიარაღებულები იყვნენ მძიმე ჯავშნითა და მუზარადით, 4-4,5 მ-ის სიგრძის შუბით, მახვილით, მშვილდისრით; ზოგჯერ ჯავშნით ცხენიც იყო დაცული. სარმატები მჭიდროდ შეკრული რიგებით მოწინააღმდეგეზე ერთიანი შეტევებით იყვნენ განთქმულნი, სადაც ძირითად დამრტყმელ ძალას კატაფრაქტარიები წარმოადგენდნენ.

რაც შეეხება პართელებს, მათი ჯარის დიდი ნაწილი ასევე მძიმედ შეჭურვილი მხედრებისაგან შედგებოდა. შესანიშნავ ცხენებზე ამხედრებულები, ისინი შეიარაღებული იყვნენ გრძელი შუბებით, მახვილებითა და საბრძოლო ცულებით. განსაკუთრებით ოსტატურად ფლობდნენ მშვილდისარს, რომელიც ძალზე შორსმტყორცნელი იყო.

მშვილდისრის ფართოდ გამოყენებამ თავისი გავლენა იქონია პართელთა საბრძოლო ტაქტიკაზეც. ბრძოლის დროს ისინი ცდილობდნენ, მოწინააღმდეგეს არ მიახლოებოდნენ და ისრების საშუალებით შორიდან გაენადგურებინათ.

ბრძოლის ამგვარი ხერხით მათ ძვ. წ. 53 წელს რომაელთა ორმოცათასიანი ლაშქარი მოსპეს ქალაქ კარასთან. რომაელთა ჯარი შვიდი რჩეული ლეგიონისგან შედგებოდა - გარდა ამისა, 4000 ცხენოსნისაგან და ასეთივე რაოდენობის მსუბუქად შეჭურვილი მეომრისაგან. მათი მეთაური მარკუს ლიცინიუს კრასუსი იყო. პართელებმა ისრებით ისე გაჟლიტეს რომაელთა უძლეველად აღიარებული ჯარი, რომ ხელჩართულ ბრძოლაში თითქმის არ ჩაბმულან.

ორიდი ბრძოლას თავს არიდებდა, ვინაიდან, როგორც ჩანს, თავის ძალებში არ იყო დარწმუნებული. ფარსმანი კი პირიქით, აიძულებდა მოწინააღმდეგეს გაემართა ბრძოლა - ბანაკს ალყას არტყამდა და მოწინააღმდეგეს სურსათის მომარაგების საშუალებას არ აძლევდა. პართელებმა ვერ აიტანეს შეურაცხყოფა და აიძულეს ორიდი, საბრძოლველად გასულიყო.

როდესაც მოწინააღმდეგეთა ჯარები ერთმანეთის საპირისპიროდ განლაგდნენ, ორიდმა თავის ჯარს მიმართა და შეახსენა, რომ ისინი აღმოსავლეთის მბრძანებლები იყვნენ, ასევე სახელგანთქმულები არიან არშაკიდები მთელ მსოფლიოში, ხოლო იბერებისა და მათი მოკავშირეების შესახებ არავის გაეგო. ფარსმანმა კი თავის ჯარს შეახსენა, რომ ისინი არასოდეს ემორჩილებოდნენ პართელებს; გამარჯვების შემთხვევაში სახელს გაითქვამდნენ, ხოლო დამარცხებულებს სირცხვილი არ ასცდებოდათ. გარდა ამისა, მან მიუთითა საკუთარი რიგების სიმძლავრეზე.

პართელები შეეცადნენ, ბრძოლა თავისთვის მოსახერხებელი ტაქტიკით წარემართათ - არ დაიშალნენ ესკადრებად, რათა დარტყმებისათვის მეტი სივრცე მიეცათ. ფარსმანმა არ დაუშვა მოვლენათა ასეთი განვითარება. მან ბრძოლაში პირველად სარმატთა ცხენოსანი ჯარი ჩააბა. მათ აღარ გამოიყენეს თავიანთი მშვილდისრები, რომლებიც პართელებზე ნაკლებად შორსმტყორცნელი იყო და მოწინააღმდეგეს ბრძოლა შუბებითა და მახვილებით გაუმართეს. პართელთა გამარჯვება განსაკუთრებით მაშინ გახდა საეჭვო, როდესაც ბრძოლაში იბერთა და ალბანთა ქვეითი ნაწილები ჩაერთნენ. ისინი მოწინააღმდეგის მძიმედ შეჭურვილ მეომრებს ცხენიდან აგდებდნენ, რითაც მათ აბსოლუტურად უვნებელყოფდნენ. მძიმედ შეჭურვილი ცხენოსანი ჯარის წინააღმდეგ მოქმედების ამგვარი ხერხი, ფართოდ იყო ცნობილი წელთაღრიცხვათა მიჯნაზე არსებულ სამხედრო საქმეში.

ბრძოლის საბოლოო ბედი ფარსმანის პირადმა ვაჟკაცობამ და სამხედრო ოსტატობამ განაპირობა. მოწინააღმდეგეთა სარდლებმა ერთმანეთი იცნეს და შუბები სტყორცნეს, შემდეგ ცხენდაცხენ დაეძგერნენ. ფარსმანმა შეძლო, ორიდისათვის მუზარადი გაეკვეთა და ჭრილობა მიეყენებინა, მაგრამ საბოლოო დარტყმის მიყენება ვერ მოასწრო, რადგან ცხენმა გააქროლა. ამასობაში ორიდის დაფარვა მისმა მცველებმა შეძლეს. პართელთა რიგებში ხმა დაირხა, თითქოს ორიდი დაიღუპა. ამან მებრძოლებში პანიკა გამოიწვია და ბრძოლა ფარსმანის გამარჯვებით დასრულდა (იხ. სურათი).

*ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი,*
*დიმიტრი ახვლედიანი*

# თავი პირველი

## კოლხ და იბერიელ ტომთა ისტორია

*გსურს გაიგო "ვინა ხარ", უნდა*
*შეიგნო "ვინ იყავ". გინდა იქცე*
*"რამედ", უნდა შეიტყო "რა გიხვდა".*
*"საითკენ?" - მიზანსხედვით მაშინ,*
*თუ ქმედ იცი "საიდან"? ისტორია*
*არის არა მარტო ხილვა წარსულისა*
*- იგი თანვე ქმედითი მისაწვდომა*
*მომავლისა.*
*გრიგოლ რობაქიძე*

კავკასიის შუაგულში, შავი ზღვის ნაპირზე კავკასიონის ქედსა და კავკასიის სამხრეთ მთიანეთს შორის მოქცეული ქვეყანა, რომლის ტერიტორიის ორი მესამედი ზღვის დონიდან 1000 მეტრის სიმაღლეზეა განლაგებული, ეს საქართველოა, ჩვენი სამშობლო.

აქ, ხმელეთის მცირე ფართობზე, ბუნებამ ლანდშაფტების საოცარი სიმრავლე შექმნა: მარადმწვანე, ტროპიკული ტყეები, ზღვისპირა ჭაობები, მაღალმთიანი სტეპები, წოწყნარები, უდაბნოები, ქროლი ალპური იალაღები და მარადიული თოვლით დაფარული მწვერვალები.

რას წერდა საქართველოზე მსოფლიოში ცნობილი პიროვნება და მეცნიერი ბერნარდ შტერნი 1896 წელს: "საქართველო - საოცრებათა ქვეყანაა, ცათა სწორი კავკასიონის მწვერვალებით, მშვენიერი ხალხით, რომანტიული ციხე-ბურჯებითა და ქალაქებით, იშვიათი ლეგენდებითა და მდიდარი ისტორიული ტრადიციებით.

აქ აზიდულა პრომეთეს ამაყი მთა, ღრუბლებს ხვევს მისი მწვერვალი; აქაა წარღვნისშემდგომი ხალხის აკვანი დარწეული.

აქ მოხდარა მსოფლიოს შემძვრელი დიდი საქმეები; აქ გამართულა ბევრი გადამწყვეტი ბრძოლა. აქ გადიოდა ყველა ძველი ხალხის დამაკავშირებელი საქარავნო და საცალფეხო გზები; აქეთ ისწრაფოდნენ ძველად და შუა საუკუნეებში გამოჩენილი სარდლები და დამპყრობლები, უხსოვარ წარსულშიც და რომაელების მეფეების ჟამსაც.

აქ დამარცხდა პირველად ნიმროდი, ბაბილონის სამეფოს დამფუძნებელი ბიბლიური გმირი, და აქვე ნახა სამარე. ძველ კოლხეთში უვლიათ არგონავტებს, დამარცხებულნი გაბრუნებულან; ასევე დამარცხდა ცბიერი ოდისევსი.

კავკასიაში გაუვლიათ სკვითების ურდოებს, აქ ულაშქრია მძლე კიროსს, ალექსანდრე მაკედონელს; აქ მეფობდა მითრიდატე; აქ გაავრცელეს ქრისტიანობა ყოველ ხალხზე უწინარეს ნინომ და გრიგოლმა...

აქ დამრჩლა დიდი ნაკადები ხალხთა დიდი გადასახლების ჟამს. უმსხვერპლია ყველა კულტურა, ეპოქა, მეცნიერება, მაგრამ სამუდამოდ კი არა"[3]

ამ ტერიტორიაზე უხსოვარი დროიდან სახლობდნენ ქართველთა წინაპრები, რომელთა არსებობის კვალი, მდიდარი არქეოლოგიური მასალის მიხედვით, ჯერ კიდევ ძვ. წ. ა-მდე მესამე ათასწლეულიდან შეინიშნება. ანტიკური ხანის დასაწყისში (ძველი წელთაღრიცხვის VII-V საუკუნეებში) ქართველმა ტომებმა შეძლეს პირველი სახელმწიფოების დაარსება.

სად სახლობდნენ ქართველთა წინაპრები? როდიდან ჩამოყალიბებიათ მათ ტომობრივი სისტემა?

აი, მოკლე ისტორიული ექსკურსი:

ჩვენს ტერიტორიაზე ადამიანი ცხოვრობდა პალეოლითისა და ნეოლითის ხანაში; საქართველო დასახლებული იყო ენეოლითის ეპოქაშიც. სულ ახლახან, ბოლნისის მიდამოებში ქართველმა და უცხოელმა მეცნიერებმა მსოფლიოში ყველაზე უძველესი ადამიანის კვალიც კი აღმოაჩინეს. რკინის მეტალურგიის განვითარებასთან ერთად ძალიან სწრაფად ვითარდება საქართველოში მეცნიერება და ეკონომიკა.

ცალკეულ ქართველურ ტომთაგან ქართველებს ეკავათ დასახლებული ტე-რიტორიის მთელი აღმოსავლეთი და სამ-ხრეთი რაიონები; სვანები ძირითადად სახ-ლობდნენ დასავლეთ საქართველოს ჩრდილო რაიონებში, მეგრულ-ჭანური ტომები — შავი ზღვის სანაპიროს აღმო-სავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ რაი-ონებში.

ჩვ. წ. აღ-მდე III-II ათასწლეულებში ქართველი ტომები ინტენსიურ კავშირს ამყარებდნენ წინა აზიის ქვეყნებთან — ხეთებთან, მითანთან და სხვა სამეფოე-ბთან. ამ კავშირების დამადასტურებელია თრიალეთის დიდი სამარხები — ყორღა-ნები (ჩვ. წ. აღ-მდე II ათასწლეული). ასე-ვე მჭიდრო კავშირები მყარდება ამიერ-კავკასიის სამხრეთით მდებ ასურეთისა და ურარტუს სამეფოებთან. ამ ურთიერთობებს როგორც მტრული, ასევე მეგობრული ხასიათი ქონდა. ასურული და ურარტული ლურს-მული (სოლისებრი) დამწერლობა ჩვ. წ. აღ-მდე XII-VIII ს.ს. მოგვითხრობს ისტორიულ საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ მხვილ რაიონებში: დიაოხში (მოგვიანებით ტაოს მხარე), კოლხაში (მოგვიანებით კოლხეთი), კატარზაში (მოგვიანებით კლარჯეთი), ტიტერხუში (მოგ-ვიანებით ბიზერი, თრიალე), ზაბარეხში (მოგვიანებით ჯავახეთი) და სხვ. განვითარებულ მდგომარეობაზე.



საქართველო - პირველი ევროპელის სამშობლო ("ზეზვა" და "მზია" პირველი ევროპელები).
გ. ლაეითიანის კომპიუტერული გრაფიკა.

გარე მტრებთან (მიდია, აქემენიდური ირანი, ხოლო შემდეგ მეზობელი ელინისტური სახელმწიფოები) ბრძოლებში წარმოიშობა ორი მსხვილი ქართული სახელმწიფო — **კოლ-ხეთის სამეფო** და **იბერია** (ქართლი — აღმოსავლეთი საქართველო).

როგორც წერილობითი წყაროები, ასევე არქეოლოგიური ძეგლები მოგვითხრობენ, რომ ამ ორ ქართულ სახელმწიფოს გააჩნდა ძლიერი სამხედრო პოტენციალი, წარმოების მაღა-ლი დონე. ვაჭრობის ფართო ქსელი და ადგილობრივი ვერცხლის ფულის "კოლხური თეთრის" ძლიერი წრებრუნვა **კოლხეთის სამეფოს** ფარგლებში. ჩვ. წ. აღ-მდე VI საუკუნე-ში კოლხეთის ტერიტორიაზე უკვე არსებობდნენ მსხვილი ბერძნული კოლონიებიც: ფაზი-სი (დღევანდელი ფოთი), დიოსკურია (დღევანდელი სოხუმი), გიენოსი (დღევანდელი




წინა აზია (შუა მდინარეთი) ძვ. წ. III_I საუკუნეებში.
ავტორი მ. შეყილაძე.

ეანი), გიუენი (დღევანდელი ოჩამჩირე) და სხვა. ბერძენი ისტორიკოსი და გეოგრაფოსი სტრაბონი (ძვ. წ. აღ-ით 64 წ.) დაბეჯითებით ლაპარაკობს კოლხეთის ოქროს საბადოებზე. აქედან ჩარეცხილი ოქრო ძვირფასი ქვიშით ამდიდრებდა კოლხებს. ისინი ოქროს მარცვლებს ცხვრის ბალნიანი ტყავის საშუალებით აგროვებდნენ, რომელიც ბრჭყვიალა ქვიშას აკავებდა. აქედან წარმოსდგება ლეგენდა ოქროს საწმისის შესახებ; თუმცა ოქროს საწმისი ძველ კოლხეთში სიმბოლურად არსებულ სულიერ, ფილოსოფიურ, სამეცნიერო, კულტურულ, სამხედრო და საბრძოლო სიდიადისა და სიძლიერის სკოლას განასახიერებდა.



ძველი კოლხური სამხედრო-საზღვაო ხომალდი გრძელი რკინის წვეტიანი გამონაშვერით (გატარანებისათვის) (ჩვ. წ. აღ-მდე IV-III ს.ს.). (ზ. კუტალეიშვილის მიხედვით).

თავის მხრივ, ის ცოდნა, რომელიც არგონავტებმა კოლხეთიდან წაიღეს და შემდეგ მთელ მსოფლიოს მოჰფინეს, თავის თავში ასტრონომიის, ასტროლოგიის, ფიზიკის, ქიმიის, მათემატიკის, ფიტოთერაპიის, მინერალოგიის, მედიცინის, კოსმიური ენერგიების მოძღვრებებს შეიცავდა. ამ ცოდნას სიმბოლურად "ოქროს საწმისის" მოძღვრება ეწოდეს.

ალბათ, დადგა დრო, რომ ჩვენმა ახალმა თაობამ ეს მოძღვრება ისევ თავის სამშობლოში - საქართველოში დააბრუნოს შესაბამისი განსწავლულობის, მიზანდასახულობის, შეუპოვარი ნებისყოფისა და ძალისხმევის საშუალებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, კვლავ რომელიმე სხვა ცივილიზაცია დაეპატრონება მას.

საქართველოს აღმოსავლეთ და სამხრეთ ტერიტორიებზე წარმოიქმნა იბერიის სამეფო, რომლის დედაქალაქი მცხეთა იყო. ამ სამეფოს დამაარსებლად ითვლება მეფე ფარნავაზი. ჩვ. წ. აღ-მდე III საუკუნეში ფარნავაზისა და მისი მემკვიდრეების პერიოდში იბერიის სამეფო მსხვილ სახელმწიფოდ გადაიქცა. გარდა თანამედროვე აღმოსავლეთ საქართველოსი, მის შემადგენლობაში შედიოდა სამხრეთი რაიონებიც: გოგარენა, ხორძენა და მთა პარიადრის რაიონი (მოგვიანებით პარხალი); აღმოსავლეთით იბერიის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა მდ. ალაზნის ველი, ხოლო დასავლეთით - დასავლეთ საქართველოს უმეტესი მთიანი რაიონები. იბერთა სამეფო ისე გაძლიერდა, რომ უკვე გაუჩნდა ამიერკავკასიაში ჰეგემონიის პრეტენზია. იბერია განსაკუთრებით გაძლიერდა ჩვ. წ. აღ-მდე II საუკუნეში მეფე ფარსმან ქველის დროს. რომი ამ პერიოდში იძულებული გახდა, ეცნო იბერიის საზღვრების მნიშვნელოვანი გაფართოება.

ლაზურ სამეფოში ფართოდ გავრცელებული იყო ბერძნული დამწერლობა. ფაზისში არსებობდა რომის იმპერიაში ცნობილი "კოლხეთის აკადემია". იბერიაში კი იმ დროისათვის იწყება მშობლიური ქართული დამწერლობის ინტენსიური განვითარება.

სანამ ჩვენი წინაპრების უძველეს საბრძოლო ხელოვნებას - ბერიკათა სტილს შევეხებოდეთ, უპრიანი იქნება, გავიხსენოთ კოლხ და იბერიელ ტომთა მოძღვრებები და ტრადიციები, რადგანაც, სწორედ ამ ბაზაზე წარმოიშვა და განვითარდა ქართული საბრძოლო ხელოვნება.

ჩვენი გენეტიკა, რიტუალი, ხასიათი, ტემპერამენტი, წეს-ჩვეულებები, ტრადიციები, ხელოვნება, კულტურა, ფილოსოფია - უძველესი იბერი და კოლხი წინაპრებისაგან გადმოგვეცა. ჩვენ ისევე ვლაპარაკობთ, ვმღერით, ვცეკვავთ, ვმხიარულობთ, ვმწუხრებთ, ვლილინებთ, ვუვლით ვაზს, ვაყენებთ ღვინოს და ვამბობთ სადღეგრძელოებს, როგორც ისინი; ისევე ძლიერ გვიყვარს მამული, ქართველობა, როგორც უწინ, რამდენიმე ათასი წლის წინათ. ჩვენ მათი სისხლი და ხორცი ვართ, მათი ისტორიის, ყოფის გამგრძელებლები. არ შეგვეცვლია არც ენა, არც სიმღერა, არც ცეკვა და არც საბრძოლო ტრადიცია - მხოლოდ "ოდნავ" დაგვავიწყდა ზოგიერთი რამ.

ამერიკელი მეცნიერი და ჟურნალისტი შარლ პუმელი (ჟურნალ "ატლანტისის" რედაქტორი) ქართველებზე წერს: "ქართველები უძველესი კულტურის ხალხია. ეს ერი თავისი



შუმერი "ზეროკების" დღესასწაული (ძველი შუმერული ნახატი).

ძეგლებითა და გმირული ისტორიით უმდიდრესი ერია; მისი წარმოშობის ფესვი უხსოვარ წარსულში იკარგება. დანამდვილებით არავინ იცის, ვის ენათესავებიან ისინი - ძველ შუმერებს, ეტრუსკებს, თუ ბასკებს... კავკასიაში ცხოვრობს უძველესი კულტურისა და ენის მფლობელი ევროპელი ხალხი. ამ ხალხის გაცნობა დიდად გაამდიდრებს მკითხველთა შემეცნებას, განუზომელ სიამოვნებას მიანიჭებს მათ".[74]

ხოლო ქართველ მეცნიერს, პროფესორ ე. ელაშვილს ძველ ქართველურ ტომებზე შემდეგი აზრი გააჩნია: "ჩვ. წ. აღ-მდე VI-V საუკუნეებში წინა აზიის დიდი ტერიტორია ხეთურ-იბერიულ ტომებს ეკავათ. ხეთები ცხოვრობდნენ მცირე აზიაში, იბერ-სუბარები - მესოპოტამიიდან კავკასიონამდე.

ჩვ. წ. აღ-მდე XVII საუკუნეში იბერიელ-სუბარებმა შექმნეს ძლიერი სახელმწიფო - მითანი, რომლის გამგებლობაში მრავალი ათეული წლის განმავლობაში შედიოდა ასურეთიც. შუმერული ტომები კი კავკასიის მთებიდან წამოვიდნენ და მესოპოტამიაში დასახლდნენ".[75]

ცნობილი ქართველი მეცნიერი ჯ. შარაშენიძე ქართველ ტომებთან მიმართებაში ასე სვამს საკითხს: "თავისთავად ისმის კითხვა: რომელ ეთნიკურ გარემოს მიეკუთვნებიან ზემოთ განხილულ კულტურათა შემქმნელი და მატარებელი ხალხები? ეს საკითხი შუამდინარეთის ისტორიის ჯერ კიდევ გადაუწყვეტელ პრობლემათა რიგს მიეკუთვნება... ისტორიულ ხანაში შუამდინარეთის ტერიტორიაზე სახლობდა ძირითადად ორი მოდგმის ხალხი: ჩრდილოეთით - სემიტები, სამხრეთით - დაახლოებით 33-ე პარალელიდან სპარსეთის ყურემდე - შუმერები... ზოგი მეცნიერი ფიქრობს, რომ შუმერები, შესაძლოა, სამხრეთ შუამდინარეთში მოვიდნენ ჩრდილოეთიდან ამიერკავკასიის გავლით... შუმერებს თავისი ეთნიკური სახე და მეობა შეუნარჩუნა ენამ, რომელიც მათ მიერვე შექმნილი ლურსმული დამწერლობის წყალობით თავიდანვე საკმაოდ ზუსტად აისახა ათასობით ლიტერატურულ და სამეურნეო-ადმინისტრაციულ დოკუმენტში... განსაცვიფრებელია ის მეცნიერული გამოკვლევები, რომლებიც ქართველმა მეცნიერებმა ჩაატარეს შუმერული და ქალდეური ენების შესახებ. ამ დარგში პირველი საყურადღებო ნაშრომები ქართულ ენაზე ჯერ კიდევ XX საუკუნის 30-იან წლებში გამოაქვეყნეს მიხეილ წერეთელმა და ალექსანდრე სვანიძემ. მათ ქართული ენის შუმერულთან ნათესაური კავშირიც აღმოაჩინეს (!)... ამ საქმის პიონერი იყო ჩეხი მეცნიერი კ. კრამარჟი, რომელმაც ჯერ კიდევ 1905 წელს გამოაქვეყნა აღნიშნულ ენების საზიარო ლექსიკური მასალებისადმი მიძღვნილი გამოკვლევა: "შუმერულ-ქართულის ენობრივი ერთობის შესახებ".[76]



შუმერული ანბანი.

"ცნობილი ქართველი შუმეროლოგი, ბატონი მიხაკო წერეთელი მიიჩნევს რომ შუმერულ ენაში სიტყვა "სახლი" ქართველური ენებიდან არის გადასული და სიტყვის პირველი ნაწილი: სა- უნდა იყოს პრეფიქსი ფუძისა -ხლ-. ბატონ მიხაკოს მიერ დაშლილი სიტყვის "ხლ"- ფუძეში ჩვენ ამოვიკითხეთ შეკვეცილი ფორმა "ხალ" ძირისა: -ხლ-, რომელშიც "ქალისა" და "ცხოვრების" მნიშვნელობა უნდა იყოს ჩადებული, ანუ: სიტყვა "სახლი" ეტიმოლოგიურად თავისი თავდაპირველი გაგებით უნდა ნიშნავდეს: სა-დედოს, ქალის, დედის, სამყოფელს.

აღსანიშნავია ისიც, რომ "ხალ" ფუძე ქართულში დაკავშირებულია უფრო ზოგად მნიშვნელობასთანაც: "ცეცხლთან", "სითბოსთან". ზანში: "ხალეა" მოქმედების აღმნიშვნელი ფორმა უნდა გქონდეს სიტყვისა:



მაიას ტომის "ბერიკა-ვეფხვი" ("ვეფხისტყაოსანი") - სიბრძნეს თესავს" (ძველი მაიას ტომის ნახატი).

"ხალ", "ხალვა", "მოხალვა", ქართულში ნიშნავს რაიმესთვის ცეცხლის მიცემას, მოცეცხლვას, მოთბობას, მოწვას; ცეცხლის მინიჭებას, რაც არ გამორიცხავს "ხალ" ფუძეში ხალდაც ცეცხლთან ერთად მზის მნიშვნელობის შესაძლებლობასაც. ქართულ ეთნოსურ აზროვნებაში რომ მზე ქალია და დედაა, ამაზე არ დავობენ. ერთი სიტყვით "ხალდეა" ისევე მეტყველებს, რომ "დედის" მნიშვნელობის შემცველია, როგორც ქართული სიტყვა "შედედება".[97]

ცნობილი ქართველი მეცნიერის, თეოლოგისა და ფილოსოფოსის, ქალბატონი ლენინა სემბაძის აზრით, მესოპოტამიურ-პონტოსპირული უძველესი ცივილიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენლები - ქალდეველი ტომებიც იყვნენ. მესოპოტამიაში არქეოლოგიური გათხრების შედეგად (ეს გათხრები 1870 წელს ინგლისელმა სწავლულმა ჯორჯ სმიტმა ჩაატარა) აღმოჩენილი ლურსმული დაფებით მსოფლიოსათვის ნათელი გახდა შემდეგი: ჯერ ერთი, ძველი ებრაული მოდგმა, აბრამი და მისი თესლტომი, ეგვიპტეში ქალდეველთა ურიდანაა წამოსული (აი როგორაა ეს ახსნილი ძველ აღთქმაში: "გამოეცხადა აბრაამს ხილვაში უფლის სიტყვა..." (დაბ. 15.1). "გარეთ გაიყვანა და უთხრა: "აიხედე ცას და დათვალე ვარსკვლავები, თუ შეგიძლია მათი დათვლა". მერე უთხრა: "ამდენი იქნება შენი შთამომავლობა" (დაბ. 15.5). უთხრა: "მე ვარ უფალი, რომელმაც გამოგიყვანე ქალდეველთა ურიდან, რომ დასამკვიდრებლად მოგცე ეს ქვეყანა" (დაბ. 15.7). "...ეგვიპტის მდინარიდან დიდ მდინარემდე, ევფრატის მდინარემდე" (დაბ. 15.18). და ამ გამოსვლით ებრაელთა პირველმა პატრიარქმა თან ქალდეური საკრალური ცოდნაც წამოიღო (ლენინა სემბაძის მიხედვით). და, მეორე, ამ საკრალურ ცოდნასთან ერთად მათ ქალდეველებისაგან ასევე დიდი საბრძოლო ხელოვნების ცოდნა და ტრადიციებიც გამოიყოლეს თან, რომელიც მათ (ებრაელებს) მრავალსაუკუნოვან მძიმე პერიოდების დროს ძალიან გამოადგათ.

ქალდეველები პონტოსპირულ ქართულ ტომებთან ორგანულ კავშირში იმყოფებოდნენ.

ურარტული წარწერებით ღმერთი ქალდე შემოქმედი ღვთაებაა - ყოვლისშემძლე და ყოვლადძლიერი; გარდა ამისა, ქალდე ღმერთ-ქალის განსახიერებას წარმოადგენს. ევროპულ მეცნიერებაში ცნობილია ქალდეს დედობა, შეგვიძლია უამრავი ლინგვისტური მაგალითის მოყვანა ქართული ენიდან: ქართული სიტყვა "ქალ"-ი და მეგრული სიტყვა "ხალ"-ი კი ნაყოფიერების პროცესში, მშობიარობის პროცესში მყოფ ქალს ნიშნავს... ასევე მსოფლიომ იცის კოლხური გრძნეულებისა და კოსმოგონიური სიბრძნის შესახებ, რომლის მითოლოგიურ სიმბოლოსაც კოლხეთის მეფის აეტის ასული მედეა წარმოადგენდა - არგონავტების ხომალდით გატაცებული კოლხეთიდან საბერძნეთს, თავის კოსმოგონიურ ცოდნასთან ერთად.

რამდენადაც პონტოსპირეთის ქალდეას ერთიანად მოიცავს ძველი კოლხეთი, პონტოსპირული ქალდეველობაც მოიცავს თავისთავში კოლხურ სიბრძნესა და ცივილიზაციას. ამიტომაც ეჭვი არაა, რომ პონტოსპირულ ქალდეველებსა და მოსხურ-კოლხურ ცივილიზაციებს შორის მყარი კავშირი არსებობდა (ლენინა სემბაძის მიხედვით).

"ასე რომ, შუმერულ-ქალდეურ ცივილიზაციას იკვლევს და სწავლობს დასავლური ხედვის მეცნიერული გონებაც და მისი ჩრდილოური გონებაც, რომელსაც "იბერიულ-კავკასიურის" სახელწოდებით მოიხსენებენ".[98]

აქვე მინდა მოვიყვანოთ მსოფლიოში ცნობილი უძველესი ცივილიზაციის, მაიას ტომების შემსწავლელი მექსიკელი მეცნიერის, ხოზე არაგუელსის აზრი: "Общепринятая догма современной антропологии утверждает, что Майя входили в огромную группу американских индейцев, которые в последний ледниковый период около 12 тысяч лет назад, перебрались в Америку из Передней Азии через замёрзший Берингов пролив и окончательно обосновались в том районе, который сейчас называется Центральной Америкой...".[99] რათა ყველაფერი ეს მკითხველს უბრალო ახსნად არ მოეჩვენოს, ვურჩევ გადახედონ მაიას უძველესი ტექსტების "პოპოლ ვუხ" ("Popul Vuh"), "ჩილამ - ბალამის" წიგნის ("The book of Chilam-Balam") და "კაკჩიკელების მატიანეებს" ("The annals of Cokchiquels"). ამ წყაროების გაცნობისას, მკაფიოდ ჩნდება აზრი,

რომ მაია სინამდვილეში შორეული აზიიდან მოვიდა სამხრეთ ამერიკაში: "...ზღვის მეორე მხრიდან დასავლეთიდან (ანუ აზიიდან) მოვედით ჩვენ და მივედით იმ ადგილას, რომელსაც ტულანი ეწოდება, სადაც ჩვენ ნაყოფად ჩაგვსახეს (მეცლადგულეს) და დაგვბადეს ჩვენმა დედებმა და მამებმა...".[100]

როგორც ჩანს, ყოფილი წინა აზიის დიდ ტერიტორიაზე, მესოპოტამიისა და კავკასიონის, ანუ დღევანდელი შუამდინარეთის (ერაყი, სირია, ირანი, საუდის არაბეთი, თურქეთი, საქართველო) ტერიტორიაზე, დასახლებული იყვნენ როგორც შუმერული, ასევე პონტოსპირული-ქალდეველური, ხეთური, სუბარული, კოლხური და იბერიული ტომები, ასევე მაიას ტომებიც. ბუნებრივია, ისინი ურთიერთგავლენას მოახდენდნენ ყოფიერების ყველა სფეროში - იქნებოდა ეს მსოფლმხედველობა, ფილოსოფია, წეს-ჩვეულებები, რიტუალები, დღესასწაულების ჩატარების ხასიათი, საბრძოლო ხელოვნებები თუ სხვა. (იხ. სურათი-რუკა).



მაიას ტომთა სამყაროს უძველესი ბორბალი (მანდალა) "პაკალ-ეოტანა".

ამ აზრს შემდეგნაირად აგრძელებს ბატონი ჯემალ შარაშენიძე: "ჩვენ (ქართველები) თითქმის ათასხუთასი წლის მანძილზე მივყვებოდით მათ შრომაში, ბრძოლასა და შემოქმედებაში. მათი ლამაზი ცხოვრების ნათელმა საუკუნეებს გადმოაშუქა. შუმერების მიერ შექმნილმა მდიდარმა და მრავალფეროვანმა კულტურამ უშუალო, ან არაპირდაპირი გზით გარკვეული გავლენა მოახდინა წინა აზიისა და ხმელთაშუა ზღვის აუზის ტერიტორიაზე მცხოვრები უძველესი ხალხების - ასურელ-ბაბილონელების, ელამელების, ხეთების, ძველი ებრაელებისა და სპარსელების, ფინიკიელებისა და ბერძნების სულიერ განვითარებაზე. ამ ხალხებთან ოდითგანვე მჭიდრო კულტურული და ეკონომიკური კავშირურთიერთობა ჰქონდათ სამხრეთ ამიერკავკასიის ვრცელ მიწა-წყალზე მცხოვრებ ქართველური ტომების უძველეს წინაპრებს, რომლებმაც მათი მეშვეობით, უფრო მეტად კი, პირდაპირი გზით, შეითვისეს შუმერული კულტურის არა ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი. ეს ელემენტი ჩვენ დღემდე მოვიტანეთ და ისე შევისისხლხორცეთ, რომ დღეს კიდევაც გვიჭირს საკუთრივ ქართულისაგან მისი გამოყოფა-გამოცალკევება. შეიძლება ამიტომაცაა, რომ შინაგანად ასე მახლობლად მივიჩნევთ ჩვენ შუმერებს, ასე ძალუმად გვიზიდავს მათი სულიერი შემოქმედების ყველა სფერო".[101]

საინტერესოა ისიც, რომ ჩამოთვლილი ტომების მსოფლმხედველობა, დღესასწაულები, მითოლოგიური მოდელები, ფილოსოფია და საბრძოლო ხელოვნებები ძალიან წააგავს ძველ ჩინურ კულტურას. მაგალითისათვის ავიღოთ მაიას ტომების ერთ-ერთი უძველესი სიმბოლო (იხ. სურათი), რომელშიც თვალნათლივ ჩანს სამყაროს რვა მიმართულების ენერგიების აღმნიშვნელი ნიშნები (ცენტრში), რომლებსაც შემდგომ ჩინელებმა სათითაოდ "ტრიგრამა" უწოდეს, ხოლო ჯამურად - "პა-გუა" (რვა ტრიგრამა).



შუმერი ტომების საბრძოლო ეტლი.

ცნობილი უცხოელი მკვლევარები და მეცნიერები (ტ. მაკლაცხი, ტ. დე ლაკუპრი, არლენი, ენდო და სხვა) თვლიან, რომ მსგავსი ხელოვნებები არაჩინური წარმოშობის არიან და მათ შუა აზიას, ბაბილონს, მესოპოტამიას და კავკასიას უკავშირებენ (ავტორისეული თარგამანი). მაგალითად, უცხოელი მეცნიერისა და მკვლევარის, ტერიენ დე ლაკუპრის გამოკვლევები ღალის შემდეგ აზრამდე: "ჩინეთში დღესასწაულები, სიმბოლური, მანტიური და საბრძოლო ხელოვნებები (რა-

საც აღმოსავლეთში მოკლედ "იუძიუის ხელოვნებას" უწოდებენ) - არაჩინური წარმოშობისაა. ისინი ჩინეთში შემოიტანეს ჩვ. წ. აღ-მდე 2282 წელს "ბაკის ტომის" (შუმერები, ასირიელები...) ადამიანებმა... ...ისინი დასავლეთიდან (წინა აზიის ტერიტორიიდან - ახლანდელი შუამდინარეთი) მოგზაურობდნენ შუა აზიისკენ... და ყველა ჩინური ხელოვნება - ამ უკანასკნელთა (შუმერთა) მიბაძვაა მხოლოდ...".[113]

იაპონელი მეცნიერის ენდოს აზრით, ყველა ზემოჩამოთვლილი ხელოვნებები, დაიბადა არა ჩინეთში, არამედ ჩინეთის დასავლეთ მოსაზღვრე ქვეყნებში - მესოპოტამიასა და კავკასიაში (ავტორისეული თარგმანი).[114]

ცნობილი რუსი მეცნიერის, აკადემიკოს ლ. ვასილიევის აზრით, მის მიერ ყველა დასავლური გამოკვლევის შეჯამებით, ჩინური ცივილიზაციის დამაარსებლები იყვნენ ის მომთაბარე ტომები, რომლებსაც გააჩნდათ შუა აზიური (პროტო ინდოირანული) და კავკასიური ფესვები[115]. აკადემიკოსი ლ. ვასილიევი მიუთითებს, რომ ჩვენს ერამდე მეორე ათასწლეულის შუა პერიოდში ძველ ჩინეთში აღმოცენდა "შან-ინის" ბრინჯაოს კულტურა, რომელმაც ჩინეთს თან მოუტანა მრავალი სიახლე. აი მაგალითად, ჩინეთის ტერიტორიაზე მხოლოდ "შან-ინის" ეპოქის დროს გაჩნდა ორბორბლიანი ცხენოსანი საბრძოლო ეტლები, მაშინ როდესაც შუმერებს ჩვენს ერამდე მეხუთე ათასწლეულში უკვე გააჩნდათ მორგვების ბორბლებიანი და ბრინჯაოს მილისიანი საბრძოლო ეტლები (იხ. სურათი). ამ პერიოდში ჩინეთში გავრცელდა ბრინჯაოს იარაღი  შუბები, ნაჯახები, მილისებიანი შუბის წვერები და სხვა; შენობების ახალი ტიპი, რომლებიც ბაბილონურ შენობებს მოგვაგონებდა; დამწერლობა, სახვითი ხელოვნება, კერპების ახალი სახეები და რიტუალები და მათთან დაკავშირებული საბრძოლო ხელოვნებების სისტემები, ანუ "ცხოველური სტილები" და ა.შ.

ხოლო ცნობილი უნგრელი მეცნიერი ლასკო კუნი შემდეგ მეცნიერულ დასკვნამდე მივიდა: "...უძველესი სამყაროს საბრძოლო ხელოვნებების კვალი აღმოჩენილია იმ რაიონში, რომელიც იმყოფება ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ მხარეს, უფრო ზუსტად, მესოპოტამიასა და კავკასიონის ტერიტორიაზე (ჩვ. წ. აღ-მდე IV საუკუნე)... უძველეს მესოპოტამიას და მის მიმდებარე რეგიონებს კაცობრიობის კულტურისა და ცივილიზაციის აკვნად თვლიან. ისტორიის გარიჟრაჟზე პირველად აქ დაიწყეს მარცვლოვანი კულტურების გამოზრდა, პირუტყვის მოშენება, ლითონის დამუშავება. ამ რეგიონებში ადამიანებმა ისწავლეს თიხისაგან, ხისაგან და ლელქაშისგან მუდმივი საცხოვრებლის აშენება. იმ ადგილებში, სადაც ოდესღაც შუმერები ცხოვრობდნენ, შეიქმნა დედამიწაზე ყველაზე უძველესი ქალაქ-სახელმწიფოები, რომლებიც დამცავი კედლებით იყო გარშემორტყმული. პირველად აქ მოხდა დამწერლობის, ხელოვნების, კალენდრებისა და საბრძოლო ხელოვნებების სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ სახალხო სამსახურში ჩაყენება... შუამდინარეთის ქვეყნებში, ხოლო შემდეგ ახლო აღმოსავლეთსა და მთელ ძველ სამყაროში, საბრძოლო ხელოვნებების წინსვლაში გადამწყვეტი როლი ითამაშა მსუბუქი მორგვების ბორბლიანი და ბრინჯაოს მილისიანი ცხენოსანი საბრძოლო ეტლების გამოგონებამ (ჩვ. წ. აღ-მდე II ათასწლეულში). ცხენების მასიურად გამოყენებამ არა მარტო საბრძოლო ხელოვნება და ორთაბრძოლის სისტემები შეცვალა, არამედ, საერთაშორისო სატრანსპორტო ურთიერთობები გააუმჯობესა და ამით ქვეყნებს შორის კულტურული საგანძურისა და გამოცდილების გაცვლაც დააჩქარა. ამავეს ადასტურებს მითანიელი კიკულის "ვარჯიშთა წიგნი", რომელიც ცხენთა გაწვრთნის ცნობილ სახელმძღვანელოთა შორის ყველაზე უძველეს წიგნად ითვლება მსოფლიოში (ჩვენამდე მოაღწია ხეთურ ენაზე თარგმნილმა წიგნმა, რომელიც თარიღდება ჩვ. წ. აღ-მდე 1360 წლით)..."[116] (ავტორისეული თარგმანი).

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩინური ცივილიზაციის სათავეები  მცირე და შუა აზიაში, მესოპოტამიასა და კავკასიაში უნდა ვეძებოთ. ამრიგად, საბრძოლო ხელოვნებების ქართველმა მიმდევრებმა საბრძოლო ხელოვნებების სათავეები, ჩინეთში კი არა, შუა აზიურ და კავკასიურ კულტურებში უნდა ეძიონ! ის, რასაც დღეს მისხალ-მისხალ გვასწავლიან ჩვენი ჩინელი და იაპონელი პედაგოგები, თურმე შუა აზიიდან და კავკასიიდან ყოფილა აღებული...

# თავი მეორე

## უძველეს ქართველთა წეს-ჩვეულებები და რიტუალები

*"ქართველები ისე მღერიან და ცეკვავენ,*
*როგორც ღმერთები"*

*გაზეთი "მობილ რეჯისტრი"*

ისეთი სახელმწიფოები, როგორიც იყო იბერია და კოლხეთი, კარგადაა ცნობილი როგორც ბერძნული, ასევე მსოფლიოს სხვა ქვეყნების მითოლოგიისა და კლასიკური მწერლობისათვის.

დღეს აღარავისთვის წარმოადგენს საიდუმლოს, რომ საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა გახდა მისი ტრაგიკული ისტორიის მთავარი მიზეზი. აქ გადიოდა აბრეშუმის დიდი გზა, საქარავნო მარშრუტები; აქ გადის რუსეთისა და ახლობელი აღმოსავლეთის შემაერთებელი სახმელეთო მაგისტრალი. ბუნებრივია, ამ საბედისწერო გზაჯვარედინის ხელში ჩაგდების მსურველთა რიცხვი აურაცხელი იყო საუკუნეთა მანძილზე. განცვიფრებას იწვევს იმ სახელმწიფოების უბრალო ჩამოთვლაც კი, რომელთანაც პატარა საქართველოს უხდებოდა ბრძოლა თავისი არსებობის სხვადასხვა ეტაპზე: რომის იმპერია, ბიზანტიის იმპერია, არაბთა ხალიფატი, სელჯუკიანთა სასულთნო, ხვარაზმის სამეფო და მისი შაჰი ჯალალედინი, მონღოლთა სახანოები, ოსმალეთის იმპერია, სეფიანთა ირანი.

"ასეთი მრისხანე მოწინააღმდეგეებისათვის მცირერიცხოვან ერს უნდა დაეპირისპირებინა უზადო საბრძოლო ხელოვნება და განსაკუთრებული ტიპის ფსიქიკური წყობა, რათა გადარჩენილიყო. პირველი შესანიშნავად აისახა უამრავ საბრძოლო ილეთში, რომლებიც უცრიო გამარტივებული სახით გვხვდება ჩვენი უძველესი წინაპრების საბრძოლო ცეკვებში... უფრო მეტიც, საცეკვაო პლასტიკის ენა, ფაქტიურად, ის ერთადერთი წყაროა, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ის ერთადერთი "ტექსტია", რომელშიც შეგვეიძლია ამოვიკითხოთ ქართული საბრძოლო ხელოვნების მკრთალი კონტურები".[107]

ტყუილად კი არ აქებს მსოფლიოში სახელგანთქმული მოგზაური და მკვლევარი მარკო პოლო (1254-1324) ჩვენი წინაპრების, ქართველი მეომრების მაღალ ბრძოლისუნარიანობასა და ვაჟკაცობას: "ქართველები ლამაზი, მამაცი, ბრწყინვალე მოისრეები და ბრძოლებში ქებული მეომრები არიან... ეს ის ქვეყანაა, რომლის გავლითაც ალექსანდრე მაკედონელი უნდა გაბრუნებულიყო დასავლეთში, მაგრამ მისი აღება ვერ შეძლო. ამის მიზეზია არა მარტო გზათა სივიწროვე, არამედ მთასა და ზღვას შორის გაწოლილი ქვეყნის მცხოვრებთა სიმამაცე. ამიტომაც ალექსანდრემ ვერ შეძლო მისი გავლა და ააგო სიმაგრე, რასაც რკინის კარები (დარუბანდი) ეწოდება... და თათრებმაც კი ვერ შეძლეს ამ ქვეყნის მთლიანად დაპყრობა...".[108]

საბრძოლო ცეკვები ქართველებს უხსოვარი დროიდან გააჩნდათ. ამას აღნიშნავს ჯერ კიდევ IV საუკუნეში ქსენოფონტე. უძველეს ქართველ ტომებს მოსინიკებს გააჩნდათ ღვთით ნაბოძები ცეკვის ნიჭი და ცეკვავდნენ, რაც არ უნდა მომხდარიყო და ყოველთვის აჩვენებდნენ თავიანთი საბრძოლო ხელოვნებების განუმეორებელ სტილს. მოსინიკები საბრძოლო ლაშქრობებს ცეკვებით იწყებდნენ და ცეკვებით ამთავრებდნენ. ისტორიკოსების ცნობით, მტრის უკუგდების შემდეგ, მოსინიკები ცეკვავდნენ და მღეროდნენ (ავტორისეული თარგმანი).[109]

საბრძოლო ცეკვებისადმი ასეთი მიდგომის ტრადიცია ქართველებმა მე-18 საუკუნემდე შემოინახეს. მაგალითად, 1795 წელს აღა-მაჰმად-ხანის ურდოებთან ბრძოლის დროს, ქართველთა ლაშქარს წინ დოლითა და ზურნით შეიარაღებული მოცეკვავე მეომრები მიუძღოდნენ (ავტორისეული თარგმანი).

უძველესი დროის ქართველთა საბრძოლო ცეკვების თაობაზე არსებობს ნიშანდობლივი ცნობა - ჩვ. წ. აღ-მდე მეორე საუკუნეში შესრულებული ბრინჯაოს მოცეკვავე ფიგურები (იხ. სურათი).[110]



ბრინჯაოს მოცეკვავე ფიგურები (ბერიკები) (ჩვ. წ. აღ-მდე II ს.).

პირველად ეს ბრინჯაოს ფიგურები შეისწავლა ძველმა რუსმა მეცნიერმა ნ. პანტიუხოვმა. იგი კავკასიის უძველეს სადგომებსა და ქვაბულებს იკვლევდა. ყველაფერი ეს, მან თავის მეცნიერულ ნაშრომში განიხილა.[111] მეორე რუსმა მეცნიერმა ა. ზახაროვმა ამ აღმოჩენებს მიუძღვნა თავისი სპეციალური გამოკვლევები; მან ჯერ რუსულად, ხოლო შემდეგ კი ფრანგულ ენაზე, უფრო ფართოდ გააშუქა ეს აღმოჩენები; მიუთითა ამ ფიგურების აღმოჩენის ზუსტი ადგილები: ზოგი ფიგურა ნაპოვნია რიონში, ქალაქ ქუთაისთან ახლოს (რვა ფიგურა), ზოგი ხევსურეთში, ზოგი თუშეთში და ა.შ. (ავტორისეული თარგმანი).[112] ქართველი მეცნიერი შ. ამირანაშვილი აღნიშნავს, რომ ეს ფიგურები გამოხატავს უძველეს ქართველ ტომთა საბრძოლო ცეკვების პოზებს. თუ ყურადღებით დავუკვირდებით მათი ხელებისა და ფეხების მდგომარეობას, ხელებით ჩავლების პოზებს, ნათელია, რომ საქმე გვაქვს ძველ ქართულ ჯგუფურ საბრძოლო ცეკვა - "ფერხულთან".[113] პირველი ორი ფიგურა წარმოადგენს (ზედა რიგი მარცხნივ) უძველეს საბრძოლო ცეკვა "ხორუმის" ერთ-ერთ ეპიზოდს - "ბუქნურს". "სტრაბონის აზრით, ძველი ქართული ტომები ყველა საბრძოლო ცეკვას ნახევარჯდომელა პოზიდან იწყებდნენ, ხოლო შემდეგ ფეხებს გადააჯვარედინებდნენ და ფეხებით საბრძოლო შეტევის ილეთებს იწყებდნენ. სხვა ფიგურები "დაზვერვის" პოზას გამოხატევენ. ზოგი ფიგურა შეიარაღებული მეომარია, რომელსაც მარჯვენა ხელში შუბი უჭირავს და მარცხენაში ფარი".[114]

ამასთან დაკავშირებით, მინდა გავიხსენო ერთი უცხოელი მაღალჩინოსნის მიერ წარმოთქმული სიტყვა საქართველოს ტელევიზიით: "ათეული წლის განმავლობაში ვმუშაობდი ჩემი ქვეყნის ელჩად ესპანეთში. თუ რას წარმოადგენს ესპანური სიმღერა, ცეკვა და საბრძოლო ტრადიციები, ამას ახსნა არ სჭირდება. შემდეგ მრავალი წლის განმავლობაში ვმუშაობდი ელჩად აფრიკის ქვეყნებში. თუ რას წარმოადგენს აფრიკული სიმღერები, ცეკვები და საბრძოლო ტრადიციები, ესეც ცნობილია, მაგრამ საქართველოს გააჩნია ისეთი ღრმა, განუმეორებელი და შეუდარებელი სიმღერების, ცეკვებისა და საბრძოლო ტრადიციების კულტურა, როგორიც ზემოჩამოთვლილ ქვეყნებსაც კი შეშურდებოდათ".

ქართული რაინდული და საბრძოლო ტრადიციების, ხელოვნებისა და კულტურის აღიარებასა და ქებაში სხვებს არც მეზობელი ქვეყნის წარმომადგენლები ჩამორჩებოდნენ. აი, რას წერს ცნობილი რუსი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ე. ველიჩკო: "ტყუილად როდი უმღეროდნენ ჩვენი რუსი პოეტები მშვენიერ საქართველოს, უძველეს ტაძართა, კოშკების,



მსგავსი მოძრაობები ცეკვა "ხორუმში".



ძველი ქართული საბრძოლო ცეკვა "ლაზური".
ნახატი შ. ხოლუაშვილისა.

ყვავილების, სიმღერებისა და გალმოცემების მხარეს. იბერიის მიწა-წმინდა ქალწულის წილხვდომილი, წმინდა გიორგის მხარეა; ჩვენი ძმები - ქართველები, რომელთა ნიჭსა და სიმამაცეზე მრავალი საუკუნის წინაც სიყვარულით ლაპარაკობდნენ ჩვენი კეთილი წინაპრები... ჩვენთვის სულიერად მახლობელი ხალხია".[115]

მართლაც, როგორ არ უნდა გვახსოვდეს ჩვენი წინაპრების სიმღერების, ცეკვებისა და საბრძოლო ხელოვნებების სიდიადე?! სიმღერებს სინაზე, სინატიფე, სიღრმე, მელოდიურობა, უძველესი მიწისა და ერის არომატი გააჩნია; ცეკვებს - ტემპერამენტი, მოქნილობა, სისხარტე, ურთულეს ილეთთა მრავალფეროვნება, მთიანი ქვეყნის მდინარეთა და ღრუბელთა სიმძაფრე და მარადიულობა; საბრძოლო ხელოვნებებს კი - რაინდობისა და უძლეველობის ენერგია.

მსოფლიო ხალხთა ხელოვნების საგანძურში ქართულ ცეკვასა და სიმღერას, აგრეთვე მის თეატრალურ ხელოვნებას, თავისი განსაკუთრებული ადგილი აქვს. ჩვენს მოცეკვავეებსა და მომღერლებს ბევრჯერ უნახავთ სცენიდან წამომდგარი ექსტაზში შესული მაყურებელი აღტაცებით რომ უკრავდა ტაშს ქართველ შემსრულებლებს. ქართულ ეროვნულ ცეკვებს ბალეტიც კი უწოდეს მისი დახვეწილობისა და სრულყოფილების გამო.

აი, რას წერდნენ უცხოელი ჟურნალისტები ქართულ სიმღერებსა და ცეკვებზე: გაზეთი "პარიზ ლიბერე" (1988 წელი) - "ქართველებმა შეაზანზარეს პარიზი. იშვიათად სადმე ყოფილა მრავალსაუკუნოვანი ფოლკლორი ისეთი სიცოცხლისუნარიანი, როგორც ის შენარჩუნებულია ქართულ ეროვნულ ბალეტში... როცა საქართველოს რიტმებს ეხები, სუნთქვა გეკვრის"; გაზეთი "ფიგარო" - "ქართული ეროვნული ბალეტის კონცერტი ჭეშმარიტი დღესასწაულია, რომელიც აღფრთოვანებასა და გაოცებას იწვევს... უდიდესი ოსტატობა, კავკასიური ტემპერამენტი, უაღრესად დახვეწილი ტექნიკა. მოძრაობის მრავალფეროვნება და თავბრუდამხვევი რიტმი - ყოველივე ეს აყვანილია სრულყოფის მწვერვალამდე. ფრანგებს მსგავსი არაფერი უნახავთ"; გაზეთი "ფრანს-სუარი" - "ქართული ანსამბლი საუკეთესო ფოლკლორული ანსამბლია მსოფლიოში".[116]

ბევრს, ალბათ, გინახავთ ანზორ ერქომაიშვილის გადაცემებში ქართულ სუფრასთან, ქართულად მოსაუბრე, მოქეიფე და მომღერალი სამი უცხოელი - უფრო სწორად "ქართველი-უცხოელი" - ამერიკელი, ფრანგი და ნორვეგიელი. როგორ თავისუფლად უჭირავთ თავი, ვერც კი გამოარჩევთ ქართველებისაგან; როგორ სჯა-ბაასობენ, რა მშვენივრად, რა სიყვარულით მღერიან ჩვენს სიმღერებს; რა სიტყვებით და რა მოწიწებით ადღეგრძელებენ ქართული ღვინით ჩვენს (და როგორც ისინი ამბობენ - ასევე მათ) ძირძველ საქართველოს. ალბათ ამას უნდა ჩაუფიქრდეს ქართველი ახალგაზრდობა. "შეხედეთ თუ როგორ უყვართ, როგორ პატივს სცემენ, როგორ სწავლობენ და მღერიან ქართულ სიმღერებს უცხოელები. სამწუხაროდ, ჩვენი ახალგაზრდობის ნაწილი გატაცებულია დაბალი ხარისხის უცხოური მუსიკით, თორემ, იქაური იქნება თუ აქაური, კარგი მუსიკის შესწავლასა და მოსმენას რა სჯობია!!! სამწუხაროა, გქონდეს ასეთი განძი და ვერ ხედავდე, სხვის მიწაზე, სხვა ერში ეძიებდე მას", - ამბობს ანზორ ერქომაიშვილი.

თავისი ყოფა-ცხოვრებით, წეს-ჩვეულებებით, რიტუალებით, დღესასწაულებით და საბრძოლო ხელოვნებებით საქართველო თვითმყოფადია და მდიდარი. ტრადიცია სწორედ მაშინაა ცოცხალი, როცა იგი თაობიდან თაობას გადაეცემა და საუკუნეების მანძილზე კიდევ რაღაც ახალს იძენს.

"ქართველის გარემომცველი რეალობა იმდენად დატვირთული იყო გამუდმებული ომების საშინელებებით, ახლობელ ნათესავთა ხშირი დაკარგვით, მუდმივი შიშით მომავლის წინაშე, რომ შეუძლებელია ადამიანის ფსიქიკას არ დაეწყო რაღაც საყრდენის, თუნდაც ილუზიური თავშესაფარის ძებნა პერმანენტული კოშმარისაგან თავის დასაღწევად. სა-



"მზე დედაა ჩემი, მთვარე მამაჩემი, და წვრილ-წვრილი ვარსკვლავნი და და ძმაა ჩემი..." (ძველი ქართული იავნანა).

ბედნიერად. ამგვარი თავშესაფარი გამოიძებნა: გარემომცველი სინამდვილე ქართველმა თეატრალურ სანახაობად წარმოსახა. საკუთარი ცხოვრება კი როლად, რომელიც მის პიროვნებას ბოლომდე არც კი ეხება. ყველა ქართველი სულის სიღრმეში დიდი მსახიობია და ცხოვრებას სწორედ მსახიობის კუთხით უყურებს. ამაში მას ეხმარება ბუნებრივი მიდრეკილება ექსტატიკურობისაკენ, რადგან ექსტაზი, როგორც ცნობილია, ნებისმიერი თეატრალური მოქმედების საფუძველია. არტისტიზმი დედამიწაზე მოსახლე ბევრი ხალხის დამახასიათებელი თვისებაა, მაგრამ ქართველთა გარდა, ძნელად თუ ვიპოვით ერს, რომელსაც ხასიათის ეს თვისება ცხოვრებისეული პოზიციის, ანდა მსოფლიომხედველობის რანგში ჰქონდეს აყვანილი".[117]

უღმობელი რეალობისაგან დამცავი ეს თავისებური მექანიზმი შესანიშნავად ჩანს ძველ ქართულ ხალხურ დღესასწაულებსა თუ რიტუალურ საბრძოლო ცეკვებში. ქართველთა თვალსაჩინოდ ისტორიულ სიშორეზე ხალხური დღესასწაულებისა და საბრძოლო ხელოვნებების ერთ-ერთ ადრეულ სახეს მონადირეთა რიტუალური დღესასწაულები და საბრძოლო ცეკვები წარმოადგენენ.

უძველეს დროში ქართველების ერთ-ერთ მთავარ ღვთაებას მთვარე წარმოადგენდა. ეს მანათობელი დამდამობით მონადირეებსა და მებრძოლებს უბადლო სამსახურს უწევდა. სტრაბონი ძველ ქართველებზე შემდეგს წერს: "ძველ ქართველებს ღვთაებად მზე, ზევსი და მთვარე ჰყავდათ, ყველაზე მეტად კი - მთვარე". "პირველყოფილი განვითარების ადრეულ პერიოდში ბატონობდა მონადირეობის ცხოვრების წესი და, ბუნებრივია, მთვარის მნიშვნელობა (კულტი) მზის მნიშვნელობაზე (კულტზე) მეტი იყო", - აღნიშნავს უცხოელი მეცნიერი ლ. შტერნბერგი. (იხ. სურათი). ქართველების წარმართობის დროინდელი წლის დროის და თვეების დასახელებები შემდეგი იყო: აპნისი - იანვარი; სურწყუნისი - თებერვალი - განცხადების თვე; მირკანი - მარტი; იგრიკა აპრილი წყლის ღმერთი იგრი - სიცოცხლის საწყისი; ვარდობისთვე - მაისი; მარიალისა ივნისი; თიბის თვე ივლისი; ქველთობის თვე - აგვისტო; ენკენის თვე - სექტემბერი - ახალწლისა; ხთელისა თვე - ოქტომბერი; ტირისკონის თვე - ნოემბერი; ტირისდენი - დეკემბერი.



უძველესი გლეხური სეზონური ზოდიაქალური წრე.

ჩვენი წინაპრების საბრძოლო ცეკვები და სიმღერები რიტუალური ხასიათისაა, და ამ რიტუალურ ტრადიციაში ჩადებულია ის იდუმალი, უხილავი მამოძრავებელი ენერგია, რომელიც ინახავდა და იცავდა ჩვენს წინაპრებს გადაგვარებასაგან, განადგურებისაგან. აი, როგორ ხსნის რიტუალის არსს ქართველი მეცნიერი გიორგი ჩიხჩლაძე: "რიტუალი თავისი არსით ღვთაებრივ ყოფიერებასთან ერთიანობის, მასში თანამონაწილეობის გამომხატველი მოქმედებაა, საკრალური პირველსახის, ანუ ღვთაებრივი მოქმედების გამეორება და, ამდენად, მრავალშრიანი კულტურული მოვლენაა - ერთდროულად აღმნიშვნელი შინაგანის (უხილავის) და მიწიერის, ანუ სოციალური და ბუნებრივი კოსმოსის.

ხალხური კოლექტიური წარმოდგენები, ტრადიციული საზოგადოების მსოფლმხედ-

ველობა, რეგულარულად განმეორებადი კოსმიური პროცესების კოლექტიური გააზრებაა, რომლის განუყოფელი ელემენტია ისტორია და ყოველდღიური ყოფა.

სიმბოლური მოქმედება, ანუ რიტუალი, მრავალნიშნა, მრავალგანზომილებიანი მოვლენაა - ერთდროულად, სინქრონულად მომცველი სხვადასხვა შინაარსობრივი შრეების კოსმოლოგიურის, ანთროპოლოგიურისა თუ სოციალურის.

"არ არსებობს რიტუალი რწმენის გარეშე" - სწორედ რწმენა, ანუ ადამიანის სულიერი კავშირი თავის შემქმნელთან, უზენაესთან შინაგანი აუცილებლობის ძალით განაპირობებს ხალხის მიერ გარკვეული ჩვეულებების რეგულარულ და უცვლელ, სტერეოტიპულ გამეორებადობას, თაობიდან თაობაში გადაცემას, ანუ ფართო აზრით - მთელ კულტურას - რადგან კულტურა სწორედ გარკვეული სოციალური ჩვევების ღირებულებების გადაცემაა. სწორედ რწმენა განაპირობებდა წეს-ჩვეულებებისადმი ხალხის დამოკიდებულებას - როგორც საკრალურისადმი, წმინდისადმი".[120]



საქართველოში აღმოჩენილი უძველესი ბრინჯაოს ქამარი (ჩვ. წ. აღ-მდე I ს.).

უძველეს ქართველ მონადირეთა საბრძოლო რიტუალზე წარმოდგენას გვაძლევს ის ბრინჯაოს ქამრები, რომლებიც აღმოაჩინეს თრიალეთისა და მცხეთის გათხრების დროს და რომლებიც თარიღდებიან ჩვ. წ. აღ.-მდე პირველი ათასწლეულით (იხ. სურათი). "პირველ სურათზე ნაჩვენებ ქამარზე ამოტვიფრულია მამაკაცები, რომლებსაც თავზე ფრინველთა ნიღბები უკეთიათ, ხელში მშვილდისარი უჭირავთ, მხარზე - კაპარჭი (საისრე) ჰკიდიათ. ფიგურათა უმრავლესობა საბრძოლო პოზაშია. ქამრის შუაში ფანტასტიური ცხოველებია გამოხატული, მათი რქები ნამგალა მთვარეს მოგვაგონებს".[121]

"მსოფლიოს ლიტერატურული წყაროები აღნიშნავენ ჩვენი შორეული წინაპრების მასიურ საბრძოლო რიტუალს - "შუშპარს", მთვარისადმი მიძღვნილ საბრძოლო ფერხულს, სადაც "შუშ"-ი "მთვარეს" აღნიშნავდა, ხოლო "ფარ" - "ფერხულს". იგი მთვარის შუქზე სრულდებოდა".[122] ქართველი მეცნიერი ე. ვირსალაძე თავის ნაშრომში "ქართული სამონადირეო ეპოსი" შუშპარს უშიშარ მონადირე ღვთაებისადმი მიძღვნილ ფერხულად მიიჩნევს. ნადირობის ღვთაება - დალისა და მონადირე ბეტქილას ტრაგიკული სიყვარული ქართული მითოლოგიის ერთ-ერთ ძირითად სიუჟეტს წარმოადგენს. მას შემდეგ, რაც ბეტქილამ დალის უღალატა, ღვთაება დალი თეთრ ირმადად გადაიქცა, შეიტყუა ბეტქილა შეუვალი კლდის პირას, საიდანაც იგი მოსწყდა კლდეს და ხევში გადაიჩეხა. სვანეთში, სოფელ ჟაბეშში ამ საბრძოლო ფერხულს (სვანურად "სამთი ჩიშხვაში") იმ კლდესთან ასრულებდნენ, სადაც გადმოცემით, დაიღუპა მონადირე ბეთქილი".[123]

XIV საუკუნის ისტორიულ ძეგლში - "ხელმწიფის კარის გარიგება" აღწერილია საბრძოლო წრიული ფერხული "ლამპრობა", რომელიც სრულდებოდა მეფის კარზე ლამით იანვრის ერთ-ერთ ორშაბათ დღეს, რომელიც ემთხვეოდა ახალმთვარეობას.[124]

წინა ქრისტიანულ პერიოდში ქართველებს, ისევე როგორც ზოგიერთ სხვა ხალხებს, კვირის ერთი დღე მთვარისადმი ჰქონდათ მიძღვნილი (ორშაბათს მთვარის დღეს უწოდებდნენ). ამ მნათობის ბადროს ფაზური ცვლილებები ჩვენს წინაპარს მთვარის კალენდრის აგების საშუალებას აძლევდა. აქ ჩვენ ნათლად ვხედავთ უშუალო კავშირს ჩვენი წინაპრების წეს-ჩვეულებრივ და კულტურ წარმოდგენებს, საბრძოლო რიტუალებსა და სამეურნეო-შრომითი შემოქმედებას შორის[125] (იხ. გლეხის სეზონური სამუშაოების ზოდიაქალური წრე).

ქართველ გლეხკაცს მიაჩნდა, რომ მიწათმოქმედების დარგებს თავიანთი მფარველი ჰყავდათ. ასეთებია, მაგალითად, მიწათმოქმედების გამგებელი - ოროველა და ყურძნის ღვთაება - აგუნა. აი, რას უმღეროდნენ ჩვენი წინაპრები ყურძნის ღვთაება - აგუნას:

"აგუნა, აგუნა, გამოიარეო, ბახვი, ასკანა გადმოიარეო.
ჩვენს სოფელში ყურძენიო, მტრის მამულში ფურცელიო,
ჩვენს მამულში გოდრითაო, მტრის მამულში - გიდლითაო,
ჩვენს ქალებს ყაჯი და აბრეშუმი, მტრის ქალებს ტარი და კვირისტავიო".



კოლხური მონეტა
ძვ. წ. აღ-მდე VI-II ს.ს.

ამ ლექსს წარმოთქვამდნენ ახალი წლის დილით, ან მეორე დღეს ვენახში თუ მარანში საწნახელთან.

„აგუნას მთელი საქართველო იცნობდა. ოჯახის უფროსი ვენახში ღვინის გადაღვრიდა, ვაზის ძირებს მიუსხამდა, მიულოცავდა, მიუხმაურებდა მამულს და შინ იმედიანად დაბრუნდებოდა, რომ მომავალ წელს ბევრი და კარგი ღვინო ექნებოდა. ეს იმასაც ნიშნავდა, რომ ქართველი კაცისათვის ვაზი ოდითგანვე სულდგმულად, ცოცხალ არსებად და თითქმის ოჯახის წევრადაც კი გაიაზრებოდა".[126]

ჩვენი წინაპრების ღვთაებათა რაოდენობა სამოცდაათამს აღწევდა, ვაჟა-ფშაველას ნაწერით კი სამოცდაცხრას უდრიდა: მორიგე — მტრისაგან თავდასხმის, ნამუშევარ-ნამაშვრალის მფარველი; ლაშარელა — იგი გაშრისხვაფრიანი ბედაურით მთიდან მთაზე დაფრინავდა თავის საყმის დასახმარებლად მტერთან ბრძოლაში; კოპალა — გმირი ღვთაება — იგი დემონებთან ბრძოლას, საარაკო ძალ-ღონეს განასახიერებდა; ასევე მებრძოლი ღვთაება იყო იახსარიც — ცნობილი თავისი ძალით, ვაჟკაცობით, გმირობით, იგი ეშმაკ-მაცილებს და დევებს ებრძოდა; პირქუში — მშვენიერი იარაღის მჭედელი კაცის, საქონლის, ორფეხ-ოთხფეხის, ქუდოსან-მანდილოსნის, ნაშრომ-ნამუშევრის მწყალობელი და მფარველი იყო; კვირია - დარის მომცემი მფარველი ღვთაება; წვიმის მომცემი — ლაზარე; ხეტყის გამგებელი — ელია; ნადირთპატრონი — ოჩოპინტრე, გამრავლების მფარველი - წმინდა მაქსიმე და მრავალი სხვა.

საბრძოლო ფერხულის მკაფიოდ გამოკვეთილი ხასიათი კარგად ჩანს იმ ვერცხლის თასზე, რომელიც აღმოჩენილია თრიალეთის გათხრების დროს და თარიღდება ძვ. წ. აღ-მდე II ათასწლეულით. იგი წარმოადგენს თეგვის (ჭედური) ხელოვნების ულამაზეს ნიმუშს. ეს თასი მეცნიერმა ბ. კუფტინმა აღმოაჩინა და მან მიიპყრო მსოფლიოს ბევრი მეცნიერის ყურადღება. ამ თასზე ამოკვეთილი სურათის აღწერა და ანალიზი ქართველ მეცნიერს შ. ამირანაშვილს ეკუთვნის. მისი სიტყვებით: „თასის ზედა ფრიზზე (კოზმოლზე) აღბეჭდილ ფიგურათა კოსტიუმები გამოხატულია ცხოველთა თავების სახით. ეს კი იმას მიანიშნებს, რომ ამ მთლიანი კომპოზიციის სიუჟეტს შეადგენს განსაზღვრული საბრძოლო-რელიგიური რიტუალი; ცნობილია, რომ უძველეს დროს, რელიგიური ცერემონიალების დროს სახეზე იფარებდნენ ცხოველთა ნიღბებს".[127]

თუ ამ ფიგურებს შევადარებთ კოლხეთის მონეტებზე ამოჭრილ ფიგურებს, დავრწმუნდებით, რომ მათ თავზე ნიღბები უკეთიათ, რაც საბრძოლო რიტუალის შესრულებისას აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენდა.

ქართველი მეცნიერის ე. ბარდაველიძის გამოკვლევებმა დაამტკიცა, რომ ზედა ფრიზზე თვალნათლივაა ნაჩვენები ზეციური სამეფოს სიუხვის ხესთან ხოტბის შესხმის რიტუალი, ხოლო ქვედა რიგზე მთვარის ფაზებისადმი მიძღვნილი საბრძოლო ფერხული, რომელზეც ფიგურები საპირისპირო მიმართულებით მოძრაობენ.[128]

მცენარეთა კულტი ბევრ უძველეს ხალხთა შორის იყო ცნობილი. ჩვენი წინაპრებიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მცენარეთა სამეფოს. ერთ-ერთ განსაკუთრებულ ხეს მუხა წარმოადგენდა. „ყველგან ირგვლივ, მეზობელ ტყიან გორაკებზე ყოველთვის მოჩანდა გაუჩეხავი წმინდა ველობები, სადაც წმინდად ინახავდნენ და უვლიდნენ ქართველები მხცოვან მუხებს...".[129] ჩვენს წინაპრებს მუხა ეხმარებოდა საბრძოლო სულის ამაღლებაში. ისინი გაზაფხულის პირველ დღეებში წმინდა მუხის გარშემო რიტუალს ასრულებდნენ ხანჯლებით. ძალიან მნიშვნელოვან მოვლენებსაც ასევე რიტუალით აღნიშნავდნენ. ლაშქრობის წინ წმინდა მუხის ტანში არჭობდნენ ხმალს და მის გარშემო ასრულებდნენ საბრძოლო ფერხულს.[131] ყოველ გაზაფხულს ძველი მთიელი ქართველები აღნიშნავდნენ ფერისულას დღეს, რომელიც ეძღვნებოდა ტყის ღვთაებას - მიზითას. დღესასწაულის წინა ღამეს ახალგაზრდა ქალიშვილები ხნიერ ქალთან ერთად მიდიოდნენ ტყის ყვავილის (ხეთყურა ყვავილის) საძებნად, ხოლო ყმაწვილები იარაღით საბრძოლო ხელოვნებების დასახვეწად. აისზე ყველა სიმღერებით ბრუნდებოდა ყვავილებით შემოსილ სოფელში. მათ წინ ბერიკაცი მიუძღოდა, რომელსაც თავზე მუხის ფოთლებიანი გვირგვინი ედგა.

თითოეულ ქალიშვილს ხელში ყვავილი ან ხის ტოტი ეჭირა. მათ ეს ტყის ღვთაების საკურთხეველთან უნდა დაედოთ. შემდეგ იწყებოდა ყმაწვილთა შორის საბრძოლო შეჯიბრი. გამარჯვებული იღებდა ერთ-ერთი ქალიშვილის მიერ საკურთხეველთან დადებულ ყვავილს და ქალიშვილთან "მიხთიანის" ცეკვის უფლებასაც.[11]

მეცნიერულ ნაშრომში "მცხეთა-I"-ში ("არმაზისხევი") ყურადღებას იპყრობს გემა (იხ. სურათი) (IV ს. ძვ. წ. აღმდე), რომელზედაც გამოსახულია მამაკაცი მთელი სიმაღლით. "იგი დაყრდნობილია კვერთხზე (არგანზე) და მარცხენა ფეხი მუხლში აქვს მოხრილი".[12] გემაზე მეომარია გამოსახული. მას მუზარადისმაგვარი თავსაბურავი ახურავს. ასეთი ჩაცმულობა ჰქონდათ ძველ ქართველ მეომრებს (იხ. სურათი). ეს მეომარი ასრულებს საბრძოლო ხტომას ჯოხით (კვერთხით). უწინ ასეთ საბრძოლო ჯოხებს "თავკვერას" ან "როკს" ეწოდებოდნენ (ს.ს. ორბელიანის ლექსიკონი); მეომარს ფეხები მოშვებული აქვს. ფეხმოშვებული ყოფნა უძველესი რიტუალების, საბრძოლო და აკრობატიული ილეთების შესრულების დროს ერთ-ერთი ძირითადი იყო, რაც მოხერხებულობის კულტს უკავშირდებოდა.



გემა (კვერთხზე დაყრდნობილი მეომარი).
(ძვ. წ. აღ-მდე IV ს.).

ს.ს. ორბელიანი სიტყვაზე ხტომით ილეთია ჯაჭვს განაკუთვნებს "ხერხს", "ჯულთაობას", "თქლთს". ი. ჯავახიშვილის განმარტებით მოხერხებულობის კულტთან დაკავშირებული საბრძოლო ფერხულები გავრცელებული იყო ჯავახეთში. მესხეთში (მოხინიკებთან) ცნობილი იყო საბრძოლო ხასიათის ხტომითი მოძრაობები. ხევსურეთში გავრცელებული იყო საბრძოლო თამაში, რომელიც დაიყვანებოდა სიგრძეზე ხტომამდე - "ნახეჯ ლისკენ".[13]

საბრძოლო კეტის, რტყმის, ბურთის მიცემის, კომბლისა და ხმალის ხელოვნებას მომავალი მეომრები ეუფლებოდნენ ერთ-ერთი უძველესი ქართული საბრძოლო რიტუალის "ბასტის" საშუალებით. ს.ს. ორბელიანი ამ ხელოვნებას "როკვა (-ცეკვა) არს ფერხის ცემითა"-ს ეწოდებს, ხოლო სიტყვა "ბასტი-ბებეს" (ან "გასტი-ბებეს") განმარტავს, როგორც დიდ ხმალს, ძლიერ კომბლსა და კეტს, საბრძოლო ცეკვას (იხ. სურათი).

"ბასტი" არის საბრძოლო ცეკვა, რომელიც შედგება თავისთავადი სიმღერისაგან, ხმამაღალი კეტისაგან, კომბლისაგან, ფეხის ტერფებით სრულდება ბრძოლისათვის მზადყოფნის რიტმი, რაც განასახიერებს ლაშქრობის დროს სწრაფ ჯირითს.[14]



ძველი ქართული საბრძოლო ფერხული "ბასტი" ("ცერული").
ნახატი რ. თარხან-მოურავისა.

გავიხსენოთ ქართველთა უძველესი საბრძოლო რიტუალი "ხევნიერება". "ამ დღეს სადღეთო რიტუალის შესრულების შემდეგ იწყებოდა სიმღერები და ცეკვები, რომელიც საღამომდე გრძელდებოდა. ზარების რეკვისა და საყვირის ხმის შემდეგ მონაწილენი სარიტუალო ადგილისაკენ ბრუნდებოდნენ. სადაც უხუცესი იდგა და ხელში წითელი ბურთი ეჭირა. ახალგაზრდა მეომრები იხრიდნენ ტანს ზემოთ და მისდევდნენ უხუცესს. მთელი მოსახლეობა სიმღერით მიჰყვებოდა მათ. როცა მინდორზე გავიდოდნენ, უხუცესი ტყორცნიდა ბურთს ახალგაზრდა მეომრებისაკენ და იწყებოდა საბრძოლო თამაში, რომელსაც "ლელო" ეწოდებოდა. "ლელო" წარმოადგენდა ბუნების შემოქმედ ძალთა კულტის ერთ-ერთ წეს-ჩვეულებას. ლელოში გამარჯვება გამარჯვებულთ კარგ მოსავალსა და კეთილდღეობას უწინასწარმეტყველებდა. ახალგაზრდა მეომრები იყოფოდნენ ორ ჯგუფად და შემოხაზავდნენ საბრძოლო ბანაკებს. ბურთისათვის ბრძოლა ხან-

დახან დილიდან საღამომდე მიმდინარეობდა. თუ რომელიმე მეომარი შეძლებდა მოწინააღმდეგეთა გუნდიდან ბურთით გამოხტომას და თავის საბრძოლო ბანაკში თავის შეფარებას, ეს მისი გუნდის გამარჯვებას ნიშნავდა".[135] "საბრძოლო თამაში "დელო" მიმდინარეობდა ცოცხლად და აზარტულად. საბრძოლო ბანაკში ბურთით შესვლას დელოს გატანა ეწოდებოდა. თამაშის შემდეგ ყველა სიმღერითა და ცეკვებით სოფლის ებრუნდებოდა. უახლოვდებოდნენ დიდ ვაშლის ხეს და იწყებდნენ მის აქეთ-იქით გაქანებას. მანამდე აქანავებდნენ, სანამ ფესვებიანად არ ამოიღებდნენ მიწიდან და მიჰქონდათ ტაძრის კარიბჭესთან. გამოსული უხუცესი მადლიერების ლოცვით სახავდა ჯვარს, რომ იგი დაიფარებოდა და დაეცვა ხალხი მტრის შემოსევებისაგან და განადგურებისაგან. რიტუალი ცეკვით, საბრძოლო თამაშობით, როგორც მაგალითად, "დასტა" და დოლით მთავრდებოდა".[136]

უძველეს საქართველოში ცნობილი იყო ცხენის კულტი, მიძღვნილი სინათლის, მზისა და სიკეთის ღმერთების მიმართ. ცხენების მრავალრიცხოვანი გამოსახულებანი აღმოჩენილი არქეოლოგიური გათხრების შედეგად. ცხენი გამოსახულია ბრინჯაოს ლითონზე როგორც ცალკე, ასევე მხედართან ერთად. ცხენის ფიგურაა გამოჭედილი გორისა და არმაზში ნაპოვნ ვერცხლის თასებზე (III ს. ჩვ. წ. აღ-მდე).[137] სწორედ იმ დროიდან იღებს სათავეს საქართველოში საცხენოსნო ხელოვნება, და მხედართა უძველესი საბრძოლო ცეკვა "მხედრული"

ისტორიული მონაცემების მიხედვით, იბერიის მეფეებს ხშირად უხდებოდათ რომში მოგზაურობა, რათა რომის იმპერატორთან მეგობრული ურთიერთობები განემტკიცებინათ. იბერთა მეფე ფარსმანმა რომში ორჯერ იმოგზაურა. მას თან დიდი ამალა დაჰყვებოდა. პირველად მეფე ფარსმანი ეწვია იმპერატორ ადრიანეს. ფარსმანმა და მისმა შვილმა საბრძოლო-საცხენოსნო შეჯიბრებებში მონაწილეობაც კი მიიღეს და რომაელებს აჩვენეს იბერთა საცხენოსნო საბრძოლო სკოლა, რომელიც შედგებოდა შემდეგი დისციპლინებისაგან: ცხენზე ამხედრებისას ხმლის, შუბის, მშვილდისრის ფლობა; ჯირითი; გაქანებულ ცხენზე აკრობატული ილეთები, ცხენიდან ცხენზე გადასვლა, ერთ ცხენზე რამოდენიმე მეომრის ჯირითი და ა.შ. ამ გამოსვლამ იმპერატორის აღტაცება გამოიწვია. მან იბერთა მეფეს ფარსმანს კაპიტოლიუმის ღმერთებისათვის მსხვერპლის შეწირვის ცერემონიალში მონაწილეობის უფლება მისცა და რომში, მარსის მოედანზე ცხენზე ამხედრებული იბერთა მეფის, ფარსმანის ძეგლიც კი დადგა.

ს.ს. ორბელიანი საცხენოსნო ხელოვნებას უწოდებს თქვრებას. ამ უძველესმა საცხენოსნო-საბრძოლო რიტუალმა დაბადა ისეთი საცხენოსნო წრთობის სახეები როგორიცაა ჩოგანბურთი, ანუ ცხენბურთი; რადრაბაგანი, ისინდი, ყაბახი, მარულა ან დოლი, თარჩია, მკერდაობა, და სხვა.

მაინც როგორ ხვეწდნენ ძველი კოლხები და იბერიელები საბრძოლო ჩვევებს ჩოგანბურთში, ანუ ცხენბურთში "ისინი ათამაშებდნენ პატარა ბურთს ცხენზე ამხედრებულები. იყოფოდნენ მხედართა ორ გუნდად. მხედრებს ხელში ეკავათ ჩოგნები, რომლებიც თანამედროვე ჩოგბურთის ჩოგანს წააგავს. ამ ჩოგნების მეშვეობით მხედრები ცდილობდნენ ბურთის შეგდებას მოწინააღმდეგის ბანაკში, რომელსაც მხედარი იცავდა. საგულისხმოა ისიც, რომ ჩოგანბურთში მონაწილე მხედარი მეომრები სპეციალური საბრძოლო ტანსაცმლით გამოდიოდნენ"[138] და თუ მოვიხმარებთ ძველი იტალიელი მეცნიერისა და მოგზაურის არქანჯელო ლამბერტის სიტყვებს: "ჩოგანბურთი წარმოადგენს უძველეს კოლხთა და იბერთა ეროვნულ საბრძოლო საცხენოსნო ხელოვნებას".[139]

ჩვენ შევეცადეთ მოკლედ შევხებოდით ქართველთა იმ წეს-ჩვეულებებსა და რიტუალებს, რომლებმაც დასაბამი მისცეს ბერიკაობას.

# თავი მესამე

## ბერიკათა საბრძოლო სტილი - ბერიკაობა

*"ქართველი ერი, რიცხვით მცირე,*
*ცივილიზაციით და ხელით ძლიერია".*

*ალბერტ მალში*
*(შვეიცარიელი მოღვაწე)*

ძველ ქართულ რიტუალებსა და დღესასწაულებს საბრძოლო ხელოვნებებთან უშუალო კავშირი ჰქონდათ.

ძველ ქართულ ხალხურ დღესასწაულს რომელსაც გაიხსენებთ, პირველ რიგში ბერიკაობა და ყეენობა წარმოგვიდგება – სხვადასხვა ცხოველებად გადაცმული ნიღბიანი პერსონაჟებით, წინაქრისტიანული ხანიდან მომდინარე რიტუალებით, ქართველი ხალხის ისტორიის სხვადასხვა ეპოქის ამსახველი ჟანრული სცენებით.[10]

ივანე ჯავახიშვილის განმარტებით, სიტყვა "ბერძ" – "ბერი" უძველესი დროიდან ბავშვს აღნიშნავდა, ხოლო სიტყვა "ბერობა" – "ბავშვობას".[11] ამრიგად, სახელი "ბერიკაობა" ბავშვურ თამაშობაზე მიგვანიშნებს.

ბერიკაობა, თავისი თავდაპირველი არსით, ნაყოფიერებისა და აღორძინების ღვთაებისადმი მიძღვნილი დღესასწაულია, ხოლო ბერიკა – მთავარი გმირი. ბერიკაობა უძველესი ხალხური თეატრიცაა და საბრძოლო ხელოვნების სტილების სამჭედლოც. ამიტომაა, რომ მას დღესაც დიდი ინტერესით სწავლობენ ქართველი და უცხოელი ისტორიკოსები, ეთნოგრაფები, ფოლკლორისტები, ხელოვნებათმცოდნეები და საბრძოლო ხელოვნებების მიმდევრები.

"მაშინ, როდესაც მრავალი ხალხური დღესასწაული დავიწყებას მიეცა, ბერიკაობა და ყეენობა, მისთვის ნიშანდობლივი მასობრივი თეატრალიზებული ხასიათისა და საბრძოლო ხელის გამო, საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეს დღემდის შემორჩა, როგორც ტრადიციული ყოფის ერთ-ერთი კოლორიტული ელემენტი".[12] თანაც ბერიკაობა და ყეენობა საქართველოს ცალკეულ კუთხეში სხვადასხვა თავისებურებით გამოირჩევა.

"საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოპოვებული მასალა გვარწმუნებს, რომ ბერიკაობა და ყეენობა არ არის წარმოშობით ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ორი სხვადასხვა დღეობა, როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაშია. არამედ, ყეენობა ბერიკაობის საფუძველზე ჩამოყალიბებული დღესასწაულია, რომელშიც ბერიკაობიდან გამომდინარე წარმართული ხასიათის ელემენტებთან ერთად ქართველი ერის ისტორიული წარსულის ცალკეული ეპიზოდებიც აისახა."[13]

მსგავსი წარმართული დღესასწაულები, სხვადასხვა ცხოველებად შენიღბულ პერსონაჟთა მონაწილეობით, ფართოდ იყო გავრცელებული ძველ აღმოსავლეთისა თუ ელინისტურ სამყაროში: მაგალითად – მესოპოტამიური თამუზი, მითანური იშთარი (გავიხსენოთ, რომ მესოპოტამია და მითანი იბერთა და კოლხთა მეზობელი სახელმწიფოები იყვნენ), ფინიკიური ადონისი, ასტარტე და სხვა.

1946 წელს მცხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ბაგინეთის ბორცვზე, არმაზისხევის რაიონში აღმოაჩინა ვერცხლის თასი, რომელზედაც გამოსახულია დიონისეს კულტის ატრიბუტები, იგი თარიღდება ჩვ. წ. აღ-მდე III-I საუკუნით (იხ. სურათი).



არმაზის ხევის რაიონში აღმოჩენილი ვერცხლის თასი. (ჩვ. წ. აღ-მდე III-I ს.ს.).



კურო ბერიკა
ნახატი ზ. ფორჩხიძისა

"მასზე სატირების, ანუ ბერიკების ნიღბები, სიცოცხლის ხე და ხახლია გამოჭედილი. აქვეა გამოსახული ირემლადი, რომელსაც მისდევს მგელი და დათვი. მგელი, დათვი, ტახი, ირემლადი (თხა) - წარმოადგენდნენ უძველესი საქართველოს ტოტემურ ცხოველებს, ხოლო მათი ნიღბები ბერიკაობის განუყოფელ ატრიბუტს".[144]

წინაქრისტიანულ პერიოდში უძველესი ქართული სახალხო დღესასწაულები ტარდებოდა მზის საგაზაფხულო და საშემოდგომო ბუნიობისას, ხოლო მოგვიანებით, ქრისტიანული დღესასწაულის ყველიერის დროს.

"შემდეგ მათი სამზადის მსვლელობას შეუდგებოდნენ. რაღა არ იყო სამზადისთვის მოტანილი თხის, ცხვრისა და ხარის ტყავები, ტყავკაბები, საქონლის კუდები, გოგრის, ნაძვის, მუყაოსა და ქაღალდის ნიღბები (იხ. სურათი), სხვადასხვა ცხოველის რქები და ფრინველთა ბუმბულები, სადღესასწაულო ქართული კაბა და ხაორხაური თავსაბურავები, ფერადი ქაღალდები, ნაჭრის ჭრელი თოჯინები, ზარები და კრიალოსნები, ინა და ნახშირი, სიმინდის ნაქუჩის, ხისგან გამოთლილი ხმალ-ხანჯლები, ფარები და შერდულები. აქვე კეთდებოდა სხვადასხვა ფერის მაღალი ალმები და ნიშადურები. მიწაზე ეწყო სანოვაგის შესაკრები ჭრელი ხურჯინები, მორთული გუდები, კალათები, ხელადები და დიდი კოკები".[145]

"როდესაც ნუშის კვირტები იშლებოდა და ნორჩი ბალახით დაფარული მიწის სურნელება იდგა; როდესაც დახუნძლულ ყურძნით ვენახებსა და ბაღ-ბოსტნებს დამწიფებული ხილისა და ბოსტნეულის მათრობელა თხმოვარი ახლდათ; სოფლის მამაკაცები - ახალგაზრდები და მოხუცები მოედნებზე, კალოებზე თუ სახლის ბანებზე შეიკრიბებოდნენ და სამზადისს იწყებდნენ".[146] აირჩევდნენ ბერიკაობის მონაწილეებს: მთავარ ბერიკას, ცხოველ ბერიკებს - ტახს (ღორს), დათვს, თხას (ან ირემს) (იხ. სურათი), მგელს, დედოფალს (ანუ ფრინველს), ასევე არაბს, ლეკს, თათარს, ნათლიას, დამატებით მებარგულეებს, მეკალათეებს, მომღერლებსა და სხვადასხვა მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დამკვრელებს. მათი რაოდენობა სოფლის სიდიდეზე იყო დამოკიდებული.

ეს სამზადისი სახელდახელო ლხინით, სიმღერითა და ცეკვა-თამაშით მთავრდებოდა. მესტვირე ბერიკულს უკრავდა. მოხუცები ძველ ბერიკაობას, ცნობილ მესტვირეებს, მოჭიდავეებსა და ბერიკა-მებრძოლებს გაიხსენებდნენ.

მეორე დღეს დღესასწაულის მონაწილენი მყუდრო ადგილას შეიკრიბებოდნენ და შესაფერისად მოირთვებოდნენ. ბერიკა თხის ან ცხვრის ტყავს იცვამდა (იხ. სურათი). მას სახეზე ნიღაბი ეფარა, ტომარასავით გაკერილ უხეშ შავი ნაბდის ნიღაბს თავზე ორი გრძელი ყური და თხის ორი რქა ჰქონდა დამაგრებული. ნიღბის წვერ-ულვაში თხის ბალნით ირთვებოდა და თვალების, ცხვირისა და კბილების გამოსახვისად გამოჭრილი იყო. თხა-ბერიკა განასახიერებდა მიწის სტიქიას, რომელიც დედაბრის ყვავილობის სეზონს შეესაბამებოდა. მის მოძრაობებში, მიხვრა-მოხვრაში, საბრძოლო შერკინებებში ჩადებული იყო თხის (ირმის) მიბაძვა.

დღესასწაულის მეორე მთავარი წევრი დედოფალი ბერიკა სახელად "კეკელა" (იგივე ნაზი ფრინველი), რომელსაც ვაჟი ასახიერებდა, საპატარძლო ტანსაცმლით, ნიხტითა და ლეჩაქით ირთვებოდა, თავზე გვირგვინი ედგა, ხოლო ზოგჯერ ფრინველის ჭრელი ფრთებით შემკული ქუდი ეხურა. კეკელას სხვადასხვა ფერის ქაღალდისა და შუშის მძივებს ჰკიდებდნენ, სახეს კი ფერადი საცხებლით ულებავდნენ.

დედოფალი-ბერიკა (ფრინველი) განასახიერებდა ხის, ანუ მცენარის სტიქიას და გაზაფხულის სეზონს შეესაბამებოდა. მის მოძრაობებში, მიხვრა-მოხვრაში, საბრძოლო შერკინებებში ჩადებული იყო ნაზი ფრინველის მიბაძვა.

ღორ-ბერიკა (ანუ ტახ-ბერიკა) ნიღბად ატარებდა ჯოხზე წამოცმულ ღორის (ტახის) თავის ფიტულს, ტანს კი ღორის ტყავით იფარავდა. იგი ზოგჯერ ტყავენიღაბსაც ხმარობდა.

ღორ-ბერიკა (ტახ-ბერიკა), რომელსაც ცეცხლოვან ტახს ეძახდნენ, განასახიერებდა ცეცხლის სტიქიას (ელემენტს) და ზაფხულის სეზონს. მის მოძრაობებში, საბრძოლო შერკინებებში ხდებოდა ცეცხლოვანი ტახის მიბაძვა.

ნეფე-ბერიკას ევალებოდა დედოფლის წინაშე ბევრი პრანჭვა-გრეხვა, რათა დედოფალს მისთვის ყურადღება მიექცია და შეყვარებოდა; ამიტომაც ნეფე-ბერიკას ხშირად მამაკაცის ნიღაბი ეკეთა და ჩოხა-ახალუხში იყო გამოწყობილი. ნეფე-ბერიკა განასახიერებდა წყლის სტიქიის და ზამთრის სეზონს.

**დათვი-ბერიკა (ანუ ნათლია-ბერიკა)** მორთული იყო დათვის მსგავსი ნიღბითა და ჩაცმულობით. მას, ძირითადად, დედოფლის დაცვა ევალებოდა თავდამსხმელებისა და მოტრფიალეებისაგან.

დათვი ბერიკა განასახიერებდა ქვის (ლითონის) სტიქიის და შემოდგომის სეზონს. მისი მოძრაობები და საბრძოლო შერკინებები განასახიერებდნენ დათვს. ამ ბერიკას საბრძოლო ასპექტზე კიდევ გვექნება საუბარი.

მეორე ხარისხოვან ბერიკებს - არაბს, ლეკს და თათარს ხალის ქუდი ან ფაფახი ეხურათ; ისინი ერთსა და იმავე ფუნქციას ასრულებდნენ დღესასწაულში და ერთმანეთს ემსგავსებოდნენ - ჩოხა-ახალუხი ან რაიმე ძველმანი ეცვათ, ყალიონს ეწეოდნენ, ხელში დიდი ჯოხი ეჭირათ და ყელზე ზარჩამოკიდებულები დადიოდნენ. ისინი სოფლის მთავარი დამარბეველები იყვნენ.

მომღერალ-მესტვირეებსაც, ზოგჯერ, მოთელილი თექა ან ტყავქუდი და ნიღაბი ეფარებათ.



დედოფალი ბერიკა "კეკელა".
ნახატი ზ. ფორჩხიძისა.

"როგორც კი მორთვა-მოკაზმვას დაამთავრებდნენ, ბუკისა და ნაღარის ხმა სოფელს მათ მზადყოფნას ამცნობდა. ბერიკებს წინ ნეფე-ბერიკა და დედოფალი მიუძღოდა. მათ ხის ხმლებით, ფარებით, ჯოხებითა და შურდულებით შეიარაღებული ამალა მისდევდა. მესტვირენი, მეზურნეები, მეჭიანურენი და სხვანი თავიანთ ენარსა და ოსტატობას აჩენდნენ. მესტვირე ბერიკულს მღეროდა. ბერიკულის დასაკრავად სტვირი განსაკუთრებულ მომართვას საჭიროებდა - იგი მაღალ ხმაზე უნდა დაეყენებინათ".[13]

ბერიკები მთელი სოფლის შემოვლას იწყებდნენ. სახლის პატრონები სიხარულით ხვდებოდნენ, თავის გაჭირვებას უამბობდნენ და შველას სთხოვდნენ. ბერიკები ხის ხმლითა და ფარით ხელში ცეკვავდნენ და მღეროდნენ:

"ბერიკაის კარსაო
გიჭყრიალებ თვალსაო,
ნქარა თუ რას გამომიტან,
თორო გიმტვრევ კარსაო".

მასპინძლები წინასწარ ემზადებოდნენ და ბერიკებს სურსათ-სანოვაგით უმასპინძლდებოდნენ. ამის მიუხედავად, ბერიკები მაინც სახლის "დარბევას" იწყებდნენ. ეს მიღებული წესი იყო და ამ "დარბევით" ოჯახს ბედნიერება ეძლეოდა.

ბერიკები მხოლოდ ერთი სოფლის შემოვლით არ კმაყოფილდებოდნენ; ისინი ახლობელ თუ შორეულ სოფლებსაც ესტუმრებოდნენ ხოლმე.

"კარდაკარ სიარულისა და სურსათის შეგროვების დროსაც კი დღესასწაულის მონაწილეთა მთელი ყურადღება დედოფლისაკენ იყო მიპყრობილი. მაგრამ დედოფლის ხელში მიგდება არც ისე ადვილი იყო - ხის ხმლებით შეიარაღებული ბერიკა-მცველები მას წამითაც არ აშორებდნენ თვალს და, საჭიროების შემთხვევაში, საბრძოლო ილეთების დემონსტრირება და გამოყენება ხდებოდა".[14] ყველაზე მეტად მაინც ნეფე-ბერიკა გამოირჩეოდა - იგი ემანჭებოდა, ელაქუცებოდა, მამაკაცის მოძრაობებით დასდევდა დედოფალს, ეხვეოდა, კოცნიდა. დედოფლისადმი ინტერესს ბერიკაობის სხვა მონაწილენი და მაყურებლებიც იჩენდნენ: ვინც დედოფალს აკოცებდა, დოვლათიანი და ბედნიერი იქნებოდა, ამბობდა ძველი ქართული გადმოცემა.

შემდეგ იწყებოდა ნეფე-დედოფლის ქორწინების ინსცენირება. ამისათვის სოფლის მოედანს ან დიდი სახლის ბანს ირჩევდნენ. ნეფე-ბერიკა პრანჭვა-გრეხვითა და დაუსრულებელი არშიყობით ბერიკა-კეკელას გააბრუებდა და იგიც ქორწინებაზე თანხმობას აცხადებდა.

ამის შემდეგ ქორწილისათვის მზადება იწყებოდა. ნეფე-დედოფალს ურემზე დასვამდნენ და ჯვრისწერის რიტუალის შესასრულებლად მიემგზავრებოდნენ. მათ ხმლებით, ფა-



უენი ქართლიდან.
ნახატი ზ. ფორჩხიძისა.

რებით, შურდულებითა და შუბებით შეიარაღებული ამალა მიჰყვებოდა. ქორწილება სიმღერით, ცეკვა-თამაშით, საბრძოლო ფერხულებითა და ორთაბრძოლებით მთავრდებოდა.

შემდეგ ბერიკაობის სიუჟეტი იძაბებოდა, რადგანაც თათარი ან არაბი ბერიკა ნეფე-ბერიკას კლავდა, ხოლო დაქვრივებული დედოფალი თავისი მეუღლის დატირებას იწყებდა. დედოფალს ამშვიდებდნენ უკეთეს ქმარს ჰპირდებოდნენ.

ბოლოს, ბერიკაობის დასკვნითი სცენა: ნეფე-ბერიკას აცოცხლებდნენ. მთავარი ბერიკები უძველესი რიტუალის ქვეშ იწყებდნენ უკვდავების წყაროს წყლის, სამკურნალო მცენარეებისა და მინერალების მოპოვება-შემზადების ინსცენირებას. შემდეგ ამ უკვდავების წყალს ასხურებდნენ მას, აყნოსებდნენ სამკურნალო მცენარეებს, ტანის განსაკუთრებულ ადგილებს დაუზელდნენ და იწყებოდა ნეფე-ბერიკას თანდათანობითი გამოცოცხლება.

ამასობაში თათარი ან არაბი ბერიკა დედოფალს იტაცებდა. ამ დროს ნეფე-ბერიკა ცოცხლდებოდა და ხის ხმლით ხელში გამტაცებელს და მის მომხრეებს გამოედევნებოდა. ბრძოლა იმართებოდა ნეფე-ბერიკასა და მომტაცებლებს შორის (იხ. სურათი). ბოლოს ნეფე-ბერიკა იმარჯვებდა მოტაცებულ დედოფალს და მასთან ხელმეორედ შეუღლდებოდა.

ბერიკების მხედრობის დასასრულს იქვე იმართებოდა კვიცობია და ხის ხმლებით ხელჩართული ბრძოლები და ქართული ჭიდაობა. დამარცხებულ მხარეს კვერცხებს ესროდნენ ან შეგროვილ სურსათს ართმევდნენ.

დღესასწაული ბერიკათა სუფრით მთავრდებოდა. ლხინი საერთო ხარჯით და შეგროვილი ნადავლით ეწყობოდა და ზოგჯერ რამდენიმე დღესაც გრძელდებოდა. ბერიკათა ვახშამს შაირები, სიმღერა, ცეკვა-თამაში ხელჩართული ბრძოლები და საბრძოლო ცეკვა ფერხული მოჰყვებოდა.

"დროსტარებით კარგად გულს რომ იჯერებდნენ, ბერიკათა მეთაური ბერიკაობის მონაწილეებს გაამწკრივებდა და პირს აღმოსავლეთისაკენ უზამდა. ისინი ღმერთის მადლობას შესწირავდნენ და შესთხოვდნენ მომავალ ბერიკაობას უკეთესად შეგვახვედრეო".[14]

ხალხური დღესასწაულების დროს შესრულებული რიტუალური ცეკვებისა და სიმღერების საბრძოლო მნიშვნელობაზე მსოფლიოს ბევრი მეცნიერი და მკვლევარი მუშაობდა და მათ ამ თემის გამოკვლევას მრავალი მეცნიერული ნაშრომი მიუძღვნეს. მაგალითად, უნგრელი მეცნიერ ლ. კუნი მესოპოტამიასა და კავკასიაში მცხოვრებ ტომთა სარიტუალო დღესასწაულების მნიშვნელობაზე საბრძოლო მომზადებისთვის ასეთი აზრისაა: "...მესოპოტამიასა და კავკასიის ტერიტორიაზე შექმნილ სახელმწიფოთა არქივებში შემონახულია საბრძოლო ხელოვნებების განვითარების დამადასტურებელი ბევრი ისტორიული დოკუმენტი (ჩვ. წ. აღ-მდე IV საუკუნიდან); ამ ქვეყნების ჩამოყალიბებისა და განმტკიცების საქმეში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საბრძოლო ხელოვნებებში გაწაფულ მეომართა წარმომადგენლები. საბრძოლო წვრთნისა და მომზადების სისტემების გახალები რიტუალურ ცეკვებსა და სახალხო დღესასწაულებში იყო ჩადებული... და ეს რიტუალური შერკინებები და დღესასწაულები ღვთაებათა საპატივცემულოდ ტარდებოდა და ათასწლებით წინ უსწრებდა ანტიკურ ბერძენთა ოლიმპიადებს...".[15]

ახლა შევეხოთ ბერიკათა საბრძოლო ასპექტებს.

ბერიკთა ორპირალესილი მახვილი ელვას განასახიერებდა, ხოლო ბერიკა ამ ელვის წარმმართველი ძალა იყო. ბერიკას დიდი ოსტატობა სჭირდებოდა, რათა მახვილი ელვის სისწრაფით და მოულოდნელობით ემოძრავებინა. ბერიკას მახვილი მისი ხელის გაგრძელება იყო, რაც იმას ნიშნავდა, რომ ისინი ჰარმონიაში, ერთ მთლიანობაში უნდა ყოფილიყვნენ. მახვილი მოულოდნელად ჩნდებოდა და ქრებოდა, იგი კვეთდა და ჭრიდა. მას ჰქონდა მეხივით დამანგრეველი ძალა (იხ. სურათი).

ბერიკას ცალპირალესილი და ოდნავ მოხრილი ხმალი ქარს განასახიერებდა. მის ალესილ მხარეს პირს უწოდებდნენ, წვერს კი კბილს. ხმლის მოძრაობა ქარის მოძრაობასავით მსუბუქი და მოქნილი უნდა ყოფილიყო.

მახვილის და ხმლის ფლობის ხელოვნება რამდენადმე შემოგვინახა ქართული საბრძოლო ცეკვებმა.

ბერიკების მახვილით ან ხმლით სრულდებოდა საკულტო რიტუალი და მას შვიდი ვარსკვლავის მახვილი (ხმალი) ეწოდებოდა. ძველ დროში იგი გამოიყენებოდა იმ რიტუალში, რომელიც დაკავშირებული იყო ბუნებრივ მოვლენეთა ცვლასთან, მაგალითად, როგორიცაა ვარსკვლავების და პლანეტების ცვლა. მახვილის (ხმლის) პირზე აღნიშნული შვიდი ვარსკვლავი შეესაბამებოდა დიდი დათვის თანავარსკვლავედის შვიდ ვარსკვლავს. მახვილი იყო სწორი ორპირალესილი და იგი მისი პატრონის (ბერიკას) ასტროლოგიური მონაცემების მიხედვით იჭედებოდა.



ბერიკების საბრძოლო მომზადება.

რიტუალური ცეკვის დასაწყისში მახვილი (ხმალი) ქარქაშში იყო ნაღებული. რიტუალური ცეკვა წრეზე სრულდებოდა. ბერიკას ეს საბრძოლო ფერხული მახვილის (ხმლის) ქარქაშიდან ისტატიკურად ამოღებისა და ხავების ხელოვნებას წარმოადგენდა. სწორედ ის, თუ როგორ და როდის ამოიღებდნენ და დააბრუნებდნენ ქარქაშში მახვილს (ხმალს), იყო დიდი ხელოვნების საიდუმლოება. მეხლმოდრეკილი ბერიკები ცეკვავდნენ ფეხადგებით, მაგრამ შეუმჩნევლად ელოდებოდნენ საჭირო წუთის დადგომას, ელვისებურად ამოშლებდნენ მახვილს (ხმალს) და მეხლმოდრეკილი პოზიდან მკვირცხლად წამოხტებოდნენ (იხ. სურათი).

ბერიკები ასევე ფლობდნენ სიმბოლოებით დაცვის ხელოვნებას. ჩვენ წინაპრებს ასეთი დაცვითი სიმბოლო გააჩნდათ. მათ შორის ფართოდ იყენებდნენ თორმეტს (წელიწადის თვეების შესაბამისად). თითოეულ თვეს თავისი დაცვითი და მფარველი სიმბოლო ჰქონდა. სიმბოლოების აღნიშვნა თანავარსკვლავედების მიხედვით შეირჩეოდა და ძველ ქართულ ტომებში არსებული სარიტუალო ნიშნებით, ფიგურებითა და ანბანით გამოიხატებოდა.

მეომარი ბერიკები ფლობდნენ ხუთ სიმბოლოს, რომელიც ერთიან სისტემას წარმოადგენდა. ისინი სამყაროს ხუთ ძირითად პირველელემენტს განასახიერებდნენ: ოქრო (ლითონი), ქვა (დედამიწა), წყალი, ცეცხლი და ხე (მცენარე). პირველელემენტების სიმბოლოები საკულტო ტაძრებში ინახებოდა და მათი გამოყენება ქურუმების ნებართვის გარეშე სასტიკად იკრძალებოდა.

სიმბოლოებით დაცვის ხელოვნება ძალზე დახვეწილი იყო და მეომარი უნდა გამოეყვანა მძიმე სიტუაციიდან (მტრის იარაღი მიზანს სცდებოდა, სასიკვდილო ჭრილობის მიყენება შეუძლებელი იყო). ჩვენი წინაპრები მშვენიერად ფლობდნენ ადამიანის ტანის ენერგოარხების სქემას და ზემოთ აღნიშნული სიმბოლოები ენერგოარხების გადაკვეთის ადგილებისათვის, ანუ ენერგოწნულებისათვის იყო გათვალისწინებული, რითაც ადამიანის ენერგოდაცვითი შესაძლებლობები შესამჩნევად იზრდებოდა. სიმბოლოები ასევე სამკურნალო მოვალეობასაც ასრულებდა. ისინი ამ ხელოვნებას მხოლოდ თავდაცვისთვისა და სამკურნალოდ იყენებდნენ. მათი წარმოდგენით, მისი სხვა დანიშნულებით გამოყენების შემთხვევაში იგი ბუმერანგივით ახიფათო ხდებოდა.

ბერიკები ამ სიმბოლოებს განსაკუთრებული რიტუალების შემდეგ საღებავით იხატავდნენ მკერდზე, ხელისგულზე, ზურგზე ან მუცელზე. ასევე ჰაერში ხელით გამოხატავდნენ ხოლმე ბრძოლის წინ, ანდა ენის წვერით ხატავდნენ სასაზე. მათ სჯეროდათ, რომ ამის შედეგად მტრის მახვილი, შუბი თუ ისარი აუცილებლად ასცდებოდა მათ ტანს (იხ. სურათი).

მებრძოლები ყოველთვის მოწიწებით ეპყრობოდნენ ამ სიმბოლოებს. მათ მიაჩნდათ, რომ ეს იყო წინაპართა გამოცდილება და ცოდნა. ისინი მკაცრად ინახავდნენ საბრძოლო ხელოვნების ამ საიდუმლოებას.

ზოგიერთ ქვეყანაში დღესაც იყენებენ სიმბოლოების ხელოვნებას საბრძოლო ხელოვნებებში და მედიცინაში.

# თავი მეოთხე

## ქართულ ცეკვათა და სიმღერათა საბრძოლო მნიშვნელობა

*"ქართველების გუნდი განსაცვიფრებელ ხალხურ სიმღერებს მღერის. ლხინის, შრომის, ბრძოლის ამსახველი ჰიმნები, შეუდარებელი კრიმანჭული - ყველაფერი ეს ისეთი მუსიკალური სასწაულია, რომელიც არცკი შეგვიძლია რაიმეს შევადაროთ. ჩვენ ამის მსგავსი არაფერი მოგვისმენია".*

*გაზეთი "ნიუ-იორკ ტაიმსი".*

ბერიკათა საბრძოლო ასპექტების მცირედი განხილვაც კი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ დაგვენახა თუ რა იდუმალი საბრძოლო ხელოვნებაა ამ მოძრაობებში და ჯამბაზობაში ჩადებული. ბერიკა სულაც არაა ტაკიმასხარა მსახიობი, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. საბრძოლო ასპექტის სამზერიდან იგი მეომარია, უძლეველი ოსტატია, მის მოძრაობებში და მუშაითობაში ღრმადაა ჩამალული მისი საბრძოლო ღირსებები. ამასთანავე გარეგნულად იგი ყოველთვის ხალისიანი, მოძრავი და ხუმარაა, შინაგანად კი მშვიდი და კეთილგანწყობილი.

როგორც წინა თავებიდანაც დავინახეთ, ბერიკები შესანიშნავად იცნობენ და იყენებენ სამყაროსეულ სიბრძნეს, ხუთი ძირითადი ელემენტის ასპექტებს, კარგად ფლობენ კოსმიურ ენერგიებს. მათი საბრძოლო ხელოვნების ეფექტიანობაზე დაფუძნებული იყო ერის ფიზიკური გადარჩენა. მათი ოსტატობა კარგად ჩანდა ორთაბრძოლებში, როგორც ტექნიკის მხრივ, ასევე სიმძლავრით. ისინი შესანიშნავად იცავდნენ თავს ცხოველთა მოძრაობების ილეთების გამოყენებით.

საუკუნეთა განმავლობაში ბერიკთა საბრძოლო სტილი თანდათან იხვეწებოდა და ბოლოს იგი ქართველ ტომთა ყოფის შემადგენელ ნაწილად. წეს-ჩვეულებად იქცა. ყველა ქართველი ბუნებრივად გადიოდა ამ სკოლას, სწავლობდა და მონაწილეობდა ბერიკაობის რიტუალებში, საბრძოლო ფერხულებში. ასე ინახავდა ერი ამ საბრძოლო სულის უძველეს განძს: ილეთების, ფანდების, შესხლეტების, გდებების, ხტომების, დარტყმების, იარაღის ფლობის, შეძახილების, სიმღერებისა და ფერხულების ხელოვნებებს. ერთი შეხედვით, ვერც კი მიხვდება კაცი, რომ ქართულ ხალხურ ცეკვებში და სიმღერებში დაიდო ბინა ამ ხელოვნებამ - დინამიურ, ცეცხლოვან, მოქნილ მოძრაობებში და ულამაზეს მრავალხმიან ქართულ ჰანგებში ინახება ქართველთა საბრძოლო სული. სწორედ



ხუთი ბერიკას საბრძოლო ცეკვა.

ამან გვაფიქრებინა, რომ ამ წიგნის ერთი თავი ქართულ ცეკვათა საბრძოლო მნიშვნელობისათვის უნდა მიგვეძღვნა.

"ცეკვის დროს მაღლა შეხტომები სიმბოლურად გამოხატავდა საკრალურ სამყაროში გადასვლას, ზეგარდმო მადლის, წყალობის გამოთხოვას. კავკასიის ხალხებში ცეკვისას შეხტომები იცოდნენ წვიმის გამოთხოვისა და დასაფლავების რიტუალებში, როგორც ნაყოფიერების კულტის ელემენტი. წვიმის გამოთხოვა, "წყლების გამოხსნა" ექვივალენტურია საკრალური ქორწინების იდეისა (მაგ. გველეშაპებთან მებრძოლი, გმირის მიერ ურჩხულის მოკვლინება და ქალის გამოხსნის, "წყლების განთავისუფლების" მითიური სიუჟეტი)...

ხალხური ჩვეულებების ლაიტმოტივია "შეერთება", ანუ "ქორწილი", თანამონაწილეობა "დაუსრულებელი სიცოცხლისა და სიხარულის" ღვთაებრივ სამყაროსთან: ეს ერთიანობა იყო სიცოცხლის უწყვეტობისა და კეთილდღეობის საფუძველი. ცეკვა-თამაშობები, ფერხულები ამგვარად წარმოადგენდნენ თავისებურ ინვერსიას, ანუ გადასვლას "სხვა" საკრალურ მდგომარეობაში, მასში მონაწილეები კი გაიგივებულნი იყვნენ "ზეციურ მდღესასწაულეებთან"... აქ აღსანიშნავია ცნობილი კულტუროლოგის ო. ფ. ბოლნოვის აზრი, რომ "ცეკვით ადამიანი უბრუნდება ბუნებას და კვლავ მონაწილეობს მის კანონებში".[151]

დიახ, უდიდესი საგანძურია ჩვენი ქართული სიმღერები და ცეკვები და ტყუილად კი არ აოცებს იგი მთელი მსოფლიოს საზოგადოებას. ქვემოთ მოყვანილი ერთი ციტატაც საკმარისია ამაში დასარწმუნებლად: "ქართული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ "რუსთაველის" გამოსვლა გერმანიაში ფანტასტიკურია. ჯეროვანი სიტყვები ვერ გვიპოვია... ბედი ქ ქონია, ვინც ქართველთა ცეკვა-სიმღერა ნახა და მოისმინა" (დასავლეთ გერმანიის პრესა, 1988).

ქართული ცეკვებისადმი მიძღვნილ თავის წიგნს ბ-ნი კოტე ჯანდიერი შემდეგი სიტყვებით იწყებს: "ტერფსიქორა, თავისი დების უმრავლესობისაგან განსხვავებით, ყველა ხალხისა თუ ერისათვის ნაცნობი მუზაა. ზოგიერთ ხალხს არ გააჩნია ეპიკური პოეზია, ქრონიკები, ტრაგედია ან კომედია; მაგრამ დედამიწაზე, ალბათ, არ არსებობს უმცირესი ეთნოსიც კი, რომ არ ჰქონდეს გამორჩეული, იქნებ პრიმიტიული, მაგრამ მაინც მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ცეკვა. ცეკვის მუზა საოცრად გულუხვი აღმოჩნდა ქართველებისათვის - იშვიათი მრავალფეროვნებით და საცეკვაო ილეთების სიმდიდრით. ცნობილი ქართული ცეკვა იმდენივე საუკუნეს უნდა ითვლიდეს, რამდენსაც ეს კავკასიური ტომი ინახავს თავის კოლექტიურ მეხსიერებაში. თავის მხრივ ქართულ ცეკვაში ნათლად ირეკლება ეროვნული ხასიათი, აზროვნების წესი, ევროპისა და აზიის შესაყარზე მცხოვრები ამ უცნაური ხალხის მრავალსაუკუნოვანი, უმძიმესი ისტორიული გამოცდილება"[152] (იხ. სურათი).

ქართველი კაცი მუდმივ მზადყოფნაში უნდა ყოფილიყო მტერთან შესახვედრად. ქართველი ხალხი განუწყვეტლივ იბრძოდა ფიზიკური გადარჩენისათვის. ცხოვრების ასეთმა წესმა განსაზღვრა ქართული ცეკვების ფორმა და ხასიათი.

"როგორც ძველი ბერძენი ისტორიკოსის ქსენოფონტის ნაწარმოებიდან ჩანს, ჩვ. წ. აღ-მდე IV საუკუნეში, ძველ ქართველ ტომებში ფართოდ იყო გავრცელებული საერო მუსიკა, კერძოდ საბრძოლო და საცეკვაო სიმღერები. ჭანური ტომები საბრძოლო მოქმედებებს საბრძოლო სიმღერებითა და ცეკვებით იწყებდნენ".[153]



ყეენისა და კურო-ბერიკას დუეტი.

ქართულ საბრძოლო და ხალხურ ცეკვათა სახელწოდებების ჩამონათვალიც კი საქართველოს მდიდარ და მრავალფეროვან ცეკვათა ხელოვნებაზე



ცეკვა "ხორუმი" - "ზეაღმართული ხელები".

მიგვანიშნებს: ქართული, მთიულური, ფერხული, ხორუმი, მწყემსური, მხედრული, მოხეური, ცერული, სახუმარო, ზემქსელი, სამაია, დოლური, სალხინო, ბაღდადური, საშაირო, წარიმქევია, შუშპარი, საარშიყო, ხანჯლური, სათამაშო, საკეკნაო, ფარიკაობა, განდაგანა, გერგეთული, დავლური, ნაბდური და სხვ. თითოეულს თავისი განსხვავებული ვარიანტი გააჩნია. "ქართველმა ხალხმა გამოკვეთილი სიწმინდით შემოინახა უძველესი ხალხურ-გუნდური ფერხულები: "მზე შინა და მზე გარეთა", "ქმგულახი", "კავსან ყიფიანე", "მაიამა შამარერა", "შინავორგილ", "ამირანი", "ალრეკოლაი" და სხვა. თითოეულ ქართულ ცეკვაში, მის თითოეულ მიხვრა-მოხვრაში და გადაადგილებაში, იარაღიან თუ უიარაღო მოძრაობაში ასახულია და დახვეწილია საბრძოლო ილეთთა სახეები, საბრძოლო ფანდთა თავისებურებები, ის ხელწერა და პეწი, რომელიც შეიმუშავა წინაპართა გენიამ და რომელმაც დღემდე შემოინახა ჩვენი უძველესი ერი (იხ. სურათი).

საბრძოლო ცეკვებსა და ორთაბრძოლებს გააჩნიათ საკულტო ხასიათი. ისინი მიძღვნილი იყო მოსავლიანობის, კეთილდღეობისა თუ მშვიდობიანობის ღვთაებებისადმი. თუ გავიხსენებთ, წინაქრისტიანული პერიოდის საქართველოს საკულტო ინვენტარს: ორსართულიან ხელადებსა და კოკებს, ორმუცლიან ჭურჭლებს, სამძირა ლანგრებს, ორმაგ თასებს - ისინი შეადგენდნენ მიწათმოქმედების ღვთაებისადმი მიძღვნილ ნივთებს - ამის მსგავსად, სართულებიან საბრძოლო ცეკვებს, ფერხულებსა და ორთაბრძოლებს გააჩნდათ რიტუალური ხასიათი, რომლის მეშვეობითაც ისინი ჰარმონიაში მოდიოდნენ ბუნების ძალებთან. სართულებიან ფერხულებს ასევე ფილოსოფიური დატვირთვაც გააჩნდა. ზედა მესამე რიგი კავშირს ამყარებდა ღვთაებასთან, მეორე რიგი შუამავალი იყო, ხოლო ქვედა რიგი მიწის ნაყოფიერებას უკავშირდებოდა.

უძველეს საბრძოლო ცეკვებზე საუბარი რასაკვირველია, უძველესი ქართული მხედრული ცეკვა გურულ-აჭარული ხორუმით უნდა დავიწყოთ. შავი ზღვის სანაპიროზე, მითიური კოლხეთის ტერიტორიაზე დაიბადა ეს საომარი ფერხული. ერთი შეხედვით მარტივი შინაარსი გადმოგვცემს მეომართა რაზმის თავგადასავალს. ხორუმი რამდენიმე ეპიზოდად იყოფა, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია სიუჟეტური ხაზით. პირველ ნაწილში მებრძოლთა რაზმი თავის წინამძღოლთან ერთად ეძებს ადგილს საბრძოლო ბანაკებისათვის და ემზადება მომავალი ბრძოლისათვის. მეორე ნაწილში წინამძღოლი განგაშის ნიშანს იძლევა, იწყება დაზვერვა, მესამეში - იერიში, ბრძოლა, მეოთხეში - მტერზე გამარჯვება და ზეიმით სახლში დაბრუნება. მეოთხე ნაწილი შეიცავს წინამძღოლის დაჭრის მომენტსაც, რომელიც, ამის მიუხედავად, მაინც ხელმძღვანელობს ბრძოლას. "...ეს უძველესი ცეკვა საყოველთაოდ მისაწვდომი შინაარსის მიღმა უნდა მალავდეს რაღაც უფრო მთავარს, მნიშვნელოვანს და, შესაძლოა, აკრძალულსაც კი. ტალღებად წამოსული რიგები, მოცეკვავეთა გადაბმული ხელები ხან აღმართული, ხანაც ძირს დაშვებული... ეს ყველაფერი რაღაცას გვაგონებს და მიგვანიშნებს ოდესღაც ნაცნობ, მაგრამ, ხნოვნის მიღმა დარჩენილ ხატებას, რომელსაც აკრძალვის იდუმალი ბეჭედი აზის".[154]



ცეკვა "ქართული".

იქნებ საბრძოლო ცეკვა ხორუმის იდუმალმა ენამ შემოგვინახა ის, რაც შეგნებულად თუ უნებლიედ მიიღწია ცნობიერებამ და ფსიქიკის უღრმეს შრეებში მიენიჭა ადგილი?

ახალგაზრდა თაობის საბრძოლო აღზრდაში ქართული ცეკვების მნიშვნელობაზე მიგვანიშნებს 40-იან წლებში რუსეთში გამოცემული მრავალრიცხოვანი ლიტერატურა, სადაც რუსი მეცნიერები და პედაგოგები აღნიშნავენ ქართული ცეკვებისა და სიმღერების მეშვეობით სამხედრო აღზრდის პოტენციალისა და შესაძლებლობის გაზრდაზე. მაგალითად, რუსმა მეცნიერმა ლ. ბოგატკოვამ გამოიკვლია ძველი ქართული საბრძოლო სიმღერები და ცეკვები, მათ შორის ცეკვა ხორუმიც. მან გამოაქვეყნა უამრავი წიგნი ბავშვთა საბრძოლო და მხატვრული აღზრდის თაობაზე. აი მაგალითად: Л. Богаткова. Хоруми (аджаро-гурийский военный танец). Свердловский областной дом художественного воспитания детей. Свердловск. 1947.



"ჩაკვრები" ქართულ ცეკვაში.

არ შეიძლება, არ შევეხოთ ქართული საბრძოლო ცეკვების მარგალიტს - ცეკვა ქართულს. მხოლოდ ერთს, ყველაზე გამორჩეულს, ეწოდება ქართული. "ამ უნიკალურ დუეტს, რომელიც ასე გვაგონებს რომელიღაც დავიწყებული კულტის რიტუალს, წილად ხვდა, გამხდარიყო ქართველობის უტყუარი ნიშანი და სავიზიტო ბარათი. შესაძლოა, ამ ცეკვაში არის ის, რაშიც არც ერთი ქართველი თავის თავს არ უტყდება"[155] (იხ. სურათი).

ამ ცეკვას გააჩნია მკაცრი წესები. მაგალითად, მამაკაცი ყურადღებიანია და თავაზიანია ქალის მიმართ, მამაკაცი ცეკვის დროს ტანსაცმლის კიდითაც კი არ უნდა შეეხოს ქალს, მან ყურადღება სხვაზე არ უნდა გადაიტანოს, უნდა გამოიცნოს ქალის ყველა ჩანაფიქრი, მამაკაცი ცეკვავს თავსაბურველის გარეშე, მას ხელში უჭირავს ქუდი, მამაკაცი ამ ცეკვაში ცერებზე არ დგება და ა. შ. "...სახის კალთა არც კი ირხევა და მხოლოდ სახის გამომეტყველება და ფეხების სწრაფი მოხდენილი მოძრაობა თუ ამხელს შინაგან მღელვარებასა და სურვილს. კაცი ვალდებულია აკონტროლებდეს საკუთარ გრძნობებს".

გრიგოლ რობაქიძემ, "ქართულის" შემსრულებელი მამაკაცი შეადარა "ვეფხვს", რომელიც სარკეში იცქირება, მაგრამ რად უნდა სჭირდებოდეს ვეფხვს, ძლიერ და დაუმარცხებელ მეომარსა და მონადირეს, სარკეში ცქერა? "...საკუთარი ანარეკლის ჭვრეტა ხომ მსახიობის თვისებაა, მსახიობისა, რომელიც ვეფხვის როლს ასრულებს და თან გამუდმებით ამოწმებს თავის თავს, რომ შემთხვევით კატის, ან სხვა რომელიმე ნაკლებად პატივცემული ცხოველის მოძრაობა არ გაეპაროს! იქნება სწორედ ცეკვა "ქართულმა" შემოგვინახა ყველაზე ზუსტად და შეულამაზებლად ქართველი კაცის ჭეშმარიტი, მაგრამ საგულდაგულოდ დაფარული სახე - სახე მარადიული მოთამაშისა, რომელსაც მუდამ ამოძრავებს დაუძლეველი სურვილი, სინამდვილე სცენად, ცხოვრება კი სპექტაკლად აქციოს".[156]

აქვე უნდა შევეხოთ კავკასიონის პირქუშ მთებში მცხოვრებ მთიელ ქართველთა საბრძოლო ცეკვებს. ცხოვრების მკაცრმა პირობებმა და მტერთან გამუდმებულმა ბრძოლამ თავისი დაღი დაასვა მთიელ ქართველთა საბრძოლო ცეკვებს. ამ ცეკვებში თვალნათლივ ჩანს საბრძოლო გამოყენებითი ელემენტები. ცეკვა "ბასტის" საფეხვლის მოძრაობებით ტაქტის გამოთვლა წარმოადგენს. იგი ფეხის ტერფით ან ფეხის წვერებით ხორციელდება და წარმოადგენს მთიელთა საბრძოლო ილეთს - ჩაკვრას (იხ. სურათი).

ქართველებს გააჩნიათ ჩაკვრების უამრავი კომბინაცია, ხტომები სივრცეში, ზემოთ, ერთ მუხლზე, ბრუნვები ერთ ან ორ ფეხზე და ა.შ. (იხ. სურათი). ამ ელემენტებს შეიცავს საბრძოლო ცეკვები: "მთიულური", "ყაზბეგური", "ხანჯლური", "მოხეური" და სხვა. "...ამ ცეკვებში მამაკაცების ცეკვის გორთხი იერი, მკვეთრი კუთხოვანი მოძრაობები, იმის დასტურია, რომ მთის მიუვალი ხეობები მხოლოდ ძლიერთა სამყოფელია. გამომწვევი ექსპრესიული ილეთებით მოცეკვავენი თითქოს ცდილობენ დაარწმუნონ მტერიცა და მოყვარეც თავიანთ ძლევამოსილებაში. არ არის გამორიცხული, რომ "ყაზბეგურის" მკაცრი პლასტიკა ქრისტიანობამდელი რიტუალური მოძრაობების თავისებური ანარეკლი იყოს"[157] (იხ. სურათი).

ყველა ზემოჩამოთვლილი ცეკვა არის შეჯიბრი. მოცეკვავე მებრძოლებისათვის ნიშანდობლივია აზარტულობა, სწრაფვა პირველობისაკენ. ისინი ეჯიბრებიან ურთულესი ილეთების შესრულებაში, საბრძოლო ილეთების (დაცვითი და შეტევითი ფანდების) ოსტატურად შესრულებაში, როგორიცაა, მაგალითად, ცეკვა "მხარულში", - აგრეთვე იარაღის ხმარებასა და ჩასობაში. აი, როგორ აღწერს ამ სცენას რუსი მეცნიერი ე. დუბროვინა. იგი წერს, რომ ქართველი ცეკვის დროს ახდენს მოქნილობისა და ძალის დემონსტრირებას: ჯერ ასობს ხანჯლებს წვეტით მიწაში, შემდეგ კი პირიქით - ტარით მიწაში, ხანჯლის ალესილი წვერები მიწიდან ამოშვერილი ლაპლაპებენ. იგი ეშვება მუხლებზე, ტანს უკან ხრის და მისი ზურგი თითქმის ეხება ხანჯლის წვეროებს; ერთი არასწორი მოძრაობა და ეს ალესილი წვერი მას შეესობა. მაგრამ ირგვლივ სიმშვიდეა, რადგანაც ყველამ იცის, რომ იქ, სადაც გველის მოქნილობა შეერთებულია ვეფხვის კუნთურ ძალასთან, ასეთი შეცდომები გამორიცხულია[158]. ამ თემაზე არსებობს ძველი ქართული ლეგენდა ოქროსმსახიობელი მზეჭაბუკის შესახებ. იგი იყო მშვენიერი მოცეკვავე, მებრძოლი და მომღერალი. მზეჭაბუკსა და მეფის ასულის საქმროს შორის კამათი ჩამოვარდა: ის, ვინც შეძლებდა ეცეკვა ხანჯლის ალესილ პირზე, შეირთავდა მეფის ასულს. პირველმა საქმრომ იცეკვა და, როგორც კი შეეხებოდა ხანჯლის პირს, ჭრილობას იღებდა. მზეჭაბუკმა კი შეასრულა ულამაზესი საბრძოლო ცეკვა ხანჯლის პირზე: მეფის ასულიც მას ერგო.[159]

ხევსურთა ცეკვა "ფარიკაობის" ნახვის შემდეგ რუსმა მეცნიერმა ი. პრომპტოვამ წამოიძახა: "Танцуют хевсуры изумительно! Такой экспресии, плавности и суровой грации мы не видали до этого никогда на Кавказе".[160]

ქართული ტრადიციული ცეკვების მეშვეობით ვიხედებით ეროვნული სულის სიღრმეში. იქნებ ცეკვების პლასტიკური ენა გვეუბნება თუ ვინ ვართ ჩვენ: "...უკიდურესი მოსახნების დროსაც კი რაინდული კოდექსის ერთგული დამცველნი, მშვენიერების მორჩილი პალადინები, თუ კეთილშობილი რაინდის როლში მყოფი ბარბაროსები, რომლებსაც ეს როლი მხოლოდ თავის მოსატყუებლად, ან სხვისი თვალის ასახვევად აგვირჩევია? თუმცა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არა მარტო ქართველებს მართებთ...".[161]

ქართული ცეკვებისა და სიმღერებისადმი მიძღვნილი ეს თავი მინდა რამდენიმე დიდი ქართველის სიტყვებით დავასრულო:

ქალბატონი ნინო რამიშვილი: "ბავშვობაში სულ ვფიქრობდი: ალბათ რა მოსაწყენია ცხოვრება იმათთვის, ვინც არ ცეკვავს".

ბატონი ჯემალ ჭკუასელი: "ქართული ხალხური სიმღერა პირველად, ლურსმული დამწერლობის ძეგლებშია ნახსენები, ხოლო ქსენოფონტე და სტრაბონი ქართველთა უძველეს რიტუალებსა და წეს-ჩვეულებებს მოიხსენიებენ. გუნდური სიმღერა საქართველოში უძველესი დროიდან ისეთ სიმაღლეზე იდგა, რომ ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ ის ეკლესიებში სრულდებოდა ლოცვისა და წირვის დროს. ახლანდელ დროში, ზღვა თუ ილევა კოვზით, დამერწმუნეთ, თუ ქართულ სიმღერასა და ცეკვას არ მოუარეთ, ისიც მალე დაილევა!"

და ბოლოს, გრიგოლ რობაქიძე: "ქართული ბალეტი ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის - რომელმაც მსოფლიოში ეგზომ დიდი სახელი მოიხვეჭა, ჟენევასაც ესტუმრა... დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, დიდი... ვერა, რომელი ნიჟინსკი იცეკვებს მაგალითად "ქართულს" ისე, როგორც ცეკვავს ამას რომელიმე ვაჟი დასისა... ეს იმიტომ, რომ ქართული ბალეტი არის ბალეტი ჯიშის, რასის... ნინო რამიშვილის და ილიკო სუხიშვილის ქართული ბალეტი, მთლიანად ალებული, სწორუპოვარი დითირამბია ყოფის მიმართ"...

# თავი მეხუთე

## კავკასიელ ამორძალთა რიტუალები, საბრძოლო და საკულტო ცეკვები და სიმღერები

*"ვისაც უნახავს ქართველ ქალთა*
*ცხენით ჯირითი, მისთვის ძნელი არ იქნება*
*დაიჯეროს, რომ ესენი ამორძალები არიან".*

*ქრისტოფორე დე კასტელი*

*"ქართველებისათვის, დედა მარტო*
*მშობელი არ არის. ქართველი დედის*
*ენასაც "დედაენას"ეძახის. ეგრის ქალაქს*
*- "დედაქალაქს". მკვიდრსა და დიდ ბოძს*
*სახლისას - "დედაბოძს"; უდიდესსა და*
*უმაგრეს ბურჯს - "დედა-ბურჯს",*
*სამთავრო აზრს - "დედა-აზრს". გუთნის*
*გამგებელ მამაკაცსაც კი - "გუთნის*
*დედას". ამაზე მეტი პატივი რაღა უნდა*
*მოეტანოს სახელსა. სიტყვა "ქალი" განა*
*იმოდენას გვეტყვის, რასაც გვეუბნება*
*ლოლებული სიტყვა "დედა".*

*ილია*

მინდა ვისაუბრო ქართველი ქალის განსაკუთრებული როლის შესახებ საბრძოლო სულისა თუ ხელოვნებების ჩამოყალიბებაში. იყო დრო, როდესაც გვარის მარჩენის საღვთაებები ქართველთა ტომებში ქალებს ეპყრათ. საქართველოს ტერიტორიაზე - საგვარეჯილოში, ურბნისში, ხიზანაანთგორასა და თეთრამიწაში აღმოჩენილი თიხისაგან გამოძერწილი ქალთა ფიგურები ამის დადასტურებაა. ამ ფიგურებზე, სპეციალისტების მტკიცებით, ღვთაების, მოსავლიანობის (ნაყოფიერების) ქალღმერთია გამოსახული.

ბერძენი ფილოსოფოსისა და მეცნიერის სტრაბონის მიხედვით, ამორძალები ცხოვრობდნენ კავკასიონის მთებში.[102] ბერძენი და რომაელი მეცნიერები ამორძალებს კავკასიელ ქალებს უწოდებდნენ. ამ ეპოქაში, მებრძოლ ქალებზე არსებული გადმოცემები ეფუძნებოდა კონკრეტულ ისტორიულ ფაქტებს. ამორძალები ვერ იტანდნენ მამაკაცთა გვერდით ცხოვრებას თავიანთ მიწაზე, თუმცა გვარის გაგრძელებისათვის მათ უწევდათ კავკასიონის ძირას მცხოვრებ მამაკაცებთან დროებითი კავშირის დამყარება. ამ მხრივ საინტერესოა ინგილოების საქორწილო წეს-ჩვეულება. პატარძლის მოსაყვანად მიემგზავრება ქალებისაგან შემდგარი ცხენზე ამხედრებული ამალა და მათ იგი სიძესთან მიჰყავთ. მოსულები მანამდე რჩებიან ცხენზე ამხედრებულები, სანამ მათ წინ არ იცეკვებს პატარძლის ნათესავი[103] (ავტორისეული თარგმანი). ქრისტოფორე კასტელის ნახატებში გვხვდება ამხედრე-



მოისარი კავკასიელი ამორძალი
ნახატი ქ. კასტელისა



შაშხანოსანი სვანი ქალი.
ნახატი ქ. კასტელისა

ბული ქალების სურათებიც, რომლებიც მშვილდისრით, კაპარჭით (საისრეთი), შუბითა და ხმლით არიან შეიარაღებულნი. ქ. კასტელი წერს: "...ამორძალები კავკასიის მთებში არიან, ესაზღვრებიან ჩერქეზებსა და თათრებს... ისინი ტყესა და მიწურ მღვიმეში ცხოვრობენ... წყნარი ხახის. მცირე ნაირსახეობის ტანსაცმლით და ფერადი ფეხსაცმლით გამოწყობილი ამორძალი ქალები მაღულად დაიარებიან ქვეყნის გზებზე... ეს ქალები იმ მიზნით როდი არიან შეიარაღებულნი შუბით და ხმლით, რომ ძარცველობა ჩაიდინონ, არამედ იმიტომ, რომ მათ უხდებათ მთასა და ტყეში გავლა და თავდასაცავად სჭირდებათ ეს. რადგან ხალხს იტაცებენ თურქებზე გასაყიდად, ამიტომ ქალებიც შეიარაღებულნი არიან... (იხ. სურათი). ასევე "...სვანი ქალები მეომრები არიან და ესაზღვრებიან ამორძალებს. ეს უკანასკნელნი მშვილდისრის ხმარებაში მამაცნი არიან, ცეცხლის (სასროლი) იარაღის ხმარებაში კი პირველნი... ამასთანავე, უნდა აღინიშნოს ამ პერიოდის ფრიად დამახასიათებელი მოვლენა - დიდი და პატარა, ქალი თუ კაცი სამხედრო წვრთნას გადიოდა სამშობლოს მტრების მოსაგერიებლად... განსაკუთრებული ადგილი უკავიათ ქალთა წრიდან გამოსულ მეომრებს...". უმშვენიერესი აღნაგობისა და სახის ქართველი ქალების სამხედრო ეარჯიში იტალიელი ბერის გაოცებას იწვევდა. "ამხედრებულნი და შეჭურვილნი არიან არა მარტო დედოფლები და სეფე ქალები, არამედ თავად-აზნაურთა და გლეხთა წრიდან გამოსული მოხდენილი მანდილოსნებიც. ჩვენთვის ეს სრულიად ახალი მოვლენაა და ერთხელ კიდევ გვიდასტურებს მრავალი უცხოელის ცნობას ქართველ ქალთა თურქ-სპარსების წინააღმდეგ მედგარ ბრძოლებში მონაწილეობის თაობაზე"[164] (იხ. სურათი).

თანამედროვე მეცნიერებიც ამავე აზრისა არიან: "ამაყ ქართველ ქალებსაც შეუძლიათ თავი ამორძალთა შთამომავლად ჩათვალონ. საქართველოს ჰყავს პალიტრის მანდილოსანი ოსტატები, მსახიობი ქალები, მოცეკვავეები. მაგრამ ამ ხალხის ბუნებრივი ნიჭი განსაკუთრებით სიმღერაში იფურჩქნება. ქართული ხალხური მელოდიები თავიანთი უბადლო ჟღერადობით მსმენელს აჯადოებენ, და კიდევ უფრო ამაღლებულია მათი ჰარმონია, როცა გუნდი მღერის, მრავალი ტალანტი იფურჩქნება ერის ცხოვრების ყველა სფეროში..." (ო. ვეზენდონკი).[165]



ქართული ლხინი.
ნახატი ქ. კასტელისა

"პომპეუსის დროს ტყვედ წაყვანილთა შორის შეიარაღებული იბერიელი ქალებიც იყვნენ, რომელთაც იმდენივე ჭრილობა აღმოაჩნდათ რამდენიც ვაჟებს. ჯერ კიდევ ესქილე ამბობდა: "კოლხიდის გმირნი, ყმაწვილნი ქალნი ომში მამაკაცნი და უშიშარნიო".[166] აკი მებრძოლ ამორძალთა ქვეყნად კავკასია იყო მიჩნეული". აკაკი წერეთელი წერდა: "რით აიხსნება, რომ ამ პატარა ქვეყანამ მოიგერია მასზედ მოზღვავებული მტრები... ეს სასწაული ქართველი ქალი იყო. ის ჭირშიაც და ლხინშიც მეუღლეობას

უწევდა ქმარს და შვილებს გმირებად უმზადებდა მომავალს".

უცხოელი მოგზაურები, მეცნიერები და მისიონერები აღტაცებულნი არიან ქართველი ქალის სილამაზითა და სიტურფით, რაც მათ მიერ შექმნილ ნაწარმოებებსა და ჩანახატებში მკაფიოდ გამოიკვეთება. აი რას წერენ ისინი: "...იშვიათი სილამაზის ქალებია საქართველოში... თვალებში მზეს აჯალოებენ და ბაგეზე აპრილს. რომლესაც პირისახეს, ხელსა და ფეხებს უყურებ და ხელებით ვეხები, ის იცვლის მოყვანილობას... ისინი უფრო ანგელოზებსა ჰგვანან... მათი თმები პალმის ზეთივით შავია. შავი თვალები და თავზე წესიერად დალაგებული შავი თმები. ძალიან დაფასებულია აღმოსავლელი ქალების შავი თვალები და თმები... ქალები სმაში ძალიან თავშეკავებულნი არიან. მრავალ ნადიმს დაესწრებიეარ და არასოდეს არ მინახავს ღვინის მსმელი ქალები; კაცები კი, ერთიდან უკანასკნელამდე, მსმელები არიან. დიდებულები ნადიმზე ქალების წინ მუხლმოყრილნი სვამენ ღვინოს, რაც ველურად გვეჩვენებოდა ჩვენ (იტალიელებს). ამ ქვეყნის (საქართველოს) ერთმა დიდებულმა მითხრა: რას ემგვანებოდა ქვეყანა, უქალებოდ. სადაც ქალები არ არიან, იქ არც შეიძლება კმაყოფილება იყოსო. ამის გამოა, რომ მთელი საქართველო გრძნობასაა აყოლილი...".[167]

მტრის წინააღმდეგ ბრძოლის დროს ქართველი ქალის გმირობა გახდა ქართული ბალეტის "ნაზიბროლას" მთავარი თემა. ნაზიბროლა წარმოადგენს იმ კრებით სახეს, რომელმაც გააერთიანა ჩვენი ისტორიისათვის ცნობილი ქალების - მაია წყნეთელის, მაია წავკისელის, თამარ ვაშლოვანელისა და სხვათა საუკეთესო თვისებები.

ქართველ ქალს ერის საბრძოლო სულის ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი შეჰქონდა. მას ევალებოდა მომავალ მებრძოლთა აღზრდა, მათი ფიზიკური თუ სულიერი ჯანმრთელობის უზრუნველყოფა, კერის შენახვა და ოჯახის მოვლა. ახალგაზრდებში საჭირო ჩვევების განვითარება - ჩანერგვა და საკულტო რიტუალების შესრულება. ამისათვის კი არსებობდა ის სამკურნალო, აღმზრდელობითი, საბრძოლო და საკულტო ფერხულები (ცეკვები), რომლებსაც ქვემოთ შევეხებით.



ბაგინეთის მთაზე აღმოჩენილი სპილოს ძვლის ფირფიტა (ჩვ. წ. აღ-მდე IV-III ს.ს.).

1946 წელს მცხეთის ახლოს, ბაგინეთის მთაზე არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოაჩინეს სპილოს ძვლის ფირფიტა, რომელზედაც ამოკვეთილია ქალის ფიგურა. ნაკვთობის ხელებისა და ფეხების მდგომარეობა უჩვეულოა: მარჯვენა ფეხი გადაჯვარედინებულია და დგას ცალ ფეხზე, მარცხენა ხელი ქვევითაა ჩამოშვებული - თეძოს გასწვრივ, მარჯვენა ხელის მტევანი მხართანაა ატანილი. პროფესორ ა. აფაქიძის აზრით, ეს ფირფიტა განეკუთვნება ჩვ. წ. აღ-მდე IV-III საუკუნეს (იხ. სურათი). განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს თავსაბურავი - დოლბანდის მსგავსი მაღალი ქუდი. მსგავსი ქუდის თავსაბურავი აღმოჩენილია ასევე სამთავროს გათხრების დროსაც. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ეს რიტუალური თავსაბურავია. ქართველი მეცნიერები ვარაუდობენ, რომ მცხეთის რაიონში (სამთავრო, ბაგინეთი) სრულდებოდა რიტუალური ფერხული, რომელსაც ქალები ასრულებდნენ. ამ დროს ქალებს მაღალი თავსაბურავები ეხურათ.

"რაც შეეხება ზემოთ არნიშნულ ქალის მაღალ თავსაბურავს, მას გათხოვილი ქალები ან დანიშნული ქალიშვილები ატარებდნენ. მეცნიერ რ. ხარაძის მტკიცებით, სწორედ თავსაბურავი წარმოადგენდა ქალის გათხოვების (ქორწინების) სიმბოლოს. "შემოსაკრავს თავსაბურავად იხურავდნენ თავზე. იგი შუბლს წარბებამდე ფარავდა. შემოსახვევის ჩამოშვებული



ვერცხლის თასზე გამოკვეთილი შვიდი მოცეკვავე ქალის ფიგურა.



ქართველ ქალთა რიტუალური ფერხული (რაჭა).
ნახატი ნ. ბრაილაშვილისა.

ბოლოები, შემოეხვეოდა ნიკაპს და ყურის ბიბილოებს მეორეჯერ, ხოლო შემდეგ იკვრებოდა კვანძში. დასაშვებია, რომ ეს იყო საკულტო რიტუალისათვის შესაბამისი დოლბანდის შეკვრის მეთოდი. ნაყოფიერების ქალღმერთისადმი მიძღვნილ საკულტო რიტუალს გათხოვილი ქალები ამნაირად შეკრული თავსაბურავებით ასრულებდნენ".[168]

ამ ვერცხლის თასზე, რომელსაც აღწერს ინგლისელი ხელოვნებათმცოდნე ა. პოპი, გამოსახულია შვიდი მოცეკვავე ქალის ფიგურა საკულტო ფერხულის შესრულებისას[169] (იხ. სურათი). განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ზედა მარცხენა ფიგურა, სადაც მოცეკვავე ქალი თავდაყირა დგას. "ასეთი აკრობატული ილეთები შეადგენდნენ ნაყოფიერების ქალღმერთისადმი მიძღვნილი საკულტო რიტუალის ელემენტს. თუ დავაკვირდებით სამ დანარჩენ ფიგურას, ადვილად ვიპოვით საერთო თვისებებს მცხეთასთან ნაპოვნი ქალის ფიგურების გამოსახულებებთან. მათი ფეხებისა და ხელების მდგომარეობა იმაზე მიგვანიშნებს, რომ ნაჩვენებია ფერხული. ყველას მარჯვენა ხელი აწეული აქვს და იდაყვში მოხრილი, ხოლო მარცხენა ჩამოშვებული თეძოსთან".[170]

ნადირობის, მიწის დამუშავების, საბრძოლო შერკინებისა და სხვა საქმიანობის დროს სრულდებოდა ღვთაებისადმი მიძღვნილი ფერხული. ფერხულებს ჰქონდა ორმაგი მნიშვნელობა: გასართობი და სადღესასწაულო-საკულტო. მაგალითად, კახეთსა და სხვა რეგიონებში, ძალიან საპატიო იყო მთვარის ტაძარში მთვარისადმი მიძღვნილი რიტუალი, რომელიც სააღმდგომოდ... ალსებმთვარეობის დროს ტარდებოდა. "ამ დღეს კახეთის მცხოვრებლები ასრულებდნენ რამდენიმე აღთქმას: ფეხშიშველები, სანთლებით ხელში, ანდა მუხლებზე მძიმე ჯაჭვებით გარს უვლიდნენ ტაძარს, ხოლო ქალები ფერხულით მისდევდნენ მათ".[171]

ზოგიერთი ქალი თავის სიცოცხლეს უძღვნიდა ნაყოფიერების ქალღმერთს (ქრისტიანობის პერიოდში კი წმ. გიორგი "თეთრი გიორგის მონები"). ისინი ტაძართან ცხოვრობდნენ და ასრულებდნენ ღვთაებასა და მორწმუნეებს შორის შუამავლის როლს. ისინი ლოცვისას გარს უვლიდნენ ტაძარს საათის ისრის მიმართულებით.[172]

ქართლში ძალიან საპატივსაცემო დღესასწაულს წარმოადგენდა გერისთობა. აქ ცხოველთა შეწირვის შემდეგ იწყებოდა საბრძოლო ფერხული, რომელშიც უამრავი ადამიანი იღებდა მონაწილეობას. ამ ფერხულის დროს არჩეული ახალგაზრდა გოგონა მუხლებზე იწყებდა ხოხვას, რის შემდეგაც დაკრუნჩხული ძირს ეცემოდა და წინასწარმეტყველების ქადაგობას იწყებდა.

ვ. ბარდაველიძე თავის წიგნში აღწერს ლაშარობის დღესასწაულს. ლაშარობის დღეს სამლოცველოში შესვლისას თეთრ ტანსაცმელს იცვამდნენ. მლოცველები თეთრ ტანსაცმელს სადმრთოდ, წმინდათაწმინდად თვლიდნენ და დღესასწაულის შემდეგ ხის ტოტებზე ტოვებდნენ ხოლმე. აქაც ფერხულში თეთრად ნაცმული ჭაბუკები და ქალიშვილები ცეკვავდნენ. შემდეგ ქალი მიწაზე ეცემოდა, იწყებდა მუხლებზე სიარულს და წინასწარმეტყველებას. შემდეგ იგი დგებოდა დახუჭული თვალებით და ფართოდ ხელებგაშლილი წრეს შემოუვლიდა. ტრანსიდან გამოსვლის შემდეგ იგი ძალიან დიდხანს ცეკვავდა".[173]

ძველ ქართულ სახელმწიფო ატრიბუტებზე აღიბეჭდა ქალთა საკულტო რიტუალების გამომხატველი სცენები და ფიგურები. მაგალითად, უძველეს კოლხურ მონეტაზე (ძვ. წ. აღ-მდე VI-II საუკუნე). მკაფიოდ ჩანს მუხლებზე მოსიარულე გაშიშვლებული ქალის ხარისთავიანი ფიგურა. ამ შემთხვევაში, ხარი მდინარის კულტს აღნიშნავს. ხარისთავიანი გამოსახულება ადამიანისა ძალიან ხშირია და ყველგან მდინარის კულტს ნაყოფიერებას აღნიშნავს.[174] (იხ. სურათი).

ქალები საბრძოლო-რიტუალურ ფერხულებს ეპიდემიის, გვალვებისა და მტრის შემოსევის დროსაც ასრულებდნენ. გვალვების დროს ასრულებდნენ "ლაზარობას", რომელიც



ქალაგები.
ნახატი ნ. ბრაილაშვილისა.

საბრძოლო ფერხულსაც წარმოადგენდა. "გოგოები ამზადებდნენ თოჯინა ლაზარეს, კაბას აცმევდნენ და იწყებდნენ სიმღერებსა და ფერხულს, რომლის დროს ზეცას წვიმას ევედრებოდნენ. თოჯინას ამ დროს წყალს ასხამდნენ. საქართველოს სხვა კუთხეებში "ლაზარობას" "გონჯაობასაც" ეწოდებოდნენ, ხოლო თოჯინას - "წვიმის თოჯინას".[175]

ქალთა სიმღერას თან ახლდა რიტუალური, ძალიან ნელი და ნარნარა ფერხული. ქალები სახეს იმურავდნენ თითქოს და ნიღაბს იკეთებდნენ. გავიხსენოთ გარდასახვის ის სახე ფორმა, რომელიც ნიღბების საშუალებით ხორციელდებოდა და რომელსაც აღნიშნავდა რუსი მეცნიერი ვ. ავდეევი. ბერიკაობაში ნიღბების გამოყენება, ანუ შენიღბვა წარმოადგენდა ტოტემური ფერხულის გამოძახილს, მეორე მხრივ, კი იმ რიტუალურ წეს-ჩვეულებათა ატრიბუტს, რომელიც ბუნების მწარმოებელ ძალთა კულტს უძღვნებოდა. "ლაზარობის" დროს ეს ორი ფორმა ერთმანეთს ერწყმოდა. "ლაზარობაში" შენიღბვა ემსახურებოდა კიდევ ერთ მიზანს ქალიშვილები ინიღბავდნენ თავიანთ სახეს, რათა "ცნობილნი არ ყოფილიყვნენ".[176]

დასავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში გვალვის დროს სახნავ მიწებს სპეციალურად თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილი ქალები შემოივლიდნენ ხოლმე და ასრულებდნენ რიტუალურ საბრძოლო ფერხულს და ლოცვებს. "თეთრი ტანსაცმელი რიტუალის სიძველეზე მიუთითებს და მასში თეატრალური ელემენტები იყო ჩადებული. რიტუალის დროს სრულდებოდა ფერხული "მრავალთ მობმით რიკვა".[177]

მთიელ ქართველებს გააჩნდათ შემდეგი წეს-ჩვეულება: წვიმის წამოსვლისთვის მიძღვნილი წამოძახილებისა და ლოცვის დროს ქალები და ქალიშვილები "მდინარის ხვნას", ანუ მდინარის ძირზე გუთნის კვალის წევას იწყებდნენ. "შესაძლოა, უძველესი ტერმინი "გუთნის დედა" ამ მომენტსაც ასახავდა".[178]

ლ. გვარამაძის აზრით, ზოგი წინაქრისტიანული ტრადიცია ქრისტიანულ პერიოდშიც შეინარჩუნა ხალხმა და საეკლესიო რიტუალებად აქცია ისინი.

პირველ რიგში საკულტო რიტუალებიდან ჩამოყალიბდა მრავალი ცეკვა რომელსაც დღეს ასრულებენ ქართველი ქალები. აი, მაგალითად, "სამაია" (იხ. სურათები). "სამაია" ქართული ტერმინია და სამის მიერ საბრძოლო ცეკვის შესრულებას ნიშნავს".[179]

სამაია ძეობის დღესასწაულზე სრულდებოდა. ძეობის მონაწილენი, გადაჭდობილი ხელებით, ცეკვითა და სიმღერით შედიოდნენ იმ შენობაში, სადაც იწვა ახალშობილის დედა. საერთოდ, ძეობის რიტუალური ცეკვა ღამით სრულდებოდა. "მოცეკვავენი სიმღერაში მზეს მიუწოდებდნენ, რომ შემოსულიყო სახლში: "მზე შინა და მზე გარეთა, მზევ შინ შემოდიო". მთვარე მამაკაცის საწყისად ითვლებოდა, მზე კი ქალისა. "სამაიას" მოცეკვავე ქალებს თავზე ნიღბები ეკეთათ.[180]

"სამაიაში" მოცეკვავეთა ხელები უსიტყვოდ უსვამენ ხაზს კომპოზიციურ ცენტრს - წარმოსახვით ვერტიკალს, რომელიც ზეციურის, მიწიერისა და ქვესკნელის შემაერთებელი ღვთაებრივი ღერძის ალეგორიად წარმოგვიდგება. ეს არის წამიერი ეფემერული გაელვება იმ მითიური, ძლიერი და სამართლიანი საქართველოსი, რომელთანაც ქართველებს ფარული ნოსტალგია აკავშირებთ".[181]

"სამაია" ეზოთერული და ენერგო კუთხით განასახიერებდა სამ კოსმიურ ძალის ერთიერთმიმართებას და ერთიერთდამოკიდებულების სიდიადეს. ერთი მოცეკვავე განასახიერებდა სამყაროს უნივერსალურ ძალას, მეორე – კოსმიურ ძალას, ხოლო მესამე გამოხატავდა მათი ნაყოფის – ადამიანის შიდა ენერგიას (იხ. სურათი).



საბრძოლო ხელის ნიღბული მეხს ქალთა ქმედეს ცეკვა "მძიმურაში". ამ ცეკვის თემა შემდეგია: მამაკაცები საბრძოლველად გაემგზავრნენ. დარჩნენ მხოლოდ ქალები. ისინი ქალღმერთის მტერზე გამარჯვებას ევედრებიან (იხ. სურათი). შემდგარდება ყმაწვილი მეომარი, რომელიც ქართველთა გმირობას ამცნობს ყველას და საბრძოლო ფერხული იცვლება საზეიმო ფერხულით. ბოლოს გამოირკვევა, რომ შიკრიკი (მახარობელი) მეომარი ქალი ყოფილა, რომელიც მამაკაცებთან, ძმასთან და შეყვარებულთან ერთად მშობლიურ მიწას იცავდა[152] (ავტორისეული თარგმანი). ეს ცეკვა ძალიან წააგავს ცეკვა "ხორუმს". საქართველოს ზოგ რაიონში ხშირად ქალები ასრულებდნენ ხორუმს – მაგალითად, აჭარაში, ხულოს რაიონში – ქორწილების დროს.

გონჯაობის (ლაზარობის) "წვიმის თოჯინა" ქართლიდან.

ქალთა საბრძოლო ცეკვები აგრეთვე შეიცავდა რიგულ მოძრაობებსაც. ს.ს. ორბელიანი თავის ლექსიკონში იძლევა სიტყვა "ხუნტრუცს", რომელიც ქალებისათვის განკუთვნილ ვარჯიშებს აღნიშნავდა. "ხუნტრუცი არის ქალთამიერი ფერხულვე ძლიერსახე მათისა". ხუნტრუცი ჰქონდა ტანვარჯიშული კომპლექსის "ფერხულის" მსგავსად იყო აგებული, მაგრამ ოდნავ გამარტივებული. "ძველ საქართველოში ქალიშვილები იწვრთნებოდნენ საბრძოლო ხელოვნებებში ვაჟებთან ერთად"[153]

ქალები ცეკვავდნენ სქარი როკვის მსგავსი ტექნიკით – გოგმანით. გოგვა ფრინველთა სვლაა. აქედანაა გოგმანი – სვლა მსუბუქი სტომებით, აფრენებით, გამოდის, რომ გოგმანი წარმოადგენდა ქალთა გრაციოზულ ცეკვას მსუბუქი სტომებით.

ქართულ მითოლოგიაში გვხვდება ფრინველთა ადმერთების ფაქტებიც. ძველ სვანთა გადმოცემით ნადირობის ქალღმერთი დალის თავისი მაცნე გააჩნდა – ფრინველი გოგბედნიერი, რომელსაც ხევში თაყვანს სცემდნენ.[154]

როცა ქართველ ქალთა ცეკვებს ვეხებით, უნდა გავიხსენოთ საქვეყნოდ ცნობილი მსახიობის – მოისეევის სიტყვა, რომელიც მან წარმოთქვა ქართული ცეკვების ნახვის შემდეგ მოსკოვში 1937 წელს: "ქართველ ქალთა ცეკვის სირბილე და სიმსუბუქე შეიძლება შევადაროთ მხოლოდ ფრინველთა ფრენას – არ იგრძნობა მათი იატაკთან შეხება, თითქოს მათ უხილავი ფრთები გაშლიათ; ხოლო ხელები? ეს მოძრაობათა სიმფონიის წარმოდგენს!"



ცეკვა "სამაია".

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართველ ქალს ევალებოდა მომავალ მებრძოლთა და საერთოდ, სნეულთა ფიზიკური და სულიერი ჯანმრთელობის უზრუნველყოფა.

პირველ რიგში გავიხსენოთ ის ფაქტი, რომ ტერმინ "მედიცინას" აკავშირებენ ქართველი ქალის, კოლხეთის მეფის აიეტის მედეას სახელთან, რომელიც ძლიერ განსწავლული იყო სამკურნალო ხელოვნებაში, რაც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ.

ქალთა სამედიცინო რიტუალები სრულდებოდა ეპიდემიური დაავადებების დროს. არსებობს წყაროები (თ. ალიბეგაშვილი, ჟ. ბარდაველიძე და სხვა), რომლებიც ასახავენ ამ რიტუალებს.

ზოგიერთი სნეულების განკურნება შიშის ზარს სცემდა ხალხს, რადგან სწრაფად ვრცელდებოდა და აცარიელებდა სოფლებს. ძველ ქართველებში ავადმყოფობა

ღვთისაგან მოვლენილ სასჯელად აღიქმებოდა იმ ცოდვების გამო, რომელნიც ადამიანს ჩაედინა ზოგადად ქვეყნის თუ კონკრეტული პიროვნების წინაშე. ამ დროს ქართველი ქალები ასრულებდნენ ავადმყოფთა განკურნების სარიტუალო შელოცვებსა და იდუმალი ტიპის ცეკვებს. "არსებობს შელოცვები ქვეწარმავლის განსადევნად ან მისი ნაკბენის მოსარჩენად; კუჭის აშლილობის, ნაღრძობის, სურდოს, ციების, ყრუხლის ან თვალის დაავადების, შაკიკის, შემსივებულის განსაკურნებლად, შვილის გაჩენის, ცეცხლის საწინააღმდეგო შელოცვები და სხვა...".



საბრძოლო ცეკვა-ფერხული "ძაბრა".

ძველ საქართველოში თვლიდნენ, რომ ჩუტყვავილისა და წითელას დროს ავადმყოფში "ბატონები" სახლდებოდნენ; სწორედ ხალხს სჯეროდა, რომ ბატონები ვერ იტანდნენ ანთებულ ნახშირსა და ადუღებულ წყალს, ამიტომაც იქ, სადაც ავადმყოფი იწვა, სადილს არ ამზადებდნენ და არ რეცხავდნენ თეთრეულს, ფენდნენ ჭრელ ნაჭრებს, ხოლო ფანჯრებზე წითელი ფერის ფარდებს კიდებდნენ. ავადმყოფის საწოლის ძირში ქალები მღეროდნენ საკურნალო სიმღერებს, როგორიცაა "იავნანა", "ბატონებო" ან "საბოდიშო" და სრულდებოდა საკურნალო ფერხული. "სიმღერებიანი საკურნალო ფერხული ძირი ხშირად სრულდებოდა ქართლსა და კახეთში, ასევე რაჭის რაიონში". მეცნიერების აზრით, ეს ფერხულები აგებული იყო ნელ, ნარნარ, მდორე მოძრაობებზე, რაც იწვევდა შემსრულებელთა და ასევე ავადმყოფის მოდუნებასა და შიდა მდგომარეობის ჰარმონიას. "ძალიან ძნელია განვსაზღვროთ ამ ფერხულების საშუალებით მიღებული საკურნალო ეფექტები, მაგრამ ცნობილია, რომ სნეულებაზე მსგავსი ზემოქმედების მეთოდები აპრობირებული არაა: თვისის იდუმალი, ნახევრად დაბინდებული გარემო, მსუბუქი საბრძოლო ფერხულის მოძრაობები, სასიამოვნო მელოდიის ბგერები ავადმყოფზე დამამშვიდებლად მოქმედებდა და იკურნებოდა თანდათან" (ავტორისეული თარგმანი).

ეპიდემიურ სნეულებების დროს რიტუალებში შენარჩუნებული იყო მოსავლიანობისა და მცენარეულობის ღვთაების ქალღმერთის **ნანას კულტი**, რადგანაც მისი სახე იავნანაში ასოციაციით უკავშირდებოდა საგაზაფხულო ყვავილობას, სიმღერაში ისმოდა ყვავილთა სახელები, მაგალითად – "იავნანა, ვარდო ნანა..." (ავტორისეული თარგმანი).

თუ გადავხედავთ თანამედროვე მედიცინის საკურნალო მეთოდებს, დავინახავთ რომ ბავშვთა და, ასევე, მძიმე სნეულებების მკურნალობაში ფართოდ გამოიყენება მუსიკა, ცეკვები (ფერხულები). ქართველი და უცხოელი მეცნიერების, პროფესორების: კ. მინდაძის, ს. კაიმანის, ე. ნიკოლაევის, ბ. მოშკინის მკურნალობის მეთოდები ზუსტად იმგვარი ხასიათისაა, რაც ახასიათებს ძველ ქართველთა საკურნალო ტრადიციის სიღრმეს. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ კავკასიელ ამორძალთა ფერხულების ნელი, ნარნარი მოძრაობები (იხ. სურათი) სიმღერების თანხლებით ძალიან წააგავს უძველეს ჩინურ საბრძოლო ხელოვნებას "თაი-ძი ცუანს", რომლის დასაწყისი ეტაპები, მისი ნელი, ნარნარი მოძრაობები ადამიანის ფიზიკურ, სულიერ და გონებრივ გაჯანსაღებას ემსახურება. ეს ვარჯიშები შესაბამისი მუსიკით სრულდება და იწვევს ადამიანის ჰარმონიულ შერწყმას მიწასა და ცასთან. ნელი მოძრაობები ამშვიდებს სულს, ნერვულ სისტემას, ხსნის ენერგოარხებს და აჯანსაღებს ადამიანს. ეს ენერგია შემდგომ გამოიყენება საბრძოლო ხელოვნებაში თავდაცვისა და შეტევისათვის.

ასე რომ, კავკასიელი ამორძალების სარიტუალო ცეკვები და საბრძოლო ფერხულები საბრძოლო ხელოვნების შემადგენელი ნაწილი იყო. მათმა სპეციფიკურმა საბრძოლო ელემენტებმა, მხოლოდ ქალისათვის დამახასიათებელმა ნიუანსებმა და ტექნიკამ გაალამაზა და დახვეწა ქართული საბრძოლო ცეკვები და ფერხულები.

ვამთავრებთ რა საუბარს ბერიკათა საბრძოლო სტილზე, დავაზუსტოთ თუ რა მოუვიდა ბერიკაობის ტრადიციას ჩვენში. იცის თუ არა ჩვენმა თაობამ მის შესახებ? ან უფრთხილდება თუ არა იგი მას?

სასიამოვნო ფაქტია ის, რომ 1995 წელს საგარეჯოს რაიონის სოფელ ჩაილურში გაიმართა ბერიკაობის დღესასწაული. სულ ახალგაზრდა ბიჭები, ბერიკებად გადაცმულნი, სხვადასხვა ცხოველების ნიღბებით იყვნენ მორთულნი. როგორც პრესიდან ჩანს, "ბერიკაობას" დიდი ყურადღება დაუმსახურებია და როდესაც დაღლილმა ახალგაზრდა "ბერიკებმა" ჩაათავეს ბერიკაობა და დატოვეს იქაურობა, ხალხი კიდევ დიდხანს არ დაშლილა, გაიმართა ცეკვა-თამაში, ჭიდაობა...

მოგვიანებით, კორესპონდენტი "ბერიკებს" გაესაუბრა. აი, რა უპასუხეს მათ: "...შეიძლება "ბერიკაობა" უკეთესად ჩატარებულიყო... მაგრამ მთავარია, ხალხმა ტრადიცია არ დაკარგოს. ჩვენს ტრადიციებში ხომ ჩვენი ქართველობაა. ასეთ დღესასწაულებზე კი ჩვენი ვაჟკაცობა, გამბედაობა ვლინდება. ჩვენი ვალია მომავალ თაობას გადავცეთ ეს ყველაფერი...".

რა შეიძლება ვურჩიოთ ახალგაზრდებს? "...არ არსებობს საქართველოში კუთხე, ქალაქი, სოფელი, თავისი კოლორიტი და ტრადიციები რომ არა ჰქონდეს. მიდით მოხუცებთან, ესაუბრეთ, გაიხსენეთ წარსული, მოაგროვეთ ყველაფერი, რაც ახალგაზრდობაში სმენიათ და უნახავთ, რასაც მათი წინაპრები ჰყვებოდნენ. აღადგინეთ ტრადიციები, რომელთა ენითაც ჩვენი ისტორია ღაღადებს... წინაპართა ტრადიციებში ქართული სული ტრიალებს. ნუ დავკარგავთ მათ".[190]

ძნელია, არ დაეთანხმო ნათლად, გასაგებად და მკაფიოდ ახსნილ ამ მოწოდებას. დაე, გაიგონოს იგი ერმა და აღადგინოს ეს უძველესი საბრძოლო ხელოვნებებისა და კულტურის საგანძური...

# ქაკი მესხიძე

## დიდებულთა საბრძოლო სტილი



*„ყველგან და ყოველთვის ერის ძალა ინტელიგენცია ყოფილა და იქნება. იგი ბელადია, სარდალია, და ხომ მოგეხსენებათ, სარდლის ნიჭსა და მოხერხებაზეა დამოკიდებული გამარჯვება, მტრის დამარცხება“.*

*ილია*

# "დიდო დედაო, ცაო მშვენიერო"

დიდო დედაო, ცაო მშვენიერო,
მომცველო ყოველივესი,
შემქმნელო და დამბადებელო,
უსასრულო სამყაროში დაუტეველო,
უმცირესში ნატეულო,
უწონ-უმანძილო, ცარიელო და სავსევ,
უჟამო, უძრაო, წყვდიადო ცაო,
სივრცეში, დროში ნათლით გამოვლენილო,
ერთო და ერითა ერთობაო
- მომეც უფლება უფლებათა,
დაერნე მართალი ჩემს თავუფალთან,
და სამართლიანი სხვათა მიმართ,
რათა დავიცვა ცის საწმინდე
და ვიყო თავისუფალი ვითარცა შენ
ცაო თავნებაო.

ეს უძველესი ქართული ლოცვა - "ცის სადიდებელი" ლომისის ხევისბერისაგან ჩაუწერიათ. ჩაუფიქრდით რა ლაკონურად და სრულადაა გადმოცემული ჩვენი წინაპრების კოსმოგონიური აზროვნება, სამყაროს შემეცნების საფუძვლები და ქცევის კოდექსიც კი. არ შეიძლება, ამის გამგონე ქართველი რაღაც განსაკუთრებული სულიერებით არ აღივსოს, და არ მოსწყურდეს თავისუფლება.

თავისუფლების მრავალგვარი გაგება არსებობს, მაგრამ ყველაზე უმთავრესი პირობა თავისუფლებისა ერთადერთია: ადამიანი ვერ იქნება თავისუფალი ვერანაირი გაგებით, თუკი შინაგანად არ არის თავისუფალი.

თავისუფლების მიღწევა ადამიანის ცხოვრების მიზანი, საკუთარ თავთან ბრძოლაა; ამ მიზნის მიღწევის საშუალება სულიერი ცოდნის მიღების მწყობრი სისტემაა. ყველა საბრძოლო ხელოვნება, სულიერება და ცოდნა გამარჯვებისთვის აუცილებელი პირობაა და ეს გამარჯვებაც, პირველ რიგში, საკუთარ თავზე გამარჯვებას ნიშნავს. ეს უნდა იცოდეს ყველა თავისუფლების მძებნელმა.

სახელმწიფო განწირულია დასაღუპად, თუკი ის არ შედგება შინაგანად თავისუფალი მოქალაქეებისაგან. ეროვნული სახელმწიფო ის მექანიზმია, რომელიც ეროვნული სულიერი ფუნდამენტის, ერთიანი ეროვნული მსოფლმხედველობრივი საფუძვლის საშუალებით ერთად შეკრავს ერსაც და ბერსაც, უზრუნველყოფს თავისუფალ მოქალაქეთა ცხოვრებას.

იყოს სახელმწიფო ბრძოლისუნარიანი - ნიშნავს, რომ მოქალაქეები შინაგანად მზად იყვნენ საბრძოლველად. საქართველოსთვის ეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან ერთი ღირსეული ადამიანის თქმისა არ იყოს, "საქართველოში, თუ საჭირო შეიქმნა, ბუჩქიც კი ქვას უნდა ისროდეს".

ჩვენს წინაშე წარმოდგენილი ნაშრომი უდაოდ ეროვნული და ქრისტიანული მადლის ზეგავლენით არის შექმნილი. დასაფასებელია მეცნიერული კეთილსინდისიერება ავტორისა, რომელსაც ათობით ისტორიული პირველწყარო თუ ნაშრომი აქვს გადამუშავებული ჭეშმარიტების ძებნაში. მისასალმებელია მისი მცდელობა რაინდული სულის, ეროვნული საბრძოლო ხელოვნების აღორძინებისა, რასაც ყველგან და ყოველთვის საფუძვლად უდევს შინაგანი, ენერგეტიკული სისტემა. მის ერთ-ერთ განშტოებას წარმოადგენს წმინდა მხედრების სტილის ქართული, მართლმადიდებლური მიმდინარეობა. ამ თემას დღემდე არავის შეჭიდებია, ამიტომაც ღრმა პატივისცემას იმსახურებს ავტორის თავდადება და სიმამაცე.

ყოველივე ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომი დაწერილია მარტივი და გასაგები ენით, წარმატებით არის მიგნებული და გავლებული პარალელები ფილოსოფიურ მოძღვრებათა საგანძურს მიკუთვნებულ მემკვიდრეობასთან. გათვითცნობიერებულ მკითხველს განუმტკიცდება აზრი, რომ მონდომების შემთხვევაში, საბრძოლო ხელოვნებით გატაცებულ მსურველს შინაგანი განვითარებისათვის ძლიერი სულიერი იმპულსი

და სრულყოფილი თეორიული ცოდნა შეუძლია მიიღოს ქართველ მართლმადიდებელ მამათა სულიერი მემკვიდრეობიდან.

ნაშრომი უდაოდ მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ქართული საბრძოლო ხელოვნების აღორძინების საქმეში.

*საქართველოს თავდაცვის სამინისტროს*
*მთავარი სამხედრო ინსპექციის უფროსი,*
*პოლკოვნიკი,*
*გიორგი გოგაშვილი*

# შალვა ახალციხელი

ქართველთა ერთგული გმირი, შალვა ახალციხელი, თამარ მეფის ვეზირი იყო - ჯერ მეჭურჭლეთუხუცესი, შემდეგ მანდატურთუხუცესი - ერისთავთერისთავის კეთილშობილი საგვარეულოდან. შალვას და მის ძმას ივანეს თამარ მეფემ პირადი ღვაწლისათვის ახალციხე უბოძა და ამის შემდეგ ისინი ახალციხელებად იწოდებიან. "შალვა და ივანე, სახელოვანნი იგი მებრძოლნი, ახოვან იყვნენ და წყობათა შინა სახელოვანნი", - ასე მოიხსენიებს ძმებს "ქართლის ცხოვრება".

საქართველოს ლაშქრის მოწინავე, ანუ წინამბრძოლად ტრადიციულად, მესხი თორელნი და ახალციხელნი იყვნენ. შალვა და ივანე თამარის ჯარის წინამბრძოლები იყვნენ და ამ პერიოდში არ ყოფილა თითქმის არცერთი გამოჩენილი ბრძოლა, რომ ქართველი მხედრობის სათავეში ძმები არ ყოფილიყვნენ.

განსაკუთრებით გამოჩენილი იყო შალვას სახელი: "მხნე და ძლიერი რაინდობით და მშვილდოსნობით"; იგი ერთნაირად საყვარელი გმირი იყო საქართველოში "ყოველთა თანა". ეს სწორუპოვარი ვაჟკაცი ქართველებისაგან გარდახდილი ორი დიდი ომის - შამქორისა და ბასიანის გამარჯვების ხელმძღვანელია.

შამქორის ომში მან უმაგალითო ვაჟკაცობა გამოიჩინა - მტრის გარემოცვიდან ხელთ იგდო დროშა, რომელიც ხალიფამ თავის ერთგულებს უწინამძღვრა, როგორც ძლევამოსილების ნიშანი. ეს დროშა შემდეგში თამარ მეფემ გელათში ხახულის ღვთისმშობელს შესწირა.

შალვა ახალციხელი, სარგის თმოგველთან ერთად, სარდლობდა ქართველთა ლაშქრის კარისსათვის (ყარსისათვის) ბრძოლაში XIII საუკუნის დასაწყისში; საარაკო იყო მისი თავდადება ბასიანის ომში - ერთად დაბანაკებულ [illegible] ლაშქრის ქართველთა მხედრობა მოულოდნელად დაესხა თავს. ქართველთა ლაშქარი სამ ნაწილად იყო დაყოფილი. ქართველებს წინამძღოლობდნენ შალვა ახალციხელი, ამირსპასალარი ზაქარია მხარგრძელი და ივანე თორელი. ორი ფრთით მოჰყვებოდნენ ერთი მხრივ აფხაზთა და იბერთა ლაშქარი, ხოლო მეორე მხრივ - ქართლელები და ჰერ-კახნი.

ქართველთა წინამძღოლთა ცხენები დაეხოცეს და ქვეითად დარჩენილებმა განაგრძეს ომი. მტრები უკვე ზეიმობდნენ წარმატებას, რომ მარჯვნიდან და მარცხნიდან ქართველი ლაშქარი მოიჭრა. ქვეითებიც ამხედრდნენ და გამოედევნენ მტერს - სთიბდნენ, სდევნიდნენ და განაბნევდნენ.

თამარის მეფობის ბოლო წლებში შალვა ახალციხელმა თურქებისაგან გაათავისუფლა [illegible] სამხრეთ საქართველოში. ქვეყნის კიდით-კიდემდე გრგვინავდა შალვა ახალციხელის სახელი.


წმინდა მოწამე შალვა ახალციხელი.

შალვას ქება-დიდებამ, როგორც ჩანს, შური აღძრა ივანე ათაბაგს, რომელიც ყივჩაღებთან დამარცხებულიყო ერთხელ (ხოლო იმავე ყივჩაღებთან ბრძოლაში წარმატება ერგო შალვა ახალციხელს). ამან გადამწყვეტი როლი შეასრულა საქართველოში შემოსულ ჯალალედინის მოლაშქრეთა წინააღმდეგ გარნისის ომის მსვლელობაში.

ბრძოლაში ქართველებს წინ მიუძღოდნენ ძმები შალვა და ივანე ახალციხელები. ისინი მამაცურად ეკვეთნენ მტერს, მაგრამ, მოწინააღმდეგეთა სიმრავლის გამო, შალვამ მაშინვე აცნობა ივანე ათაბაგს, მთავარი ძალები შემოეშველებინათ; თვითონ ისევ აგრძელებდნენ ბრძოლას გააფთრებით. მოსრნეს მრავალი სპარსი, მაგრამ მაშველი არ ჩანდა. შალვამ მეორეჯერ გააგზავნა შიკრიკი, მაგრამ მაშველი კიდევ არ გამოჩნდა; ძმებს

ცხენები მოუკლეს და ისინი ახლა ქვეითად იბრძოდნენ გაშმაგებით მახვილით, შუბით და თოფებით, მაგრამ მეხამე ხმობაზეც არ მოვიდა მაშველი ძალა. ომში დაიღუპა ოცა-ნი. ხოლო მეორე მის [illegible] შალვა თავის თავს არა [illegible] დღესათი ამოწყვეტილ თავის სწორებზე დარჩენილა.

ერთხელ [illegible] ჯალალედდინმა შალვა ახალციხელის შეპყრობით, რადგან იქვე ქონდა, რომ [illegible] სახელს დაიმსახურა საქართველოს დაპყრობისას. [illegible] მა-მა. წელი ჯალალედდინი საქართველო-ის [illegible] და [illegible] გავიდა, რომ [illegible] შალვა ახალციხელი თავისი წერილებს [illegible] თავისასთვის. [illegible]



ქართველი თავადი სამხედრო ტანსაცმელში.
ნახატი გ. გაგარინისა.

შალვა ახალციხელმა უშიშრად მიუგო, რომ [illegible] ჯალალედდინი მისი [illegible] თუ [illegible] იგი აღუშიშრად [illegible] საკუთარ სასულიერს, რათა დიდება ყოფილა.

ჯალალედდინი განრისხდა და ბრძანა, გაეშიშვლებინათ შალვა და უწყალოდ ეცემათ. მტარვალის ბრძანება კი შესრულდა, მაგრამ ამან ვერ შეცვალა ქართველი ვაჟკაცის სულისკვეთება. შალვა ამ დროს ხარობდა, რადგან მაცხოვრის სახელისათვის ეწამებოდა და ღვთის ერთგულების ვერდამთმობმა მასვე შესწირა საკუთარი სიცოცხლე.

მადლიერმა ქართველმა ხალხმა სიმღერა შექმნა თავის დიდებულ გმირზე, რომელსაც დღემდე მღერიან ერთგული თავისუფლების დროშის ქვეშ დარაზმული ქართველები:

"შალვავ, შენი შავი ცხენა, შალვავო
სისხლში გაესხამება, შალვავო...
ყმაწვილები გიხლებოდა, შალვავო...
მტერზე მისვლა გიხდებოდა, შალვავო...
მაშველი არ გყოლებოდა, შალვავო..."[19]

# რაინდობა - ეზოთერული ახსნით

*"...გავუძელით საბერძნეთს, რომსა, მონღოლებს, არაბებს, ოსმალ-თურქებს, სპარსელებს, რჯულიანს და ურჯულოს და დროშა ქართველებისა, შუბის წვერით, ისრით და ტყვიით დაულეწელი, ჩვენს სისხლში ამოვლებული, ხელში შეგვირჩინეთ, არავის წაართმევინეთ, არავის დაანებეთ, არავის შეაგინებინეთ. ცოდვა არ არის, ეს დროშა ეხლა ჩრჩილმა შეჭამოს, თაგვმა დაგვიხრას!... დრო-ჟამი ამას გვიქადის."*

*ილია*

ილია ჭავჭავაძის ეს სიტყვები დღესაც ისევე მნიშვნელოვანია, როგორც მაშინ, მე-20 საუკუნის დასაწყისში.

როგორც ადრე აღვნიშნეთ, საქართველოს წინა ანტიკური ხანიდან დაწყებული, ერთმორწმუნე რუსეთთან შეერთებამდე, მიუხედავად მისი მრავალჯერ დროებითი დაპყრობისა, მაინც შენარჩუნებული ჰქონდა სახელმწიფოებრიობა, ძირითადი სტრუქტურული აგებულება — ენა, მამული, სარწმუნოება, მეფე, თავად-აზნაურობა, ეროვნული ტრადიციები და წეს-ჩვეულებები, ფოლკლორი, და რაც მთავარია, ერის საბრძოლო სული, მისი საბრძოლო ხელოვნებები. ვერავინ, ვერც ერთმა დამპყრობელმა ვერ შეძლო, აეკრძალა ქართველი კაცისათვის ქართულ ენაზე საუბარი და წერა-კითხვა, ქართულად ჭიდაობა თუ ფარიკაობა, ბერიკაობისა თუ ყეენობის მოწყობა, მშვენიერი ქართული სიმღერებითა და ცეკვებით მოლხენა, დიდებული ქართული ღვინოების სმა და ტრაპეზი...

საქართველოში, როგორც კლასიკური ფეოდალიზმის სახელმწიფოში, თავად-აზნაურობას სრულიად გარკვეული, სახელმწიფოს არსებობისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული. სწორედ ეს პროფესიულ მეომართა კასტა, გამობრძმედილ მებრძოლთა ელიტა, საუკუნეების მანძილზე იყო სახელგანთქმული ქართული ლაშქრის ბირთვი. საინტერესოა, გავიხსენოთ თუ როგორი აზრისაა 1715-1718 წწ. ირანში მყოფი რუსეთის ელჩი არტემი ვოლინსკი ქართველ დიდებულთა საბრძოლო თვისებების შესახებ: "მთელ ირანში საუკეთესო სამხედრო ძალად ქართველთა ჯარი მიაჩნიათ. ქართველები ნამდვილი მეომრები არიან. მე გავიგე, რომ საქართველოში ლაშქრის შეკრება 15-20 ათასამდე შეიძლება. ირანში, როგორც წესი, სასალარებად ქართველი ბატონიშვილები ინიშნებიან. ახლაც, მეტწილად ქართველებს ნიშნავენ ირანის ჯარში სხვადასხვა მაღალ თანამდებობებზე. ადრე, ჯერ კიდევ დიდი შაჰ-აბასის დროს და აგრეთვე ახლანდელი შაჰის სხვა წინაპრების დროსაც, ირანელებს თურქებთან, ინდოელებთან და სხვა ხალხებთ-



საომრად ამხედრებული მეფე-თეიმურაზი. ნახატი კ.კასტელისა.

ან თემში ყველა გამარჯვება ძირითადად ქართველთა მეშვეობით აქვთ მოპოვებული... თუ ქართველი ბატონიშვილები, მათი დიდებულები და აზნაურები ერთმანეთში შეთანხმებას მიაღწევენ, ჭეშმარიტად შეიძლება არა მარტო სპარსეთის უღლისაგან გათავისუფლება, არამედ, თვით სპარსეთის ტერიტორიის დაპყრობაც.

ირანელების კავალერია ქართველებს ვერასოდეს გაუმკლავდება, სამჯერაც რომ სჭარბობდეს რიცხობრივად, ხოლო თუ ჩვენ ქართველთა ჯარს 20 რეგულარულ ესკადრონს მივუმატებთ, ქართველებთან ერთად მთელს სპარსეთსაც ადვილად დავლაშქრავთ".[192]

მსოფლიოში სახელგანთქმული ისეთი იმპერატორები და მხედართმთავრები, როგორიც იყვნენ: ფრიდრიხ დიდი, ნაპოლეონი და ბარკლაი-დე-ტოლი, ასე ახასიათებდნენ ქართველ დიდებულთა სამხედრო ნიჭიერებას: "დასავლეთში მე ვარ, აღმოსავლეთში კი პრინცი ერეკლე, ქართველთა მეფე" (ფრიდრიხ დიდი)... "რუსეთში საკმაოდ არ არიან კარგი გენერლები - ერთადერთი გამონაკლისია ბაგრატიონი". (ნაპოლეონმა ბოროდინოს ბრძოლის წინ მეფის ელჩს უთხრა)... "მე არ ვიცი ბაგრატიონის სამხედრო ნიჭის საიდუმლოება, მაგრამ ბრძოლის ველზე ის სწრაფად იღებს გადაწყვეტილებებს და მისი გადაწყვეტილე- ყოველთვის გამარჯვებით გვირგვინდება"[193] (ბარკლაი-დე-ტოლმა მეფეს უთხრა).

დიდი ფრანგი მწერალი ალექსანდრე დიუმა შემდეგნაირად ახასიათებს ქართველ მამაკაცებს: "ქართველი მამაკაცები, ჩემი აზრით, არა მარტო თვითონ არიან ულამაზესი მთელი დედამიწის ზურგზე, არამედ მათ აგრეთვე საუცხოო ტანისამოსი აცვიათ. ყოველივე ამას ემატებოდა კუპრივით შავი ხშირი თმა და თვალ-წარბები, ქალივით ნაზი სახის ფერი და მინანქრის კბილები... რა აზრისა ხართ ქართველებზე? ვკითხე ბარონ ფინოს, ჩვენს კონსულს თბილისში, რომელიც სამი წელია აქ ცხოვრობს. - "არავითარი ნაკლი მათ არ გააჩნიათ, მხოლოდ ღირსებებით არიან დაჯილდოებულნი" - მიპასუხა მან".[194]

ივანე ჯავახიშვილის აზრით, "საქართველოში სამეფოს მემკვიდრედ, მისი სახელმწიფოებრივი უზენაესი უფლებების პატრონად, მარტო სამეფო სახლი კი არ ითვლებოდა, არამედ მცხოვრებთა მოწინავე წრეც, რომლის წევრებსაც ეწოდებოდათ "მკვიდრნი სამეფოსანი" და რომელნიც, აგრეთვე, სახელმწიფოებრივი დიდმნიშვნელოვანი საქმეების განგებაში მთავარ მონაწილედ მიიჩნიან".

ამ "მცხოვრებთა მოწინარე წრეს", უპირველეს ყოვლისა, ერისთავთ-ერისთავები შეადგენდნენ.[195]

ჩვენთვის ძალზე საინტერესოა "თავად"-ის მნიშვნელობა.



იმერელი თავადი.
ნახატი გ. გაგარინისა.

ეს ტერმინი გამოწვლილვით აქვს შესწავლილი ივ. ჯავახიშვილს. აი, რა დასკვნამდე მისულა იგი: "თავადი" აზნაურთა წოდებრივი ტერმინი კი არ იყო, არამედ პირადი ღირსების აღმნიშვნელი... "თავადი" - დიდი გვარის უფროსი და თავი ყოფილა... "დიდებული თავადი" მთელ საგვარეულოში მხოლოდ "ერთი თავი" ყოფილა და "თავად"-ის დანარჩენ "სახლის კაცებს" მასთან თანასწორი უფლება და მასავით "თავადობა" არა ჰქონიათ... "თავადი"... შეიძლება "უსახელოც" ყოფილიყო და არავითარი თანამდებობა არა ჰქონოდა: მისთვის ისიც კმაროდა, რომ იგი დიდი გვარის უფროსი და თავი იყო...! დიდებულთა, წარჩინებულთა და თავადთა ცოლებსაც კი განსაკუთრებული სახელწოდება ჰქონდათ და, თუ ხელმწიფისა და მეფის თანამეცხედრეს "დედოფალი", "დედოფალთ-დედოფალი" ეწოდებოდა, მათ კიდევ "დიოფალ"-ს და "დიოფალთ-დიოფალ"-ს ეძახდნენ: თურმე... "დიდებულნი", "წარჩინებულნი" და "თავადნი", ვითარცა საქართველოს მკვიდრთა მოწინავე და მმართველი წრეების წარმომადგენელნი, "თვალნი და პირნი ქვეყნისანი" იყვნენ"![196]

შემთხვევითი არაა, რომ წმ. გიორგი საქართველოში ითვლება რაინდობის, მხედრობის მფარველად. "რაინდი ქრისტიანული სახეობაა - ნათლის მებრძოლისა და საყოფიერების ღვთაებათა მცველისა. რაინდული რიტუალები სიმბოლურად ასახავენ თვითდადგინების

პროცესს, რომელთაგან უმთავრესია ქვესკნელად შთასვლა სიცოცხლეშივე ქვესკნელის ძალთა დამარცხება"[167] (ავტორისეული თარგმანი).



მეგრელი თავადი.
ნახატი გ. გაგარინისა.

„მხედარი, რაინდი არის სიმბოლო ყველისა, მეფისა, ღვთისა, პატრონი ცხენისა, ხელის მას, როგორც სული სხეულს ან მატერიას (რაინდი – სული, ცხენი – სხეული), მაგრამ ეს შესაძლებელი ხდება მხოლოდ ხანგრძლივი წვრთნის, მოწაფეობის ხანგრძლივი პერიოდის გავლის შემდეგ, რაც, ისტორიულ პერსპექტივაში, ნიშნავს რაინდის გარდაქმნას ყველაზე ზემაღალი ადამიანის ტიპად. რაინდის წვრთნა მიზნად ისახავდა არა მარტო მის ფიზიკურ, არამედ, განსაკუთრებით მისი სულისა და სამშვინველის გაძლიერებას, გრძნობების (მორალის) აღზრდას, გონებრივ განვითარებას, რაც ამზადებდა მას რეალური სამყაროს მართვისა და კონტროლისათვის. ამ გზით იგი დაიკავებდა თავის ადგილს ფეოდალურ იერარქიაში, რომელიც ზეციურის ხატად იყო შექმნილი, ვინაიდან უბრალო აზნაურიდან მეფემდე ისეთივე იერარქიული კიბე იყო, როგორც ანგელოზიდან ღმერთამდე".[168] „შუა საუკუნეებში დახატულ ევროპაში, ისევე როგორც საქართველოში, ვხვდებით ბევრ მხედრებს, მდგომლებს და საერო პირებს, რომელნიც კარგი მხედრობით, ცხენზე ჯდომის ხელოვნებით, საბრძოლო ხელოვნებებით ავლენდნენ ერთგულებას სულიერი წყობისადმი. სანიმუშოა, რომ სახის მიხედვით, ქართულად სიტყვა რაინდი თავდაპირველად „ცხენთა გამწვრთნელ კაცს" ნიშნავდა"

შუა საუკუნეებში საქართველოში საერო და სასულიერო ფეოდალური კლასი ძლიერდება, ასევე ძლიერდება სამხედრო-რაინდული აღზრდის მნიშვნელობაც – ყალიბდება ჭაბუკთა, ანუ მოყმეთა ინსტიტუტები (IX-X საუკუნეები), რომლის ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი შეასრულა წმ. მხედრების, განსაკუთრებით, წმ. გიორგის კულტმა. „ქართველებისათვის წმ. გიორგი სიმბოლოა მებრძოლი ქრისტიანობისა, სიმბოლო თავად ღვთისა, ძალისმიერ, მებრძოლ ასპექტში, ბოროტების დამთრგუნველ ასპექტში. წმ. გიორგიმ ქართველი ხალხის წარმოსახვაში შეიერთა ყოველივე ის საუკეთესო, რაც მოიტანა ქრისტიანობამ და, რადგანაც ქართველი ხალხის მებრძოლი სულისათვის მახლობელი იყო მხოლოდ მებრძოლი ქრისტიანობა, მან შეისისხლხორცა ეს სახე, ვინაიდან მისი არსებობა, მისი ისტორიული ყოფა გამუდმებული ბრძოლა იყო გარსშემოჯარული ბარბაროსების წინააღმდეგ. ბოროტების შავბნელ ძალებთან ბრძოლაში ქართველ ხალხს ამხნევებდა შარავანდით მოსილი სახე თეთრ ტაიჭზე ამხედრებული შუბოსანი წმინდა რაინდისა".[169]

აზნაურის, რაინდის უზენაესობა მეფისა და ღვთის სიუზერენობის ხატად იყო მიჩნეული. აქედან გამომდინარე, რაინდის მეუფება სულის მეუფების ანარეკლი იყო, ხოლო რაინდის ევოლუცია იგივე სულის ევოლუციას ასახავდა თვითდადგინების გზაზე.

რაინდის სიმბოლიკა ალქიმიასაც უკავშირდებოდა, განსაკუთრებით კი – ფერთა სიმბოლიზმს. მაგალითად, შუა საუკუნეთა ლიტერატურაში ვხვდებით რაინდთა სხვადასხვა ტიპებს, იმისდა მიხედვით, თუ სულიერი განვითარების რომელ ეტაპზე არიან ისინი, ასე მაგალითად: „აქ ვხვდებით მწვანე, თეთრ და წითელ რაინდს, მაგრამ ყველაზე მეტად შავ რაინდს. ეს მხოლოდ ესთეტიკური აღქმა კი არ არის ფერისა, პირდაპირი გაგებით ან დეკორატიული მიზნით. ფერის ამგვარ არჩევანს უმაღლესი სულიერი მნიშვნელობა აქვს. ალქიმიაში არსებობს ფერის აღმავალი შკალა: შავი, თეთრი, წითელი, რაც შეესაბამება პირველად მატერიას (შავი), მერკურის (თეთრი) და გოგირდს (წითელი). საბოლოო სტადია კი არის ოქრო. დამავალი შკალა კი, პირუკუ, ლურჯიდან მწვანისაკენ მიდის, ე.ი. ზეციდან მიწისაკენ. ეს ორი ფერი შეესაბამება ზეციურ და მიწიერ, ანუ ბუნებისმიერ ფაქტორებს. **შავი** შეესაბამება ინსტინქტურ ცხოვრებას, ცოდვას, სასჯელს, განმარტოებას, სიბნელეს, განდეგილობას, ტანჯვას, ვაებას; **თეთრი** – უცოდველობას – როგორც ბუნებრივს, ასევე განწმენდილს, გამოსყიდვის გზით მიღწეულს; **წითელი** – ვნებას, სიყვარულს ან ტანჯვას, სისხლს, ჭრილობას, მაგრამ, ამავე დროს, **სუბლიმაციას** და ექსტაზსს. შავი რაინდი არის ის, ვინც გადის ცოდვის ბნელეთს, ტანჯვით გამოსყიდვას, რათა მიაღწიოს ჯილდოებას,

მიწიერი დიდების გზით ეზიაროს ზეციურ ნეტარებას. **მწვანე რაინდი** სიმბოლოა იმ ეტაპისა, როდესაც ადამიანი იმყოფება ცოდვისა და ვნებების ტყვეობაში (მწვანე - მშვინვიერი, [illegible] (ცხოვრების სიმბოლო). მაგრამ მიელტვის განწმენდას და განათლებას, თუმცა, ჯერ იგი შეგირდია. **წითელი რაინდი** (სიწითლე - სისხლი მსხვერპლისა) ქვენა ბუნებაზე გამარჯვებული ადამიანის სიმბოლოა, ხოლო **თეთრი რაინდი** (მაგალითად, გალაადი) სულიერი განათლების სიმბოლოა (თეთრი - სიწმინდის, უცოდველობის ფერი). თეთრი რაინდი ყველაზე მეტად უკავშირდება წმ. გიორგის, თეთრ ცხენზე ამხედრებულს, თეთრ გიორგად წოდებულს. იგია ბუნების მეუფე, რჩეული, ე.წ. მოხეტიალე რაინდი (Knight errant). იგი გარდამავალი ეტაპია დაწყევლილ მონადირესა და ხსნილ რაინდს შორის (გაიხსენეთ ტარიელის ხეტიალი და ნადირობა). მოხეტიალე რაინდი იბრძვის, რათა გაიმარჯვოს თავის სურვილებზე, გაიხსენეთ ავთანდილის რჩევა: "რაც არ გწადდეს იგი ქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა". აგრეთვე ლოცვა: "მომეც დათმობა სურვილთა, მტრობულთა გულისთქმათა" იგი ერთგვარი დაწყევლილი მონადირეა, ნადირობა - სურვილების დამარცხებაა, სურვილებს კი განასახიერებენ მხეცები. აქედან გამომდინარე, მოხეტიალე რაინდი განდევნილის, დასჯილის, სასჯელით განწმენდის და მსხვერპლის სიმბოლოა. ამგვარ ალეგორიებში, შესაძლოა, დაინახოთ ქრისტიანული განწმენდის სხვადასხვა ეტაპი. აქედან გამომდინარე, გ. [illegible] აღნიშნავს, რომ რაინდობა იყო ქმედითი ყოფის სულიერი პედაგოგიკა, რომელიც იწყებდა გარდაქმნას ბუნებრივი (ცხენი) ადამიანისას სულიერ ადამიანად (მხედრად), რომლის მთავარი არქეტიპები იყვნენ წმ. მიქაელი, წმ. გიორგი, სანტიაგო დე კომპოსტელა და სხვანი".[200]

მეოთხე კარში საუბარი გვქონდა პელაზგურ, ანუ პროტოიბერიულ კულტურებზე. "...მათი ინტელექტი, მათი აზროვნება იყო უფრო წინ წასული... ის კულტურა, რომელიც მისულ ინდოევროპელებს დახვდათ - პელაზგური კულტურა - უფრო მაღალი იყო მათზე; უფრო მაღალი იყო შესაბამისად აზროვნებითი კულტურაც... მაგრამ ჯერ ის პერიოდია, როდესაც პირველად შეხვდა ეს ორი რასა, ორი მოდგმა ერთმანეთს... არსებობს წარმართული და ქრისტიანულ ინიციაციას შორის უამრავი კავშირები, რაც დაკავშირებულია უძველეს, პროტოქართულ მისტერიალურ ცენტრებთან".[201] შოთა რუსთაველის "ვეფხისტყაოსნის" რაინდები განსაკუთრებით, ტარიელი - განასახიერებს უძველესი პროტოქართული მისტერიების სახეს. ტარიელი განასახიერებს იმ იდეალური ცოდნის ელემენტებს, რომლებსაც ფლობდა ჩვენი უძველესი წინაპრების აზროვნებისა და შემოქმედების გენია. რას ფიქრობენ ამის თაობაზე ქართველი მეცნიერები: "...იაზონი, როგორც ფიგურა, როგორც გმირი, პინდარის მეოთხე ოდაში მოხსენიებულია ვეფხისტყაოსნად. ე.ი იაზონი არის აგრეთვე ვეფხისტყაოსანი გმირი. ის არა მხოლოდ ოქროს საწმისის მომპოვებელია, არამედ ვეფხისტყაოსანი გმირიც არის და, საერთოდ, ვეფხისტყაოსანი გმირებიც დაკავშირებული არიან უძველეს, პროტოქართულ სამყაროსთან. თუმცა, ვეფხისტყაოსანი ქურუმები ეგვიპტის მისტერიებშიც გვხვდება. სხვათაშორის, ტროელი პარისიც ვეფხისტყაოსანია - ტროაშიც გმირებს ვეფხის ტყავი მოსავთ. დიონისეს პროცესიებსაც ვეფხვი მიუძღვის; თავად დიონისეც ვეფხისტყაოსანია. ასე რომ, ვეფხის ტყავი უძველესი ტოტემური სახეა იაფეტური კაცობრიობისა, კავკასიური რასისა... ძველბერძნული მითოსი კი სინამდვილეში არის არა ძველბერძნული, არამედ პე-



შოთა რუსთაველის პორტრეტი იერუსალიმის ჯვარის მონასტერში.
წარწერები პორტრეტზე:
ქართულად (ხუცურად): "ამისა დამხატაეისა შოთას შეუნდოს ღმერთმან, რუსთაველი".
არაბულად (კუფურად): "მოიხსენე, უფალო– მონა... ...ალ ამმარი" (1308 წ.).
არაბულად (ნესხურად): "მღვდელი... ხათუნ..." (1367 წ.).

ლაზგური მითოსი. ამას აღნიშნავდა დიდი გერმანელი ფილოსოფოსი შელინგი და პელაზგურ ეპოქას საბერძნეთის განვითარებაში იგი განმარტავდა როგორც საზიარო ნათელხილვითი სიბრძნის ეპოქას. შემდეგდროინდელი ბერძენი მითოლოგიიდან ჩვენ ვიცით, რომ პერსევსმა და სხვა გმირებმა ნათელმხილველური, პელაზგური კულტურა გადაიყვანეს აზროვნებით კულტურაზე, კერძოდ, ინტელექტისმიერ ელინურ კულტურაზე... თავდაპირველად ოქროს ვერძი საბერძნეთიდან არის წაღებული კოლხეთში, მაგრამ ეს იმ პერიოდის საბერძნეთია, როდესაც იქ ყვავის პელაზგური კულტურა, კერძოდ, პელაზგური არგოსის კულტურა. შემთხვევითი არ არის, რომ ხომალდსაც "არგო" ჰქვია და "არგო" თავისი ძირით კოლხეთიდან მომდინარეობს — არგო, არგვეთი, ეგრისი — "გრ" ფუძე — ესეც კოლხეთია... ლაშქრობა კოლხეთში სიმბოლურად, იმაგინატიურად არის ლაშქრობა ხელოერი სიბრძნის, მისტერიული სიბრძნის მოსაპოვებლად, რომელიც იმჟამად შემონახული იყო მხოლოდ კოლხეთში და აღარ არსებობდა უკვე საბერძნეთის ტერიტორიაზე — აღარც ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებში, ისევე, როგორც კრეტაზე წაღებული თესევსისა არის იმ სიბრძნის მოპოვება, რომელიც ელინურ საბერძნეთში იმჟამად აღარ არსებობდა..."
ასე რომ, ეზოთერული ცოდნა უძველეს საქართველოში ღრმად იყო განვითარებული.

დავუბრუნდეთ ისევ "ვეფხისტყაოსანს", სადაც მთავარი გმირი, რაინდი ტარიელი ერთდროულად ებრძვის ლომსაც და ვეფხვსაც. სანამ "ვეფხისტყაოსანში" ლომისა და ვეფხვის სახეებს შევეხებოდეთ, განვიხილოთ შოთა რუსთაველის პორტრეტული გამოსახულება.

ბევრ ჩვენთაგანს არც კი დაუსვამს თავისთვის კითხვა, თუ რატომ ახურავს შოთა რუსთაველს (საუბარია პორტრეტულ გამოსახულებაზე იერუსალიმის ჯვრის მონასტერში) მაღალი, შავი ზოლით გარშემორტყმული, თეთრი ფერის, მომრგვალებული ფორმის თავსაბურავი, აცვია მწვანე ფერის კაბა ტყავის სარტყლით და წამოსხმული აქვს მეწამული ფერის სამოსელი ყარაყუმის ბეწვის საყელოთი. (იხ. სურათი).



"ხმალი გაებტყორცნე, გარდეიჭერ, ვეფხი შევიპყარ ხელითა...".
"...იდუმალის გზაზე დამდგარი ადამიანების ("რინდების" _ გზის ადამიანების") წინაშე შეწყვიტეთ ყბედობა. თუ თქვენ რეალობის მიმართ თავდაყირა დგეხართ, თქვენი ცოდნა და რელიგია გამრუდებულია (დამახინჯებულია), ადამიანი საკუთარ თავს თავისავე მიზნებში თვითონვე ხლართავს. ლომები თავიანთ გალიას ნაწილებად ამსხვრევენ და ვეფხვის ბილიკით აგრძელებენ გზას" (სუფიური მოძღვარი სანაი, 1131 წ.).
ნახატი ლ. გუდიაშვილისა.

ასევე, ცოტა თუ დაინტერესებულა, რატომ ატარებს დღესაც კი ქალებიც ყველა ევროპელი (და არა მხოლოდ ევროპელი) მონარქი ყარაყუმის ბეწვშემოვლებულ საზეიმო სამოსს. "ვეფხისტყაოსანშიც", თინათინის გამეფების შემდეგ, მისი და ავთანდილის პირველი შეხვედრისას ქალს "გამოცდილხა ტანსა ემოსნეს ყარაყუმნი უსაპირონი..." (იხ. სურათი).

ნუთუ "ყარაყუმს" აქაც იგივე დატვირთვა აქვს, რაც იერუსალიმურ ფრესკაზე?

შევეცადოთ, ჯერდა ავხსნათ შოთა რუსთაველის პორტრეტულ გამოსახულებას. რა მოსაზრებები არსებობს ამის თაობაზე:

ქართველი მეცნიერის შალვა ამირანაშვილის აზრით, შოთა რუსთაველს "მაღალი მოთეთრო ფერის მომრგვალებული ფორმის თავსაბურავი ახურავს... ამგვარი თავსაბურავი მიღებული იყო საქართველოში მე-12 საუკუნის მეორე ნახევარში დიდი ვეზირებისათვის. მაღალ წვეტიან, მომრგვალებულ თავსაბურავს ატარებდნენ საქართველოში ერისთავთ-ერისთავები... მას მოსხმული აქვს მეწამული ფერის (ამ ფერს შ. ამირანაშვილი "მოწითალო-იისფერს"-ს უწოდებს), გრძელი გრძელსახელოებიანი სამოსელი (მას ქართველები - "სკარამანგს" უწოდებდნენ). ამგვარ სამოსელსაც ატარებდნენ საქართველოში ვეზირები, ერისთავთ-ერისთავები... ამ სკარამანგს აქვს თეთრი ბეწვეულის გადაკეცილი სა-

ველი წინ გაჭრილი, რომელიც ყარყუმის ბეწვი უნდა იყოს".[203]

"აი, ამ ყარყუმის ბეწვის საყელოს კი უკვე დიდი გაუგებრობა და არეულობა შეაქვს იმ ხვეულ მწყობრ სისტემაში, რომლის სილამაზეც ესესაა იკვეთებოდა. საქმე ის გახლავთ, რომ შ. ამირანაშვილის აღიარებით, მას "პირდაპირ ანალოგიას ხელოვნების ქართულ ძეგლებში ვერ მოვუძებნით. არ შეიძლება სათანადო მასალა მოვუთითოთ ბიზანტიურ ხელოვნებაში".

"მიუხედავად ამისა, მეცნიერს მაინც უცდია ანალოგიების მოძიება სხვა ქვეყნების ხელოვნებაში. აი, რას წერს იგი: "ერთად-ერთი ანალოგია ამ დეტალს მოეპოვება საფრანგეთისა და იტალიის ხელოვნებაში... ყარყუმის გადმოკეცილი საყელო განსაკუთრებით გავრცელებული ყოფილა **უკვე XIV საუკუნეში, განსაკუთრებით კი - შემდეგ საუკუნეებში**".

თითქოს ყველაფერი გასაგებია: ერთადერთი ანალოგია "ქართულ-პალესტინურ" ყარყუმის საყელოს, თურმე, "უკვე XIV საუკუნისა" და "განსაკუთრებით კი შემდეგი საუკუნეების" საფრანგეთისა და იტალიის ხელოვნებაში მოეპოვება. ალბათ, ლოგიკური იქნებოდა გვეფიქრა, რომ სწორედ საქართველო ყოფილა ყარყუმის ბეწვის საყელოს "სამშობლო" (აქ იგი, როგორც ვხედავთ XII-XIII საუკუნეებიდან იყო ხმარებაში), და სწორედ აქედან შავი და ხმელთაშუა ზღვების აუზის გავლით მოდა (გნებავთ ტრადიცია) მისი ხმარებისა გადასულა "უკვე XIV საუკუნისა და განსაკუთრებით კი შემდეგი საუკუნეების" ევროპაში, კერძოდ - საფრანგეთისა და იტალიაში.

მაგრამ...

სრულიად მოულოდნელად (და, პირდაპირ ვიტყვი, გასაოცრადაც) შ. ამირანაშვილი ასეთ დასკვნას გვთავაზობს: "ყარყუმის გამოყენება საზეიმო ტანსაცმლისათვის **უთუოდ დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან მომდინარეობს (?)** არც ერთ ტანსაცმელს საერო პირისა, რომელსაც დიდი თანამდებობა ეჭირა სამეფო კარზე, ყარყუმის გადმოკეცილი საყელო არა აქვს. ეს გარემოება გვაფიქრებს, რომ **ქართველ დიდმოხელეს ჩაცმულობის საზეიმო ხასიათის მისაცემად შეუთვისებია ეს წესი, რომელიც გავრცელებული ყოფილა საფრანგეთში" (?)**

მეპატიოს ეს უნდობლობა დიდი მეცნიერის მიმართ, მაგრამ გაუგებარია, როგორ უნდა გადმოეღო "უკვე XIV საუკუნისა და, განსაკუთრებით კი, შემდეგი საუკუნეების" ფრანგული მოდა ქართველ დიდმოხელეს, რომელიც XII-XIII საუკუნეებში, ანუ, სულ ცოტა, 100-150 წლით ადრე ცხოვრობდა? ანდა, თუკი ანალოგიის მოძებნა შეუძლებელი აღმოჩნდა ბიზანტიურ ხელოვნებაში, რატომ არ შეიძლებოდა მისი მოძიება მახლობელი აღმოსავლეთის სხვა (როგორც მუსლიმანური, ასე, სხვათა შორის, ქრისტიანული) სახელმწიფო წარმონაქმნთა ხელოვნებაში?".[204]

"რუსთაველს აცვია მწვანე ფერის კაბა, რომელიც წელზე შეკრულია ტყავის სარტყლით. სურათზე აბზინდი კარგად ჩანს". ნ. ამირანაშვილის ფრთხილი კომენტარი სარტყლისა და აბზინდის თაობაზე მაფიქრებინებს, რომ მკვლევარი დაუფიქრებია "დიდმოხელის" ჩაცმულობის ამ ატრიბუტების ხაზგასმულ უბრალოება-სისადავეს (დიდმოხელენი გაცილებით უფრო ძვირფას, გემოვნებით მორთულ სარტყლებსა და, შესაბამისად, აბზინდებს ატარებდნენ), მაგრამ საკუთარი აზრის გამოთქმისაგან იგი, ამ შემთხვევაში, საერთოდ თავს იკავებს.

მეცნიერი არაფერს ამბობს, აგრეთვე, მწვანე ფერის კაბაზეც, რომელსაც ეპითეტად "უბრალო", "სადა" აღარც კი შეეფერება: იგი ბერის ანაფორას უფრო წააგავს, ვიდრე ერისკაცის სამოსს - რომ არა მისი ქრისტიანი ბერის ანაფორისათვის შეუფერებელი მწვანე ფერი.

ნუღარ გავაჭიანურებთ სათქმელს: მწვანე ფერის ხამი კაბა, სადა სარტყელ-აბზინდით შემოკრული სუფია განდეგილის "ანაფორა" გახლავთ.

სუფისტურ ფერთა სიმბოლიკაში მწვანე ფერი თვით სუფიზმის სუფისტური სწავლების, სუფისტური მოძღვრების აღმნიშვნელი ფერია.

რატომ, მაინცდამაინც, "მწვანე"?

ცნობილია: ადამიანის ცნობიერებაში "მწვანე ფერი", "სიმწვანე", ჩვეულებრივ, "გაზაფხულთან", "ბუნების გამოღვიძებასთან" ასოცირდება. ანალოგიურად - "გაზაფხულთან" და "გამოღვიძებასთან ასოცირდება ეს ფერი სუფისტის ცნობიერებაში, ოღონდ უფრო დაკონკრეტებით, ფოკუსირებულად:

"სულისა და გონების გამოღვიძებასთან",
"აზრისა და სულისკვეთების გაზაფხულთან"!
მოკლედ: "სუფიზმი სიმწვანეა"!
იმიტომ, რომ "სუფიზმი სულისა და გონების მარადიული გაზაფხულია"!

რაც შეეხება ყარყუმის ბეწვის საყელოს, იგი სუფიების ნაცმულობის ატრიბუტი იყო უკვე XI-XII საუკუნეებშივე, ოღონდ, არა "რიგითი" სუფიების, არამედ სუფიური ორდენების წინამძღვართა (სპარსულ-არაბულად "შეიხ"-თა, "შაჰ"-თა) ნაცმულობის ატრიბუტი!

სწორედ სუფია-შეიხთაგან გადაიღეს ყარყუმის ბეწვის - როგორც მისტიკური სიბრძნის სიმბოლოს - ტარების ტრადიცია პირველი კათოლიკური სასულიერო-რაინდული ორდენების დიდმა მაგისტრებმა (დღეს უკვე თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ ჰოსპიტალიერთა და ტამპლიერთა ორდენების პროტოტიპი სუფიური ორდენები იყო: ამ უკანასკნელთაგან გადაიღეს მათ არა მარტო გარეგნული ატრიბუტიკა და სიმბოლიკა, არამედ უამრავი რიტუალიცა და, მთლიანობაში, ცხოვრებისა და აზროვნების წესიც)...

მას შემდეგ, რაც შეთითხნილი ბრალდების საფუძველზე კანონგარეშედ გამოაცხადეს, შეაჩვენეს და გაანადგურეს ტამპლიერთა ორდენი, ხოლო მისი დიდი მაგისტრი ჟაკ დე მოლე და რამდენიმე ათეული მისი თანამოძმე კოცონზე დაწვეს, საფრანგეთის მეფემ ფილიპე ლამაზმა ისე, რომ წუთითაც არ უგრძვნია სინდისის ქენჯნა, ყარყუმის ბეწვშემოვლებული ჟაკ დე მოლეს მანტია თვითონ მოიგდო მხრებზე...

ეს ამბავი მოხდა საფრანგეთში, 1312-14 წლებში, უკვე XIV საუკუნეში...

მოგვიანებით, ტრადიცია ყარყუმის ბეწვის ქობაშემოვლებული მოსასხამის ტარებისა გავრცელდა ჯერ იტალიაში, შემდეგ კი - ევროპის სხვა ქვეყნებშიც...".[205]

"...ვფიქრობ, მკითხველი უკვე თავადაც მიხვდებოდა - თუნდაც "მწვანე ფერის", "სიმწვანის" განმეორების მაგალითზე - სულ ცოტა, ორ რამეს მაინც: პირველი - იმას, რომ, რადა თქმა უნდა, **"სუფიათა საიდუმლო ენის" საფუძველი სუფიური სახე-სიმბოლოებია**, და მეორე - რომ ამ სახე-სიმბოლოების შემმუშავებელთა მიზანი იმთავითვე, როგორც ჩანს, მსმენელისა თუ მკითხველის **ასოციაციური აზროვნების** "გამოღვიძება" (გნებავთ, "ნართე"-გააქტიურება) იყო.

**მათ კიდეც მიაღწიეს დასახულ მიზანს,** რადგან თითოეული სუფიური სახე-სიმბოლო მართლაც აღძრავს ადამიანის ცნობიერებაში გარკვეულ ფონეტიკურ (ასო-ბგერით), ვიზუალურ, ან შინაარსობრივ ასოციაციას (იდეალურ შემთხვევაში კი სამივეს ერთად). ისიც ცხადია, რომ აღძრული ასოციაციების მრავალფეროვნება და სიხშირე პირდაპირპროპორციულია ამ ადამიანის ცოდნისა მოცემული კონკრეტული საგნისა თუ აბსტრაქტული ცნების გარშემო, მთლიანობაში კი - მისი განათლება - განსწავლულობისა...".[206]



**"მათ ერთმანეთსა აკოცეს, დგანან ყელ-გარდაჭდობილნი...".
ნახატი ლ. გუდიაშვილისა.**

დავუბრუნდეთ ტარიელის ლომთან და ვეფხვთან ბრძოლას: "ვეფხვი სუფისტურ სიმბოლიკაში აღნიშნავს თვით სუფიზმს, სუფისტურ სწავლებას, სუფისტურ სიბრძნეს, და მივუთითოთ ერთ-ერთ გარემოებაზეც, რომელმაც განაპირობა ამ ორი, ერთმანეთისაგან უსასრულოდ განსხვავებული ცნების ("ვეფხვი", "სუფიზმი") ურთიერთკავშირი - თუნდაც სიმბოლოების დონეზე. კერძოდ, ეს გარემოება გახლდათ ფონეტიკური (ასო-ბგერითი) ასოციაცია, რომელსაც აღძრავს ცნება "ვეფხვის" აღმნიშვნელი არაბული სიტყვა "ნიმრ". საქმე იმაშია, რომ, რამდენადაც არაბულ დამწერლობაში ხმოვნები არ იხმარება, ეს სიტყვა (ისევე, როგორც ყველა სხვა!) გრაფიკულად გამოისახება მისი ძირით "ნმრ". მაგრამ იგივე ძირით გამოისახება სხვა, შინაარსობრივად მისგან მკვეთრად განსხვავებული ცნებები, კერძოდ "ბეწვის ტანსაცმელი" და "შეუბღალავი ღირსება", ხოლო ამ სამთაგან, რომელ ცნებასთან გვაქვს კონკრეტულ შემთხვევაში საქმე, კონტექ-

სტიდან გამომდინარე, ისევ და ისევ ასოციაციურად უნდა მივხედეთ; მაგალითად: თუ ლაპარაკია "ტყის ბილიკზე მიმავალ" ნმრ-ზე, აქ, ცხადია, "ვეფხვს" ვიგულისხმებთ უმალ, ვიდრე "ღირსებას", ან "ტანსაცმელს": წაკითხვისას ნმრ-ძირის თანხმოვანთშორისებს შევავსებთ სათანადო ხმოვნებით (ამ შემთხვევაში ესაა მხოლოდ ერთი - "ი") და გამოვა, რომ "ტყის ბილიკზე მიდის "ნიმრ" (ანუ ვეფხვი).

აი, ამიტომაა, რომ სიტყვა "ნიმრ" - ზეპირად წარმოთქმული თუ წერილობით დაფიქსირებული, ან ამოკითხული - ასოციაციურ დონეზე უცილობლად გაგვახსენებს მის კიდევ ორ ცნებას, და იმასაც, რაც ამ ცნებებს უკავშირდება - "ბეწვის ტანსაცმელი" და "შეუბღალავი ღირსება", რაც არაბულენოვან სამყაროში განუყოფლად არის დაკავშირებული და აუცილებლად ასოცირდება "სუფისტური მოძღვრების ადეპტთან", "სუფიასთან", რომელიც უძველეს წარსულში სწორედ ბეწვის ტანსაცმლით იმოსებოდა და "შეუბღალავი ღირსების მქონე ადამიანის განსახიერება გახლდათ - მის ეტალონადაც კი ითვლებოდა. მინდა აქვე შეგახსენოთ, რომ ასეთ ადამიანს ქართველები "რაინდს" ეძახით, "რინდ"-ებს კი ჩვენი წინაპრები სწორედ სუფიებს უწოდებდნენ... (ტერმინი "სუფია" არაბული სიტყვაა და "ბეწვოსანს" ან "ტყაოსანს" აღნიშნავს).

მისთვის, ვისაც ვეფხვი ნანახი ჰყავს ტყვეობაში (ზოოპარკში, ცირკში...) ეს ცხოველი ასოცირდება ყველაფერ "დიდთან", "ძლიერთან", "სწრაფთან", "მოქნილთან", "ძალიან ლამაზთან", "პოტენციურად საშიშთან"... (წმინდა ვიზუალური შთაბეჭდილებები და შესაბამისი ასოციაციები).

ცხადია, შეუდარებლად მეტ და მრავალფეროვან ასოციაციებს აღძრავს სახე-სიმბოლო "ვეფხვი" იმ ადამიანის გონებაში, რომელსაც ჰქონია ბედნიერება, ბუნებრივ პირობებში დაკვირვებოდა ფაუნის ამ საოცრებას (ეს შეიძლება იყოს მეცნიერ-ნატურალისტი, პროფესიონალი მონადირე, ან სხვა ვინმე...). ეს ასოციაციები დაახლოებით ასეთი იქნება: "სიმშვიდის დროს - თვალისმომჭრელად მშვენიერი", "მრისხანების დროს - სულისშემძვრელად საშინელი", "ძალიან საშიში მოწინააღმდეგე" (ვეფხვი, გარდა იმისა, რომ დიდი ძალის, მოქნილობის, სისხარტისა და სისწრაფის ჰარმონიული შერწყმის განსახიერებაა, სრულიად უხმაუროდ მოძრაობს და გადაადგილდება ნებისმიერ ზედაპირზე; ამასთან, მას შეუძლია გამოსცეს გარკვეული სიხშირის ბგერები, რომელთა გაგონება, ძალზე დაბალი ტემბრის მიუხედავადაც კი, სრულიად აშეშებს და აბსოლუტურად უმწეოს ხდის მოპირდაპირეს, მსხვერპლს! (ჰიპნოტური უნარი)...

...ვეფხვი ბუნებით მარტოსულია, იგი ნამდვილი, მარადი "მგზავრია" - "ერთთავად გზა - შარასაა გაგებული" უსარმაზარ ტერიტორიებზე დახეტიალებს და იშვიათად ათევს ზედიზედ ორ ღამეს ერთსა და იმავე ადგილას.

ნიშანდობლივია, რომ ვეფხვში სუსტადაა გამოხატული სქესობრივი დიმორფიზმი, ანუ სქესის განმსაზღვრელი ნიშნები: მამრი და მდედრი ვეფხვები გარეგნულად თითქმის არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან (შინაარსობრივი ასოციაციები).

სულ სხვაა ლომი! ხვადი და ძუ, კარგად თუ არ დააკვირდი, შეიძლება სხვადასხვა სახეობის ცხოველებადაც კი მიიჩნიო კაცმა: ხვადი ბევრად უფრო დიდია და ძლიერი და, რაც მთავარია, უმშვენიერესი ფაფრითაა შემკული. სწორედ ამიტომ, იგი ყოველთვის აღიქმებოდა, როგორც საზოგადოდ მამრის, მამაკაცური საწყისის (მამაკაცობის, სიმამაცის) სიმბოლო. ამ იმპოზანტურმა გარეგნობამ და, ცხოველისათვის ცოტა არ იყოს უჩვეულო, დინჯმა, თავდაჯერებულმა და თითქოსდა ამპარტავნულმა ქცევამ მას "ნადირთა მეფის" საპატიო ტიტული მოუპოვა (ასოციაცია: "მეფე", "მბრძანებელი" საზოგადოდ). ...მაგრამ ნუ დაგვავიწყდება: მიუხედავად იმისა, რომ ლომები მრავალრიცხოვან ოჯახებად (პრაიდებად) ცხოვრობენ, სწორედ "მარტოხელა მაწანწალამ" - ვეფხვმა განდევნა ისინი ევრაზიის კონტინენტიდან და დღემდე, სადაც ვეფხვის ყრუ კრუტუნი ისმის, იქ ლომს თავისი მშვენიერი ფაფრითა და ბუხუნა ხმით - არაფერი ესაქმება! მაშ, ვინ ყოფილა ჭეშმარიტი "ნადირთა მეფე"?...".[207]

ყურადსაღებია ერთი გარემოებაც: ლომისა და ვეფხვის "სიყვარული" - სრულიად უპერსპექტივო რამ გახლავთ: იგი ნაყოფს იშვიათად იძლევა (მსგავსი ექსპერიმენტებიც ჩატარებულა!), მაგრამ თუკი ასეთი რამ მაინც მოხდა, თვით ეს "ნაყოფი" აბსოლუტურად უნაყოფო, ბუნებრივად სტერილური გამოდის...

ის, ვინც ამ მსჯელობას მიიღებს და გაიზიარებს, დარწმუნებული ვარ, სულ სხვა თვალით შეხედავს, სხვანაირად აღიქვამს და გაიაზრებს "ვეფხისტყაოსნის" ეპიზოდს,

რომელსაც "მპობა ტარიელისაგან ლომ-ვეფხვის დახოცისა" ჰქვია. მკითხველს შევახსენებ, როგორ აღწერს ამ ამბავს თვითონ ტარიელი:

"ერთი ლომი, ერთი ვეფხი შეკრბეს, ერთგან შეიყარნეს,
ჰგვანდეს რათმე მოყვარულთა, მათი ნახვა გამეხარნეს":
"შეიყარნეს და შეიბნეს, იბრძოდეს გამწარებულნი":
"პირველ ამოდ ილაღობნეს, მერმე მედგრად წაიკიდნეს,
თვითო ტოტი ერთმანერთისა ჰკრეს, სიკვდილისა არ დაჰრიდნეს".

ცხადია, ძუ ვეფხვი დიდხანს ვერ გაუძლებდა ხვადი ლომის მძვინვარე შემოტევას მას გარიდება უცდია:

"ლომი სდევს, ვეფხვი მიურბის..."
და
"გამორიდნა ვეფხმან გული, - ღალატამცა განარიდნეს! -
ლომი მედგრად გაეკიდა, იგი ვერვინ დაამშვიდნეს".

რაღა თქმა უნდა, თუკი ამ სცენას რეალისტურად გავიაზრებთ, აქ სახეზეა ორი ცხოველის, მდედრისა და მამრის, ე.წ. "სასიყვარულო თამაში", რომელიც, ლოგიკურად, მათი შეწყვილებით, ანუ სექსუალური აქტით უნდა დასრულდეს (ასეთი რამ, როგორც მოგახსენეთ, ლომსა და ვეფხვს შორის სრულიად შესაძლებელია); მაგრამ მთხლა საქმათლ უცნაური და, რეალისტურ დონეზე, ძნელად გასაგები რამ: წყვილის სასიყვარულო "ლაღობა" მათ მძვინვარე ჩხუბში, შეურიგებელ კონფლიქტში გადაიზარდა ("შეიყარნეს და შეიბნეს, იბრძოდეს გამწარებულნი"). თუმცა, ტარიელის თქმით, მათ - ორივემ - ერთმანეთი "სიკვდილსა არ დაჰრიდნეს". მაგრამ მონათხრობიდან აშკარად ჩანს, რომ აგრესია გაწბილებული ხვადი ლომისაგან მოდის: "გამორიდნა ვეფხვმან გული, - ღალატამცა განარიდნეს!".

"ლომი სდევს, ვეფხვი მიურბის..."
"ლომი მედგრად გაეკიდა, იგი ვერვინ დაამშვიდნეს".

ამრიგად, სურათი ნათელია: გამიჯნურებულ ლომს "კოცნის ნაცვლად ჩაუვარდა" - ძუ ვეფხვმა არ მისცა საშუალება, დაუფლებოდა მას!

...ახლა ისევ სუფიური სიმბოლიკა გავიხსენოთ: ხვადი ლომი - "მამრის", "მამაკაცის", "მეფის", "მბრძანებლის" სახე-სიმბოლოა; ძუ ვეფხვი კი (თუმცა სქესს ამ შემთხვევაში არა აქვს მნიშვნელობა) - "სუფიური მიძღვრების", "სუფიური სიბრძნისა".

აქვე შემოდის ახალი სახე-სიმბოლოც - "სექსუალური აქტი", რომელიც მისტიკურ მიძღვრებებში საზოგადოდ "დაუფლებას", კონკრეტულად კი "სიბრძნის დაუფლებას", "საიდუმლოს განდობას", "ჭეშმარიტების შეცნობას" გამოხატავს (გაიხსენეთ, შესაბამისი ეპიზოდი ფილმიდან "მეცხრე კარიბჭე: სექსუალური აქტი საიდუმლოებით მოცულ "მშვენიერ უცნობ ქალთან" აღმოდებული ციხე-სიმაგრის ფონზე. "ციხე-სიმაგრე" - აქაც და ყველგან სხვაგანაც - "ქაჯეთის ციხე" - სახე-სიმბოლოა უკანასკნელი და ყველაზე დიდი წინააღმდეგობისა, რომელიც უნდა დაძლიოს და წარმატებით გადალახოს "მაძიებელმა", რათა განიცადოს "ზეციური ნეტარება" - "დაეუფლოს სანატრელ ქალწულს".

ცხადია, აქ წარმოდგენილია კონფლიქტი ამ ორ საწყისს, ცხოვრების ორ წესს შორის: ერთის მხრივ, ესაა ცხოვრება მამაკაცის, მეფის, მბრძანებლისა, მეორეს მხრივ კი - ბრძენი სუფისტისა... მაგრამ რა გარემოში, სად ხდება ეს კონფლიქტი? - სწორედ ტარიელის ფსიქიკაში, მის სულში ებრძვიან ერთმანეთს "ლომი" ("მამრი", "მამაკაცი", "მბრძანებელი") და "ვეფხვი" ("სუფია")! ესაა უკანასკნელი "ბრძოლა-არჩევანი" ტარიელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას:

"ლომსა დავუგმე ნაქმარი, ვარქვი: "არა ხარ ცნობასა,
შენ საყვარელსა რად აწყენ? ფუ მაგა მამაცობასა!
ხრმალ-გამოწვდილი მივეხე, მივეც ლახვართა სობასა,
თავსა გარდაეჰკარ, მო-ცა-ვკალ, დავხსენ სოფლისა თმობასა."

ტარიელი კლავს "ლომს" და ზურგს აქცევს მას, ანუ საბოლოოდ ამბობს უარს ძველი ცხოვრების წესზე".[38]

ხოლო რაც შეეხება "ყარყუმს" - ეს ცხოველი სუფისტურ სიმბოლიკაში, მის კოდირებულ გათვლაში უფრო წინწასულ სუფისტურ სიბრძნეს გამოხატავს, ვიდრე ვეფხვი, და აი, რატომ... ვნახოთ, რა ასოციაციებს იწვევს მკითხველში კონკრეტული სახე-სიმბოლო "ყარყუმი"?

აი, რას წერს ყარყუმის თაობაზე ცნობილი რუსი ნატურალისტი, ფოტოხელოვანი და მწერალი, პროფესორი ე. პესკოვი შესანიშნავ ნარკვევში "მომხიბვლელი მკვლელი": "ყარყუმს ბუნებაში არაერთხელ შევხვედრივარ... და ყოველთვის მაოცებდა მისი საკვირველი

ცნობისმოყვარეობა, დაუღგრომლობა და უშიშარობა... იგი ადაპტაციის განსაკუთრებული უნარითაა დაჯილდოებული - ევრაზიის კონტინენტზე მას ყველგან შეიძლება შევხვდეთ: მდინარეთა ხეობებში, ტბისპირა ლაქაშებსა და წიწვოვან ტყეებში, მაღალმთიან (ზღვის დონიდან 3-4 ათას მეტრ სიმაღლეზე მდებარე) რაიონებსა და თვალუწვდენელ სტეპებში, სადაც მრავალ ასეულ კილომეტრზე ერთ ბუჩქობსაც კი ვერ ნახავთ; ხალხმრავალი, მჭიდროდ დასახლებული სოფლების სიახლოვესაც, და უდაბურ, სრულიად უკაცრიელ ადგილებშიაც... ყველაზე ხშირად კი მას მაინც ქვაყრილებსა და ძველ შენობათა ნანგრევებში წააწყდება კაცი... ყარყუმის გარეგნობა - თვით ფიზიკური ჰარმონიულობის, დახვეწილობისა და სინატიფის განსახიერებაა: ტანგრძელი, გველივით მოქნილი და გასაოცრად სხარტი, იგი თვალშეუვლები სისწრაფით დაძვრება ხვრელებსა და სოროებში, ხის ფუღუროებში, ელვასავით გაკრთება ხოლმე ლაქაშებსა და ბუჩქნარში, რიყეზე გაფანტულ ლოდებს შორის... მოკლედ, მისთვის გადაულახავი წინააღმდეგობა არ არსებობს! ყარყუმი შესანიშნავად დარბის, ხტუნავს დაძვრება და დაცოცავს, ბრწყინვალედ ცურავს, ერთია - არ დაფრინავს მხოლოდ!

მას ერთი წამითაც ვერ ნახავთ უმოძრაოდ: მაშინაც კი, როცა ერთ ადგილზეა გაჩერებული, მოძრაობს მისი ნატიფი თავი, მოძრაობენ პატარა შავი თვალები, ყურები, ცხვირი... ერთი სიტყვით, იგი სრულად ფლობს და აკონტროლებს სიტუაციას. ამასთან მთელი მისი სხარტი სხეული ერთიანად შემართული და მობილიზებულია, რათა, საჭიროების შემთხვევაში, ელვისებური სისწრაფით შეიცვალოს ადგილი, თვალს მიეფაროს, გაქრეს, ან... პირიქით, იერიში მიიტანის მოწინააღმდეგეზე!... ეს პატარა მტაცებელი - მართლაც რომ უბადლო, ზღვარდაუდებელი შესაძლებლობების მქონე მონადირეა: თაგვებსა და ვირთაგვებს, მასთან შეხვედრისას, პრაქტიკულად, გადარჩენის არავითარი შანსი არა აქვთ - ყარყუმი ადვილად ეწევა და თვალისდახამხამებაში უსწორდება, და არა მარტო მათ, არამედ ნებისმიერ სხვა მღრღნელსაც - კურდღლის ჩათვლით! შეუძლია, ახტეს და ჰაერში სტაცოს პირი საკმაოდ მაღლა აფრენილ ფრინველს (მაგალითად, როჭოს)! და ეს მაშინ, როცა თვითონ მისი სიგრძე სულ რაღაც 32 სანტიმეტრია კუდის ჩათვლით, კუდი კი... 10 სანტიმეტრის სიგრძისა აქვს!!!

თუმცა ეს მხეცუნა უპირატესობას თბილსისხლიან ცხოველებს ანიჭებს, იგი არც ცივსისხლიანებზე - ხვლიკებზე, ბაყაყებსა და გველებზე ამბობს უარს; ხშირად იტკბარუნებს პირს მწერებით, ფრინველის კვერცხებითა და კენკრითაც კი... ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ ყარყუმი არასოდეს რჩება მშიერი. და მაინც: ნანადირევის ნაწილს (აბა, რად უნდა მთელი კურდღელი ან როჭო ამ ციცქნას!) იგი ხშირად სამალავებში ინახავს. ერთი კია - თვითონ იშვიათად უბრუნდება ამ სამალავებს (?!).

ნატურით "პატარა მზეთუნახავი" ნამდვილი მაწანწალაა: მისი სანადირო სავარგულის საზღვრების დადგენა პრაქტიკულად შეუძლებელია!

...აი, გარეგნობა კი მას, როგორც უკვე ვთქვით, მართლაც ბრწყინვალე აქვს. მარტო მისი ბეწვი რად ღირს! მართალია, წელიწადის უმეტეს ნაწილს იგი დამცავი (მოყდალომურა) ფერის "ყოველდღიურ ტანსაცმელში" გამოწყობილი ატარებს, მაგრამ, სამაგიეროდ, ზამთარში იმოსება ულამაზესი, თოვლივით თეთრი "საზეიმო" ქათიბით, რომელსაც... ნახშირივით შავი კუდის რიკი ამშვენებს! ერთი შეხედვით, ეს შავი ლაქა თითქოს ცუდად ხვდება თვალს, უაზროდაც კი გამოიყურება საერთო თეთრ ფონზე, მაგრამ ბუნებაში შემთხვევით არაფერი ხდება - ამ შავი კუდის რიკს ყარყუმი მდევრის დასაბნევად იყენებს (იშვიათად, მაგრამ ზოგჯერ მასზედაც ნადირობენ!): უკანასკნელ მომენტში გააქნევს ამ შავრიკა კუდს ერთ მხარეს, თვითონ მეორე მხარეს გადახტება, და წამის მეასედიც მოგებულია, ე.ი. გადარჩენილია სიცოცხლე! კიდევ ერთხელ - გადარჩენილია...".[209]




სპეციალური გამოთქმებით სიტყვა "ყარყუმი" მოგვცემს შემდეგ ცნებებს: "ძირი", "საძირკველი", "საფუძველი", "საყრდენი", "დასაყრდენი"...

არაბულ სამყაროში ტიტულს "რწმენის (და)საყრდენი" - გნებავთ, "სარწმუნოების (და)საყრდენი" ატარებდნენ სუფიურ ორდენთა წინამძღვრები (შეიხები), მოგვიანებით კი - ის სასულიერო მოღვაწეები და

თეოლოგებიც, რომელთაც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით შესაბამისი სარწმუნოების წინაშე.

პირველი ასეთი მოღვაწე გახლდათ დიდი ალ-ღაზალი (იგივე "ალ-ღაზელი", "ალ-გაზელი") - ყველა დროის უდიდესი სუფია, ბრწყინვალე პოეტი, გამოჩენილი სჯულმდებელი, თეოლოგი და ფილოსოფოსი. სწორედ მან შეძლო, ისტორიაში პირველმა, სუფისტური მოძღვრების შესაბამისობაში მოყვანა ორთოდოქსულ ისლამთან, მათი ურთიერთი "მორიგება", "შერიგება" და "შერწყმა". ვფიქრობ, მკითხველისათვის უინტერესო არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ **ალ-ღაზალი - დავით აღმაშენებლის თანამედროვე გახლდათ** (მისი ცხოვრების წლებია 1058-1111 წ.წ.). სუფიზმის ისლამთან "შერწყმა-შერიგება", ანუ მისი კანონიზირება კი მხოლოდ XI-XII საუკუნეების მიჯნაზე მოხერხდა, მანამდე, ანუ XII საუკუნემდე სუფიზმი ორთოდოქსული ისლამის მიერ განიხილებოდა, როგორც ერესი, მწვალებლობა ("ფარული ქრისტიანობა"!) და აშკარად იდევნებოდა მუსლიმანური ინკვიზიციის მიერ.

ასოციაციების სისრულისათვის აუცილებელია, გავითვალისწინოთ, აგრეთვე, ყარუქის თეთრ-შავი შეფერილობა და გავიხსენოთ, რომ არსებობს "ფერთა სუფიური სიმბოლიკაც", რომლის შესახებ ჯერ თითქმის არაფერი გვითქვამს..." (ბეწვის სითეთრე (სისპეტაკე) და სიშავე (სიბრძნე), მამრისა და მდედრის ჰარმონიულ შერწყმას განასახიერებდა)...[20]

ბეწვის სითეთრისა და სიშავის "ფონზე" ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ აღმოსავლეთში ყოველი მოვლენა სამყაროს საპირისპირო ძალების - "ინ"-ისა და "იან"-ის მარადიულ ჭიდილზე მეტყველებდა. "ინ"-ი და "იან"-ი პირველადი კოსმიური ძალები და ყოფიერების საპირისპირო პოლუსებია: "ინ"-ი შავ, უარყოფით, პასიურ, ქალურ საწყისსა და სიბრძნეს, ხოლო "იან"-ი - თეთრ, დადებით, ქმედით, მამაკაცურ საწყისს, სიწმინდეს, რწმენას, საზოგადოდ სარწმუნოებას განასახიერებს.[21]

"ინ"-ისა და "იან"-ის, შავისა და თეთრის ჰარმონიული შერწყმა ფილოსოფიურ კატეგორიას წარმოადგენს და იგი სამყაროს "არსს", "აზრს", "ლოგოსს", გონებას", "უზენაესს" ("ღმერთს"), "სამყაროს კანონს", "შემოქმედ პრინციპს", "პირველ მიზეზს" და სხვ. განასახიერებს.

სუფიურ ფერთა სიმბოლიკიდან განვიხილოთ კიდევ ერთი ფერი, რომელსაც შოთა რუსთაველის წამოსასხამის აღწერისას შევეხეთ - **მეწამული**, ანუ ძოწისფერი. მას შეესაბამება ცნება "ცხოვრება" (ამ სიტყვის ფართო გაგებით), თავის მხრივ ცნება "ცხოვრებას" შეესატყვისება "ოკეანე", "ზღვა", რომელიც ძველი არაბი სუფიების წარმოდგენით მეწამული ფერისაა... ცნება "ზღვა", "ოკეანე" იგივეა, რაც ჩვენში, "მორევი", "ორომტრიალი" (ცხოვრების მორევმა "ჩაითრია", "ცხოვრების ორომტრიალში ჩავები" და ა.შ.)... აქ სახეზეა ძალიან საინტერესო ფერთა ტრიადა:




"იდიოტის" პორტრეტი.

"თეთრი-შავი-მეწამული". ფერთა ეს ტრიადა ჩვენი მკითხველისათვის უთუოდ ნაცნობია. დიახ, ეს ჩვენი ახლანდელი ეროვნული დროშის ფერებია და ეს "დამთხვევა" სრულიადაც არ არის შემთხვევითი... ცნობილია რომ ეროვნული სიმბოლიკის (დროშა, ღერბი) შექმნა-შემუშავებაში მონაწილეობდნენ ივ. ჯავახიშვილი, ექვ. თაყაიშვილი და იაკობ ნიკოლაძე. ამ ფერთა შეხამებაში ჩადებული აზრი ცხოვრებისეული გზა? - ეს ინდივიდის, ადამიანის, ქვეყნის ჰარმონიული სულიერი, ფიზიკური და გონებრივი თვითგანვითარების, უზენაესთან (ღმერთთან) მისი მიახლოების გზაა; ამისათვის აუცილებელია, სიბრძნისა (შავი) და რწმენის (თეთრი) გაერთიანება და ურთიერთშერწყმა, რადგან სიბრძნე რწმენის, უზენაესის (ღმერთის) სიყვარულის გარეშე - უდიდეს ბოროტებად შეიძლება იქცეს; რწმენა სიბრძნის გარეშე ფრთამოტეხილ ფრინველსა ჰგავს: იგი სუსტია, ძალა-დაშრეტილი (რადგან სიბრძნე ძალაა)... ამრიგად, რწმენა ("თეთრი") - უპირველესი და აუცილებელი პირობაა ადამიანური არსებობისა, მაგრამ, ეს მაინც არაა საკმარისი, რადგან მხოლოდ რწმენის ამარად დარჩენილი კაცი ის ადამიანია, რომელსაც აქვს "სმენა" ("გულისყური"), მაგრამ არა აქვს "მხედველობა" ("თვალსაწიერი", "გონების თვალი"), რასაც სიბრძნე ("შავი") წარმოადგენს. მხოლოდ

რწმენისა და სიბრძნის ჰარმონიული შერწყმითაა შესაძლებელი გაიაროს პიროვნებამ (ქვეყანაში) ცხოვრებისეული გზა (მეწამული). აკეთოს კეთილი საქმე და მიუახლოვდეს უზენაესს....

გავბედავ, და მეტსაც ვიტყვი: ჩემი ღრმა რწმენით, დღეს ჩვენი დროშა ის "სავიზიტო ბარათია", რომლის წინაშეც ყველა კარი იღებოდა, იღება და კვლავაც გაიღება - თუკი მას. რაღა თქმა უნდა, ღირსეული პატრონიც ეყოლება ქართველი ერისა და საქართველოს მთავრობის სახით".[212]

ახლა უკვე გასაგებია, თუ რატომ შეაჩერეს სუფიებმა თავიანთი ყურადღება ამ ფერებზე; ისიც ნათელი ხდება, თუ რატომ დაიმკვიდრა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ცხოველთა სუფიურ სიმბოლიკაში ყარყუმმა.

ყარყუმი ასევე გამოსახულია ძველბერძნულ ტაროს ნიშანში - "იდიოტი", სადაც იგი ასევე "ძირის", "საძირკველის", "საფუძვლის" ცნებებს გამოხატავს, ხოლო გველი მის წინ - "იდიოტის" სიბრძნეს (იხ. სურათი). "იდიოტის" სული წმინდაა, სუფთაა და ამიტომაა იგი შიშველი; იგი "ბეწვმოსილია" ("ტყავოსანია") - მწირი, ანუ ყარიბი მაძიებელი. თავს გვირგვინი უმშვენებს, ერთ ხელში კვერთხი, ანუ არგანი უჭირავს (იგი ჭეშმარიტების ძიების გზების მეფეა), ხოლო მეორე ხელში ყურძნის მტევანი - ჭეშმარიტ სიყვარულთან მიახლოების საშუალება. აი ასეთია "იდიოტის" სუფიის მიმდევარის ფილოსოფიური სახე.

ცხოველთა სუფიურ სიმბოლიკაში ყარყუმზე უფრო მაღალი ცხოველური სიმბოლოც არსებობს, ესაა აქლემი, რომელიც უდაბნოში (ანუ ცხოვრების მეტად მძიმე პირობებში) ცხოვრობს. იგი გამძლე, განდეგილი, ძლიერი, უდრეკი, მშვიდი, ამასთანავე მებრძოლი ცხოველია. ამ ქვეყანაზე აქლემის მსგავსი ცხოვრების წესს მხოლოდ ერთეულები თუ შეძლებენ და მის ტყავში გახვეულნი - "აქლემისტყაოსნები" - უმაღლესი სუფისტური სიბრძნის წარმომადგენლები იყვნენ (ასეთი იყო, მაგალითად, იოანე ნათლისმცემელიც, რომელიც სულ აქლემის ტყავშემოსილი დაიარებოდა და ასწავლიდა...)...

აი, მოკლედ იმის შესახებ, თუ რას ნიშნავდა სიტყვა რაინდი საქართველოში, შუა საუკუნეებში, როგორი ეზოთერული გაგებით სარგებლობდა იგი ფერთა სიმბოლიზმის ხელოვნებაში და სუფიურ ფილოსოფიაში.

# დიდებულთა საბრძოლო აღზრდის მეთოდები

*"...რას გარგებს სწავლულება,*
*თუ არა იქმ ბრძენთა იქმულსა:*
*არ იხმარებ, რას ხელსა ახლო*
*საუნჯესა დაუმარხულსა?"*

*შოთა რუსთაველი*

როგორი საბრძოლო სისტემა გააჩნდა ქართველ თავადაზნაურთა ელიტას, რა მეთოდების საშუალებით აღწევდნენ ისინი საბრძოლო თუ ფსიქო-ფიზიკური წვრთნის ასეთ მაღალ დონის შენარჩუნებას? რას მოიცავდა დიდებულთა საბრძოლო ხელი?

დიდებულთა საბრძოლო და ფიზიკური აღზრდის შესახებ ინფორმაცია მოცემულია შუა საუკუნეების ქართულ ლიტერატურასა და იდეოლოგიურ მოძღვრებებში; ყველაზე სრული სახით ეს სისტემა წარმოდგენილია შოთა რუსთაველის "ვეფხისტყაოსანში", არჩილის "საქართველოს ზნეობანში".

ბევრმა ქართველმა მეცნიერმა, ეთნოგრაფმა თუ საბრძოლო ხელოვნებების მკვლევარმა საინტერესო შრომებიც კი მიუძღვნა ამ თემას, მათზე დაყრდნობით შესაძლებელი ხდება ჩამოთვლილის ის ზნეობრივი თუ ფიზიკური დისციპლინები, რაც ქართველ ახალგაზრდა თავადს უნდა შეეთვისებინა 5-დან 15 წლამდე.

**ფიზიკური და საბრძოლო აღზრდის დისციპლინა**: ცხენოსნობა თავისი მრავალი ქვესახეობით, მშვილდოსნობა, ფარიკაობა, შუბის ტყორცნა, თოფის სროლა (მოგვიანებით), მეჭსათობა (ანუ ჯამბაზობა), რბენა, ცურვა, ნავის მართვა, ხტომა, ქვის გდება, ჭიდაობა, ისრის და მშვილდის დამზადება და სხვა.

**ნადირობის ჩვევების აღზრდა**: მორეკილი ნადირისათვის ალყის შემორტყმა, ყვირილობის დროს ირემზე ნადირობა, ღამით ნადირობა ტახზე, ისრით და თოფით ნადირობა, ჯიხვზე (ვეძაზე) ნადირობა გავაზით (ძაღლით), ნადირობა კურდღელზე, ფრინველზე შევარდენით, ქორით, მიმინოთი და მწყერით, თევზაობა და სხვა.



პატარა თავადი.

**სასპარეზო-სათამაშო აღზრდის სისტემები**: ჩოგან-ბურთი, ანუ უბრალოდ ბურთაობა: გორდი, რიდრაბაგანი და ყაბახი, ჭადრაკის, ნარდის, ყუმარით (კამათლით) თამაში, ხარდოთლის (კოჭის) გორება, ნაღხის (კარტის) და განჯაფის თამაში, ჩოგანისა და ბურთის დამზადება და სხვა.

**მწიგნობრობა-ფილოსოფიისა და ხელოვნებათა აღზრდის სისტემა**: ზნეობრიობა, წერა-კითხვა, ანგარიში, სხვადასხვა მეცნიერება, მგოსნობა, არტისტობა, მსახიობობა, ცეკვა, სიმღერა, ნადიმობა და სხვა.

როგორც ვხედავთ, ძალიან ბევრი რამ უნდა შეეთვისებინა ქართველ ჭაბუკ თავადს. იგი არა მხოლოდ ფიზიკურად, არამედ სულიერად და გონებრივადაც ძლიერი უნდა ყოფილიყო. ასეთი მრავალმხრივი და რთული სკოლა სამშობლოს დამცველ ღირსეულ რაინდებად ჩამოაყალიბებდა მათ.

ზნეობრივი აღზრდა სწავლების ერთ-ერთ მთავარ, საყრდენ ნაწილს წარმოადგენდა. "ზნე" მეფე არჩილის მიხედვით არის უპირატესად საჭირო, დადებითი თვისებებისა და ჩვევების ქონა; ხოლო სულხან-საბა ამ სიტყვაში აერთიანებს, როგორც დადებით, ასევე უარყოფით ჩვევებს: "ჩვეულებით რაიცა საქმე სჭირდეს, კეთილი და ბოროტი, ზნე იგი არს", ამბობს იგი.[21] არჩილი "ზნეში" აერთიანებდა "ზნეობის" იმ



დიდებულთა ჯგუფი.

აუცილებელ წესებსაც, რომელსაც უნდა ფლობდეს საზოგადოების ყოველი ღირსეული წარმომადგენელი."[18]

არჩილის "საქართველოს ზნეობანში" გაშუქებულია თავადაზნაურთა საბრძოლო აღზრდის სხვადასხვა მხარე და ნაჩვენებია დიდებულთა საზოგადოების მორალი. დიდებულთათვის აუცილებელი იყო სისტემატიური ფიზიკური წვრთნა. მათთვის სამხედრო დაოსტატებას უაღრესად დიდი, მამულისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. თავადი არა მარტო მხედართმთავარი, არამედ კარგი მეომარიც უნდა ყოფილიყო. ყოველივე ამას ემსახურებოდა სამხედრო ზნეობა, თავისი კანონებითა და თავადთა ხელშეუხებლობით, რაც დიდებულთა საზოგადოების უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა.

დიდებულთა რაინდული, საბრძოლო აღზრდის სისტემა შედგებოდა ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური მომზადებისაგან, ფიზიკური ვარჯიშებისაგან, საბრძოლო წვრთნებისაგან, თამაშებისა და ასპარეზობისაგან.

ქართველი დიდებული იდეალური მებრძოლი და რაინდი იყო. მრავალი ათეული საუკუნის განმავლობაში ყალიბდებოდა და იხვეწებოდა ეს პროფესიულ მეომართა კასტა, საბრძოლო ხელოვნების წარმომადგენელთა ელიტა, რომელიც პირუთვნელად ემსახურებოდა ერის ზნეობას. თანდათან იზრდებოდა ძალაც და მრისხანებაც, ეყრდნობოდა რა რაინდული კოდექსის იმ დოგმებს, რომლებიც ჩამოყალიბდა მრავალსაუკუნოვანი ბრძოლებისა და შეტაკებების შედეგად. დიდებული სიყრმიდანვე უშიშარი რაინდი - მზად იყო ყოველთვის, ნებისმიერ წუთში დამდგარიყო სამშობლოს სადარაჯოზე და საკუთარი თავი მისთვის გაეწირა. საბრძოლო წრთობის დროს უკანა პლანზე გადადიოდა სიყვარულიცა და სიძულვილიც, სინაზეცა და სიბრალულიც, შიშიცა და აღფრთოვანებაც, ანუ ყველა ის ადამიანური თვისება, რომელსაც მეომარს ასევე ეძიებდნენ ფილოსოფიით და პოეზიით. საბრძოლო ფილოსოფია უკეთ შეითვისებოდა ლხინის ხელოვნებების დახმარებით. ფიზიკური სრულყოფა, მორალური სიწმინდე, ზრახვათა სიდიადე - ასეთად წარმოგვიდგება ჩვენი წინაპარი - შუა საუკუნეების ქართველი რაინდი.

ამგვარ რაინდებზე ათასი ლექსი და თქმულება დაწერილა. მათში ჩანს ხალხის სიყვარული მეფეებისა თუ სხვა ერთგული გმირებისადმი. ისინი გვაგრძნობინებენ წარსული ეპოქის სულისკვეთებას და გარდასულ დროთა მაჯისცემას. მაგალითისათვის მოვიყვანოთ მე-V საუკუნის ქართლის მეფის ვახტანგ გორგასალისადმი მიძღვნილი ლექსი. როგორც ისტორიიდან გვახსოვს, მეფე ვახტანგ გორგასალი იყო გოლიათური აღნაგობის, თავისუფლების მოყვარე, ძლიერი და გულადი რაინდი. თავისი შეუდრეკელი ხასიათის გამო ხალხს განსაკუთრებით უყვარდა ვახტანგი:

"ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა,
ციდან ჩამოესმა რეკა,
იალბუზზედ ფეხი შედგა,
დიდმა მთებმა იწყეს დრეკა,
ალანებში გადავიდა,
ჩერქეზები გადარეკა".

ან კიდევ:

"ხალხმა თქვა ვახტანგისამა:
"ბევრი მინახავს ომია,
ათასი შუბი და ხმალი
ბევრჯერ პირისპირ მდგომია,
მაგრამ არცერთხელ ჩემს პატრონს

ეკალ არ დაუხევია,
დაუკრავს, რკინის პერანგი
გაუკვეთ-დაუხევია".

სიამაყით უნდა გავიხსენოთ, აგრეთვე, საქართველოს დიდი მეფე დავით აღმაშენებელი. დაინამდვილეს რა დავით აღმაშენებლის უბადლო მხედართმთავრული ნიჭი და მისწრაფება, რაც მის მოწინააღმდეგეებს კარგს არას უქადდა, თითქმის მთელი აღმოსავლეთის მაჰმადიანური ქვეყნები გაერთიანდნენ და დაიძრნენ, რათა პირისაგან მიწისა აღეგავათ ქართველთა მოდგმა. 1121 წლის აგვისტოში დიდგორის ველზე მოხდა სასტიკი ბრძოლა; ეს იყო ქრისტიანული და მუსულმანური სამყაროს შეჯახება; გამარჯვება წილად ხვდათ ქართველებს — გაიმარჯვა ქართველთა ფიზიკური და საბრძოლო აღზრდის სკოლამ და მისმა სტრატეგიამ.

ქართველ დიდებულ რაინდთა შორის ასევე გამორჩეული იყო თბილისის დიდი მოურავი გიორგი სააკაძე. 1625 წელს, გიორგი სააკაძის მეთაურობით, მარაბდაში მოხდა სისხლისმღვრელი ბრძოლა. მარაბდის ომში 9 ათასი ქართველი და 14 ათასი სპარსელი გაიწყვიტა. ამ ბრძოლაში ქართველთა ლაშქარი დამარცხდა, მაგრამ არ შედრკა გიორგი სააკაძემ ანაზდეული თავდასხმებით მტერი აიძულა, უკუქცეულიყო. დიდი მოურავი რომ არა, საქართველოს გათათრება არ ასცდებოდა. და ვაჟაც ამნაირ გმირებსა და რაინდებს იხსენებს თავის ლექსში:

"ცალკერძ შენა ხარ და შენს პირდაპირ
მეორე სახე მე მეხატება
შენის ქვეყნისა საქართველოსი.
რამდენი ფიქრი მწვავს, მებადება:
თუ ვერ ვიგუებთ, ვერ შევიფერებთ,
კარგი შვილები რად გვებადება?"

თავადაზნაურთა საასპარეზო ნიჭიერების განვითარებისათვის არსებობდა "მუშაითობის" და "თამაშობათა" მეთოდები.

მუშაითობა შეიცავდა ცხენჯირითულ და აკრობატიულ ვარჯიშებს, ხოლო თამაშობა კი შედგებოდა ექვსი სახეობისაგან: ასპარეზობა, მგერა, ფუნდრუკი, ხუნტრუცი, როკვა და შექცევა. ასპარეზობა შედგებოდა საცხენოსნო-საბრძოლო თამაშობებისაგან: ყაბახი, ჯირითი, - რომელსაც შემდგომში ისინდი ეწოდა, - ჩოგანი (ახლა ცხენბურთი), გარდი, რადრაბაგანი (ცხენბურთის ნაირსახეობაა) და მშვილდოსნობა, მგერა, ანუ ტყორცნები და მაგიდის თამაშობანი: ნარდი და ჭადრაკი.

ფუნდრუკი იმ ფიზიკურ ვარჯიშთა ნაკრები იყო, რომელიც თანამედროვე მძლეოსნობის საფუძველს წარმოადგენს, ტყორცნების გარდა; ხუნტრუცი იგივე ფუნდრუკია ქალთათვის განკუთვნილი; როკვა სხვადასხვანაირი ფერხულებისაგან შედგებოდა და ეს ფერხულები მუსიკის თანხლებით სრულდებოდა; ასევე მღერა და, ბოლოს შექცევა, რომლებიც გართობებისა და თავშესაქცევებისაგან იყო შედგენილი. ქართველ მეცნიერებს: ვ. ელაშვილს, ა. ციბაძეს, გ. კახიძეს და სხვ. განხილული აქვთ ეს სისტემები, სადაც თვალნათლივ წარმოგვიდგება მათი შინაარსი და თანმიმდევრობა.



დიდებულ მეომართა რაზმი.



[illegible] თავადი. XII საუკუნის ქართული მინიატურა.

თავადი ხნაურთა საბრძოლო წრთობისა და აღზრდის [illegible] მეთოდები მშვენივრადაა აღწერილი შოთა რუსთაველის "ვეფხისტყაოსანში". მასში მოყვანილი [illegible], ბურთით თამაშობანი, ცხენზე ჯირითი, მშვილდოსნობა, რბოლა, შუბის ტყორცნა, ჭამბაზობა (მუშათობა), ფარიკაობა და სხვა, რომელთა შორის განსაკუთრებით ნადირობა გამოირჩეოდა.

საბრძოლო თამაშობანი იმართებოდა მისთვის განკუთვნილ მოედნებზე. საცხენოსნო რბოლები ეწყობოდა გზატკეცილებზე, სადაც "...ცხენსა შარა გრძელი და გამოსცდის დიდი რბევა".

ეს საბრძოლო თამაშობანი და ცალკეული ფიზიკური ვარჯიშები მისაწილე[illegible] დიდ ფიზიკურ მომზადებასა და გაწვრთნილობას ითხოვდა, ასევე ბურთით თამაშისას. [illegible] ფიზიკური მოქნილობა [illegible] კი არაა ნათქვამი: "ხელმარჯვე სცემდეს [illegible] დიდი გმირობა".

1627-1654 წლებში საქართველოში მყოფმა მისიონერმა და სწავლულმა, იტალიელმა [illegible] კონსტანტინო დე კასტელმა ასე აღწერა ქართველთა თამაშობანი: "...ქართველების თამაშობას, რომელიც სიმკვირცხლესა და სილაღეს მოითხოვს. მათ [illegible] თავის ხმარება, როცა ისინი საბრძოლველად ან ცხოველებზე სანადიროდ მიდიან [illegible] ...ვიცი რა ქართველი მეფის სასახლე ქალაქში ქუთაისში, ცხენით ბურთაობა მინახავს..." (იხ. სურათი). ცხენბურთში დახელოვნებას კასტელი ქართველთა ბუნებრივი სიმკვირცხლის გამოხატულებად თვლის: მისი შენიშვნით, ჩოგანმამარჯვებული მხედრები ისეთი გატაცებითა და თავგანწირვით თამაშობდნენ, რომ მაყურებლებიც ვერ იკავებდნენ თავს უაღრესი დაძაბულობისაგან. კასტელის ყაბახის სურათს ასეთი წარწერა აქვს: "...შეხეთ ამ მხედრის სილამაზესა და სიმკვირცხლეს, რა შესანიშნავად აჯირითებს ცხენს". ეს არის ცხენდაცხენ თერთმეტი მეტრის სიმაღლეზე დადებული სანიშნის ძვირფასი ლითონის თასის, ისრით ჩამოგდება[26] (იხ. სურათი).



თავადი ირემზე ნადირობისას. ნახატი კ. კასტელისა.

როგორც "ვეფხისტყაოსნიდან" გვახსოვს, რაინდი ნურადინ-ფრიდონი მშვენიერი მუშაითი იყო. მას ბავშვობიდანვე წვრთიდნენ საბრძოლო ხელოვნებებში და, განსაკუთრებით, ჯამბაზობაში, რომელსაც იმდროინდელ საქართველოში მებრძოლის აღზრდაში ძალიან მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. უძლეველი მეომარი იყო ფრიდონი, როგორც ბაგირზე, ასევე ცხენზე, მიწაზე თუ წყალში. ასე ქ ყვება იგი თავის საბრძოლო აღზრდის ისტორიას:

"ნემსა სიმცროსა გამზრდელნი სამუშაითოდ მზრდიდიან,
მასწავლნეს მათი საქმენი, მახლტუნეებდიან, მწვრთიდიან;
ასრე გავიდი საბელსა, რომ თვალნი ვერ მომკიდიან,
ვინცა მჭვრეტდიან ყმაწვილნი, იგაცა ინატრიდიან"

(შ. რუსთაველი. "ვეფხისტყაოსანი", სტრ. 1394).

"აბჯრითა გავლა არად მინდა ჭირად, გატანა ფარისა;
შიგან ჩავხლტები კისკასად, ვეცემი მხვავსად ქარისა,
ლაშქართა დავახოც, გავახვამ, ნახოთ გალება კარისა!
თქვენცა მუნ მოდით, სადაცა გესმას ზრიალი ზარისა".

(სტრ. 1396)

დიდებულთა საბრძოლო აღზრდაში ერთ-ერთი მთავარი ადგილი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნადირობას ეკავა. კ. კასტელი ამბობს: "ყველა ქართველი მონადირეა და ნადირობაში იყენებენ ფრინველსაც. კოლხეთის მეფეს 96 სხვადასხვა ჯიშის მონადირე ძაღლი გამოჰყავდა სანადიროდ". ამ დისციპლინაში შედიოდა მეჯინიბეობაც. დიდებულს უნდა სცოდნოდა ცხენის მოვლაც, მხედრობაც და სარდლობაც. გავიხსენოთ, თუ რა მონადირე და რაინდი იყო ავთანდილი, რა მხედარი და მშვილდოსანი ერთდროულად; ნადირობისას როგორ გაიტაცა მან როსტევან მეფე. მათ მიერ დახოცილ ნადირთა დათვლის შემდეგ მსახურებმა ასე მოახსენეს მეფეს:

"ორთავე ერთგან მოკლული ყველაი ასჯერ ოცია,
მაგრა ავთანდილს ოცითა უფროსი დაუხოცია;
არ დასცთომია ერთიცა, რაც ოდენ შეუტყორცია,
თქვენი მრავალი მიწითა დასვრილი გაგვიხოცია"

(შ. რუსთაველი, სტრ. 81).

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის შიდა ენერგეტიკული ვარჯიშები, რომლის საშუალებითაც მეომარნი ივითარებდნენ სიმტკიცეს. მაგალითისათვის საკმარისია "ვეფხისტყაოსანში" მოყვანილი ეპიზოდი, სადაც ტარიელი შიშველი ხელით ამარცხებს ლომებსა და ვეფხვებს. გავიხსენოთ როგორ აღწერს რუსთაველი ამ ეპიზოდს (იხ. სურათი):

"ხმალი გავტყორცნე, გარდვიჭერ, ვეფხი შევიპყარ ხელითა;
მის გამო კოცნა მომინდა, ვინ მწვავს ცეცხლითა ცხელითა;
მიღრინვიდა და მაწყენდა ბრჭალითა სისხლთა მღვრელითა,
ველარ გავუძელ, იგიცა მოვკალ გულითა ხელითა"

(სტრ. 911).

რა კუნთური ძალაც არ უნდა გააჩნდეს მეომარს, ვეფხვის მოკვლა მხოლოდ "...გულითა ხელითა" შეუძლებელია; ამ გახელებულ გულს ალბათ კოსმიური ძალა აქვს. არ გაგიკვირდეთ ეს გამონათქვამი, რადგანაც პოემა "ვეფხისტყაოსანი" მთლიანად კოსმოსითა და ვარსკლავთმეტყველებითაა გაჟღენთილი, რასაც მრავალი ქართველი მეცნიერის გამოკვლევა მიგვანიშნებს: - ვ. ნოზაძე, ზ. გამსახურდია, გ. თევზაძე, არაბული და სხვები. ბ-ნი ვიქტორ ნოზაძე თავის "ვეფხისტყაოსნის ვარსკლავთმეტყველებაში" წერს: "...ცის ცოდნა სჭირდება მონადირესა და მწყემსსა, მიწის მოღვაწეს და მეზღვაურს, სასულიერო პირს და ერის კაცს, რადგან ცასთანაა გადაბმული ბუნება და ადამიანის ცხოვრება. ზემოთის, ზესთან, ზემოთ მყოფის, ცის და ვარსკლავთა გაგება ამავე დროს ბუნების გაგება და ადამიანის ცხოვრების ახსნაც უნდა ყოფილიყო. აი ამ გაგება-ახსნასთან დაკავშირებით წარმოიშვა ასტრონომია და მასთან ერთად დაიბადა ასტროლოგიაც, ძველთა და შუა საუკუნეთა მანძილზე გაბატონებული ტყუპი მეცნიერება"[218] (იხ. სურათი "ცათა სფერონი ს.ს. ორბელიანის ლექსიკონიდან).



ჩოგანბურთი.
ნახატი კ. კასტელისა.

თავადაზნაურთა საბრძოლო აღზრდაში არც გონიერების, სიბრძნისა და სიყვარულის შეძენის ხელოვნება იყო მივიწყებული.

რუსთაველი თავის ნაწარმოებში ძალიან ხშირად ხმარობს სიტყვა "მიჯნურს": "მომეც მიჯნურთა სურვილი, სიკვდილამდე გასატანისა" (სტროფ. 2); "...დავუძლურდი, მიჯნურთათვის კვლა წამალი არსით არი" (სტრ. 8); "კვლა მიჯნურსა მიჯნურობა უყვარდეს და გამოსცნობდეს, არცა ვისგან დაიწუნოს, არცა სხვათა უწუნობდეს" (სტრ. 11);

"ვთქვა მიჯნურობა პირველი და ტომი გვართა ზენათა,
ძნელად სათქმელი, საჯირო გამოსაგები ენათა;
იგია საქმე საზეო, მომცემი აღმაფრენათა;
ვინცა ეცდების, იმედიცა აქონდეს მრავალთა წყენათა."

"ვთქვა მიჯნურობა პირველი"... რომელ პირველ მიჯნურობაზეა საუბარი? ეს სიტყვაც სულ რამდენჯერმე არის ნახმარი, როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, "ვეფხისტყაოსანში" ცნებები, სახელები, ადგილები კოდირებულია.

"მიჯნურსა თვალად სიტურფე მართებს, მზრა ვითა მზეობა,
სიბრძნე, სიმდიდრე, სიუხვე, სიყმე და მოცალეობა,
ენა, გონება, დათმობა, მძლეთა მებრძოლთა მძლეობა,
ვისცა ეს სრულად არა სჭირს, აკლია მიჯნური ზნეობა".

(სტრ. 23).



ყაბახი ქუთაისში.
ნახატი კ. კასტელისა.

23-ე სტროფში მიჯნური საღვთო სახელის მფლობელია, ანუ ამ სახელის მატარებელი - ბრძენია, რომლისთვისაც "თვალად სიტურფე" სულის სილამაზე, "სიბრძნე"; "სიუხვე" - უხვი ამ სიბრძნისა და ცოდნის გაზიარებაში; "სიმდიდრე" სულით მდიდარი და ამაღლებული; "სიყმე" - ახალგაზრდული სული, რომელიც არ ბერდება, არ ჩანაცვლდება; "მოცალეობა" ცხოვრებისეული პრობლემებით დამძიმებულმა ადამიანმა სრულყოფილი მიჯნურობისათვის იქნებ კიდევ გამონახოს დრო, მაგრამ **სიბრძნის საძიებლად**, მეთოდური მუშაობისათვის კი - მარტოდაც, საკმაოდ, მოცალეობა: "ენა", "გონება" გონება ცოდნის აღსაქმელად და გასათავისებლად სჭირდება მიჯნურს, ენა კი ამ ცოდნის სხვებისათვის გადასაცემად: "მძლეთა მებრძოლთა მძლეობა" ორი მნიშვნელობითაა მოცემული: პირველ რიგში, რა თქმა უნდა, სულიერ სიძლიერეზეა ლაპარაკი, რადგან ყველაზე ძნელად დასაძლევი მოწინააღმდეგე საკუთარი თავი, საკუთარი მე-ა და უწრთობა. შინაგან ბრძოლას უჩვევი კაცი ასეთი მოწინააღმდეგის დაძლევას ვერ შესძლებს. და მეორე — შუა საუკუნეების ფეოდალურ ქვეყნებში სულიერი წრთობის საუკეთესო საშუალებად სწორედ სიბრძნის ხელოვნების დაუფლება და სისტემატიური დახვეწა მიაჩნდათ. ცხადია, რომ "ვისაც ეს სრულად არა სჭირს", "მიჯნური", ანუ "სიბრძნის მიჯნური" ვერ იქნება.

"მიჯნურობის", ანუ "სიბრძნის" შეძენა, რუსთაველის აზრით, მოითხოვს ერთგულ, მყარ, უღალატო დამოკიდებულებას შესასწავლი, დასაუფლებელი საგნის მიმართ - საპირისპიროდ "ინტელექტუალური" სიძვისა, როცა ადამიანი ვერ იჩენს საჭირო გულმოდგინებასა და ერთგულებას ჭეშმარიტების ძიების დროს:

"მიჯნურობა არის ტურფა, საცოდნელად ძნელი გვარი;
მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი:
იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი მზღვარი,
ნურვინ გარევთ ერთმანეთსა, გესმის ჩემი ნაუბარი!"

(სტრ. 24).

ასევე, თავადაზნაურები ითვისებდნენ "**სახიობის**" ხელოვნებასაც. ს.ს. ორბელიანის ლექსიკონის მიხედვით "სახიობა" ნიშნავს მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრის, მღერისა და ცეკვის შერწყმას. ის, რომ ცეკვას დიდებულთა აღზრდაში მნიშვნელოვანი როლი ეკავა, ჩანს XIII საუკუნის ქართულ მინიატურებზე (იხ. სურათი). "მასზე მოცეკვავე - "მეშუშპურეა" გამოსახული, რომელიც მუსიკალურ - ინსტრუმენტებიანი ანსამბლის თანხლებით ცეკვავს. მსგავსი მოძრაობები აქვს ბეთანიის მონასტერში XIII საუკუნის ფრესკაზე გამოსახულ იროდიადას მოცეკვავე ქალიშვილს სალომეას. თუ აზრობრივად "მეშუშპურეს" ამ მოცეკვავე ქალიშვილის უკან დავაყენებთ, მივიღებთ ორი მოცეკვავის საწყის მდგომა-

რეობას, რომლებიც ცეკვა "ქართულში" დავლის ასრულებენ".[219] ხოლო "მუშუშ-ყრე" - წარმოდგება სახელწინა "მუშურობისაგან", რომელიც ცეკვით ქმედებას ნიშნავს. ისტორიული მასალებიდან ჩანს, რომ "სახიობა" სიმღერის, ინსტრუმენტებზე დაკვრის, საბრძოლო ვარჯიშებისა და "მუშაითობის" თავისებურ შეხამებას წარმოადგენდა; ასე რომ, შუა საუკუნეებში, ახალგაზრდა თავადი იწაფებოდა როგორც საბრძოლო ვარჯიშებში, ასევე მსახიობობაში, სიმღერასა და მგოსნობაში. საქართველოს უძველესი დროიდან გააჩნდა თეატრი და ამფითეატრი. უფლისციხის ქალაქ-გამოქვაბულის გამოკვლევისას აღმოჩენილ იქნა თეატრალური შენობის ნანგრევები, რომელიც განეკუთვნება ძვ. წ. აღრიცხვის II-III საუკუნეებს; "ანტიკურ ეპოქაში, ძველ კოლხეთში, ქალაქ ვანში არსებობდა თეატრიც და ამფითეატრიც".[220]



დიდებული ქალბატონი ჩონგურით.

ახალგაზრდა თავადს **ნადიმზე** ქცევის წესებსაც ასწავლიდნენ. კასტელის თქმით, ქართველები ნადიმისა და ქეიფის მოყვარულნი არიან და სასიამოვნო დროსტარება იციან. უხვი ხორაგით დატვირთულ სუფრაზე დიდხანს ჭამენ და ღვინო მათ ტრადიციაში ღრმად ფესვებგადგმული და საზოგადოებაში შეთვისებული ჩვეულებაა. "ქართველები დიდი მსმელი ხალხია და ბევრის დალევა დიდ ვაჟკაცობად მიაჩნიათ. ამის შემდეგ არც ენას ურევენ, არც გონებას კარგავენ და ფეხიც არ ეშლებათ".[221] კასტელი ცოცხლად წარმოგვიდგენს ქართული სუფრის მრავალ მხარეს და ზოგს ისეთსაც, რომელიც სხვას არავის აღუნიშნავს. მაგალითად: "ქართველები სადღეგრძელოს სვამენ ქალების წინ მუხლმოხრილნი, არა მხოლოდ ჯიქებით, თასებით და ყანწებით, არამედ ქალის ფეხსაცმლითაც"[222] (იხ. მეოთხე კარი).

ახალგაზრდა თავადთა აღზრდის სისტემაში ერთ-ერთი მყარი ადგილი ეკავა **საბრძოლო იარაღის ფლობის და ბრძოლის ხელოვნებას.** მებრძოლ თავადს უნდა შეესწავლა მრავალი საბრძოლო იარაღის ფლობა და მათი გამოყენება. ისინი სწავლობდნენ ფარიკაობას; ხმლის ან მახვილის მყისიერ გაშიშვლებას და შემდგომ ჭრილობის მიყენების ტექნიკას; შუბის ფლობას, მშვილდისრისა და კონდახიანი მშვილდისრის ფლობას, მოკლე და მალული იარაღების მოხმარებას, ხელჩართულ ორთაბრძოლას, ქართული ჭიდაობის ილეთებს - როგორც აბჯარასხმული, ისე სხვა ტანსაცმლით (სამოსელით); ჭიდაობაში შედიოდა როგორც ძალოვანი, ასევე სისხარტეზე აგებული ილეთები; ხელებით მოწინააღმდეგის შებოჭვას, ცურვას, კლდეზე და დიდ ხეებზე ცოცვას, ცეცხლით ნიშნის მიცემას და საბრძოლო სტრატეგიის საფუძვლებს.

თავადთა ოჯახებში ახალგაზრდა თავადის აღზრდა ბავშვობიდანვე იწყებოდა და მთელი ცხოვრების მანძილზე გრძელდებოდა. ბავშვობიდანვე აჩვევდნენ მას სიძნელისადმი, გარეული ცხოველებისადმი და ავი ძალისადმი შიშის დაძლევას. ამნაირად აღზრდილი მებრძოლები ადვილად იტანდნენ იმ ფიზიკურ და მორალურ სიძნელეებს, რომლებიც მათ გზაზე ხვდებოდათ. ისინი თვეობით ხვეწდნენ ერთსახოვან ვარჯიშებს. იარაღის ფლობის მაღალი დონის მისაღწევად ესაჭიროებოდათ არა ერთი წელი.



ცხენზე ამხედრებული ქართლ-კახეთის დედოფალი - ვარდისფერი თამარი (ხორეშანი). ნახატი კ. კასტელისა.

სწავლის პერიოდში ახალგაზრდა თავადი ეუფლებოდა ისეთ საბრძოლო და ადამიანურ თვისებებს, რომელიც შეესაბამებოდა მის გვაროვნულ წარმომავლობას.

საბრძოლო აღზრდის დროს ქართველი ყურადღებას მაინც ხმლის, მახვილის, შუბის და მშვილდისრის ფლობას უთმობდა. უიარაღო ორთაბრძოლა მეორეხარისხოვანი იყო და მას, როგორც დამხმარე საშუალებას, ისე იყენებდნენ, რადგან თავადები მუდამ იარაღასხმულნი დაიარებოდნენ (იხ. სურათი).

დიდებულთა ოჯახებში ქალებიც ფლობდნენ საბრძოლო იარაღით მოქმედებას — როგორც ხმლით და მახვილით, ასევე შუბით, მშვილდისრით და ხანჯლით — რათა, საჭიროების შემთხვევაში, შეძლებოდათ საკუთარი თავის დაცვა. მაგრამ კი ის იყო, რომ ისინი გაწვრთნილიყვნენ საბრძოლო ხმლით, რათა თავიანთ მამებს, ქმრებს და ძმებს ბრძოლაში ამოდგომოდნენ და მათი [illegible] [illegible] თავის [illegible] [illegible] დიდებულთა წინ [illegible] [illegible] ლი [illegible], მაგალითად, ქართლ-კახეთის დედოფალი [illegible] (თამარი).

როგორი ქართველი სახელმწიფო შექმნეს შუა საუკუნეებში ჩვენმა წინაპრებმა, ნათლად ჩანს ქვემოთ მოყვანილი მასალიდან: "...მამამთავრული საქართველოს მოსახლეობა [illegible] და [illegible] [illegible] [illegible] იყო: იგი თუ არ სჭარბობს, არც [illegible] [illegible] [illegible] [illegible] მაგრამ ეს საქმეს სხვა რამ აქცევს საყურად: ეს (სახელმწიფო ენა — ქართული), მამული (სახელმწიფო და მოქალაქეობა) და სარწმუნოებ-მონათესაობა, ანუ ერთი დიდი [illegible]! სწორედ ამ საერთო [illegible] [illegible] [illegible] არ ენდა მისდევდნენ ხოლოდ... დავით აღმაშენებლის მეფობის პერიოდში... ა) დავით IV იქცევა დიდთაც მეფეთა და სახეგარეშო, როგორც ქრისტიანულ გა[illegible]ში, და ეს ხელაც არ ეყოდა უბრალო პოპულიზმით ნაკარნახევი: იგი სწავლობდა: ბ) სხვა დანარჩენ [illegible] [illegible] ერთად იგი [illegible] [illegible] [illegible] (სახე[illegible]): გ) სახელმწიფო მმართველობის აპარატში მან შემოიღო მოქალაქეობრივ თანასწორობის ("სახელი"), და ამ თანასწორობაში მეფე ბიჭი, როგორც სხვა [illegible] [illegible] [illegible], [illegible] კაცი იყო სახელმწიფოში, თვით მეფის შემდეგ. რა თქმა უნდა, არ უნდა დავივიწყოთ ამ "სახელის" ქართველის დასახელებაში, ეს ის პერიოდია, როდესაც პოლიტიკურად მომძლავრებულმა დავითმა ჯერ თქვა [illegible] [illegible] [illegible] და თანასწორობაზე და საკუთარ მოხელეთა "სახელდებაც" გადმოაქართულა: "[illegible]", "[illegible]", "[illegible]", "[illegible]" და ა.შ. "[illegible]" [illegible] [illegible] და [illegible] შეხაბამისად [illegible] "[illegible]"-ის და [illegible] [illegible] [illegible]... თვითონ "სახელი" [illegible]-[illegible] შეესაბამებოდა [illegible] "[illegible] (და [illegible]) საქმეთა მმართველის...".[22] ანუ გვქონდა ისეთი [illegible] სახალხო სახელმწიფო და პარლამენტური მმართველობა, რომლის მსგავსი, ჟერ მოგვიანებით, შექმნეს ინგლისმა, საფრანგეთმა და ბოლოს ამერიკამაც. სამწუხაროა ის ფაქტი, რომ დღეს ეს ქვეყნები ხვდებიან სანიმუშოდ სახელმწიფოს მშენებლობას (?!)...

ვამთავრებთ რა საუბარს დიდებულთა საბრძოლო ხელოვნებაზე, შეიძლება თამამად ვთქვათ, რომ ახალგაზრდა თავადი მოიაზრებოდა, როგორც ფიზიკურად და სულიერად ძლიერი პიროვნება, სამშობლოსათვის, თავისი გვარისათვის თავდადებული რაინდი, იგი ზნეობრივად, გონებრივად და ფიზიკურად მშვენიერად იყო მომზადებული და ფლობდა საბრძოლო ხელოვნებებს, მჭევრმეტყველებას, თამაშობებს, ხატვას, ნადირობას და მრავალ სხვას, თავად რაინდს, რომელიც ათავსებდა საბრძოლო ხელოვნებების საიდუმლოებებს და ხდებოდა სრულყოფილი მეომარი, უკვე თავისუფლად შეეძლო ნებისმიერ ხიფათისაგან თავის დაცვა.



# ჯაკი მეექვსე

## თბილისი
## თბილისური საბრძოლო სტილი



*"...და ვით ქრისტემ გალილეა აირჩია მე ტფილისი ავირჩიე ბებერი..."*

*გალაკტიონი*

# თავი პირველი

## თბილისის მოკლე ისტორია

*"თბილისი რომ არა, შესაძლოა, ვენაში ტაძრის ნაცვლად მეჩეთი მდგარიყო, რადგან თბილისის ციტადელს ეხეთქებოდნენ საუკუნეების განმავლობაში ჯალალედინები, ჩინგისხანები და სხვა აღმოსავლელი სულთნები და შაჰები. თბილისი იდგა, როგორც ევროპის ციხესიმაგრე, საიდანაც მთელი საქრისტიანოს მტრები სისხლისაგან დაცლილნი და დასუსტებულნი თუ აღწევდნენ ევროპამდე."*

*ჰუგო ჰუპერტი*

ქართულ საბრძოლო სტილებს შორის არის ერთი გამორჩეული და შეუდარებელი სტილი, რომელსაც გააჩნია თვითმყოფადი ხასიათი და ფორმა. ჩვენ მას "ქალაქური", უფრო სწორად, "თბილისური საბრძოლო სტილი" ვუწოდეთ. დიახ, რა ახსნა სჭირდება იმას, რომ თვითონ თბილისი განუმეორებელია საქართველოს ისტორიაში. ქუთაისელი იმერელია; გორელი ქართლელი, ბათუმელი აჭარელი, მაგრამ "თბილისელი ვარო", - აქ ჩადებულია როგორც ჩვენი უძველესი ერის, ასევე აღმოსავლური და ევროპული ქვეყნების კულტურათა და ტრადიციათა ნადული ელემენტი.

სწორედ ამ ქართული, აზიური და ევროპული ტრადიციების ურთიერთგანზავებამ და შერწყმამ შექმნა და ჩამოაყალიბა ეს უნიკალური საბრძოლო ტრადიცია - თბილისური სტილი, რომლის კოლორიტში გადმოცემულია ქართული, სპარსული, სომხური, თურქული, ბერძნული, აზერბაიჯანული, ქურთული, ალბანური, რუსული, გერმანული და სხვა ხასიათი. თბილისში საუკუნეების განმავლობაში ყოველგვარი დამცირებისა და შეზღუდვის გარეშე, ურთიერთდახმარებით, მეგობრობითა და პატივისცემით თანაარსებობდნენ ქართული, რუსული, ებრაული, მუსულმანური და კათოლიკური ეკლესია-მონასტრები და ყველა სიამაყით თვლიდა თავს თბილისელად. აი, რას ამბობს სომხური კულტურის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი თბილისელი იოვანეს თუმანიანი: "ძველი თბილისი რაღაც განსაკუთრებული, თავისებური სამყარო იყო, სადაც კავკასიის ხალხები გაერთიანებული იყვნენ თავიანთი ყოფის დამახასიათებელი ყველა ნიშნითა და მანერით. აქ მათ შექმნეს სხვადასხვა ხალხთა უაღრესად კოლორიტული და საინტერესო ნარევი, რადგან ქართული სული იყო ამ ხალხთა ცხოვრების ტონის მიმცემი. ამიტომ ძველი თბილისი ერთმანეთისათვის უცხო ელემენტთა ეთნოგრაფიულ კრებულს კი არ წარმოადგენდა, არამედ იგი ძ გავდა მხიარულ საქორწილო სუფრას, სადაც ხალხები და ტომები ნადიმზე იყვნენ მოწვეულნი". მაგალითისათვის ისიც საკმარისია გავიხსენოთ, თუ როგორ იცავდნენ საკუთარ ქალაქს თბილისელი ამქრები, ხელოსნები, ვაჭრები და მოქალაქენი აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს და როგორ დაიღუპნენ მის კედლებთან".

1500 წელზე მეტია, თბილისი საქართველოს დედაქალაქია და, ალბათ, არც ის იქნება ახალი, თუ ვიტყვით, რომ საქართველო მუდმივად იყო დამანგრეველ ომთა არენა და განსაკუთრებით მძიმე ხვედრი მის დედაქალაქს - თბილისს ხვდებოდა ხოლმე. იგი მრავალჯერ აუწიოკებიათ სპარსელებს, თურქებს, არაბებს, მონღოლებს თუ სხვათა; თუმცა, ქალაქში სიცოცხლე არასოდეს ჩამქრალა; იგი ისევ და ისევ აღმდგარა და აშენებულა. ამ ნგრევე-

ბის გამო თბილისს ცოტა თუ შემორჩა უძველესი ისტორიული ძეგლები. დღევანდელი ძველი თბილისის არქიტექტურა ძირითადად XIX საუკუნეს განეკუთვნება.

აი რას ამბობს ჩვენს დედაქალაქზე რუსი საზოგადო მოღვაწე ლ. კუზმინევი: "ასჯერ დაეცა თბილისი და, ჰოი საოცრებავ! ასჯერვე აღდგა! მოაწყდებოდნენ და წაშლებოდნენ გადამთიელი დამპყრობლები - რომისა და ბიზანტიის მხედრიონი, არაბი, სპარსი და თურქი, მონღოლი თუ სხვა უცხო ტომი, დაანგრევდნენ დედაქალაქს და ის ისევ აღდგებოდა ფერფლიდან, როგორც ბეფყერი, რომელიც ანელებდა, ასუსტებდა დარტყმებს. ასე იბრძოდა, ასე ეცემოდა თბილისი თუნდაც ვენისათვის, დასავლეთ ევროპისათვის. გიორგი სააკაძის - ამ სახალხო ჰერცოგის შემდეგაც სამასი არაგველის მეთაურობით, რომლებიც საქართველოს კარიბჭეს ლომებივით იცავდნენ, ვიდრემდეც ასგზის აღმატებულმა ურდომ ისინი "ალაჰის" ძახილით არ გადათელა".[224]

1958 წელს თბილის-ქალაქმა თავისი დაარსების 1500 წელი იზეიმა. თუმცა, ეს 1500 წელი თბილისის ასაკს კი არ გამოხატავს, არამედ მის დედაქალაქად კურთხევას. "ქართლის ცხოვრებაში" ნათქვამია, რომ ქალაქის მშენებლობა დაიწყო მეფე ვახტანგ-გორგასალმა. მაგრამ სხვა წყაროების მიხედვით ("ლეგენდები თბილისზე", "მოქცევაი ქართლისაი" და სხვა) ვახტანგმა იქ არსებული დასახლება აღადგინა და აღაშენა, რათა დედაქალაქი მცხეთიდან თბილისში გადმოეტანა. თბილის-ქალაქის ადგილმდებარეობა სტრატეგიული იყო. აქ მდინარე მტკვარი ძალიან ვიწროვდებოდა და იძლეოდა ხიდების გადების საშუალებას. აქ იყო ბუნებრივი თბილი გოგირდის წყაროები, რომლის გამოც ქალაქს თბილისი ეწოდა. აქ იკვეთებოდა უძველესი სავაჭრო გზები, აქვე გადიოდა ევროპიდან ინდოეთისაკენ მიმავალი საქარავნო გზაც.

თითქმის შეუძლებელია თბილისის წლოვანების ზუსტად დადგენა იმ მრავალი ისტორიული წყაროს მეშვეობით, რომლებიც ხელთა გვაქვს, რადგან ისინი ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავ ცნობას გვაწვდიან. თუმცა, ქართველმა მეცნიერმა ნ. ლომოურმა გამოიკვლია რა უძველესი რომაელი გეოგრაფის კასტორეს მიერ შედგენილი რუკა, (IV ს.) დაამტკიცა, რომ რუკაზე აღნიშნული ქალაქი სახელწოდებით "Tphiliado" ანუ "Tphilido" თბილისად შეიძლება ჩაითვალოს.[225] ეს რომაული საგზაო რუკა წარმოადგენს თბილისის შესახებ ყველაზე ძველ მოწმობას. "მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ რუკის შემდგენელი ეყრდნობოდა უფრო ადრეულ წყაროებს".[226]

ასე გამოდის, რომ თბილისი, როგორც მნიშვნელოვანი პუნქტი, ცნობილი იყო ამ მეცნიერის წინამორბედთათვისაც. აღსანიშნავია, რომ ეს საგზაო რუკა განკუთვნილია მოგზაურებისა და ვაჭრებისათვის, ხოლო თბილისის აღნიშვნა ამ საქარავნო გზაზე მიგვანიშნებს არტაშატიდან (სომხეთის დედაქალაქიდან) მცხეთისაკენ და ალბანეთიდან იბერიისაკენ მიმავალი გზების მნიშვნელობაზე. თბილისის ტერიტორიაზე ციხე-ქალაქები უკვე არსებობდნენ გვიან ანტიკურ პერიოდში (I და IV საუკუნეების შუალედში), რასაც არქეოლოგების აღმოჩენილი კერამიკული მასალაც ამტკიცებს.

თვალსაჩინოებისათვის გვინდა მოვიყვანოთ რამოდენიმე მეცნიერის აზრი თბილისის წარმოშობის თაობაზე: "V საუკუნის მეორე ნახევარში ვახტანგ-გორგასალმა და მისმა მემკვიდრეებმა თავიანთ საცხოვრებლად აირჩიეს თბილისი. თბილისი გადაიქცა ქვეყნის პოლიტიკურ ცენტრად. ამ დღიდან ვითვლით თბილისის 1500 წელს".[227] "იმის თქმა, რომ თბილისის მშენებლობა უშუალოდ ვახტანგ-გორგასლის დროს დაიწყო, რასაკვირველია, არასწორია".[228] ქართველი მეცნიერის დ. ქორიძის გამოკვლევებით მდინარე მტკვრის ხეობის ჩავარდნილ ადგილას, რომელიც ახლა თბილისს უკავია, არსებობდა ერთმანეთისაგან დაშორებული ცალკეული დასახლებები. არქეოლოგიური გათხრებით (მაგალითად, დიდუბეში) აღმოჩენილი მასალები განეკუთვნებიან ადრეულ ნეოლითურ პერიოდს, ჩვ. წ. აღმდე IV ათასწლეულს. როგორც ჩანს, ამ პერიოდიდან დაწყებული, დიდუბის რაიონში ცხოვრობდა უძველესი მიწათმოქმედი და მესაქონლე მოსახლეობა. "ასევე ნაპოვნია მსგავსი მასალები ქალაქის სხვა რაიონებში - ღრმაღელეში, ნაძალადევში, ნავთლუღში, საბურთალოზე, მთაწმინდაზე, აბანოთუბანში, ნარიყალაზე, კუკიაზე, დიღომში. ასე რომ, აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი მასალა გვიმოწმებს იმას, რომ ამ ტერიტორიაზე ბრინჯაოს ეპოქაში ცხოვრობდა ხალხი, რომელიც იმყოფებოდა ეკონომიკური და კულტურული განვითარების მაღალ დონეზე"[229] (იხ. სურათი). "ქართული მწერლობის ერთ-ერთ ნიმუშში "ევსტატე მცხეთელის ცხოვრებაში" (VI ს.) ქალაქი პირველადაა "თბილისად" მოხსენიე-

ბული და შემდეგ, როგორც ქართულ, ასევე უცხოურ წყაროებში იგი უკვე ამნაირად მოიხსენიება, მაგრამ ოდნავ დამახინჯებული სახით: "თფილისი", "თფღისი" (სომხეთში), "თეფლისი" (არაბეთში), "თიფილისი" (ბიზანტიაში)".[230]

როგორც ისტორიიდან ვეახსოვს, IV საუკუნის ბოლოსათვის სპარსელებმა ქართლი დაიპყრეს. შაჰი თავის ნაცვალს - პიტიახშს (პიტიახში ქვეყნის, კუთხის მმართველს ნიშნავს)აგზავნის, რომელიც თავის ადგილსამყოფელად "...თბილისს, ქალაქ ციხე-სიმაგრეს ირჩევს. თბილისი არა მარტო შესანიშნავი სტრატეგიული ადგილმდებარეობის გამო შეირჩა - იგი გარშემორტყმული იყო სოფლის მეურნეობის მდიდარი რაიონებით, აქვე გადიოდა მნიშვნელოვანი როგორც სახმელეთო და საცალფეხო, ისე საწყლოსნო და საქარავნო გზები, თბილისს გააჩნდა მაშინდელი საქართველოს დედაქალაქისადმი - მცხეთისადმი კონტროლის ყველა პირობა".[231] ასე რომ, თბილისი თავისი ადგილმდებარეობის გამო ვახტანგ გორგასლამდე სპარსელებმა აირჩიეს და ციხე-სიმაგრეც ააგეს იქ.

IV-V საუკუნეები საქართველოსათვის იყო მნიშვნელოვანი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებების დრო. 337 წელს, მეფე მირიანის მეფობისას, იბერიამ ქრისტიანობა მიიღო და იგი სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა. ამავე პერიოდში საქართველოს რთული ურთიერთობა ჰქონდა ბიზანტიასთან და ირანთან. V საუკუნის შუა პერიოდიდან პიტიახშის რეზიდენცია ცურტავში გადაუტანიათ. თბილისი საქართველოსა და სპარსეთის მეფეებს შორის განხეთქილების, ბრძოლების არენად ქცეულა და ციხე-ქალაქი დანგრეულა. ვახტანგ-გორგასალმა V საუკუნის მეორე ნახევარში თბილისის აღდგენა დაიწყო და საქართველოს დედაქალაქად აქცია იგი. სპარსელებმა დატოვეს თბილისი. მეფე ვახტანგის ისტორიკოსი ჯუანშერი ასე აღწერს ამ პერიოდს: "აიყარა მეფე სპარსთა, და უკუდგა რუსთავად, და გამოვიდეს იგინი განთიად და დადგეს ველსა კალაისასა, რამეთუ ტფილისი სოფელი და კალა მოოხრებული იყო მაშინა".[232] ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების შემდეგ (502 წ.) მისი საქმე მისმა მემკვიდრემ, დაჩიმ გააგრძელა და "...დაასრულა ზღუდენი ტფილისისანი, და ვითა ებრძანა ვახტანგს, იგი შეიქმნა სახლად სამეფოდ".[233]

ამ პერიოდისათვის უკვე აშენებული იყო მეტეხის მონასტერი, კალას (ნარიყალას) ციხე-სიმაგრე, რომელსაც მტკვარზე ხიდი ებჯინებოდა. ასე რომ, V-VI საუკუნეებში თბილისში მტკვრის ორივე მხარეს სამი ძირითადი რაიონი გაშენდა: მარჯვენა ნაპირზე კალა და თბილისი, მარცხენა ნაპირზე, ხიდის მეორე მხარეს - "ისანი" (ახლანდელი ისანი). "თუმცა კალა ციხე-სიმაგრის ძველი კედლებით არ შემოისაზღვრა. ქალაქი სწრაფად ფართოვდება მტკვრის დინების ზემო მხარეს და აღწევს დღევანდელ ბარათაშვილის ქუჩამდე. გაფართოების მასშტაბზე მიგვითითებს ის ფაქტი, რომ შენდება ისეთი მსხვილი ნაგებობები, როგორიცაა სიონის ტაძარი, ანჩისხატი (წმ. მარიამის ბაზილიკა), წმ. მთავარანგელოზის მიქაელის ტაძარი, რომელიც მოგვიანებით მონღოლებმა დაანგრიეს, და მეტეხის ტაძარი. VI საუკუნის შუა პერიოდში თბილისის კედელი უკვე გადიოდა სოლოლაკის ქედის ქიმზე...".[234]




ძველი თბილისის ციხე-სიმაგრეების სქემა:
1 - ქაშვეთი; 2 - კალა; 3 - სიონი; 4 - მეტეხი; 5 - აბო თბილელის ნიში; 6 - აბანოები.
ავტორი მ. შეყილაძე.

VI საუკუნის დასაწყისში თბილისში უკვე არსებობდა ეპისკოპოსის კათედრა. მცხეთა თანდათან კარგავდა თავის პოზიციებს. მემატიანეები ასე აღწე-

რენ ამ პერიოდს: "...მცხეთა იხელდებოდა, ხოლო კალა შენდებოდა".

VII საუკუნის 40-იან წლებში ქართლის საზღვრებზე არაბები გამოჩნდნენ. VIII საუკუნის 30-იან წლებში არაბები საბოლოოდ დამკვიდრდნენ ქართლში და თბილისი გადაიქცა არაბი ამირას რეზიდენციად. არაბები ქალაქს მნიშვნელოვან საბრძოლო საყრდენად იყენებდნენ და აქედან წინააღმდეგობას უწევდნენ ბიზანტიელთა შემოტევებს. წინა აზიაში არაბების ბატონობის გამყარების შემდეგ, მათ ხელში აღმოჩნდა ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი მნიშვნელოვანი საქარავნო გზები; საგარეო სატრანზიტო ვაჭრობამ ამ პერიოდში უდიდეს მასშტაბებს მიაღწია და ძლიერ განშტოებადი გახდა. "არაბების მიერ წარმოებული ვაჭრობის წრებრუნვაში მოქცეული იყო მრავალი ქვეყანა - სკანდინავია, რუსეთი, ესპანეთი, აზიის ქვეყნები... ამ ვაჭრობის ფართო სისტემის მთავარი საკვანძო ცენტრები იყვნენ: ბაღდადი, ტრაპეზუნდი, თბილისი, დერბენდი, ბარდავი. მხოლოდ ტვირთბრუნვაში თბილისის აქტიურ ჩართვაზე მიგვანიშნებს ისიც, რომ უკვე VIII საუკუნის ბოლოში გამოიჭედა თბილისური მონეტა, რომელიც ამ გზებზე მიმოქცევაში იყო".[235] "თბილისური მონეტები აღმოჩენილი იქნა ისეთ შორეულ ქვეყნებში, როგორიცაა მაგალითად რუსეთის ტულის, კურსკის, ფსკოვის მხარეები და კახელაში".[236]

IX საუკუნეში არაბების მიერ დაპყრობილ პროვინციებში არაბთა ხალიფატიდან გამოყოფის პროცესი დაწყებულა; თბილისის ამირა - ისხაკ-იბნ-ისმაილიც - გამოყოფია ცენტრალურ ძალაუფლებას, რისთვისაც ხალიფას დამსჯელი რაზმი გამოუგზავნია ბუღა თურქის მეთაურობით. მას თბილისი მთლიანად გადაუბუგავს, რის შემდეგაც ქალაქი ძალიან დიდხანს ველარ გაიმართა წელში. არაბი ისტორიკოსების ცნობებით, ცეცხლმოკიდებულ თბილისში 50 ათასამდე ადამიანი დაღუპულა, და რადგანაც ციხე-სიმაგრის კედლები ფიჭვისა და ნაძვის ძელაკებისაგან იყო დამზადებული, ცეცხლმა მთლიანად შთანთქა იგი. ამას მიუთითებს X საუკუნის სომეხი ისტორიკოსი თომა არწრუნი.[237] აღდგენისას ქალაქი ქვის კედლებით შემოუზღუდავთ. კალას რაიონში აშენდა ბაზარი, აბანოები, ამირას სასახლე. შუასაუკუნოვან ქალაქთა ტრადიციების მიხედვით, ბაზარი მდებარეობდა ჭიშკრიდან შიდა მხარეს, ე.წ. ციხის მოედანზე. ამ მსხვილ სავაჭრო ქალაქში, რასაკვირველია, არსებობდა სასტუმრო სახლები, რომლებსაც ფანდოხონებსა და ფუნდუკებს უწოდებდნენ. "ფანდოხონები და ფუნდუკები - ბერძნული წარმოშობის ტერმინებია. ფანდოხონებს სასტუმრო სახლებს უწოდებდნენ და მისგან განსხვავებით, ფუნდუკები ქარავნების გასაჩერებლად გამოიყენებოდა. XVII საუკუნეში ტერმინი "ფუნდუკი" "ქარვასლათი" შეიცვალა".[238]

იმ ხანად არაბები სახლდებოდნენ ციხე-სიმაგრეში, სადაც ამირას სასახლე იყო, ხოლო ადგილობრივი მოსახლეობა კალაში ცხოვრობდა. თბილისის განთავისუფლებას ბევრი ქართველი მეფე ცდილობდა, მაგრამ განზრახვის სისრულეში მოყვანა მხოლოდ ბაგრატ IV-ის შვილიშვილმა - დიდმა დავით აღმაშენებელმა შეძლო.

IX საუკუნეში საქართველოში მიმდინარეობდა ტერიტორიების შემდგომი გაერთიანების პროცესი. X-XI სს-ში გაერთიანებული საქართველოს სამეფოში შედიოდა თითქმის ყველა ძირითადი რაიონი, თბილისის საამიროს გარდა. გაერთიანების ეს პროცესი მიმდინარეობდა შიდა და გარე მტრებთან მწვავე ბრძოლაში. პარალელურად, XI საუკუნეში ქვეყანამ გადაიტანა ბიზანტიელთა ორი სისხლისმღვრელი შემოტევა, ხოლო შემდგომ ახალი მტრების - თურქ-სელჯუკთა შემოსევები.

XI საუკუნის უკანასკნელ პერიოდში თბილისი, საქართველოს სხვა ქალაქებთან ერთად, თურქ-სელჯუკთა ძალაუფლებაში ექცევა. თურქ-სელჯუკებისაგან მათი განთავისუფლება მთავრდება მხოლოდ დავით აღმაშენებლისა და მისი მემკვიდრეების დროს: მეფე თამარის (1184-1213 წწ.) ხელმწიფობისას საქართველო აღწევს თავისი სიძლიერის მწვერვალს.

XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე თბილისი წარმოადგენს წინა აზიის ყველაზე მძლავრი ქვეყნის - საქართველოს დედაქალაქს. ამ დროისათვის საქართველოს ეკავა ტერიტორია, რომელიც გადაჭიმული იყო შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე. მის დედაქალაქზე გადიოდა მთელ მსოფლიოსთან დამაკავშირებელი მთავარი საქარავნო გზები - აღმოსავლეთით - ინდოეთთან, სამხრეთით - არაბეთთან, სომხეთთან, ირანთან და ჩრდილოეთით - რუსეთთან. თბილისი გადაიქცა მსხვილ სავაჭრო და სახელოსნო ცენტრად, სადაც ყოველდღიურად უამრავი ქარავანი შედიოდა და გადიოდა. განვითარდა წარმოება - ხელოსნები ამზადებდნენ: იარაღს, ჭურჭელს, კრამიტს, აბრეშუმის და შალის ქსოვილებს, ტანსაცმელს, ავეჯს,

ქალაქს. ჰედერ ნაკეთობას: "გარდა ეკლესიებისა, ტაძრებისა, სასტუმროებისა და ქარვასლებისა, ბაზრებისა და სასახლეებისა, აშენდა აბანოები, საავადმყოფოები, თბილისის სახლები - "ხანაგები", "სახლი საგლახაკოები". მტკვრის ორივე მხარეს სწრაფად იზრდება ქალაქი. თბილისში 65 აბანოს ითვლიდნენ. ქალაქს გარს ერტყა კარგად მოვლილი ბაღები. ქუჩები ქვაფენილად გადაიქცნენ - "ზნანი საწყინოდ საფალნი ქვაფენილ ყვნა".[239]

შუა საუკუნეების თბილისში მოსახლეობის მეტი ნაწილი დასახლებული იყო ქალაქის ციხის გალავნის ახლოს, რადგან თავდასხმისას ციხე-სიმაგრისათვის შეეფარებინათ თავი. ქალაქი მაინც იზრდებოდა და ჩნდებოდა გალავნისაგან მოშორებული დასახლებები. ამ დაუცველ ნაწილს მოგვიანებით "ავლაბრის უბანი" უწოდეს. ცნობების მიხედვით, ბაგრატ IV-ის დროს (XI ს. შუა პერიოდი) აქ ქალაქ ანიდან გადმოსახლებული სომხები სახლდებოდნენ. მათ მეფე ბაგრატის დედა მარიამი (სომეხი მეფის ასული ქალაქ ანიდან) ეხმარებოდა.

XII საუკუნეში თბილისში უკვე რამდენიმე უბანი იყო: კალა, ციხე (ციხე-სიმაგრე), მეტეხი (პლატო), ავლაბარი, ავლაბრის უბანი, კლდისუბანი და ისპარეზის უბანი, სოლოლაკი. მეფის რეზიდენციები იყო ქალაქგარეთ - ტაბახმელაში და დიდუბეში.

დიდუბეში განლაგებული იყო სასახლე, სამეფო კარის ეკლესია, ბაღები სარწყავი არხებით, მოპირდაპირე ბექობზე აშენდა ლურჯი მონასტერი.

მაგრამ შენება დიდხანს არ გაგრძელებულა. მემატიანეთა ცნობით, 1226 წელს საქართველოში შემოიჭრნენ ხვარაზმელები და გარს შემოერტყნენ თბილისს; სულ ბოლოს დაეცა ისანი. ისტორიას არ ახსოვს ასეთი სისხლისმღვრელი ხოცვა-ჟლეტა. ჯალალედინის მებრძოლებმა ასიათასამდე ადამიანი დახოცეს. 1231 წელს, ჯალალედინის სიკვდილის შემდეგ, მისი სახელმწიფო დაიშალა და თბილისმა ნელ-ნელა კვლავ შენება დაიწყო.

XIII საუკუნის შუა პერიოდში თბილისს შემოესივნენ მონღოლები. დედოფალ რუსუდანის ბრძანებით ქალაქი თვითონ მოსახლეობამ გადაწვა.

მაგრამ ისევ აღსდგა თბილისი ნანგრევებიდან, განახლდა ციხე-სიმაგრეები და ეკლესიები. აშენდა ახალიც - მეტეხის ტაძარი და ისნის სასახლე.

მარკო პოლომ, მიუხედავად იმისა, რომ იგი თავისი მოგზაურობის დროს ვერ მოხვდა ჩვენს ქვეყანაში, მონათხრობებზე დაყრდნობით მაინც აღწერა საქართველო და მისი დედაქალაქი: "...ამ ქვეყანაში არის მშვენიერი ქალაქი თბილისი, მას ბევრი დასახლებული პუნქტი და ციხე-სიმაგრე არტყია გარს. მოსახლეობა - ქართველები და სომხები ქრისტიანები არიან, არიან ებრაელებიც და მუსულმანებიც. აქ მზადდება აბრეშუმი და სხვა ქსოვილები. მოსახლეობა ექვემდებარება მონღოლთა ხანს".[240]

XIV საუკუნეში მონღოლთა ურდო დასუსტდა. საქართველომ ისევ შემოიერთა თბილისი. ქვეყანამ განსაკუთრებულ კეთილდღეობას გიორგი ბრწყინვალის (1314-1346) დროს მიაღწია.

1366 წელს შავმა ჭირმა, რომელიც მოდებული იყო მთელ აზიაში, თბილისის ნახევარი მოსახლეობა მოსპო. თუმცა, შავი ჭირის ეპიდემიაზე უარესი თემურ-ლენგის სისხლისმღვრელი შემოსევები იყო, რომელმაც 1386-1404 წლებში რვაჯერ აათხრა საქართველო. იგი თავის გზაზე სპობდა და ანგრევდა ყველაფერს. თემურ-ლენგმა ხელახლა დაანგრია თბილისი.

XV საუკუნის 40-იანი წლებში მოკლე პერიოდით სული მოითქვა თბილისმა. ისევ დაიწყო თბილისის შენება. თუმცა, მეფე ალექსანდრე I-ის მეფობის დროს (1412-1442) მაინც ვერ მოხერხდა თემურ-ლენგის მიერ დანგრეული ქალაქის ბოლომდე აღდგენა.

შემდეგ ბედკრულ ქალაქს თავს დაატყდა ჯეიხან-შახის (1440 წ.), უზუნ-ჰასანის (1447 წ.) და იაკუბ-ხანის (1488 წ.) დამანგრეველი შემოსევები.

თბილისის ისტორიაში განსაკუთრებული როლი შეასრულა ახლო აღმოსავლეთში მომხდარმა მოვლენებმა. "თურქებმა 1453 წელს დაიპყრეს კონსტანტინოპოლი და ტრაპეზუნდი. ახლო აღმოსავლეთი იზოლირებული აღმოჩნდა. მკვეთრად შეიცვალა საქარავნო გზების მარშრუტები - არხანგელსკი - ასტრახანი - ირანი. თბილისი აღმოჩნდა მსოფლიო სავაჭრო წრებრუნვის მიღმა. მკვეთრად ეცემა ეკონომიკა, მცირდება მწარმოებლობა, ქალაქური ცხოვრება კნინდება".[241]

XV საუკუნის ბოლოს ირანში იმარჯვებს სეფიანთა დინასტია, და მას შემდეგ საქართველო ხდება ორი მძლავრი მუსულმანური ქვეყნის - ოსმალეთის და ირანის ბრძოლის ასპარეზი. XV საუკუნის ბოლოს საქართველო იყოფა სამ სამეფოდ. თბილისი ხდება ქართლის სამეფოს დედაქალაქი. "მთელი XVI საუკუნე განუწყვეტელი ომები მიმდინარეობდა: ამ პერიოდში ქართლმა გადაიტანა თურქებთან 11 ომი, სპარსელებთან - 14 და 30 -

სხვა მეზობელ დამყრობლებთან... რუსი ელჩების ცნობით XVI საუკუნის ბოლოსათვის თბილისში მხოლოდ 2000 სახლიდა იყო დარჩენილი და 10 000 მცხოვრები".[22]



თბილისი XVII საუკუნეში.
ნახატი ჟ. შარდენისა.

XVII საუკუნის დასაწყისში ძლიერდება ირანი, აძევებს თურქებს და იკავებს თბილისს. სპარსელები მკვიდრდებიან თბილისის ციხეში. ამ დროიდან აღმოსავლეთ საქართველო ირანის ხელქვეითი ხდება. ირანმა ქართლის მეფედ გამოაცხადა გამაჰმადიანებული ქართველი როსტომ-ხანი, რომელიც ირანის შაჰის მოადგილედ ითვლებოდა. როსტომის ქართლში მოსვლით (1632-1658) აქ ერთგვარი მშვიდობიანობა მყარდება, რაც მთელი 90 წელი გრძელდება და ქართლს კულტურული აღმავლობის საშუალებას აძლევს. თბილისიც აღმავლობის გზას დაადგა.

XVII-XVIII საუკუნეებში ისევ აყვავდა ქართული კულტურა.

XVII საუკუნეში თბილისში იმოგზაურა ცნობილმა ფრანგმა მოგზაურმა ჟან შარდენმა. მან დაგვიტოვა მაშინდელი თბილისის ნახატი (1673 წ.) (იხ. სურათი).

XVII საუკუნის ბოლოს თბილისი უფრო გაფართოვდა. ქალაქი იზრდება მტკვრის ორივე ნაპირის გასწვრივ. იმდროინდელი ხედი დედაქალაქის კიდევ ერთი ნახატი დაგვიტოვა გამოჩენილმა ფრანგმა მეცნიერმა და მოგზაურმა ჟოზეფ-პიტონ ტურნეფორმა, რომელიც საფრანგეთის მეფის ლუი XIII-ის ბრძანებით 1700 წელს აღმოსავლეთის ქვეყნებს ეწვია. მის სურათზე გამოსახულია ყაბახი, სადაც ძირითადად იმართებოდა ყველა სახის შეჯიბრება და საბრძოლო ასპარეზობები (იხ. სურათი).

XVII საუკუნეში, ვახტანგ VI-ის მეფობის დროს, კვლავ გრძელდება საქართველოს აღმავლობა. ვახტანგ VI ძალიან განათლებული ადამიანი იყო და ხელს უწყობდა მეცნიერების და კულტურის განვითარებას. მან თბილისში დააარსა პირველი სტამბა (1709 წ.), სადაც დაიბეჭდა "ვეფხისტყაოსანი". მოგვიანებით, მისმა ვაჟმა ვახუშტი ბაგრატიონმა შექმნა ფუნდამენტური შრომა "აღწერა სამეფოსა საქართველოსა" (1742-1745 წლებში), რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. ამ შრომაში მოცემულია ვახუშტის დროინდელი თბილისის აღწერა და მოთავსებულია ქალაქის გეგმა. ვახუშტის თქმით, მისი დროის თბილისი სამი ძირითადი ნაწილისაგან შედგებოდა: ტფილისი, კალა (მტკვრის მარჯვენა ნაპირზე) და ისანი (მტკვრის მარცხენა ნაპირზე). ტფილისს შაჰ სეფის დროიდან სეიდაბადსაც უწოდებდნენ. კალა მთლიანად მოზღუდული იყო ქვის კედლით. ზღუდეს გარეთ მდებარე ტერიტორიას ქალაქისას გარეთუბანი ეწოდებოდა.

ვახუშტი ბაგრატიონი ასე აღწერს თბილისის შემოგარენს: "გარემო ქალაქისა წალკოტნი და სავარდენი მრავალნი, ყოვლის ხილითა და ყვავილითა სავსე". უფრო მოშორებით კი "აღმოსავლით ტფილისისა არს ლილო... ტფილისის ჩრდილო არს მინდორი დიდუბისა, რომელსა პირველ ეწოდა ცხენის ტერფი... კვალად ტფილისის ჩრდილო არს ლურჯ მონასტერი, ეკლესია წმინდის გიორგისა, ეგუნბათი... ვერესა ზედა არს ხიდი დიდი ქვიტკირისა. გარნა ვერე წყნეთიდამ დე წალკოტითა შემკული... მის სამხრით არს ველი საბურთალოსა...".[23]




თბილისი XVIII საუკუნეში.
ნახატი ჟ. ტურნეფორისა.

XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში თბილისის მშვიდ განვითარებას დრო და დრო ხელს უშლის ტრადიციული მტრების შემოსევები, ესენი იყვნენ: ოსმალები, სპარსელები და ლეკები. "ლეკები ახდენდნენ სისტემატიურ თავდასხმებსა და თარეშს მთელი XVIII საუკუნის განმავლობაში. საერთო ჯამში, მათ უფრო მეტი ზიანი მიაყენეს, ვიდრე სპარსელებისა და თურქების ცალკეულმა დამანგრეველმა

შემოსევებმა".[244] ლეკთაგან თავდაცვის მიზნით მთელ ქართლში შენდება ციხე-სიმაგრეები.



თბილისის ხედი.
ნახატი ე. ხოჯაბეგოვისა.

მას შემდეგ, რაც ლეკებმა 1722 წელს დაარბიეს და დაწვეს თბილისი, ქალაქში შემოიჭრნენ ოსმალები, რომლებიც 1735 წელს ყიზილბაშებმა შეცვალეს (1747 წლამდე). მეფე ერეკლე II-ემ 1748 წელს განდევნა ისინი თბილისიდან. 1762 წელს თბილისი ისევ ხდება გაერთიანებული ქართლ-კახეთის დედაქალაქი. მეფე ერეკლე II აგრძელებს ვახტანგ VI-ის პოლიტიკას. მან ისევ აღადგინა სრულფასოვანი გზა დარიალის გავლით, რამაც გაამყარა რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობა.

ამ პერიოდისთვის ისევ ვითარდება ხელოსნობა და ჩნდება ახალი დარგები. ქალაქის ხელოსნები უკვე წარმოების 60-მდე სახეს ფლობდნენ. ხელოსნობის განვითარებასთან ერთად იზრდება ვაჭართა ფენების რაოდენობაც. ამასთან, ხშირად სახელოსნო საქმის დუქნადაც წარმოგვიდგება - ხელოსანი, ამზადებს რა ნაწარმს მოქალაქის თვალწინ, თვითონვე ყიდის მას. რუსეთის ჯარის პოლკოვნიკი ბურნაშევი, რომელიც რუსეთის მთავრობის წარმომადგენელი იყო საქართველოში ერეკლე II-ის დროს, წერს: "...თბილისელმა ხელოსნებმა მოამარაგეს თითქმის მთელი კავკასიონის მოსახლეობა და ახლომეზობელი სპარსეთი - ბრინჯაოს ჭურჭლით, ქაღალდით, ცხენის უნაგირებით, ხმლებითა და ხანჯლებით, დამბაჩებითა და თოფებით, პატარა რკინის ნივთებით, კაბებით, ქუდებით, ჩექმითა და ფეხსაცმლით".[245] ამ დროისათვის თბილისში ღვინის ქარხნები, მარილის მოსახარში და ზარაფხანა არსებობდა; ასხამდნენ ზარბაზნებსა და ქვემეხებსაც.

XVIII საუკუნის ბოლოს თბილისში ითვლებოდა 46 ეკლესია-მონასტერი და 5 მეჩეთი.

1795 წელი ნამდვილი შავი ფურცელია თბილისის ისტორიაში. საქართველო-რუსეთის მეგობრობის ხელშეკრულებით (გეორგიევსკის ტრაქტატი) განრისხებული აღა-მაჰმად-ხანი, რომელიც გამოირჩეოდა კაცთმოძულეობით, თავისი ურდოებით თავს დაესხა თბილისს. მათ სულ მცირე ხნის განმავლობაში მიწასთან გაასწორეს ქალაქი: "...ასეთი სასტიკი განადგურება თბილისს ჯერ არ ახსოვდა. მეფისწული თავის ამალით შევიდა თბილისში, სადაც მას დახვდა ბოლომდე დანგრეული შენობები, ფერფლი, გვამების გორები და მომაკვდავ ადამიანთა კვნესა...".[246] ამ ტრაგედიას ვაჟა-ფშაველამაც მიუძღვნა თავისი ლექსი "1795 წლის სახსოვრად":

...იწვება ჩვენი ქალაქი,
ალი შემჯდარა ალზედა.
...ტახტი დაეწვეს მეფესა,
ქვეყანა ქმნილა ვერანი.
სრულ სისხლით გადაბასრულან
მწვანეც იყერთა ველანი.
ფარშავობს აღა-მაჰმადი,
თამაშობს იმის მერანი.
სადაა ქართველთ ბიჭები,
ვით გასძლონ ამის მზერანი?
-ვაჰმე, სადა და სადაა,
კრწანისზედ გასწყდნენ ყველანი,
უხმობს, უწოდებს მხედართა...
დადუმებულან ენანი...

(1895 წ.).

**1799 ნოემბერში, ხელშეკრულების თანახმად, თბილისში რუსეთის ჯარი შევიდა. 1801 წელს გამოქვეყნდა იმპერატორ ალექსანდრე I-ის მანიფესტი, რომლითაც კახეთი და ქართლი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა.**

XIX საუკუნის დადგომისას თბილისის ისტორიის ახალი ფურცელი დაიწყო.

# თავი მეორე

## ძველი თბილისი - ქალაქური ამქრობა

*"ჩემო თბილისო! მე მას გულის სიღრმიდან ენაზეხო მშვიდობა ვუსურვე. - იქ სად ასე კარგად ვიმუშავე".*

*ალექსანდრე დიუმა*

*"თბილისი არის თბილისური ზნე. თბილისი არის ძმობის ქალაქი. მე ვარ თბილისელი და ჩემი მეგობარია 100 ერისა და ეროვნების კაცი".*

*გიზო ნიშნიანიძე*

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ თბილისი კარგავს დედაქალაქის სტატუსს: ის გადაიქცევა რუსეთის იმპერიის ერთ-ერთი გუბერნიის ქალაქად. ამ პერიოდისათვის უქმდება ბატონ-ყმობა. თბილისი აღმოჩნდება რუსული კაპიტალის ინტერესთა სფეროში. ვითარდება ეკონომიკური და სავაჭრო კავშირები, როგორც რუსეთთან, ასევე ევროპასთან.

იმ დროს ქართული ენა არ იყო დაშვებული არც ოფიციალურ წრეებში და არც სკოლებში. მიუხედავად ამისა, ქართულ ენას, ლიტერატურას და ხელოვნებას არ დაუკარგავს თავისი ძალა და სილაღე. საკმარისია, გავიხსენოთ ამ პერიოდში მოღვაწე ქართველები: ალ. ჭავჭავაძე, ნ. ბარათაშვილი, გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანები, გ. ერისთავი, დ. ჭონქაძე. 1851 წელს, მოწინავე ქართველების დიდი მცდელობის შედეგად, გაიხსნა ქართული თეატრი. ბევრს ცდილობდა რუსული იმპერიალისტური აპარატი საქართველოს კულტურულ იზოლაციაში მომწყვდევას. მაგრამ მისი უძველესი კულტურით დაინტერესებულნი იყვნენ რუსი ინტელიგენციის და რუსული კულტურის ისეთი ბრწყინვალე წარმომადგენლები, როგორებიც არიან ალ. პუშკინი, ა. გრიბოედოვი, მ. ლერმონტოვი, ა. ბესტუჟევი, ა. ოდოევსკი, მოგვიანებით მ. გორკი, ა. ჩეხოვი, ა. ესენინი. თბილისურმა ტრადიციებმა, ქალაქელთა სტუმართმოყვარეობამ და კოსმოპოლიტურმა ბუნებამ განაპირობა ისიც, რომ თბილისი გადაიქცა მთელი ამიერკავკასიის ხალხთა კულტურულ ცენტრად. არა მარტო ქართველ, არამედ სომეხ და აზერბაიჯანელ მწერალთა და პოეტთა შემოქმედებითი გზა თბილისში იწყებოდა.



ბაზარი მეიდანზე.
ნახატი ნ. ვერეშაგინისა.

ქართული ლიტერატურა და ხელოვნება ემსახურებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების დამკვიდრებასა და განვითარებას.

თბილისი ფეოდალურიდან ბურჟუაზიულ ქალაქად გადაიქცა. მაგრამ ურღვევი დარჩა ყოფიერებისა და კულტურის დამახასიათებელი ტრადიცია და წესი.

"ევროპიზაციის პროცესი ძალიან ნელა მიმდინარეობდა. XIX საუკუნის თბილისი ჰგავდა იანუსს, რომელიც ერთი სახით აზიას უცქერდა, ხოლო მეორეთი ევროპას. ეს ორსახეობა ბევრ რამეში გამომჟღავნდა: ტანსაცმელში, ყოფა-ცხოვრებაში, ხე-



თბილისის დუქანი.

ლოვნებაში და არქიტექტურაში. ფრაკი და ჩოხა, ჩაჩი და ჩადრი, აქლემთა ქარავანი და კარეტა, იტალიური საოპერო არია და ქართული მრავალხმიანი სიმღერა, სპარსული ბაიათებთან, კლავესინთან და დუდუკებთან, პოლონეზთან და ლეკურ ცეკვასთან, ევროპულ მაღაზიასთან და აღმოსავლეთურ ბაზართან, საცხოვრებლების კლასიკურ ტიპთან და ტრადიციულ ბრტყელ სახურავებთან ერთად წარმოადგენდა ერთიანობას, რომელიც მშვიდობიანად თანაარსებობდა დიდ გზაჯვარედინზე და რომელსაც ერქვა ტფილისი (ძველი თბილისი)".[237]

1845 წლიდან 1917 წლამდე თბილისი იყო კავკასიის მეფისნაცვლის რეზიდენცია. ეს ქალაქი წარმოადგენდა კავკასიაში ნედლეულის შესყიდვისა და პროდუქციის რეალიზაციის ცენტრს. მისი საშუალებით რუსეთი ახორციელებდა ვაჭრობას და დიპლომატიურ ურთიერთობებს აღმოსავლეთის ქვეყნებთან. რას წერს თბილისში 1820-24 წლებში მყოფი ფრანგი კონსული ბარონი გამბა: "...ტფილისში, ერთი და იმავე დღეს შემიძლიან პარიზიდან ნეგოციანტები, პეტერბურგიდან შიკრიკი (კურიერი), კონსტანტინოპოლიდან ვაჭრები; კალკუტიდან და მადრასიდან ინგლისელები, ხმირნიდან სომხები, ბახრენიდან ეზიდი და უზბეკი. ასე რომ ეს ქალაქი შეიძლება ჩაითვალოს ევროპისა და აზიის შორის მთავარ საკვანძო პუნქტად".[238]

თბილისში ჩნდება პატარა ქარხნები და ფაბრიკები. შენდება ბევრი ევროპული ტიპის შენობა. გარდა საცხოვრებელი სახლებისა, მრავლდება სავაჭრო, სახელოსნო და სავახშო დუქნები, აბანოები და ქარვასლები.

"XIX საუკუნის 60-იანი წლებისათვის ძველ თბილისში არსებობდა 3500-მდე სხვადასხვა ტიპის დიდი და პატარა სავაჭრო დუქანი, 9 საკონდიტრო, 70 ღვინის სარდაფი და საწყობი"[239] (ავტორისეული თარგმანი).

ქალაქი ბაღებითა და ბაღჩებით იყო გარშემორტყმული, რომლებიც დიდებულებს, სასულიერო პირებსა და ვაჭრებს ეკუთვნოდათ.

სამოციანი წლებისათვის თბილისის მოსახლეობის განსახლება სოციალური ფენების მიხედვით ასეთია: გარეთუბანში სახლდებოდა ძირითადად არისტოკრატია. მდიდარი ვაჭრები და მეფაბრიკეები, ახალწარმოშობილი ბურჟუაზია უფრო სოლოლაკში ცხოვრობდა. ხოლო კალა ძველი უბანი - დაკავებული იყო ვაჭარ-ხელოსანთა სახლებით. კლდის უბანში, ავლაბარში, ხარფუხში და ჩუღურეთში ღარიბობა და უპოვარნი ცხოვრობდნენ.

"ქალაქის მოსახლეობა მეტად ჭრელი და მრავალფეროვანი იყო. მაგრამ იგი ყოველთვის თავისი ენით მეტყველებდა: ეს იყო ქალაქური ენა. ქართული ენის ბგერაში ხშირად ისმოდა არაბულ-სპარსული, სომხური სიტყვები. მაგრამ ეს სიტყვები ყოველთვის შესისხლხორცებული იყო ქართული ენის ცოცხალ გამოთქმასთან. თბილისმა ფრთხილად მოანუსხა სხვადასხვა ერის წარმავალი სიტყვები და მისცა თავისებური ეშხი და მზეოსნობა".[240]

თბილისი ძირითადად ხელოსნების, ვაჭრებისა და ამქრების ქალაქი იყო.



ყარაჩოხელთა ჯგუფი. ფოტო 1903-1904 წლებისა.

აი, კიდევ რამდენიმე ცნობილი პიროვნების აზრი თბილისელებზე, ქართველებზე: "ალექსანდრე დიუმა - რა აზრისა ხართ ქართველებზე? - ვკითხე ბარონ ფონის, ჩვენს კონსულს თბილისში, რომელიც სამი წელია აქ ცხოვრობს (1856-58 წლები). - არავითარი ნაკლი მათ არ გააჩნიათ, მხოლოდ ღირსებებით არიან დაჯილდოებულნი - მიპასუხა მან. ხედავთ, როგორ ხოტბას ასხამს ქართველებს ფრანგი, რომელსაც ყველა ადამიანივით სხვისი გაქირდვა უყვარს, ყველაზე უფრო კი თავი მოსწონს. ერთი სიმპათიით განთქმული რუსი, გენერალ შერემეტევი, მეუბნებოდა: - ქართველები ენდა ნახოთ ომში, როცა მათ ესმით თავიანთი წყეული ზურნის ხმა რომელიც თოჯინების ასაცეკვებლადაც კი არ ვარგა, ამ დროს ისინი ნამდვილ ტიტანებს მოგვაგონებენ და მზად არიან ცაზე მიიტანონ იერიში. ეხლა საუზმეზე ენდა ნახოთ ქართველები! - მეუბნებოდა ერთი პატივსაცემი გენერალი, რომელიც ხაზგასმით იცინებდა, როგორ დალია პოლკოვნიკის ლუდის ხანში თორმეტი ტოლის ლუდი შუადღისას, მათ შეუძლიათ შესვან თხუთმეტი, თვრამეტი, ოცი ბოთლი ღვინო, ისე, თითქოს აქ არაფერიათ, ყონიც მართალს ამბობდა, რუსიც და ფრანგიც".[251]

ივ. ჯავახიშვილი, საქართველოში ამქრობის წეს-ჩვეულებების დასაწყისს VIII საუკუნეს აკუთვნებს, ვინაიდან "არაბეთის სახელმწიფოში ამქრები უკვე მერვე საუკუნეში არსებობდნენ, ხოლო საქართველოს საქალაქო წეს-წყობაზე არაბებს დიდი გავლენა ჰქონიათ".[252]

"ამქარი" სპარსული სიტყვაა და ნიშნავს თანამოსაქმეობას. ხელოსნების თითოეულ დარგს საკუთარი ამქარი ჰქონდა. ყველა ამქარს თავისი დროშა ჰქონდა, რომელზედაც გამოხატული იყო ემბლემა; თითოეულ ამქარს საკუთარი მფარველი წმინდანიც ჰყავდა. "ასე მაგალითად, ხარაზების დროშაზე გამოხატული იყო ელია (ილია წინასწარმეტყველი), დაბალებისაზე - ღვთისმშობელი, ხარაჯებისაზე - ყურმის მტევანი, ყასბებისაზე - მამა აბრაამი თავისი ბატკნით, ხუროებისაზე ნოეს კიდობანი და სხვა".[253]

ამქრები ყარაჩოღელებად იწოდებოდნენ. ყარაჩოხელი (ასიმილაციით - ყარაჩოღელი), ანუ შავჩოხოსანი - ძველი თბილისის დაზგის და კოლორიტი იყო. ამ სოციალურ ფენას რვაასი - ცხრაასი წლის ისტორია აქვს. ყარაჩოღელთა წარმომავლობა ბევრმა ქართველმა მეცნიერმა გამოიკვლია - გ. შალვაშვილმა, გ. მამულაშვილმა, თ. ნატროშვილმა, გ. გაბაშვილმა და სხვა. აი რას წერს ბატონი გიორგი მამულაშვილი ამის თაობაზე: "...ყარაჩოღელთა წინაპარი **რინდები**, იგივე **ჯევანმარდები** წარმოადგენდნენ. "რინდი" სპარსული სიტყვაა და ნიშნავს მოქეიფეს, ზარხოშს; "ჯევანმარდი" - ახალგაზრდა კაცს, ასე უხმობდნენ მოჯანყე, არსებულ წეს-წყობილების წინააღმდეგ ამხედრებულ ადამიანს".[254]

ფილოსოფიაში მოჯანყეობას - არსებულ წეს-წყობილების წინააღმდეგ ამხედრებას კონტრკულტურის ფენომენს უწოდებენ. "კონტრკულტურა კულტურის ალტერნატივაა, მისი ნგრევის აქტია, მაგრამ, არა მარტივად ნგრევის, არამედ ნგრევით აღორძინების პროცესია. ეს თითქოს კულტურის გასხვლა და გამარგვლაა, რათა არ დაიჩაგროს და დაიწრიტოს ახალი, ჯანმრთელი და ჯანსაღი. მაგრამ რას ანგრევს კონტრკულტურა?

კულტურა ქაოსის ანტონიმია და პირობაა კაცობრიობის როგორც ფიზიკური, ასევე სულიერი არსებობისა. მაგრამ კულტურა, იმდენად, რამდენადაც იგი ტრადიციებისა და კლიშეების, ტაბუების, კანონების ფორმით იქმნება, თავის არსში უკე რიგიდული და დოგმატურია და სწორედ ეს რიგიდული ნაწილი კულტურისა არის არანაკლებ საშიში, ვიდრე ტოტალური ქაოსი. ეს ნაწილი შეიძლება გამოვიდეს კონტროლიდან, დაიფიწყოს თავისი დანიშნულება და გახდეს სრულიად დესტრუქციული... აი სწორედ ამ სენის თავიდან ასაცილებლად განვითარებულ სულიერ კულტურებში არსებობდა ფენომენი კონტრკულტურისა, როგორც მეხამრიდი და განმწმენდი ჩვენი ყოფისა. ვინ არიან კონტრკულტურის წარმომადგენლები? - ისინი რჩეულნი არიან და ხშირად ზვარაკად ეწირებიან ჩვენს არსებობას და თავს სწირავენ, რათა ჩვენ არ გადავიქცეთ მხეცებად".[255] ასეთები იყვნენ ჯევანმარდები - თბილისელი ყარაჩოღელების წინაპრები.

ი. იმედაშვილი ერთ-ერთ თავის სტატიაში ყარაჩოღელებს რაინდთა წარმომადგენლებს უწოდებს, რომლებიც მზად იყვნენ მეგობრისათვის თავი გაეწირათ. იგი მათ კეთილშობილ, ამაღლებული სულის მქონე მეამბოხეებად იხსენიებს, რომლებიც ილაშქრებდნენ ყოველი უსამართლობის წინააღმდეგ.[256] ხოლო გ. მამულაშვილი ასე აგრძელებს მათ დახასიათებას: "...თბილისელმა ყარაჩოღელმა, მემკვიდრეობით მიიღო არა მარტო სახელის ქართული ფორმა "ჯომარდი", არამედ მისი ყველა კარგი თვისებაც: ყარაჩოღელი ვაჟკაცი იყო, მებრძოლი უსამართლობისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ, ქვრივ-ობოლთა ქომაგი და გამკითხავი.



თბილისელი კინტო.
ფოტო 1903-1904 წლებისა.

ხელოსანთა და წვრილ ვაჭართა წრის ეს წარმომადგენლები მხოლოდ სიდარბაისლითა და დარდიმანდობით როდი გამოირჩეოდნენ სხვა მოქალაქეთაგან, არამედ გარეგნული იერსახითა და ჩაცმულობითაც განსხვავდებოდნენ: ორიბად ნაპარსი წვერი, მოგრძოდ მოშვებული თმა, სქელი, ხელოვნურად ნაგრეხილი ულვაშები, ვიწრო წითელი პერანგი, შავი ატლასის ახალუხი, წვერწაწვეტებულ ხამლებში ჩატანებული განიერი შარვალი და ქარაველის წოწოლა ქუდი. წელს ერთიანი ვეხოდ ნაჭედი ზარნიშიანი ვერცხლის ქამარი, რომელშიც მწვანე აბრეშუმის ბაღდადის ბოლო და მოვერცხლილი ჩიბუხი ქინდათ გაჩრილი, ზედ თუთუნის ქისაც ეკიდა... სამოსელის ყოველ დეტალს ჰქონდა სიმბოლური მნიშვნელობა, ადვილდება ამ განსაკუთრებული როლის გარკვევა, მელიც ენიჭებოდა ყარაჩოღელებისათვის მისსავე ქამარს".[257]

ყარაჩოღელისათვის ეს "ვერცხლის ქამარი" იყო მისი სინდისის, რაინდობის, ვაჟკაცობისა და ხელობის სიმბოლო, ასევე "დასამარის კაპიტალსაც" წარმოადგენდა. მან სიცოცხლეშივე იცოდა, რომ სიკვდილის შემდეგ ამქრის წევრების ძალით, მისი ამხანაგები [illegible] გადიდნენ მის გასვენებას; ღირსეულად დაასაფლავებდნენ და მისი ოჯახის წევრებიც უპატრონოდ არ დარჩებოდნენ.

მკლევარი გ. შაყულაშვილს არ აკმაყოფილებს ქამრის ოდენ "სამარის კაპიტალის" დანიშნულება, რადგან ქამარს ეკონომიკურის გარდა, ეთიკური მნიშვნელობაც ჰქონდა... წელზე ქამრის შემორტყმა ოსტატად გახდომას და ამქარში გაწევრიანებასაც ნიშნავდა. ამიტომაც, ყარაჩოღელისათვის ამ სიმბოლური ნიშნის დაკარგვა ოსტატის სახელისა და ღირსების დაკარგვის ტოლფასი იყო.

ასე რომ, ყარაჩოღელებს ებრალო ტანსაცმელი ეცვათ (შავი ფერი — სიბრძნის, ებრალობისა და სიმშვიდის გამომხატველია სუფიურ სიმბოლიკაში), რაც ძალიან საპატიო იყო მათთვის - იგი ღვთიურ ზნეობასა და ატრიბუტს განასახიერებდა. მათი აზრით, ადამიანმა ისეთი ტანსაცმელი უნდა ატაროს, რომელიც მოიწონს, ეკადის ჰარმონიაში იყოს მასთან რაც, მისთვის სოციალურადაა მისაღები: "ისეთი ტანსაცმელი ატარე, რომ მის გამო შენზე თითი არ გაიშვირონ, ასევე არც აღფრთოვანდნენ და არც შეშურდეთ", ამბობდნენ ყარაჩოღლები. ან კიდევ:

"ქვეყნად ყველა როდი სცოდავს - რომ ჩაიცვამს ფარჩის კაბას,
ქედმაღლობით დაიერება და მლიქვნებს შორის თვალებს ჩაბავს.
მუხანათი ის კაცია, ვინც სიმდიდრე მოიხვეჭა,
ერცხვინება მეგობრისა - ვინც ძონძებში ხელსა ჰლაფავს".
მღეროდნენ ისინი.

ამქრების მუშაობის ხელმძღვანელობა და კონტროლი "უსტაბაშს" ევალებოდა. ამქრის უსტაბაში დიდი ავტორიტეტი იყო. ის, როგორც არჩეული მამასახლისი, სარგებლობდა შეუვალი ავტორიტეტით. ამქარს ჰქონდა საკუთარი წესდება, ანუ საწარმოო კოდექსი, სადაც მკაცრად იყო დაცული კოლეგიალობა. ამქართა ამ საწარმოო კოდექსში მორალურ-ზნეობრივი და რელიგიური საკითხები უფრო უხვად იყო წარმოდგენილი, ვიდრე საწარმოო-ადმინისტრაციული. "...ამქრის საწარმოო კოდექსებში კარგად არის ასახული ქალაქის დაბალი ფენების სოციალური იდეები, რომლებიც გამოხატულია შუა საუკუნეების ეპოქალური იდეოლოგიით **სუფიური აზროვნებით...** დღეს ქართულ ისტორიოგრაფიაში სადავო აღარ არის თბილისში რინდებისა თუ ფითიანების არსებობის ფაქტი. ასე რომ, ჩვენი ყარაჩოღელები შუა საუკუნეების აღმოსავლურ ქალაქებში არსებული სოციალური მოძრაობის - ფითიან-ჯევანმარდთა, რინდ-ახიათა ხელოსნურ გაერთიანებათა წარმომადგენლები იყვნენ და ამ გაერთიანებების მორალურ-ზნეობრივი სენტენციების მთელი სისტემა ცხოველმყოფლად დომინირებდა თბილისელი ყარაჩოღელებისა და მათი დეკლასირებული ჩამომავლობის, ძველი თბილისის ეგზოტიკური ფიგურის კინტოს ყოველდღიურ ყოფაში.[258] სიტყვა "კინტო" სწორად წარმოითქმება, როგორც "კენტო" (ანუ "კენტი" - ერთი), რაც მარტოხელა მოვაჭრეს ნიშნავდა და რომელსაც არც პატრონი ჰყავდა, არც ამხანაგი.

ამქართა ხაწარმოო კოდექსის თანახმად, შეგირდი, ვიდრე ქარგალი გახდებოდა, თავის ხელობის გარდა, ყოველგვარ წვრილმან საქმეებსაც ასრულებდა. ახალგაზრდა ქარგალი იმით განირჩეოდა შეგირდისაგან, რომ მას უფლება ჰქონდა, რომელ ხელოსანთანაც მოისურვებდა, იმასთან ემუშავა. შეგირდი კი იმ ხელოსანთან უნდა დარჩენილიყო, ვისთანაც მშობლები მიაბარებდნენ. ქარგალი შეზღუდული იყო ერთ რამეში: მას არ შეეძლო ხელოსნის დუქნის გარეთ დამოუკიდებლად ემუშავა ან ხელოსნის დაუკითხავად შეკვეთები მიეღო.


ამქართა სელა დროშით.
ნახატი ე. ხოჯაბეგოვისა.

"ყოველ ამქარს საქეიფოდ წელიწადში გაზაფხულის ერთი დღე ჰქონდა არჩეული. გაზაფხულზე, თითქმის ორმოცი დღის განმავლობაში (აღდგომის ორშაბათიდან ამაღლებამდე) ორთაჭალა და ქალაქის სხვა განაპირა მიდამოები აზმაურებული იყო ამქართა დღესასწაულებით. მიდიოდნენ ქალაქის ბაღებში, დაკლავდნენ სამღვთოს და ამზადებდნენ შილაფლავს. ეს შილაფლავი რიგდებოდა ღარიბ-ღატაკთა შორის და ერთი კარგა მოზრდილ ქვაბს, თავის "ჯვარის მამის ლავაშებით", ციხეშიაც უგზავნიდნენ პატიმრებს. ამავე დღეს მთელი ამქრის თანდასწრებით ხდებოდა ახალგაზრდა ხელოსნების დალოცვა, რომლებიც მანამდე ნამდვილ ოსტატებად, ანუ ამქრის სრულუფლებიან წევრებად, არ ითვლებოდნენ. ამ დალოცვაზე მოწვეული ჰყავდათ მღვდელიც, რომელიც დალოცვის წინ ხელოსანს ზნეობრივ დარიგებას აძლევდა, ხოლო უსტაბაში კი სამჯერ შემოკრავდა სილას და ეს იყო ატესტაცია ხელოსნისათვის... ამის შემდეგ სუფრას შემოუსხდებოდნენ და იმართებოდა ლხინი და სადილი". "ამქრობა ბოჰემის ერთი იმ ნაწყვეტთაგანია, ურომლისოდაც ძველი თბილისის დარღვეული სახე ვერ შეკოწიწდება".[259]

"ამქარი ქართველი მეფეების დროს ასრულებდა ქალაქის ადგილობრივი გარნიზონის როლს. ჯერ კიდევ 1803 წელს, განჯის ციხის დაცვაში, ქართულ ჯართან ერთად, თბილისის ამქრობაც იღებდა მონაწილეობას. 1826 წელს ამქრები დარაჯობდნენ ნავთლუღის ჰოსპიტალს, ხოლო 1854 წელს ოსმალებთან ომის დროს გენერალ რეადის მიერ, სხვა მოქალაქეებთან ერთად, თბილისის ამქრებიც იყვნენ გაწვეულნი და ისინი მთლად შეიარაღებულნი ერთსულოვნად გამოცხადდნენ".[260]

ამ თავის ბოლოს ერთ საყურადღებო ფაქტზე მინდა გავამახვილო მკითხველის ყურადღება. XX საუკუნის 30-იან წლებში, ანუ როდესაც ბოლშევიკურმა რუსეთმა დაიპყრო მთელი საქართველო და ჩვენი ძველი თბილისის მოქალაქეები "ბედნიერი სოციალიზმის" მშენებლობის საქმეში "ჩააბეს", თბილისის ცხოვრებისეული არენიდან, ყოველგვარი ხმაურისა და ცნობების გარეშე მთლიანად გაქრა (ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით) თბილისელ ამქართა ორდენები.

ამ ფაქტის შესახებ რაიმე ისტორიული დოკუმენტები და ცნობები ან საგანგებოდაა გადამალული, ანდა განადგურებული. ჩვენმა გამოკვლევებმა იმ აზრამდე მიგვიყვანა, რომ ცნობილი რეპრესიების პერიოდში მთლიანად განადგურებულ იქნა თბილის-ქალაქის ეს განუმეორებელი, შეუდარებელი ნაწილი და კოლორიტი.

ამ თავს მწერალი გიზო ნიშნიანიძის სიტყვებით დავამთავრებდი: იგი თავის შესანიშნავ წიგნში ასე წერს ძველ თბილისზე: "ათასი წლის წინათ ამ ათას ერთი ზღაპრის ქვეყანაში ციხისთავები ქალაქის კარებს აისზე აღებდნენ და დაისზე კეტავდნენ, რომ შემოსაშვები შემოეშვათ და არგასაშვები არ გაეშვათ. ახლა ეს კარები სულ ღიაა და იქნებ მეტისმეტად გულღიაც".

ძველი თბილისის ქალაქური ფოლკლორი, ხელოსანთა ყოფა და ზნე მკაფიოდ შემოგვინახა ი. გრიშაშვილმა "ძველი თბილისის ბოჰემაში", სადაც დიდი სიყვარულითა და სათუთად არის აღწერილი ძველი თბილისის ხელოსანთა დღესასწაულები, საბრძოლო შერკინებები და გართობები; ხოლო თავის ტილოებში ჩვენმა სახიქადულო მხატვრებმა ლადო გუდიაშვილმა, ნიკო (ნიკალა) ფიროსმანაშვილმა, ვანო ხოჯაბეგოვმა და სხვებმა.

# თავი მესამე

## თბილისელ ამქართა გართობები და დღესასწაულები

*"ბერბეჯს შეკაზმეს ყელსი,*
*ქუდი დახურეს ცხვირსაო,*
*ქალაქი შემოავლოეს*
*ვერვინ იტყოდა ცელსაო"*

*(ხალხური)*

*"თბილისს აქვს განსაკუთრებული თვისება:*
*უცებ გაათბილისელოს ყველა, ვინც*
*თბილისში ცხოვრობს; იშვილის და*
*გაათბოს ყველა, ვინც მას შეიყვარებს.*
*ესაა თბილისის ფენომენი.*

*ოთარ ნიშნიანიძე*

ყარაჩოღელებსა და კინტოებს გააჩნდათ სიმღერების, ცეკვებისა და საბრძოლო ხელოვნებების სტილი, თავისებური შინაარსით, პეწითა და კლასიკური გამოხატულებით.

განუმეორებელია ძველი თბილისის აშუღური პოეზია, რომლის წარმომადგენლებიც არიან ცნობილი ქართველი პოეტები: არჩილი, ბესიკი, დავით გურამიშვილი, საიათნოვა, გრიგოლ ორბელიანი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, იეთიმ გურჯი და სხვანი. თბილისის აშუღური ხელოვნება გენეტიკურად დაკავშირებულია თურქულენოვანი სამყაროს სახალხო მოქმედ-მუსიკოსთა-ოზანთა (VII-VIII ს.ს.) შემოქმედებასთან. ამ უკანასკნელის წინაპარი ისლამამდელ ეპოქაშია საძიებნი. აშუღური ხელოვნებისათვის, კონკრეტულად, პოეზიისათვის შემდგომ უცხო არ ყოფილა თეოლოგიური შეხედულებანიც, რამაც, სხვათა შორის, ასახვა საიათნოვას შემოქმედებაშიც ჰპოვა... აშუღური პოეზიის საფუძველი მაინც ზეპირსიტყვიერებაა. იგი თემატურად შეზღუდულია სატრფიალო-სამიჯნურო ლირიკით.

ვის ეტრფის, ესაყვარულება და ვისთვის სწირავს თავს სუფია-აშუღი? ვისა და თავის ულამაზესსა და უსათნოესს, მზეთუნახავსა და მისთვის ერთადერთს ღვთაებრივ სატრფოს, სიცოცხლისა და მიჯნურობის, ანუ სიბრძნის არსს, სიმბოლოსა და სახეს. უზენაესის დანახვა ქალში მისთვის ყველაზე სრულყოფილ ფორმას წარმოადგენს. სუფიური მოძღვრება თვლის, რომ სასიყვარულო პოეზიას ძალუძს ღვთიური შემეცნების სრულყოფილი და თანმიმდევრული გზის გამოხატვა. იგი, ამავდროულად, ბევრ სხვა ფუნქციასაც ასრულებს. თითოეული სუფიური განცდა თავისი უსაზღვრო სიღრმითა და ხარისხობრივი ნაირფეროვნებით გამოირჩევა.



თბილისელი მუსიკოსები.
ფოტო 1903-1904 წლებისა.

მომღერალ აშუღს კარგად ესმოდა, რომ ადამიანის სილამაზე დაკავშირებულია ღვთიურ (ზეციურ) რეალობასთან და ამიტომაც იგი ისეთ ლექსებს (სიმღერებს) ქმნიდა, სადაც არამარტო ულამაზესი ქალიშვილის სრულყოფილებას ასხამდა ხოტბას, ასევე შესაბამისი სახით გადმოგვცემდა უმაღლესი რეალობის იდეასაც.

"თუ სიყვარული უზენაესს (ღვთაების) მიერ შერჩეულ ადამიანს დაეუფლება, მას წყალობა ეწოდება.

როცა ხევსურული რიტუალით შორის რიგული დაჟღვლება, მას მადლი ეწოდება. კაცობრიობას მხოლოდ მადლი ეძლევა, და იგი კეთილისმყოფელის (მწყალობლის) ნიშანდებს შორის ქმოსვრებია. აშკარის ლექსი (ხატსარა) სწორედ იმ მადლისა და კეთილგანწყობის გულისხმობს, რომელსაც სიწმინდეს ეწოდება. ამ წესობის შედეგად ქმნება შეყვარებულობის არსებობა შეყვარებულობის სარისხამდე აყვანს და შეყვარებული შიდა "მე"-ს გაქრობის მდგომარეობამდე მიიყვანს".[261]

სახევსურეთის პოეზია ღვთის გარეშე წარმოუდგენელია. ამიტომ სვეტიაშვილებს ვაჟის სიტყვებზე ახლო შეხედულება გააჩნდათ: "...ქვეყანარო ხევსურეთს მოხვდება აუცილებელია კაცობრიობისათვის, რაც მხოლოდ ვაჟს და მის ნაყოფს ძალუძს. ია, ამიტომაც აირიგს ხევსურეთის ქალაქების მოძღვრებას სხვაგვარი მოძღვრების სიმბოლოდ "ვაჟის ჯვარი" მას შემდეგ, რაც "რინდი-აშვილი" ვაჟს, ყორძენს, მის მაჯარს, მაჭრის დადეგებასა და თვით დამლევარ ღვთის შეიცნობს, მისივე შემეცნების პროცესში ღვთის ღვთიურ პოლედქიად (საკუბად) გადაიქცევა. ზეციური სამყაროს მიმართ "მწყურვალთა" სადღესასწაულო სულიერების შეცნობის შემდეგ სრულყოფილი აღმოჩნდის მიერ ქვეყნის ძიების გზების რთულობა ადვილი გასაგები ხდება. იგი ზეციურ სამყაროს - ღვთის სავანის მიღების შემდეგ სვამს და ეს ღვთის სმის რიტუალი, ბრძნული სადღესასწაულობის რიტუალი და ქვეყნის გახსნასთან მათი კავშირი - ღვთის სმის დიდ ხელოვნების გულისხმობს".[262] (ავტორისეული თარგმანი).

"ასეთები იყვნენ სუფისტები, ანუ მოხეტიალე დერვიშები, რომლებიც თავის ნაირისმცემლოდით ჭრელი მოსასხამით შემოსილნი ირანში, საქართველოსა და ინდოეთში მოძღვრავდნენ ხალხს; მაჯნურთა და სულთა სახით ისინი ეძებდნენ ქმნადსს და ეროვნებოდნენ თავიანთი ტრფობის ობიექტს; როგორც ყორყანა სახილის შექის ირგვლივ მოფრინავს, იწვებოდნენ და ეროვნებოდნენ პირველსაწყისს".[263]

აშკარაა პოეზია სრულიად სპეციფიკური, ორიგინალური ლიტერატურული მოვლენაა... თბილისის ქუჩებში დაიბადა "ქუჩის პოეზია" და მისი ბევრი არაქართველი წარმომადგენელი ქართულ ენაზე წერდა... XIX საუკუნის პირველი ნახევრის თბილისის კულტურა ფაქტიურად სამი კულტურის - აღმოსავლური ირანულის, ევროპულისა და აღმოსავლეთის ნაზავის წარმოადგენდა... ძველი თბილისის პოეზიაში არსებული სუფიური მოძღვრების კვალი სწორედ ამ ნაზავის კონტურებით არის გამოვლენილი - მაგალითად, მათი სარიტუალო ცეკვა "თალის-თამაში", რომელმაც ქალაქური ქორეოგრაფიასა და საბრძოლო სტილებს მისცა დასაბამი (იხ. სურათი).

"თალის-თამაში" ყველიერის დროს სახლის ბანებზე იწყებოდა ახალგაზრდა ხელოსანთა ქეიფით. მედუდუკენი იწყებდნენ დაკვრას; მოქეიფე ახალგაზრდა ხელოსნები დგებოდნენ მაგიდიდან, ჯიბიდან ცხვირსახოცს ამოიღებდნენ და მხარზე გადაიგდებდნენ. ერთი ჯოხს იღებდა და ამის საშუალებით სხვა მონაწილეებს ახევებდა. სხვები მეხიკის ტაქტის მიხედვით იწყებდნენ ცეკვა-ხტომას. შემდეგ იხსნიდნენ სათვალსაჩინოდ სარტყელს, ქამარს, ბოლოს, სიცივის მიუხედავად, წელზემოთ შიშვლდებოდნენ და იწყებდნენ თავგამოდებულ ცეკვას..."[264] ქართველი მეცნიერის დ. ჯანელიძის მიხედვით, საბრძოლო ცეკვა "თალის-თამაში" მეორე საბრძოლო ცეკვის[265] "მელია-თალაფიას" მონათესავე ცეკვაა. მართლაც, "თალის-თამაშისა" და "მელია-თალაფიას" შედარებისას არის მსგავსება - მოძრაობათა თანმიმდევრობა და ტანსაცმლით გაშიშვლება, - რაც მისაელიანობის კულტისადმი მიძღვნილი ფერხულებისა და თამაშობებისთვის იყო დამახასიათებელი.



ყარაჩოხელთა რიტუალური ცეკვა "თალის თამაში".

როგორც ცეკვა "მელია-თალაფიაში", აქაც, ყარაჩოღელი "თალის-თამაშში" მოცეკვავე ახალგაზრდა ამქრები გამძლეობისა და ნებისყოფის გამომჟღავნების გარდა, სულიერი განწმენდის გაკვეთილებსაც იღებდნენ: უნდა მოეთმინათ სიცივე და ტანზე ჯოხის ცემა, დედაკები-



კინტოები ბატკნებით. ფოტო 1903-1904 წლებისა.

სა და ზურნის თანხლებით ცეკვისას ისინი ხელოვნურ ექსტაზში შედიოდნენ და გულისყურს შეყვარებულისაკენ მიმართავდნენ.

„აჰყვებოდნენ რა განსაზღვრულ მოძრაობებს, რომელიც მუსიკის ქვეშ, მოცეკვავენი ხელოვნური აღმაფრენისა და დიდი სიყვარულით დაითობის მწვერვალზე იმყოფებოდნენ. გზნების გარდა მათ არარაფერი ახსოვდათ. მთელი თავისი გრძნობითა და გონებით შეყვარებულისადმი იყვნენ მიმართულნი; მოლანდე ეროს ამბობდნენ საკუთარ …ზე და იღწვებოდნენ კიდეც მას."

თბილისელ მედუდუკეებზე, მეზურნეებსა და ცეკვებზე ფრანგი მწერალი ალექსანდრე დიუმა ამბობს: „მუსიკოსები როგორღაც კვრავდნენ ზურნას, რომელიც საშინლად ღლის დამკვრელს. მხოლოდ ქართულ მკერდს შეუძლია ასე დაუღალავად უბეროს თავის საცოდავ ინსტრუმენტში... ორი მეზურნე ერთმანეთს ენაცვლებოდა და გამაოგნებლად აჟღერებდა, რაც ქართველებში დიდ … ს იწვევდა. ეს მუსიკა მოცეკვავეებს თითქოს ძალას მატებს და მათ დიდებულ ილეთებს ასრულებინებს. ასეთი ვარჯიში, რომელსაც ვერც ერთი ხელოვანი ხან წუთსაც ვერ გაუძლებდა, ისინი ათ წუთზე მეტს გაუძლებდნენ, ხოლო მოცეკვავეებს, ნებისა თუ მათი თხოვნის წყალობით, სრულად არ ეტყობოდათ დაღლა".[267]

„კინტაური" ძველი თბილისის ხელოსნებისა და წვრილი ვაჭრების პოპულარული ცეკვაა. კინტაურის სახასიათოდ ნიშნებია საგაზაფხულო სახალხო დღესასწაულის „ყეენობის" ძირითადი ელემენტები".[268]

ძველი თბილისის ქალაქურ ფერხულებში: „ბაღდადურში", „ყარაჩოხელურში", „კინტაურში" შენარჩუნებულია ძველი ქართული ტომების საბრძოლო ფერხულების ელემენტები, როგორიცაა მაგალითად, „ბუქნა", ცალ ფეხზე ბრუნვები, მხრების თამაშები, ყოველნაირი ხტომები ღრმა ჩაბუქნებითა და ცალი ფეხის გაშვებით (დაროჯის შეტევით), ხტომები ცალ ფეხზე ბზრიალით, კალთა-დაზნექვები (ე.წ. „ხიდები") და სხვა. ეს ფაქტები ამტკიცებს, თუ როგორ ორგანულად არის შერწყმული უძველესი ქართული საბრძოლო ფერხულები ძველი თბილისის ცეკვებსა და საბრძოლო ხელოვნებაში. მაგალითისათვის მოვიყვანთ ხევსურ საბრძოლო თამაშს „ფარქა ლიკვლის": ახალგაზრდა მებრძოლი აგდებდა მიწაზე ქუდს, ხელებს ზურგზე შემოიწყობდა და ერთ ფეხზე მდგომი, კბილებით იღებდა ქუდს მიწიდან.[269] იგივე ილეთი გვხვდება, როდესაც „კინტაურში" კინტო მიწიდან ცხვირსახოცს კბილებით იღებს, რაც ხაზს უსვამს მოცეკვავის სისხარტესა და მოქნილობას.



ყარაჩოხელთა ქეიფი (თავზე ლოქით).
ნახატი ე. ხოჯაბეგოვისა.

„ბაღდადურ-კინტაურში" კომბინაციათა გამომგონებლობა და ყირეულობა დაყვანილია ზღვრულ დახვეწამდე. ცეკვა მთლიანად სიუჟეტურად გააზრებულია და მასში, ხშირად, ნაჩვენებია „ყარაჩოხელთა ქეიფი" სადღეგრძელოებითა და შეჯიბრებებით, არღნით, ზურნით, დუდუკებით, მამლებისა და ყოჩების შებრძოლებებით, მუშტი-კრივით და სხვა.

ქართველი მეცნიერი ალექსიძე, ძველი თბილისის ფერხულს - „ყარაჩოხელურს" უძველეს ქართველთა საკულტო ფერხულს - „მუშმფარს" ამს-

გავსებს და აღნიშნავს, რომ ეს ცეკვაც ბოთლით ან ჭიქით თავზე დადგმული სრულდებოდა[270] (იხ. სურათი).



ყეენობა ძველ თბილისში.
ნახატი ლ. გუდიაშვილისა.

უფრო გაწაფული მოცეკვავეები თასზე ბოთლების გარდა, თეფშებს, ჭიქებს და სხვა საგნებსაც დგამდნენ ხელებგაშლილნი თავზე თაბახდადგმულნი, ცდილობდნენ წონასწორობის შენარჩუნებას: ფეხებით ისინი ხატავდნენ იდუმალ ნიშნებს, რომელსაც "ასმებს" უწოდებენ და მათ საბოლოო დანიშნულება გაიხსნდათ. ხოლო შემდგომ, იხსნიდნენ რა თავიდან ხელებით თაბახს, გადადიოდნენ "ბუქნაობაზე" და სტომით მოძრაობებზე.[271]

ყარახოღელთა მუშტი-კრივი და ჭიდაობა იგივე ელემენტებს შეიცავს: თავზე იდგამდნენ ბოთლს ან ღვინით სავსე ჭიქას; ვაჟკაცი ის იყო, ვინც თავის მეტოქეს სძლევდა და თან ჭურჭლიდან ღვინის ერთი წვეთიც კი არ დაექცეოდა. მსგავსი მაგალითები უძველეს დროშიც მოიძებნა მესოპოტამიასა და კავკასიაში მოჭიდავეებს თავზე ღვინის სარიტუალო პატარა ქვევრები ედგათ (იხ. სურათი).

ძველი თბილისის აშუღებმა: საიათნოვამ (არუთინ საიადიანმა) და იეთიმ-გურჯიმ (ა.გ. დაბლოშვილმა), შექმნეს და შთამომავლობას დაუტოვეს თბილისური სიმღერისა და პოეზიის განუმეორებელი სტილი და კოლორიტი.

თბილისელ ამქრებს, ყაჩრებსა და მოქალაქეებს ჰქონდათ მშვენიერი ქალაქური დღესასწაული "ყეენობა", როგორც "ბერიკაობა", ასევე "ყეენობაც" ძველი ქართული ხალხური წარმოდგენა იყო წარმართობის დროიდან მომდინარე საბრძოლო დღესასწაულ-გართობა - იგი შვილიერობისა და მოსავლიანობის რიტუალს წარმოადგენდა. თვით ტერმინი "ყეენობა" შედარებით ახალია. მრავალი საუკუნის მანძილზე ამ დღესასწაულის ფორმა ძირითადად იგივე რჩებოდა, იცვლებოდა მხოლოდ შინაარსი.

გვიან ფეოდალურ ხანაში ეს სახალხო დღესასწაული განასახიერებდა სპარსეთის შაჰის განდევნასა და ქვეყნის ხსნას. იგი იმართებოდა გაზაფხულზე, დიდმარხვის ორშაბათს ე.წ. შავ ორშაბათს. მასში მონაწილეობდა თბილისის მოსახლეობის ყველა ფენა (იხ. სურათი). მთავარი მოქმედი პირი იყო ყეენი (მეფის ტიტული აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში) (იხ. სურათი). "ყეენის კოსტიუმი მეტად მრავალფეროვანი იყო: თავზე ეხურა ქაღალდის ჭრელი წოპიანი ქუდი ან ფრინველის ბუმბულით მორთული ფაფახი, მაღალი ან საბუდარის მსგავსი ნალის თავსაბურავი "ყანისა და თივის მოსავალი დიდი იქნებაო".



"ისპანახობა" ("ყეენობა") თბილისში (შუაში ზის ილია ჭავჭავაძე). ფოტო 1903-1904 წლებისა.

"ყეენი სახეს ქაღალდის ან მუყაოსგან დამზადებული ნიღბით იფარავდა, რომელიც პირისფრად ან წითლად იყო შეღებილი. ზოგჯერ შავი ნაბდის ან შავად შეღებილი ნიღაბიც გამოიყენებოდა. ნიღბებს თვალების, ცხვირისა და პირისათვის ჭრილები, რქები და ღორის ჯაგრის ან თხის ბეწვის წვერ-ულვაში ჰქონდა" (იხ. სურათი).

XIX საუკუნიდან ყეენობა უკვე წარმოადგენდა დასრულებულ თეატრალიზებულ სანახაობას, საბრძოლო შერკინებების სცენებს, რომლებიც გადმოგვცემდა ყეენის მეთაურობით ქალაქის

მეცხოვრებთა "გამარჯვების" მღერით. ყეხოლ დამპყრობთა საბრძოლო განდევნას სიმბოლურად გამოხატავდა ყეენის გადაგდება მტკვარში. ყეენის წყლით დასველების წესი ალბათ წვიმის გამოწვევას და განაყოფიერების რიტუალურ აქტსაც ნიშნავდა. სანახაობა მთავრდებოდა საბრძოლო ასპარეზო-ბით და ქეიფით.



თბილისელი ყეენი.
ნახატი ზ. ფორჩხიძისა

"XIX საუკუნის შუა წლებში ყეენობის სახიობის რიტუ-ალი შეიცვალა. მასში უკვე აღარ მონაწილეობდნენ ად-გილობრივი ამქრები. ერთის ნაცვლად იმართებოდა რამო-დენიმე მსვლელობა. 1880-იანი წლებიდან ადგილობრივმა მთავრობამ ყეენობა აკრძალა, ვინაიდან სულ უფრო და უფრო პოლიტიკურ ხასიათს ღებულობდა"

ყეენად ქალაქელის ირჩევდნენ ახალგაზრდას, მეტწილად ღო-ნიერ კაცს, უფრო ხშირად ახალდაქორწინებულს. ყეენი, ამა-ვე დროს, კარგი მოქეიფე და მებრძოლი, სიმკვირცხლითა და იუმორისტობით უნდა ყოფილიყო გამორჩეული.

ყეენი იჯდა აქლემზე და თან ხლებოდა სხვადასხვა ფერად დაცემული სახით. ყეენის ამალა "ხუროთა" და დიდებულთ, სიმღერით და ხმაურით მიდიოდა. ყეენის ამალა "უძლ-ლეველ"-გამარჯვებულის გზას უდიოდა და ყეენის სახარ-ჯებლად ხარჯს აგროვებდა. ყეენს ხელში ეჭირა ქაღ-ლა და აღნიშნავდა შეწირულ ფულს (იხ. სურათი).

ყეენობას რამოდენიმე უბანი ერთდროულად მართავდა ხოლმე. ერთი უბნის ყეენი მეორე უბნის ყეენს შეხვდებოდა, თორემ, თუ ძველად ხმლებით და სატევრებით (სათითებით) იბრძოდნენ, ბოლო დროს ბრძოლა ბაზარში კეტების ტრიალით იწყება.

ყეენობის მოსაწყობად გაწერილი ხარჯი აგროვებდნენ. ხარჯს ხშირად ქეიფის მოწყობას ახმარდნენ. ზოგჯერ კი ამ თანხით ხელმოკლე ოჯახს ან ავადმყოფს ეხმარებოდნენ, ან ღარიბი გასათხოვარი ქალიშვილის მზითვს ამზადებდნენ.[270]

"ყეენობაზე მასიური სახიობის ჭიდაობა იმართებოდა. თავმჯდომი ხალხი ორ ნა-წილად იყოფოდა, თითოეულს თავისი მეთაური, საგანგებოდ შერჩეული მოკრივეები და მოჭიდავეები ჰყავდა. ჭიდაობის თუ ხელჩართული ბრძოლის წამყვანი ხშირად ყეენი იყო".[271]

ჭიდაობა ხშირად ხელჩართულ ბრძოლად გადაიქცეოდა, რომელშიაც ხის ხმლები, შურ-დულები და კეტები იყო გამოყენებული. ლითონის იარაღის ხმარება სამარცხვინოდ ითვ-ლებოდა.

ჭიდაობა ზოგჯერ მდინარის პირას ან მდინარეშიც იმართებოდა.

ჭიდაობის შემდეგ ხალხს ყეენი და დედოფალი (ქალად გადაცმული ვაჟი) ურმით, სახედრით, ცხენით, აქლემით ან ხელში აყვანილი მტკვარზე მიჰყავდა, რათა წყალში ჩაეყარათ. გალეშილი ყეენი დალოცავდა წყალს, კარგ მოსავლიანობას, გამარჯვებას უსურვებდა და თასით ღვინოს შესვამდა...

# მეამბოხე რაინდების - ყარაჩოღელების საბრძოლო შერკინებები

*"დიდი სიმამაცე, - რაც იმდენად ბუნებრივია ქართველებისათვის, რომ მათ ეს უკვე ღირსებად აღარ მიაჩნიათ".*

*ალექსანდრე დიუმა*

*"აბა ორთაჭალის ბაღში მნახე ვინა ვარ,*
*აბა მუშტის კრივში მნახე ვინა ვარ!"*

*გრ. ორბელიანი*

*"თბილისელი ასე ილოცება:*
*ღმერთმა შენ მოგცეს, რომ მე მქონდეს...*
*თბილისი დიდი გამოცანაა".*

*გიზო ნიშნიანიძე*

შეიძლება ვთქვათ მოკლედ თბილისურ საბრძოლო სტილებზე?

თბილისელი ხელოსნები, ამავე დროს, მშვენიერი მებრძოლებიც იყვნენ. მათი უმეტესი ნაწილი სოფლიდან დაძრული, ბატონყმობას გამოქცეული გლეხობა იყო. ისინი მშვენივრად ფლობდნენ ქართული ჭიდაობის ილეთებს და, რადგანაც ქალაქელ ხელოსნებსაც გააჩნდათ ჩხუბისა და გართობის თავიანთი ტრადიცია, ჩნდება ისეთი სახეობები, სადაც ქართული ჭიდაობის ილეთები შეერია ახლიდან შემოსული თამაშობის, შერკინებისა და შეჯიბრის სახეებს და თბილისურ სტილად ჩამოყალიბდა. ყარაჩოღელებისა და კინტოების სადღესასწაულო შეჯიბრებებზე შეიქმნა უიარაღო ხელჩართული ორთაბრძოლა. ამ ორთაბრძოლების ტექნიკა, განსაკუთრებული იყო მოწინააღმდეგეთა შერკინებაზე იარაღის გამოყენების გარეშე ან ისეთი იარაღით, როგორიცაა ქამარი, ჯოხი, ხის ხმალი და შორ მანძილზე შერეული. ახალი შერკინებები შეიცავდნენ ხვევებისა და გდებების მცირე კომპლექსს, რომლებშიც, ძირითადად, ქართული ჭიდაობის ფანდები შედიოდა. ასე დაიბადა "ყარაჩოღელური ჭიპურა" (მუცლებით) და "თეძურა" (თეძოებით) მოწინააღმდეგის წრიდან გდება, "დაბლა-გდება", ხვევებით გდებები, მუშტი-კრივი და სხვა. ამ შეჯიბრებების აუცილებელი შემადგენელი ნაწილი იყო დოლი, ზურნა და დუდუკი. ყარაჩოღელების უიარაღო ორთაბრძოლის ტექნიკის საკვანძო ელემენტს წარმოადგენდა შეხლა მოწინააღმდეგის ხელებით, რის საშუალებითაც, ორივე მოწინააღმდეგე ცდილობდა დაეკავებინა გდებისათვის ყველაზე მოსახერხებელი პოზიცია.


ჭიდაობა ძველ თბილისში.

მნიშვნელოვანი იყო ხელით გახსნილი ადგილებისათვის (ხელები, კისერი, სახსრების შეერთებების ადგილები) ან ქამარზე. ქართული ჭიდაობისაგან განსხვავებით, არ იკრძალებოდა: მუჯლუგუნები, მუშტები, ილაყები და ფეხის კვრები, პანღურების ჩათვლით. ასე ჩამოყალიბდა ე.წ. "თბილისური კრივი" სადაც იყენებდ-

ნენ ხელებსაც და დღევანდელი "ქიქ-ბოქსინგის" ილეთებს. "თბილისური კრივის" არსენალში შედიოდა გდებები ზურგიდან, მკერდიდან, კისრიდან დაცემებით, თეძოდან და მუხლებიდან, წინა და უკანა სარმები, ცურულების, რამოდენიმე სახე. ქართული ჭიდაობისაგან განსხვავებით, შეიცავდა აგრეთვე ხელებისა და ფეხების მტკივნეულ შებოჭვებს.

თბილისური კრივის ეს სახე კარგად შეისწავლეს ქართული საბრძოლო ხელოვნების ფედერაცია "ხრიდოლის" წარმომადგენლებმა და მას "არეული კრივი უწოდეს". აი როგორ აღწერენ ქართული კრივის ამ სახეობას ახალგაზრდა ქართველი მკლევარები: "...იმ პერიოდისათვის (XIX ს.) კრივი, ჯერ კიდევ, რამდენიმე სახით არსებობდა: მუშტი-კრივი (კრივი ზედა კიდურებით, იდაყვებით, თავურებით, მხრის ტაკებით). "არეული კრივი" (კრივობა თავით, მუშტებით, იდაყვებით, მხრებით, მუხლებით, წიხლებით). სალდასტი კრივი (კრივი არეული ხის საჩეხი იარაღების გამოყენებით, ტოკეეცი, ხელკეტი). არსებობდა ქვით კრივული მუშტებში ქვის ჭერით კრივი - მაგრამ იგი ძალზე ტრავმული იყო და ხალხი ერიდებოდა.

კრივობები ძირითადად წარმოადგენდა ქალაქის მოსახლეობის მომზადებას მოსალოდნელი შემოსევებისათვის, რის გამოც, ორ ბანაკად გაყოფილი ქალაქის მოსახლეობა ახდენდა რეალური ქუჩის ბრძოლების იმიტირებას, სადაც საქმეში ერთვებოდა მოსახლეობის მამრობითი სქესის ყველა ასაკის წარმომადგენელი, დაწყებული 10-12 წლიდან, 60-65 წლამდე: ბრძოლის დროს იყო ტყვეების აყვანა, ბარიკადების აღება, შურდულით შორი რიგების ქვის სეტყვით დაცხრილვა და ა.შ. ეს წელიწადში ორ-სამჯერ ხდებოდა... როგორც აღვნიშნეთ, არეულ კრივში ბრძოლა მიმდინარეობდა როგორც ზედა, ასევე ქვედა კიდურებით, დამატებით კი იხმარებოდა ჭიდაობის მტკივნეული ილეთები (ტეხვებით გდება, მოყინწვა, გაკავება და სხვ.). ბრძოლის წესები ასეთი იყო: ბრძოლა გრძელდებოდა დანებებამდე ან გალახვამდე. ქულების ან შეფასების სხვა სისტემა არ არსებობდა. ბრძოლა იმართებოდა წინასწარი მოლაპარაკებების შემდეგ და, ხშირად, ფულიც იკრიბებოდა - დასახიჩრების შემთხვევაში სამკურნალოდ. იბრძოდნენ შიშველი ხელებით და გამოიყენებოდა მუშტის ცემის სხვადასხვა ხერხები მუშტების სხვადასხვა კონფიგურაციებით: მჯიღი, მუშტი, გორიანი, ქიმუნჯი, ბლიკვი, საზალტე, საყარცხელა, ნუკი, ქიშტი, კიწანი, მაჯაგანი, მწყრთა. გამოიყენებოდა იდაყვები: იდაყვების კვრა, მუჯლუგუნი, ხშირია თავურები და მხრის დარტყმა, ჯიკავი. ქვედა კიდურებით ბრძოლისას იყენებდნენ შემდეგ დასარტყმელ ადგილებს: ხოჩი, ახჩი, ქუსლი, ჭვინტი, პიწკი, ერგცერი. აგრეთვე გამოიყენებოდა მუხლის კვრა, ტაბუხით ცემა და სხვა... დაუწერელი კანონები იყო: საზარდულში დარტყმა, კბენა, თვალში თითის ტაკება და "ბაჯიში" (საჩვენებელი და შუა თითის ორკაპა) შეტევა აკრძალული იყო".[275] აღსანიშნავია ისიც, რომ "ხრიდოლელებმა" კიდურების ნაწილების ძველი ქართული სახელწოდებებიც აღადგინეს და, ალბათ, ქართველი კაცი უკვე თავისუფლად გამოიყენებს საუბარში ისეთ ტერმინებს, როგორიცაა ქიმუნჯი, ბლიკვი, საზალტე, კიწანი, მაჯაგანი, მწყრთა, ჭვინტი, პიწკი და სხვა.

ქართველმა პოეტმა იოსებ გრიგალაშვილმა ისე გარკვევითა და საქმის ცოდნით აღწერა თბილისური კრივი თავის წიგნში, რომ არაპროფესიონალიც ადვილად გაერკვევა ამ საბრძოლო ხელოვნებების სახეობაში: "...მეორე საჭირო გასართობი იყო კრივი. ყეენობა თუ ისტორიის მოგონებაა, კრივი - ფიზიკური ვარჯიშობაა; კრივი ნეკნებური. თბილისური ჩვეულებაა. საგულისხმოა, რომ სხვა ერს (ინგლისური ბოქსის გამოკლებით) მუშტი არ უყვარს. მაგალითად, რუსს სილა უფრო ემარჯვება; ყარაჩოღელსაც უყვარს სილა, მაგრამ განსაკუთრებულ შემთხვევებში, მაგ., ამქრის დღესასწაულზე. ისე კი, ყარაჩოღელი ჭკუის სასწავლებლად მხოლოდ "ბრმა სილას" ხმარობს. კრივის დროს კი ლოგალოგა მიდიოდნენ ერთმანეთზე: - ჯერ ერთი მოკრივე შემოჰკრავდა ერთი ხელით მუშტს, ხოლო თუ მოპირდაპირე ისეთი სუსტი აღმოჩნდებოდა, რომ ამ ერთი მოქნეული მუშტით წაბარბაცდებოდა, მაშინ მეორე მხრიდან მეორე მუშტსაც მიარტყამდა მისაშველებლად, რომ ზეზე დამდგარიყო, სწორად: მერე დაიჭერდა ორივე ხელით - შეაჯანჯღარებდა, შეასწორებდა და კვლავ იწყებოდა ახალი გამოცდა ბრძოლისა (იხ. სურათი)...

ძველად სიონის ტაძარი ჩრდილოეთისა და სამხრეთის მოკრივეთა მოჯნას წარმოადგენდა. იყო შემთხვევა, როცა მოკრივეთა "უბნებს" მტკვარი ჰყოფდა... კრივი იმართებოდა სხვადასხვა ადგილას... კრივისათვის არც განცხადება იყო საჭირო და არც შაირების დაგზავნა... კრივი იმართებოდა კვირაობით, ყველიერის ბოლო დღეებში, აგრეთვე, ნათლიღების მეორე დღეს, მიცვალებულთა სულის მოხსენების გამო. ამ დროს ყველა დუქანი დაკეტილი იყო. ყველაზე დიდი კრივი - ე.წ. "აველაბრის კრივი" - იმართებოდა კვირაცხოვ-

ლობა დღეს ამ სახელწოდების ეკლესიის მახლობლად... კრივი პატარა ბიჭების შეჯიბრებით იწყებოდა. შემდეგ 18-20 წლის ჭაბუკები შეებრძოლებოდნენ ერთმანეთს. ჭაბუკებს 25-30 წლის ვაჟკაცები მოსდევდნენ; ხოლო, როცა ბრძოლა გამწვავდებოდა, ორივე ბანაკიდან გაისმოდა ძახილი: "ქომაგი!" "ქომაგი!" და ეშხში შესული დარბაისელი და გამოცდილი ფალავნები უკვე ნამდვილ კრივს იწყებდნენ... ათი-თხუთმეტი წუთის შემდეგ ახალგაზრდა მოკრივეთა ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო: ნაცემი და ლაბეგვილი მოკრივენი სტოვებდნენ ასპარეზს და ნელ-ნელ უკან იხევდნენ. ე.წ. "დამდგარი კრივი" კი ხშირად ორ-სამ საათს გრძელდებოდა... კრივში მონაწილეობდნენ უმთავრესად ხელოსანთა წრიდან გამოსული ფალავნები; ზოგჯერ მათ ვაჭრებიც ერთვებოდნენ... კრივი იწყებოდა მრავალრიცხოვან დამსწრეთა შეძახილით და ყიჟინით. ხშირად მუშტის გარტყმა ისეთი ძლიერი ყოფილა, რომ არემარე ბანს აძლევდა... ზოგიერთი მოკრივე ხალხის მიერ დარქმეულ ზედმეტ სახელს ატარებდა, მაგ., "ქარაფ ქანდილა" - კლდის დამქცევი; ამბობდნენ, ამ მოკრივეს კლდისთვის რომ მუშტი შემოერტყა, ბელტს ჩამოაგდებდაო; მეორე მოკრივე -სოლომონია - ისეთი ყოჩაღი ყოფილა, რომ ცხენის ნალს ხელით გადაღუნავდა და დაჩოქილი კრივობდა... ქართული საბრძოლო ხელოვნებების ფედერაცია "ხრიდოლის" მიერ გამოშვებულ მშვენიერ ნაშრომში "არეული კრივი" მოყვანილია ქართული კრივის დიდოსტატთა სია; ეს ის ცნობილი ქართველი მოკრივეები არიან, რომლებმაც სახელი გაუთქვეს თბილისურ კრივს: ვერელი გიჟუა - 25 კაცი ჰყავდა ერთად გალახული; თამაზ კალანდარიშვილი - 20 კაცში ნაჩხუბარი და გამარჯვებული; კოლა ქვარიანი - მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, ამერიკაში 14 კაცთან გამარჯვებული; ჟორჟიკა იაშვილი სახელოვანი მუშტის პატრონი, მასიურ კრივობებში მრავალგზის გამარჯვებული; მურმან კაკალეიშვილი - ფანტასტიური მოკრივე, ქუჩური ბრძოლების სტრატეგი და ყოჩი; გიორგი გველუკაშვილი - ფანტასტიური მოკრივე, ხრიდოლი კრივის "უკანასკნელი მოჰიკანი" ოსტატი, მუშტით დათვი ჰყავს მოკლული; ქართლოს პირველი მჯიღით (მუშტის ქვედა ნაწილი) რიყის ქვებს ფშვნიდა, დათვებთან მოკრივე..."[276].



მუშტი-კრივი ძველ თბილისში.
ნახატი ე. ხოჯაბეგოვისა.

მოკრივენი უქუდოდ, მკერდგადეღილნი, ჩოხის კალთებაკეცილნი და, ხშირად, ფეხშიშველნიც იბრძოდნენ. მოკრივეთა რიცხვი განსაზღვრული არ იყო... კრივს, ჩვეულებრივად, წარჩინებული პირები მფარველობდნენ. ქომაგები ცხენზე ისხდნენ, ერთმანეთს ეკამათებოდნენ, თავიანთ ფალავნებს აქეზებდნენ. ზოგჯერ "კარგად დამრტყმელ მოკრივეებს ფულითაც ასაჩუქრებდნენ... არის თქმულება, რომ კრივს მეფე ერეკლეც ესწრებოდა... კრივი იყო ზნეობითი სწავლა ვაჟკაცობის წვრთნისა და ვარჯიშობისა... გრ. ორბელიანის თქმისა არ იყოს: "აბა, მუშტის კრივში მნახე, ვინა ვარ!"... რუსეთის მმართველობის დამყარებისთანავე, სხვა ადათთა შორის, კრივიც აკრძალეს, როგორც "საშიში თამაში", მაგრამ მთავარმართებელი ციციანოვის დროს, ხალხის თხოვნით, კრივი კვლავ განახლდა; "არა იმიტომ, რომ ციციანოვის ძარღვებში ქართული სისხლი სჩქეფდა, არამედ იმიტომ, რომ ხალხს თავისებურება არ დაეკარგოდა და სამხედრო მოქმედებაში გაწვრთნილიყო"... კრივი ბევრნაირი იყო: მუშტის კრივი, ხრიდოლი (კრივი ცალი ხელით), სალდასტი (ქვის კრივი). ყველაზე გავრცელებული იყო მუშტის კრივი და სალდასტის კრივი. "მუშტის კრივს მართავდნენ საფხულში, ქალაქის ქუჩებში და სალდასტის კრივს - ზამთარში, ქალაქგარეთ. განსაკუთრებით საყვარელი ყოფილა სალდასტის კრივი. სალდასტის კრივი, მთავარმართებელ ბარატინსკის დროს, სამუდამოდ აიკრძალა. დარჩა მხოლოდ ჩვეულებრივი კრივი, რომელმაც 70-იან წლებამდე გასტანა... კრივში წართმეული იარაღი, სარტყელი, ქუდი თუ ნაბადი ითვლებოდა კანონიერ ნადავლად, ანუ ალაფად. როცა ქალაქში კრივი გაიმართებოდა, მაყურებლები სახლის სახურავზე ადიოდნენ, ავსებდნენ ბანებს და იქიდან შესცქეროდნენ ომს და ამხნევებდნენ გამბედავ მებრძოლთ თანაგრძნობის გამოჩენით; როცა ქალაქგარეთ იბრძოდნენ შურდულებით და სის ხმლებით (სალდასტის კრივი - ქვის



ყოჩებით ბრძოლა.
ნახატი ე. ხოჯაბეგოვისა.

კრივი). მაყურებლებს წინდაწინვე ჰქონდათ დაკავებული გორები და მაღლობი ადგილები. კრივს განსაკუთრებით ახალგაზრდობა მისდევდა... ქართველ ქალს ერთი ათად მოსწონდა ის ვაჟი, რომელიც კრივში გაიმარჯვებდა და სახელს გაითქვამდა. მოკრივენიც, რასაკვირველია, სახელის შოვნას ცდილობდნენ - თავის გამოჩენას თავიანთი "ორთავ თვალის სინათლის" სახიამოვნოდ და სასიქადულოდ... კრივს ჰქონდა თავისი ჭეშმარიტად კარგი მხარე: ქართველი კაცი პატარაობიდანვე იწვრთნებოდა, ავარჯიშებდა სად გონებას, გამჭრიახობას, სიმარდეს, სისწრაფეს ერთი სიტყვით, კრივში ქართველი იძენდა ყველა იმ თვისებას, რომელიც ძვირფასია სამხედრო საქმისათვის".[277] ასე რომ, სალდასტის კრივში (ქვის კრივში) ახალგაზრდა ამქარი შურდულისა და ხის ხმლის ხმარებაში გაწაფებული უნდა ყოფილიყო. ისინი ცალკე ხვეწდნენ შორ მანძილზე შურდულით ქვის მიზანში სროლას და ხის ხმლით ფარიკაობას; შეჯიბრებებსაც კი აწყობდნენ ამ სახეობებში.

"...რაც შეეხება ბრძოლას შორ მანძილზე, ანუ ფეხის დისტანციაზე, უნდა ითქვას, რომ ქართულ ქალაქურ სისტემაში არ გვხვდება ფეხის ტერფის არცერთი მაღალი დარტყმა, თუ არ ჩავთვლით მაღალ "ჭლიკს" და "ტლინკს" ზეზელა მდგომარეობაში ნიკაპში კვრას. ფეხით ყველა დარტყმა ხორციელდებოდა გულმკერდის დონემდე, რაც, ჩვენი აზრით, განპირობებული იყო მასიური კრივის დროს, ხალხმრავლობისას ჩოჩქოლში და გაცხარებულ ბრძოლაში წონასწორობის შენარჩუნების უფრო მეტი საშუალებით, რადგანაც წაქცეულ მეომარს ბრძოლის ველზე უკეთეს შემთხვევაში გათელვა ემუქრებოდა... წყვილების ბრძოლებისას ხშირი იყო "ფრენწიხლი" - ნახტომში ჩაწიხვლა ძირითადად გულმკერდის არეში, ფართობის სიდიდისა და დარტყმის აცილების ნაკლები შესაძლებლობიდან გამომდინარე... საერთოდ, ფეხით შეტევებიდან ყველაზე გავრცელებული იყო: წიხლის კვრა, ჭვინტი, პანღური, ჭიტლაყი, პიწკი, ტლინკი, ბასმა, ჭლიკის ამოკვრა, კვრა, ქუსლური კაური და ხომურა ჭიტლაყი. ეს იყო ძირითადი ილეთები, მაგრამ ყველა მოკრივეს თავისი, ხშირად მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ილეთი და დარტყმის მოხაზულობა ჰქონდა..."[278]

ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს ყარაჩოღელთა მიერ მოწყობილი მამლებისა და ყოჩების ბრძოლები. თითქმის ყველა ყარაჩოღელს თავისი ჯილა ყოჩი ან მამალი ჰ ყავდა, რომელსაც დაბადებიდანვე მებრძოლად ზრდიდა. ორთაბრძოლების დროს მამალი თუ ყოჩი გამზრდელის სახესა და ვაჟკაცობას განასახიერებდა. ამიტომ, ყარაჩოღელები დიდი თავგამოდებითა და სიფიცხით გულშემატკივრობდნენ მათ.

ამგვარი შერკინებები შემოგვინახა ვანო ხოჯაბეგოვის ნახატებმა, რომლებშიც გასაოცარი ოსტატობით არის გამოსახული პერსონაჟთა დინამიზმი, ტემპერამენტი, საბრძოლო ჟინი (იხ. სურათები).

თბილისელ ყარაჩოღელებს გააჩნდათ კიდევ ბევრი სხვა მებრძოლი სულის აღმზრდელი გასართობი სახეობა. აი მაგალითად, ზემოთ ნახსენები "ჭიპურა", რომლის დროსაც ყარაჩოღელები წრეს შემოხაზავდნენ, ორი მათგანი წრის ცენტრში ჩადგებოდა, მიადებდნენ ერთმანეთს ჭიპებს და იწყებოდა მიწოლა



მამლებით ბრძოლა.
ნახატი ე. ხოჯაბეგოვისა.

წრიდან გადაგდების მიზნით. გამარჯვებული ის რჩებოდა, ვინც ძლიერი და მოხერხებული იყო და ვისაც უფრო დიდი ღიპი ჰქონდა. ისეთი შერკინებები, როგორიცაა "თეძერა", "მკლავურა" და "მკლავჭიდიც", სადაც თეძოს ძლიერი გაკვრით და ძლიერი მკლავის მქონე მონაწილეები იმარჯვებდნენ. საგულისხმოა ისიც, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სახეობა სრულდებოდა ყარაჩოღლური თავსაბურავით, რაც უფრო რთულს ხდიდა ასპარეზობას. მოწინააღმდეგეები თავზე იდებდნენ საგნებს: სავსე თასებს, ბოთლებს, თაბახებს და სხვა. გამარჯვებულად ითვლებოდა მხოლოდ ის, ვინც თავზე დადებულ საგანს შეინარჩუნებდა...

აქვე, გასახსენებელია ქალაქურ კრივთან დაკავშირებული ზოგიერთი ისტორიული ეპიზოდი, რომელიც მის ეფექტიანობასა და სიძლიერეზე მეტყველებს. ერთი მათგანია შოტლანდიური პოლკის 25 რიგითისა და 6 ორთაჭალელი და ვერელი ყოჩი ყარაჩოღელის ჩხუბი: "საჩივარში, რომელიც შემდგომ გალახულმა შოტლანდიელებმა მთავარ პოლიცმეისტერს მიართვეს, ასეთი ფრაზა იყო: მათ ჩვენს წინააღმდეგ არაჯენტლმენური ილეთები იხმარეს, თავები და იდაყვები გამოიყენეს - თითქოს და, ოცდახუთი ექვსის წინააღმდეგ ჯენტლმენური საქციელი ყოფილიყოს. მით უმეტეს, როცა სტუმარი მასპინძელს (ყარაჩოღელს) ფორთხიალა შარვლის გამო დასცინებს..." და მეორე ისტორია, რომელშიც ვაჟაფშაველა და მისი ძმა თერთმეტ კაცს შეერკინა პეტერბურგის ერთ-ერთ სამიკიტნოში. სხვათა შორის, ამ თერთმეტ "ბეხლეწს" შორის, რომლებიც კუთხეში მიმწყვდეულ ერთ ქართველს ეჩხუბებოდნენ, პროფესიონალი მოკრივე ერია, რომელიც ვაჟამ ისე ლაზათიანად დაზილა ფერდში, რომ ორი კვირის შემდეგ ვაჟას ძმას შეხვდა და სოლიდურად ჩაცმულმა კრივის ოსტატმა, მოწიწებით შეახსენა ნაცემი თავი, თან დასძინა: ბატონო, მე ბევრის მუშტი მომხვედრია, მაგრამ მისი დარტყმული ახლაც მწარედ მახსოვსო".[24]

როგორც ვხედავთ, მდიდარია და თავისთავადი თბილისური საბრძოლო სტილი. რა ხალისიანი, ჯანსაღი და სიცოცხლით სავსე იყო ცხოვრება ძველ თბილისში. იგი განუმეორებელ კოლორიტად დარჩება საქართველოს ისტორიაში. მთელი თბილისი: დიდიდან პატარამდე, ხელოსნიდან დიდებულამდე, მონაწილეობდა დღესასწაულებში, გართობასა, თუ ქალაქის დაცვასა და შენებაში.

თბილისზე საუბარი მინდა დავამთავრო ორი დიდი ქართველის სიტყვებით.

ილია ჭავჭავაძეს უთქვამს: "...იმდენად კარგი გვაქვს თბილისი, რომ ბევრი უცხოელი შემოგვენატრისო".

ხოლო იოსებ ნონეშვილი ასე გამოხატავს თბილისისადმი სიყვარულს: "მე თბილისი მიყვარს... თბილისის ყოველი ფოლორცი, თბილისის ყოველი ქუჩა სავსეა ლეგენდარული სახელებით. შეიძლება, უცხოელისათვის ეს წელგამწყდარი ქუჩები და მერცხლის ბუდესავით მიკრული სახლები, თანამედროვე ტექნიკის მიხედვით, არც ჰიგიენური იყოს და არც მხატვრულად გამწყაზრული. მაგრამ ჩემთვის, - არამც თუ მარტო ჩემთვის, არამედ ყველა მათთვის, ვისი სულის ფესვებიც ღრმად არის გადგმული ძველი მწერლობის ყამირში, - თბილისის ყოველი კენჭი, თბილისის ყოველი ხის ფურცელი მეტყველია და მნიშვნელოვანი - მე თბილისი მიყვარს..."

# ქარი მემავილე

## წმინდა მხედრების სტილი



მეფე გორგასალი
ნახატი: უწმინდესი და უნეტარესი ილია II-სა

# ქართველთა საბრძოლო ხელოვნების მსოფლმხედველობრივი საფუძვლების შესახებ

ქართველების ტრადიციული მსოფლმხედველობრივი წარმოდგენები სამყაროს პოლარობის, საპირისპირო საწყისთა მარადიული ურთიერთქმედების პრინციპიდან გამომდინარეობს. ამ წარმოდგენების თანახმად, სამყარო შედგება ზესკნელის - შემოქმედი, რაციონალური, მამრული, ნათელი საწყისისა და ქვესკნელის ქაოსური, ირაციონალური, მდედრული, ბნელი საწყისისაგან. სამყაროს ამ ორი საწყისის ურთიერთქმედება ბიძგს აძლევს კოსმოგონიას, სამყაროს შექმნისა და განახლების პროცესს, რის შედეგადაც ჩნდება შუასკნელი - სამზეო, წუთისოფელი.

ანდრეზულ გადმოცემებში, ღვთისშვილთა მიერ საყმოების დაარსებას რომ ეხება, კოსმოგონიური სტრუქტურაა აღბეჭდილი. კოსმეტორი "მორიგე ღმერთი", აგზავნის ღვთისშვილებს - კოპალასა და იახსარს, დედამიწის ქაოსური ძალების - დევებისაგან ქვეყნის დასახსნელად, საყმოების დასაარსებლად და რჯულის - ადათისა და წესრიგის დასადგენად.

ამრიგად, საყმოს ტერიტორია საკრალურია, რამეთუ ღვთისშვილთა ბრძოლითაა მოპოვებული და კურთხეული. უფრო მეტიც - ღვთისშვილები ტრანსფორმირდებიან ხატებად და უშუალო მონაწილენი ხდებიან საყმოს მითო-სოციალური ყოფიერებისა. ღვთისშვილთა არქეტიპი და წინაპართა არქეტიპური ქმედებანი მებრძოლი სულისკვეთებით საყმოს ზრდა-განვითარების უმთავრესი იმპულსებია.

საყმოს მითოსურ ცნობიერებაში მტერი განასახიერებს ქაოსურ, "ურჯულო" ძალებს. ამიტომ, ამ უკანასკნელის მიერ საყმოს ტერიტორიის ხელყოფის შემთხვევაში "სამანსამზღვარნი ამოდიან", ესე იგი, ხდება ტერიტორიის დესაკრალიზაცია. ამ დროს მთელი საყმო დგება "ხატისკარ" და მისი ძალით გაიმეორებს დროის დასაწყისში მომხდარ კოსმოგონიურ აქტს - ქაოსური ძალებისაგან ქვეყნის გათავისუფლებას.

აღსანიშნავია, რომ საბრძოლო დროშის სამი ფერი - თეთრი, წითელი და შავი კოსმოგონიური სამყაროების ფერთა სიმბოლოებს წარმოადგენს. თეთრი სიმბოლურად გამოხატავს ზესკნელს, წითელი - შუასკნელს, შავი - ქვესკნელს.

ამგვარად, თვით საყმო ხდება კოსმოგონიის თანამონაწილე და არქეტიპული სიმბოლოს მატარებელი.

კოსმოგონიური სტრუქტურა გამოხატავს ტრადიციული ადამიანის ფსიქიკური მდგომარეობის სამ ასპექტს: ქვესკნელს შეესაბამება პროსტრაცია (ფსიქიკური დაძაბუნება), ზესკნელს - ექსტატური მდგომარეობა, შუასკნელს - გაწონასწორებული ემოციონალური მდგომარეობა, ორივე უკიდურესობის შესაძლებლობებს რომ შეიცავს.

ენობრივ-ლექსიკურ მონაცემებში ფიქსირებული ტრადიციული გამოცდილებით - "გულსღონედალეული" (დაძაბუნებული), "გულსგონდატანილი" (მშვიდი), "გულსგონგამოსული" (განრისხებული) - გულისა და გონების ჰარმონიული ერთად ყოფნა, ირაციონალური და რაციონალური საწყისების თანაბარზომიერი მონაცვლეობა, ნორმალური ფსიქოემოციონალური მდგომარეობის მაჩვენებელია.

ამრიგად, მითო-ფსიქოლოგიური სტრუქტურა ტრადიციული ადამიანის ფსიქოემოციონალური მდგომარეობის გამაწონასწორებელ და თვითმარეგულირებელ მექანიზმს წარმოადგენს.

მითო-ეთიკური ქცევის სტრუქტურა სათნოების არისტოტელესეული განსაზღვრების თანხვედრია. არისტოტელეს თანახმად, სათნოების, როგორც მდგომარეობის დაკლება, ან გადამეტება არასათნო წერტილებს იძლევა. მაგალითად, სათნოებაა სიმამაცე, ხოლო მანკიერება - ლაჩრობა და თავზე ხელის აღება. ტრადიციული გამოცდილებით - "გამომბალი" (გადაწრთობილი, რბილი რკინა), "ალ-სახელიანი" (კაისახელიანი), "ფარჩიხელა" (ქედმაღალი, მკვეხარა). სათნოების მითოეთიკური სტრუქტურა მატარებელია დაძაბულობის ველისა, რომელიც აკონტროლებს და არეგულირებს საყმოს ეთიკურ კოდექსსა და ზნეობრივ მდგომარეობას.

ზოგადად, სამყაროს პოლარობის პრინციპი და სამყაროს კოსმოგონიური სტრუქტურა განმსჭვალავს მთელ არქაულ ყოფიერებას, იცავს ტრადიციულ ადამიანს შინაგანი დიფერენცირებისა და გარესამყაროს მიმართ ეგოცენტრისტული დამოკიდებულებისაგან.

კოსმოგონიის იდეის. ყოფიერების უნივერსალური კანონის სიმბოლიზაციასთან დაკავშირებით, საყურადღებოა ხევსურული ფარი და მისი ელემენტების კონფიგურაცია, რომელიც გამოხატავს წრეს, ოთხკუთხედსა და ჯვრებს. წრე - ცისა და ციური მნათობთა სიმბოლო, ოთხკუთხედი - დედამიწის იდეოგრამა, ჯვარი - თეოფორული ნიშანი. შესაძლებელია, აქ სამყაროს პოლარობათა იდეა ფიგურირებდეს. თუ ეს ასეა, მაშინ ხევსურული ფარის ელემენტთა კონფიგურაციის სიმბოლიკა და ფარის დანიშნულება საოცარი სიზუსტით ასახავს მითოსური მსოფლმხედველობრივი სისტემისა და მთიელთა საბრძოლო ხელოვნების მისტიურ არსს და საბრძოლო ხელოვნება ხატის ყმის ინიციაციის გზად წარმოგვიდგება.

*ქართული საბრძოლო ხელოვნებების ოსტატი.*
*ნუგზარ ილოიძე*

# თავი პირველი

## ქართული ქრისტიანული სულიერებისა და კულტურის სავანეები

*"ვინაც უნდა, რომ მომყვეს, უარყოს თავისი თავი, აიღოს თავისი ჯვარი და გამომყვეს"*

*(მათე 16.24)*

ქართული საბრძოლო ხელოვნების შიდა მიმართულება – წმინდა მხედრების სტილი წარმოადგენს ყველაზე დახვეწილსა და, ამავე დროს, დასაუფლებლად ყველაზე რთულ საბრძოლო-სამხედრო სისტემას. არცერთ ზემოთ განხილულ საბრძოლო სისტემასა თუ სტილში არ იყო ასე ღრმად და ასეთი ძალით გამოხატული სამყაროსეული ერთიანობის და მისგან წარმოშობილი ენერგო ფენომენის რეალური არსებობისა და გამოვლინების იდეა, როგორც შიდა მიმართულებაში. რა ბედნიერებაა იმის აღქმა, რომ ჩვენი სამშობლო საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული სახელმწიფოა. აქ ძველ საბრძოლო ტრადიციებზე დაყრდნობით აღმოცენდა საბრძოლო ხელოვნების შიდა სკოლა, რომელმაც ქრისტიანობის დამცველი წმინდა მხედრების მთელი პლეადა აღზარდა. სანამ წმინდა მხედრების სტილის ტექნიკაზე ვისაუბრებდეთ, შევეხოთ ჯერ მოკლედ, სად და როგორ ყალიბდებოდა შიდა მიმართულების არსი და ფილოსოფიური საფუძვლები: ქართული სულიერებისა და კულტურის ცენტრები, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთაც აღვივებდა ერის სულიერებას და ინახავდა შემოქმედებით დასაბამს, ისინი სიბრძნისა და სიმამაცის სამჭედლოსაც წარმოადგენდნენ.

მეათე საუკუნის ბოლოდან, როდესაც ქართველებმა გაიცნეს ბიზანტიური სკოლა, ბევრი მათგანი დროებით ან სამუდამოდ გადასახლდა ბიზანტიაში და იქაურ სკოლებში მიიღო სწავლა-განათლება: "მეთერთმეტე საუკუნის დამდეგს გადასახლდა ვინმე კარიჭისძე, რომლის ოჯახმაც მოგვცა ისეთი შესანიშნავი მოღვაწე, როგორიცაა ეფრემ მცირე. ვიცით აგრეთვე, რომ გიორგი მთაწმინდელმა საქართველოდან ბიზანტიაში წაიყვანა 80 ყმაწვილი იმ განზრახვით, რომ ისინი ათონზე ივერიის მონასტერში სამსახურისათვის აღეზარდა. დავით აღმაშენებელმა 40 ახალგაზრდა გაგზავნა საბერძნეთში სწავლის მისაღებად. დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ კონსტანტინე მონომახის მიერ 1044-1047 წლებში ბიზანტიაში დაარსებული აკადემია, რომელიც ბერძენთა რენესანსის კერად იქცა, არა ერთ და ორ ქართველს იწვნარებდა თავის კედლებში".[38]




ქართული მწიგნობრობისა და განათლების კერები (სავანეები) უცხოეთში. V-XIII ს.ს.

მნიშვნელოვანი სულიერებისა და კულტურის ცენტრები არსებობდა ტაო-კლარჯეთში. ამ მხარეში სამონასტრო ცხოვრების მეთაური იყო გრიგოლ ხანძთელი თავისი მოწაფეებით, რომელსაც გრიგოლი მისდევდა. აქ ერთ-ერთი მონასტერი ყოფილა ოპიზა, სადაც მერვე საუკუნის 40-იან წლებში დამკვიდრებულან ქართველები. ოპიზა გახდა ტაო-კლარჯეთის სამო-

ნასტრო ცხოვრების კერა. აქ, გრიგოლის გარდა, მოღვაწეობდნენ მიქელ პარეხელი და გიორგი მაწყვერელი; აქ იყო ქართული მწერლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი.

"როგორც გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან ჩანს, ისწავლებოდა "დავითნი და ხმით სასწავლელი სწავლა საეკლესიო და მწიგნობრობა მრავალთა ენათა და სადმრთოსი წიგნნი"; აგრეთვე, გალობასაც სწავლობდნენ. მაგალითად, გრიგოლ ხანძთელი შესანიშნავი მგალობელი იყო. აღნიშნულ საგანთა გარდა, შეისწავლებოდა "სიბრძნეცა იგი ამის სოფლისა ფილოსოფოსთა" ე.ი. ბერებს ასწავლიდნენ არაბულს, ბერძნულს და ფილოსოფიას".[24]



გრიგოლ ხანძთელი.

მეტად მნიშვნელოვანს და მსხვილ საზღვარგარეთულ ცენტრებად, ამ პერიოდში, სამართლიანად ითვლება სახელგანთქმული **ივერიის მონასტერი** ათონის მთაზე, **სვიმეონ საკვირველმოქმედის სავანე** შავმთაზე ანტიოქიის მახლობლად, სირიაში, **ჯვარის მონასტერი პალესტინაში** და **პეტრიწონის მონასტერი** ბულგარეთში. ამ წმინდა კერების გაშენება შესაძლებელი გახდა ჩვენი ქვეყნის დაწინაურებისა და პოლიტიკურ-ეკონომიკური აღმავლობის პერიოდში.

ათონის ივერიის მონასტერი აშენებულია მეათე საუკუნეში (980-983) ტაო-კლარჯეთის სამეფოს ქართველი მოღვაწეების მიერ. მისი დამაარსებელია იოანე, დიდი დავით კურაპალატის ერთ-ერთი მხედართმთავრის შვილი, ხოლო ორგანიზატორი იოანეს შვილი ექვთიმე ათონელი. მის შემდეგ კი — გიორგი მთაწმინდელი.

"იოანეს მიუტოვებია სახლი, დიდება, სიმდიდრე, ცოლ-შვილი, ნათესავები და სხვაგან წასულა "ლავრასა დიდებულსა ოთხთა ეკლესიათასა", სადაც ფარულად ბერად აღიკვეცა; შემდეგ გადავიდა ათონის მთაზე და დაემკვიდრა ათანასე დიდის ლავრაში. ცოტა ხნის შემდეგ აქ მივიდა ცნობილი თორნიკე ერისთავი, რომელიც ბერად აღიკვეცა და მიიღო სახელი იოანე. მას მიჰყვნენ სხვებიც. ასე რომ, ქართველთა რიცხვი იქ იმდენად გაიზარდა, რომ შეუძლებელი შეიქმნა მათი ათანასეს ლავრაში მოთავსება. ამიტომ ლავრის მახლობლად ააშენეს იოანე მახარობლის ეკლესია და სენაკები ქართველ ძმათათვის. ამ მონასტრიდან გამოიწვია დავით კურაპალატმა თორნიკე ერისთავი სკლაროსის აჯანყების ჩასაქრობად, რომელშიაც სძლია მან და ხელთ იგდო დიდი ნადავლი. ნაწილი ამ სიმდიდრისა თორნიკემ გამოიყენა ქართველთათვის საგანგებო მონასტრის ასაშენებლად, რომლის ბადალი ათონზე სხვა არ იყო. მწარე გამოცდილების გამო, დამაარსებლებმა განიზრახეს ამ მონასტერში მარტო ქართველები ყოფილიყვნენ და ბერძნები არ შეეშვათ, რადგან, თუ ბერძნები მოხვდებოდნენ ქართულ მონასტერში, ისინი თანდათან ყველა ქართველს გააძევებდნენ და თვითონ დაეპატრონებოდნენ მას. სამწუხაროდ, საბერძნეთში საკმარისი რაოდენობით ქართველი არ იყო და მომსახურეობისათვის მაინც ბერძნები აიყვანეს. რაც დრო გადიოდა, ბერძენთა რიცხვი იზრდებოდა. ქართველთა მონასტერმა თავისი სიმდიდრითა და მშვენებით აქედან დამაარსებელთა გაძევების სურვილი აღუძრა ბერძნებს. ქართველი ბერები საუკუნეთა განმავლობაში უმკლავდებოდნენ ბერძენთა შევიწროების პოლიტიკას. მეცამეტე საუკუნის გასულიდან საქართველოს ძლიერება თანდათან ძირს დაეშვა და ქართველთა რიცხვმა შესამჩნევად იკლო ათონის ივერიის მონასტერში. მეთოთხმეტე საუკუნეში კონსტანტინოპოლის პატრიარქის კალისტეს დადგენილებით, მონასტრის წინამძღვრად და საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ქართველებს უკვე აღარ ნიშნავდნენ და ბოლოს, მეცხრამეტე საუკუნეში ბერძნებმა სა-



გრიგოლ ბაკურიანისძე.
ნახატი ს. ცინცაძისა.



გელათის აკადემიის კედლები.

ბოლოდ გამოდევნეს ათონის ივერიის მონასტრიდან ქართველები... აქ ითარგმნა და გადაიწერა მომეტებული ნაწილი იმ სულიერი მემკვიდრეობებისა და ლიტერატურული ნაწარმოებებისა, რომლითაც სამართლიანად ამაყობს ჩვენი ძველი ეროვნული ისტორია".[22]

ქართული სასულიერო აღორძინების საქმეში საზღვარგარეთულ ცენტრთა შორის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პეტრიწონის მონასტერს. ის გაშენებული იყო ბულგარეთში, სოფელ პეტრიწონში, ანუ ბაჩკოვოში, რომელიც მდებარეობდა ქალაქ ფილიპოპოლის მახლობლად. ვინაიდან, სოფელს პეტრიწონი ერქვა, მონასტერმა მიიღო სახელი პეტრიწონი, ხოლო მისმა მოღვაწემ პეტრიწონელი - ან მარტივად პეტრიწი. ეს მონასტერი გრიგოლ ბაკურიანისძეს აუშენებია 1083 წელს. მონასტერი აშენებული იყო ქართველთათვის ან სხვა ტომის ბერებისათვის, რომელთაც ქართული ენა და წერა-კითხვა იცოდნენ, გარდა ბერძნებისა... ალბათ, ჩვენთვის ყველა ცნობილი მიზეზების გამო. მონასტერთან დაარსებული იყო სემინარია, რომელშიაც სწავლა ქართულ ენაზე წარმოებდა... აქ მოღვაწეობდა ფილოსოფოსი იოანე, სემინარიის პირველი რექტორი, რომელმაც მიიღო სახელი პეტრიწი. "სწორედ ეს პეტრიწონის მონასტერი იყო ქართული სულიერებისა და კულტურის ერთ-ერთი ძლიერესი ცენტრი, განსაკუთრებით, მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეებში. აქ ჩამოყალიბდა სალიტერატურო სკოლა, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ **პეტრიწონულ სკოლას**. სავანგებო ყურადღება ამ სკოლაში განყენებული დოგმატიკური და ფილოსოფიური ხასიათის თხზულებათა დამუშავებას ექცეოდა, რამაც ხელი შეუწყო ქართული ფილოსოფიური ენისა და ტერმინოლოგიის შექმნას"... პეტრიწონის ცენტრის ტრადიციების გამგრძელებლად საქართველოში გამოდის გელათის მონასტერი და იქ დავით აღმაშენებლის მიერ 1106 წელს დაარსებული აკადემია. ტყუილად კი არ ამბობს მემატიანე, რომ გელათი "არს წინამდებარე ყოვლისა აღმოსავლეთისა მეორე იერუსალიმად, სასწავლელად ყოვლისა კეთილისა, მოძღვრად სწავლულებისად, სხვად ათინად ფრიად უაღრეს მისსა". ამ მონასტრისა და აკადემიის მეშვეობით ჩვენში შემოდიოდა ქრისტიანული აზროვნების ფილოსოფიურ-თეოლოგიური ნაწარმოებები".[23]

**შავი მთა** წარმოადგენდა ქართველთა სამონასტრო კოლონიას; სვიმეონ საკვირველმოქმედის მონასტერში, ანტიოქიის მახლობლად მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეში ძლიერ განვითარდა ქართველთა სამონასტრო მოღვაწეობა.

"როგორც გიორგი მთაწმინდელის ბიოგრაფიიდან ვგებულობთ, მეთერთმეტე საუკუნეში აქ ყოფილა სამოცამდე ქართველი მოღვაწე, რომლებიც ბერძნებს ათვალწუნებიათ და სხვადასხვა ხრიკებით მონასტრიდან მათი გამოძევება განუზრახავთ, თუმცა, განზრახვა სისრულეში ვერ მოუყვანიათ. აქ მოღვაწეობდნენ გიორგი მთაწმინდელი და მისი მოწაფეები, ეფრემ მცირე და მისი თანამშრომლები... მათ ცხოველი კავშირი ჰქონდათ პალესტინისა და, განსაკუთრებით, ათონის ქართველ მოღვაწეებთან... აქ, შავ მთაზე, შემუშავდა სულიერი განვითარებისა და განსაკუთრებული ლიტერატურულ-გრამატიკული სკოლა, რომელთა იდეოლოგებად ითვლებოდნენ ეფრემ მცირე და ბერი იოანე ჭირინაკელი. მეცამეტე საუკუნეში შავ მთაზე კიდევ არსებობდა ქართული მონასტერი. მაგრამ მას შემდეგ, რაც სირია თურქებმა დაიპყრეს და ანტიოქია მაჰმადიანთა



არსენ იყალთოელი.

ქალაქად იქცა. ქართველებიც იძულებულნი იყვნენ აქაურობა სამუდამოდ მიეტოვებინათ".[281]

ჯვარის მონასტერი პალესტინაში გაშენებულია მეთერთმეტე საუკუნის პირველ ნახევარში. ამ მონასტრის მაშენებელი იყო ვინმე პროხორე შავშეთის ქვეყნიდან. ბავშვობაში იგი ცხოვრობდა კლარჯეთის მონასტერში წყაროსთავში, რომელსაც წამოიზარდა და განისწავლა საქმეთ. წავიდა პალესტინაში და დაემკვიდრა საბას ლავრაში, სადაც მან დაჰყო მრავალი წელი. მერე, ექვთიმე ათონელის ბრძანებით, მან ააშენა მახლობლად იერუსალიმისა ჯვარის მონასტერი. გადმოცემით, მონასტრის ადგილას მოჭრილი ხისგან გააკეთეს ჯვარი, რომელზედაც ქრისტე აცვეს. აქ პროხორე შავშელმა შემოიკრიბა თანამოაზრე მოღვაწე, უზრუნველყო ისინი ყოველივე სახმარით, განუწესა მათ წესი და კანონი. გარდაიცვალა 1066 წელს. მონასტრის აშენებაში მას მატერიალური დახმარება გაუწია მეფე ბაგრატ მეოთხე და განსაკუთრე- დედა მისი მარიამ, თავდადებულად. სანამ მონასტრის შენება დამთავრდებოდა, საჭირო წიგნებს ამ მონასტრის სწირავდნენ ათონის კალიპოსის და სხვა მონასტრიდან მოღვაწენი, მერე კი თვით ჯვარის მონასტერში გაჩაღდა ხელოვნების და კულტურის აღორძინებაზე მუშაობა. ქართული სასულიერო მწერლობა ჯვარის მონასტრისა, სახოთისაც და შიოართისაც, გაგრძელებაა ათონისა და საბას ლავრის მოღვაწეობისა".[282]



იყალთოს აკადემიის კედლები.

ჯვარის მონასტერში ბერად აღიკვეცა პოეტი და ფილოსოფოსი შოთა რუსთაველი.

საზღვარგარეთული მონასტრები მეთექვსმეტე-მეთვრამეტე საუკუნეებამდე ქართველების საკუთრებად ნომინალურად მაინც ითვლებოდა. მაგრამ, სამწუხაროდ, მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს, აქ აღმოფხვრეს ქართველთა სახელი და მათ საბოლოოდ უცხოელები დაეპატრონნენ...

გელათის აკადემიის კედლები დაფარულია სხვადასხვა დროის მხატვრობით. ტაძართან ახლოსაა წმ. გიორგის და წმ. ნიკოლოზის ეკლესიები და ტაძრის მთავარ შესასვლელში დაკრძალულია დავით აღმაშენებელი. აქ მეთორმეტე საუკუნეში მეფე დავითის თაოსნობით დიდი საქმიანობა იყო გაჩაღებული. მან სამოღვაწეოდ შეკრიბა ქართველი სწავლულები. აქ არსენ იყალთოელს ბერძნულიდან უთარგმნია: "დიდი სჯულის კანონი", იოანე პეტრიწის თხზულებათა კრებული "ბუნებისათვის კაცისა" გელათის აკადემიაში მოღვაწეობდნენ არსენ ბულმაისისძე და სხვა ცნობილი პიროვნებები.

მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეებში, როდესაც საქართველომ თავისი პოლიტიკურ-კულტურული განვითარების ზენიტს მიაღწია, მსგავსი ცენტრები იქმნებოდა ჩვენშიც.

იყალთო დაუარსებია ერთ-ერთ ასურელ მამას ზენონს მეექვსე საუკუნეში. არსენ იყალთოელს კი აქ აკადემია ჩამოუყალიბებია. ჩვენამდე მოღწეულია ხელნაწერები. შემორჩენილია სამი ეკლესია და სხვადასხვა ნაგებობანი; მისი მთავარი ეკლესია - ღვთაება რიყის ქვით არის ნაშენი. "როგორც იყალთოს აკადემიაში, ასევე ყველა სხვა საგანმანათლებლო ცენტრში, გარდა სასულიერო დისციპლინებისა, სწავლობდნენ შემდეგ საგნებს: დიალექტიკას ან ფილოსოფიას, რომელიც გულისხმობდა ღვთისმეტყველებასაც (ფილოსოფოსი იყო იგივე თეოლოგი, თეოლოგი იგივე ფილოსოფოსი), რიტორიკას, გრამატიკას, არითმეტიკას, გეომეტრიას, ასტრონომიასა და მუსიკას, ფართოდ - პოეზიას; გალობდნენ, ამასთანავე, იურისპრუდენციასა და მედიცინას. გარდა ამ დისციპლინებისა, ისწავლებოდა ხელობა: მჭედლობა, კერამიკა და მევენახეობა-მეღვინეობა".[283]

ჩვენ ჩამოვთვალეთ თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ქართული ქრისტიანული ხელოვნებისა და კულტურის ცენტრი, სადაც ზემოთ აღნიშნულ ეპოქაში ქართული აზრი ვითარდებოდა. ამ მონასტრებმა, როგორც მემატიანე ამბობს, იმთავითვე შემოიკრიბა თავის კედლებში საუკეთესო სასულიერო და კულტურული ძალები, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. ამიტომ საკვირველი არაა, რომ ეს ხელოვნებისა და კულტურის კერები, იქნებოდა ეს საქართველოში, თუ მის გარეთ, ერთ საქმეს ემსახურებოდა - სწორედ აქ ჰპოვებდა გამოძახილს ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ის მოძრაობა, რომელიც განსაკუთრებით ათონისა და პეტრიწონის მონასტრებში ღვიოდა.

# თავი მეორე

## ქართული ქრისტიანული აზრი და ფილოსოფიური მემკვიდრეობა

*"ნეტარ იყვნენ მშვიდნი, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ ქვეყანაი"*

*(სახ. მათე 5,5)*

საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული ანტიკური ფილოსოფია, რიტორიკული ხელოვნება. მეოთხე საუკუნის მეორე ნახევარში აღმოსავლეთ რომის იმპერიაში, თავისი განათლებით და ფილოსოფიის სიყვარულით, ცნობილი ყოფილა ქართველი მეფისწული ბაკური. მეოთხე საუკუნის კოლხეთში, ქალაქ ფაზისის მახლობლად, არსებობდა ფილოსოფიურ-რიტორიკული სკოლა, სადაც განათლება მიუღიათ ცნობილ ბერძენ რიტორებს ევგენიოსს და მის შვილ თემისტიოსს.




პეტრე იბერი (ფილოსოფოსი).

მეხუთე საუკუნის პირველ ნახევარში ქართველი მეფისწული მურვანოსი ანუ პეტრე იბერი. მეფის ვარაზ-ბაქარის ბაკურის შვილი იყო. იგი 12, თუ 14 წლის კონსტანტინოპოლს წარგზავნა მძევლად. იქ მიიღო სრული რელიგიური და ფილოსოფიური განათლება. სამშობლოდან მას მოძღვარი მითრიდატე ლაზი ახლდა, რომელთან ერთადაც გაიპარა იმპერატორის სასახლიდან პალესტინაში. იერუსალიმში ისინი მოძღვარი და მოწაფე ბერად აღიკვეცნენ და მურვანოსმა მიიღო სასულიერო სახელი პეტრე. პეტრე ზედმიწევნით ფლობდა ბერძნულ და სირიულ ენებს. იგი დამკვიდრდა მაიუმში (პალესტინაში) და შექმნა ქართველთა კოლონია სირიაში. მის სახელს უკავშირებენ "ცამეტი სირიელი მამის" მოსვლას საქართველოში.

მეხუთე საუკუნიდან ქართულ ენაზე იწერება აგიოგრაფიული ნაწარმოებები საქართველოში.

ქართული აგიოგრაფიის დასაწყისი ემთხვევა იმ ხანას, როდესაც ჩვენი ქვეყანა განიცდიდა ჯერ ირანელთა, მერე - არაბთა ბატონობას. ქრისტიანობა ქართლს ირანისა და არაბეთის მოწინააღმდეგე ქრისტიანულ ქვეყნებთან აკავშირებდა. ისინი ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ აღმოეფხვრათ ქრისტიანობა და გაევრცელებინათ თავიანთი რჯული - ცეცხლთაყვანისმცემლობა (მაზდეიზმი) და მაჰმადიანობა, რათა ამ გზით მოესპოთ საქართველოს კავშირი ქრისტიანულ ქვეყნებთან. ქრისტიანობისათვის ბრძოლას არა ერთი და ორი ქრისტიანი შეეწირა - გამოჩნდნენ მოწამენი, რომელთა ხსოვნის უკვდავსაყოფად იწერებოდა მარტვილობანი.

476-483 წლებში იაკობ ცურტაველმა, კარის ხუცესმა და მოძღვარმა, დაწერა "შუშანიკის წამება". ეს ნაწარმოები ქართული ორიგინალური მწერლობის ერთ-ერთ უძველეს ძეგლს წარმოადგენს. "თხზულებაში ნაჩვენებია ის მომენტი ჩვენი ცხოვრებისა მეხუთე საუკუნეში, როდესაც ირანის შაჰები, თავისი აგრესიული პოლიტიკური ზრახვების განსახორციელებლად საქართველოში ეძებენ აქაურ ფეოდალთა შორის მხარდამჭერებს, რომლებიც შესძლებდნენ ძირი გამოეთხარათ მშობლიური ქვეყნის ინტერესებისათვის. ამგვა-

ეპისკოპოსის ვინმე ისიხელებაში თბილისურადა გადაშლილი მწვანე დროშა, რომელსაც ავადლი აქონდა ქვეში ქართლის ერთერთი მიეკაზმის ოკანში".[28]

მეორე ეპიზოდი ქართული აგიოგრაფიული ნაწარმოები, სახელწოდებით "მარტვილობაჲ შუშანიკისა", ავტორი იაკობ ცურტაველის ეპისკოპოსია და V საუკუნეში. იგი დაიწერა მეხუთე საუკუნის მეორე ნახევარში. მისი ვრცელია.



იაკობ ცურტაველი.

მეექვსე საუკუნის შუა წლებში საქართველოში სირიიდან მოვიდა ერთ-ერთი ცამეტი ბერიდან, შემოქმედი და ღვთისმეტყველი აბიბოსი, რომელმაც დააარსა ნეკრესის საყდარი და იქვე მისი ბერები წამებულია; იგი ერთი "ათცამეტი ასურელი მამათაგანი" იყო. ამ ეპოქისათვის სირია წარმოადგენდა ნაყოფიერ ფილოსოფიურ აზრის ცენტრს. საქართველოში ქრისტიანული აზროვნების იგივე იმპულსით შემოვიდა ცეცხლთაყვანისმცემლური მოძღვრება, ამ ანტიქრისტიანულ მოძღვრებას, რომლებსაც აბიბოს ნეკრესელი ებრძოდა. ამ მოძღვრების გამო იგი წამებად აღიარებულ საქართველოს საზღვრის მარზპანის არჩევანზე გაგზავნის სასამართლოს წინაშე. ნეკრესელსა და მარზპანს შორის პაექრობა მძაფრი გამოდგა მის შემდეგ. წამებადებების თუ არა ცეცხლი ღვთაებაა, მოძღვრებულმა ნეკრესელმა წყალი დაასხა და ჩააქრო ცეცხლი, რომელსაც მაზდეანნი ღვთაებად აღიარებდნენ. ნეკრესელმა გამოთქვა თავისი ღრმამორწმუნე მოძღვრება ნაყოფიერიდან დაურწმუნებლობით, თავისა შენ მარზპანის ბრძანებისა. ნეკრესელი საქმეს, ხოლო გვამი მისი სადღესასწაულოდ მოგვიდებდნენ მეცნიერები და ურჩხეულებს. აღმოსავლეთის ქრისტიანებმა იპოვეს ეს გვამი და იქვე ახლოს ერთში დაასაფლავეს. აბიბოსის მარტვილობაში აღწერილი აქონდა 590 წელს. გრიგოლ ხანძთელისა და მისი მოწაფეების აღზრდილმა არსენ (დიდი) საფარელმა დაწერა "მარტვილობაჲ აბიბოს ნეკრესელისა".

მერვე საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში ირანელების ბატონობა ქართლში არაბების ბატონობით შეიცვალა. სწორედ შემდგომი რამდენიმე იხსენიება არაბთა ბატონობის ეპოქაშიც, ესენია: 786-790 წლებში დაწერილი იოანე საბანისძის "მარტვილობაჲ აბო თბილელისა" იხსენიება იოანეს დაუწერია იმდროინდელი ქართლის კათოლიკოსის სამოელის (780-790) შეკვეთით და თხოვნით; ცნობა აგრეთვე "მარტვილობაჲ დავით და კონსტანტინესი", რომლებიც ეყვნენ არგვეთის მთავარნი და ეწამნენ არაბთა მეორე შემოსევისას (737-741 წ.წ.). ამ ძეგლის და ლეონტი მროველის "მარტვილობაჲ არჩილ მეფისა"-ს მიხედვით, არჩილი ეწამებოდა მერვე საუკუნის გასულს, არაბთა მეორე შემოსევის დროს.

მეცხრე-მეთერთმეტე საუკუნეებში საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას მისი საეკლესიო-კულტურული გაერთიანება უსწრებდა წინ. მეათე საუკუნეში დაიწერა საგალობელი იოანე ზოსიმეს მიერ "ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ".

მსოფლიოში დასახლებით ხომ აიახმეტ ენა არსებობს, ანბანი კი მხოლოდ თოთხმეტი (არაბული, სირიული, ბერძნული, ებრაული, ეთიოპური, იაპონური, ინდური, კორეული, ლათინური, მონღოლური, სომხური, სლავური-კირილური, სინური, ქართული). ცნო-



აბიბოს ნეკრესელი.

**ტაბულა**

| | ძველი მრგ. | ძველი ნუს. | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | Ⴀ | ⴀ | ა | ან | 1 |
| 2 | Ⴁ | ⴁ | ბ | ბან | 2 |
| 3 | Ⴂ | ⴂ | გ | გან | 3 |
| 4 | Ⴃ | ⴃ | დ | დონ | 4 |
| 5 | Ⴄ | ⴄ | ე | ენ | 5 |
| 6 | Ⴅ | ⴅ | ვ | ვინ | 6 |
| 7 | Ⴆ | ⴆ | ზ | ზენ | 7 |
| 8 | Ⴡ | ⴡ | ჱ | ჰე | 8 |
| 9 | Ⴇ | ⴇ | თ | თან | 9 |
| 10 | Ⴈ | ⴈ | ი | ინ | 10 |
| 11 | Ⴉ | ⴉ | კ | კან | 20 |
| 12 | Ⴊ | ⴊ | ლ | ლას | 30 |
| 13 | Ⴋ | ⴋ | მ | მან | 40 |
| 14 | Ⴌ | ⴌ | ნ | ნარ | 50 |
| 15 | Ⴢ | ⴢ | ჲ | იე | 60 |
| 16 | Ⴍ | ⴍ | ო | ონ | 70 |
| 17 | Ⴎ | ⴎ | პ | პარ | 80 |
| 18 | Ⴏ | ⴏ | ჟ | ჟან | 90 |
| 19 | Ⴐ | ⴐ | რ | რაე | 100 |
| 20 | Ⴑ | ⴑ | ს | სან | 200 |
| 21 | Ⴒ | ⴒ | ტ | ტარ | 300 |
| 22 | Ⴣ | ⴣ | ჳ | ვიე | 400 |
| 23 | Ⴓ | ⴓ | უ | უნ | — |
| 24 | Ⴔ | ⴔ | ფ | ფარ | 500 |
| 25 | Ⴕ | ⴕ | ქ | ქან | 600 |
| 26 | Ⴖ | ⴖ | ღ | ღან | 700 |
| 27 | Ⴗ | ⴗ | ყ | ყარ | 800 |
| 28 | Ⴘ | ⴘ | შ | შინ | 900 |
| 29 | Ⴙ | ⴙ | ჩ | ჩინ | 1000 |
| 30 | Ⴚ | ⴚ | ც | ცან | 2000 |
| 31 | Ⴛ | ⴛ | ძ | ძილ | 3000 |
| 32 | Ⴜ | ⴜ | წ | წილ | 4000 |
| 33 | Ⴝ | ⴝ | ჭ | ჭარ | 5000 |
| 34 | Ⴞ | ⴞ | ხ | ხან | 6000 |
| 35 | Ⴤ | ⴤ | ჴ | ჴარ | 7000 |
| 36 | Ⴟ | ⴟ | ჯ | ჯან | 8000 |
| 37 | Ⴠ | ⴠ | ჰ | ჰაე | 9000 |
| 38 | Ⴥ | ⴥ | ჵ | ჰოე | 10000 |

ძველი ქართული ასოების ტაბულა.

ბილია ქართული ანბანის სამი სახეობა: ასომთავრული, ნუსხური და მხედრული. ქართული ანბანის ყოველ ასოს, ისევე, როგორც სხვა ანბანთა ასოებს, თავისი რიცხვითი მნიშვნელობა აქვს.

ერთი უცხოელი ენათმეცნიერი ქართული ენის შესახებ ამბობს: "ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება, რაც დედამიწაზე შეიძლება გამოითქვას რაგინდ რა ენით. აზრი არ მოიპოვება არც ერთ ენაზე, რომ ქართულმა არა თუ სავსებით ვერ გამოთქვას, არამედ მხატვრობით ყალიბში ვერ ჩამოასხას... ასე მდიდარია ქართული, შეიძლება ითქვას, შინაგანი თვისებებით იგი მსოფლიო ენაა!"

ეპრიანია, აქვე გავიხსენოთ რუსი ენათმეცნიერი პ. კ. უსლარი: "ქართული ანბანი ყოველმხრივ აკმაყოფილებს ყველა იმ პირობას, რაც საერთოდ ანბანს მოეთხოვება. იგია ყველაზე სრულყოფილი ანბანი არსებულ ანბანთა შორის. ყოველი ბგერა გამოიხატება ცალკეული ნიშნით, ყოველი ნიშანი მხოლოდ ერთი და იგივე ბგერის გამომხატველია.

ყველა ევროპული ენა ერთი დიდი სირთულის წინაშე დგას, - ესაა ორთოგრაფია.

ქართველებისათვის, თავიანთი სრულყოფილი ანბანის წყალობით, ეს სირთულე თითქმის არ არსებობს.

ქართული ანბანი თავისუფლად შეიძლება გამოყენებულ იქნას მთელი კავკასიური ენების საერთო ანბანის საფუძვლად"

ავსტრიელი ენათმეცნიერი ფრიდრიხ მიულერი: "კავკასიური ენები ნარჩენია ენათა დიდი ოჯახისა, რომელიც მცირე აზიასა და ხმელთაშუა ზღვის მთელს აუზს მოიცავდა და რომლისგანაც დასავლეთში ბასკური დაგვრჩა".

ინგლისელი ორიენტალისტი უილიამ ედუარდ დევიდ ალენი: "ქართული ენის ბგერათა სიუხვესა და მრავალფეროვნებას ქართული ანბანი სრულად და ზუსტად გამოხატავს: ყოველ ცალკეულ ბგერას ცალკეული ასო-ნიშანი შეესაბამება, ყოველი ასო-ნიშანი ზუსტად და მკაფიოდ გამოითქმის; ამ თვალსაზრისით ვერცერთი სხვა ანბანი ქართულ ანბანს ვერ შეედრება".

ხოლო დიდი ქართველი მეცნიერი ივ. ჯავახიშვილი ქართულ ენაზე ბრძანებს: "თავდაპირველად ქართველური და ე.წ. კავკასიური ენები ერთი და იმავე ბუნებისა და უმჭიდროესად მონათესავე ენები ყოფილა; დროთა განმავლობაში სხვადასხვა მიზეზის გამო ერთმანეთს დაშორებიან და ხამ-ხუთ დიდ მთავარ ენათა ჯგუფად ქცეულან".

საქართველოში ქრისტიანობის შემოსვლის პერიოდში ქართული ენის განვითარებისა და ბედის თაობაზე მინდა მოვიყვანო ცნობილი ქართველი მეცნიერის ავთანდილ არაბულის სიტყვები: "...როგორც ცნობილია, ქრისტიანობის ფართო ჰუმანურობისა და ძალმოსილების საფუძველი იმაში მდგომარეობს, რომ მან ეროვნულ ენებზე გაკვალა გზა ჭეშმარიტი მორწმუნეებისაკენ და ამით ეს უნივერსალური მოძღვრება გახდა "შინაურიც", "ნათესავებრივიც"... ქართული მართლმადიდებლური ქრისტიანული კულტურის ტრადიციები გამორჩეულად გამძლე და მკვიდრი აღმოჩნდა დროთა და ვითარებათა მძაფრი ძვრების მიმართ და ეს გამძლეობა უწინარესად ქართული ენის შედარებით "უცვალებლობის" უნიკალურ ფენომენში გამოიხატა. ფაქტობრივ, არ მოიძებნება მეორე ისეთი ენა, რომელსაც ხილული თხუთმეტი-თექვსმეტი საუკუნის განმავლობაში ასე შეენარჩუნებინოს სტრუქტურული ბუნება და სისტემური მთლიანობა... ამგვარად, მეოთხე საუკუნეში ქართული ენა ახალი, ჭეშმარიტი მოძღვრების ნათელს ეზიარა, ნათელ-იღო პირველი წმინდა წიგნთა - სახარებისა და ფსალმუნთა ქართულად "მოქცევით" და ამით ჩაეყარა საფუძველი ქართულ ქრისტიანულ კულტურას...".[288] ხოლო იაკობ გოგებაშვილმა ასე ბრძანა: "მშობლიური ენის და წიგნის უარყოფა თავისი თავის უარყოფაა, თავისი თავის გათახსირებაა". ასეა, ენა მატიანეა ერისა, ლექსიკონი კი - მისი კულტურის ისტორია. "დაე დაავიწყდეს

ერის ცოდნა ყოველი. ეს ერის ცხოვრებაში ის ფენომენია, რომელიც მისი და კაცობრიობის მესია ხდება, თუ წინაპრები ცნობრივ შემოქმედებაში სამყაროს შეცნობას ეწეოდნენ და ქმნიდნენ რა მეცნიერებს. მათი არსით აწვდიდნენ ადამიანებს მოპოვებულ ბიოლოგიურ თუ კოსმიურ კანონებს".[28]

ქართველებს მრავალი საუკუნის განმავლობაში უხდებოდათ ქრისტიანობის დაცვა საქართველოში. ამდენად, მაჰმადიანთა წინააღმდეგ ბრძოლისას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნული სარწმუნოებისათვის თავდადებულთა ცხოვრების აღწერას. მეცხრე-მეათე საუკუნეებში შეიქმნა ბასილი ზარზმელის "სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება" და გიორგი მერჩულეს "გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება". უცნობი ავტორის "მარტვილობა კონსტანტი კახისა" და სტეფანე მტბევარის "მარტვილობა მიქელ გობრონისა".

სასულიერო მწერლობის დარგია აგრეთვე ჰიმნოგრაფია. ქართული ჰიმნოგრაფიის ცნობილი წარმომადგენლები იყვნენ: მიქაელ მოდრეკილი, იოანე მინჩხი, იოანე მტბევარი, იოანე ზოსიმე. ამ სახეებში არსებობდა საერო მხატვრული ლიტერატურაც. "შეიქმნა ქართული ფილოსოფიური აზროვნების შესანიშნავი ნიმუშები. ჯერ კიდევ მეექვსე საუკუნის მეორე ნახევარში ევსტათი მცხეთელის "მარტვილობის" ავტორი გამოიყენებს არისტიდე ფილოსოფოსის (II საუკუნე) აპოლოგიას, რომელშიაც კრიტიკულადაა განხილული საკითხი: შეიძლება თუ არა ბუნების მოვლენები ღვთაებად მივიჩნიოთ? შემდეგ, მეცხრე საუკუნეში ცნობილმა გრიგოლ ხანძთელმა "სიბრძნეცა იგი ამის სოფლისა ფილოსოფოსთაი ისწავლა კეთილად და რომელი ჰგვის სიტყვაი კეთილი, შეიწყნარის, ხოლო ჯერკადრელი განაგდის" მიუხედავად ასეთი ტრადიციისა, ნამდვილი ფილოსოფიური აზროვნების შესანიშნავი ნიმუშები, კონკრეტული ნაშრომებით წარმოდგენილი, საქართველოში მოგვეპოვება IX საუკუნიდან. ფილოსოფიური მწერლობა ჩვენში შემოვიდა "ეკლესიის მამათა", ე.ი. თეოლოგიის კორიფეების შრომებში. მოაზროვნე, რომელსაც მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის ქართული ფილოსოფიური აზროვნების განვითარებაში იყო ეფრემ მცირე - შესანიშნავი მეცნიერი, ფილოლოგი, ფილოსოფოსი, ისტორიკოსი და, ამავე დროს, მთარგმნელი. იგი ხმამაღლა აცხადებს: "ჩვენ, შემდგომნი თარგმანნი, "არა სიტყვამრავლობითა, არცა სოფილოსოფოსოთა, არამედ პირველდამაშვრალთა თარგმანთა წიგნებისაგან განვისწავლებითო". "აქედან ნათელია, თუ რა ხასიათის უნდა ყოფილიყო ეს მწერლობა, რა მიზნისა და იდეალის მატარებელი. ეს მიზანი იყო თეოლოგიის სამსახურში დადგომა, ქრისტიანული აზროვნების ინტერესებისა და დოგმატის დაცვა და მისი ფილოსოფიური დასაბუთება. ეს იყო იდეალი ყველა მიმართულებისა, რა სხვადასხვაობასაც არ უნდა ეჩინა თავი განსახორციელებელი გზების ძიებაში".[29] საყურადღებოა ეფრემის ორიგინალური შრომა "უწყებაი მიზეზისა ქართველთა მოქცევისა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენების". ეს თხზულება მას დაუწერია შავ მთაზე მოღვაწე ქართველთა საგანგებო შეკვეთით. ეფრემ მცირეს დაავალეს, დაეწერა სახელმძღვანელო წიგნი, სადაც ბერძნული წყაროებიდან ამოკრებილი იქნებოდა ცნობები იმის შესახებ, თუ როდის "მოიქცნენ", ანუ გაქრისტიანდნენ ქართველები. მანვე, როგორც ფილოსოფიაში განსწავლულმა ადამიანმა, შეადგინა "სდაპრობანი დიდისა ბასილის ეპიტაფიისა შინა შემოღებულნი" და "სდაპრობანი კუალად იესუისნი", რომლებშიც ვრცლადაა გადმოცემული და განმარტებული ელინთა სხვადასხვა მითოლოგიური თქმულება... ეფრემ მცირის შემდეგ ქართული ფილოსოფიური მწერლობის ასპარეზზე ნაყოფიერად მოღვაწეობს არსენ იყალთოელი. არსენს მიუღია ღრმა და საფუძვლიანი განათლება იმპერატორ კონსტანტინე მონომახის მიერ დაარსებულ (1044-1047 წლებში) მანგანის აკადემიაში, სადაც შემდეგ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თხზულება უთარგმნია. მისი მოღვაწეობა სამ პერიოდად იყოფა: პირველია შავ მთაზე გატარებული წლები, როდესაც ის, ეფრემ მცირესთან ერთად და მისი ხელმძღვანელობით, თარგმნიდა წიგნებს ქართულად. უფრო მეტი შრომა არსენ იყალთოელს გაუწევია თავისი



ნიკოლოზ ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი.
ნახატი კ. კასტელის.



ეფრემ-მცირე (ფილოსოფოსი).

ფილოსოფიური მოღვაწეობის მეორე პერიოდში, როდესაც მანგანის წმ. გიორგის მონასტერში ცხოვრობდა კონსტანტინოპოლში 1114 წლამდე. აქ მან თარგმნა გიორგი ამარტოლის "ქრონოგრაფი". თარგმანი შედგება ცხრა წიგნისაგან და მოგვითხრობს ისტორიას ადამიდან თეოდოსი დიდის მეფობამდე. იქვე დაიწყო "ლოგიკატიკონის" წერა. მესამე პერიოდში, როდესაც, არსენი საქართველოში ცხოვრობდა, მან თარგმნა დიდი "სჯულის კანონი"; აგრეთვე მის მიერ გადმოქართულებულია "წყარო ცოდნისა" იოანე დამასკელისა.

შუა საუკუნეების ქართული ფილოსოფიური აზროვნების შესანიშნავი წარმომადგენელი იყო ექვთიმე ათონელი, რომლის ფილოსოფიურ შრომათა შორის უნდა დავასახელოთ "წინამძღვარი", ანუ "სარწმუნოებისათვის"

ყველაზე მეტი ღვაწლი და დამსახურება ქართული ფილოსოფიური მწერლობის ისტორიაში იოანე პეტრიწს მიუძღვის. მისი პიროვნების გარშემო შეინიშნება მთელი რიგი ლეგენდებისა. სწავლა-განათლება იოანემ მიიღო საბერძნეთში, მანგანის აკადემიაში, კონსტანტინოპოლში ის ხვდება ფილოსოფიურ წრეში, რომლის მეთაურებად ითვლებოდნენ მისი მასწავლებლები, მიქაელ ფსელოსი და იოანე იტალი. ამ უკანასკნელებთან ერთად, იგი აღნიშნული ფილოსოფიური მიმდევრებისა და ბიზანტიური რენესანსის აქტიურ ძალად გადაიქცა, ამიტომაც მათთან ერთად მასაც დააცხრა დევნა ოფიციალური კონსერვატიული წრეების მიერ და 1075-1076 წლებში ის სამშობლოში დაბრუნდა. 1082-1084 წლებში იოანე პეტრიწი დამკვიდრდა ბულგარეთში რომელ-ლის პეტრიწონის მონასტერში. იგი სასულიერო სემინარიას ხსნის [illegible], სადაც მოღვაწეობდა ოციოდე წელიწადს. მნიშვნელოვანი და ყველაზე ხანა მისი სამწერლო-სამეცნიერო მოღვაწეობისა, პეტრიწონის მონასტერთანაა დაკავშირებული. მეთორმეტე საუკუნის პირველ ათწლეულში იოანე სამშობლოში დაბრუნებულა, დამკვიდრებულა "გელ-ლისა შინა გაენათისა" და აქ უთარგმნია რამდენიმე სღვთისმეტყველო და ფილოსოფიური თხზულება. იოანე პეტრიწის შრომები შემდეგ დარგებად შეიძლება დავყოთ: ისტორიული, გრამატიკული, ასკეტიკური, აგიოგრაფიული, ლიტურგიკული, ბიბლიოლოგიური, ასტრონომიულ-ასტროლოგიური, იამბიკური და ფილოსოფიური. უფრო საყურადღებოა ფილოსოფიური მემკვიდრეობა იოანე პეტრიწისა, რომელიც ხელით, გულით და მოწოდებით იყო ნამდვილი ფილოსოფოსი, ღრმად მცოდნე არა მარტო იმდროინდელი ბიზანტიური ფილოსოფიური მწერლობისა, არამედ ანტიკური ფილოსოფოსებისაც, რომელთაც ის დედნებში კითხულობდა... იოანე პეტრიწი ერთი იმ პირთაგანია, რომელნიც XI-XII ს.ს. ცდილობდნენ ქართულ ნიადაგზე გადმოენერგათ ბიზანტიური ფილოსოფიის მიღწევანი და ხელი შეეწყოთ ქართული ფილოსოფიური აზროვნებისა და მწერლობის განვითარებისათვის. მან შექმნა, არამცთუ მხოლოდ ქართული ფილოსოფიური აზროვნება, არამედ მთელი ფილოსოფიური სკოლაც, ფილოსოფიური ენა, ტერმინოლოგია და სტილი. პეტრიწონული ლიტერატურული სკოლა ჩამოყალიბებულია, უმთავრესად, იოანე პეტრიწის მიერ. ის მუდამ იმაზე ზრუნავდა, რომ ბერძნული სამეცნიერო-ფილოსოფიურ ტერმინისთვის ქართული შესაფერისი მოეძებნა ან, თუ ასეთი არ მოიპოვებოდა, ქართული ენა გაეხადა ფილოსოფიური აზროვნე-



იოანე პეტრიწი (ფილოსოფოსი).

ბის ისეთ იარაღად, როგორიც იყო ბერძნული; მისი სურვილი იყო "ენაიცა (ქართული) ენისა "გან-წყო" (ბერძნულისა)... მისმა ცდამ და მოღვაწეობამ გარკვეული მიმდინარეობა, თავისთავად იგულისხმება ელინოფილობისა, გაჭარბებულად დაიკმაყოფილა, ეს ხანა, თუმცა იქნება, რომ ამავე კლასიკურ ხანაში მისი შრომა გადათარგმნეს თავის ენაზე სომეხ ლიტერატორებმა". რატომ არ უნდა იცნობდეს თანამედროვე ქართველი საზოგადოება ამ ყოველი ქართველი მოაზროვნისა და ფილოსოფოსის მიღწევებს?[22] რატომ არ უნდა იდოს მისი ნაშრომები წიგნის მაღაზიებში გერმანული, ჩინური, ინდური და სხვა ფილოსოფოსების გვერდით?

სოლომონ დოდაშვილმა ასე გამოხატა თავისი პატივისცემა იოანე პეტრიწისადმი: "ყველაზე ბრწყინვალე ეპოქა ქართული საეროვნო სიტყვისა იწყება იოანე პეტრიწით. იგი იყო ჭეშმარიტი ფილოსოფოსი, ქართველთა სათაყვანებელი მოძღვარი და თავისი დროის გენიოსი. იგი წერდა საუკეთესოდ ყველა დარგში და ყველა დარგში მოიპოვა სახელი და პატივისცემა არა მხოლოდ თავის თანამედროვეებში, არამედ შთამომავლობაშიც"



პეტრიწონის მონასტრის ემბლემა
(მზე და გაშლილი წიგნი).
ნახატი ა. ბადალიანისა.

აღნიშნული პირთა შემოქმედებით არ ამოიწურება ქართული ფილოსოფიური მწერლობა ამავე კლასიკურ ხანაში, რომელშიაც ისინი ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ. ჩვენ ვიცით მთელი რიგი ადამიანებისა, რომელთაც წყაროებში ეწოდებათ "ფილოსოფოსი". ასეთია, სხვათა შორის, ვინმე **იეზეკილე**, თანამედროვე იოანე პეტრიწისა; ანტონ კათალიკოსი მას არსენ იყალთოელსა და პეტრიწს ადარებს. უფრო ცნობილია **იოანე ტარიჭისძე**, თანამედროვე დავით აღმაშენებლისა, რომლის მოწვევითაც 1114 წელს ის, სხვებთან ერთად, ბიზანტიიდან საქართველოში დაბრუნებულა. მის შესახებ ძველი წყაროები ამბობენ, რომ ის იყო "სიბრძნის-მოყვარე, ფილოსოფოსი, რომ მან მრავალნი ქართველნი განასწავლნა სიბრძნის-მოყვარებასა შინა" უნდა დავასახელოთ, აგრეთვე, XII-XIII ს. მოღვაწე **იოანე ჭიმჭიმელი**, ფილოსოფოსი, რომელსაც "შესხმის" სახით აღუწერია დიმიტრი მეფის (1125-1154) თავგადასავალი და საგმირო საქმეები... მან გადმოიღო ქართულ ენაზე ორი თხზულება, რომელშიაც განმარტებულია უაღრესად ფილოსოფიური ბიბლიური წიგნი "ეკლესიასტე" "თარგმანება ეკლესიასტესა". იოანე ჭიმჭიმელის თარგმანებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მისი დროის სალიტერატურო წრეებში, ვინაიდან ის აჩვევდა მკითხველს განვითარებულ ფილოსოფიურ მსჯელობას, თავისი აზრების სხარტად და ლოგიკურად ჩამოყალიბებას და ამდიდრებდა მას ახლად შექმნილ სიტყვებითა და ტერმინებით".[23]



იოანე ჭიმჭიმელი (ფილოსოფოსი).

IX-XI საუკუნეებში დაწინაურდა ქართული საისტორიო მწერლობა. მეცხრე საუკუნეში შეიქმნა და რედაქცია გაუკეთდა "მოქცევაი ქართლისაი"-ს, რომელიც საქართველოს ისტორიას მეცხრე საუკუნემდე გადმოგვცემს. მეთერთმეტე საუკუნეში დაიწერა უცნობი ავტორის "მატიანე ქართლისაი", სუმბატ დავითისძის "ბაგრატიონთა გვარის ისტორია", ლეონტი მროველის "მეფეთა ცხოვრება", ჯუანშერის "ვახტანგ გორგასლის ისტორია".

არასოდეს ყოფილა ასე ყოვლისმომცველად ამაღლებული ხელოვნება, როგორც X-XII საუკუნეებში. ამ ხანებშია შექმნილი: ბაგრატის ტაძარი, სვეტიცხოველი, ალავერდი, სამთავრო, სამთავისი, მანგლისის ტაძარი, ნიკორწმინდა, ხცისი, სავანე და სხვა.

მეცხრე-მეთერთმეტე საუკუნეების ხელნაწერი წიგნები ასევე დიდი გემოვნებითაა შესრულებული - მინიატურები, ნატიფი მინანქრები, ფაქიზად ნაქარგი ქსოვილები, საეკლესიო ნივთები თუ ჩუქურთმები აღმავლობის ნიშანს ატარებს.

განვითარების მაღალ დონეზე, ფილოსოფიასთან ერთად, იდგა: ისტორიოგრაფია, სამართალმცოდნეობა, მედიცინა. ისტორიული აზროვნების მაღალი დონის მანიშნებელია "ქართლის ცხოვრება". საქართველოში არსებული ოქრომჭედლური სკოლებიდან ნიშანდობლივია ბექა და ბეშქენ ოპიზართა ხელოვნება.

მართალია, XV-XVIII საუკუნეების ხუროთმოძღვრება ჩამოუვარდებოდა კლასიკური ხანის ხელოვნებას, მაგრამ ამ ეპოქაში შეიქმნა ისეთი შესანიშნავი ძეგლები, როგორიცაა: გრემის საქალაქო ანსამბლი ეკლესიებითა და სასახლეებით, შუამთის ახალი მონასტერი, ნინოწმინდის სამრეკლო, როსტომის ეკლესია და ანანურის ანსამბლი.

მეჩვიდმეტე საუკუნეში დაიბეჭდა პირველი ქართული წიგნი - ქართულ-იტალიური ლექსიკონი; იგი დაიბეჭდა რომში 1629 წელს; მისი ავტორები არიან იტალიელი პატრი სტეფანე პაოლინი და წმ. ბასილის ბერი ნიკიფორე ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი. ნიკიფორე ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი ასიზის (ქალაქია იტალიაში) წმ. ბასილის წესის მონაზონი, კახთა მეფის თეიმურაზ I-ის ელჩი იყო ევროპაში; ევროპიდან დაბრუნების შემდეგ სამეგრელო-აფხაზეთის კათალიკოს-პატრიარქი გახდა.

1709 წელს მეფე-პოეტი ვახტანგ VI თბილისში, მტკვრის ნაპირას, თავისი სასახლის მახლობლად, აარსებს პირველ სტამბას. ეს ის დროა, როცა აღმოსავლეთ საქართველოს არც ერთ მეზობელ ქვეყანაში არ არის შემოღებული წიგნის ბეჭდვა. ამ სტამბაში 1712 წელს პირველად დაიბეჭდა შოთა რუსთაველის "ვეფხისტყაოსანი".

მეთვრამეტე საუკუნისათვის კულტურის აღორძინება დაწყებითი და საშუალო სკოლების დაარსებაში და წიგნების ბეჭდვის საქმის გაუმჯობესებაში გამოიხატა. 1755 წელს ანჩისხატის ტაძრის ეზოში დაარსდა სემინარია, რომლის პირველი რექტორი ფილიპე ყაითმაზაშვილი იყო. 1758 წელს თელავში, ერეკლე მეორის სასახლესთან, დაარსდა სკოლა; მის საფუძველზე 1782 წელს ახალი სემინარია გაიხსნა, რომლის რექტორი გაიოზ არქიმანდრიტი იყო. ამავე დროს დაარსდა ქართული პროფესიული თეატრი; მასთან ერთად აღორძინდა ქართული დრამატურგია.

სამწუხაროა, რომ დღეს ქართველი მკითხველი ინტერესდება მხოლოდ უცხოური ფილოსოფიური ნაშრომებით და არ იცნობს ქართულ ფილოსოფიას. რა თქმა უნდა ეს მხოლოდ მისი ბრალი არ არის  ქართული ფილოსოფიური მემკვიდრეობა თითქმის არ გამოცემულა თანამედროვე მკითხველისათვის, მაშინ როცა წიგნის მაღაზიები სავსეა აღმოსავლური სიბრძნის მიმზიდველი, გათანამედროვებული ქართული გამოცემებით.

დღეს მაინც, ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში, განსაკუთრებული მნიშვნელობა მივანიჭოთ ჩვენი აზროვნების გათვითცნობიერებას, რათა შევძლოთ დანაწევრებული საქართველოს გამთლიანება.

# თავი მესამე

## დუმილის მოძღვრება ათონის იბერთა მონასტერში

*"ან სულელნი სიბრძნეს მეტყუელებენ, ხოლო ბრძენნი შექმნენ დუმილი. მათ ვერ გულის-ხმა-ყვეს, ვითარმედ ბრძნად მეტყუელება ვერცხლი არს წმიდა, ხოლო დუმილი ოქრო რჩეული, ვითარცა რქუა სოლომონ."*

*გიორგი მერჩულე (დაახ. 875-960)*

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართული ქრისტიანული ტაძრები და მონასტრები საუკუნეების განმავლობაში ფართო საგანმანათლებლო მოღვაწეობას ეწეოდნენ. "ამ მონასტრებში თითოეულ ქართველ ბერსა და მონაზონს საშუალება ჰქონდა გაცნობოდა, არა მარტო იმ დროისათვის უხვად არსებულ, არაბების მიერ თარგმნილ მსოფლიო ლიტერატურას, არამედ პირველწყაროებით შეესწავლა აღმოსავლური და ანტიკური ქვეყნების მეცნიერებათა და სულიერ მოღვაწეთა შემოქმედება - ყოველგვარი სისტემები სამყაროს აგებულებაზე და ადამიანის ფიზიკურ და სულიერ განვითარებაზე. იქაურმა ბერებმა მშვენივრად იცოდნენ პითაგორას, ანაქსაგორეს, ფილოლაოსის, სოკრატეს, პლატონის, არისტოტელეს, ჰერკლიდეს, არისტარქეს, ევდოქსეს, ჰიპარქეს და, ვინ იცის, კიდევ რამდენი სხვა მეცნიერისა და სულიერი მოძღვრის შეხედულება ციურ სხეულთა მოძრაობაზე, სამყაროს აგებულებისა, ადამიანის ფიზიკური და სულიერი განვითარების შესახებ".

მაგალითისათვის მოვიყვანოთ სადღვთისმეტყველო კრებულში (№6, 1985 წელი) და ჟურნალ "რელიგიაში" დაბეჭდილი სტატია. "ათონის მთის ბერთა მისტიკური ღვთისმეტყველების შესახებ", რომელიც თვალნათლივ დაგვანახებს სულიერი განვითარების იმ სიმაღლეებს, რომლებსაც ფლობდნენ ქართველი ბერები და ქართული ქრისტიანული აღზრდის სკოლები:

"ეგვიპტის მეუდაბნოე მამათა შორის ჯერ კიდევ IV საუკუნეში გავრცელებულმა ისიხაიზმის (ბერძნ. ჰესუხია - დუმილი) მოძღვრებამ, როგორც ცნობილია, ათონის მთაზე ბერთა და დაყუდებულთა შორის შეაღწია VII საუკუნის ბოლოს წმ. პეტრე ათონელის მეშვეობით.

XIX საუკუნის შუა ხანებში ათონი მოინახულა და აღწერა რუსმა ეპისკოპოსმა პორფირი უსპენსკიმ (еп. Порфирий Успенский. <История Афона>, аст III, от е II. СПб. 1890). 1845 წლის 30 ნოემბერს, სწორედ ათონის ივერთა (ქართველთა) მონასტერში მან იხილა ისიხასტას, ანუ დუმილის მოძღვრების სქემა (იხ. სურათი), რომელიც გამოაქვეყნა კიდეც თავის ნაშრომში. დუმილის მოძღვრების ამ სქემასთან ერთად ითარგმნა საფრანგეთში მოღვაწე ცნობილი თეოლოგის ვლადიმირ ლოსკის (1903-1958) სტატია, რომელიც ამ თემას ეძღვნება ("Dieu vivant" ques, l. Paris 1945 da Vladimir Loccky. A l'image et a la ressemblance de Dieu. Paris, 1967, ასევე ЖМП, 1968, № 3). ისიხასტების მოძღვრების სქემა წარმოადგენს დისკოს ან წრეს - იგია სიყვარული, სინათლე მასში - იმედი, ხოლო სხივი - რწმენა (იხ. სურათი). ყველაფერი კი ეს ერთადერთი ანარეკლი და ბრწყინვალება ერთი. ლოცვა არის გონების აღმაფრენა ღვთისაკენ, ადამიანისა და უზენაესის შეერთება, ხოლო თავისი ქმედებით - ქვეყნისაგან განდგომა, მისი უზენაესი სულიერებით შეცვლა, დედა და ასული ცრემლითა, ცოდვებისაგან განწმენდა, ხიდი გადებული ცდუნებებზე, ზღუდე ნაღველთაგან, გამხნევება სულიერი ბრძოლების დროს, საქმე ანგელოზთა, ყველა უხორცოთა აღმზრდელი, მუდმივი მხიარულება, უსასრულო ქმნა, სიკეთეთა წყარო, სულიერ წყალობათა მომხვეჭელი წარმატება უხილავი, სულისათვის საზრდო, გონებისათვის განათლება, სასოწარკვეთილების მოსპობა, იმედისათვის დასტური, მწუხარებისათვის დაცხრომა, ბერთა სიმდიდრე, დაყუდებულ მდუმარეთა განძი, წარმატებათა სარკე, ძალისხმევათა გამოვლენა, სულიერ

მდგომარეობათა ნათელმყოფობა და მომავლის გამოცხადება. დუმილი, მდუმარება არის გულის წადილთა განშორება. თვით კურთხეულ საზრუნავთა უარყოფა, სხეულის უგულებელყოფა. ვისაც სურს მდუმარება მოიპოვოს, მაგრამ საზრუნავი არ განერიდება, ედარება იმ ადამიანს, რომელმაც მაგრად გაიკრა ფეხები და იმავე დროს სწრაფად სიარულს ცდილობს. იშვიათია ადამიანები, რომელთაც ღრმად შეისწავლეს ამ ქვეყნად არსებული ფილოსოფია, იშვიათია ისინიც, რომელთაც ეწყიან მდუმარების ფილოსოფია, რაც ღმერთშია. ვისაც უზენაესი ჯერ არ შეუცნია, იგი მდუმარებაში გამოუცდელია და ადვილად შეიძლება გადაეყაროს მრავალ სულიერ საშიშროებას. მდუმარება ანადგურებს გამოუცდელთ, რადგან ისინი, არ უგემიათ რა სიტკბოება უზენაესისა, უთვალავ გზებზე განიბნევიან. ვინაც შეიყვარა სიტკბო ლოცვისა, გაექცევა ადამიანებს, როგორც კანჯარი. ვინც ვნებებითაა შეპყრობილი, და უდაბნოში კი ცხოვრობს, მას დილით აცდუნებენ უარყოფითი ძალები პატივმოყვარეობისა და ნდომათა, შუადღისას სიზარმაცის, მრისხანებისა და წუხილის ძალები, ხოლო საღამოს მყრალი ძალები უბადრუკი მუცლისა. მდუმარება ესაა განუწყვეტელი ღვთისმსახურება და უზენაესის წინაშე ყოფნა. იგი შენთვის მხოლოდ მაშინ იქნება სასარგებლო, როდესაც თითოეულ შენს ამოსუნთქვასთან დაკავშირებული იქნება იესოს ხსოვნა. ნიმუშად მდუმარებისა დაე შენთვის იყოს დიდი არსენი.

მდუმარეა ის, ვინც მარტომარტო საუბრობს უზენაესთან და განუწყვეტლივ მის მიმართ ლოცულობს.

მდუმარებაში წარმატებულმა იცის საიდუმლოთა სიღრმე.

სენაკი მდუმარესი არის სხეულის საპყრობილე, და ამ საპყრობილეში მოიპოვებ ცოდნას.

მდუმარეა ის, ვინც ამბობს: **მე მძინავს, ხოლო გული ჩემი ფხიზლობს.**

ბერი ადამიანი ეხმარება, ხოლო მდუმარეს ანგელოზი.

წინასწარი საქმე მდუმარესი არის უზრუნველყოფა ყოველივე ამქვეყნიერისაგან, როგორც გონიერისაგან, ასევე უგონოსაგან. როგორც წერა-კითხვის უცოდინარს არ ძალუძს წერილის კითხვა, ასევე მასაც, ვისაც არ გაუსინჯავს ეს უზრუნველობა, არ ძალუძს ილოცოს დაუზარებლად და მოიპოვოს ვერგანსაძარცველი განძი გულისა.

მდუმარებაში გამოუცდელმა დღისით და ღამით ივარჯიშოს: 1) ლოცვასა და უზენაესის გახსენებაში; 2) ფსალმუნის გალობაში; 3) კითხვაში; 4) ცოდვათა სამჯავროს, სიკვდილისა და ტანჯვის გახსენებაში; 5) ხელსაქმეში.

იგი იშვიათად უნდა ტოვებდეს თავის სენაკს, ხოლო ყოველგვარ მუსაიფს და თვალების მიშტერებას თავი უნდა აარიდოს.

ოთხი საქმე აქვთ მდუმარეთა: 1) დამწყებთათვის - ვნებათა შესუსტება; 2) წინწაწეულთათვის - გულმოდგინება გალობაში; 3) წინწაწეულთათვის - განუწყვეტელი ლოცვა; 4) სრულყოფილთათვის - ჭვრეტა.

თორმეტი სარბიელი აქვთ მათ, ისევე როგორც 12 ნეტარება: 1) გონების უშფოთველობა; 2) წმინდა არცოდნა; წმ. ისააკი ამბობდა: "წმინდა გონება ლოცვის დროს ნათდება ყოვლად წმინდა სამების სინათლით, და მაშინ იგი წყვეტს ლოცვას, მთლიანად ექსტაზში იმყოფება და ჭვრეტს მიუწვდომელს, ხოლო ეს ჭვრეტა არის ის არცოდნა, რომელიც ცოდნაზე მაღლაა". 3) ღვთისაკენ სწრაფვა; 4) გონებით წარმოსახვა ტანჯვათა; 5) სიკვდილის გახსენება; 6) დაუცხრომელი ლოცვა; 7) სიძვის მოკვლინება; 8) საჭმლის შეზღუდვა; 9) ღვთაებასთან სიტკბიერი კავშირი; 10) სულიერი განმსჯელობა; 11) ცრემლთა მომრავლება; 12) დუმილისაკენ თანდათანობით სვლა.



**დუმილის მოძღვრების ემბლემა.**

წარმატების ნიშნები მდუმარებაში შემდეგია: 1) თავმდაბლობის მატება; 2) მრისხანების შემცირება; 3) გონებადაბნელების შეწყვეტა; 4) სიყვარულის გამრავლება; 5) ვნებათა ჩამოშორება; 6) ავხორცობის დაკნინება; 7) უხალისობის არცოდნა; 8) გულმოდგინების მატება; 9) გულშემატკიერობა; 10) სიამაყის არქონა.

მთავარი ავი ზრახვები მორჩილებთან: 1) დორმუცლობა; 2) სიძვა; 3) ვერცხლისმოყვარეობა. მთავარი ავი ზრახვები დაყუდებულ-მდუმარეებთან: 4) მრისხანება; 5) მწუხარება; 6) უხალისობა; 7) პატივმოყვარეობა; 8) სიამაყე.

მღვიმარების წყალობათა კიბე შემდეგია: პირველი კიბე - ბუნავი ბერი, რომელიც ღვაწს კიბეს ღვთაებრივ წყალობათა, რომელიც ცდით შეიმცნება ღვთივშემოსილთაგან; მეორე კიბე – უწმინდესი ლოცვა, რომლისგანაც წარმოსდგება რაღაც გულისხმიერი სითბო, ხოლო მის შემდგომ გვევლინება წმინდა ენერგია; მესამე კიბე - გულის ღვთაებრივი ცრემლები, რომლის დროსაც ცხრება ყოველგვარი ზრახვები და იწმინდება გონება; მეოთხე კიბე – ზესთქმული საიდუმლოებების ჭვრეტა, რომლის შედეგადაც ხდება უცნაური გაბრწყინება გამოუთქმელი გზით, ხოლო ამ გაბრწყინებისაგან ხდება ხოლმე გამოუთქმელი გასხივოსნება გულისა; მეხუთე კიბე - აქედან კი სრული სრულყოფილება.

ხოლო ქვემოთ მოცემული ათეული საფეხურია - ღვთაებრივი ფილოსოფია, ათეულთა საფეხურთა - ყველა წიგნთა ნაყოფი, ათეულთა საფეხურთა სრულყოფილების გამომჟღავნებაა, საფეხურთა ათეულს ზეცად აჰყავართ, საფეხურთა ათეულს ღვთის ხილვასთან მივყავართ. ეს ათეული საფეხური შემდეგია: 1) წმინდა ლოცვა; 2) გულის სითბო; 3) წმინდა ენერგია; 4) გულის ცრემლები; 5) ზრახვის სიმშვიდე; 6) გონების განწმენდა; 7) საიდუმლოთა ჭვრეტა; 8) უცნაური განათება; 9) გულის გასხივოსნება; 10) სრულყოფილება.

მღვიმარეთა ამ სქემას ახლავს ეპ. პ. უსპენსკის მინაწერი: "Вот как высоко парят Орлы Бога Нашего! А мы хотя бы на земле поживём с покаянием, Надеждой, Любовью и Верой" П. Успенский, 1845 г. ("აი, რა მაღლა დანავარდობენ არწივნი ღვთისა! ჩვენ კი ნეტავ მიწაზე მაინც ვიცოცხლოთ მონანიებით, რწმენით, სიყვარულითა და იმედით", პ. უსპენსკი.)"[4]

როგორც ვხედავთ, ეს სულიერი სრულყოფილების მიღწევის უმაღლესი სახეა, რომელსაც ფლობდნენ განდეგილი ბერები და მონაზვნები. ამ დონეზე სამყაროს გაგების სულ სხვა ფორმა შემოდის ცნობიერებაში. "ადამიანის გონებას არ ძალუძს გაიაზროს უზენაესი, რადგან მის გონებაზე უარყოფითად მოქმედებენ ვნებები, წარმოდგენები და ოცნებები. უზენაესის შესახებ სწავლებებში შეცდომა არის ის, რომ მასზე ფიქრობენ სხეულის ანალოგიის მიხედვით და მიაწერენ მას თვისებებს, რომლებიც ახასიათებს სხეულს; ან მიაწერენ ფსიქიურ თვისებებს, რაც დამახასიათებელია ინდივიდუალური სულისათვის; ან ასევე გამოხატავენ მას რაიმე საზღვრებში, რომლებიც არ შეესაბამება სინამდვილეს", გვასწავლის ნეტარი ავგუსტინე. ასე რომ, მათი დონე ჩვეულებრივი ადამიანისთვის თითქმის გაუგებარი და მიუწვდომელია.

ქართველთა წმინდა მღვიმარების ხელოვნება, პირველ რიგში, ადამიანის სულიერ ცხოვრებას გულისხმობს. ადამიანი სულიერი ცხოვრების გარეშე იმ მარცვალს წააგავს, რომელიც ნიადაგში ჯერ არ დაუთესავთ. ასეთ მარცვლებს სარდაფებში ან სხვენში ინახავენ. მართალია, მათ არც წვიმა, არც ქარი და არც ყინვა არ აწუხებთ, მაგრამ შეიძლება დალპეს, ან კიდევ უარესი - თაგვებმა შეჭამონ. იმ მარცვალმა, რომელიც ნიადაგში დაითესა, ბუნების ჭირვეულობებს უნდა გაუძლოს, გაიზარდოს, ნაყოფი მოგვცეს. ასევეა ადამიანიც. ის, ვინც ცხოვრობს სულიერებით, შემოზღუდული არ იქნება: მას ქარებსა და გრიგალებთან დგომა მოუწევს, მაგრამ იგი ყოველთვის ისეთ პირობებში იქნება, რომელიც მას გაზრდის და კაცობრიობისათვის ნაყოფის მიცემის საშუალებას შეუქმნის. სჯობს, ადამიანი განდეგილობასა და გაჭირვებაში იყოს, მაგრამ იზრდებოდეს, ვიდრე იყოს სარდაფში უქმად, თაგვებისა და მღრღნელების საკბილოდ.

სულიერი გზით მიმავალ ადამიანს არ უნდა შეეშინდეს, თუ კი ცხოვრება უქმნის მას ისეთ სიძნელეებს, რომლებშიც მისი მატერიალური არსებობა იზღუდება. ქარისა და წვიმის მიუხედავად, ქარიშხლისა და გრიგალის მიუხედავად, ადამიანმა უნდა გააგრძელოს სულიერების გზით სიარული და ეს გზა ღვთიურ სამყაროსთან მიიყვანს. ამიტომ თქვა იოანე პეტრიწმა შემდეგი:

"არა სიყვარულისთვის სოფლისა
ამას მიართუ, იწყე, ბრძენო, გონებას.
რაითგან არა სოფელ მოიძულე?
საწუთროს, ვითარ არ მყოფსა,
მყოფად ნუ ჰყოფ!
ამას ახედე, თვითმყოფსა უფროს მართალ,
ყოველითურთ მიხედე საუკუნოსა მზისა".

"სიბრძნის უმაღლესი ღირსება სიკეთეა" - "ბრძენთა დიდილი მართებს", ამბობს გიორგი მერჩულე "გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში". "სიბრძნის სიკეთედ განცდა სიბ-

რძნის საყვარულის უმაღლესი ცხადყოფაა. დიდია ძალა სიტყვისა - შეიძლება სიტყვით განკურნებაც და მოკვლინებაც. მაგრამ სიტყვა მაინც უძლური რჩება უმაღლესი იდეალების გამოსახატავად; რასაც ვერ გამოხატავს სიტყვა, უნდა იგრძნოს სულმა - ესაა დუმილის ესთეტიკა. დუმილის ესთეტიკა მწერლობის უარყოფას არ გულისხმობს. იგი გულისხმობს მხოლოდ ნაწარმოებში გამოხატულის მიღმა დიდი სულიერი სამყაროს არსებობას". აი, რას ამბობს ამის თაობაზე ჩვენი დიდი თანამემამულე და მოაზროვნე, ფილოსოფოსი, ბერი პეტრე იბერიელი: "...და ყოველთა მოგონებათაგან მოუგონელ არს ზეშთაგონებისა იგი ერთი; და გამოუთქმელ არს ყოვლისა სიტყვისაგან ზეშთასიტყვისა იგი სახიერებაი. ერთობაა ერთმყოფელი ყოვლისა ერთობისაი და არსებაი ზეშთაარსებისა...".[295] როგორ წააგავს იგი აღმოსავლურ ფილოსოფიას "ო, რა ღრმაა და მიუწვდომელია უმაღლესი დე (ანუ სახიერება). იგი არას ჰგავს სამყაროში, მაგრამ შესაკრებელია ყოველივესი და საზღვა დიდი თანხმობის" (ლაო-ძი, LXV). "...ერთი იგი ესე არს, რათა ზეშთა გონებისა და არსებისა იგი ღმერთ-მთავრობისა საიდუმლოა, გამოუძიებელად ვიკრათ კრძალულების მსგავსებითა, მითვე წმიდათა გონებათაითა და გამოუთქმელობასა მისსა ყოვლად ბრძენთა დუმილთა პატივ-ვსცეთ".[296] ლაო-ძი - "ბრძენი დუმს და იხშობს კარს, იგმანავს სარკმელს, იურვებს ვნებებს. ბრძენი დუმს და იხსოვნებს ქაოსს, აწყნარებს ბრწყინვას, შეერთვის მტვერს". LVI). პეტრე იბერიელთან ღვთაებათა ყოველივეს საწყისის მიზეზი და მიზანი - ესაა იგივე სამება, თავისი ერთარსობითა და მთლიანობის გამოუყოფელი და შეუცნობელი, ხოლო თავისი სამპიროვნებითა და განყოფით - გამოვლენილი, საცნაური.[297] ლაო-ძი, XLII - "დაო შობს ერთს, ერთი შობს ორს, ორი შობს სამს, სამი - ყოველივე არსს...". პეტრე იბერიელი: "ყოველივე არსთა მიზეზ არს, ხოლო თვით არცა ერთი მათგანი, ვინაითგან მათ ყოველთა ზეშთაარსების ამაღლებულ არს".[298] ლაო-ძი XII - "იგი იქ ბუდობს, სად ხორციელს არ ძალუძს ყოფნა, ამიტომ ჰგავს დაოს (ანუ ზეშთაარსებას)". პეტრე იბერიელი: "...უმაღლესი სათნოება - სახიერებაა ღმერთისა... და როგორც მზე არავის გამოარჩევს, არამედ ყველასი გამნათებელია იგი, სახიერება ასულიერებს, აცოცხლებს ცხოველებს, მცენარეებს, უძრაობაც მისგანაა და მოძრაობაც".[299]

სულიერი გზით მიმავალმა ადამიანმა უნდა შეიცნოს სამყარო; იგი უნდა იცნობდეს კოსმოსს. საინტერესოა პეტრე იბერიელის მოსაზრებები, რომელიც ასტროლოგიას ეხება: "...რაი-მე ვინ თქვას მისთვისვე და მას ზედავე ხილულთა მზისა შარავანდედთათვის? რამეთუ სახიერებისაგან არს ნათელი და ხატი არს სახიერებისაი. ამისთვის ნათელთ - სახელობით იგალობების სახარებაი, რომელმან მზისა შორის, ვითარცა სახისა შორის აჩვენა პირმშოი ხატი თვისი".[300] "რომელნიც ვერ მიიღებს მზისგან (სახიერებისაგან) ნათელს, ეს თავად მისივე ბრალია და არა იმისა, რომ მას ნაკლებ აძლევენ სინათლეს... და ქმნასაცა გრძნობადია გუამთასა თანა შეზავების და ცხოველებისა მიმართ ძძავს მათ და ზრდის აღორძინებს და სრულყოფს, განსწმედს და განაახლებს; მოძრაობა და უძრაობა მის გამგებლობაშია. იგი ამოძრავებს, ძრავს თოთოეულ მოძრაობას, თავისი სიტყვის წამის ყოფით".[301] პალესტინაში ჯვარის მონასტერში აღკვეცილმა ბერმა, დიდმა ქართველმა პოეტმა შოთა რუსთაველმაც მსგავსი აზრი დაგვიტოვა: "... იგი გახდის წამის-ყოფით ერთსა ასსად, ასსა - ერთად". ის რომ შოთა რუსთაველს თავის "ვეფხისტყაოსანში" გააზრებული აქვს მრავალი ასტრონომიული და ასტროლოგიური მოელვენა, უკვე არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს და შეიძლება თამამად ითქვას, რომ მისი კოსმოლოგიური შეხედულებანი მსოფლიო მეცნიერების მიერ ძირითადად მიკვლეული და გაშიფრულია.

"ეს მოსაზრება ერთი დიდი მეცნიერის გამონათქვამით მინდა გავამაგრო. იგი სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის ყოფილი პრეზიდენტი გახლავთ, აკადემიკოსი ვიქტორ ამბარცუმიანი. მან იმდენად კარგად იცის ქართული ენა, რომ ქართულად კითხულობს "ვეფხისტყაოსანს". აი, რა დაწერა მან: "Всякого, кто читал "Витязь в тигровой шкуре" великого грузинского поэта, поражает, что поэт ставит своей целью не только передать читателю саму фабулу поэмы, не только сообщить ему о характерах и деяниях своих героев,... но и познакомить его с основами своего мировоззрения, со своими философскими взглядами и нравственной системой.

При чтении поэмы Вас не покидает ощущение, что сценой действия являеться весь мир, вся Вселенная. Вам начинает казаться, что Руставели считает своими действующими лицами не только конкретных людей, но и конкретные небесные тела, Солнце, Луну и планеты.

Смелое и вместе с тем красивое, умелое и тактическое введение в действие небесных светил свидетельствует о широких астрономических знаниях Руставели, свидетельствует, что Вселенная и её устройство являлись объектом постоянных дум поэта. Она всегда присутствовала в душе этого великого мыслителя.

Удивительно поэтому, что на анализ астрономических воззрений Руставели до последнего времени не обращалось должного внимания... Более того, Руставели с абсолютной уверенностью говорит о движении планет Меркурия и Венеры вокруг Солнца, которое в свою очередь, по тогдашним представлениям, обращается вокруг Земли... Удивительным свойством обладают творения подлинно великих мыслителей. Изучение их всегда позволяет вскрыть новые интересные факты и идеи, и мы восхищаемся этими творениями всё больше и больше... Такие гении, такие мыслители заслуживают преклонения всего человечества" რაიმე ნიუანსი რომ არ დაგვეკარგა, ან არ გაგვემრუდებინა, წერილი განგებ არ ვთარგმნეთ ქართულად. ვფიქრობ საქვეყნოდ ცნობილი ასტრონომის სიტყვები ბევრს ნიშნავს".[36]

კოსმიური მოძრაობა მრგვალია, რადგან შეერთებულია დაუსრულებლად გამობრწყინებამ მათი, პეტრე იბერიელის აზრით. სულის მოძრაობა მრგვალია, შემომავალია (მარადისობაა სიმრგვალე, მარადი ბრუნვაა). გარეგანი და ცნობადი ძალების ისეთი შემოკრებაა, რომელიც როგორც სიმრგვალე ერთიანობის მომნიჭებელია. საერთოდ, იგი სამი სახის მოძრაობას აღნიშნავს: 1) მრგვალი - რადგან უსასრულო და მარადიულია მისი სათნოების გამოვლენა: 2) სწორი - როცა ცვლის წინასწარ ჭვრეტასთან მიდიან და ამას გაიძლიან ყოველნი; 3) სპირალური - როცა ცვლილთაგან იღწვიან მასთან გაიგივებიან და "იშვებენ კეთილსა შინა". სწორი სვლა სულისა არის მაშინ, როცა თავის თავში კი არ შემოდა, არამედ როცა გარეთ გავა და "...მრავალფერ ქმნულთა და განმრავლებულთა მარცვალთა მიმართ და შეერთებულთა სვლათა აღვილიდან". აქვე მახსია შოთა რუსთაველსაც: "ჩვენ კაცთა მოგვეცა ქვეყანა, გვაქვს ყოველგვარი ფერითა" მაგრამ სამყარო მთლიანი და ერთიანია იგი სიტყვიერი და განგებითი. შესრულებული და ცვალებადობის მოქმედებაა. ყოველი ქმრაობა და მოძრაობა მისგან (ღმერთისგან) მისი ძალით და მის მიმართ არის". - ამტკიცებს პეტრე იბერიელი. ზუსტად ამასვე ამტკიცებს აღმოსავლური ფილოსოფიაც: "დაო აქმრავებს მოძრაობას, დაო აწესრიგებს ქაოსს" (დაოძი, IV)...

ამ თავის დასასრულს მინდა შევახსენოთ ის საქვეყნო აღიარება, რაც დაიმსახურა ქართულმა შემოქმედებითმა გენიამ: "1987 წლის ნოემბერში იუნესკოს 155-ე სესიის სპეციალურმა საბჭომ მიიღო იუნესკოს კაცობრიობის ზეპირსიტყვიერი და არამატერიალური მემკვიდრეობის შედევრების დეკლარაციასთან დაკავშირებული დებულებები.

ამგვარი დეკლარაციის მიზანია კაცობრიობის ზეპირსიტყვიერი და არამატერიალური მემკვიდრეობის შედევრებისათვის პატივის მიგება, რომლებიც შეირჩევა ხალხური ტრადიციული გამოხატულებების აღიარებულ შედევრთაგან... მსოფლიოს ხალხთა ზეპირსიტყვიერი მემკვიდრეობის ის ნიმუშები, რომლებიც აკმაყოფილებენ დებულებებში ჩამოყალიბებულ კრიტერიუმებს, გამოცხადდება კაცობრიობის ზეპირსიტყვიერი მემკვიდრეობის შედევრებად - გენერალური დირექტორის მიერ, ყოველ ორ წელიწადში ერთხელ, ჟიურის რეკომენდაციაზე დაყრდნობით.

2001 წლის 18 მაისი განსაკუთრებული დღეა საქართველოს სულიერი მემკვიდრეობისათვის. იუნესკოს გენერალურმა დირექტორმა კოიჩირო მაცუურამ დაასახელა ქართული **პოლიფონიური სიმღერა, როგორც კაცობრიობის ზეპირსიტყვიერი მემკვიდრეობის შედევრი!**

ოთხი დღის განმავლობაში საერთაშორისო ჟიურიმ დიდი ყურადღებით განიხილა 32 შერჩეული კანდიდატურა: კუნკის ოპერა (ჩინეთი), ქართული პოლიფონიური სიმღერა "ჩაკრულო" (საქართველო), ინდოეთის, იაპონიის, ლიტვის მაროკოს, პერუს, დომინიკის რესპუბლიკის, კორეის, რუსეთის, ესპანეთის, იტალიის, ფილიპინების ზეპირსიტყვიერება და სანახაობანი... "ჩაკრულოს" კანდიდატურამ ღირსეულად წარადგინა ქართული პოლიფონიური სიმღერები. ჟიურის ნაყოფიერი მუშაობის შემდეგ მან ერთსულოვნად გაიმარჯვა".[37]

# თავი მეოთხე

## "წმინდა მხედრების" მსოფლმხედველობა

*"აჰა, მმოწმობენ ვარსკვლავნი, შვიდნივე მემოწმებიან:*
*მზე, ოტარიდი, მუშთარი და ზუალ ჩემთვის ბნდებიან,*
*მთვარე, ასპიროზ, მარიხ მოვლენ და მოწმად მყვებიან.*
*მას გააგონენ, რანიცა ცეცხლნი უშრეტნი მდებიან.*

*შოთა რუსთაველი*

*"უწლოთაგან მიეცემის ქვეყანასა წყალობა,*
*მშვიდობა, სიმთელე და სიყოვლიერება."*

*ს.ს. ორბელიანი*

წინა თავში შევეხეთ ჯვაროსნების ზიარებულ წმინდა მამათა მღვიმარების (ლევი-ლის) მოძღვრებას, რომლის მეშვეობითაც განდეგილი ბერები სულიერი განვითარების უმაღლეს დონეს აღწევდნენ. მათი სულიერი და საერთო მომზადება ს მაღალი დონე ცხადად ადასტურებს ე.წ. წვრთნის შიდა სისტემის არსებობას.

კარგად განვითარებული უნდა ყოფილიყო წმინდა მხედრების საბრძოლო სისტემა, რადგანაც ქართულ ლაშქარში ბერ-მონაზონთა საბრძოლო რაზმების არსებობა ისტორიული სინამდვილეა. შესაბამისად, ისინი საბრძოლო მომზადებასაც გადიოდნენ; ამაზე მეტყველებს ამ რაზმების მაღალი ბრძოლისუნარიანობა.



წმინდა მხედრები: წმ. თეოდორე, წმ. გიორგი და წმ. დიმიტრი (სიღნაღის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია).

ეს საბრძოლო რაზმები, პირველ რიგში, ეკლესია-მონასტრების დასაცავად არსებობდნენ, ხოლო თუ ქვეყანას გაუჭირდებოდა, ისინი მხარში ედგნენ ქართულ ლაშქარს და მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოდიოდნენ.

აკადემიკოსი კ. კეკელიძე ქრისტიანობის დამცველ მებრძოლებს "წმინდა მხედრებს" უწოდებს. ისინი "მკვნესა ზედა შემსხდარნი და საჭურველითა ასხმულნი" ებრძვიან ბოროტებას, რჯულისა და ქვეყნის მტრებს; ისინი ემსახურებიან სიკეთეს და სამართლიანობას" კ. კეკელიძე ქრისტიანობის დამცველი მებრძოლების განვითარების გზაზე სამ ძირითად საფეხურს გამოყოფს: "...1) მომავალი წმინდა მხედარი, ჯერ კიდევ ბავშვობაში იჩენს სულიერ ძლიერებასა და სიმშვენიერეს, რომელიც განასხვავებს მას ტოლებისაგან; მისი ქცევები და ყოფა მოასწავებს პოტენციურ სულიერ გმირობას; 2) დავაჟკაცებული მებრძოლი მხედარი ნამდვილი სულიერი გმირი და ზეკაცი ხდება; იგი ებრძვის ხორცს და სხვა ათასნაირ მაცდურს ამ ქვეყნად. იგი ებრძვის ეშმაკს, რომელიც მას ხშირად ხილულად, ადამიანის ან რომელიმე ცხოველის სახით ეჩვენება, და ისეთ სასწაულებს სჩადის, რომელიც მას ბუნების კანონებზე მაღლა აყენებს; 3) წმინდა მებრძოლისათვის ამქვეყნიური ცხოვრება წარმოადგენს განუწყვეტელ სამსახურს უზენაესადმი და შეგნებულ ერთგულებას მისი სიყვარულისადმი. იგი ითმენს და იტანს ათასგვარ ასკეტურ ღვაწლსა და შრომას; ის ნამდვილი მიჯნურია უზენაესისა მისთვის ბნელა, მისთვის

ქვლის წმინდა მხედრებს მიერეკება ელამიტაკენ, სადაც მრავალი თავკლი წელი ცხოვრობენ ისე, რომ ადამიანის სახეს ვერ ხედავენ, სადაც ისინი შეუჩერებლად "ადიდებენ ცრემლითა თვისითა ხორციელსა თვისსა" "კაცი მოკვდავი იყოს, ვინ იქმს ხორცსა მისსა" რუსთაველი, სტრ. 28: 4) სულიერი გმირი თავის მიზანს დიდი ძალისხმევით აღწევს - იგი კეთილს ბოროტზე ამარცხებინებს, სულს - ხორცზე. როგორიც არ უნდა იყოს ბოლო, ისინი მიზანს აღწევენ - "ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია" - აქვე უნდა დავსძინოთ, რომ თუ წმინდა მხედარი ბრძოლებს მიზანს უზენაესთან შეერთებაში, ხოლო გმირის მაგალითად, ელინისტურის იდეალიც იგივეა: "მით ვისწავლებით, მოვეეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა მწყობრისა", ე.ი. ეზენაესისა, რასაც გმირები აღწევენ ქვეყნიერ ფერდისა რაინდობის მორალური კოდექსის აღსრულებით, პატრიოტისა და მოყვასის სამსახურით, ასახიან, მათი შერთვა საკუთრითან, მოკვდავთან აღმავლობის იგივე ქვეყნიერების შერთვის განასახიერებს".[?]

"წმ. გიორგი ყველაზე საერო წმინდანია, ვინაიდან იგი სიმბოლოა საშუალო-რაინდული მხედრობისა, მიწიერ, ხილულ მტერთან ბრძოლისა და მისი შემუსვრისა, მაშინ, როდესაც წმინდა მხედრობა მიზნად ისახავს უხილავ მტერთან, უმაღლეს ძალებთან ბრძოლას რომელიც ხილულ მტერთა ინსპირატორებად ითვლებიან.

ქართველთათვის წმ. გიორგი სიმბოლოა მებრძოლი ქრისტიანობისა, სიმბოლო თავად ქვეყანისა, ძლიერი მებრძოლი ასპექტში, ბოროტების დამთგუნველ ასპექტში. წმ. გიორგის ქართველი ხალხის წარმოსახვაში შეიერთა ყველაფერი ის საუკეთესო, რაც მოიცავს ქრისტიანობაში და, რადგანაც ქართველი ხალხის მებრძოლი სულისათვის მახლობელი იყო მხოლოდ მებრძოლი ქრისტიანობა, მან შეისისხლხორცა ეს სახე, ვინაიდან მისი არსებობა, მისი ისტორიული ყოფა განუწყვეტელი ბრძოლა იყო გარს მოჯარული ბარბაროსების წინააღმდეგ. გიორგობისა ეს ხსოვნის დღე იყო საქართველოსთვის, სადაც თითო ეკლესიაზე ახლდა წმინდა მხედრებიც კი სხვა მებრძოლები, თორნიკე ერისთავის, გიორგი ჭყონდიდელის მსგავსად ბრძოლის ველზე სისხლს იღვრიდნენ მამულისა და რწმენის დასაცავად...". "...ამავე ბრძოლის ქრისტიანული იდეის ხალხი წინაპრებიც ესწრაფვოდნენ გიორგანადი, ამიტომ დიდი, გიორგი მირქველი, დავით აღმაშენებელი, გიორგი მესამე, თამარ მეფე და სხვანი, ქრისტიანული მორწმუნეობა და ხატოვანი მათთვის განუყოფელი იყო გიორგისებურ შემართებისაგან ბოროტების ძალთა წინააღმდეგ. ქართულ ქრისტიანობასაც ამიტომ ეწოდა გიორგიანობა".[?]

მაინც რას შეიცავდა ქრისტიანობის დამცველი "წმინდა მხედრების" სულიერი აღზრდის ასპექტები? ლოცვებისა და დუმილის მეშვეობით "წმინდა მხედრები" ახრულებდნენ გონების სიმშვიდის. ამ ხელოვნების დამწყებს წესრიგში თუ არ ჰქონდა მოყვანილი საკუთარი ცხოვრება, მეშვეობისაგან შედეგი ნაკლებად მოსალოდნელი იყო: და ისინიც ცვლიდნენ ცხოვრების წესს, ქცევებს, აზრებსა და გრძნობებს.

"წმინდა მხედრები" რწმენას, მეცნიერებასა და ხელოვნებას ერთ მთლიანობად განიხილავდნენ. მეცნიერება - ეს გონების მოთხოვნილებაა, რწმენა - გულისა, ხოლო ხელოვნება - კი ნებისყოფის: მებრძოლი ბერი რაზეც ფიქრობდა, იმას გრძნობდა და ბოლოს, ასრულებდა კიდეც.

როგორც მჭედელი, ჯერ ახურებს რკინის ნაჭერს და მერე ცვლილობს მისთვის ფორმის მიცემას, ასევე მუშაობდნენ წმინდა მხედრები თავიანთ სულიერ განვითარებაზე. შიდა ხელოვნების ჭეშმარიტ შეცნობას ისინი მხოლოდ სითბოს მეშვეობით ახერხებდნენ. რას წარმოადგენს სითბო? სიყვარულს. შესაბამისად, ამათ იყო იმათი მცდელობა, ვინც ნამდვილი მოძღვრების შემეცნებას გულის ალით, მხოლოდ გონებით ცდილობდა.

შიდა ხელოვნების მიმდევარი წმინდა მხედარი ილუმინაციას შემდეგ ოთხ მცნებაში ხედავდა: ცოდნაში, სურვილში, ძალისხმევაში და მდუმარებაში.

რატომ იყვნენ ისინი მდუმარენი? იმიტომ, რომ ის ზუშთაგონება, რომელიც ცოდნის მიღების სურვილითა და ძალისხმევით მიიღებოდა, ძალიან სახიფათო იყო მათთვის, ვინც მდუმარებისათვის მზად არ აღმოჩნდებოდა. წმინდა მხედრებად წოდებული მებრძოლი რაინდები შიდა ხელოვნების გახსნისათვის იყენებდნენ სულიერებას, გონს, გულს, ნებისყოფას. არსებობდა სამი ძირითადი გასაღები: სიყვარული, სიბრძნე და ჭეშმარიტება. სიყვარული გულს ხსნიდა, სიბრძნე - გონს, ხოლო ჭეშმარიტება - ნებისყოფას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წმინდა მხედრები მშვენივრად ერკვეოდნენ სამყაროს აგებულების კანონზომიერებასა და მის ენერგეტიკაში. ისინი თვლიდნენ, რომ არსებობს ძლიერ განვითარებულ არსებათა ჯაჭვი. ამ სამყაროს სრულყოფილ აგებულებაში მზე და თითოეული პლანეტა, თავისი მოძრაობით, წარმოადგენს სპეციალურ ენერგოგადამცემს, რომლის თითოეული წევრი თავის ენერგიას მეორეს უგზავნის და იქმნება სამყაროს

ერთიანი ენერგოქსელი (ენერგოჯაჭვი). ასევეა ადამიანის სხეულშიც — თითოეული ორგანო ერთ-ერთი პლანეტას შეესაბამება და თავის მიერ გადამუშავებულ, ანუ გარდაქმნილ ენერგიას მეორე ორგანოს გადასცემს. მხოლოდ შიდა ხელოვნების წმინდებს შეუძლიათ მისცეს ადამიანს საგანთა და სამყაროთა ენერგომიმოქცევის სწორი ხედვის უნარი. ასეთი პიროვნება ყოველთვის ორგანიზებულია, გაწონასწორებულია, დაცულია. როგორც კი ადამიანის გონი (შიდა ხედვა) იგრძნობს, რომ პატრონმა გადაუხვია წმინდა გზიდან და ჩაეფლო სახიფათო სფეროებში, იგი აფხიზლებს მას და კარნახობს, რომ უნდა შეცვალოს მიმართულება.

შიდა ხელოვნებებში მოვარჯიშე წმინდა მხედარი, შესაძლოა, იყენებდა მთვარის ფაზებს და შესაბამისად იგი წარმატებებსაც აღწევდა, როგორც საბრძოლო, ასევე სულიერ განვითარებაში. ცნობილია, რომ თუ ადამიანს შემოქმედებით ცხოვრებაში რაიმე ძალიან მნიშვნელოვანის დაწყება სურდა, იგი მთვარის ზრდის პერიოდს ირჩევდა დაწყებისათვის იმ ანალოგიის კანონის თანახმად, რომელიც სამყაროს მართავს: მთვარის ზრდის პერიოდში ბუნება ბადებს ზრდისათვის ხელსაყრელ პროცესებს.

ასევე, შესაძლოა, ისინი მუშაობდნენ მზესთან, ვარსკვლავებთან, დედამიწასთან, მთელ ბუნებასთან და, ამით, სამყაროსთან ჰარმონიაში შედიოდნენ. როგორც ცნობილია, პლანეტებს ძველ ქართულად ასე უწოდებდნენ: ერმისი (მერკური), აფროდიტე (ვენერა), არიი (მარსი), დიოსი (იუპიტერი), კრონოსი (სატურნი).

შესაძლოა, ყოველ მნათობს ჰქონდეს თავისი ცა: ყოველ ცას — თავისი სახელი: ქართულად მთვარის ცას ეწოდება ჭირანი, ერმისას — ცორანი, აფროდიტისას - მელცარი, მზისას - კოჭიმელი, არიასას - ჭიმჭიმელი, დიასას - კისკიმელი, კრონოსისა! — არბასტრო.

ძველთა წარმოდგენით, ყოველ ამ მნათობს, შესაძლებელია, ჰქონდა ადამიანის სახე.

"იმ მნათობებს (ძველქართულით "ცთომილთ"), რომელთა სახელები წარმართულ ხანაში ერქვა შვიდეულის დღეებს, აქვთ თავიანთი ნიშნები:

| | |
|---|---|
| მთვარე | არია (თარხონი) |
| ერმი (ჯ-მალი) | დია (დიოსი, ობი, ვება) - |
| აფროდიტი (მთიები) | კრონოსი (მორიგე) |
| მზე - | |


ადამიანის ორგანიზმზე ეტლების გავლენის სქემა (შუა საუკუნეების გრავიურიდან).

არიას (მარსი), კრონოსს (სატურნი), ურანსა და პლუტონს ასტროლოგიურ ხელოვნებაში ქართველი წმინდა მხედრები არ თვლიდნენ ნეგატიური ძალის მქონე პლანეტებად. მათი აზრით, ეს პლანეტები არაკეთილსასურველი მათთვის არიან, ვისაც არ შეუძლია მათგან სასიკეთო გავლენის მიღება. ამ პლანეტებისაგან სარგებლობისა თუ ვნების მიღების ხარისხი დამოკიდებულია თვით ადამიანის ფიზიკური ტანის, გულისა და გონების, ანუ აურის ხარისხზე. თუ ადამიანს გარე ენერგოგარსი (აურა) შავი ელემენტებით დაკეტილი აქვს, მაშინ იგი მოიზიდავს მისსავე მსგავს და იმავე ხარისხის ელემენტებს პლანეტებიდან. ამ პრინციპით, კეთილისმყოფელ პლანეტებსაც შეუძლიათ ცუდი გავლენის მოხდენა. შესაბამისად, თვით ადამიანის შიგთავსზე დამოკიდებული მოიზიდავს, თუ არა, იგი, მაგალითად, სატურნის პოზიტიურ თვისებებს: მოთმინებას, სტაბილურობას, ცოდნის წყურვილს, ან პირიქით - მის უარყოფით გავლენას: დარდს, სიჯიუტეს, უხეშობას; ასევე, იუპიტერის დადებით ენერგიებს: სიდიადეს, გულუხვობას, სიკეთეს, გულმოწყალებას, ან უარყოფით ძალას: ამბიციებს, პატივმოყვარეობას, სხვების მიმართ ქედმაღლობის და მათი და-

თრაკენის ხეროვლის. ამგვარად, ადამია-
ნი ეხლა იხწრაფვოდეს განწმენდისაკენ. მან ეხლა იხწყვლის ფიზიკური სხეუ-
ლის ვარსზე (ავარზე) მეშვეობა, რათა შეეძლოს სამყაროში არსებული კეთი-
ლისმყოფელი ენერგიების მიღება.



ცათა სფეროები (ს. ს. ორბელიანის ლექსიკონიდან).

„ყველა მნათობი თავის სვლას ას-
რულებს ცის სარტყელზე. ეს სარტყე-
ლი 12 ნაწილად იყოფა: თითოეულ ნა-
წილში არსებობს ვარსკვლავთა განსა-
კუთრებული ჯგუფი თანავარსკვლავე-
დი. თითოეული ჯგუფი ვარსკვლავთა გან-
ლაგების შესაბამისად გარკვეულ სურათს
ქმნის. ადამიანმა ეს სურ რომელი-
მე ცხოველს ან საგანს მიამსგავსა და
ვარსკვლავთა ჯგუფებს ცხოველთა სა-
ხელები დაარქვა. თითოეულ ამ ჯგუფს
ეფრძ. ეწოდება „ზოდია", ანუ ცხო-
ველი. მნათობთა ამ სარტყელს, რომელ-
ზეც ზოდია, ანუ ვარსკვლავთა ცხოველუ-
რი სურათი იქმნება, ზოდიაქო, ანუ ზო-
დიაქოს ცხოველთა წრეს ეწოდებათ. მასვე აქვს ერთი, ძველ საქართველოში ეტლს
„ბურჯს" ეწოდებოდნენ. ქართველი ბურჯი ბურჯს „ცხოველთა სახლეებად", ანუ ცხოვე-
სახლებად „მთიბსქინიებს"."

შიდა ხელოვნებების მიხედვით, შესაძლოა, თავდაპირველად „ცხოველთა სახლე-
ბის" ენერგიების ზემოქმედების ადამიანის შიდა ორგანოებზე. ვინც ეს ერთი ან ად-
წერს ამ ზემოქმედებას: „ვასხვა თუ ქვეყნები, ხალხები, ადამიანები ექვემდებარებიან ვარს-
კვლავურ ზემოქმედებას: ვარსკვლავთა განწყობილებაში არიან დღენი, მეტალები, ადამიანის
ტანის ნაწილებიც, რომელთა სხეულებისა და ჯანმრთელობას თითონ ვარსკვლავები განა-
გებენ. მაგალითად, ზოდიაქო ვერძს ეკუთვნის ადამიანის თავი; კუროს - ყელი; მარჩბივს
ხელები; კირჩხიბს მკერდი; ლომს ბეჭები; ქალწულს მუცელი; ლრიანკალს
შორისი; მშვილდოსანს ლვიძლი; თხას მუხლები; მერწყულს - ბარძაყები; თევზს
ფეხები და სხვა" (ის. სურათი).

„ოთხ კავშირსაც, ანუ ოთხ ელემენტს: ცეცხლის, წყლის, მიწისა და ჰაერის, რომელთაგან
ყოველივე წარმოიშვება, თავისი ზოდიაქო აქვს განკუთვნილი. მაგალითად, ცეცხლს
ვერძი, ლომი, მშვილდოსანი და ა.შ.... შუ-
ლი მნათობი თავისი სვლით და ზოდი-
აქოში გავლით, თავისი ურთიერთობით
სხვა ვარსკვლავებთან განაგებდა მსოფ-
ლიოს, განსაზღვრავდა დროს, მართავ-
და ბუნებას და კაცის მომავალს...
თითოეულ თითს საკუთარი მნათობი მი-
ეკუთვნება. მაგალითად, ცერს - ვენერა,
სალოკს იუპიტერი, შუათითს - სა-
ტურნი, არათითს - მზე; ნეკს მერკუ-
რი... თითოეულ მნათობს თავისი გან-
საკუთრებული ლითონი აქვს მინიჭე-
ბული: მზეს - ოქრო; მთვარეს - ვერცხ-
ლი; მარსს რკინა; ერმისს (მერკუ-
რის) ვერცხლის წყალი; დია (იუპი-
ტერს) - კალა; აფროდიტას (ვენერას) -
სპილენძი; კრონოსს (სატურნს) ტყ-
ვია".



XII საუკუნის ასტროლოგიური ტრაქტატის ფრაგმენტი - მთვარის ამოსვლისა და ჩასვლის ფაზები".



XII საუკუნის ასტროლოგიური ტრაქტატის ფრაგმენტი – "მარჩბივის (ტყუპების) ეტლის აღწერილობა".

შიდა ხელოვნებების მიმდევრები მნათობთა სახელებს კვირის შვიდ დღესაც უწოდებდნენ ძველ საქართველოში. დღეთა ძველქართული სახელებია: მზისა (დღე მზისა) - კვირა; მთოვარისა (დღე მთვარისა) ორშაბათი; არისი (დღე მარსისა) სამშაბათი; ერმისა (დღე მერკურიისა) ოთხშაბათი; აფროდიტისა (დღე ვენერასი) ხუთშაბათი; ზოსისა (დღე იუპიტერისა) პარასკევი; კრონოსისა (დღე სატურნისა) შაბათი.

"კვირა" ბერძნული სიტყვაა - ნიშნავს უფლისას, საუფლოს. ქართულში კვირის სინონიმებია: მზევსი და შვიდეული, ე.ი. შვიდის შემცველი (კვირაში ხომ 7 დღეა).

ქრისტიანობამდე საქართველოში უქმე დღე იყო ორშაბათი - მაშინდელი "მთოვარისა", ვინაიდან, იმ დროს ქართველთა უმთავრესი და უმძლავრესი ღვთაება იყო მთვარე.

IV-V საუკუნეებში უქმე დღის აღსანიშნავად, საქართველოში "კვირასთან" ერთად იხმარებოდა "ერთშაბათი".

ძველი ხალდეველი მოძღვრების მიხედვით, ძვირფას, პატიოსან ქვებს აქვთ ძალა: მოიხსენიან ვარსკვლავთა გავლენა. კვირის თითოეულ დღეს გააჩნია თავისი ძვირფასი ქვა. მაგალითად: ორშაბათის - მარგალიტი და თეთრი ფერის თვალი.

ძვირფასი ქვების საკრალური მნიშვნელობა "გახსნილია" წმინდა წერილში. გავიხსენოთ, რომ "მარგალიტი" მაცხოვრის ერთ-ერთი სახელია: "მარგალიტ ეწოდა, რამეთუ იგი, ვითარცა მარგალიტი...". აქედან გამომდინარე, ძვირფასი ქვები ("თვლები") უზენაესის სასუფეველის და მის მკვიდრთა სიმბოლოცაა".[30]

აქ, უპრიანია, გავიხსენოთ სვეტიცხოვლის ფრესკის ზოდიაქოს რკალის ფრაგმენტი (იხ. სურათი). მასზე თორმეტივე ეტლია (ზოდიაქოა) გამოსახული. "ფრესკა განთავსებულია ტაძრის სამხრეთ კედელზე, ორ ფანჯარას შორის. ფრესკის შუაში უფალია (ქრისტე), ხოლო შემდეგ წრეზე მზე და თორმეტი ეტლის (ზოდიაქოს) ნიშანი... ხელოვნებათმცოდნეთა დასკვნით, სვეტიცხოველში, ახლად აღდგენილ კედელზე ეტლთა რკალი მოიხატა 1656-1675 წლებში და დღემდე მშვენივრად არის შენახული. სვეტიცხოვლის მშენებლობა დაიწყო 1010 წელს და დამთავრდა 1029 წელს. ეს ის პერიოდი იყო საქართველოში, როდესაც უმაღლესი რანგის სასულიერო პირთვნებები, შვილის მომავალს, ასტროლოგიური ნიშნის მიხედვით საზღვრავდნენ, როგორც ზევით აღვნიშნეთ, X საუკუნის "მცხეთის დაუითნი"-ც. (ხელნაწერი A-38, რომელშიც შედის ასტროლოგიური კალენდრის შესადგენი სახელმძღვანელო). მცხეთაში გადაიწერა და ინახებოდა. ყოველივე ეს უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ რკალი თორმეტი ეტლით და მათი შესაბამისი თორმეტივე მოციქულით (რომლებზედაც ქვევით გვექნება საუბარი) XVII საუკუნეში იმიტომ მოხატეს, დანგრეული კედლის აღდგენის შემდეგ, რომ იგი ადრე მოხატული იყო სვეტიცხოველში, მისი აშენების შემდეგ. XI საუკუნის დასაწყისში, ეწინადეგის და უნებურების, საქართველოში პირველი კათალიკოს-პატრიარქის (1012-1030, 1039-1045) მელქისედეკ I-ის ლოცვა-კურთხევით (საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1977, გვ. 421)".[31]

"აქ მოკლედ, დასკვნის სახით, სვეტიცხოვლის ფრესკის ფრაგმენტი "ზოდიაქოს რკალის" შესახებ ორ მოსაზრებას წარმოგიდგენთ:

პირველი - მთლიანად ფრესკა "მკვდართა აღდგომა" და ხსენებული ფრაგმენტი "დიდება უფლისა" მორწმუნე ადამიანის სულში ღვთის შიშსა და სინანულს უნდა აღძრავდეს:

მეორე პრაქტიკული თვალსაზრისით ხსენებული ფრაგმენტი "ზოდიაქოს რგოლი" საქართველოში კარგად ცნობილი ხელნაწერის "მცხეთის დავითნში" მოცემული ზოდიაქური გამოთვლების ერთგვარ "თვალსაჩინოებას" წარმოადგენს".[12]

ზოდიაქოს რგოლის ფრესკა, თურმე, ერთადერთი როდია. გაირკვა რომ ქაშვეთის გუმბათის ყელის თორმეტ სარკმელზე 1817 წელსვე მოთავსებული ყოფილა ზოდიაქოს 12 ნიშანი, მაგრამ რუსმა გენერალმა ტორმასოვმა კირით შეათეთრა. საინტერესოა, ცნობილი ქართველი მეცნიერის, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატის, ბ-ნ ზაურ ქოქრაშვილის აზრი ზემოთ განხილულ თემაზე: "...საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის (1932-1952) მწიგნობრის და მკვლევრის კალისტრატე ცინცაძის წიგნი "ქაშვეთის წმიდის გიორგის ეკლესია ტფილისში", რომელიც სრულად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა 1930 წელს დაწერა. 23-ე გვერდზე წერია: "ქაშვეთის გუმბათის ყელის თორმეტ სარკმელ შუა (ზემოთ) მოგრძო სიმრგვალეებში, ანუ იმ თვის ზოდიაქოს ნიშანი, შემდეგ (ქვის) - თვის სახელი, ქვემოთ - მოციქულის სახელი, კიდევ ქვემოთ, თვით მოციქული და ხელ დაბლა, ფანჯრების გვერდებში... ე.წ. ანდრიას ჯვარი". კალისტრატეს თქმით, ყელის თორმეტივე მოციქული ზოდიაქოს ნიშნების მიხედვით შეერჩიათ. 1) ვერძი - მოციქული ფილიპე, ბიბლიური ქვა - იასპი; 2) კურო - თომა, ქვა - საფირონი; 3) მარჩბივი, ანუ ტყუპები - მათე - ქალკედონი; 4) კირჩხიბი - ბართლომე - ზურმუხტი; 5) ლომი - იაკობ ზებედესი - სარდონიქსი; 6) ქალწული - იოანე ღვთისმეტყველი - სარდიონი; 7) სასწორი - პეტრე - ქრიზოლითი; 8) ღრიანკალი - პავლე - ბერილი; 9) მშვილდოსანი - ანდრია - ტოპაზი; 10) თხის რქა - იაკობ, ძმა უფლისა - ქრიზოპრასი (ქალკედონის სახესხვაობა); 11) მერწყული - თადეოზი - იაკინთი; 12) თევზები - სიმონი - ამეთვისტო. თორმეტი ეტლის (ზოდიაქოს) ეს დალაგებული ფრესკა 1755 წელს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ანტონ I ლოცვა-კურთხევით მხატვარმა ნიკოლოზ აფხაზმა მოხატა. ზოდიაქოს შესაბამისი ეს ბიბლიური ქვები მოცემულია იოანე მოციქულის გამოცხადებაში (გვ. 519, თავი 21, 19-21)... ძველ აღთქმაში (გვ. 52). "გამოსვლის" (მოსეს მეორე წიგნი) 82-ე (თავი 28, 17-20) და 98-ე გვერდზე (თავი 39, 10-13) დასახელებულია პატიოსანი ფერადი ქვები, ანუ ბიბლიური ფერის ქვები, რომლებიც პირველ მღვდელმთავრის აარონის მკერდს მოსასხამზე. ამ ქვების განლაგება და თანმიმდევრობა აღწერა ბერძენმა ეპიფანე კვიპროსელმა V საუკუნეში. თორმეტივე ბიბლიური ქვის სრული აღწერილობა შემორჩენილია, აგრეთვე, შატბერდის კრებულში X საუკუნის ძეგლში. ...აარონის მოსასხამზე ოთხ რიგად იყო განლაგებული თორმეტი ბიბლიური ქვა, თითო რიგში - სამ-სამი. გარდა ამისა, აარონის 12 ბიბლიურ ქვაზე ამოტვიფრული იყო ებრაელთა 12 ტომის, იაკობის 12 ძის სახელი. ესეც სრულყოფილადაა მოცემული შატბერდის ხელნაწერში... ვერცერთ ქრისტიანულ ქვეყანაში ვერ ნახავთ წმიდა ხატებზე იმდენ პატიოსან ქვას, რამდენსაც საქართველოში. ჩვენმა წინაპრებმა შესანიშნავად იცოდნენ ასტროლოგიაც და ზოდიაქოს ეტლთა შესაბამისი ბიბლიური ქვების სამკურნალო თვისებებიც. დღეისათვის მსოფლიოში ცნობილი 200 საიუველირო ქვიდან, მხოლოდ 45 აქვს სამკურნალო თვისებები. ამათგან, 25 პატიოსან ფერად ქვას ხატებზე ვხვდებით. ამიტომ, ათონის ქართული ეკლესიის ფრესკაზეც არის გამოსახული ზოდიაქოს 12 ეტლი და 12 მოციქულის სახელი..."[31] (იხ. სურათი).



სვეტიცხოვლის ფრესკის ეტლების სქემა.

"უძველესი ცნობები ასტროლოგიის შესახებ ნახსენებია სინურ მრავალთავში (IX ს-ის ძეგლი). - ეს არის პირველი კალენდარული ეტლების ნამთნათვალი თავისი რიცხვებით. შემდეგია ფსალმუნის დამატება (გამოცემული მზექალა შანიძის რედაქტორობით 1960 წელს). ამ ფსალმუნის მეორე დანართში "ცნობისათ-



მეფე დავით IV - აღმაშენებელი.

ვის და ეწყებისათვის". 461 გვერდზე მთელი ჰოროსკოპია მოცემული.

აქ აღწერილია, თუ როგორ უნდა გამოიანგარიშოს ადამიანმა პლანეტების განლაგება. ეს ხელნაწერი X საუკუნით არის დათარიღებული. XI საუკუნის თამე დამახელის "წყარო ცოდნისა"-ში ხუცური დამწერლობითაა აღწერილი მთელი ზოდიაქოს ნუსხა და თორმეტივე ზოდიაქოს ფრესკა (იხ. სურათი). ფრესკის ცენტრში გამოსახულია მზე ადამიანის სახით.

როგორც უკვე ვთქვით, წმინდა მხედრები მშვენიერად ერკვეოდნენ სამყაროს აგებულების კანონზომიერებასა და მის ენერგეტიკაში. ამის კიდევ ერთი დამადასტურებელია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ძველი საუკეთესო ფონდის უნიკალური ხელნაწერი — მართლაც ქართული ფენომენი — 1188 წლით დათარიღებული ასტროლოგიური ტრაქტატი — "ეტლთა და შვიდთა მნათობთათვის" (ხელნაწერი A-65) (ეს ტექსტი დაიბეჭდა და ცალკე წიგნად გამოსცა აკადემიკოსმა აკაკი შანიძემ 1975 წელს). "ეს ტრაქტატი სამი ნაწილისაგან შედგება: პირველი — საეტლო (ეტლი ზოდიაქოს შესატყვისი ტერმინია ძველი ქართულით), რომელიც ძირითადი ნაწილია და მასში დეტალურადაა განხილული თორმეტივე ეტლის ქ ორთხელმაზი; მეორე — სამთვარიო, სადაც მოყვანილია მთვარის კალენდარი და მესამე — მნათობთათვის, სადაც მოცემულია შვიდი მნათობის (შემდეგი თანმიმდევრობით: ზუალის (სატურნი), მუშთარის (იუპიტერი), მარიხის (მარსი), მზის, მთვების (ვენერა), ოტარიდის (მერკური) და მთვარის ასტროლოგიური დახასიათება ცალკე ნიშნის მიხედვით. ტრაქტატი დასურათებულია თორმეტივე ეტლის იმ დროისათვის მეტად საინტერესო მინიატურებით და დაწერილია ძველი ქართული ანბანის, ნუსხურის (ნუსხა-ხუცურის) გრაფიკული გამოსახულებით[314] (იხ. სურათი).

აქვე გვინდა დავძინოთ, რომ აკადემიკოსმა ეგვენი ხარაძემ ხელნაწერთა ინსტიტუტში 340 ასტროლოგიურ-ასტრონომიული ხელნაწერი აღმოაჩინა, რომლებიც შესწავლასა და გაანალიზებას მოითხოვს. "ამ უნიკალური ზღვა მასალიდან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართულ ფენომენს 1188 წლით დათარიღებული ასტროლოგიური ტრაქტატი წარმოადგენს. აკადემიკოსი შალვა ამირანაშვილის (1966) და პროფესორ გაიანე ალიბეგაშვილის (1951, 1973) დასკვნით, ასტროლოგიური ტრაქტატი XII საუკუნის საერო ლიტერატურის ბრწყინვალე ნიმუშია, რომელსაც ბადალი არ მოეპოვება მთელს საქრისტიანოში, თვით ბიზანტიაშიც კი, რომლის კულტურა ანტიკური კულტურის პირდაპირ მემკვიდრეს წარმოადგენს, არ შექმნილა საერო ლიტერატურის მსგავსი ნიმუში, როგორიცაა "ეტლთა და შვიდთა მნათობთათვის".[315]

აკადემიკოსი პაველ ინგოროყვას (1930-1933) მონაცემებით, რომელიც V-VIII საუკუნის ხელნაწერებს ეყრდნობა, მტკიცდება, რომ ქართველები თავისი ქართული ასტროლოგიური კალენდრით, თვეთა ქართული დასახელებით, წარმართული ეპოქიდან მოყოლებული სარგებლობდნენ (დაახლოებით ძვ. წ-აღ. X საუკუნიდან, ჩვ. წ-აღ.-ის V-VIII საუკუნის ჩათვლით, როდესაც ოფიციალურად საქართველოში რომაული კალენდარი შე-



მეფე ვახტანგ VI - საქართველოს მამად წოდებული.



15

ვახტანგ VI-ის მიერ შედგენილი ჰოროსკოპი.

მოვიდა: თუმცა, ისტორიული წყაროებით, ქართველები თავიანთ ასტროლოგიურ კალენდარს იყენებდნენ 1921 წლამდე... მაგალითად: ქალწულის ("სასწო"-ს) ეტლი 23 აგვისტო 22 სექტემბერი, თთუე ახალწლისა", უძველესი დროიდან ქართველები ახალ წელს 23 აგვისტოდან იწყებდნენ"; სასწორის ("მეყლდე"-ს) ეტლი - 23 სექტემბერი 22 ოქტომბერი. "თთუე სთულისა", ანუ "თთუე ღვინობისა", თვე როდესაც კრეფდნენ ყურძენს და აყენებდნენ ღვინოს და ა.შ. აქედან, ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება: ქართული მართლმადიდებელი ეკლესია ხუთი საუკუნის განმავლობაში ასტროლოგიური კალენდრით სარგებლობდა. ქრისტიანობის მიღებიდან (IV საუკუნე) მის დამოუკიდებლობამდე 13 მთავარეპისკოპოსი (ძირითადად ბერძნები) - და ეკლესიის დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ - 40-მდე ქართველი კათალიკოს-მთავარეპისკოპოსი ასტროლოგიური კალენდრით წირავდნენ (საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1977 წ., გვ. 419-421)".[46]

ჩვენი დიდი **მეფე დავით IV-აღმაშენებელი** "...მეტად განსწავლული ყოფილა, ღვთისმეტყველებასთან ერთად, სხვა მეცნიერებები ჰქონია შეთვისებული, განსაკუთრებით - ასტროლოგია. მან 1106 წელს ააშენა გელათის მონასტერი ქუთაისთან, სადაც ობსერვატორია დაარსდა. მეფე დავით IV თავის თხზულებაში წერს - "ცთომილთა ვარსკლავთა (პლანეტათა) და უცთომელთა ეტლთა (ზოდიაქოთა) კრებასა და განყრასა, სხვა და ბედი შობის დღე ვიცით". ამის გამო, როგორც მემატიანე აღნიშნავს, მას მეორე პტოლემეს (II საუკუნის ცნობილი ბერძენი მეცნიერი) ეწოდებდნენ".[47]

"...უზადოთა საქართველოს მეფის, ქართველის მამად წოდებული, **ვახტანგ VI-ის** ღვაწლი ქართველი ერის წინაშე. მან და მისმა მეხვეურებმა, აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის აზრით, ენციკლოპედიური ცოდნის ხანა შექმნეს საქართველოში. მეფე, აგრეთვე, იყო მათემატიკოსი, ქიმიკოსი, მწერალი, პოეტი, მთარგმნელი, ასტრონომ-ასტროლოგი, სამართლისმცოდნე, პირველი სტამბის დამაარსებელი. მან XV საუკუნის ცნობილი მეცნიერის, ულუღბეგის (1344-1449) ნაშრომები თარგმნა. ეს უკანასკნელი თემურ-ლენგის შვილიშვილი იყო. სამარყანდში მან დაარსა იმ დროისათვის მსოფლიოში უდიდესი ობსერვატორია.

ვახტანგ VI-ის თარგმნილი ნაშრომებიდან აღსანიშნავია "ზიჯი" - "ვარსკლავთა კატალოგი" (ნუსხა შ-162); პრაქტიკული ასტროლოგიისათვის მეტად საინტერესო - "ქიდაიათ ალ-ნუჯუმი", ანუ "ვარსკლავების წიგნი" (ნუსხა H-457) და მრავალი სხვა მსგავსი ნაწარმოები... მეფე ვახტანგ VI-ე 1724 წელს წავიდა პეტერბურგში და აქტიურ სამეცნიერო მუშაობაში ჩაერთო. ამის დამამტკიცებელია ის ხელნაწერები, რომლებიც დაცულია პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა ფონდში. ქიმიის, მათემატიკის და სხვა მეცნიერულ ხელნაწერთა შორის, აღსანიშნავია, ასტროლოგიის და ასტროლაბის შესასწავლი მასალა... ამ ხელნაწერებიდან უნიკალურ ფაქტობრივ მასალას წარმოადგენს საქართველოს მართლმადიდებელი მეფის ვახტანგ VI-ის ხელით შედგენილი, მისი ვაჟიშვილის ბაქარის ჰოროსკოპის ხელნაწერის ფოტოასლი (იხ. სურათი), სადაც წერია: "ბაქარი დაბადებულა ქრისტეს აქეთ 1699 წელს". ხელნაწერში თანამედროვე მხედრული ასოები რიცხვების მაჩვენებელია (იხ. სურათი)...

ვახტანგ VI-ის შემოქმედების საუკეთესო ნიმუშია მისი შეკვეთით დამზადებული ქართული წარწერებიანი სტროლაბი, იგივე პლანისფერა (იხ. სურათი), რომელზეც კარგად ჩანს ვახტანგ VI-ის გრიფი. მისი მეშვეობით ირკვეოდა მნათობთა (პლანეტათა) და ეტლთა (ზოდიაქოთა) მდებარეობა, წარმოებდა ჰოროსკოპის გამოთვლები და გეოდეზიური ობიექტების კოორდინატების განსაზღვრა.

საქართველოს მეფის ვახტანგ VI-ის მიერ პეტერბურგში ჩატარებული სამეცნიერო მუშაობა ასტროლოგიის დარგში და მისი დატოვებული ფაქტობრივი მასალა ხელნაწერე-

ბის სახით საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ დიდ რუსეთში ასტროლოგიური აზროვნება მეფე ვახტანგმა შეიტანა... ვახტანგ VI-ის "სამართლის წიგნის კრებულის 349 მუხლში (გვერდი 210). წერია: "რამეთუ თითო წიგნი არიან სასწავლნი კეთილოვის: პირველი არს რიცხვთა; მეორე - მუსიკა, რომელ არს საგალობელთ; მესამე - ქვეყნის აღრიცხვა და მეოთხე - ვარსკვლავთმრიცხველობა (ანუ ასტროლოგია)"...[38]



ვახტანგ VI-ის შეკვეთით დამზადებული სტროლაბი.

"...ქართველი ერის გამოჩენილი მოღვაწის, საზოგადო მოღვაწე, ლექსიკოგრაფი, სულხან-საბა ორბელიანი (1658-1725) თავისი სახელოვანი თხზულების - "სწავლანის" ერთ-ერთ ქადაგებაში "სწავლა წმიდათა მოციქულთა დღესასწაულისა", ახსენებს რა ქრისტიანული, მართლმადიდებელი ეკლესიის ტრადიციით მიღებულ თორმეტი მოწაფე-მოციქულის კავშირს თორმეტ ეტლთან (ამ მოციქულების თანავარსკვლავედებთან, ანუ ეტლებთან გადაბმების საშუალებით), რაც სახარებაშიც არის დამოწმებული (იოან. 21.2), დასძენს, რომ ეს ის თანავარსკვლავედები, ანუ ეტლებია (ზოდიაქოები), რომელთაგანაც - "ქვეყანასა მიეცემის წყალობა, მშვიდობა, სიმართლე და ნაყოფიერება თორმეტ მოციქულთან ერთად" (საქართველოს საეკლესიო კალენდარი, 1981, გვ. 99-100).

სახარებაში დამოწმებულ მოციქულ თომას ზეწოდება - "თომა, ტყუპისცალად (მარჩბივად) წოდებული..." (იოან. 21.2), იმაზე მიგვითითებს, რომ მაცხოვრის თავისი 12 მოწაფე-მოციქული ეტლთა (ზოდიაქოთა) ნიშნის მიხედვით ჰყავდა შერჩეული..."[39]

"შვიდნი მნათობნი კაცის ასაკსაც განაგებენ და თითოეული ასაკი თითოეულ მნათობს მიეკუთვნება. ეს წარმოდგენა გამოქანდაკებულიც არის ქუტაისის ლოდათა სასახლის სვეტის თავზე (სასახლე აგებულია 1341-1347 წ.). მთვარე იცავს ბავშვს ოთხ წლამდე; მერკურიუსი - ათი წლით; ვენერა - შვიდი წლით; მზე - 19 წლის განმავლობაში; ოცდაცხრა წლიდან მარსი იცავს კაცს 15 წლის განმავლობაში; იუპიტერი განაგებს შემდეგი 12 წლის განმავლობაში და სატურნს მიჰყავს მოხუცი სიკვდილისაკენ და ეს არის ყველაზე ცნელი ვარსკვლავი, რომელიც სიკვდილს პატრონობს".[40]

შუა საუკუნეების მიმდევარნი დიდ ყურადღებას აქცევდნენ კვებას. მათ იცოდნენ, რომ ჭარბი კვება მავნე იყო ჯანმრთელობისათვის; ასევე, ანგარიშს უწევდნენ იმასაც, რომ თუ ადამიანი მიხთვის აუცილებელ რაოდენობაზე მეტს ჭამდა, იგი ეჩვეოდა იმის აღებას, რაც სხვისთვის იყო განკუთვნილი; გარდა ამისა, თუ საზოგადოების წევრთა უმრავლესობა ასე მოიქცეოდა - ერთი შეჭამდა ჭარბად, სხვები კი არასაკმარისად - ეს სამყაროში წონასწორობის დარღვევას გამოიწვევდა. მათი აზრით, ყველა გაუბედურების, ყველა შეხლა-შემოხლის, დაპირისპირების საფუძველია ჟინი, გაუმაძღრობა, სიხარბე. ზომიერების არქონა. წმინდა მხედრების აზრით, გადაჭარბებული ქონების, მეტის შეძენისაკენ მოთხოვნილება ადამიანებს სხვების დამონებისაკენ უბიძგებს. ამიტომაც, ისინი თავიდანვე თოკავდნენ. ზღუდავდნენ თავიანთ მიწიერ სურვილებს, ათანაზომიერებდნენ მათ. ბერებმა იცოდნენ, რომ სიხარბე ადამიანის ყველა უბედურების წყარო შეიძლება იქცეს და ამიტომაც, ისინი ყოველდღიური საკვების მიღებისას ითვალისწინებდნენ ამ ჭეშმარიტებას.

ჭეშმარიტებას ზიარებულების ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო შეგირდების აღზრდა. მათ ისე უნდა აღეზარდათ შეგირდი, რომ მას ყოველდღიურ ცხოვრებაში თითოეული ქმედება აეწონა. შეგირდი ასუფთავებდა თავის ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, ემოციურ და გონებრივ სხეულებს და მუშაობდა სულიერ განვითარებაზე. მხოლოდ ამის შემდეგ გამოვლინდებოდა მასში წმინდა სული - იგი ძალიან ძლიერი, აქტიური და გამჭრიახი ხდებოდა...

# წმინდა მხედრების ისტორია

*„ესა, მეომარნო ქრისტესანო! თუ ღვთის სჯულის დასაცავად წესიერად ვიბრძვით, არამც თუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკებსაც ადვილად დავამარცხებთ: და ერთ რამეს გირჩევთ, რაც ჩვენი პატიოსნებისათვის და სარგებლობისათვის კარგი იქნება: ესაა, რომ ჩვენ ყველამ ხელთა ცისადმი აპყრობით, ძლიერ ღმერთს აღთქმა მივცეთ, რომ მისი სიყვარულისათვის ამ ბრძოლის ველზე უმალ მოვკვდებით, ვიდრე გავიქცევით..."*

*(დავით მეფის სიტყვა დიდგორის ომის წინ).*

ისტორიული თუ ლიტერატურული გმირების დახასიათებისას ჩვენ ვრწმუნდებით, რომ ისინი ფლობდნენ შიდა საბრძოლო ენერგოსხეულოვნებებს და მუდამ ქრისტიანობისა და სამშობლოს დამცველთა წინა რიგებში დგებოდნენ.



ყოფილი მხედართმთავარი თორნიკე: აწ კი წმინდა მხედარი _ იოანე ბერი ბარდა სკლიაროსის ჯართან ბრძოლის წინ. ნახატი ს. ცინცაძისა.

გავიხსენოთ, ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე თორნიკე ერისთავი, რომელიც სახელგანთქმული სარდალი იყო მეფე დავით III კურაპალატის დროს. იგი ხანდაზმულობისას ბერად შედგა ათონის ივერთა მონასტერში და ამ მონასტრის ერთერთი მშენებელიც იყო.

აქვე მოღვაწეობდა გაბრიელ სალოსიც.

ათონის ეკლესიაში ხშირად სამღვდლოდა ბერი ლეონ პრომი, რომელიც ძალიან დაეახლოვდა გაბრიელ ბერს. არც ერთმა მათგანმა არ იცოდა დედა ენის გარდა სხვა ენა, არადა, მაინც ახერხებდნენ ერთად ლოცვას და საუბარს.

„და იტყოდნენ მამანი ჩვენნი ვითარმედ - გარემოის მათსა იყვნეს სხვანიერნი ძმანი და ფიცით დაგვარწმუნეს, ვითარმედ: „ოლესცა მოყვრის დიდი ლეონ, მარადის ესრეთ ჰყოფენ იგი და გაბრიელ მღვდელი". და წამებდეს, ვითარმედ - მათისა სიწმინდისაგან ყოველივე შესაძლებელ იყო და სარწმუნო, რამეთუ დიდ იყვნეს იგინი წინაშე ღმრთისა და სრულ".[21]

წმინდა მხედრების შიდა ენერგეტიკულ შესაძლებლობაზე მიგვანიშნებს დიდი ილიას პოემა „განდეგილი", რომელიც მოგვითხრობს ერთ-ერთი მთის მწვერვალზე გამოქვაბულში დაყუდებული განდეგილი წმინდა ბერის შესახებ.

აქვე უნდა გავიხსენოთ ის ლეგენდა, რომლის თანახმადაც, მცხეთის ჯვრის მონასტერში განდეგილ ბერსაც ღვთისადმი უბადლო მსახურებისათვის ღვთიური საოცრება დაემსახურებია: - ერთ დილას მას დაუნახავს, რომ ჯვრის მონასტრისა და სვეტიცხოვლის ტაძრის გუმბათები საოცარი, მოელვარე ჯაჭვით იყო შეერთებული. იგი ყოველ დილას ლოცვანით ხელში დაიარებოდა ამ ჯაჭვზე - ჯვრის მონასტრიდან სვეტიცხოველში და უკან, როგორც ჰაერში მოლივლივე ღრუბელი...



წმინდა იოანე მთაწმინდელი (თორნიკე ერისთავი).

წმინდა მხედრების გვერდით, მინდა, გაიხსენო ხევისბერები, რომელთაც ორმაგი მისია გააჩნდათ კავკასიონის მთებში. მათ ებარათ ერის, როგორც სულიერი განწმენდა და საკულტო რიტუალების სრულება, ასევე საკუთარი კუთხისა და სამშობლოს დაცვა მტრების შემოსევის დროს. თითოეული ხევისბერი იყო მორალურად წმინდა პიროვნება და სულიერად ძლიერი, უშიშარი, უძლეველი და ხელგაწაფული მებრძოლი.

გაიხსენით, აგრეთვე, ხევის თანამედროვე ბერი გაბრიელის სახელთან დაკავშირებული (გარდაიცვალა 1995 წელს) სასწაულები. "...მცხეთის სამთავროს დედათა მონასტერში ჩრდილოეთით, გალავანთან, ერთი სადა საფლავია, რომელზეც ჩაუქრობლად ციმციმებს კანდელი. ეს გაბრიელ ბერის ძვალთშესალაგია. ამ კანდელიდან ამოღებულ ზეთს სასწაულებრივი ბუნების ძალა აქვს. საიდან აღარ ჩამოდიან მორწმუნეები ამ ზეთის წასაღებად... ამ საფლავს სხვა სასწაულებიც უკავშირდება. საფლავზე ზიზილები და იასამყურები ხარობენ. ზიზილა ძალიან წააგავს გვირილას, ოღონდ ღერო დაბალია. იგი მხოლოდ გაზაფხულობით ჰყვავის. გაბრიელ ბერის საფლავზე კი, აგერ უკვე 4 წელიწადია, ზამთარ-ზაფხულ ყვავის ზიზილები... კიდევ ერთ უცნაურ ამბავს იხსენებს დედა პარასკევა: "მამა გაბრიელის გარდაცვალების შემდეგ სამი წელი იყო გასული. მის საფლავზე მივიდა ერთი მორწმუნე ქალი, ჩამოჯდა, სანთელი აანთო, იქვე, საფლავის მიწაში ჩაარჭო... და დაიწყო მამა გაბრიელს თავისი ამბის მოყოლა... მოულოდნელად სანთელმა მოძრაობა დაიწყო – ირხეოდა, ეცემოდა, შემდეგ ისევ აღიმართებოდა და შესაბამისად მოთხრობისა: თითქოს მამა გაბრიელი მანიშნებდა, როდის იყო იგი დაცემული, როდის მტკიცე. ჩემი თვალით ვხედავდი ყოველივე ამას და ცოტა არ იყოს, მიკვირდა, რადგან 8 წელია, მონასტერში ვარ, 3 წელი მამა გაბრიელის მორჩილი ვიყავი სენაკში და არასდროს მსგავსი რამ ჩემს დანთებულ სანთელს არ მოსვლია, ეჭვიც შემეპარა, ნეტავ რა ამოძრავებდა იმ სანთელს-მეთქი. მეორე დღეს ჩვეულებისამებრ დავანთე სანთელი საფლავზე და მოხდა საოცრება – ამ სანთელმაც დაიწყო მოძრაობა – ძალიან შევშინდი და ვთქვი, – არ მინდა, მამა გაბრიელ, სასწაულები მეთქი. ამის თქმა იყო და სანთელმაც შეწყვიტა მოძრაობა"... აქ, აუცილებელია, ერთი ფაქტის აღნიშვნაც, რომელსაც უკომენტაროდ გთავაზობთ: "მამა გაბრიელს ვენიდან სისხლი ჩემი ხელით ავუღე, რაიმე კონსერვანტი არ დაგვიმატებია. სინჯარა, რომელშიც სისხლი მოვათავსეთ, განსაკუთრებული სტერილობის ან დაბალი ტემპერატურის პირობებში არ ინახებოდა. ინტერესს იწვევს ის ფაქტი, რომ 4 წლის განმავლობაში ჩვეულებრივ ტემპერატურაზე, სისხლი არც შედედდა, არც გაიხრწნა, არც ჰემოლიზი განიცადა. სისხლის ანალიზი, რომელიც სხვადასხვა ლაბორატორიაში გაკეთდა, ადასტურებს ზემოაღნიშნულს..."[322] ასევე საინტერესოა მის სიცოცხლეშივე მომხდარი სასწაულებიც: "ერთხელ ბეთანიაში ასულა გაბრიელ ბერი თავისი მოძღვრის საფლავზე. ხედავს, ერთი მორჩილი ზის დამწუხრებული. ბერს მიზეზი უკითხავს. – რამდენიმე ოჯახი ფუტკარი გვყავდა, იმითი ვსულდგმულობდით, ერთბაშად აიყარნენ და ტყეში გადავიდნენო, – უპასუხია მორჩილს. – მერე შენ ხომ გწამს, მამა გიორგის (გაბრიელ ბერის მოძღვარი) მადლი



ორი წმინდა ბერი.
ნახატი ლ. ცუცქირიძისა.

რომ არ განშორებოდა ამ მონასტერსო. დაემშვიდობა გაბრიელ ბერს, ტაძრისათ-ვის ჯვარი გადაესახა და ამ წუთში ღრუბელივით წამოსულა ეს ფაფარი ტალღას და თავის ხელში დაბინავებ-და"... კიდევ ერთი სასწაული მომხდარა შიომღვიმეში: "შიომღვიმის მონასტერ-ში საცა ლოცვა უნდა დამთავრებუ-ლიყო. ტაძარში შესასვლელი კარები კი ჩაკეტილია. წვალობდნენ, გასაღებს არ-ჩევდნენ, მაგრამ არაფერი გამოსდიოდათ. ამ დროს გაბრიელ ბერი მიუახლოვდა თურმე კარებს, ჯვარი გადასახა და ხელი ჰკრა. კარი თავისუფლად გაიღო. ეს ფაქ-ტი ეპისკოპოსის იოსების (ქიქოძე) უამბნია ბატონ თამარ ნიკოლაიშვილისათვის" [23]



ხევისბერი და მედროშე.
ნახატი ნ. ბრაილაშვილისა.

ასე რომ, წმინდა მხედართა შიდა საბ-რძოლო სტილი იყო ადამიანის ტანის, ხე-ლისა და გონების ჰარმონიული წონას-წორობის ხელოვნება. არ შეიძლება არ დააფასოს და პატივი არ მიაგოს შთამომავლობამ წმინდა მხედართა მიერ საიდუმლოებულ ამ ცოდნის სისტემას.

...ქრისტიანულ თუ ძველ დღესასწაულებზე, წირვის შემდეგ, იმართებოდა ჯირითობები, ფალავნობა შერკინებები, მუშტი-კრივები. ასეთი ხევსურები თავად "მებრძოლი" (მოწყური) ეკლესიის არსიდან მომდინარეობს, რადგან ქვეყნის, ხალხის დაცვა ქრისტიანული სიყვა-რულით, ანუ ღვთისა და მოყვასის სიყვარულისათვის თავგანწირვის უმაღლესი ფორმაა "მეომარი რაც უფრო ნაკლებს ფიქრობს საკუთარ თავზე და მეტს მოძმისათვის თავის გაწირვაზე, მით ახლოსაა წამებულის გვირგვინთან."[24] "ვინც თავისი სიცოცხლე შესწირა მამულს, სისხლი დაღვარა ძმათა და ნათესავთათვის, იგი შერაცხება მოწამეთა თანა... წმ. ეკლესია მათთვის ლოცულობს ყოველთვის (წმ. ეპისკოპოსი გაბრიელი). ამიტომაც, წმ. მართლმადიდებელი ეკლესია არ უშლიდა ისეთ "მეომრულ" თამაშობებს, რომლებიც ხალ-ხში სარწმუნოებასა და მოყვასის დაცვის განწყობას აძლიერებდა და ფიზიკური წვრთნის საშუალებასაც იძლეოდა! ხოლო საბრძოლო სამსახური კი ღვთის მსახურების ფორმად მიიჩნეოდა. ძველად, თბილისური "ყეენობის" (ის. VI კარის III თავი) კულმინაცია იყო გრანდიოზული "ხარდახტის" (ხის ხმალი) კრივები, რომელთაც ხალხი "ტყუილ ომებს" უწოდებდა და საბრძოლო წვრთნის საუკეთესო საშუალებად მიიჩნევდა. ნიშანდობლივია, რომ "ყეენობის" დადგომას (დიდმარხვის დღე) ძველად ხალხი მეფეს ულოცავდა და "მტერზე გამარჯვებას" უსურვებდა. ამ სანახაობის ლეიტმოტივიც მაჰმადიანურ აგრესი-ასთან ბრძოლა იყო. მეომართა და საერთო საბრძოლო საქმის მფარველად კი ხალხი წმ. მთავარმოწამე გიორგის აღიარებდა, რომლის ეპითეტებია: "მლევამოსილი", "წინამბრძო-ლი". ხალხური ტრადიციით, წმ. გიორგი იყო პირველი (ანუ საუკეთესო) მებრძოლი, მოჯი-რითე, გმირი, რომელიც თავის საყმოს – ქართველთა ჯარს – ცხენზე ამხედრებული ყოვე-ლთვის წინ მიუძღოდა და ამარჯვებინებდა. აქვე გავიხსენოთ, რომ წმ. გიორგი ითვლება, საერთოდ, ქართველი ერის მფარველად – "ქვეყნის მოქმედად". [25]

გავიხსენოთ ჩვენი სახიქადულო ქართველი ფილოსოფოსის მერაბ მამარდაშვილის სიტყვები, რომელიც ეხება ჩვენს ძველ ისტორიას და მისი ტრადიციების აღდგენის საკით-ხებს:

"მაგრამ როგორ იქმნება ტრადიცია? ჩვენ ვქმნით? ეს შეუძლებელია. მაგრამ იგი საიდან არის, როცა არის? ხომ აქსიომაა, რომ მონდომებით არ შეიძლება შექმნა, დაიწყო ტრადიცია, აზროვნება, ისტორია და ა.შ.? არ ვიცით და ეს არცოდნა არის უდიდესი მისტერია ჩვენი ისტორიის, ჩვენი სამყაროსი და სიცოცხლისა. ამ მისტერიის ინტუიცია – არა ახსნა, არამედ ინტუიცია და პატივისცემა აბსოლუტურად საჭიროა ჩვენი საღი აზროვნებისათვის, საღი სოციალური ცხოვრებისათვის, საღი ზნეობისათვის და ა.შ. ამი-ტომ, თუ არ გვესმის, რაც ჩვენს გარშემო ხდება, ყველაფრის მიღმა ვეძებთ რაღაც პერსონიფიცირებულ მტერს, რასაც გარკვეული განზრახვა აქვს ჩვენს მიმართ. ეს უკვე

დაავადებაა. ისტორია და საზოგადოება ასე არ არის აგებული. თუ ამას გავყევით, ჩვენ მართლა ფსიქოპატები და პარანოიკები გავხდებით. რა არის პარანოია? ეს არის რწმენა, რომ ყველაფერი, რაც სამყაროში და ჩემს გარშემო ხდება, ჩემსკენაა მიმართული, ყველაფერს ეძლევა მნიშვნელობა ჩემთან მიმართებაში... ამ აზროვნების თანახმად, საქართველო სამყაროს ჭიპია და სამყაროში არაფერი შეიძლება ხდებოდეს ისე, თუ მასში ნაგულისხმევი არ იქნა საქართველოზე ფიქრი ან მისდამი კეთილი თუ ბოროტი განზრახვა... ადამიანს შეუძლია გამოითიშოს საკუთარ თავში ასეთი გრძნობები, რეაქციები, ხედვა, აღქმა და მათთან დაკავშირებული აქტები გამოითიშოს და სხვანაირად იცხოვროს მხოლოდ ამ შემთხვევაში, თუ შეძლებს განყენებულ ხედვას, ხოლო ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოვლენილი განყენებული ხედვა სხვა არაფერია, თუ არა ნიშანი განვითარებული რელიგიური ცხოვრებისა... არა ბარბაროსული, ფეტიშისტური რელიგიური ცნობიერება, არამედ, ადამიანის კულტურა, ცნობიერების კულტურა, რომელიც გამოიმუშავებს ფსიქოლოგიურ გრძნობებს. საკითხავია: დგას ჩვენს უკან ისეთი ტრადიცია, რომ დღეს გვქონდეს რელიგიური კულტურა, აზროვნების კულტურა, ზნეობის კულტურა და ა.შ.?" (გვ. 169). "...განყენებული აზროვნება რაღაცას გვაუწყებს, რაღაც ისეთს, რაც მოქმედებს ჩვენს ცხოვრებაში, მაგრამ რისი დანახვა და განცდა არ შეგვიძლია, ვიდრე მის განზომილებაში არ გადავალთ: ჩვენს ისტორიაში მოქმედებს ნაწილი, ელემენტი იმისა, რაც ჩვენს ადამიანურ შესაძლებლობებს აღემატება. ცხადია, რაც ხდება, ჩვენი მონაწილეობით ხდება, მაგრამ მასში ჩართულია ელემენტი, რომლის შესრულება ჩვენი საკუთარი ძალით, ადამიანური საშუალებებით არ შეგვიძლია. ეს ნიშნავს, რომ ჩვენი ისტორიის მონაწილე არის კიდევ რაღაც არაადამიანური ძალა (ოღონდ არა "ანტიადამიანურის", არამედ "ზეადამიანურის" აზრით). როცა ვლაპარაკობთ მისტერიულ აქტებზე, ჯერ უნდა გავარკვიოთ რა არის ადამიანური? ადამიანურია მინდოდეს დავიწყო აზროვნება. ეს ინტენცია, როგორც ფილოსოფოსები ამბობენ, არის ადამიანური, ფსიქოლოგიური. მე ფსიქოლოგიურად შემიძლია მოვინდომო აზრი, შემიძლია მოვინდომო ისტორია, შემიძლია მოვინდომო ტრადიცია. შემიძლია ვაკეთო რაღაცა, რომ იყოს, დაიწყოს ისტორია, ტრადიცია, სიკეთე, ზნეობა... ეს "უკვე უნდა" არის რაღაც ძალა, რომელიც ზეადამიანურია... ისტორია არის რაღაც ხდომილებათა ჯამი, რომელთა შესახებ ვიცით, რომ ისინი ობიექტურად მოხდნენ. ჩვენ გვინდა მათი გაგება. შესაძლებელია, ვეცადოთ ამას ადამიანური მოქმედებების გაგებით, ე.ი. რაღაც ხდომილების უკან ვეცადოთ, აღვადგინოთ მასში დაშიფრული ადამიანური მრავალი წადილი, განზრახვა და ჩავთვალოთ, რომ ამით გავიგეთ ეს ხდომილება. ამ შემთხვევაში ისტორია წარმოგვიდგება როგორც ადამიანური ძალების მოქმედების შედეგი (ჩემი წადილი, ინტენცია ხომ ძალაა, რომლის მოქმედებით რაღაც ხდება). აი, ასეთი ისტორია აბსოლუტურად გაუგებარი იქნებოდა. ისტორიაში მონაწილეობს რაღაც, რაც ხდება თავისთავად და არა იმიტომ, რომ მის უკან ადამიანის განზრახვა და ფსიქოლოგიაა... არსებობს საზოგადოებრივი ისტორია, რაღაც გარკვეული ობიექტი, რომელსაც ჰქვია "საზოგადოება", და რომელიც განიცდის ისტორიას; ხოლო მის გვერდით არსებობს ინდივიდი. სინამდვილეში, ისტორიოსოფიული ან სოციოლოგიური აბსტრაქციები ისეა აგებული, რომ ის, რასაც ჰქვია "საზოგადოება" და "ისტორია", და ის პროცესი, რაც საზოგადოებას ემართება, სხვა არაფერია, თუ არა ინტეგრალი ინდივიდებისა. საზოგადოებისა და ისტორიის კანონები ინდივიდუალური ფსიქოლოგიური კანონებია. საზოგადოება არის პიროვნების, ინდივიდის დონეზე არსებული კანონების გაძლიერება, აპლიკაცია, გავრცელება. ე.ი. თუ გვინდა, გავიგოთ საზოგადოება, უნდა გავიგოთ ინდივიდი და შეგვეძლოს ამ დიფერენციალების (განცალკევების) ინტეგრაცია (შეერთება)... (გვ. 170-171)... განვაგრძოთ მცდელობა, გავწმინდოთ ჩვენი ცნობიერება და აზროვნება სტერეოტიპებისაგან, და-



მდუმარე ბერები.

აუალებებისაგან, დამაკნინებელი მხარეებისაგან: დავინახოთ რეალობა და ამ რეალობის მთავარი - ისტორიული ელემენტები, რომელიც, ჩვენგან დამოუკიდებლად, არის ნადები ჩვენში, ჩვენს ქვეყანაში: დავინახოთ ქართული ისტორიის ხატი და მოწოდება, რომელიც ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ: - ან შევასრულოთ და ვიყოთ მის სიმაღლეზე, ან არ შევასრულოთ და არ ვიყოთ მის სიმაღლეზე. თუ ერი არის ერთობა ადამიანების გარკვეული რიცხვისა, ისტორიული ბედისწერის წინაშე და არ განისაზღვრება, არ განიმარტება ეთნიკურად, მაშინ ჩვენ ვეკუთვნით ერს, თუ ვაგრძელებთ და ვასრულებთ ამ მოწოდებას... შეუძლებელია, მოისმინო და დაიწყო აზროვნება. შეუძლებელია, მოისმინო და დაიწყო ტრადიცია, თუ უკვე თავად არ ხარ აზროვნებაში და არ ხარ ტრადიციაში... თუ 70 წლის განმავლობაში გადახვეწილნი ვიყავით სადღაც, ისტორიის დროის მიღმა, ხოლო ყველაფერი, რაც კანონზომიერია ყოფიერებაში, შეუქცევადია, მაშინ შევძლებთ თუ არა, ისევ აღვადგინოთ ისტორიის, ტრადიციის, ჩვენი ისტორიული დანიშნულებისა და მოწოდების ძაფი. ერთი ცხადია: საკუთარი ძალებით ამას ვერ შევძლებთ. ისტორიასა და ტრადიციაში წყვეტა არ უნდა დაგვეშვა. მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ რაღაც წერტილსა და მომენტში მხოლოდ მისტერიის მეშვეობით, თუ ზეადამიანური ძალის აქტით მოხდეს ჩვენი ხელახალი ხსნა ისტორიასა და ტრადიციაში... თუ ასეთი მაღალი ინტერესის ნაპერწკალი არ არსებობს, მაშინ, რაკი ადამიანი ბუნებით ზარმაცია, შეუძლებელი ხდება შრომა, ძალისხმევა, კონცენტრაცია...".[26]

მგონია, დადგა დრო და ფართო ასპარეზი იმისათვის, რათა გმირებმა ამხილონ თავი. სწორედ ახლა თითოეულმა ქართველმა უნდა სცადოს თავისი წვლილის შეტანა, რათა აღვადგინოთ ჩვენი ისტორიისა და ტრადიციის გაწყვეტილი ძაფი; რათა ვიპოვოთ დაკარგული იდეალები და კვლავ მოვიპოვოთ ჩვენი ადგილი მსოფლიო ისტორიაში.

# ბოლოსიტყვაობა

*"თუ გიყვარდათ, გახსოვდეთ, რომ ახილი ხარ, ახია - კილთაა დუღანიყენის. თავმიმწონე ალიარე ეს და ეცადე, ახალ მცნებებზე მოაწყო ცხოვრება.*
*გააქმე თქვენთ იგი მცნებები, ურიგები შეასხით მათ, ახალი ძალა მიიბეჯრეთ მათ. მაგრამ უარნ ... ნუ ამოაგდებთ ფეხვიანად ჩვენს სულის ეცხოვრო ნერვებისათვის. ეცადეთ დაიცვათ და გაავრცელოთ ჩვენი მცნებები, დიდი შრომით და გამოცდილებით, დიდი მოაზრებით დახვეწილი ჭეშმარიტებანი!"*

*ვახილ ბარიძე.*

ბრძენს უთქვამს: "კაცი, რაცამს საქმეს განახორციელებს სამარადჟამოდ უნდა გაუძღვეს" ია, განრჩევა ... ნაშრომის ბოლო თავიც და საბას ბოლო წერილი ... მკითხველს მივმართოთ:



სოფელ დოესის (კასპის რაიონი) წმ. სამების სახელობის ეკლესია.

ვთხოვთ, ღრმად სწვდეთ ქართველებისათვის მეტად მნიშვნელოვან და საარსებო სიტყვათა არსს: "ენა, მამული და სარწმუნოება"

ჩვენი **სარწმუნოება** და **ქართველობა** მრავალი საუკუნის მანძილზე სინონიმური ცნებები იყო, არის და სასურველია, რომ მომავალშიც ასე იყოს!

ჩვენს სარწმუნოებასთანაა შესისხლხორცებული ჩვენი ეროვნება და იგი ერის არსებობის მთავარ ძარღვს წარმოადგენს.

მეოთხე საუკუნიდან დაწყებული, ქართველთა ეროვნული განვითარება, კულტურა და დანიშნულება სარწმუნოებაზეა დაფუძნებული და მასშია განსაზღვრული. იგია ჩვენი, ქართველობის, მთავარი სულიერი ძალაც და არსებობის აუცილებელი პირობაც. თურქეთში იძულებით გამაჰმადიანებული ქართველი კითხვაზე "ვინა ხარ?" დაუფიქრებლად

მოგვცემს „ქართველი ვართ"! აქ გათათრებული ქართველები ახლაც მოწიწებით და სასოებით ეპყრობიან ძველ ქართულ ეკლესიებს. მშვენივრად ყოფილა ნათქვამი წინაპართა: „საქართველო იყო და არის ქართველი კაცის ერთადერთი მამული და ღვთისმოვლინებული, ქვეყანაზე მისი მაცოცხლებელი. ქართველმა თუ თავისი ეკლესია დაკარგა, თვითონაც ქვეყნის ქარს და ნიავს გაჰყვება. ხატი, ჯვარი და სახარება საძირკველია ქართველი ხალხის ცხოვრებისა".

უკანასკნელ ხანს ჩვენი ახალგაზრდა თაობა ზედმეტად გატაცებულია სხვათა ქვეყნების კულტურითა და ტრადიციათა თვისებებში. მე ამაში დიდ სიკეთეს და საშიშროებას ვხედავ. რა თქმა უნდა, მსოფლიო კულტურის საგანძურს კარგადაც უნდა იცნობდე და გესმოდეს, მაგრამ იგი საკუთარი ნებით თავს არ უნდა მოიხვიო და ძვალსა და რბილში არ უნდა შეიწოვო - ეს ძალზე სახიფათოა.

რაში გვჭირდება სხვების კულტურისა და ტრადიციების მიმბაძველობა? იგი ხომ გვაცილებს და გვაშორებს საკუთარ ფესვებს? როცა ჩვენ სხვისას ვითვისებთ, ვბაძავთ, ჩვენ არაფერს არ ვქმნით. უმჯობესია, როცა ვინახავთ და ვავითარებთ საკუთარ კულტურას. სწორედ ესაა შემოქმედება.

ჩემი აზრით, მსოფლიოში მხოლოდ ზედაპირულად არ უნდა იცნობდეს ერის საგანძურს, არამედ უნდა გაითავისოს კულტურა, რომლის განუყოფელი ნაწილია ქართული საეკლესიო ხელოვნება, ფოლკლორი, რელიგიური სიწმინდეები, ადათ-წესები, ტრადიციები ყოველივე ის, რაც ცოცხალ ხელოვნებად აქცევს, ერთიან ადამიანს კი - რაინდად.

უაღრესად მნიშვნელოვანია ერის კულტურულ საგანძურთან თანხმობასა და ჰარმონიაში ყოფნა. მხოლოდ ამ შემთხვევაში იბადება უკვდავება.

ძალიან მინდა, რომ ჩვენმა ახალგაზრდობამ გაითავისოს შემოქმედებითი ცხოვრების სიდიადე. შეიცნოს ის, რაც წინაპრებისაგან მიიღო, განავითაროს და განავრცოს იგი. სულიერი სრულყოფის შეცნობის გზაზე უნდა გაიხსენოს, რომ:

სიცოცხლე ძღვენია: მადლიერებით მიიღე იგი!

სიცოცხლე თამაშია: ითამაშე!

სიცოცხლე გამოცანაა: გამოიცანი იგი!

სიცოცხლე - თავგადასავალია: ნუ დაიმალები საბნის ქვეშ!

სიცოცხლე სილამაზეა: დატკბი და ეთაყვანე მას!

სიცოცხლე ტკივილია: დასძლიე იგი!

- სიცოცხლე - სიმღერაა: ბოლომდე იმღერე იგი!

სიცოცხლე - ტრაგედიაა: ღმერთის გამოცდად ჩათვალე იგი!

სიცოცხლე გამოწვევაა: ღირსეულად მიიღე იგი!

სიცოცხლე - მარჯვე შემთხვევაა: ხელიდან ნუ გაუშვებ მას!

სიცოცხლე მოგზაურობაა: ეცადე ბოლომდე მიხვიდე!

სიცოცხლე აღთქმაა: შეასრულე იგი!

სიცოცხლე - ვალია: მოიხადე იგი!

სიცოცხლე - საიდუმლოა: გახსენი იგი!

- სიცოცხლე - ბრძოლაა: გამარჯვებით იარე!

სიცოცხლე - სიყვარულია: გიყვარდეს!

- სიცოცხლე ჭეშმარიტებაა: შეიცან იგი!

სიცოცხლე - მიზანია: იცოცხლე!

გთხოვთ, მისდიეთ ქართულ საბრძოლო ხელოვნებას, იპოვეთ მოძღვარ-მასწავლებელი, აითვისეთ და საბრძოლო აღზრდა საკუთარი ცხოვრების წესად გადააქციეთ.

შეიძლება, ქართული საბრძოლო ხელოვნების სისტემები მარტომ შეისწავლოთ, მაგრამ მათ გასაგებად ნამდვილი მოძღვარ-მასწავლებელი გესაჭიროებათ.

მახვილი და ოსტატობა არაფერია, მთავარია სულიერი მდგომარეობა. ნამდვილი ძალა (უძლეველობა) ძალის გარეშე მოდის.

ვერ გაიზრდები მოძღვრის (დამრიგებლის) გარეშე; საკუთარი თავის ფლობის გარეშე, ცოდნა არ არსებობს. უარყავ ხელის შემშლელი ფაქტორები და შეიცნობ საკუთარ არსს.

ქართული საბრძოლო ხელოვნების ათვისების დროს შეგირდი უნდა ჩაწვდეს ქართულ ცეკვათა და სიმღერათა ჰარმონიას, დარწმუნდეს მათ ბუნებრიობასა და კანონზომიერებაში; შემდეგ გადაიტანოს და გაატაროს იგივე პრინციპები ადამიანებთან ურთიერთობაში - მთელ სამყაროსთან დამოკიდებულებაში.

ასეთია ქართული საბრძოლო ხელოვნების ფილოსოფიური საფუძვლები.

როგორ უნდა გაიკვალოს გზა სრულყოფის, შემეცნების გზაზე ადამიანმა? რა უნდა გაითვალისწინოს, რა უნდა შეცვალოს ან გარდაქმნას მან თავისი ცხოვრების წესში? როგორ ჩაწვდეს და დაეუფლოს შიდა მდუმარების ხელოვნებას პიროვნება?

ადამიანის მომავალი ისეთი იქნება, როგორიც არის მისი ქმედება აწმყოში. მნიშვნელოვანია მხოლოდ აწმყო, მომავალი კი აწმყოს გაგრძელებაა; აწმყო - სხვა არაფერია, თუ არა წარსულის შედეგი. ყველაფერი კავშირშია: წარსული აწმყო და მომავალი - განუყრელია. მომავალი აღმოცენდება იმ საფუძველზე, რომელსაც ჩვენ ჩავყრით დღეს. თუ ეს საფუძველი ფუჭია, მაშინ უსარგებლოა მომავალიც. თუ ეს საფუძველი ღრმაა, მაშინ მომავალიც საინტერესო იქნება. ასე რომ, ზუსტად დღეს შეუძლია ადამიანს ააშენოს საკუთარი მომავალი, გააუმჯობესოს აწმყო.

სიკეთე თუ ბოროტება არ წარმოადგენენ ორ დამოუკიდებელ ძალას. ეს ორი ნაკადი დაკავშირებულია უმაღლეს ენერგიასთან, ანუ უზენაესთან. ისინი განასახიერებენ ორ ხელს - ხანდახან ერთი ხელი მეორეს უტყაპუნებს. სიკეთისა და ბოროტების პრობლემა ფიზიკურ დონეზე არასოდეს არ გადაწყდება, რადგანაც ამ ძალების წარმოქმნა ფიზიკურ დონეზე არ ხდება. მათ მიწიერ პლანზე განხილვისას მხოლოდ დაპირისპირებას დავინახავთ. ადამიანი უნდა ავიდეს შემდეგ ინსტანციაზე, რომ ეს ორი ძალა - უარყოფითი და დადებითი - მიზნობრივად გამოიყენოს. ვინც ამას ახერხებს, იგი იმყოფება სიკეთესა და ბოროტებაზე ზემოთ.

სულიერების შეცნობისა და ათვისების გზაზე დამდგარმა ადამიანმა თავის თავში ძირითადად ორი თვისება უნდა განავითაროს: ყოფიერების გარჩევის ცოდნა და თავმდაბლობა. ყოფიერების გარჩევის უნარი - ეს გონიერების თვისებაა, ხოლო თავმდაბლობა კი გულის თვისებაა. ყოფიერების გარჩევის ნიჭიერება ადამიანს ჭეშმარიტებისაგან სიყალბის გარჩევის საშუალებას აძლევს და ეხმარება, თავიდან აიცილოს შეცდომები, ილუზიები. თავმდაბლობის შეცნობა - შესაძლებელია, სიამაყის საპირისპიროდ. სიამაყე - ძალიან სახიფათო თვისებაა. იგი ადამიანს უხშობს უმაღლეს სამყაროს, - ზეციური სასიცოცხლო ნაკადების მიმწოდებელ არხებს კეტავს. მნიშვნელოვანია, რომ ადამიანმა, რომელიც ივითარებს გარჩევის უნარს, რაც, თავისთავად, მას წინსვლის გზას მიუთითებს, ამავე დროს, გაისუფთაოს უმაღლესი სამყაროს მაცოცხლებელი ნაკადების მიღების გზები.

გზა, რომელიც შეგირდმა უნდა გაიაროს, ჭეშმარიტების მაძიებლის გზაა. ის ყველა დროში სამი ეტაპისაგან შედგება:

პირველი - გამოცდის ეტაპი  როცა ადამიანი ცდილობს, მართოს საკუთარი თავი; მეორე - შეგირდობის ეტაპი, როცა ადამიანი მთლიანად ფლობს საკუთარ თავს და ირჩევს ცხოვრების განსაკუთრებულ წესს, რაც სხვა ადამიანებთან და მთლიანად სამყაროსთან მის ჰარმონიულობას განსაზღვრავს; მესამე - განსწავლულობის ეტაპი, როცა ადამიანს შესწევს უნარი, იცხოვროს ამ კანონების შესაბამისად - იგი ოსტატი ხდება და გადასცემს ცოდნას.

უმასწავლებლოდ, მხოლოდ თვითგანვითარებისა და თვითშემეცნების გზით ოსტატობის მიღწევის სურვილი მირაჟია; ადამიანი ხდება არა უმაღლესი ცოდნის, არამედ უბრალოდ ინფორმაციის მფლობელი.

შეგირდს შემეცნებისათვის უნდა გააჩნდეს შემდეგი აუცილებელი თვისებები:

- შეეძლოს განსხვავება რეალურისა არარეალურისაგან, ჭეშმარიტი ფასეულობისა - წარმოსახვითისაგან, სათნოებისა - ცდუნებისაგან;
- იყოს გულგრილი ყოველგვარი არარეალურისადმი, წარმოსახვითისადმი, მაცდურისადმი;
- იყოს მფლობელი ექვსი სულიერი თვისებისა, ექვსი სათნოებისა:

ა) სრულად აკონტროლებდეს საკუთარ ფიქრებსა და აზრებს (დუმილისა და მედიტაციის მეშვეობით);

ბ) სრულად ფლობდეს საკუთარ მეტყველებასა და ქცევას;

გ) მიიღოს ყოველივე, რაც განგებამ არგუნა - მოთმინებითა და განკითხვის გარეშე, - რადგან ყოველივე ღვთის ნებითაა გაჩენილი ქვეყანაზე;

დ) სიმტკიცითა და რწმენით გაუძლოს ცხოვრებისეულ გამოცდას, ყოველგვარ ცდუნებას;

ე) მიაღწიოს შინაგან წონასწორობას, შინაგან ჰარმონიას;

ვ) გაიცნობიეროს თავისუფლების აუცილებლობა; გათავისუფლების სურვილი, საკუთარ სიტყვასთან შერწყმა, დაუცხრომელ წყურვილად უნდა ექცეს.

მხოლოდ ყოველივე ამის შემდეგ შეიძლება, შეგირდი გახდეს განდობილი.

ეს პრინციპი მარადიულია, იგი იყო, არის და იქნება მუდამ. მისი უნივერსალობა საუკუნეების პრაქტიკითაა დამტკიცებული.


"კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი".

ვფიქრობ, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს "ვისი გორისა ვართ", უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენმა წინაპრებმა კარგად იცოდნენ - გარეგნული ბრწყინვალება დროებითია და წარმავალი. უნდა გვახსოვდეს, რომ მეღლებისაკენ ლტოლვა მხოლოდ ევროპასთან დაახლოების შემდეგ გაჩნდა უკვე დაუძლურებულ, გადარჩენის გზების მაძიებელ ჩვენს ერს, თორემ ადრე არცერთ ქართველს აზრად არ მოუვიდოდა, ორდენით დაეჯილდოვებინა თავის ყველაზე დიდი გმირი.

მინდა ეთხოვო მომავალ თაობას, ჩვენს ახალგაზრდა თანამემამულეებს, არ მისცეთ დავიწყების, გაქრობის და გასხვისების საშუალება ჩვენი ერის საგანძურს, ქართულ საბრძოლო სულს. ხელი შეუწყეთ არა უცხოური, არამედ ეროვნული საბრძოლო სისტემის დამკვიდრებას... აღადგინეთ, გაითავისეთ და შემდგომ თაობას გადაეცით ჩვენი სიცოცხლისუნარიანობა. სწორედ ესაა თქვენი საპატიო მოვალეობა, ჯერ კიდევ გაქვს ამისათვის დროცა და საშუალებაც!

ბედნიერი ვიქნები, თუ ეს წიგნი წინაპართა კულტურისა და ტრადიციების შესწავლის სურვილს გაუღვივებს ახალგაზრდობას და ისინი საქართველოს აღორძინების უდიდეს საქმეს მოახმარებენ შეძენილ ცოდნას. "ადათია და წესია - ფეტვი ალაგზე თესიაო" - უთქვამს ჩვენს წინაპარს.

ჩემს ნაშრომს ვაჟას მშვენიერი ლექსით დავასრულებ:

"თქვენი სიცოცხლე მაცოცხლებს,
ახლებო გენაცვლეთა;
სიცოცხლე მიათქვცლება
თქვენის სიკეთის სმენითა.
აკეთეთ, რაც კი შაიძლოთ
თავით, გულით და ხელითა,
რომ შვილთ გვიკურთხონ საფლავი,
არ მოგვიგონონ წყევლითა".

# გამოყენებული ლიტერატურის სია


1 ა. ბაქრაძე. "შეიქმნა ახალი ასოციაცია". გაზეთი "კომუნისტი". 1989 წელი, 6 აპრილი.
2 ა. გელოვანი. სიბრძნის სიმყარია. თბილისი 1989. გვ. 770.
3 (კრებული. ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან. ტ. 1. თბ., 1970 და ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წიგნი 2. თბ., 1965; ი. ცინცაძე. 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი. თბ., 1960; ივ. ჯავახიშვილი. დამოკიდებულება რუსეთისა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში. Тб., 1919; პრისოედი-ნენიე გრუზიი კ როსსიი. 2 იზდ.ს-პბ., 1906).
4 გ. გაჩეჩილაძე. გაზ. "ალია", "ქართული საბრძოლო ხელოვნება მითი თუ რეალობა?", #137, 4 ნოემბერი, 1996 წ.
5 გ. გაჩეჩილაძე. გაზ. "ალია", "ქართული საბრძოლო ხელოვნება მითი თუ რეალობა?", #137, 4 ნოემბერი, 1996 წ.
6 J. Mellink. Archaeology 369-384, Plotes 120-125, Fig 11,12.
7 კ. კილდე. "საინტერესო ნაპოვნი", "დროშა", 1962 წ. №4.
8 გაზ. "ლელო", 1957, 3 ოქტომბერი, №119. ხევსური ჭიდაობა "ლიბერგიელ".
9 ა. რობაქიძე "ქართული ხალხური სპორტის შესახებ". 1955 წ.
10 ექვ. თაყაიშვილი. "სამი ისტორიული ქრონიკა". თბ. 1890 წ. გვ. 109.
11 ექვ. თაყაიშვილი, იქვე. გვ. 112.
12 ექვ. თაყაიშვილი, იქვე. გვ. 110.
13 არჩილიანი, "საქართველოს ზნეობანი". თბ. 1941. გვ. 5.
14 რ. ხარაძე, ა. რობაქიძე "ძველი სვანური სოფელი". თბ. 1964 წ., გვ. 108.
15 ძველი მოჭიდავე. "ივერია", 1888 წელი, #169.
16 გაზ. "ლელო", 1961 წელი. (ვ. ელაშვილის არქივიდან).
17 "დროება", 1880 წ., (ვ. ელაშვილის არქივიდან).
18 ს. მესხი. თხზ. ტ.1. 1962 წ., (ვ. ელაშვილის არქივიდან).
19 "დროება", 1883 წ., (ვ. ელაშვილის არქივიდან).
20 გაბრიელ ბარჯაძე. გავიხსენოთ ჩემპიონთა საფალავნო ხანგები. გაზეთი "ლელო", # 48, 20-22 ივნისი, 2000 წ.
21 გაზ. "ლელო", 1968 წ., 23 ნოემბერი.
22 იური იმერლიშვილი. "ალავერდის წმინდა ტაძარს მაინც დავუჯეროთ". გაზეთი "ლელო", 30 მაისი _ 1 ივნისი, 2000 წ.
23 გიორგი გაჩეჩილაძე. გაზ. "ალია", #137, 4 ნოემბერი, 1996 წ. "ქართული საბრძოლო ხელოვნება მითი თუ რეალობა"
24 თ. გაჩეჩილაძე. "თურქულ ჭიდაობაში ქართველებმა იფალავნეს", გაზ. "ლელო", #80, 10-12 ოქტომბერი, 2000 წ.
25 თენგიზ გაჩეჩილაძე. გაზეთი "ლელო", #76 და 78, სექტემბერი-ოქტომბერი, 2000 წელი.
26 გ. ალიბეგაშვილი. "ქართული ხალხური პოეზიის ნიმუშები", თბ. 1992, გვ. 66.
27 ვ. ბარდაველიძე. გ. ჩიტაია. "ხევსურული ორნამენტი", თბ. 1939.
28 კ. ჩოლოყაშვილი "საბრძოლო იარაღის წარმოების ისტორიისათვის საქართველოში", თბ. 1961.
29 В. Элашвили. Парикаоба. (Хевсурское фехтование). Тб. 1956.
30 П. Аносов "Горный журнал", №2, 1846.
31 კ. ჩოლოყაშვილი. "საბრძოლო იარაღის წარმოების ისტორიისათვის", თბ. 1961, გვ. 18-20.
32 ლიქოკელის მიხედვით.
33 ს. მაკალათია. ხევსურეთი.
34 რ. ხარაძე. სვანეთი, თბ. 1939.
35 ს. მაკალათია, თუშეთი, 1933.
36 რ. ხარაძე, სვანეთი, თბ. 1939.
37 ზ. ფანასკერტელი-ციციშვილი. სამკურნალო წიგნი კარაბადინი. თბ. 1969. გვ. 94.
38 ს.ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, 1928, გვ. 187.
39 სამართალი ვახტანგ VI-ისა. გამოც. ი. დოლიძისა, თბ., 1981. გვ. 238, მუხლი 197.

40 ს.ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, 1928, გვ. 367.
41 ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, ტ. 1, ხევსურული, 1931, გვ. 575.
42 მოსე ხონელი, ამირან-დარეჯანიანი, თბ. 1896, გვ. 304.
43 გაზ. "ლიტერატურული საქართველო", 3.11, 1961 წ.
44 გ. მელიქიშვილი, "К истории древней Грузии", მეცნ. აკად., თბ. 1959, გვ. 146.
45 შოთა რუსთაველი, "ვეფხისტყაოსანი", თბ. 1957, გვ. 136, ტაეპი 618.
46 მ. მახათაძე, საბრძოლო ხელოვნება "ვეფხისტყაოსანში", შრომები, ტ. XXIX, ქუთაისი, 1966, გვ. 35.
47 კ. ჩოლოყაშვილი, "შურდული", მეცნიერება და ტექნიკა, #1, 1958 წ; გვ. 37.
48 ვ. ელაშვილი, "მთიულთა ხალხური ვარჯიშები", თბ. 1972 წ.
49 ვ. ელაშვილი, "მთიულთა ხალხური ვარჯიშები", თბ. 1972 წ., გვ. 4.
50 ვ. ელაშვილი, "მთიულთა ხალხური ვარჯიშები", თბ. 1972 წ. გვ. 85, 5.
51 გ. კახიძე, "ძალის გამოცდა" (თბ. 1972 წ.
52 არიანე, თხზ. კრებული ტ. 1, თბ. 1936, გვ.5.
53 ვ. ელაშვილი, ხევსური ჭიდაობა _ "ლიბურგიელ", გაზ. "ლელო", 3.IX, 1957, #119.
54 თ. ონიანი, ქართული ჭიდაობის ხევსური ვარიანტი, გაზ. "ლელო", 17.IX, 1957 წ.
55 В. Элашвили. Парикаоба. (Хевсурское фехтование), Тб. 1956.
56 В. Элашвили. Парикаоба. (Хевсурское фехтование), Тб. 1956.
57 ს.ს. ორბელიანი, "სიტყვის კონა", თბ. 1949, გვ. 420.
58 В. Элашвили. Сатитени Тб. 1960.
59 რ. ხარაძე, ხევსურული რჯული, ანალები, ტ. 1, თბ. 1947, გვ. 163.
60 ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ. 1940, გვ. 126.
61 ე. ლიქოკელის მიხედვით.
62 В. Элашвили. Парикаоба. (Хевсурское фехтование), Тб. 1956.
63 Н. Худалов. Заметки о Хевсуретии. В1. Тифлис. 1887.
64 В. Элашвили. Сатитени Тб. 1960.
65 გიორგი თედორაძე, "ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში", წიგნი 2, თბ. 1939 წ. მკურნალობა ხევსურეთში, გვ. 95-100.
66 გიორგი გაჩეჩილაძე, გაზ. "ალია" 7-8 ნოემბერი, 1996 წ., #139, "მითი თუ რეალობაჰ".
67 გიორგი გაჩეჩილაძე, იქვე.
68 В. Элашвили. Парикаоба. (Хевсурское фехтование), Тб. 1956.
69 კ. ჩოლოყაშვილი, საბრძოლო იარაღის წარმოება საქართველოში, თბ. 1961, გვ. 11.
70 კ. ჩოლოყაშვილი, იქვე.
71 თ. თოიძაშვილი, "ლელო", #96, 1999 წ.
72 В. Элашвили. Парикаоба. (Хевсурское фехтование). Тб. 1956.
73 თეიმურაზ ბაგრატიონი, ისტორიები..., სსპბ. 1848, გვ. 128.
74 ვანო ლიქოკელის ნაამბობიდან.
75 В. Элашвили. Парикаоба. (Хевсурское фехтование), Тб. 1956.
76 В. Элашвили. Парикаоба. (Хевсурское фехтование). Тб. 1956.
77 В. Элашвили. Парикаоба. (Хевсурское фехтование), Тб. 1956.
78 В. Элашвили. Парикаоба. (Хевсурское фехтование). Тб. 1956.
79 В. Элашвили. Парикаоба. (Хевсурское фехтование), Тб. 1956.
80 В. Элашвили. Сатитени. (Хевсурские доевые кольца). Грузинский институт физической культуры. Тб. 1960.
81 ნ. ჭინჭარაული, "თავის გაზენქის ხელოვნება", გაზ. "კომუნისტი", 1 ივნისი, 1960 წელი.
82 В. Элашвили. Сатитени. (Хевсурские доевые кольца). Грузинский институт физической культуры. Тб. 1960.
83 В. Элашвили. Парикаоба. (Хевсурское фехтование). Тб. 1956.
84 В. Элашвили. Сатитени. (Хевсурские доевые кольца). Грузинский институт физической культуры. Тб. 1960.
85 ჟურნალი "Боевые искусства мира" №2, 1994, გვ. 8-13.
86 "Забытые воинские искусства и забавы славян" ჟურნალი БИП.информационное приложение "Воинские искусства и забавы бывшего СССР. Москва, 1995.

87 В. М. Адреев. Борьба САМБО. Москва 1961, гв. 4. (авторисеули ыаргмани).
88 В. М. Адреев. Борьба САМБО. Москва 1961, гв. 4. (авторисеули ыаргмани).
89 А. Шатунов. Школа Шизин Вече, Москва 1998 .
90 Клуб исторического моделирования Наследия Предков. Москва 1999 .
91 С. Татомин, А. Гатомин. Психотехники рукопашной схватки. Москва 1998, стр. 20.
92 კოტე ჯანდიერი. "ქართული ნაციონალური ბალეტი". თბ., 1996 წ., გვ. 50-51.
93 ა. გელოვანი. სიბრძნის სიმფონია. თბ. 1989, გვ. 766.
94 ა. გელოვანი. სიბრძნის სიმფონია, თბ. 1989. გვ. 780.
95 ვ. ელაშვილი. იარაღის კულტი საქართველოში, თბ. 1950.
96 ჯემალ შარაშენიძე. "შუმერები და მათი კულტურა". თბ. 1983. გვ. 19, 28, 33.
97 დენიზა სუმბაძე. "ქალღვთაებები ბიბლიისა და ქალღვთაებები ბიზანტიისა". გაზ. "ერის ღირსება". #4, დეკემბერი, 2001წ., გვ. 14.
98 დენიზა სუმბაძე. "პონტოსპირული ქალღვთაებები და მათი ცივილიზაციური კავშირები". გაზ. "ერის ღირსება", #4, დეკემბერი, 2001წ., გვ. 17.
99 Хозе Аргуельес. Фактор Майя. Мехико. 1987, стр. 24.
100 Хозе Аргуельес. Фактор Майя. Мехико. 1987, стр. 24.
101 ჯემალ შარაშენიძე. "შუმერები და მათი კულტურა". თბ. 1983. გვ. 172, 173.
102 В. Еремеев. Чертеж антропокосмоса, АСМ. Москва 1993, стр. 65, და Ю. Щуцкий. Китайская классическая "Книга-перемен" Москва. 1960, стр. 31-33, 126.
103 A. Terien, de Lacouprie. The oldest book of the Chinese and its authors. vol. 1, History and method. London. 1892.
104 ენდო. ძველი ჩინეთის კულტურა, ტოკიო, 1925, მე-2 გამოცემა, გვ. 18-22. იაპონურ ენაზე.
105 Л. Васильев. Генезис1976, . 2-4.
106 L. Kun. Egyetemes testneveleses sporttortenet. CSport. Budapest.1978. გვ. 38.40.
107 კ. ჯანდიერი, "ქართული ნაციონალური ბალეტი", თბ., 1996 წ., გვ. 9.
108 ა. გელოვანი, სიბრძნის სიმფონია, თბ. 1989, გვ. 754-755.
109 В.- Латышев. Известия древних писателей, греческих и латинских, о Скифии и Кавказе. და Ксенофонт. Поход через землю мосинников СПБ, 1893, . 1, . 80-82.
110 Д. Джанелидзе. Грузинский театр. Тб. 1959, стр. 288.
111 Н. Пантюхов. О пещерных и позднейших жилищах на Кавказе, Тифлис. 1895, стр. 58.
112 А. Захаров, Кавказ, Малая Азия и эгейский мир. Москва, 1928, стр. 34-35.
113 Ш. Амиранашвили, История грузинского искуства, Москва, 1950, стр. 57.
114 Curt Sachs. World History of the Dance, New-York, 1937, სტრ. 30.
115 ვ. ველიჩკო. თხზულებათა სრული კრებული, პეტერბურგი. 1904. გვ. 23 (რუსულ ენაზე).
116 ა. გელოვანი. სიბრძნის სიმფონია. თბ. 1989, გვ. 783.
117 კ. ჯანდიერი, ქართული ნაციონალური ბალეტი, თბ., 1996, გვ. 10.
118 Страбон, География, Москва, 1875, стр. 513.
119 Л. Штенберг, Первобытная религия в свете этнографии, Ленинград. 1936, стр. 416.
120 გიორგი ჩიხლაძე. ზოგიერთი ქართული ხალხური წეს-ჩვეულებების ინტერპრეტაციისათვის. თბ. 2000. გვ. 5, 6. 7 და ბ. მალინოვსკი. კულის შესახებ. თბ. 1998, გვ. 485.
121 Л. Гварамадзе. Грузинский танцевальный фольклор, Тб. 1987, стр. 19.
122 Е. Гроссе. Происхождение исскуства, Москва, 1899, стр. 193.
123 ე. ვირსალაძე. ქართული სამონადირეო ეპოსი, თბ. 1964, გვ. 91.
124 ექვ. თაყაიშვილი. ხელმწიფის კარის გარიგება. XIII-XIV სს., თბ. 1920, გვ. 11.12.
125 Л. Гварамадзе. Грузинский танцевальный фольклор, Тб. 1987. стр. 19.
126 გ. ალიბეგაშვილი. ქართული მითოსი, თბ., გვ. 9-10.
127 შ. ამირანაშვილი. ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1944, გვ. 31.
128 В. Бардавелидзе. Древнейшие религиозные верования и обрядовое искусство грузинских племён. Тб., 1957, стр. 100, 104, 248.
129 Е. Марков. Очерки Кавказа, СПб., 1904, стр. 304.
130 И. Данилевский. Кавказ и его горные жители. Москва, 1851, стр. 139.
131 И. Данилевский. Кавказ и его горные жители. Москва, 1851, стр. 139.
132 А. Апакидзе. Итоги археологических исследований. Тб. 1958, стр. 135.

133 ბ. ნიჟარაძე. ისტორიკულ-ეთნოგრაფიული სტატიები. თბ. 1962. გვ. 131, 132.
134 Л. Гварамадзе. Грузинский танцевальный фольклор, Тб. 1967.
135 З. Гулисов. Об играх и разных забавах. 1886. (СМОМПК, вып. V).
136 ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, გვ. 124.
137 შ. ამირანაშვილი. ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1944, ცხრილი 26, 28.
138 ი. აბულაძე. რუსუდანიანი. თბ. 1957, გვ. 14.
139 Арханджело Ламберти. Описание Колхиды, Называемой теперь Мингрелии. 1654. стр. 104, 105.
140 ჯ. რუხაძე. ქართული ხალხური დღესასწაული. თბ. 1966, გვ. 7.
141 ივ. ჯავახიშვილი. ქართული და კავკასიური ენების თავისებურებები. თბ. 1937. გვ. 186, 209.
142 ჯ. რუხაძე. ქართული ხალხური დღესასწაული. თბ., 1966, გვ. 5.
143 ჯ. რუხაძე. ქართული ხალხური დღესასწაული. თბ. 1966. გვ. 16.
144 Л. Гварамадзе. Грузинский танцевальный фольклор. Тб., 1987, стр. 38.
145 ჯ. რუხაძე. ქართული ხალხური დღესასწაული. თბ. 1966, გვ. 6.
146 ჯ. რუხაძე. იქვე. გვ. 5.
147 ჯ. რუხაძე. ქართული ხალხური დღესასწაული. თბ. 1966, გვ. 7.
148 ჯ. რუხაძე. ქართული ხალხური დღესასწაული. თბ. 1966, გვ. 8.
149 ჯ. რუხაძე. ქართული ხალხური დღესასწაული. თბ. 1966, გვ. 10.
150 Л. Кун. Всеобщая история физической культуры и спорта. Москва. 1982. стр. 40.
151 გიორგი ნანნიაძე. ზოგიერთი ქართული ხალხური წეს-ჩვეულებების ინტერპრეტაციისათვის. თბ. 2000. გვ. 30.
152 კ. ჯანდიერი. ქართული ნაციონალური ბალეტი. თბ. 1996. გვ. 4.
153 ივ. ჯავახიშვილი. ქართული მუსიკის ძირ. საკითხები. თბ. 1938. გვ. 223.
154 კ. ჯანდიერი. ქართული ნაციონალური ბალეტი. თბ. 1996, გვ. 16.
155 კ. ჯანდიერი. იქვე. გვ. 42.
156 კ. ჯანდიერი. ქართული ნაციონალური ბალეტი. თბ. 1996, გვ. 49.
157 კ. ჯანდიერი. იქვე. გვ. 49.
158 Е. Дубровина. Мцхетский праздник. «Новое обозрение», 1892, № 3019
159 Дм. Джанелидзе. Мзечабука, Тб., 1982, стр. 9.
160 Ю. Промотов. Путь в страну ущелий. М., 1937, № 1.
161 კ. ჯანდიერი. ქართული ნაციონალური ბალეტი. თბ. 1996, გვ. 49.
162 Страбон. География. М., 1875, стр. 514.
163 Л. Гварамадзе. Грузинский танцевальный фольклор, Тб., 1987, стр. 129 da А. Хаханов. Кое-что из быта ингилойцев, 1883, № 3324.
164 ქ. კასტელი. ცნობები და ალბომი საქართველოს ცხოვრების შესახებ. თბ. 1977. გვ. 25. 111, 112, 113
165 ა. გელოვანი. სიბრძნის სიმფონია. თბ. 1989, გვ. 765.
166 ეკა ბაკურაძე. ამორძალები. გაზ. "სამყაროს ლედა", # 1. 2000 წ.
167 კ. კასტელი. ცნობები და ალბომი საქართველოს ცხოვრების შესახებ. თბ. 1977, გვ. 117.
168 Л. Гварамадзе. Грузинский танцевальный фольклор, Тб., 1987, стр. 117.
169 Arthur Pope. Survey of Persian Art. London, 1939, vol. 3, p. 2659.
170 Л. Гварамадзе. Грузинский танцевальный фольклор, Тб., 1987. стр. 117.
171 ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ხალხის ისტორია. თბ., 1928.
172 Curt Sacks. World history of the Dance, New-York, 1937, p. 125.
173 ვ. ბარდაველიძე. ფშავ იბერიელებს შორის (ლილური). სამეცნიერო აკადემია. თბ. 1941.
174 ამ ფიგურაზე თ. ლორთქიფანიძეს აქვს სპეციალური სტატია. იხ. "ძიებანი" და 1912. .1. . 134.
175 ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ხალხის ისტორია, თბ., 1928, გვ. 70. 71.
176 Л. Гварамадзе. Грузинский танцевальный фольклор, Тб., 1987, стр. 111.
177 В. Вирсаладзе. Грузинская весенняя хоровая поэзия. М., 1964, стр. 7.
178 Д. Коридзе. Грузинская медицина в памятниках устной словестности и исторической письменности. Тб., 1967, стр.4.

179 ი. ცინცაძე. სამაია. ხელნაწერი შრომა. 1961.
180 Н. Накашидзе. Новый год и другие обряды у гурийцев. Газета «Кавказ», 1848, № 27.
181 ქ. ჯანდიერი. ქართული ნაციონალური ბალეტი. თბ. 1996. გვ. 64.
182 Газета «Закавказский вестник». Восхождение на Казбек. Тб., 1845. № 19.
183 Л. Гварамадзе. Грузинский танцевальный фольклор. Тб., 1987, стр. 137.
184 შ. ასლანიშვილი. "სამაია". მეცნიერებათა აკადემია. თბ. 1948.
185 Л. Гварамадзе. Грузинский танцевальный фольклор, Тб., 1987, стр. 153.
186 თ. ალიბეგაშვილი. ქართული მითოლოგია, თბ. გვ. 111, 112.
187 გ. ჩხიკვაძე. უძველესი ქართული მუსიკალური კულტურა. თბ. 1948. გვ. 22-24.
188 Л. Гварамадзе. Грузинский танцевальный фольклор, Тб., 1987, стр. 114.
189 В. Бардавелидзе. Древнейшие религиозные верования и обрядное графическое искусство грузинских племён. Тб., 1957, стр. 87, 108, 196.
190 თამარ ოთიაშვილი. "ბერიკაობა" ანუ ნუ დავკარგავთ წინაპართა ტრადიციებს. გაზეთი "კავკასიონი", 21 მარტი, 1995 წელი.
191 ე. ბურკაძე, ზ. ქუთათელაძე. "ქართველი მეომრების საბრძოლო დიდება". თბ. 2001 წ., გვ. 13, 14.
192 საქართველოს ისტორია. თბ. 1995. გვ. 260.
193 ა. გელოვანი. სიბრძნის სიმფონია. თბ. 1989. გვ. 789.
194 ა. დიუმა. კავკასია, თბ., გვ. 209, 251.
195 ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია. თხზულებანი 12 ტომად. ტ. IV. თბ., 1982 წ.
196 ივ. ჯავახიშვილი. იქვე. გვ. 5.
197 E. Ciriot. A Dictionary of Symbols. London. 1973.
198 ა. არაბული. ერთგულობის მოტივი ქართულ ფოლკლორში. თბ. 1973, გვ. 221.
199 ზ. გამსახურდია. ევფხისტყაოსანი და წმინდა გიორგის კულტი. თბ. გვ. 221. 217.
200 ზ. გამსახურდია. ევფხისტყაოსანი და წმინდა გიორგის კულტი. თბ. გვ. 222. 223.
201 ზ. გამსახურდია. საქართველოს სულიერი მისია. თბ., 1990. გვ. 14. 18.
202 ზ. გამსახურდია. საქართველოს სულიერი მისია. თბ., 1990. გვ. 11. 12. 17.
203 შ. ამირანაშვილი. "შოთა რუსთაველის პორტრეტი იერუსალიმის ჯვარის მონასტერში". თბ. 1961 წ.
204 გაზ. "ახალი განათლება". "საუბრები "იდიოტთან". "პორტრეტი". 24-30 იანვარი. 2002 წ., გვ. 9.
205 გაზ. "ახალი განათლება". "საუბრები "იდიოტთან", "პორტრეტი". 24-30 იანვარი. 2002 წ., გვ. 9.
206 გაზ. "ახალი განათლება". საუბარი "იდიოტთან". "Mუსტელა ერმინეა" "მომხიბვლელი მკვლელი", 2002 წ.
207 გაზ. "ახალი განათლება". "საუბრები "იდიოტთან". "...სმენად მხეცნი მოვიდიან...", 2002 წ.
208 გაზ. "ახალი განათლება". "საუბრები "იდიოტთან". "...სმენად მხეცნი მოვიდიან...", 2002 წ.
209 В. Песков. Обаятельный убийца. газ. «Комсомольская правда». 16 января, 1998 г. (авторисеули ыаргмани).
210 გაზ. "ახალი განათლება". საუბარი "იდიოტთან". "Mustela erminea" "მომხიბვლელი მკვლელი", 11-17 აპრილი, 2002 წელი, # 13, გვ. 8.
211 გაზ. "ახალი განათლება". საუბარი "იდიოტთან". "Ex oriente lux" - "ნათელი აღმოსავლეთიდან მოდის". 2002 წელი.
212 გაზ. "ახალი განათლება". საუბარი "იდიოტთან". "ცისარტყელა, ანუ ეს უცნაური სიმბოლიკა...", 2002 წ.
213 ს.ს. ორბელიანი. სიტყვის კონა. თბ., 1943, გვ. 224.
214 არჩილი. თხზულებების კრებული. ტფ., 1936. გვ. 14.
215 В. Элашвили. Традиции грузинской народной физической культуры и современность. Тб., 1973, стр. 256.
216 კ. კასტელი. ცნობები და ალბომი საქართველოს ცხოვრების შესახებ. თბ., "მეცნიერება", 1977, გვ. 21.

217 კ. კახტელი. ცნობები და ამბები საქართველოს ცხოვრების შესახებ. თბ., "მეცნიერება", 1977, სურ. 114.
218 ე. ნოზაძე. ვეფხისტყაოსნის ვარსკვლავთმეტყველება. სანტიაგო დე ჩილე. 1957. გვ. 7.
219 Л. Гварамадзе. Грузинская народная хореография. Тб., ст. 86.
220 Ш. Амиранашвили. История грузинского искусства. М., 1950. ст. 88.
221 კ. კახტელი. ცნობები და ამბები საქართველოს ცხოვრების შესახებ. თბ., "მეცნიერება", 1977. გვ. 22.
222 კ. კახტელი. იქვე. გვ. 22.
223 გაზ. "ახალი განათლება, "რუსთაველი - ხელოვანი!", #3 (102), 2000 წ. გვ. 10.
224 ა. გელოვანი. სიბრძნის სიმფონია. თბ. 1989. გვ. 755.
225 Н. Ломаури. Древнейшее известие о Тбилиси. Тб., 1958, ст. 23-28.
226 Т. Квирквелиа. Архитектура Тбилиси. Тб., 1982, ст. 13.
227 Д. Твриташвили. Тбилиси 1500 лет. Тб., 1958. ст. 11.
228 შ. მესხია. თბილისის ისტორია. თბ., გვ. 2. 1958 წ.
229 Д. Коридзе. Археологические памятники Тбилиси. ч. 1. Тб., 1958 da ч. 2. Тб., 1958.
230 Т. Квирквелиа. Архитектура Тбилиси. Тб., 1982, ст. 14.
231 Т. Квирквелиа. ньве. гв. 15.
232 "ქართლის ცხოვრება", გვ. 122.
233 "ქართლის ცხოვრება", გვ. 138.
234 Т. Квирквелиа. Архитектура Тбилиси. Тб., 1982, ст. 18, 17.
235 Ш. Чхетия. Тбилиси в XIX столетии. Тб., 1942. ст. 41.
236 Ш. Месхия. Города и городской строй феодфльной Грузии. Тб., 1959, ст. 34.
237 История Тбилиси. ст. 33.
238 Т. Квирквелиа. Архитектура Тбилиси. Тб., 1982, ст. 20.
239 Т. Квирквелиа. Архитектура Тбилиси. Тб., 1982. ст. 25.
240 М. Полиевктов. Г. Натадзе. Старый Тифлис в известиях современников. Тб., 1929. ст. 7.
241 Т. Квирквелиа. Архитектура Тбилиси. Тб., 1982, ст. 27.
242 Т. Квирквелиа. ньве, гв. 27.
243 ვახუშტი. "აღწერა სამეფოსა საქართველოსა", თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1941. გვ. 52-54.
244 Ш. Чхетия. Тбилиси в XIX столетии. Тб., 1942. ст. 52.
245 Т. Квирквелиа. Архитектура Тбилиси. Тб., 1982, ст. 34.
246 Н. Дубровин. Георгий XII, последний царь Грузии. СПб., 1897, ст. 55.
247 Т. Квирквелия. Архитектура Тбилиси. Тб., 1982. ст. 42.
248 Т. Квирквелия. იქვე, გვ. 43.
249 Т. Квирквелия. იქვე, გვ. 52.
250 ი. გრიშაშვილი. ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა. ბათუმი. 1986, გვ. 8.
251 ა. დიუმა. კავკასია. თბ., 1970. გვ. 251. 252.
252 ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიკური ისტორია. თბ., 1907. გვ. 40.
253 ი. გრიშაშვილი. ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა. ბათუმი. 1986, გვ. 36.
254 გ. მამულაშვილი. "ყარაჩოღელის ქამრის საიდუმლო", გაზ. "კვირის პალიტრა", 27 მარტი 2 აპრილი, 2001 წელი.
255 გ. მარგველაშვილი. "კონტრკულტურა, როგორც მეხამრიდი და განმწმენდი". გაზ. "ახალი განათლება", 15-21 ნოემბერი, 2001 წ., გვ. 9.
256 ი. იმედაშვილი, ჟურნალი "თეატრი და ხელოვნება", 1925. #5.
257 გ. მამულაშვილი. "ყარაჩოღელის ქამრის საიდუმლო", გაზ. "კვირის პალიტრა", 27 მარტი 2 აპრილი, 2001 წელი.
258 გ. შაყულაშვილი. ძველი თბილისის პოეზიის ისტორიიდან. თბ. 1987. გვ. 32.
259 ი. გრიშაშვილი. ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა. ბათუმი. 1986. გვ. 37. 38. 43.
260 К. Г. Иерусалимский. Ювелир индейского царя. Ованес Ага, или любовь отца к сыну и на оборот. Тифлис. 1886. ст. 17.
261 Идрис Шах. Суфии. Москва. 2001 г. ст. 135. 136.
262 Идрис Шах. Суфии. Москва. 2001 г. ст. 143. 144.

263 გიორგი მარგველაშვილი. "კონტრკულტურა, როგორც მეხსიერება და განწმენდა". გაზ. "ახალი განათლება", 15-21 ნოემბერი. 2001 წ. გვ. 9.
264 Газета «Закавказский вестник», Тифлисские заметки. 1854. № 7.
265 Д. Джанелидзе. Народные истоки грузинского театра. Тб., 1948. ст. 94.
266 Идрис Шах. Суфии. Москва. 2001 г.
267 ა. დიუმა. კავკასია. თბ., 1970. გვ. 247, 248.
268 Л. Гварамадзе. Грузинский танцевальный фольклор. Тб., 1987. ст. 106.
269 Б. Нижарадзе. Историко-этнографические статьи. Тб., 1952 . ст. 136.
270 Л. Гварамадзе. Танцовщик с Мтацминда. Тб., 1962. ст. 45.
271 ლ. გვარამაძე. იქვე. გვ. 108.
272 ჯ. რუხაძე. ქართული ხალხური დღესასწაული. თბ., 1966. გვ. 10.
273 ი. ბერიძე. ლ-ტ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ტ. VII. თბ. 1955 წ.
274 ჯ. რუხაძე. ქართული ხალხური დღესასწაული. თბ., 1966. გვ. 13
275 ქართული საბრძოლო ხელოვნებების ფედერაცია "ხრიდოლი". ართული კრივი. წიგნი 2. კარი 1. თბ. 1999. გვ. 8-11.
276 ქართული საბრძოლო ხელოვნების ფედერაცია "ხრიდოლი"; ართული კრივი. წიგნი 2. კარი I, თბ., 1999. გვ. 13
277 ი. გრიშაშვილი. ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა. ბათუმი. 1986. გვ. 24-31.
278 ქართული საბრძოლო ხელოვნების ფედერაცია "ხრიდოლი"; ართული კრივი. წიგნი 2. კარი I, თბ., 1999. გვ. 11.
279 ქართული საბრძოლო ხელოვნების ფედერაცია "ხრიდოლი"; ართული კრივი. წიგნი 2. კარი I, თბ., 1999. გვ. 8.
280 კ. კეკელიძე. ა. ბარამიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1. თბ., 1954. გვ. 41.
281 კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1. თბ., 1954. გვ. 39.
282 კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. 1. თბ., 1954. გვ. 44.
283 კ. კეკელიძე. ა. ბარამიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1. თბ., 1954. გვ. 40, 46.
284 კ. კეკელიძე. ა. ბარამიძე. იქვე. გვ. 41.
285 კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1. თბ., 1954. გვ. 45.
286 კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. 1. თბ., 1954. გვ. 40.
287 კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. 1. თბ., 1954. გვ. 75.
288 ა. არაბული. ენა და ღვთისმეტყველება. ჟურნალი "არილი"; #6, 2000 წ., გვ. 27-28.
289 გაზეთი "სამყაროს დედა", #1. 2000 წელი.
290 კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია. ტომი 1. თბ., 1954. გვ. 166, 167.
291 კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია. ტომი 1. თბ., 1954, გვ. 175-180.
292 კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, იქვე. გვ. 180.
293 გ. თევზაძე. რუსთაველის კოსმოლოგია. თბ., 1984. გვ. 157.
294 "საღვთისმეტყველო კრებული", #6. 1965 წელი და ჟურნალი "რელიგია" _ "ათონელ ბერთა მისტიკა", გვ. 66-69.
295 პეტრე იბერიელი. ფსევდოდიონისე არეოპაგელი. საღმრთოთა სახელთათვის. თბ., გვ. 6, ლექსი 20.
296 პეტრე იბერიელი. იქვე. გვ. 7. ლექსი 25.
297 პეტრე იბერიელი. იქვე. გვ. 8. ლექსი 26.
298 პეტრე იბერიელი. იქვე. გვ. 10, ლექსი 30.
299 პეტრე იბერიელი. იქვე. გვ. 31. ლექსი 25.
300 პეტრე იბერიელი. იქვე. გვ. 32. ლექსი 4.
301 პეტრე იბერიელი. ფსევდო დიონისე არეოპაგელი. საღმრთოთა სახელთათვის.
302 გ. თევზაძე. რუსთაველის კოსმოლოგია. თბ., 1984. გვ. 27-31.
303 გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა", #123. 23 მაისი. 2001 წელი. "ნაკრული" - კაცობრიობის ზეპირსიტყვიერების შედევრი".
304 ზ. გამსახურდია. ვეფხისტყაოსანი და წმ. გიორგის კულტი. ბროშურა, თბ. 1972. გვ. 213-214.

305 ზ. გამსახურდია. ვეფხისტყაოსანი და წმ. გიორგის კულტი. ბროშურა. თბ. 1972. გვ. 217, 218.

306 ზ. ქოქრაშვილი. "შეიცვლება თუ არა დამოკიდებულება ზოდიაქოს ნიშნების მიმართ" გაზ. "ასავალ-დასავალი". 7-13 აგვისტო, 2000 წ., გვ. 12.

307 ვიქტორ ნოზაძე. ვეფხისტყაოსნის ვარსკლავთმეტყველება. სანტიაგო დე ჩილე, 1957. გვ. 10.

308 ვიქტორ ნოზაძე. იქვე. გვ. 18.

309 ვიქტორ ნოზაძე. იქვე. გვ. 17-18.

310 იოანე საბანიძე. აბოს წამება, ქართ. მწერლობა. ტ. 1. თბ., 1981, გვ. 35.

311 ზ. ქოქრაშვილი. ბიბლიური პატიოსან ქვათა და ეტლთა შესახებ. თბ. 2001 წ., გვ. 41.

312 ბ. გენია. სვეტიცხოვლის ფრესკის ფრაგმენტი "ზოდიაქოს რკალი". საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, პირველი გამოცემა. თბ. 1999. გვ. 34.

313 ზ. ქოქრაშვილი. გაზეთი "ასავალ-დასავალი". # 32, 7-13 აგვისტო. 2000 წელი, გვ. 12.

314 "ეტლთა და შვიდთა მნათობთათვის" XII საუკუნის ასტროლოგიური თხზულება (გამოსცა, წინასიტყვაობა და ენობრივი მიმოხილვა დაურთო აკაკი შანიძემ). თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ. 1975, გვ. 88.

315 ზ. ქოქრაშვილი. "ბიბლიურ პატიოსან ქვათა და ეტლთა შესახებ"; თბ. 2001 წ. გვ. 37, 38.

316 ზ. ქოქრაშვილი. იქვე. გვ. 38, 39.

317 ზ. ქოქრაშვილი. "ბიბლიურ პატიოსან ქვათა და ეტლთა შესახებ"; თბ. 2001 წ., გვ. 42.

318 ზ. ქოქრაშვილი. "ბიბლიურ პატიოსან ქვათა და ეტლთა შესახებ"; თბ. 2001 წ.; გვ. 43, 44.

319 ზ. ქოქრაშვილი. იქვე, გვ. 44, 45.

320 ვიქტორ ნოზაძე. "ვეფხისტყაოსნის ვარსკლავთმეტყველება"; სანტიაგო დე ჩილე, 1957, გვ. 19.

321 გიორგი მთაწმინდელი. "იოანეს და ექვთიმეს ცხოვრება". ქართული პროზა. თბ. 1982, წიგნი 1, გვ. 393.

322 მ. გიორგაძე. გაზეთი "კვირის პალიტრა". "XX საუკუნის საოცრება საქართველოში". 24-30 აპრილი, 2000 წელი, გვ. 7.

323 მ. გიორგაძე. იქვე, 2000 წელი, გვ. 7.

324 გ. ჩინჩილაძე. ზოგიერთი ქართული ხალხური წეს-ჩვეულებების ინტერპრეტაციისათვის. თბ. 2000 წ., გვ. 75, 76.

325 გ. ჩინჩილაძე. იქვე.

326 მერაბ მამარდაშვილი. საუბრები ფილოსოფიაზე. თბ., 1992. გვ. 169-173.



# ᲓᲐᲜᲐᲠᲗᲘ

## ვ. ელაშვილი. ფიზიკური აღზრდის ქართული ხალხური სისტემა. თბ., 1956

ქართველ მთიელთა საბრძოლო აღზრდის ხალხური სისტემა

ს ა ე რ თ ო  მ ი ზ ა ნ ი  შესაბამისად საერთო აღზრდის მთავარი მიზნისა - კაცი "ყველაფრით სრული" უნდა იყოს - აღიზარდოს ჯანმრთელი, ფიზიკურად კარგად განვითარებული ვაჟკაცი, რომელიც უნდა ფლობდეს სამხედრო - გამოყენებით ჩვევებს და უნარი ჰქონდეს დაიცვას თავისი თემური გაერთიანების ინტერესები.

ამოცანები და მომზადების მთავარი საშუალებანი; სწავლების ფორმები და მეთოდები; შემოწმების ფორმები და მომზადებულობის ნორმატივები.

# სარჩევი


რედაქტორისაგან ........ 5
წინასიტყვაობა ........ 6


## კარი პირველი

ქართველთა საბრძოლო ხელოვნებები
მ. ცაგარელი. საქართველო მერწყულის ეპოქაში გადავიდა


თავი პირველი ........ 11
"გაქვთ კი ქართველებს საბრძოლო ხელოვნების სისტემები?"
თავი მეორე ........ 14
ხე ნაყოფით შეიცნობა
თავი მესამე ........ 17
"ინფორმირებული თავკომბალები" თუ ძირძველი ქართული მოძღვრებების გამგრძელებლები?
თავი მეოთხე ........ 20
ღვთის მიერ ბოძებული მიწის შვილები და ქართული საბრძოლო სულის დაქვეითების მცდელობები
თავი მეხუთე ........ 28
"როცა არხში წყალი წყდება, სათავეების ძებნა გვმართებს" - ანუ გადაჭრილი ფესვების პოვნა
თავი მეექვსე ........ 30
"თურაშაულის პატრონი ტყეში ეძებდა პანტასო"


## კარი მეორე

ხალხური სტილი
ზ. ქორიძე. "ქართველი მუხლზე დაჩოქილი ვერ იბრძვის"


თავი პირველი ........ 38
ქართული ჭიდაობის ამოუცნობი ფენომენი

თავი მეორე ........ 42
ხალხური, ანუ მდაბიოთა საბრძოლო სისტემა

თავი მესამე ........ 46
ფალავნები

თავი მეოთხე ........ 53
თანამედროვე ფალავანთა ძახილი


## კარი მესამე

მთიელთა საბრძოლო სტილი
ე. ლიქოკელი. ხევსურთა საბრძოლო სისტემათა შესახებ


თავი პირველი ........ 60
რაინდის, ვაჟკაცის ხატი მთიელებში

თავი მეორე ... 62
ხევსურთა საბრძოლო მომზადება

თავი მესამე ... 68
საბრძოლო იარაღის მნიშვნელობა

თავი მეოთხე ... 73
ძალ-ღონის განმავითარებელ ვარჯიშთა მნიშვნელობა

თავი მეხუთე ... 77
ხევსურული ფარიკაობა, შუღლი (ჭრობა) და სათითენი

თავი მეექვსე ... 84
ჭრა-ჭრილობის (ცეეთა-ფარების) ტექნიკა და ტაქტიკა

თავი მეშვიდე ... 90
ხევსურული ხელჩართული ბრძოლის სისტემა

## კარი მეოთხე

### ბერიკები

დ. ახვლედიანი. წინაქრისტიანული საქართველო საქართველოს სამხედრო ისტორია

თავი პირველი ... 102
კოლხ და იბერიელ ტომთა ისტორია

თავი მეორე ... 109
უძველეს ქართველთა წეს-ჩვეულებები და რიტუალები

თავი მესამე ... 117
ბერიკათა საბრძოლო სტილი - ბერიკაობა

თავი მეოთხე ... 122
ქართულ ცეკვათა და სიმღერათა საბრძოლო მნიშვნელობა

თავი მეხუთე ... 127
კავკასიელ ამორძალთა რიტუალები, საბრძოლო და საკულტო ცეკვები და სიმღერები

## კარი მეხუთე

### დიდებულთა საბრძოლო სტილი

გ. გოგაშვილი. "დიდო დედაო, ცაო მშვენიერო"

თავი პირველი ... 138
შალვა ახალციხელი

თავი მეორე ... 140
რაინდობა - ეზოთერული ახსნით

თავი მესამე ... 152
დიდებულთა საბრძოლო აღზრდის მეთოდები

# კარი მეექვსე

## თბილისი

## თბილისური საბრძოლო სტილი


თავი პირველი ... 162
თბილისის მოკლე ისტორია

თავი მეორე ... 169
ძველი თბილისი - ქალაქური ამქრობა

თავი მესამე ... 174
თბილისელ ამქართა გართობები და დღესასწაულები

თავი მეოთხე ... 179
მეამბოხე რაინდების - ყარაჩოღელების საბრძოლო შერკინებები


# კარი მეშვიდე

## წმინდა მხედრების სტილი

## ნ. იდოიძე. ქართველთა საბრძოლო ხელოვნების მსოფლმხედველობრივი საფუძვლების შესახებ


თავი პირველი ... 188
ქართული ქრისტიანული სულიერებისა და კულტურის საგანეები

თავი მეორე ... 192
ქართული ქრისტიანული აზრი და ფილოსოფიური მემკვიდრეობა

თავი მესამე ... 199
დუმილის მოძღვრება ათონის იბერთა მონასტერში

თავი მეოთხე ... 204
"წმინდა მხედრების" მსოფლმხედველობა

თავი მეხუთე ... 213
წმინდა მხედრების ისტორია

ბოლოსიტყვაობა ... 218

გამოყენებული ლიტერატურის სია ... 223

ე. ელაშვილი, ფიზიკური აღზრდის ქართული ხალხური სისტემა, თბ., 1956 ... 231